ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე

ძველი ქართული ენა და ლიტერატურა

ენისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ქრესტომათია

ლექსიკონი

ძველი ქართული წერის ნიმუშები

პროფ. ა. შანიძის რედაქციით

მეორე გამოცემა

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი 1935

სასწ.-პედაგოგიური ლიტერატურა

რედაქტორი: ა. შანიძე
რედაქტორები: შ. რადიანი, ვ. ბერიძე, მ. ზანდუკელი
ტექრედაქტორი: ვ. გორგაძე
კორექტორი: ილ. აბულაძე

წარმოებას გადაეცა 9/II—35 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III—35 წ.
სტ. კ. ზ. 62×94. წ. ზომა 6½×11
შეკვ. № 58. ტირაჟი 15.000
მთავლიტის რწმ. № ა — 9
სახელგამის 1-ლი სტამბა, პლეხან. პრ. 9

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
წინასიტყვაობა .	IV
ქ. ენისა და ლიტერატურის მიმოხილვა.	
ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენა	01
რიცხობრივი მნიშვნელობა ასოებისა (დამატ. I)	036
ქართული წელთაღრიცხვა (დამატ. II) .	038
ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობა .	040
ძ ძრელსტომათია.	
ხანმეტი ძეგლები .	1
ჰაემეტი ძეგლები .	6
ატენის წარწერა	9
ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი, შუშანიკის წამება	10
ი ო ვ ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, აბოს წამება	17
ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი, სერაპიონის ცხოვრება	26
გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება	35
ბალავარის სიბრძნე .	50
ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი	60
მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი .	62
ფ ი ლ ი პ ე, ბეთლემის საგალობელი	65
გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, იოანესი და ეფთვიმეს ცხოვრება	66
ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ო რ გ ა ს ა ლ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი, ვახტანგის ბრძოლა სინდეთს . .	72
აპირან დარეჯანიანი	75
ვისრამიანი	91
ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი, აბდულმესია .	105
ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, თამარიანი .	109
ვეფხის-ტყაოსანი	111
როსტომიანი . . .	136
თ ე მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი	153
რუსუდანიანი	171
არჩილიანი . . .	179
ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი	196
ქილილა და დმანა . .	210
დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი	221
ბ ე ს ი კ ი	239
ს ა ი ა თ ნ ო ვ ა .	257
III. ლეძგინკონი .	263
IV. ძართული წერის ნიმუშები (VI-XVII) .	311

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისა

ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება საშუალო სკოლის ფარგლებში საკმაო მოცულობით არის გათვალისწინებული. ჯეროვნად დაყენებული სწავლება კი, სათანადო ცოდნით აღჭურვილ მასწავლებელს გარდა, კარგად შედგენილ სახელმძღვანელოსაც გულისხმობს. იმას ვერ ვიტყვით, რომ ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო მეორე საფეხურის სკოლებისათვის სრულიად არ მოიპოვებოდეს ქართულ ენაზე. მაგრამ ის კი უცილობელია, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას დღევანდელი სკოლისას, რომელსაც. თანახმად საკავშირო ცაკის ცნობილი დადგენილებისა, სტაბილური სახელმძღვანელოები ესაჭიროება. წინანდელ სახელმძღვანელოებში ლიტერატურის საკითხები ენისას ჩრდილავდა. აქ კი ენასაც სათანადო ადგილი აქვს განკუთვნილი. მართლაც ლიტერატურის ძეგლი, პირველ ყოვლისა, არის ენის ძეგლი, რომლის ცალკეული სიტყვები თუ მთლიანი გამოთქმები სწორედ იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, როგორც თავის დროზე ესმოდა ავტორსაც და მკითხველსაც. თუ ეს არ იქნა მიღწეული, შეუძლებელია სათანადოდ დაფასდეს ძველი ლიტერატურის ძეგლი კულტურულ ისტორიული თვალსაზრისით. ამიტომ გასაგებია, რომ წიგნის შედგენისას უაღრესი ყურადღება მიექცა ძეგლების შერჩევას და დამუშავებას არა მარტო ლიტერატურული თვალსაზრისით, არამედ ენის ისტორიის თვალსაზრისითაც. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ, — მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც, — წიგნში შემოვიტანეთ უძველესი სალიტერატურო ენის ნიმუშები (ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები).

ძველი ნაწერების გასაგებად საჭიროა მათი გრამატიკული აგებულობისა და ლექსიკის ცოდნა. პირველის შესათვისებლად მოცემულია ჩემი მოკლე მიმოხილვა ენისა, სადაც ისეთი რამეა მხოლოდ შეტანილი, რაც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ მოიპოვება, ე. ი. რითაც ძველი ენა განსხვავებულია ახლისაგან. ეგეთი ითქმის ილია აბულაძის მიერ ვრცლად შედგენილი ლექსიკონის შესახებაც: აქაც მარტოოდენ ისეთი სიტყვები და გამოთქმებია აღნუსხული, რომლებიც დღევანდელი ფართო საზოგადოებისათვის ან სრულიად უცნობია, ან შეიძლება ყალბად იქნეს გაგებული. რაიცა შეეხება ლიტერატურულ მხარეს, გარდა იმისა, რომ თვითეულ მწერალს ან ნაწარმოებს შესავალი მიუძღვის, მოცემულია მთლიანი მიმოხილვაც ძველი ქართული ლიტერატურისა ალ. ბარამიძის ნარკვევში.

ჩვენი სახელმძღვანელო არ იქნებოდა სრული, რომ არ ჩამოგვეგდო სიტყვა ქართული წერის განვითარებაზე და არ დაგვერთო ძველი ქართული წერის ნიმუშები. მათი ახლო განხილვით ყველა დარწმუნდება, თუ რამდენად შეცვლილია საუკუნეთა განმავლობაში ქართული წერა. ამ ნიმუშების დართვა მით უფრო იყო საჭირო, რომ მრავლისაგან მრავალს ჩვენში არავითარი წარმოდგენა არა აქვს ძველი ქართული დაწერილობის შესახებ.

სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული წერის ნიმუშებში ურევია ე. წ. „არაბული“ ციფრებიც იმ სახით, როგორც ისინი ჩვენში უხმარიათ მე-10 და მე-11 საუკუნეში. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოდ ციფრების ისტორიისათვის. ფსალმუნიდან ამოღებულ ნიმუშში (ტაბ. 3, № 5) ციფრები, ნულის გარდა, ყველაა გამოყვანილი, მიყოლებით, მაგრამ მარჯვნიდან მარცხნით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ციფრების წერა ჩვენში მაჰმადიანთაგან უსწავლიათ[1]. ბაგრატის წარწერიდან (ტაბ. 7, № 9). კი ცხადია, რომ ნულის ხმარება ჩვენში უკვე მტკიცედ სცოდნიათ მე-11 საუკუნის დასაწყისში: ერთეულ-ათეულ-ასეულები აქ რიგის შიხედვით არის გამოხატული და ეს კი ნულის გამოყენებას ნათლად და გარკვევით გვიჩვენებს.

ციფრების წერა ჩვენში მაინც შედარებით იშვიათი მოვლენა იყო. რიცხვებს უმეტეს ნაწილად ასოებით აღნიშნავდენ. ამიტომ საჭიროდ ვცანით, ორიოდე სიტყვა ასოების რიცხობრივ მნიშვნელობაზედაც გვეთქვა ამას გარდა, ძველი ტექსტების კითხვის დროს აუცილებელია ქრონიკონების ცოდნა. ამით არის გამოწვეული მცირე შენიშვნა ქართული წელთაღრიცხვის შესახებ.

ჩვენი სახელმძღვანელო შედგენილია საშუალო სკოლის მერვე კლასისათვის, მაგრამ ისეა აგებული, რომ იგი თამამად გამოადგება თვითგანვითარებისათვის ყველას, ვისაც ჰსურს ელემენტარული წარმოდგენა იქონიოს ჩვენს ძველს ენასა და ლიტერატურაზე. პირველ ხანებში შეიძლება წიგნმა უმაღლეს სასწაელებელსაც გაუწიოს ერთგვარი სამსახური.

ძეგლების გამოცემის დროს ვცდილობდით ისეთი ნაწყვეტები მოგვეთავსებინა, რომელთაც ასე თუ ისე მთლიანობისა და დამთავრებულობის ბეჭედი აზის, ან კიდევ გამოტოვებული ადგილების შინაარსი შემოკლებით გადმოგვეცა, რომ ნაწარმოების შესახებ მთლიანი წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა.

რაც შეეხება ორთოგრაფიას, იგი ქრესტომათიის პირველ ნაწილში (68 გვერდამდე) იმგვარად გვაქვს გატარებული, როგორც იმდროინდელ მრგვლოვან-ნუსხური ხელით დაწერილ წიგნებშია წარმოდგენილი საზოგადოდ. შემდეგ კი სულ საერო ლიტერატურა ვიდეს და ორთოგრაფიაც ისეთია, როგორიც მხედრულად წერისას იყო მიღებული მე-11 საუკუნიდან. გამონაკლისს აქ შეადგენს «ვეფხის-ტყაოსნის» ტექსტი, სადაც უმარცვლო

[1] ამ სახის ციფრები, მცირეოდენი ცვლილებით, ახლაც იხმარება აღმოსავლეთში (არაბეთში, სპარსეთში და სხვ.). აწყამად ჩვენში გავრცელებული ციფრები კი ევროპიდან მოდის.

უნების ნაცვლად ყველგან ვინები ჩავსხით, რომ ლექსი ვინმემ შეცდომით არ წაიკითხოს. მე-16 საუკუნიდან იწყება აღრევა ვინისა და უმარცვლო უნისა, ხანისა და ჯარისა და სხ., ამიტომ «როსტომიანიდან» მოკოლებული ორთოგრაფია გამარტივებულია და ისეთი სახე აქვს მიცემული, როგორც დღევანდელ სალიტერატურო ენაშია მიღებული.

წიგნის მოკულობამ ნება არ მოგვცა, შემოგვეტანა შიგ სხვა ნიმუშებიც ძველი ქართული ენისა და მწერლობისა. ის კი არა, იძულებული გავხდით ნაწყვეტების სახით წარმოგვედგინა «ვეფხის-ტყაოსანიც» კი, რომელიც ერთი საუკეთესო თხზულებათაგანია მსოფლიო ლიტერატურაში. ჩვენი აზრით «ვეფხის ტყაოსანი» მთლიანად უნდა ისწავლებოდეს საშუალო სასწავლებელში, მაგრამ რადგანაც მისი გამოცემები შედარებით ადვილი საშოვნელია, ამიტომ აქ ნაწყვეტებითაც შეგვეძლო დავკმაყოფილებულიყავით.

ქრესტომათიაზე გაწეული შრომა ასეა განაწილებული: ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტები და ატენის წარწერა, აგრეთვე ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი ჩემ მიერაა დამუშავებული. დანარჩენი საქრესტომათიო ნაწილის დამუშავება კი ეკუთვნის ილია აბულაძეს და ალ. ბარამიძეს. ძველი წერის ნიმუშები დართულია ჩემ მიერ. საერთო გეგმა წიგნისა და აგრეთვე რედაქცია თანამშრომლების ნამუშევრისა მე მეკუთვნის.

დასასრულ მადლობით უნდა მოვიხსენიო სახელგამის პედ. სექტორის ყოფილი გამგე ამხ. დ. ორაგველიძე, რომლის წინადადებითაც შედგენილ იქნა ეს სახელმძღვანელო, და ამავე სექტორის ახლანდელი გამგე ალ. ჭანკიევი, რომელმაც ყოველმხრივ შეუწყო ხელი წიგნის კარგად გამოცემას.

25. VI 1934. ტფილისს. ა. შანიძე.

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისა

ამ გამოცემაში, პირველთან შედარებით, შემდეგი ცვლილებანია შეტანილი: ჩამატებულია ნაწყვეტი იოანე და ეფთვიმე ათონელთა ცხოვრებიდან, გავრცობილია ვეფხის-ტყაოსანი, სიბრძნე-სიცრუის წიგნი და გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა.“ ხოლო „რუსუდანიანი“ სხვა ხელნაწერის მიხედვით არის გამართული. ამას გარდა გავრცობილია ენის მიმოხილვა და ლექსიკონი, ყველგან აღნიშნულია საგნის ლიტერატურა, თანაც შეცვლილია ერთი კლიშე ძველი ქართული წერის ნიმუშისა. ამოღებულია არაბული ციფრების შემცველი ორი კლიშე და, ლექსიკონის მოხმარების გაადვილების მიზნით, გამოცემაში სტრიქონების სათვალავია გვერდებზე აღნიშნული.

ა. შანიძე

8. II. 1934 წ. ტფილისს.

ძველი ქართული
ენისა და ლიტერატურის
მიმოხილვა

ა. შ ა ნ ი ძ ე

ძველი ქართული ენა

(მოკლე მიმოხილვა)

I. შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. ტერმინისათვის. „ძველი ქართული ენაო“ რომ ამბობენ, ამას ორგვარი მნიშვნელობით ხმარობენ, რომელთაგანაც ერთია ვიწრო და მეორე ფართო.

ა) ვ ი წ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ „ძველი ქართული ენა“ გულისხმობს ენას უძველესი ქართ. წერილობითი ძეგლებისას მე-11 საუკუნემდის (ამიანად). ეს ენა უპირისპირდება საშუალსა და ახალს. „საშუალი ქართული“ გულისხმობს სალიტერატურო ენას მე-11 საუკუნიდან მოყოლებული მე-18 საუკუნემდის, ხოლო „ახალი ქართული“ — ენას მე-19 და მე-20 საუკუნის მწერლობისას. ასეთი გაგებით ამ ქრესტომათიაში მოთავსებული მასალა მხოლოდ ნაწილი იქნება ძველ ქართულ ენაზე, სახელდობრ გვ. 2 — 74, მთელი დანარჩენი კი საშუალ ქართულს განეკუთვნება (გვ. 76 — 249). მაშასადამე, შუშანიკის წამება და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება ძველი ქართულის ძეგლები იქნება, ხოტბები, ვეფხის-ტყაოსანი და როსტომიანი — საშუალი ქართულისა.

ბ) ფ ა რ თ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ „ძველი ქართული“ შეიცავს ყველაფერს, რაც ახალი არ არის, ე. ი. რაც არ განეკუთვნება მე-19 და მე-20 საუკუნეს. ამ გაგებით ყველა ტექსტი, რომელიც ამ ქრესტომათიაშია შემოსული, ძველი ქართულისა იქნება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. როგორი გაგებითაც უნდა ავიღოთ ეს ტერმინი, სულ ერთია, მე-18 საუკუნის ძეგლები გარდამავალი ხაფეხურისა იქნება ახალი ქართულისადმი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. აღნიშნული დ ყოფა, რა თქმა უნდა, მიახლოვებითია. ზედმიწევნილობით საზღვრის დადება ძველსა, საშუალსა და ახალ ქართულს შორის არ შეიძლება. მაგ. «ქილილა და დამანას» ენა რომ შევადაროთ «სიბრძნე-სიცრუისას», ვნახავთ, რომ (ეს აქ დაბეჭდილი ნაწყვეტებიდანაც ჩანს) «ქილილა და დამნა» უფრო ძველს სიტყვებსა და ფორმებს ხმარობს, ვიდრე «სიბრძნე-სიცრუის» წიგნი. ესენი კი ერთისა და იმავე ეპოქის ძეგლებია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ამ მიმოხილვაში გამოსაყელად აღებულია ძველი ქართული მე 6 — მე-11 საუკუნეებისა და ნაჩვენებია შემდეგ-დროინდელი მთავარი ცვლილებანი, ე. ი. მოცემულია ისტორიული გრამატიკის ელემენტები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ნაჩუენებია მეტად მოკლედ და ზოგადად.

ქართული ენის უძველესი ძეგლები. ქართული ენის განვითარებას შეიძლება თვალ-ყური ვადევნოთ უკვე მე-6 საუკუნიდან: უტყუარი წერილობითი ძეგლები მხოლოდ ამ საუკუნიდან მოგვეპოვება. ამაზე ადრინდელი ძეგლები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

შენიშვნა. მართალია, «შუშანიკის წამებაა» მე-5 საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ განეკუთვნება თავისი წარმოშობით. ხელნაწერი კი, რომელსაც ამ წამების უძველესი ტექსტი შემოუნახავს, მე-10 საუკუნისაა და რადგანაც შიგ ბევრი ფორმაა გადაკეთებული მერმინდელი ნორმების მიხედვით (სხვას რომ თავი დავანებოთ, მოღწეულ ტექსტში არც ხანძრტობის ნიშნები ჩანს და არც ჰაემეტობისა), ამიტომ «შუშანიკის წამების» ის ტექსტი, რომელსაც ვიცნობთ, ენის ისტორიის თვალსაზრისით მე-5 საუკუნის ძეგლად ვერ ჩაითვლება.

აი რამოდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი ძველი ქართულისა:

1. ბოლნისის წარწერები, მე-6 ს.ისა.
2. მცხეთის წარწერები, მე-6 და მე-7 საუკუნეების მიჯნისა.
3. ხანმეტი ძეგლები მე-6-7 სს., დაცული პალიმფსესტების სახით საქართველოში (ტფილისში) და ინგლისში (ოქსფორდში, კემბრიჯში).
4. ხანმეტი ლექციონარი, მე-7 ს., რომელიც ერთ დროს სინას მთაზე ინახებოდა და ამჟამად გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული (ავსტრიაში).
5. ჰაემეტი წარწერა 616-619 წლებისა (სამცხიდან, სოფ. წყისედან, ამჟამად საქ. მუზეუმში, ტფ.). (**პირველი თარიღიანი წარწერა**) [1].
6. ჰაემეტი პალიმფსესტი (მე-8 ს.), დაცული საქ. მუზეუმში (ტფ.).
7. ატენის წარწერა 853 წლისა.
8. მრავალთავი, ანუ კრებული 864 წლისა (**პირველი თარიღიანი ხელნაწერი**, დაცული სინას მთაზე).
9. ოთხთავი 897 წლისა (დაწერილია შატბერდში, დაცულია ადიშში, სვანეთში).
10. ოპიზური ოთხთავი 913 წლისა (დაცულია ათონის მთაზე, საბერძნეთში).
11. ოთხთავი 936 წლისა (დაწერილია შატბერდში, დაცული იყო ჯრუჭში, ზემო იმერეთში, ამჟამად ინახება საქ. მუზეუმში, ტფილისში).

[1] ოღონდ ამ წარწერაში დათარიღებისას წელი პირდაპირ არ არის აღნიშნული, დასაბელებულია მხოლოდ თვე და რიცხვი, თანაც ორმაგი სათვალავით, ასარსულითა და რომაულით: „შაჰრამანსა 1“ და „ნოემბერსა 17“. პირველი შაჰრამანი ჩვიდმეტ ნოემბერს ჩვენი გამოთვლებით 616-619 წლებში მოდიოდა.

12. იოანე ოქროპირის ცხოვრება 968 წლისა (ერთ დროს სინას მთაზე, ამჟამად საქ. მუზეუმში, ტფილისში).
13. პარხალის ოთხთავი 973 წლისა, გადაწერილი იოანე-ბერას მიერ შატბერდში და შეწირული პარხალისათვის (ამჟამად დაცულია საქ. მუზეუმში).
14. შატბერდის კრებული, გადაწერილი იმავე იოანე-ბერას მიერ იმავე ხანებში, რაც პარხალის ოთხთავი (დაცულია საქ. მუზეუმში).
15. სამოციქულო 974 წლისა (დაცულია სინას მთაზე).
16. ბიბლია 978 წლისა (დაცულია ათონის მთაზე).
17. ოთხთავი 978 წლისა გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ (დაცულია სინას მთაზე).
18. იაკობის ჯამის წირვა, გადაწერილი იმავე იოანე-ზოსიმეს მიერ სინას მთაზე 985 წელს (ამჟამად გრაცშია დაცული).
19. ტბეთის ოთხთავი 995 წლისა (ამჟამად ლენინგრადშია დაცული).

ამათ გარდა მოგვეპოვება სხვა უთარიღო ხელნაწერები და წარწერები უეჭველად მე-9 და მე-10 საუკუნეებისა და თარიღიანები მე-10-ისა. მე-11 საუკუნიდან მოყოლებული ხომ ძალიან ბევრია როგორც თარიღიანი, ისე უთარიღო ძეგლები (წარწერები, სიგელ-გუჯრები, ხელნაწერები).

საქართველოს გარდა, სადაც ხელნაწერები უმთავრესად ტფილისისა და ქუთაისის მუზეუმებშია თავ-მოყრილი, ქართ. ენისა და ლიტერატურის ძეგლები ბლომადაა დაცული სინას მთაზე, ათონის მთაზე, იერუსალემში, ლენინგრადში და რამდენადმე ევროპის სხვადასხვა ქალაქში (პარიზში, ლონდონში და სხვაგან).

II. დაწერილობა

3. სამი საფეხური განვითარებისა. ქართულმა დაწერილობამ თავის განვითარების პერიოდში სამი საფეხური გაიარა: ძველი, საშუალი და ახალი, რომელთაც თავ-თავისი სახელი ჰქვია: ძველს მრგლოვანი, საშუალს ნუსხური, ახალს კი მხედრული.

4. მრგლოვანი. უძველესი ქართ. ძეგლები (წარწერები, ხელნაწერები) დაწერილია ისეთი ასოებით, რომელთაც საერთოდ მრგვალი მოყვანილობა აქვთ და ამიტომ ძველად მრგლოვანის (მრგვლოვანის) სახელწოდებით იყო ცნობილი. დღეს სალაპარაკო ენაში ამ სახის ასოებს ჩვეულებრივ მთავრულს ეძახიან:

5. ნუსხური. საშუალი ქართულის დაწერილობა, ჩვეულებრივ ნუსხურად წოდებული, მრგლოვანისაგან განვითარდა. მისი ასოების საერთო მოყვანილობა კუთხოვანია. იგი უკვე მეცხრე საუკუნეში გვხვდება და ბატონობს მე-10 და მე-11 საუკუნეში. შემდეგ იგი თითქმის მხოლოდ საეკლესიო მიზნებს ემსახურება, სხვა შემთხვევებისათვის კი გზას უთმობს მხედრულს [1].

6. მხედრული. მეთერთმეტე საუკუნეში ჩაისახა ახალი დაწერილობა, რომელიც ნუსხურისაგან გადმოკეთდა: კუთხოვანი ასოები ისევ დამრგვალდა და თანდათანობით ისეთი სახე მიიღო, რომელიც მას დღეს აქვს.

7. პარალელური განვითარება ქართული შრიფტებისა. ძველი წერა, მრგლოვანი, არ მომკვდარა მე-9 საუკუნეში, როდესაც წარმოიშვა საშუალი (ნუსხური) და არც ეს უკანასკნელი გადაევარდნილა მე-11 საუკუნეში, როცა მისგან განვითარდა ახალი (მხედრული). ეს შრიფტები იხმას რებოდენ პარალელურად მე-18 საუკუნემდის, მაგრამ ისე, რომ მრგლოვანი გამოყენებული იყო წარწერებისათვის (ქვებზე) და სათაურებისათვის წიგნებში, ან როგორც მთავრული ასოები ნუსხურად დაწერილ წიგნებში (ზოგჯერ მხედრულად დაწერილებშიც კი), ნუსხური კი იხმარებოდა მომეტებულ ნაწილად საეკლესიო წიგნებისათვის. როდესაც მე-11 საუკუნეში წარმოშობილ ახალ წერაზე (მხედრულზე) გადავიდა თითქმის ყოველგვარი ქართ. მწერლობა, გარდა საეკლესიოსი (ეკლესიამ, თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, ბოლომდის შეირჩინა ძველი და საშუალი სახის ქართ. ასოები), გაჩნდა ტერმინები ხუცური და მხედრული: ხუცური გულისხმობდა საეკლესიო პრაქტიკაში ხმარებულ მრგლოვანსა და ნუსხურს, მხედრული კი — სამოქალაქო საჭიროებისათვის ხმარებულ ახალ ასოებს.

შენიშვნა 1. როგორც ვხედავთ, პერიოდები ქართ. დაწერილობის განვითარებისა არ ეთანხმება ქართ. ენის განვითარების პერიოდებს.

შენიშვნა 2. ზოგ-ზოგნი შეცთომით ხუცურის საპირისპიროდ ქართულს ამბობენ: „ის ხუცურია, ეს კი ქართულიო. არა! „ხუცურიც“ ქართულია. და „მხედრულიც“, იმიტომ რომ მეთერთმეტე საუკუნემდის თუ კი ვინმემ წერა იცოდა ჩვენში, წერდა მხოლოდ ისეთი ასოებით, რომლებიც ახლა საყოველთაოდ ხუცურის სახელწოდებით არის ცნობილი. სხვანაირი წერა მაშინ ჩვენში არ არსებობდა.

8. ურთიერთი შეფარდება ქართული ასოებისა განვითარების სხვადასხვა პერიოდში. მრგლოვანში ასოები ერთი სიმაღლისა იყო, რამდენიმეს გარდა, რომელთაც ბოლოები ძირს ჩამოუდიოდა. ესენია: Ⴟ, Ⴔ, ⴀ, Ⴕ, Ⴖ, Ⴡ (ე, ფ, ჭ, ყ, წ, ჯ). ნუსხურში უკვე ჩამოყალიბებულია ოთხი ჯგუფი ასოებისა: შუანი, ზემონი, ქვემონი, ზემოქვემონი.

[1] კუთხოვანი მოყვანილობის გამო ნუსხურად დაწერილი ქართ. წიგნი ხოგს შეიძლება სომხური ეგონოს. ერთმა ფრიად განათლებულმა კაცმა ერთხელ დაინახა, რომ ნუსხურად დაწერილ წიგნს ეკითხულობდი და მკითხა: „როგორ, სომხური იციო?“—„დიაღ, ვიცი-მეთქი“, ვუპასუხე ღიმილით. ახლო გაშინჯეისას და შედარებისას ჩვენი ნუსხური და სომხური, რა თქმა უნდა, სულ სხვადასხვა დაწერილობაა.

a) შუანი: ⴑ, ⴓ, ⴉ, ⴛ, ⴍ, ⴄ, ⴕ, ⴜ (ა, თ, ი, ლ, ჲ, ო, პ, ჰ, რიცხვით 8).

b) ზემონი: ⴖ, ⴅ, ⴁ, ⴗ, ⴌ, ⴇ, ⴚ, ⴘ (დ, ზ, მ, ნ, რ, ს, ძ, ჭ, რიცხვით 8).

c) ქვემონი: ⴣ, ⴵ, ⴳ, ⴺ, ⴹ, ⴱ, ⴴ, ⴶ, ⴼ, ⴻ, ⴽ, ⴾ, ⵀ, ⵅ (ბ, გ, ე, ვ, ქ, ტ, ფ, ყ, შ, ც, წ, ჯ, ხ, კ, ჳ, რიცხვით 15).

d) ზემოქვემონი: ⵉ, ⵃ, ⵄ, ⵂ, ⵏ (ი, კ, ჳ, ქ, ჩ, რიცხვით 5).

არსებითად იგივე მდგომარეობაა ახალ ქართულშიც, მხედრულში, სადაც ოთხ ჯგუფად დაყოფა ისევ დარჩა, როგორც საშუალში (ნუსხურში) იყო, ოღონდ ზოგმა ასომ საუკუნეთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა:

a) შუა იყო და მაღლა აიმართა (ⴛ | ⴍ, ⴄ | ⴀ),

b) ზემოთ იწერებოდა და ქვემოთ ჩამოვიდა (ⴖ | ⴃ),

c) ქვემოთ ჩამოღიოდა და ზევით ავიდა (ⴣ | ⴁ, ⴵ | ⴔ),

d) მთელი სიმაღლე ეჭირა, დადაბლდა და ძირს ჩამოვიდა (ⴡ | ⴊ),

e) ქვემოთ იწერებოდა, დაგრძელდა და მთელი სიმაღლე დაიჭირა ⴝ | ⴕ, ⴣ | ⴍ).

არავინ იფიქროს, თითქო ასეთი ცვლილებანი ერთბაშად მომხდარიყოს. არა, ასოები იცვლებოდა ნელ-ნელა საუკუნეთა მანძილზე და, თუ იგი თითქმის ყოველთვის შეუმჩნეველი იყო ხოლმე ერთი თაობისათვის, შესამჩნევი ხდება სხვადასხვა დროის ნაწერთა შედარების დროს. შეიძლება მეტიც ითქვას: გარეშე კაცმა რომ შეადაროს დღევანდელი ჩვენი წერა მეცხრე საუკუნის ქართულს, იფიქრებს, რომ ამათ არაფერი აქვთ საერთოო, ესენი უთუოდ სხვადასხვა ერის დაწერილობა არისო.

ძალიან საინტერესოა თვითეული ასოს ცვალება საუკუნეთა განმავლობაში. მაგ. ⴁ ასოს რომ პატარა ხაზი აუდის ირიბად მარჯვნივ, ეს ხაზი არის ნაშთი ამ ასოს მეორე (მარჯვენა) ელემენტისა. მოუმრგვალეთ ქვეშ ძველ სახეს ფეხი, აიტანეთ იგი წელამდის და მიიღებთ დღევანდელი ⴁ ანის ზოგად მოყვანილობას (ⴂ, ⴒ, ⴁ).

9. **უ ბგერის გადმოცემა.** ქართული დაწერილობა იმ თავითვე კარგი შემუშავდა; თვითეულ ბგერას თავისი საკუთარი ნიშანი ჰქონდა და თვითეულ ნიშანს კიდევ თავისი ბგერა შეეფერებოდა. გამონაკლისს ამ მშვენიერი წესიდან შეადგენდა მარტო უ, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ნიშანი. ბერძნულის გაელენით ქართულში (ისე, როგორც სომხურში) უ ბგერის გამოსახატავად თავდაპირველად ორ ნიშანს ხმარობდენ, რომელთაგანაც თვითეულს თავ-თავისი მნიშვნელობა ჰქონდა, შეერთებულად კი უ'ს აღნიშნავდენ: ⵓⵄ. მაგრამ ეს ნაკლი გამოსწორდა: ჯერ კიდევ საშუალმა ქართულმა წერამ (ნუსხურმა) მოახერხა მათი იმგვარად გადაბმა და შეერთება, რომ ერთი, სრულიად განსხვაებული ასო ჩამოყალიბდა ⵓⵄ, ⴓⴒ, ⴓⴁ)

ასე რომ, როცა ნუსხური მხედრულად გადაკეთდა, უკვე წაშლილი იყო იმისი ნიშან-კვალი, რომ ასო უ ორი ასოს შეერთებისაგან იყო წარმოშობილი.

შენიშვნა. მე-12 საუკუნიდან მრგლოვან წერაში უნის გამოსახატავად ერთი ნიშანი შემოდის ორის ნაცვლად. ამისათვის გამოყენებულია ონის ნიშანი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კუდი ზემოთ კი არ აქვს აბრუნებული, არამედ ქვემოთ ჩამობრუნებული.

10. შესადარებელი ცხრილი ქართული ასოებისა. ზემორე ნათქვამი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოვიყვანოთ პირისპირ ძველი, საშუალი და ახალი ქართული ასოები იმ რიგით, როგორც ეს ადრევე შემოშავდა:

| | | |

11. ქარაგმები. საწერ მასალად ჩვენში ძველად უმთავრესად საგანგებოდ დამზადებული ტყავი იყო (ხბოსი, ცხვრისა და სხვ.), რომელსაც ეტრატი ერქვა. ქაღალდი ჩვენში პირველად მეთერთმეტე საუკუნეში გვხვდება და შემდეგ თანდათან იჭერს ეტრატის ადგილს, თუმცა კი ეტრატზე ნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები მე-18 საუკუნემდისაც გვხვდება. საწერი მასალის სიძვირის გამო (ერთი წიგნისათვის ზოგჯერ 100-ზე მეტი ცხვრის ტყავი იყო საჭირო!) ადრევე შემუშავდა სიტყვების შემოკლებით წერა: გამოტოვებდენ ხოლმე ცალკეულ ასოებს და მთელ მარცვლებს; ზოგჯერ მხოლოდ სიტყვის დასაწყისი ასო იწერებოდა, ან პირველი და უკანასკნელი. შემოკლებულ სიტყვას თავზე შემოკლების ნიშანს უკეთებდენ, ე. ი. ქარაგმას: მაგ. ⷘ (ხ̆=ხოლო), ⷙ (რ̆ = რამეთუ), ⷚ (ყ̆ი=ყოველი), ⷙ (რ̆ი=რომელი), ⷜ (ზ̆ა=ზედა), ⷝ (თქ̆ნ=თქუენ) და მისთანანი. ქარაგმები ამ ქრესტომათიაში ყველგან გახსნილია. რამოდენიმე ნიმუშს სიტყვების შემოკლებისას მკითხველი ბოლოს დართულ სურათებზე იპოვის.

III. ბგერითი შედგენილობა

12. მსგავსება და განსხვავება ძველ ქართულ ენასა და ახალს შორის ბგერათა მიხედვით. ბგერითი შედგენილობა ძველი ქართულისა დიდად არ განსხვავდებოდა იმ შედგენილობისაგან, რომელიც დღეს მოგვეპოვება. დღევანდელ სალიტერატურო ენაში რომ 33 ასო გვხვდება, ესენი ყველა იხმარებოდა უწინ (ოღონდ მათ მაშინ სულ სხვა მოყვანილობა ჰქონდათ) და გამოთქმაც ისეთივე უნდა ჰქონოდათ, როგორც დღეს. აიღოთ, მაგალითად, ჰაემეტი ტექსტის პატარა ნაწყვეტი, რომელიც ამ წიგნის საქრესტომათიო ნაწილის მე-7 გვერდზეა მოთავსებული (სტრიქ. 21-26):

„და ჰიყო, ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა, და იხილნა ორნი ნავნი მდგომარენი კიდესა მის ტბისასა. ხოლო მესათხეველენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განრცხიდეს ბადეთა. და შეუიდა ერთსა მას ნავსას რომელი ჰიყო სიმონისი, და ჰუბრძანა მათ შე-რე-დგინებად მცირედ. და დაჯდა და ასწაებდა ერსა მას ნაეით გამო“.

ეს ნაწყვეტი შეიცავს სულ 26 ასოს (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ო, რ, ს, ტ, უ, ღ, ყ, შ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ) და ალბათ ყველა ისე გამოითქმოდა, დაახლოვებით, როგორც დღეს. ეგეც ითქმის იმ ასოები. შესახებაც, რომლებიც ამ ნაწყვეტში არ გვხვდება (ზ, პ, ჟ, ფ, ქ, ჩ, ჭ), მაგრამ ჩამოწერილ ასოებს გარდა ძველად იხმარებოდა კიდევ რამდენიმე ნიშანი, რომლებიც ამჟამად ჩვეულებრივ აღარ იხმარება.

VI—XI ს.ს.ის ძეგლებში გვხვდება ხუთი ნიშანი, რომლებიც მხედრულ-ასოებითაც შეიძლება გადმოცემულ იქნეს; ესენია:

მრგლ.	ⴑ	ⴒ	ⴓ	ⴕ	ⴛ
ნუსხ.	ⴑ		ⴓ	ⴕ	ⴛ
მხედრ.	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	Ⴜ

ამათგან თავიდანვე მხედრულს მარტო ჰ დაჰყვა: მე-11 საუკუნეში, როდესაც პირველად ჩაისახა მხედრული ასოები, ანბანიდან ავტომატურად გამოვარდა ოთხი დანარჩენი (რადგანაც ენას აღარ გააჩნდა სათანადო ბგერები) და მხოლოდ შემდეგ, მე-17 ს-ში. — ერთი მხრივ ასოთა რიცხობრივი მნიშვნელობის დასაცავად (ნ. I დამატება ამ მიმოხილვის ბოლოს) და მეორე მხრივ ძველი წიგნების სისწორით გადმოწერის მიზნით, — მხედრულშიც შეიქმნა სათანადო ნიშნები: Ⴖ, Ⴗ, Ⴘ, Ⴜ.

მე-18 საუკუნეში ამათ კიდევ მიემატა ორი ნიშანი: Ⴙ და Ⴜ.

13. ჰ ასოს გამოთქმა. ეს ასო (Ⴕ, ⴕ, ჰ) იყო ხორხის მიერი ბგერის ნიშანი და გარკვეულ ძირებში იხმარებოდა. სათანადო ბგერა დღესაც შენახულია მთაში (ხევ-მთიულეთში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში), ქიზიყში, საინგილოში და რამოდენადმე სხვაგანაც. თუ ჰ გვხვდება ერთ რომელსამე სიტყვაში, იგი აუცილებლად იქნება ყველა სხვა სიტყვაში, რომლებიც იმავე ძირისაა, მაგ. კელი, კელმწიფე, საკელმწიფო, მოკელე, საკელო, კელიანი, უკელო, კელოსანი, საკელოსნო, კელოვანი, კელოვნება, კელ-და-კელ, საკელდაკელო, კელად და სხვ.; ჰარ ძირისაგან გვაქვს: კარი, მეკრე, საკრე; ჰმ ძირისაგან: კმელი, ვაკმობ, გამკმარი; მჰარ ძირისაგან: მკარი, სამკრე, ვემკრობი და მისთ.

ეს ჰ ახალ სალიტერატურო ენაში გადავარდა და მისი ადგილი ყველგან ხ ნიშნის ბგერამ დაიჭირა. ასე რომ გაფართოვდა იმ ბგერის ხმარება, რომელიც ხ ნიშნით გადმოიცემა; იგი ყველგან დარჩა, სადაც წინათ იყო (მაგ. ხუთი, ნახვა, ხატი, ხე, ეერცხლი, ცეცხლი, ზაფხული, ფხა და მისთ.), მაგრამ ამასთანავე ერთად იმ სიტყვებშიც გადავიდა, სადაც წინათ ჰ მოდიოდა; მაგ. გვქონდა: კელი, ფერკი, მკარი, მუკლი, კარი, მკეცი, ვენაკი, კეობა, და მისთ., ახლა კი გვაქვს: ხელი, ფეხი, მხარი, მუხლი, ხარი მხეცი, ვენახი, ხეობა და სხვ.

შენიშვნა. ამ ბგერის გამოთქმის შესათვისებლად ასე უნდა მოიქცენ: მიმართონ ისეთ პირს, ვისაც ჰ ბგერის გამოთქმა ბავშვობიდანვე აქვს შეთვისებული თავის სოფელში (ფშაველს, ხევსურს, მოხევეს, მთიულ-გუდამაყრელს, ერწო-თიანელს, თუშს, ქიზიყელს) და რამოდენიმეჯერ ათქმევინონ ხემორე ჩამოთვლილი კარიანი სიტყვები, კარგად დაუგდონ ყური და ეცადონ ჯერ მის გამორჩევას ხ ბგერისაგან ყურით და შემდეგ გამოთქმის გამეორებასაც. განსხვავების დასადგენად ეს სიტყვები იქნება კარგი, კერკი და ხერხი. „კ ე რ კ ი ა“ მოხერხებულობა, ცოდნა, („კერკი სჯობია ღონესა“); ხ ე რ ხ ი კი იარაღს ჰქვიან, რომლითაც ხერხავენ.

14. ⴀ ასოს გამოთქმა. ეს ასო (Ⴃ, ⴃ, ⴀ) იყო უმარცვლო ი, რომელიც გამოითქმოდა ენის შუა წელის მაგარ სასასთან მიახლოებით. იგი ძველ ტექსტებში ჩვეულებრივ ხმოვნის შემდეგ გვხვდება და მასთან ერთად ერთ მარცვალს შეადგენს. ოღონდ იგი გვხვდება მარტო ოთხი ხმოვნის შემდეგ: აⴀ, ეⴀ, ოⴀ, უⴀ (იⴀ ჯგუფი არ მოიპოვება). ამას უნდა დავსძინოთ, რომ ჩვეულებრივ იშვიათია ეⴀ ჯგუფიც, რადგანაც მის ნაცვლად საზოგადოდ Ⴙ არის ხოლმე (ნ. § 15). ხშირია ⴀ ნიშნის ხმარება სახელობითში, სადაც ბრუნვის ნიშანი ი დასუსტებულია და ⴀ'ედ არის ქცეული, მაგ. მამაⴀ, დედაⴀ, ძმაⴀ, ქუეყანაⴀ, გზაⴀ, კეთებაⴀ, სახეⴀ (სახⴆ), ძეⴀ (ძⴆ), შემწეⴀ (შემწⴆ), წყაროⴀ, კალოⴀ, ღუნოⴀ და მისთ.

შენიშვნა. გამოთქმის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ⴀ უმარცვლო ი არის, ამიტომ მაგ. ძე. ქარ·. „მამაⴀ“ ისე კი არ უნდა გამოითქვას, როგორც ამ სიტყვას ზოგიერთ კუთხეში ამბობენ (მაგ. ქართლში, გურიაში), სახელდობრ არა სამ მარცვლად: მა-მა-ი, არამედ ორად, ასე: მამაⴀ (რუს. ма-маіі). ამის ნაცვლად „დაⴀ“ იქნება არა და-ი, არამედ დაახლოებით ისე, როგორც რუს. даіі და მისთ.

15. Ⴙ ასოს გამოთქმა. როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი (§ 14), Ⴙ ასო (Ⴅ, ⴅ) არის ხმოვანი, რომელიც ⴗიმ შემთხვევაში გვხვდება, როცა მოსალოდნელია ეⴀ ჯგუფი (ⴔⴃ, ⴔⴃ). მაშასადამე, იგი ჩვეულებრივ უნდა იხმარებოდეს (და იხმარება კიდეც) ენზე გათავებული ფუძეების სახელობითში: დღⴆ, ღამⴆ, მცირⴆ, მეორⴆ და მისთ. (ნაცვლად ასეთი ფორმებისა: დღეⴀ, ღამეⴀ, მცირეⴀ, მეორეⴀ, რომლებიც გვხვდება აგრეთვე, მაგრამ იშვიათად). Ⴙ გვხვდება აგრეთვე ენზე გათავებულ საკუთარ სახელთა ნათესაობით ბრუნვაში, მაგ. ელენჱსთჳს, პეტრჱს მიერ (ნაცვლად ასეთებისა: ელენეⴀსთჳს, პეტრეⴀს მიერ) და მისთ. ამ ქრისტომათიაში რომ „ფილიპეⴀს“ გვხვდება (6$_{26}$), შეიძლებოდა ასეც დაეწერათ: „ფილიპჱს“.

როგორც ფუძის ნაწილი, Ⴙ გვხვდება მხოლოდ „შⴆნება“ ზმნაში.

შენიშვნა 1. საშუალ ქართულში (მე-12 საუკუნიდან) ნუსხურად ნაწერ წიგნებში Ⴙ ხშირად ე ნიშნის ადგილას არის ხოლმე ნახმარი, განსაკუთრებით უნის შემდეგ, მაგ. ხⴙრ — ჩუნ (ჩვენ).

შენიშვნა 2. Ⴙ ასოს მოხაზულობა ჰ ასოსაგან არის განვითარებული. ამიტომ არის, რომ მას ჩვეულებრივ „ჰე“-ს უწოდებდენ.

16. ჳ ასოს გამოთქმა. მრგლოვნითა და ნუსხური ხელით ნაწერი ძველი ტექსტების მხედრულად გადაწერის ან დაბეჭდვის შემთხვევაში ჳ ასოს ხმარობენ ხოლმე ⴡ ანუ ⴡ ნიშნის გადმოსაცემად. მაგრამ ჳ არ არის გაგრძელება ⴡ ნიშნისა, იგი არ წარმოადგენს ამის გადაკეთებულ სახეს: ჳ წარმოშობილია მხედრულის ნიადაგზე ორი ასოს გადაბმის გამო. ეს ორი ასოა უ და ი, ე. ი. ეი, რომლებიც გადაბმულად წერის პროცესში თანდათანობით შეერთდენ და მოგვცეს ჳ, რომლის თავი (ⴢ) უ არის, დაპატარავებული, ბოლო კი (ⴰ) უნის ქვეშ მოწერილი ი. ასე რომ ჳ წარმოშობით არის უი, მაგალითად, მიკეირს=მიკჳრს, მოგუიყვანა=მოგჳყვანა, ჩემთუის=ჩემთჳს, თაგუი=თაგჳ და მისთ.

შენიშვნა. უი ჯგუფის გადაბმის ნიმუშები ნ. ბოლოს დართულს ხელნაწერი «ქეთხის ტყაოსნის» ნაწყვეტში: მისთუის (სტრ. 7, 10), იტყუის (სტრ. 10), დავსუი (სტრ. 12).

მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ (§ 9), თვითონ უ ორი ასოს შეერთებისაგან არის წარმომდგარი, ასე რომ ჳ თავისი წარმოშობის მიხედვით შემცველია სამი ასოსი: (ოყ, ოყი), და არა ერთისა. მაგრამ თუ საბოლოოდ ჳ'ს ხმარება განმტკიცდა ყ ნიშნის ბადლად, ეს იმის წყალობით, რომ თვითონ ყ (Ꙗ) ძველს ქართულში (6-10 საუკუნეებში), აუცილებლად ჩნდებოდა იქ, სადაც მოსალოდნელი იყო უი ჯგუფი, თანაც ისეთი უი, სადაც უ უმარცვლო იყო და ი მარცვლიანი, მაგ. ამაში: თაგუ-ი, რომელიც ასე იწერებოდა: ⷒ⷗ⷤⷦ, თჷგყ. ის ასო კი, რომელსაც ჳ'ს ბადლად გულისხმობენ, ე. -ი. მრგლოვანი ყ, ნუსხური ყ, ორი მნიშვნელობის მქონე იყო:

ა) როგორც დამოუკიდებელი ნიშანი იგი აღნიშნავდა ხმოვანს, რომელსაც საშუალი ადგილი ეჭირა უნსა და ინს შორის, ე. ი. დაახლოვებით ისე გამოითქმოდა, როგორც გერმ. ü, ან ფრანგ. u; მაშასადამე, ეს უნდა ყოფილიყო ერთი ხმოვანი, მონოფთონგი, და არა ორ-ხმოვანა, დიფთონგი, როგორც შეიძლებოდა კაცს ეფიქრა იმ შემთხვევების მიმოხილვიდან, სადაც მას მოსალოდნელი ში ჯგუფის ადგილი უჭირავს. ამის მიხედვით, მაგ. ძვ. ქართ. „თაგჳ" (თჷგყ) და „მისთჳს" (მᲐსთყს) დაახლოვებით ისე უნდა გამოვთქვათ, როგორც გერმანელი გამოთქვამს ამ კომპლექსებს: tagü, mistüs.

ბ) ონთან შეერთებისას იგი უნს აღნიშნავდა (§ 9).

შენიშვნა 1. იშვიათად ყ (ꙗ) ნიშანს უმარცვლო უნის გადმოსაცემადაც ხმარობდენ.

შენიშვნა 2. ძველი ტექსტების დღეან დელი ასოებით გადმოწერისა ან დაბეჭდვის დროს ერთი უ ნიშნის ნაცვლად ზოგჯერ ორ ასოს ხმარობენ: ⷓⷭⷤⷦⷓⷮⷭ = ყაყჩყლი. = ბოკნებაჲ.

17. ჶ ასოს გამოთქმა. ჶ (Ძ, ძ) იყო ო, მაგრამ უნისაკენ გადახრილი, თითქმის ისე გამოითქმოდა, როგორც ოუ, ოვ. იგი გვხვდებოდა ბერძნული წარმოშობის სიტყვებში ეგრეთ-წოდებული ომეგის გადმოსაცემად, მაგ. კლეჶპა (5ე) თითქმის ასე გამოითქმის: კლეოვპა. ქართულ სიტყვებში იგი არ გვხვდება, ოღონდ შეიძლება წოდებითში დასმულ სიტყვას მიუძღოდეს, მაგ. ჶ ბეთლემო 65_{14}; ჶ უხრწნელო 65_{16}. ბოლო ხანებში (მაგ. მე-18 და მე-19 ს-ში) ცალკე დასმულ ჶ ნიშანს ასე გამოთქვამდენ: ჰოი. ძველი ტექსტების კითხვის დროს სიმარტივისათვის იგი შეიძლება უბრალოდ ისე წავიკითხოთ, როგორც ო, მაშასადამე, კლეჶპა=კლეოპა (სახელია), ჶსე= ოსე (სახელია), ჶ უხრწნელო = ო უხრწნელო და მისთ.

18. მარცვლიანი და უმარცვლო უ. ძველ ქართულში, საუბრის დროს, გარჩეული უნდა ყოფილიყო ორგვარი უ: მარცვლიანი და უმარცვლო, ოღონდ ეს გარჩევა წერის დროს არ იჩენდა თავს, მაგ. „კუდ"ში უ მარცვლიანი იყო, „ციკუდილ"ში კი უმარცვლო, მაგრამ იქაც და აქაც ჩვეულებრივ უ ერთნაირად იყო ხოლმე გამოხატული (Ⴓყ, ოყ ან ყ): ⴓⴓⴜⴛ,

სუQაშუს, (ყაშა, ყაშაობა). დამარცვლის დროს იმისი უ მნიშვნელოვანი იყო, ამისი კი არა: „კუ-დი“, მაგრამ „სი-კუდი-ლი“ (=სი-კუდი-ლი). ეფხის-ტყაოსნის ამ ნაწყვეტში:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების

სამი ვინია დაბეჭდილი, მაგრამ თავის დროზე „ნეხვთა“ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო „ნეხეთა“, სადაც მარცვლებს ე და ა ქმნიდენ, უ კი უმარცვლო იყო.

საშუალ ქართულში დაიწყო უმარცვლო უნის აღრევა ვინთან. ამიტომ მერმინდელ ძეგლებში შეიძლება ვინს წავაწყდეთ იქ, სადაც ძველად უმარცვლო უ იჯდა, მაგ. „სიტყვა“ (ძველად „სიტყუა“), ან კიდევ პირუკუ: იქ ვნახოთ უ, სადაც ძველად ვ იყო, მაგ. „ნახუა“, „იყუნეს“ (ძველად „ნახვა“, „იყვნეს“) და მისთ.

ძველი ტექსტების გადმოწერის დროს რომ სისწორით გადმოეცათ ძველი ორთოგრაფია, უმარცვლო უნი უნადვე გამოჰყავდათ ხოლმე, მაგრამ, რადგანაც ამას ერთგვარი უხერხულობა ახლდა, განსაკუთრებით ლექსებში, ამიტომ საჭირო გახდა დიაკრიტიკული ნიშნის, ანუ განმასხვავებელი ნიშნის შემოღება: უმარცვლო უნს თავზე დაუსვეს ნიშანი და მიეიღეთ ჳ, რომელსაც უ ბრჳგუს (შეერთებით: უბრჳგუ'ს) ეძახიან. ეს ნიშანი მე-18 საუკუნეში შემოდის. ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს მიერ 1712 წელს გამოცემულმა ვეფხის-ტყაოსანმა ჯერ კიდევ არ იცის იგი: აქ უმარცვლო უნები უმეტესად ვინებად არის გადაკეთებული (თუმცა აქა-იქ უნებიც არის დარჩენილი), მაგრამ ა ნ ტ ო ნ ი ს გრამატიკა, 1767 წელს შედგენილი, ასე იწყება: „რიცხუსა შინა ჩუენ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა მარტივისა და ჰრთულისანი“. ამ ნაწყვეტში პირველი ორი სიტყვის უ მართლაც უმარცვლოა წარმოშობით (ძველი ორთოგრაფიით იქნებოდა: „რიცხუსა“, „ჩუენ მიერ“), დანარჩენებში კი ვ იყო ძველად („შემოყუანილნი“, „ბრუნუანი“, „რუა“). ნ. ბარათაშვილიც კი წერს თავის «მერანში»:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაიელის ეს განწირულის სულის კუეთება.

შენიშვნა 1. ლექსის უხეიროდ წაკითხვის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად ამ კრესტომათიაში მოთავსებულ საერო პოეზიაში უმარცვლო უ ყველგან ვინად არის გადაკეთებული, (ეფხის-ტყაოსანშიც კი), მაგრამ იგი ხელუხლებლად არის დატოვებული სასულიერო პოეზიაში; მაგ. ბეთლემის საჯალობელში (გე. 65) მოიპოვება: ფესუთა (8), გაქუს (9), ჩუენთჳს (11), თაყუანის ეცემთ ქუაბსა (16).

შენიშვნა 2. კაცმა რომ თქვას, უმარცვლო უ დღესაც გვაქვს ქართულში, მაგრამ იგი არ აღინიშნება წერაში: მის ადგილას ვ იწერება; ასე რომ ამ ნიშნით თანხმოვანიც არის გადმოცემული (მაგ. „ვარ“, „ვერცხლი“, „ვნახავ“ და მისთ.) და ხმოვანიც, თუმცა უმარცვლო: „მკვდარი“ „თვალი“, „გველი“ და მისთ. (ძველად: „მკუდარი“, „თუალი“, „გუელი“). ეს კია ოღონდ, რომ ამ სიტყვებს ყველანი თანაბრად არ გამოთქვამენ: ზოგისთვის თუ „თვალი“ საუბარში „თუალი“ არის, ზოგმა შეიძლება ისე გამოთქვას, როგორც იწერება: „თვალი“ (და არა „თუალი“).

19. **ჶ ახო.** ქართულში არ გაგვაჩნია ბგერა, რომელიც რუსულად ф ნიშნით, ევროპის ენებზე კი f ნიშნით არის გადმოცემული. ამიტომ, თუ ქართულში გადმოდის რომელიმე ენიდან ისეთი სიტყვა, რომელიც სათანადო ბგერას შეიცავს, ჩვენ უახლოესი ბგერით გადმოგვაქვს ხოლმე. ეს ის ბგერაა, რომელიც ქართულში **ფ** ნიშნით გამოიხატება. ჩვენ ვამბობთ: „ფაბრიკა, ფაქტი, ფედერაცია, ფილტრი, ფლოტი, ფორმა, ფრაქცია, ფრონტი“ და სხვ., მაშინ როდესაც რუსულსა და სხვა ევრ. ენაში აქ **ф** კი არა, არამედ სულ სხვა ბგერა არის. ჩვენ ვამბობთ: „ფანჯარა“, „ფიქრი“, მაშინ როდესაც სპარსელი არჩევს: „ფანჯარა“ში ფ'ს ამბობს, „ფიქრ“ში კი ისეთ ბგერას, რომელიც შეგვიძლია ჶ ნიშნით გამოვხატოთ. ეს ბგერა ქართულის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ ზოგიერთები ცდილან მის შემოტანას ქართულში სხვა ენების გავლენით (საშუალი ბერძნულისა, არაბულ-სპარსულისა, რუსულისა). საამისოდ ჯერ ბერძნული ნიშანი შემოუღიათ: **ჶ**; მაგალითად, სულხან ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება როგორც **ფილასოჶოსი**, ისე **ჶილასოჶოსი**. მაგრამ **ჶ** ნიშნის ნაცვლად მეთვრამეტე საუკუნეში (ალბათ რუსულის გავლენით) ფეხს იკიდებს სხვა მოყვანილობის ასო, ჶ: **ჶილასოჶოსი**“.

შენიშვნა 1. „ფილოსოფოსი“ ბერძნული სიტყვაა. ძველის ძველად ბერძნებს ф ჰქონდათ, მაგრამ შემდეგში მათ იგი გამოთქმაში f' დ (ე ი. ჶ'დ) გადაექცათ, თუმცაღა ასოს წერა არ შეუცვლიათ. ოღონდ ქართულში ბერძნული ასო იმ სახით გადმოვიდა, როგორც იგი გამოჰყავდათ გვიანი ხანის ხელნაწერებში (მე-13-14 სს.). ეგეთი ნიშანი ბერძნულიდან სომხურშიაც გადავიდა და იქ დღეჟანდლამდე დარჩა.

შენიშვნა 2. აღნიშნული ბგერის გადმოსაცემად მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერებსა და ნაბეჭდ წიგნებში იშვიათად სხვა ნიშნებიც უხმარიათ: ჲ, ჯ. ეახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან ერთ ნათარგმნ წიგნში-„ჲიკრი“ „ჶიკრად“ უნდა წაიკითხოთ ბოლო იტალიურიდან ნათარგმნ „საქრისტიანო მოძღვრებაში“ (მეორე გამოცემა, რომს 1797) თავ-ფურცელზე იკითხება „ფროფაგანდა კიდე“, რომელიც ამას უდრის: propaganda fide.

IV. მორფოლოგია.

20. **ბრუნვები.** ძველ ქართულში რვა ბრუნვა იყო: წრფელობითი, სახელობითი, წოდებითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი[1]). ამათგან წრფელობითი უნიშნო იყო და სუფთა ფუძეს წარმოადგენდა. ყველა დანარჩენს თავ-თავისი ნიშანი ჰქონდა მხოლ. რიცხვში.

შენიშვნა. რვა ბრუნვის შესახებ საუბრის ნებას მხოლოდ ზოგადი სახელები გვაძლევს. მარტო საკუთარ სახელთა მიხედვით რომ გვემსჯელა, ბრუნვათა რიცხვი ხუთი გეექნებოდა. ბრუნების დროს ყურადღება ექცევა იმას, სახოგადოა სახელი (მაგ. ხე, ქვა, სახლი, ჯაცი და მისთ.), თუ საკუთარი (მაგ. ელენე, ლუკა, დაჲით და მისთ.). ამას გარდა უნდა გავახსოვდეს, რომ, როცა ხმოვანზე გათავებულ ფუძეს

[1]. უკანასკნელ ბრუნვას გრამატიკოსები სხვადასხვა სახელს უწოდებენ: განეითარებითი, გადაქმნითი, ცვალებითი (ანუ ცვლილებითი) ზმნისზედათი, ვნებითი, მიმართულებითი.

ერთვის ი, როგორც ბრუნვის ნიშანი სახ.ში, ან როგორც ბრუნვის ნიშნის ნაწილი ნათ.სა და მოქმ.ში), იგი, — თე რომ თვით ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი შენახულია, — სუსტდება, მარცვლიანობას კარგავს და ჲ-ედ იქცევა (§ 14). ხმოვანი ე ამ ჲ-სთან შეერთებისას ე-ს გვაძლევს (§ 15).

21. მრავლობითი რიცხვი. მრაველ. რიცხვი ორგვარი იყო: ერთი ძალიან გავრცელებული, მეორე იშვიათი. გავრცელებულ მრავლობითს სამი ფორმა ჰქონდა: ერთი სახელობითისათვის, მეორე წოდებითისათვის, მესამე მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითისათვის. დანარჩენი ბრუნვები (წრფელ., მოქმ., ვით.) მას არსებითად აკლდა. ამ მრაველ. რიცხვს სახელობითში და წოდებითში **ნ** ჰქონდა და ამიტომ მას **ნ**არიანს ვეძახით. მეორე მრავლობითს ყველა ბრუნვები მოეპოვებოდა, წრფელობითიც კი, და იგი ამ რიცხვს **ებ**'ის საშუალებით აწარმოებდა. ამიტომ მას **ებ**'იან მრავლობითს ვეძახით. **ებ**იანი მრავლობითი ძველ ქართულში, მე-11 საუკუნემდის, იშვიათად გვხვდება (მაგ. გარემოჲს ყოველსა სოფლებსა 21_{27}), მე-12 საუკუნიდან მოყოლებული კი იგი თანდათან მეტსა და მეტს გასაქანს პოულობს და საქმე იქამდის მიდის, რომ ახალ ქართულში სრულ გაბატონებას აღწევს. ვეფხის-ტყაოსანში ჯერ კიდევ ცოტაა **ებ**იანი მრავლობითის ხმარების შემთხვევები, გაცილებით სჭარბობს **ნ**არიანი. მართლაც, აქ დაბეჭდილ ნაწყვეტებში **ებ**იანი ფორმების რიცხვი რვას ძლივს აღწევს (ჟიქები 120_8, სიტყვები 129_{30}, კარები 133_8, დარები 133_{7}, ფარები 133_9, მალები 134_{21}, თვალები 134_{22}, ლალები 134_{23}), მაშინ როდესაც **ნ**არიანი ფორმები უამრავია (არა ნაკლებ 180-ისა).

შენიშვნა 1. იმას ვერ ვიტყვით, რომ **ნ**არიანი მრავლობითის ასეთი დიდი ჭარბობა ლექსის საჭიროებით აიხსნებოდეს (მარცვალთა რაოდენობა და რითმები): მრავალგან არის ისეთი ადგილი, სადაც ლექსს არა დაუშავდებოდა რა, რომ **ნ**არიანი მრავლობითის ნაცვლად ავტორს **ებ**იანი ეხმარა.

შენიშვნა 2. ძველის ძველ ტექსტებში **ებ**'იანი მრავლობითი უფრო ხშირად წრფელობითში გვხვდება (ძეებ, ასულებ სენაკებ, სოფლებ და მისთ.) რადგანაც ეს ფორმა **ნ**არიან მრავლობითს არ გააჩნდა. ამას გარდა შედარებით ხშირად გვხვდება იგი ორ უკანასკნელ ბრუნვაშიც, რომლებიც არსებითად აკლია აგრეთვე **ნ**არიან მრავლობითს.

შენიშვნა 3. მერმინდელ ძეგლებში (მაგ. «რუსტომიანში») იშვიათად თა-თ დაბოლოება გვხვდება მოქმედებითში, მაგ. „თვალთათ" (=თვალებიდან) და მისთ.

22. თანხმოვანზე გათავებული ფუძეები.

	მხოლ.	მრაველ.
წრფ.	კაც	—
სახ.	კაც-ი	კაც-ნ-ი
წოდ.	კაც-ო	კაც-ნ-ო
მოთ.	კაც-მან	კაც-თა
მიც.	კაც-ს-ა	„
ნათ.	კაც-ის-ა	„
მოქ.	კაც-ით-ა	—
ვით.	კაც-ად	—

ამგვარად იბრუნვის ყოველი სახელი, რომელსაც ფუძის ბოლოს თანხმოვანი უზის, მაგ. სახლ-ი, წიგნ-ი, თავ-ი, თუალ-ი, კელ-ი, ფერკ-ი, გულ-ი, მტერ-ი, ნავ-ი, პურ-ი და სხვ.

შენიშვნა 1. წოდებითში გაძლიერების მიზნით ხშირად ე დაერთვის წინ: ე სა◆ წყალობელო 47_{29}.

შენიშვნა 2. ზოგად სახელთაგან „ხუცესი" და „მოძღვარი" გამონაკლისს შეადგენენ იმ მხრივ, რომ ძველის-ძველ ძეგლებში, წოდებითისათვის ო'ს არ მიიღებენ ბოლოში, მაგ. ხუცეს! (13_{5};), მოძღუარ! (7_{24}).

შენიშვნა 3. ილ'ზე გაორკეცებული სახელები ვითარებითში ლასს მოიკვეცენ და დ'ონს ის'ე მიიღებენ, მაგ. სიკუდიდ („განმხადებულ ვარ სიკუდიდ-ცა" 22_{11} ამის მსგავსად „სახლი" ამაუე ბრუნვაში „სახიდ" (იშვიათად „სახედ") ფორმას გვაძლევს „წარვიდა სახიდ თჳსა" 29_{23}; „სახიდ ჩემდა" 39_{31}; „მოვიდოდა სახედ თჳსად" 32_{33}

23. ანზე გათავებული ფუძეები.

	მხოლ.	მრავლ.
წრფ.	დედა	—
სახ.	დედა-ჲ	დედა-ნ-ი
წოდ.	დედა-ო	დედა-ნ-ო
მოთ.	დედა-მან	დედა-თა
მიც.	დედა-ს	
ნათ.	დედ-ის	
მოქ.	დედ-ით	—
ვით.	დედა-დ	—

ამის მსგავსად იბრუნვიან: მამა, ძმა, გზა, ყრმა, მთა, ქმა, ცოდვა, ლოცვა, ქუეყანა, ბრძოლა, დაბა და სხვ.

24. ენზე გათავებული ფუძეები.

	მხოლ.	მრავლ.
წრფ.	ძე	—
სახ.	ძჱ (ძე-ჲ)	ძე-ნ-ი
წოდ.	ძე-ო	ძე-ნ-ო
მოთ.	ძე-მან	ძე-თა
მიც.	ძე-ს	
ნათ.	ძ-ის	
მოქ.	ძ-ით	—
ვით.	ძე-დ	—

„ძე" სიტყვის მსგავსად იბრუნვიან: ხე, მზე, სახე, ბჭე, ბადე, ციხე, სიმრავლე, მოწაფე და მისთ.

25. **ონზე გათავებული ფუძეები.**

	მხოლ.	მრავლ.
წრფ.	წყარო	—
სახ.	წყარო-ჲ	წყარო-ნ-ი
წოდ.	წყარო-ო	წყარო-ნ-ო
მოთ.	წყარო-მან	წყარო-თა
მიც.	წყარო-სა	
ნათ.	წყარო-ჲსა	
მოქ.	წყარო-ჲთა	—
ვით.	წყარო-დ	—

ამის მსგავსად იბრუნვიან: კალო, ოქრო, ეზო, გემო, ტილო, ხურო და მისთ.

26. **უნზე გათავებული ფუძეები.** უ ხმოვანზე გათავებული ფუძეები ორგვარია: ზოგში უ მარცვლიანია, ზოგში კი უმარცვლო. მარცვლიანი უ უფრო იშვიათია, მაგ. ყრუ, ცრუ, რეჟ. ასეთი სახელების ბრუნება არაფრით არ განსხვავდება ონზე გათავებული სახელებისაგან (მაგ. ყრუ, ყრუ-ჲ, ყრუ-ო, ყრუ-მან, ყრუ-სა ყრუ-ჲსა, ყრუ-ჲთა, ყრუ-დ). სულ სხვაა იმ სახელთა ბრუნება, რომელთაც ფუძის ბოლოს უმარცვლო უ უზის, როგორც ეს მაგალითიც გვიჩვენებს:

	მხოლ.	მრავლ.
წრფ.	ნაძუ	—
სახ.	ნაძჳ (* ნაძუ-ი)	ნაძუ-ნ-ი
წოდ.	ნაძუ-ო	ნაძუ-ნ-ო
მოთ.	ნაძუ-მან	ნაძუ-თა
მიც.	ნაძუ-სა	
ნათ.	ნაძჳსა (* ნაძუ-ისა)	„
მოქმ.	ნაძჳთა (* ნაძუ-ითა)	—
ვით.	ნაძუ-ად	—

აქ უ ყველგან უმარცვლოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაძუმან, ნაძუსა, ნაძუნი და ნაძუთა ორ-მარცვლიანი სიტყვებია, და არა სამიანი (შდრ. §§ 16, 18).

„ნაძუ" სიტყვის მსგავსად იბრუნვიან: ჯაჭუ, მოგუ, თაგუ, ბორცუ, ლელუ, რიცხუ, უტყუ, ძარღუ, ღაწუ და მისთ. (სახელობითში: ჯაჭვ, მოგვ, თაგვ, ბორცვ, ლელვ, რიცხვ, უტყვ, ძარღვ, ღაწვ და მისთ.).

შენიშვნა ამის მსგავს ფორმებს გვაძლევს უა და უე'ზე გათავებული სიტყვები ნათ. სა და მოქ.ში: სიტყუაჲ, სიტყჳსა, სიტყჳთა; ზღუაჲ, ზღჳსა, ზღჳთა; თთუე, თთჳსა, თთჳთა; ტყუე, ტყჳსა, ტყჳთა.

27. **საკუთარ სახელთა ბრუნება.** ადამიანთა სახელებს და რამოდენადმე გეოგრაფიულ პუნქტთა სახელებს ზოგიერთი თავისებურება აქვთ:

a) ყველა ბრუნვის წარმოება უპირთ. ჩვეულებრივ მოეპოვებათ სამი ფორმა, რომელთაგანაც: ერთი საზოგადო სახელთა სახელობით-წოდებით-მოთხრობითის ბადალია (ეს ბრუნვები აქ გარჩეული არაა და არც რაიმე ბრუნვის ნიშანი მოუდისთ,) მეორე მიცემითისაა და მესამე ნათესაობითისა.

b) ნათ.სა და მიც.ში, საზოგადო სახელთაგან განსხვავებით, არ დაერთვის ბოლოში ა.

c) მრავლ. რიცხვი არ გააჩნიათ.

მაგალითები საკუთარ სახელთა ბრუნებისა:

სახ.	დავით	შოთა	ელენე
წოდ.			"
მოთ.	"		"
მიც.	დავით-ს	შოთა-ს	ელენე-ს
ნათ.	დავით-ის	შოთა-ჲს	ელენჲს (ელენე-ჲს)

სახ.	გიორგი	აბო	იესუ
წოდ.		"	
მოთ.	"	"	"
მიც.	გიორგი-ს	აბო-ს	იესუ-ს
ნათ.		აბო-ჲს	იესუ-ჲს

დავითის მსგავსად იბრუნვიან: არჩილ, აშოტ, ბაგრატ, გუარამ, ეფრემ, ვარდან, ვახტანგ, სიჭაკ, ჯოჯიკ, თამარ, მარიამ, შუშანიკ და მისთ.

შოთას მსგავსად იბრუნვიან: კახა, ლუკა, საბა, თემესტია, მართა, ფებრონია.

ელენეს მსგავსად იბრუნვიან: ალექსანდრე, დემეტრე, ეპიფანე, ევაგრე, თეოდორე, ნერსე, პეტრე, პავლე, ქრისტეფორე და მისთ.

გიორგის მსგავსად იბრუნვიან: დიმიტრი, არსენი და სხვ.

შენიშვნა 1. გეოგრაფიული სახელებისაგან შეიძლება შეუხვდეთ მოქ.ისა და ვით.ის ფორმებს; მაგ. იერუსალემ-ით, იერუსალემ-დ.

შენიშვნა 2. აქ მოცემული ზოგადი წესები ძეგლებში ზოგჯერ შეიძლება დარღვეული იყოს. მაგ.:

a) საკუთარ სახელებს უჩნდებათ სახელობით-მოთხრობითის განსხვავება: ზირაქ შეიპყრა კახა-ჲ და ძმ მისი თარკუჯ-ი (ატენის წარწერაში), აქაია-მან (ხანმეტ ლექციონარში. ეს ადგილი აქ არ შემოსულა).

b) მიცემითში ა არ უნდა საქ. სახელებს, მაგრამ გვაქვს როგორც იშხანს (40_{21}), ისე იშხანსა (40_{17}).

c) გეოგრაფიულ სახელთა ვით.ში ჩვეულებრივ დონის წინ არ არის საჭირო ა (მაგ. ჩორ-დ 15_{24}, იერუსალემ-დ 46_{11}), მაგრამ ანიც შეიძლება შეგეხვდეს (მაგ. იერუსალემ-ად 40_{8}).

28. ნაწევრიანი სიტყვის ბრუნება. თუ სიტყვა განსაზღვრულია ნაწევრით, მას ჩვეულებრივ ხუთი ბრუნვა მოეპოვება: სახ., მოთ., მიც., ნათ., მოქ.; ნაწევარი სამგვარია: ესე, ეგე, იგი. მაგ.:

	მხოლ.		მრავლ.	
სახ.	კაც-ი	იგი	კაც-ნ-ი	იგი
მოთ.	კაც-მან	მან	კაც-თა	მათ
მიც.	კაც-სა	მას	„	
ნათ.	კაც-ისა	მის	„	
მოქ.	კაც-ით	მით	—	—

შენიშვნა. თუ „იგი“ სიტყვა დამოუკიდებლადაა ნახმარი, მაშინ მისი მრავლობითი იქნება „იგინი“ (მაგ. „წარვიდეს იგინი“), მაჯრამ ნაწევრად გამოყენებისას სახელობითში მხოლობით-მრავლობითი გარჩეული არ აქვს: ითქმის როგორც „კაცი იგი“, ისე „კაცნი იგი“.

29. ზედსართავი მსაზღვრელად. როდესაც საზღვრულს მსაზღვრელად ზედსართავი ახლავს, ორივე იბრუნვის; მაგ.:

	მხოლ.		მრავლ.	
წრფ.	კაც	მაღალ	—	—
სახ.	კაც-ი	მაღალ-ი	კაც-ნ-ი	მაღალ-ნ-ი
წოდ.	კაც-ო	მაღალ-ო	კაც-ნ-ო	მაღალ-ნ-ო
მოთ.	კაც-მან	მაღალ-მან	კაც-თა	მაღალ-თა
მიც.	კაც-სა	მაღალ-სა		
ნათ.	კაც-ისა	მაღლ-ისა		
მოქ.	კაც-ით	მაღლ-ით	—	—
ვით.	კაც-ად	მაღლ-ად	—	—

შენიშვნა. თუ საკუთარ სახელს მსაზღვრელად მოსდევდა რაიმე სიტყვა, თანამდებობის, ხარისხის ან ხელობის გამომხატველი, თავდაპირველად იბრუნვოდა ორივე, მაგრამ შემდეგში მხოლოდ მსაზღვრელი, საკუთ. სახელი კი უცვლელი რჩებოდა, მაგ. ნერსე ერისთავი, ნერსე ერისთავმან, ნერსეს ერისთავსა (მერე კი: ნერსე ერისთავსა) და შემდგომი. ასევე იბრუნვის ადრეთვე: მუშაიკ დედოფალი, დავით ეპისკოპოსი, აშოტ კურაპალატი, თამარ მეფე); დღეტაე კანტარი („დემეტრეს ჯვარისა“ 2,17) და მისთ.

30. ნათესაობითარი სიტყვა მსაზღვრელად. ნათესაობითში დასმული სახელი, სხვა სახელის მსაზღვრელად გამოყენებული, იბრუნვის. ბოლოკიდური ა (საზოგადო სახელებისა) არ იცვლება. მაგალითები:

	მხოლ.		მრავლ.	
წრფ.	ქალაქ	ქართლისა	—	—
სახ.	ქალაქ-ი	ქართლისა-ჲ	ქალაქ-ნ-ი	ქართლისა-ნ-ი
წოდ.	ქალაქ-ო	ქართლისა-ო	ქალაქ-ნ-ო	ქართლისა-ნ-ო
მოთ.	ქალაქ-მან	ქართლისა-მან	ქალაქ-თა	ქართლისა-თა
მიც.	ქალაქ-სა	ქართლისა-სა	„	„
ნათ.	ქალაქ-ისა	ქართლისა-ჲსა		„
მოქ.	ქალაქ-ითა	ქართლისა-ჲთა	—	—
ვით.	ქალაქ-ად	ქართლისა	—	—

შენიშვნა. თუ მსაზღვრელად საკუთარი სახელია გამოყენებული, იგი ანს არ მიიღებს, მაგ. წიგნ დავითის, წიგნ-ი დავითის-ი (და არა: წიგნ-ი დავითისა-ჲ), წიგნ-ო დავითის-ო, წიგნ-მან დავითის-მან, წიგნ-სა დავითის-სა და შემდგომი

31. ზმნისწინი. ზოგიერთი თავსართი ზმნისა, ზმნისწინად წოდებული, ძველად უფრო სრულად იყო წარმოდგენილი, ვიდრე დღეს. ესენია: აღ-, გან-, წარ-, შთა-, გარდა-.

აღ- (დღეს ა): აღ-ვიდა, აღ-იყვანა, აღ-დგა, აღ-კოცა, აღ-აპყრო და მისთ.

გან- (დღეს გა-): გან-ვიდა, გან-ტეხა, გან-დიდნა (=გადიდდა), გან-აგდო და მისთ.

წარ- (დღეს წა-) : წარ-ავლინა, წარ-იღო, წარ-იტაცა, წარ-გზავნა, წარ-წყმიდა (=დაღუპა), და მისთ.

შთა- (ეს ზმნისწინი დღევანდელ ენაში ჩა'დ არის შეცვლილი): შთა-აგდო, შთა-ნთქა (=ჩაყლაპა), შთა-კდა და მისთ.

გარდა- (ამჟამად გადა-) გარდა-კდა, გარდა-ქმნეს და მისთ.

ზმნისწინი შეიძლება გამოეყოს ზმნას და მათ შუა რაიმე ნაწილაკი ან სიტყვა ჩაისვას; მაგ. და- ვე -უტევნა 42_{24}; მცირედ და- რე -სცხრა 13_{15}; და მო- ვინმე -ვიდეს ჩუენგანნი საფლავად 5_{14} (=ზოგი ჩვენგანი მოვიდა საფლავზე); მიმო- რაჲ -ვიდოდეს 28_{7}; მი- რაჲ -იწინეს 30_{3}; მეფე გაჰკვირდა, გა- ცა -წყრა 123_{24} და მისთ.

შენიშვნა 1. ასეთი რამ შეიძლება უპირო ზმნაშიც შეგვხვდეს: შე-რე-დგინებად 7_{23}.

შენიშვნა 2. მნიშვნელობის გაძლიერების მიზნით „ეეფხის-ტყაოსანში“ ზოგჯერ ზმნაა განმეორებული, მაგრამ არა მთლიანად, არამედ ნაწილობრივ, მარტოოდენ ზმნისწინის საშუალებით; მაგალითად: მით და-ვყოვნე ხანი მუნ, და- 123_{24} (უკანასკნელი და აქ „დავყოვნე“ ზმნის გასაძლიერებლადაა ნახმარი).

შენიშვნა 3 მეორე პირის ფორმასთან ზოგჯერ მი ზმნისწინი იხმარება: „ნიჭი და პატიჟი აწვე მიგცე შენ“ 22_{19}.

32. თავისებურებანი პირთა წარმოების დროს. ძველ ქართულში, ახალთან შედარებით, ყველა პირის ფორმათა წარმოების დროს ეხედავთ ამა თუ იმ თავისებურებას. თავისებურება ახასიათებს როგორც სუბიექტური პირების ფორმებს, ისე ობიექტურებისას.

შენიშვნა. სუბიექტურია პირი, რომელიც მოქმედად არის წარმოდგენილი ფორმაში და ობიექტურია პირი, რომელიც ფორმაში დასახელებულია, მაგრამ არ მოქმედობს. „გცემ“ ფორმაში, მაგ. სუბიექტურია პირველი და ობიექტური — მეორე; „მცემ-ში კი პირუკუ: სუბიექტურია მეორე და ობიექტური პირველი.

33. პირველი სუბიექტური პირი. პირველი სუბ. პირის თავისებურება ის გახლავს, რომ მისი ნიშანი **ვ** უნის წინ არ გამოითქმოდა და არც იწერებოდა ძველად, მაგ. „უთხარ“ (მე მას, ნაცვლად ამისა: ვუთხარ).

შენიშვნა. ხანმეტ ძეგლებში პირველი პირის ნიშანი ვ უმარცვლო უნად იქცევა ხოლმე ხ პრეფიქსის შემდეგ, მაგ. „ხ-ვ-მადლობთ“ ფორმის ნაცვლად „ხ-უ-მადლობთ“. (აქ უ არა ქრნის მარცვალს); „ხუესავთ“ 5ი („ხ-ვ-ესავთ“ ფორმის ნაცვლად). იგივე ამბავია ჰაემტ ძეგლებშიც: „აღჰვმართე“ ფორმის ნაცვლად გვხვდება „აღჰუმართე“ (წყისის წარწერაში).

34. მეორე სუბიექტური პირი. ყველა ფორმაში, გარდა წართქმითი ბრძანებითისა (ე. ი. ისეთი ფორმისა, რომელიც აკრძალვას წარმოადგენს, ანუ რომელსაც ახლავს ნაწილაკი **ნუ** ან **არა**) ნიშანი მეორე სუბ. პირისა, არის წინსართი **ჰ**. ოღონდ ხანმეტ ძეგლებში ეს **ჰ** ხანად არის შეცვლილი, ხოლო მე-9 საუკუნიდან მოყოლებული იგივე **ჰ** უცვლელად არის შემონახული (19 თანხმოვნის წინ, ესენია: **პ, ფ, ღ, ხ, კ, გ, ქ, ჰ, ბ, ფ, ვ, მ, ლ, რ, ნ, შ, ჟ, ს, ზ**), ზოგან კი შეცვლილია, მაგრამ შეცვლილია უკვე სხვაგვარად:

a) ხმოვნების წინ სულ დაკარგულია,

b) ცხრა თანხმოვნის წინ ხანად არის ქცეული. ეს ცხრა თანხმოვანია: **ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ.**

მაგალითები:

a) ზმნის ფორმა ხმოვნით იწყება:

	თხრობ.	წ. ბრძ.		თხრობ.	წ. ბრძ.
მხ. 1.	ვ-იხილე		მხ. 1.	მო-ვ-იღე	
2.	ჰ-იხილე	იხილე	2.	მო-ჰ-იღე	მო-იღე
3.	იხილა		3.	მო-იღო	
მრ. 1.	ვ-იხილე-თ		მრ. 1.	მო-ვ-იღეთ	
2.	ჰ-იხილე-თ	იხილე-თ	2.	მო-ჰ-იღეთ	მო-იღე-თ
3.	იხილ-ეს		3.	მო-იღეს	

მოყვანილი ფორმები მეორე პირისა ჰაემეტია. ხანმეტ ძეგლებში აქ გვექნებოდა: ხ-იხილე, ხ-იხილეთ (ბრძანებითში მაინც უნიშნოდ: იხილე, იხილეთ); ხან-ნარეე ძეგლებში კი (ე. ი. ძეგლებში მე-9 საუკუნიდან მოყოლებული) ჰ აქ დაკარგულია, ამიტომ თხრობითი და ბრძანებითი ერთიმეორისაგან აღარ განირჩევიან: იქაც და აქაც „იხილე, იხილეთ“ იქნება, ე. ი. გარეგნულად ვერ შეატყობ ფორმას, თუ რომელი მათგანია; რომ აზრი სისწორით გაიგო, საჭიროა სხვა სიტყვების წამოშველება, მაგ., „რაჲ იხილე გუშინ“? (=რა ნახე გუშინ?). აქ ფორმა თხრობითი კილოსია, მაგრამ: „მოვედ და იხილე“ (მოდი და ნახე) ,—აქ კი ბრძანებითია.

b) ზმნის ფორმა ცხრამეტეული თანხმოვნით იწყება:

	თხრობ.	წ. ბრძ.	თხრობ.	წ. ბრძ.
მხ. 1.	ვ-პოვე		მხ. 1. და-ვ-კალ	
2.	ჰ-პოვე	პოვე	2. და-ჰ-კალ	და-კალ
3.	პოვ-ა		3. და-კლ-ა	
მრ. 1.	ვ-პოვე-თ		მრ. 1. და-ვ-კალ-თ	
2.	ჰ-პოვე-თ	პოვე-თ	2. და-ჰ-კალ-თ	და-კალ-თ
3.	პოვ-ეს		3. და-კლ-ეს	

ასეთი ფორმები ახასიათებს ძველ ქართულს მთლიანად, გარდა ხანმეტი ძეგლებისა, სადაც ჰაეს ნაცვლად მეორე პირში ხ იქნება: ხ-პოვე, ხ-პოვეთ (მაგრამ ბრძანებითი აქაც უნიშნო იქნება: პოვე, პოვეთ). სხვა პირთა ფორმები განსხვავებას არ გვიჩვენებს.

c) ზმნის ფორმა ცხრეული თანხმოვნით იწყება:

	თხრობ.	წ. ბრძ.	თხრობ.	წ. ბრძ.
მხ. 1.	ვ-ჭამე		მხ. 1. და-ვ-წერე	
2.	ჰ-ჭამე	ჭამე	2. და-ჰ-წერე	და-წერე
3.	ჭამ-ა		3. და-წერ-ა	
მრ. 1.	ვ-ჭამე-თ		1. და-ვ-წერე-თ	
2.	ჰ-ჭამე-თ	ჭამე-თ	2. და-ჰ-წერე-თ	და-წერე-თ
3.	ჭამ-ეს		3. და-წერ-ეს	

ხანმეტ ძეგლებში აქ მარტო მეორე პირის ფორმა იქნებოდა შეცვლილი და ისიც თხრობით კილოში: ხ-ჭამე, ხ-ჭამეთ (მაგრამ ბრძანებითი აქაც: ჭამე, ჭამეთ). მე-9 და მომდევნო საუკუნეებში აქ მეორე პირის ფორმაში-იქნება ცვლილება: ს-ჭამე, ს-ჭამეთ (ბრძანებითი, რა თქმა უნდა, აქაც უნიშნო დარჩება: ჭამე, ჭამეთ).

«შუშანიკის წამებაში» რომ იკითხება: „მტკიცედ დეგ“ (14_{23}), ეს ბრძანებითის ფორმაა ხანმეტზედაც, ჰაემეტზედაც, სან-ნარეზედაც. მაგრამ თხრობითად გადაკეთების დროს სხვადასხვა ფორმას მივიღებდით: მტკის ცედ ხდეგ (ხანმ.), მტკიცედ ჰდეგ (ჰაემ.), მტკიცედ ხდეგ (სან-ნარ.).

35. მესამე სუბიექტური პირი. მესამე სუბ. პირის დაბოლოებანი ძველს ქართულში დღევანდელ ენასთან შედარებით შემდეგ განსხვავება გვიჩვენებს:

ა) ვნებითი გვარის აწმყოს ფორმებში, მხოლ. რიცხვში, ყოველთვის -ი-ს (ხოლმეობითში -ი-ნ) არის; მაგ. ვიმალები, იმალები, იმალებიხ; ვტყდები, სტყდები, ტყდებიხ; დაეგლახაკნები, დაჰგლახაკნები, დაგლახაკნებიხ (=ეღარიბდები, ღარიბდები, ღარიბდება) და მისთ.

ბ) ნამყო უწყვეტელში, მრაელ. რიცხვში, -ეს დაბოლოება არის ყოველგვარ ზმნაში, მაგ. იგინი აშშნებდეს, იმღერდეს,

ჰამდეს და მისთ. მაგალითები ძეგლებიდან: „ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომითა მათითა ზრდიდეს გლახაკთა“ 27_{3-4}; „მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა ყოვლადვე და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იყუმევდეს“ 41_{4-6}.

c) ნამყო წყვეტილში (აორისტში) აგრეთვე -ეს დაბოლოება მოუდის ამ პირს მრავლობითს რიცხვში როგორც გარდამავალ ზმნაში, ისე გარდაუვალში; მაგ. იყვნეს იგინი; „წარვიდეს აფხაზეთს“ 41_{14} და მისთ.

36. მესამე ობიექტური პირი. ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. მაგ. „გამიტეხა“ ზმნაში სამი პირია: ვინც ჩაიდინა გატეხა (სუბიექტური პირი), რაც იქნა გატეხილი (პირდ. ობიექტური პირი) და ვისიც იქნა გატეხილი (ირიბი ობიექტური პირი). „გამტეხა“ და „გამიტეხა“ ფორმებში პირველ პირზეა საუბარი, მაგრამ არც იქ და არც აქ ეს პირველი პირი არ მოქმედობს, მაშასადამე, იგი აქ ობიექტური პირია. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ერთი მათგანი („გამტეხა“) გვიჩვენებს, რომ გატეხილია მოლაპარაკე, მაშასადამე, აქ პირვ. პირი პირდაპირი ობიექტია, მეორე კი („გამიტეხა“) მიგვითითებს, რომ მოლაპარაკეს ეკუთვნის, ან მოლაპარაკისთვისაა დანიშნული ის, რაც გატეხეს, მაშასადამე აქ უკვე პირვ. პირი ირიბი ობიექტია.

როცა პირი მესამეა და იგი პირდაპირ ობიექტად არის გამოყვანილი, ზმნის ფორმაში მას არავითარი ნიშანი არ უნდა, ნიშნები უნდა მხოლოდ პირველს და მეორეს. მაგ. მ-ნახა, გნახა, ნახა; და-მ-წერა, და-გ-წერა, დაწერა; აღ-მ-აესო, აღ-გ-აესო, აღ-აესო და მისთ. ასეთი ფორმები საერთოა ძველი ქართულის მთელს მანძილზე.

რაიცა შეეხება მესამე პირს ირიბი ობიექტისას, მას კი თავისი ნიშანი ჰქონდა. ეს იყო თავსართი ჲ, რომელიც ხანმეტ ძეგლებში ხანადაა შეცვლილი, ხოლო მე-9 და მომდევნო საუკუნეებში:

a) ხმოვნების წინ დაკარგულია სრულიად,

b) ცხრა თანხმოვნის წინ კი (ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ) ხანადაა ქცეული.

მაგალითები: მ-კითხა, გ-კითხა, ჲ-კითხა; მ-თხოვა გ-თხოვა, ჲ-თხოვა; მ-იბრძანა, გ-იბრძანა, ჲ-უბრძანა. ამათგან მარტოოდენ ესენია განსახილველი: ჲ-კითხა, ჲ-თხოვა და ჲ-უბრძანა, რადგანაც დანარჩენი ფორმები საერთოა მთელი ქართულისათვის (ასე იყო არა მარტო ძველად, არამედ ახლაც), ცვლილებას მხოლოდ მესამე პირის ფორმაში აქვს ადგილი. მოყვანილი სახით ფორმები ჰაემეტობას ამჟღავნებს, რადგანაც ჲ ხმოვნის (უ'ს) წინაც შენახულია და თანის წინაც, რომელიც ცხრა თანხმოვანთაგანია; თუ ხანებად გადავაკეთებთ (ხ-კითხა, ხ-თხოვა, ხ-უბრძანა), ფორმები ხანმეტ სახეს მიიღებს; მაგრამ თუ ჲ-კითხა'ს ხელუხლებლად დავტოვებთ და ორ

დანარჩენს ისე შევცვლით, რომ ჰ-თხოვა-ს ნაცვლად ხ-თხოვა გვექნეს და ჰ-უბრძანა-ს ნაცვლად „უბრძანა“, მაშინ სან-ნარეობასთან გვექნება საქმე, ე. ი. ისეთი ფორმა იქნება, რომელიც უცილობლად მეცხრე საუკუნიდანაა დადასტურებული ძეგლებში.

37. რიცხვი პირიან ზმნებში. პირიან ფორმებში მხოლობით-მრავლობითი რიცხვის გარჩევა ძველს ქართულში ზოგჯერ ხერხდება, ზოგჯერ კი არა.

სუბ. პირის ფორმებში რიცხვი უმეტესად გარჩეულია (ნ. § 39, შენ.) ობიექტურისაში კი ხან გარჩეულია და ხან არა. გარჩევის შემთხვევაში ოროლი ფორმა გვაქვს: ერთი მხოლობითისათვის და მეორე მრავლობითისათვის. გაურჩევლობის შემთხვევაში კი ფორმა ერთია, რომელიც ცალკე აღებული, ვერას გვეტყვის იმის შესახებ, მხოლ. რიცხვისაა დასახელებული პირი (პირველი, მეორე, ან მესამე), თუ მრავლობითისა.

38. პირდაპირი ობიექტური პირის ფორმები და რიცხვი. პირდ. ობიექტური პირის ფორმები შეიძლება გარჩეულ იქნეს რიცხვის მიხედვით საყოველთაოდ მხოლოდ მეორე და მესამე სერიაში, პირველ სერიაში კი მარტოოდენ იმ შემთხვევაში, თუ ფორმა პირველი პირისაა (ნ. § 40). თუ ავიღებთ შესადარებლად ამ ორ ფორმას: „ვპოვებ“ და „ვპოვე“, რომელთაგანაც ერთი („ვპოვებ) პირველი სერიისაა და მეორე („ვპოვე“) მეორისა, ვნახავთ, რომ პირველი მათგანი ნაპოვნი საგნის რიცხვის მიხედვით ურიცხვო იქნება: „ვპოვებ“, — არ ვიცით, ერთზეა საუბარი, თუ მეტზე. მაგრამ თუ ავიღებთ „ვპოვე“ ფორმას, იგი უკვე რიცხვიანი იქნება, რადგანაც მიგვითითებს, რომ ნაპოვნია (ან ნახულია) ერთი. ამ ფორმის გვერდით გვაქვს „ვპოვენ“, რომელიც მიგვითითებს, რომ ნახული, ან ნაპოვნი საგანი ერთზე მეტია, მრავალია. დავაუღლოთ ეს ზმნა ობიექტური პირის რიცხვის გამოსაჩენად:

	მხოლ. (ნაპოვნია ერთი)	მრაელ. (ნაპოვნია მრავალი)
მხ. 1.	ვპოვე [იგი]	ვპოვე-ნ [იგინი]
2.	ჰპოვე	ჰპოვე-ნ
3.	პოვა	პოვ-ნ-ა
მრ. 1.	ვპოვეთ	ვპოვე-ნ-(ი)თ
2.	ჰპოვეთ	ჰპოვე-ნ-(ი)თ
3.	პოვეს	პოვ-ნ-ეს

ობიექტურ პირად აქ აღებული იყო მესამე. თუ სხვა პირებს ავიღებთ, რიცხობრივ განსხვავებას მაინც ექნება ადგილი: მპოვა (მე), მპოვ-ნ-ა (ჩუენ, ან: გუპოვ-ნ-ა), გპოვა (შენ), გპოვ-ნ-ა (თქუენ) და მისთ.

მეორე კავშირებითში (რომელიც ძველ ქართულში აგრეთვე მყოფადის თხრობითად არის გამოყენებული) რიცხობრივი გარჩევა ობიექტური პირისა ამ მაგალითზე შემდეგ სურათს მოგვცემს:

	მხოლ. (ნაპოვნია ერთი)	მრაელ. (ნაპოვნია მრავალი)
მხ.	1. ეპოვო [იგი]	ეპოვ-ნ-ე [იგინი]
	2. ჰპოვო	ჰპოვ-ნ-ე
	3. პოვოს	პოვ-ნ-ეს
მრ.	1. ვპოვოთ	ვპოვ-ნ-ეთ
	2. ჰპოვოთ	ჰპოვ-ნ-ეთ
	3. პოვონ	პოვ-ნ-ენ

მესამე სერიის ფორმათაგან თუ პირვ. თურმეობითს ავიღებთ, გვექნება: „მიპოვიეს“ (იგი, ერთი), „მიპოვიან“ (იგინი, ერთზე მეტი, მრავალი). მეორე თურმეობითში კი ასეთი სურათი იქნება:

	მხოლ. (ნაპოვნია ერთი)	მრავლ. (ნაპოვნია მრავალი)
მხ.	1. მეპოვა [იგი]	მეპოვ-ნ-ეს [იგინი]
	2. გეპოვა	გეპოვ-ნ-ეს
	3. ეპოვა	ეპოვ-ნ-ეს
მრ.	1. მეპოვა (გუეპოვა)	მეპოვ-ნ-ეს (გუეპოვნეს)
	2. გეპოვა	გეპოვ-ნ-ეს
	3 ეპოვა	ეპოვ-ნ-ეს

აქედან ცხადია, რომ პირდ. ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად გამოყენებულია **ნ**, რომელიც შეიძლება სულ ბოლოს იყოს, მაგრამ შეიძლება შიგნითაც მოექცეს.

39. ირიბი ობიექტური პირის ფორმები და რიცხვი. ირიბი ობიექტის ფორმები რიცხობრივად შეიძლება მხოლოდ პირველ პირში გავარჩიოთ, — ისიც ზოგიერთ შემთხვევაში, — მეორესა და მესამე პირში კი არა. ჩვენ დღეს „მოუკვდა“ ფორმაში ერთს ვგულისხმობთ იმ პირს, ვისაც მოუკვდა („მოუკვდა მას“), რადგანაც ამ ფორმის პირისპირ მოგვეპოვება „მოუკვდათ“, რომელიც მრავლობითის გაგებას გვაძლევს („მოუკვდათ მათ“). ძველად ასეთი გარჩევა არ არსებობდა, ერთნაირად ითქმოდა: „მოუკუდა მას, მოუკუდა მათ“. მსგავსად ამისა ითქმოდა: „მოგიკუდა შენ“, „მოგიკუდა თქუენ“. მაშასადამე, „მოუკუდა“ და „მოგიკუდა“ ფორმა, ცალკე აღებისას, „მას“ და „მათ“, „შენ“ და „თქვენ“ სიტყვების დაუხმარებლად, რიცხვის გაგებას ვერ იძლეოდა. ასევე ურიცხვო ფორმები იყო:

„უბრძანა“ (მას, მათ), „მოსტაცა“ (მას, მათ), გკითხავ (შენ, თქუენ), გინდა (შენ, თქუენ), უნდა[1] (მას, მათ) და მისთ.

შენიშვნა. იგივე ამბავია სუბ. პირებისთვისაც გარდამავალ ზმნათა თურმეობითის ფორმებში; მაგ.: „შენ და როსტანს მინდორს მეცი დაგეკარცა, ყმა გენახა უცხოვინმე“ 127 $_{10-20}$.

40. პირველი ობიექტური პირი და რიცხვი. პირველი ობიექტური პირი თავისებურებას იმ მხრივ ქმნის, რომ მას მეტი საშუალება აქვს რიცხვის გასარჩევად, ვიდრე ორ დანარჩენს. აქ მოგვეპოვება ორი პრეფიქსი: **მ** და **გუ** (უმარცვლო უნით), რომელთაგანაც მეორე მრავლობითისაა. თუ რომელიმე ძეგლი **გუ** პრეფიქსიან ფორმას სისტემებრ ხმარობს მრავლობითში, მაშინ **მ** პრეფიქსიანი ფორმები მხოლობითისა იქნება, მაგ.: „მომცა“ (მე) და „მოგუცა“ (ჩუენ). „მპოვებს“ (მე) და „გუპოვებს“ (ჩუენ) „მეძინა“ (მე) და „გუეძინა“ (ჩუენ), „მრქუა“ (მე) და „გურქუა“ (ჩუენ) და მისთ. მაგრამ ასეთი გარჩევა უფრო მერმინდელ ძეგლებშია შესაძლებელი. ადრინდელ ძეგლებში კი **გუ** პრეფიქსიან ფორმებს იშვიათად ეხვდებით. იქ უფრო ერთი ფორმა გვხვდება, **მ**ანიანი, და მაშინ (თუ რომ პირდაპირი ობიექტის შემთხვევაში **ნ** არ იქნა ფორმაზე დართული ან ფორმაში ჩართული), გარჩევას ველარ მოვახერხებთ. მართლაც, ძველის ძველი ქართულით ითქმოდა როგორც „მეძინა მე“, ისე „მეძინა ჩუენ“, მაშასადამე, „მეძინა“ ურიცხვი ყოფილა. გარკვეულობისათვის უნდა დაჰრთოდა „მე“ ან „ჩუენ“. მაგალითები „ჩუენ“ სიტყვასთან **მ**ანიანი ფორმების ხმარებისა: „დამაკვრეს ჩუენ“ 5_{11} (=გაგვაკვირეს), „მაუწყე ჩუენ“ 28_{35} (=გვაცნობე), „მომცა ჩუენ“ 28_{35} (=მოგვცა).

41. ბრძანებითი ფორმა მესამე პირისა. შეგვიძლია ეუბრძანოთ არა მარტო მეორე პირს, არამედ მესამესაც. მესამე პირის საბრძანებლად დღეანდელ ქართულში გამოყენებული გვაქვს კავშირებითის ფორმები, მაგ.: „წავიდეს!“ „იყოს!“ „მოკლას! და მისთ. ეს ფორმები ბრძანებითია აქ, თორემ სხვა შემთხვევაში შეიძლება აღარ იყოს ბრძანებითი, როგორც მაგ. ამ ფრაზებში: „ხომ არ წ ა ვ ი დ ე ს?“ (ან: „წ ა ვ ი დ ე ს, თუ არა?“), „აგრე რომ ი ყ ო ს, მაშინ...“, „ცუდი საქმე მოუვა, რომ მ ო კ ლ ა ს“ და მისთ. ძველს ქართულს კი მოეპოვებოდა ისეთი ფორმები, რომლებიც მარტო მ ე ს ა მ ე პ ი რ ი ს საბრძანებლად იხმარებოდა, სხვად კი არა. სამაგიეროდ მას მოეპოვებოდა დაბოლოებანი **-ნ** (მხოლ.ში), და **-ედ** (მრავლ.ში); მაგ. „იყავ-**ნ**“ (=იყოს!), „იყუნ-**ედ**“ (იყონ!), წარვედი-**ნ** (=წავიდეს!), წარვიდ-**ედ** (=წავიდენ!), ბრწყინევდი-**ნ** (=ბრწყინავდეს!), გიხაროდე-**ნ** (=გიხაროდეს!), გალობდ-**ედ** (=გალობდენ, იგალობონ!) და მისთ. მაგალითები ძეგლებიდან: „მოკუედინ იგი“ 22_{8} (=მოკვდეს ის!), „ოქროჲ და ვეცხლი შენი შენთანავე იყავნ“ 22_{30} (=შენი ოქრო და ვერცხლი შენთანვე იყოს!). „იყავნ“ 22_{30} (=იყოს!), „ბრძანენ“ 41_{38} (=ბრძანოს!).

[1] „მინდა, გინდა, უნდა“ ძველად ნამყო იყო (და არა აწმყო) და ამას ნიშნავდა: მსურდა, გსურდა, გსურდა, ჰსურდა.

42. თავისებურებანი დროთა წარმოებისას. დროთა წარმოების თვალსაზრისით ძველი ქართული ახალი სალიტერატურო ქართულისაგან უმთავრესად სამ რამეში განსხვავდება. ჯერ ერთი: მოიპოვებოდა ე. წ. ხოლმეობითის ფორმები, ე. ი. ფორმები, რომლებიც „ხოლმეს“ გაგებას იძლეოდენ, ასე რომ მათთან „ხოლმე“ სიტყვის ხმარება აღარ იყო საჭირო; ასეთი ფორმები აწმყოშიც გვქონდა და ნამყოშიც. აწმყოს ხოლმეობითი ფორმები საშუალ ქართულში აღარ გვაქვს, ნამყოსი კი მეთვრამეტე საუკუნემდის სულ მოდის. მერმე კიდევ: მყოფადის ფორმები (თხრობითი კილოსი) სულ სხვაგვარად იყო ნაწარმოები ძველად, ვიდრე ამჟამად. მესამე: ნამყო უწყვეტელი და პირვ. კავშირებითი ერთი მეორისაგან გარჩეული არ იყო ყოველთვის ძველ პერიოდში.

შენიშვნა. ყველა პირიანი ფორმა ხმნისა შეიძლება გაიყოს ათ რიგად (განშტოების შემთხვევაში კი ცამეტად). ეს რიგები წარმოების მიხედვით (გარდამავალ ხმნებში სინტაქსურ თვისებათა მიხედვითაც) სამ წყებად იყოფა, რომელთაც სერიებს ვეძახით. პირველ სერიაში შედის სამი (განშტოებით ექვსი) რიგი ფორმებისა, მეორეში ოთხი, მესამეში სამი. პირველი სერიის რიგებია: აწმყო, ნამყო უწყვეტელი და პირველი კავშირებითი (აწმყოსი) [განშტოებისას აგრეთვე: მყოფადი, პირობითი, და I კავშირებითი მყოფადისა]. მეორე სერიისა: ნამყო წყვეტილი (ანუ აორისტი), ნამყო ხოლმეობითი, მეორე კავშირებითი (იგივე მყოფადი) და წართქმითი ბრძანებითი. მესამე სერიაში შედის: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი.

43. აწმყო ხოლმეობითი. აწმყოს მესამე პირში ძვ. ქართულს ორგვარი დაბოლოებანი მოეპოვება: ერთი მხრით -ს და -ენ (-ან), მეორე მხრით -ნ და -ედ; მაგ. ერთი მხრით წერ-ს და წერ-ენ, მეორე მხრით კი წერ-ნ და წერ-ედ; ერთი მხრით არ-ს და არი-ან, მეორე მხრით კი არ-ნ და არი-ედ და მისთ. მეორე მხრის ფორმები ხოლმეობითის ფორმებია, ე. ი. „ხოლმე“-ს გაგებას შეიცავენ; სხვანაირად რომ ვთქვათ, წერ-ნ ამას ნიშნავს: „წერს ხოლმე“, წერ-ედ კი ამას: „წერენ ხოლმე“. პირველსა და მეორე პირში ასეთი გარჩევა არ იყო. მაგალითი ძეგლიდან: „ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ იღოცავენ და ულარიღლოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა“ 23_{2-4}.

44. ნამყო ხოლმეობითი. ნამყოში ხოლმეობითის ფორმები ერთი წყება მარტოოდენ მესამე პირში გვხვდება, მეორე წყება კი ყველა პირში. ნაკლული წარმოება ნამყო უწყვეტლის ფორმებთანაა დაკავშირებული და პირველი სერიის ფორმათა ჯგუფში შედის, სრული კი ცალკე არსებობს, როგორც მეორე სერიის ერთ წევრთაგანი.

а) ნ. უწყვეტელს მესამე სუბ. პირში ორშაგი ფორმები აქვს: ერთი -და (მხ.) და -დეს (მრ.), მეორე კი -დის (მხ.) და -დიან (მრ.). მაგ. ერთი მხრით „წერდა“ და „წერდეს“, მეორე მხრით „წერდის“ და „წერდიან“. ამათგან უკანასკნელში ხოლმეობითობას გამოხატავენ: „წერდის“ = წერდა ხოლმე. წერდიან = წერდენ ხოლმე. მაგალითები ძეგლებიდან: „მას თინათინის შეე-

ნება ჰკლევედის წამწამთა ჯარისა“ 118_{10}: „ხბოს დამალევედის 177_{11}.

b) მეორე სერიის ხოლმეობითი, მარტივად ნამყო ხოლმეობითად წოდებული, ყველა ფორმის მქონეა. მისი აუცილებელი ნიშანია ფუძის ბოლოს ი. მაგალითები (სან-ნარევი ძეგლებიდან): დაეწერი, დასწერი, დაწერის, დავწერით, დასწერით, დაწერიან ვიხილი, იხილი, იხილის, ვიხილით, იხილით, იხილიან; განვკუეთი, განჰკუეთი, განკუეთის, განვკუეთით, განჰკუეთით, განკუეთიან და მისთ. „დავწერი“ ამას ნიშნავს: დავწერდი ხოლმე. მაგალითები ძეგლებიდან: „რაჟამს კაცთა დაიძინიან, მან იწყის ღამის თევად“ 58_{38}; „და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის 36_{22-23}; ჩამოვიდის ფრინველი ყოველთა დღეთა, სუის წყალი და მასვე ციხესა შევიდის 81_{26}; ნადიმი გარდავიკადით 83_{4} (=ნადიმს გადავიხდიდით ხოლმე); „რა სეფედავლემ ჩამოაგდის და მოუკლის ცხენი, მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა ზარსა და დაუწყიან ცემა ბუკსა და დაბდაბსა. რა დარეჯანისძემან ჩამოაგდის და ცხენი მოუკლის, ეგრეევე ჩუენ დავსცით ზარი და ვჰკრით ბუკსა და დაბდაბსა“ 85_{6-10}.

შენიშვნა 1. ხოლმეობითის ფორმები აწმყო-ნამყოს გაგებას გარკვეით სახოგადოდ ვერ იძლევიან, ამიტომ შესაძლებელია მათი ერთმანეთში გარევა. მაგალითები ძეგლებიდან: „რომელი გარდამრჩს საქმჱ ჯარ, მას აუწყიან“ 48_{31}: აქ „არ“ აწმყოს ფუძისაგან არის ნაწარმოები (მაშასადამე პირვ. სერიისა არის), „აუწყიან“ კი მეორე სერიისა არის; „რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა“ 36_{26-27}; „იტყჳნ“ აწმყოსია, პირვ. სერიისა, „აღაღის“ და „განუჩინის“ კი მეორე სერიისა; „ჩვეულებაჲ არს ქრისტეანეთაჲ ესრე სახედ: თუ ვინმე თაეი მოიკლის ქრისტჱს მათისათჳს, მოიპარიან გუამი მისი და პატივ სციან მას დაფლვითა და ტყუეილით, რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თავისა მისისასა და ძუალსა მისსა განიყოფედ, რეცა საცოდ სნეულთათჳს, და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუენიან 23_{33-37}. ამ მაგალითებში ორია პირველი სერიისა, აწმყოს ფუძისა („განსთქუმედ“, „განიყოფედ“), ოთხი კი მეორე სერიისა („მოიკლის“, „მოიპარიან“, „პატივ სციან“, „შეიტყუენიან“)

მინდორს ბალახი მომაღლდის, ხბოს დამალევდის, ნადირთა,
იმ წამს მიმართის ირემმა შამბს, მალეით მჳნ დანაპირთა,
ჩვენც თანა გავჰყვით გაწყობით, სიმრავლით არ მებოძირთა,
ალაზანს გავხდით ნავითა სასროლად ზედ მინაშურთა (177_{11-11}).

უკანასკნელ მაგალითში ერთია პირვ. სერიის ფორმა („დამალევედის“, იგი ნამყო უწყვეტლის ფუძისაა), დანარჩენები ყველა მეორე სერიისაა.

შენიშვნა 2. ნამყო ხოლმეობითის ფორმები ახალმა სალიტერატურო ენამ ჩვეულებრივ არ იცის, გამონაკლისის სახით კი ეხვდებით, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველას პოეზიაში, მაგ. „განმარტავდიან“ მათ ამბავს, შანდობა თქვიან გმირთადა, ახლების საწურთნელადა იხსენებდიან ქებითა“ («გველის მჭამელი»).

45. მყოფადის ფორმები. მყოფადის ფორმები თხრობითი კილოსი დღეს ჩვეულებრივ აწმყოსაგან გვაქვს ნაწარმოები: აწმყოს ფორმებს რომ ზმნისწინი დაეურთოთ, მყოფადად გადავაქცევთ. მაგ. „ვწერ“ და „და-ვწერ“, „ვაკეთებ“ და გა-ვაკეთებ, „ვაშენებ“ და „ა-ვაშენებ , „ვიმალები“ და „და-ვიმალები“ და მისთ. ძველ ქართულში თხრობითი კილოს მყოფადს საკუთარი ფორმები არ გააჩნდა, საამისოდ კავშირებითის ფორმები იყო გამოყენებული (პირველისა ან მეორისა, უფრო ხშირად მეორისა). მაგ. „დავწერთ“ დღეს ჩვენთვის მხოლოდ კავშირებითია, ძველად კი კავშირებითიც იყო და თხრობითიც, მყოფადის გაგებით, ე. ი. იგი ასეც შეიძლება ითარგმნოს დღევანდელ ენაზე: დავწერ. მაგალითები ძეგლებიდან: „მუნ ხიხილოთ 4$_{9}$ (=იქ ნახავთ) „მოგბანო სისხლი ეგე“ 13$_{29}$ (=მოგბან მაგ სისხლს), „მე გითხრა და გაუწყო ჭეშმარიტი“ 73$_{37}$ (=მე გეტყვი და გაუწყებ ჭეშმარიტს), „ნაცვლად ჩემდა მამამან შენმან მოგცნეს სხუანი მსახურნი“ 57$_{36}$ (=ჩემ მაგივრად მამაშენი სხვა მსახურებს მოგცემს), „კაცმან მან ადვილად მიგიყუანნეს ადგილსა მას“ 32$_{28}$ (=ის კაცი ადვილად მიგიყვანს იმ ადგილს), „ნაყოფისა მათისაგან ხიცნნეთ იგინი“ 3$_{25}$ (=მათი ნაყოფის მიხედვით იცნობთ მათ); „შევიპყრა ყუავი იგი და შევჭამო და განვისუენო და მომეცეს ძალი და ვიწყო ნადირობად“ 67$_{8-10}$ (=დავიჭერ იმ ყვავს და შევჭამ და მოვისვენებ და მომეცემა ძალა და შეუდგები ნადირობას) და მისთ.

შენიშვნა 1. „ვიტყვი“, „ვნახავ“, „დავწერ“, „წარვალ“, „განვძლიერდები“ და სხვა ზმნისწინიანი ფორმები (აწმყოს ფორმით) აწმყოა ძველი ქართულისათვის და არა მყოფადი. მაგალითები ძეგლებიდან: „იტყჳს თავს თჳსსა ქრისტიანედ“ 22$_{1}$ (=ამბობს ქრისტიანი ვარო), „მკალითა ვერ განეძლიერდები“ 73$_{7}$ (=მკალით ძალა არ მემატება).

შენიშვნა 2. მყოფადის აწმყოსაგან წარმოების შემთხვევებს ადრევე ვჰხვდებით. „ვეფხის-ტყაოსანში“ უფრო ჩვეულებრივია ძველებური ფორმა მყოფადისა: მაგ. „მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო“ და შემდგომი (128—129), თუმცა ახალი წარმოებაც შემთხვევებიც არის. მაგ. „დღეს არა, ხვალე მოკვდები“ 117$_{28}$.

46. ნაჭყო უწყვეტელი და პირველი კავშირებითი. ეს ორი რიგი პირველი სერიისა ახალ ქართულში კარგად არის გარჩეული, ხოლო ძველს ქართულში (უძველეს ძეგლებში) სრული გარჩევა ხერხდება მარტო მესამე პირში, პირველსა და მეორე პირში კი გარჩევა ზოგჯერ ჭირს. მაგ. „ვტიროდე“ ფორმას ახალ ქართულზე შეჩვეული კაცი კავშირებითად მიიღებს, მაგრამ შუშანიკის წამების ამ ადგილას: „და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანაცე“ (11$_{31}$) უთუოდ თხრობითი კილოა, ნამყო უწყვეტელი.

შენიშვნა. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ ინიანი ფორმა (მაგ. „ვტიროდი“) ყოველთვის ნ. უწყვეტელი იყოს. არის შემთხვევები, როცა იგი კავშირებითად არის ხოლმე გამოყენებული, ვთქვათ ასეთ ფრაზაში: „რაჲთა ვტიროდი“ (=რომ ვტიროდი), რაც უფრო ძველ ძეგლებს ახასიათებს.

47. დინამიკური ვნებითის ფორმები. ვნებ. გვარის დინამიკური ფორმების შესახებ შემდეგი უნდა შევნიშნოთ:

a) **ინ**-ენიანი ვნებითის მეორე სერიის ფორმებში მრავლ. რიცხვი ყოველთვის **ნ**არს ჩაირთავს, მაგ. ა) ნამყო წყვეტილში (აორისტში): დავიმალე, დაიმალე, დაიმალა, დავიმალენით, დაიმალენით, დაიმალნეს; დავემალე, დაემალე, დაემალა, დავემალენით, დაემალენით, დაემალნეს; ბ) მეორე კავშირებითში (ანუ მყოფადის თხრობითში): დავიმალო, დაიმალო, დაიმალოს, დავიმალნეთ, დაიმალნეთ, დაიმალნენ; ნ. ხლმეობითში: დავიმალი, დაიმალი. დაიმალის, დავიმალნით, დაიმალნით, დაიმალნიან; წართქმ. ბრძანებითში: დაიმალე, დაიმალენით.

b) ვნებითის მაწარმოებლად **დ** თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო ქართულში, მის მაგივრად **ნ** უნდა ყოფილიყო ყველგან, მაგრამ თანდათანობით მას დონისთვის დაუთმია ადგილი. **ნ**არის დონად შეცვლა ჯერ ისეთ ზმნებში დაწყებულა, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად **ნ**, **რ**, **ლ** ჰქონდათ და შემდეგ სხვა თანხმოვნიან ფუძეებსაც მოსდებია იგი. **ნ**არის ხმარების შემთხვევები ძველ ქართულში საკმაოდ ბლომად გვაქვს: განდიდ-**ნ**-ა 44_{29} (=გადიდდა), განმტკიც-**ნ**-ა (=განმტკიცდა), შეწუხ-**ნ**-ა 41_{25} (=შეწუხდა), დაგლახაკ-**ნ**-ა (=დაღარიბდა), დადუმ-**ნ**-ა 48_{12} (=დადუმდა), განრისხ-**ნ**-ა 42_{1} (=განრისხდა), ჩემთჳს დაჰგლახაკენ მდიდარი 64_{9} (=ჩემთვის დაღარიბდი მდიდარი) და მისთ. მაგალითები უღვლილებისა: დავგლახაკენ, დაჰგლახაკენ, დაგლახაკნა, დავგლახაკენით, დაჰგლახაკენით, დაგლახაკნეს; განვდიდნები, განსდიდნები, განდიდნების, განვდიდნებით, განსდიდნებით, განდიდნებიან.

შენიშვნა. როცა ფუძეს ბოლოში **ნ**, **რ**, **ლ** მოუდის, მაშინ ძველის ძველ ძეგლებშიაც უკვე **დ** არის ყველგან გატარებული, მაგ. შეუძნ-დ-ა (=გაუპირდა, ძნელად ეჩვენა), განმწუან-დ-ა, განმდიდრ-დ-ა, დაბერ-დ-ა, განახლ-დ-ა, აღმაღლ-დ-ა და მისთ.

48. სტატიკური ვნებითის ფორმები. სტატიკური ვნებითის აწმყოს ფორმებს **ე** მოუდის ბოლოში, გარდა მესამე პირის მრავლობითი რიცხვისა, მაგ. ვჰგონიე=(ვჰგონიაარ), ჰგონიე, ჰგონიეს, ვჰგონიეთ, ჰგონიეთ, ჰგონიან; ვსწერიე (=ვსწერიაარ) სწერიე, სწერიეს, ვსწერიეთ, სწერიეთ, სწერიან; მაგ. „ქუეყანაჲ იგი ჭარლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს“ 21_{3-4}.

ნამყო წყვეტილში ამის ფორმებსაც **ნ** აქვს მრავლობით რიცხვში ყველგან, მაგ. ვეწერე, ეწერე, ეწერა, ვეწერენით, ეწერენ-ით, ეწერნეს; მაგ. „სამნი კარნი ებნეს“ 98_{7}.

49. პირველი თურმეობითი. პირველი თურმეობითის წარმოებას **ე** ახასიათებს ბოლოში ისე, როგორც ეს არის სტატიკური ვნებითის აწმყოში (§ 43), მაგ. დამიწერიე-ს. ობიექტური პირების მიხედვით რომ ეცვა-

ლოთ, ეგეგე მაგალითი ასეთ სახეს მიიღებს: დაუწერიე (=დაეუწერიჟარ), დაუწერიე, დაუწერიეს, დაუწერიეთ, დაუწერიეთ, დაუწერიან. ითქმის: „დამიწერიეს ებისტოლს“ და „დამიწერიან ებისტოლენი“ (ობიექტის რიცხვის გარჩევით); მაგალითები ძეგლებიდან: „შენი ადგილი დაგიტეებიეს“ 12_{14}; „მე ვითარ მიცნობიეს“ 12_{8} (=მე როგორც გამიგია); „მიმიცემიეს შათდა“ 30_{11}; ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგვმზადებიან შენთჳს“ 23_{1}.

შენიშვნა 1. ავ'იან ზმნებს სხვაგვარად აქვს ნაწარმოები ფორმა; მაგ. მინახაეს (ი გი), მინახვან (ი გი ნი).

შენიშვნა 2. იგივე დაბოლოებანი ბოუდის ორ-პირიან გარდაუვალ ზმნას იმავე დროში; მაგ. „არა მომცემიეს ძალი“ 73_{6}.

50 მეშველ-ზმნიანი ფორმები. მეშველი ზმნის დართვა ძველს ქართულში მხოლოდ მესამე სერიის ფორმებშია შესაძლებელი, ისიც ენებითი ზმნების ერთპირიან ფორმებში. უნდა შევნიშნოთ ოღონდ, რომ მთავარი ზმნა, მიმღეობის სახით წარმოდგენილი, თავში პირის ნიშანს არ მიიღებს. მაგალითები: პირ. თურმეობითი: ყოფილ ვარ (და არა: ეყოფილვარ), ყოფილ ხარ, ყოფილ არს, ყოფილ ვართ, ყოფილ ხართ, ყოფილ არიან; შორე თურმეობითი: ყოფილ ვიყავ, ყოფილ იყავ, ყოფილ იყო, ყოფილ ვიყვენით, ყოფილ იყვენით, ყოფილ იყვნეს; მესამე კავშირებითი: ყოფილ ვიყო, ყოფილ იყო, ყოფილ იყოს, ყოფილ ვიყვნეთ, ყოფილ იყვნეთ, ყოფილ იყვნენ.

მეშველი ზმნის ხმარება აწმყოში შეუძლებელი იყო. „დგომა“ ზმნა, მაგ., ასეთ უღვლილებას გვაძლევდა: ვდგა, სდგა, დგას, ვდგათ, სდგათ, დგანან. აგრეთვე: ვზი, ჰზი, ზის, ვსხედთ, ჰსხედთ, სხედან; უყვარ (=ეუყვარვარ), უყვარ (=უყვარხარ), უყვარს, უყვართ (ჩვენ მას), უყვართ (თქვენ მას), უყვარან; ვსძულ (=ვსძულვარ), სძულ (სძულხარ), სძულს, ვსძულთ, სძულთ, სძულან; ვჰგონიე (=ვჰგონიეარ), ჰგონიე, ჰგონიეს, ვჰგონიეთ, ჰგონიეთ, ჰგონიან და მისთ. მაგალითები ძეგლებიდან: „ნუცაღა გძაგ“ 12_{10} (=ნურც გძაგვარ), „შენ უწყი, საყუარელო ჩემო, ვითარ მიყუარ“ 55_{31} (=შენ იცი, ჩემო საყვარელო, თუ როგორ მიყვარხარ.

51. თავისებური ზმნები. თავისებურ ზმნათაგან შეიძლება აღვნიშნოთ:

a) **ღება** (აღ-ღება, გან-ღება, წარ-ღება, მო-ღება და სხვ.). ამისი ძირია ღ, რომელიც მარტოდენ მაშინ იხმარება, როცა პირდ. ობიექტი (გარდამავლობის შემთხვევაში) ან სუბიექტი (გარდაუვალობის შემთხვევაში) მხოლობითშია. მრავლობითისათვის კი მას ენაცვლება ხუ ძირი (უმარცვლო უნით): მო-ღება || მოხუმა. მაგალითად ითქმის „გაგუიღო კარი“ (81_{11}), „კარი უკუაღო (80_{33}), მაგრამ: „გაახუნეს კარნი მის კლდისანი“ 80_{4}, „მოიხუნა კიდობანნი“ 54_{17}, მაგრამ ერთზე რომ ყოფილიყო საუბარი, გვექნებოდა: მოიღო კიდობანი.

ხ) ყოლა ზმნის მნიშვნელობა აქვს ჳ ფუძეს, რომელსაც ნამყოში. სუ (უმარცვლო უნით) ენაცვლება. ესენი იხმარებიან მაშინ, როცა ადამიანთა (მამისა, შვილისა, ცოლისა და სხე.) შესახებ არის საუბარი; გივის [=მყავს], გივის, უვის, გჳვის, გივის, უვის;. მესუა [=მყავდა], გესუა, ესუა, გუესუა, გესუა, ესუა. ორთავე ფუძეს **სხენ** ენაცვლება, თუ რომ ბევრის ყოლაზეა საუბარი: მისხენან, გისხენან, უსხენან, გჳსხენან, გისხენან, უსხენან; მესხნეს, გესხნეს, ესხნეს, გუესხნეს, გესხნეს, ესხნეს.

V. სინტაქსი

52. **სახელის განსაზღვრა.** სახელი შეიძლება სამგვარად იქნეს განსაზღვრული: ნაწევრით, ზედსართაჳთ და ნათესაობითში დაყენებული სახელით. უძველეს ძეგლებში სამსავე შემთხვევაში მსაზღვრელი უმეტესად მოსდევს საზღვრულს. შემდეგ კი თანდათანობით მსაზღვრელ-საზღვრული იცვლიან ადგილს, ისე რომ ახლა ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ დგას საზღვრულზე, მაგ. ძველად იყო: მთაჲ მაღალი, ახლა კი გვაქვს: მაღალი მთა; ძველად იყო ძირი მთისაჲ, ახლა კი გვაქვს: მთის ძირი და მისთ.

53. **ნაწევარი.** ძველს ქართულში სიტყვები: „ესე, ეგე, იგი“ დამოუკიდებლადაც იხმარებოდა და სხვა სახელზე დართვითაც. სხვა სახელზე დართვისას მათ ნაწევრის მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ნაწევრიანი სიტყვა ძველს ქართულში განსაზღვრულად ითვლებოდა, უნაწევრო კი განუსაზღვრელად. განუსაზღვრელობის შემთხვევაში სახელს, ზედმიწევნილობის მიზნით, შეიძლებოდა დაჰრთოდა სიტყვა „ეინმე“, ან „ერთი“ (მაგრამ უკანასკნელი არა რიცხვის გამოსახატაჳად); მაგ., „სახლი იგი“ (ან „სახლი ეგე“, „სახლი ესე“) ძვ. ქართულისათვის იგივეა, რაც ფრ. la maison, გერმ. das Haus, მაშინ როდესაც მარტო „სახლი ერთი“ („რომელიღაც სახლის“ მნიშვნელობით) განუსაზღვრელი იყო და იმასვე ნიშნავდა, რასაც ფრანგული une maison, ან გერმ. ein Haus.

შენიშვნა. მთლად ერთიდაიგივეობა არ არის ფრანგ.-გერმ. განსაზღვრებით ნაწევარსა და ძვ. ქართულს ნაწევარს შორის: ფრანგულსა და გერმანულში ნაწე არის სქესის მიჩვენებელია (ფრ. la მდედრობითისა, გერძ. das საშუალისა), ქართულში კი ნაწევარი პირთან ურთიერთობას გულისხმობს: პირველთან (ესე), მეორესთან (ეგე), ან მესამესთან (იგი), რაიცა აღნიშნულ ენებში არ მოიპოვება.

ნაწევრის ხმარების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა, პირველად ხსენებული საუბარში, რომელიღაცაა, განუსაზღვრელია, გაურკვეველია, შემდეგ კი იგი ცნობილი ხდება და ნაწევარი დაერთვის ხოლმე. მაგალითები: „კაცმან ვინმე შეიპყრა მჭურინაჲი და დაჰკლვიდა მას“ 56,ვე. აქ ვიღაც კაცზეა საუბარი, იგი პირველად არის ნახსენები და ამიტომ

ვინმე არის დართული. მაგრამ ცოტა ქვეყოთ სწერია: „ვითარცა ესმა **კაცსა მას**“ 57_9. აქ უკვე სიტყვა განსაზღვრულად არის წარმოდგენილი. სხვა მაგალითი: ქურციკის შესახებ ეკითხულობთ: „**ერთი ქურციკი** ნახეს“ 76_{32}, მაგრამ შემდეგ ნათქვამია: „ნახეს **იგი ქურციკი**“ 77_4 და ცოტა ქვემოთ კიდევ: „წაიდა **ქურციკი იგი**“ 77_7. კიდევ მაგალითი: „**ფიცი** აღუთქუა“ 7_2, შემდეგ კი სწერია: „**ფიცისა მისთჳს**“ 7_5; „ვითარ **ერი** დაესხმოდა მას“ 7_{14}, ხოლო შემდეგ: „და ასწავებდა **ერსა მას**“ 7_{21}. უკანასკნელად კიდევ ერთი მაგალითი: „და დადგეს წმიდაჲ იგი **ურემსა** ზედა“ 24_5. „ურემი“ აქ პირველადაა ნახსენები და ამიტომ განუსაზღვრელადაა წარმოდგენილი, მაგრამ შემდეგ ეკითხულობთ: „და მუნ გარდამოიღეს **ურმისა მისგან**“ 24_8. აქ კი იგივე სიტყვა განსაზღვრულია, რადგანაც საუბარია სწორედ იმ ურემზე, რომელიც ზემოთ ახსენეს.

შენიშვნა 1. სამუალ ქართულში ნაწეე რი იხმარება, ძაგრამ არა სისტემებრ. ახალ ქართულში კი ნაწევარი არსებითად აღარ მოიპოვება.

შენიშვნა 2. სიტყვა „ერთი“ შეიძლება რიცხვის გამოსახატავადაც იხმარებოდეს და განუსაზღვრელობის ნაწევრადაც. რიცხვის აღნიშვნის მაგალითია: „თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“ 37_{30} (აქ საუბარია საოსტიგნე დიდ სენაკზე, რომელიც ერთი აუშენებიათ, და არა ორი, ან სამი); აქ კი ნაწევარია: „ბრძანა განტეეებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყუანებაჲ“. (13_{15}).

შენიშვნა 3. კითხვით სახელებთან ხმარებისას „ესე, ეგე, იგი“ იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა ძველად, როგორც დღეს ნაწილაკი -ც, ე. ი. კითხვით სიტყვას კითხვის ძალას უკარგავდა და რელატურად (მიმართებითად) აქცევდა ხოლმე; ეგ. „რასა იგი მეტყჳს მე“ 57_{30} ამას ნიშნავს: რასაც მეტყვის მე; „რაჲ ეე ხიქმნა“ 5_1 ამას ნიშნავს: რაც მოხდა; „სადაცა იგი ხუბრძანა მათ 4_{21}—აქ უკვე ცა'ც არის ნახმარი და „იგი“ც. უფრო გამართული იქნებოდა: სადა იგი ხუბრძანა მათ, ან: სადაცა ხუბრძანა მათ (ე. ი. ერთ-ერთი: ან -ცა, ან იგი).

54. განმარტების ადგილი. განმარტება ჰქვია სახელს, რომელიც მსაზღვრელადაა წარმოდგენილი. იგი შეიძლება იყოს ზედსართავი და ნანათესაობითარი სახელი, ან თვით ნათესაობითის ფორმა.

შენიშვნა. განსაზღვრის თვალსაზრისით მიმღეობა იგოვება, რაც ზედსართავი.

ა) ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი. ზედსართავი ძველს ქართულში შეიძლება პირველ ადგილზედაც იყოს და მეორეზედაც, უძველეს ძეგლებში იგი უმეტესად მოსდევს მსაზღვრელს, შემდეგ და შემდეგ კი უსწრებს მას. მაგ. „არავინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, რაჲთა არა განხეთქოს ღჳინომან ახალმან თხიერი“ 8_{14}. აქ ზედსართავებს (ა ხ ა ლ ი, ა ხ ა ლ მ ა ნ, ძ უ ე ლ ს ა) ყველგან მეორე ადგილი უჭირავს. სიტყვ -სიტყვით რომ ვთარგმნოთ ახალ ქართულზე ეს ნაწყვეტი, მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შებრუნებული გამოვა: არავინ ჩაასხაის ხოლმე ახალ ღვინოს ძველ ტიკში, რომ არ გახეთქოს ახალმა ღვინომ ტიკი“. სხვა მაგალითები: „ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ 15_{20} (=ცხელი ქარები და მავნებელი წყლები); „ძჳ იგი მისი უხუ-

ცესი“ 3_{36} (=მისი უფროსი ვაჟი;) „სიხარულითა დიდითა 4_{10}; „ვეცხლი დიდძალი“ 4_{17}; სახლაკი ერთი მცირჱ“ 11_{23} და მისთ.

შებრუნებული რიგი (ჯერ მსაზღვრელი და. მერმე საზღვრული): „ფიცხელსა სიტყუასა“ 12_{5}; „სადიასპანოჲთა ცხენითა 11_{14}; „შენი ადგილი“ 12_{14}; „ერთითა მსახურითა“ 13_{19}; „ყოველითა გულითა“ 19_{38}; „დიდითა შრომითა“ 43_{3}; „არცა ფრიადი სიცხჱ შესწუაეს მათ და არცა გარდარეული სიციეჱ შეაურვებს მყოფთა მისთა“ 42_{32-33} და მისთ.

შეიძლება კაცმა მონახოს ერთნაირი გამოთქმები, მაგრამ სხვადასხვა რიგით: „ცრემლითა მწარითა“ 11_{16}, მაგრამ ცოტა ქვემოთ: „მწარითა ცრემლითა 11_{21}, ან კიდევ სხვადასხვა რიგი ერთსა და იმავე წინადადებაში: „უმანკოჲ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა“ 39_{37-38}.

ბ) ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი სახელი. სახელს, რომელსაც ფუძედ ნათესაობითის ფორმა აქვს გამოყენებული, ნანათესაობითარი ჰქვია, ანუ ნ ა გ ე ნ ი ტ ი ვ ა რ ი. ასეთი სახელი, სხვა სახელის მსაზღვრელად ხმარების დროს, ადრინდელ ძეგლებში ჩვეულებრივ მეორე ადგილზეა და იბრუნვის, მერმე კი ისიც თანდათანობით იცვლის ადგილს, წინ ექცევა საზღვრულს და უბრუნველი ხდება. მაგალითები შემდეგ დასმისა: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მკურვალებაჲ მზისაჲ“ 15_{34}; „ჟამი პურისაჲ“ 12_{20}; „ქებაჲ ხანძთისაჲ“ 39_{1}; „მოწაფენი იოვანჱსნი“ 8, და მისთ. მაგალითები წინ დასმისა: „დედათა ბუნებაჲ“ 12_{7}; „მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზაებითა 39_{2}; „ძელისა ეკლესიაჲ“ 37_{32} (=ხის ეკლესია); „კლარჯეთისა უდაბნოთა“ 37_{18}; „ხანძთისა შჱნებაჲ“ 37_{16} და მისთ.

55. **რთული შემასმენელი.** როცა შემასმენელი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგანაც ერთია პირიანი სიტყვა (ჩვეულებრივ მეშველი ზმნა: ვარ, ვიყავ, იშვიათად სხვა ზმნებიც) და მეორე ბრუნვიანი სახელი, ეს უკანასკნელი ძველის-ძველ ძეგლებში წრფელობითის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითები: „რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“ 45_{24}; „ფართო არს ბჭჱ და ვრცელ გზაჲ“ 3_{19}; „ყოვლითურთ უქმ და ულუაწ არს ადგილი ესე“ 30_{15}; „იყო ხილეითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოველად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ 36_{35-36}.

შენიშვნა. საშუალი ქართულის მერვინდელ ძეგლებში წრფელობითის ადგილს ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ სახელობითი იჭერს.

56. **საკუთარი სახელი ხუბიექტად და პირდაპირ ობიექტად.** სახელობითისა და მოთხრობითის ფორმები ძველ ქართულში საკუთარ სახელებს გარჩეული არ აქვთ. ამიტომ, როცა წინადადებაში ორი საკუთარი სახელია

ნახმარი, რომელთაგანაც ერთი მოთხრობითშია მოსალოდნელი და მეორე სახელობითში, მათს სინტაქსურ ვითარებას რიგის მიხედვით ვარკვევთ: პირველი სუბიექტია, მეორე კი პირდაპირი ობიექტი; მაგ. „ხოლო **ჰეროდე** მაშინ შეიპყრა **იოვანე**“ 6_{16} — აქ სუბიექტია „ჰეროდე“, პირდ. ობიექტია „იოვანე“ (=ხოლო ჰეროდემ მაშინ დაიპირა იოანე). რომ შეგვეცვალა რიგი, მაშინ საწინააღმდეგო აზრს მივიღებდით: „ხოლო იოვანე მაშინ შეიპყრა ჰეროდე“ ამას ნიშნავს: ხოლო იოანემ მაშინ დაიპირა ჰეროდე.

საკმარისია, ერთ-ერთ სახელს გაუჩნდეს ბრუნვის ნიშანი, რომ მაშინვე გაირკვეს ორივეს სინტაქსური როლი რიგის გარეშეც: იქნება „ზირაქ შეიპყრა კახაჲ“ (9_6), თუ შებრუნებულად: „კახაჲ შეიპყრა ზირაქ“, სულ ერთია, დაპერილად მაინც კახას გავიგებთ. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ერთ-ერთ სახელთან დაროულ განმარტებას, რომელსაც აღნიშნული ბრუნვები გარჩეული აქვს. როცა გვაქვს: „მოკლა ნოსარ ბაყბაყ-დევი (82_{13}), ცხადია, თუ რომელია მკვლელი და რომელი მოკლული, მაგრამ საკმარისია შევცვალოთ „დევის“ ფორმა, რომ სულ სხვა აზრი მივიღოთ: მოკლა ნოსარ ბაყბაყ-დევმან.

57. სუბიექტის ბრუნვა ნამყო ხოლმეობითთან. მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე ქართულში საზოგადოდ (ძველადაც და ახლაც) a) მოთხრობითშია იმ შემთხვევაში, თუ ზმნა გარდამავალია და b) სახელობითშია, — თუ ზმნა გარდაუვალია. რადგანაც ნამწრო ხოლმეობითი მეორე სერიის ფორმათა ჯგუფს განეკუთვნება (იმ სერიისას, რომელსაც ეკუთვნის ნ. წყვეტილი ანუ აორისტი), ამიტომ მასთან ქვემდებარე მოთხრობითშიაც არის შესაძლებელი და სახელობითშიც, იმის მიხედვით, თუ როგორია ზმნა: გარდამავალი, თუ გარდაუვალი; ამიტომ გვაქვს: „**მან** იწყის 58_{38} (რადგანაც „იწყო“, „იწყის“ გარდამავალია), მაგრამ: „ჩამოვიდის **ფრინველი**“ 81_{36} (რადგანაც „ჩამოვიდა“, „ჩამოვიდის“ გარდაუვალია).

58. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვი და შემასმენელი. ძველს ქართულში მრავლობითისათვის ორგვარი დაბოლოება გვაქვს: უფრო ხშირი ნარიანი (კაც-ნ-ი) და უფრო იშვიათი ებ-იანი (კაც-ებ-ი). სინტაქსური თვალსაზრისით მათ სულ სხვადასხვა ძალა აქვთ: როცა სუბიექტი ან პირდ. ობიექტი სახელობითშია და ნარიანია, მაშინ პირიანი ზმნაც მრავლობითის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი (ისევ ნარიანად), თუ არა და,—ე. ი. თუ ისინი ებ-იან მრავლობითშია, — მაშინ რიცხვში შეთანხმებას ადგილი არა აქვს. მაგალითები:

a) ერთ ადგილას ეკითხულობთ: „მუნ **არს ხაფლავები** კაცთა მის ქალაქ სათაჲ“ (24_7). რაკი სუბიექტი („საფლავები“) ებიან მრავლობითშია, არც შემასმენელი აჰყვა მას („არს“) და არც მსაზღვრელი („ქალაქისათაჲ“). სულ-ერთიანად შეიცვლებოდა საქმის ვითარება, რომ ებ-იანის ნაცვლად ნარიანი მრავლობითი ყოფილიყო ნახმარი; მაშინ გვექნებოდა: „მუნ **არიან** საფლავნი კაცთა მის ქალაქისათანი“. სწერია: „არა **ესმიან**

ცუდნი ეგე **ხიტყუანი შენნი**“ 23_{20}. ეგეც წინადადება ებ'იანი მრავლობითის შემთხვევაში შემდეგნაირად გადაკეთდებოდა: არა ესმის ცუდი ეგე სიტყუები შენი. ეს იყო სუბიექტის მაგალითები. ახლა პირდ. ობიექტისა ენ.ხოთ.

ბ) ერთ ადგილას ეკითხულობთ: „**შთადვა** მას შინა **თუალები პატიოსანი**“ 54_{21}. აქ რომ „თუალების“ ნაცვლად „თუალნი“ ყოფილიყო, სხვაგვარად გადაკეთდებოდა ზმნაცა და მსაზღვრელი სახელიც: შთასხნა მას შინა თუალნი პატიოსანნი“. კიდევ მაგალითი: წინადადება „სენაკებიცა იშჱნეს“ (34_{28}), შეიძლება ასე გადაკეთდეს: სენაკნიცა იშჱნნეს.

59. პირდაპირი ობიექტი სწყისთან. პირდაპირი ობიექტი ჩვეულებრივ შეიძლება პირიან სიტყვას ჰქონდეს ქართულში, ბრუნვიანს კი არა. მაგრამ უძველესი ძეგლების ენაში გვხვდება შემთხვევები მისი ხმარებისა ბრუნვიან სიტყვასთანაც. სახელდობრ, როცა საწყისი ზმნისა (მასდარი) ვითარებით ბრუნვაშია დაყენებული, მას, ევროპ. ენების ინფინიტივის მსგავსად, შეიძლება პირდ. ობიექტი ჰქონდეს, მაგ. „ბრძანა **მიცემად იგი** მას“ 7_6 [რუსულად: велел дать ее (голову) ей]; „იწყეს შჱნებად მცირე ტალავარი 27_{39} (რუსულად: начали строить маленький шатер)) და მისთ. სა-შუალსა და ახალ ქართულში ასეთი კონსტრუქციის ნაცვლად სხვა იხმარება: ან მასდარი უნდა გადაკეთდეს პირიან ფორმად („ბრძანა, მისცენ იგი მას“), ან კიდევ პარდაპირი ობიექტი მსაზღვრელად უნდა იქნეს გადაკეთებული („იწყეს შენება მცირე ტალავრისა“).

60. თანდებული სახელთან. „თანა“ თანდებული ძველ ქართულში ნათესაობითს მოითხოვს და არა მიცემითს, როგორც ახლა, მაგ. „იყო მის თანა“ 20_9, „ნერსე ერისთვისა თანა“ 19_{33}.

როცა საზღვრულს მსაზღვრელი ახლავს, თანდებული შეიძლება ერთთანაც დაისვას და მეორესთანაც, მაგ. „ნაყოფისა მათისაგან“ 3_{25} შეიძლება ასეც იქნეს წარმოდგენილი: ნაყოფისაგან მათისა.

61. მცა ნაწილაკის ხმარება. ძველს ქართულში „-მცა“ ნაწილაკის ხმარებას ის თავისებურება ახლავს, რომ იგი კავშირებით კილოს ვერ ეგუება. ყოველთვის, როცა კავშირებითი კილოს ფორმაა წინადადებაში მოსალოდნელი, იგი აუცილებლად თხრობითად უნდა გადაკეთდეს, თუ კი სადმე მცა ნაწილაკი გაერია. ფრაზა „არა ჰაქუს რაჲ ჭამონ 7_9 (=არაფერი აქვთ, რომ ჭამონ) **მცა** ნაწილაკის გარეშეისას ასე გადაკეთდება: არა-ჰაქუს, რამცა ჭამეს. წინადადება „რაჲთამცა იგი ხოლო შესუა“ 13_1 შეიძლება ასე გადავაკეთოთ აზრის შეუცვლელად: რაჲთა იგი ხოლო შესუას.

შენიშვნა. მცა ნაწილაკს თავისი სინტაქსური ძალა საშუალ ქართულში კარგა ხანს ჯადმოჰყვა. ეფხის ტყაოსანში, მაგ., იგი ყოველთვის ძველებური სინტაქსური ძალის მქონეა, — მოსალოდნელ კავშირებითის ფორმას თხრობითისად აქცევს ხოლმე: „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავემან ვითამცა ჰკადრა ფერობა“ო ვკითხულობთ

იქ 117_{24}), მაგრამ „მცა“ ნაწილაკის ნაცვლად შოთას რომ სხვა ჩაესვა, ვთქვათ ღა, მაშინ ზედნა აუცილებლად კაეშირებითში გადაჯდებოდა და მთელი წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითაღა ჰკადროს მტერობა“?

62. კითხვითი ა. თუ წინადადებაში არ არის ნახმარი კითხვითი სიტყვა (რა, ვინ, რომელი, როგორ, რანაირი, სად და მისთ.) და საჭირო კია, რომ კითხვა იქნეს გამოხატული, იძულებული ვართ ლაპარაკის კილო შევცვალოთ. მაგ. „გუშინ წაიდა“ და „გუშინ წაიდა-ა“? სულ სხვადასხვაგვარად გამოთქმული სიტყვებია. ძველად ასეთ შემთხვევაში მოიპოვებოდა -ა ნაწილაკი, რომელიც საკითხავ სიტყვას დაერთოდა; მაგ. „უწყი-ა, ხუცეს“? 14_8 (იცი, ხუცესო? ინტონაცია „იცი“-ზე); „კეთილ არს-ა, ანუ არა“? 46_{15}; „და მე ესრეგე-ა“? 53_{30}; „გაახარებ-ა“? 99_5 (გაახარებ?); „არა მისი განზრდილი ხარ-ა“? 13_{29} (=მისი გაზრდილი არ ხარ?) და მისთ.

შენიშვნა 1. კითხვითი ა საშუალ ქართულშიც ცოცხალი მოვლენაა. ‹როსტომიანში› მაგ. ერთ შაირში (გვ. 150-151) ოთხივე სტროფონი კითხვას შეიცავს, მაგრამ კითხვითი ა სამჯერ არის ნახმარი, მეოთხედ კი არა, რადგანაც იქ უკვე კითხვის სიტყვაა მოყვანილი („რად“):

„გაჰხე-ა, შვილო, უღონოდ მამისა იმედეული?
ჩასწევე-ა სამარეშიგან, ხანჯლითა ღვიძლ-დახეული?
ჭკეიანო შვილო, განახა-ა შენ როსტომ ლახეაო-ხეული?
რად არ უჩვენე მანამდის ეგ მძივი იმათეული?“

შენიშვნა 2. ასეთი ფრაზების წაკითხვის დროს ისეთი ჩვეულება აქვთ ხოლმე, რომ თეით კითხვით ანს დასცეშენ ხოლმე ტონს. მაგრამ ეგ ტონი ბოლოდან მეორე მარცვალზე უნდა იქმნეს გადმოწეული, როგორც ამაზე მიგვითითებს კითხვის ქვეშ დაყენებული სიტყვების დღევანდელი ლიტერატურული გამოთქმა (იგულისხმება, რომ მახვილიანი მარცვლის შემდეგ უმახვილო კითხვითი ა დაიკარგებოდა), ან არა და ტონი სულ წინა მარცვალზე უნდა იქნეს გადმოტანილი, როგორც ამაზე მიგვითითებს მთის კილოები (ფშაური და სხვ.), სადაც კითხვითი -ა ახლაც ცოცხალია. მაშასადამე, „გაახარება“ (99_5) ასე კი არ უნდა წაეკითხოთ: გაახარებ?; არამედ ასე: გაახარება, ან ასე (ფშაურის მიხედვით): გაახარება? სხვა მაგალითი: „არა მისი გაზრდილი ხარა“ (13_{29}), — აქ კითხვის მახვილი არა სულ ბოლოს იქნება (ხარ?), არამედ იმის წინ (ხარა), ან კიდევ სულ თავში (არა მისი...)

თუ მთიელი (ფშაველი, ხევსური და სხვ.) გყავდეთ ნაცნობი, წაკითხეთ ზემორე მოყვანილი შაირი როსტომიანიდან, დააკვირდით კარგად კითხვის გამოთქმის ხასიათს და ეცადეთ გაიმეოროთ.

63. ბრუნვა წინადადებით განსაზღვრულის სახელისა. თუ რომელიმე სახელი განსაზღვრულია დამოკიდებული წინადადებით, იგი, ბრუნვის მიხედვით, ანგარიშს უწევს დამოკიდებული წინადადების ზმნას, და არა მთავარისას. მაგ. „აწ სპარსნი რომელნი პირველითგან მოაქამომდე და წაღმართ და მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარისა მსახურთანი, ჟამსა ულონოჲ ბისასა ლიქნითა ყვიან სიყუარული“ 73_{19-21}. დღევანდელი სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით საჭირო იყო: აწ სპარსთა... ლიქნითა ყვიან სიყუარული“, მაგრამ ძველად სხვა მდგომარეობა იყო: „სპარსნი“, ეს სიტყვა დამოკიდებული წინადადების „არიან“ ფორმას უწევს ანგარიშს. ასეთივე მაგალითია: „გარნა ღმერთსა რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებავს ცხოვრებაჲ..., მიანიჭა მას შვილი კეთილი“ 51_{29-30}.

დამატება I.

რიცხოლბრივი მნიშვნელობა ასოებისა.

„არაბული“ ციფრების წერის შემთხვევები ჩვენში უკვე მათე საუკუნეში გვხვდება. რომ იგი ერთ დროს საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ძველად ჩვენშიც, იქიდან ჩანს, რომ ბაგრატის ტაძარზე (ქუთაისში) იატაკის განმტკიცების ქრონიკონი 223 „არაბული“ ციფრებით არის გამოყვანილი (ნ. ტაბ. 7). მაგრამ მაინც ციფრების საყოველთაოდ ხმარებამ ჩვენში გვიან მოიკიდა ფეხი. მეთვრამეტე საუკუნემდის რიცხვების გამოსახატავად ასოებს ხმარობდენ ჩვეულებრივ. მაგრამ სისტემა ასოებით რიცხვების გამოხატვისა სულ სხვა იყო, ვიდრე ციფრებით გამოხატვის დროს არის. მართლაც, ციფრებით გამოხატვისას რიგს ექცევა ყურადღება: პირველი ბოლოდან ერთეულია, მეორე ათეული, მესამე ასეული და ასე შემდგომ; სადაც რომელიმე მათგანი (ერთეული, ათეული, ასეული და სხვ.) გვაკლია, იქ ნული დაისმის, ამიტომ სულ ათი ნიშანია საკმარისი უდიდესი რიცხვების გამოსახატავად. ასოების ხმარების დროს კი მთელი ანბანი იყო გამოყენებული რიცხვების გადმოსაცემად, მაგრამ ისე, რომ 36 ასოთაგან პირველი ცხრეული ერთეულებს აღნიშნავდა, მეორე ცხრეული ათეულებს, მესამე ასეულებს, მეოთხე კი ათასეულებს; სახელდობრ: ა ერთი იყო, ბ ორი, გ სამი, დ ოთხი და ასე შემდეგ; ი ათი, კ ოცი, ლ ოცდაათი, მ ორმოცი, ნ ორმოცდაათი (ანუ ერგასისი) და ასე შემდეგ; რ ასი, ს ორასი, ტ სამასი, ჳ (მხედრულად წერის დროს უ) ოთხასი, ფ ხუთასი და ასე შემდგომ; ჩ ათასი, ც ორი ათასი, ძ სამი ათასი და ასე შემდგომ. რჩებოდა ბოლოს ჯ, რომელიც ათიათასს (ანუ ძველებურად: **ბევრს**) აღნიშნავდა. ზემორე თქმულის მიხედვით შეიძლება ასეთი ცხრილი წარმოვადგინოთ:

ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჱ	თ
	1	2	3	4	5	6	7	8	9
ათეულები	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
	10	20	30	40	50	60	70	80	90
ასეულები	რ	ს	ტ	ჳ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
	100	200	300	400	500	600	700	800	900
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჴ	ჰ
	1000	2000	3000	4000	5000	6000	7000	8000	9000
ბევრეული	ჯ								
	10000								

შენიშვნა 1. უ თავდაპირველად ანბანში არ ერია. მას შემდეგ, რაც იგი ორი ასოს შეერთებისაგან წარმოიშვა (§ 9), მან ½ ნიშნის ადგილი დაიჭირა ტარს შემდეგ და რიცხობრივადაც იმასვე აღნიშნავდა, რასაც ½, ე. ი. 400-ს. ასე რომ მრგლოვანი ხელით ან ნუსხურად დაწერილ ძეგლებში 400-ის გამოსახატავად ½ გვხდება, მხედრულად დაწერილებში კი უ.

შენიშვნა 2. ჴ ასოს, რომელიც გვიან შემოდის, რიცხობრივი მნიშვნელობა არ მიუღია.

შენიშვნა 3. ასოების რიცხობრივად გამოყენება გულისხმობს, რომ რიგი ასოებისა ანბანში მტკიცეა. ქართული ასოების რიგი ჭანამდე ცოტაოდენი ცვლილებებით ბერძნული ანბანის რიგს მისდევს. ამიტომ თანხმარი ასოები ქართულსა და ბერძნულში (მაგ. ქართ. ბ და ბერძნული ბ, ქართული რ და ბერძნული რ) ერთსა და იმავე რიცხვს გამოხატავენ რადგანაც ბერძნული ანბანის რიგი დაახლოებით ლათინურშიც გამეორებულია და რუსულშიც, ამიტომ ჭანამდის ამ ამბანთა ასოების რიგი ცოტად თუ ბევრად ერთნაირია. მაგ. ასოები კ, ლ, მ, ნ ისე მიდევენ ერთმანეთს ქართულში, როგორც სათანადო ასოები ბერძნულში, ლათინურში, რუსულში. ქართულისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ასოები (ღ, ყ, შ, ჩ და სხვ.) სულ ბოლოსაა მოქცეული. მოსალოდნელი იყო ოღონდ, რომ ჭ ჰარს შემდეგ ყოფილიყო მოთავსებული და ყ კი ჟანის ადგილას.

შენიშვნა 4. ზოგიერთი რიცხვის გამომხატველი სიტყვა ძველად განსხვავდებოდა დღევანდელისაგან: ათიდან ოცამდე ასე თქვიდენ: ათი, ათერთმეტი (ე. ი. ათ-ერთმეტი) ათორმეტი, ათცამეტი (ათ-სამ-მეტი), ათოთხმეტი, ათხუთმეტი, ათექუსმეტი, ათშჯდმეტი (ახჯდმეტი), ათრვამეტი (ათურამეტი), ათცხრამეტი, ოცი; შემდეგ: ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი. განსაკუთრებული სიტყვები იყო: ერგასიხი 50-ისათვის, და ბევრი 10.000-ისათვის.

მაგალითები ასოების რიცხობრივად გამოყენებისა: [1]

ია 11, იბ 12, იგ 13 და ასე შემდეგ; კა 21, კბ 22, კგ 23 და ასე შემდეგ; ლა 31, მა 41, ნა 51, ჲა 61, ოა 71, პა 81, ჟა 91, რა 101 (ასდაერთი), რბ 102, რთ 109, რი 110, რია 111, სკ 220, ტჲბ 392, უმთ 449, ფპე 585, ქჲე 666, ღლბ 732, ყი 810, შა 901, ჩნგ 1053, ცტნზ 2357, ძუჲს 3468, წპგ 4083, ჭქო 5670, ხრიე 6116, კსბ 7202, ჯფკდ 8524, ჰშჟთ 9999, ჭლნე 10756 (ბევრ შეიდას ორმოცდა ათექუსმეტი), ჭძყნ 13850 (ერთ ბევრ სამ ათას რვაას ერგასიხი).

[1] ნ. კიდევ ამის შესახებ ატენის ჭარწერასთან (გვ. 9).

ძართული წელთაღრიცხვა.

ჩვენში ძველად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში (ან ქართული კულტურის სხვადასხვა ცენტრში საქართველოს გარეთ: იერუსალემში, სინას მთაზე, ათონის მთაზე) სხვადასხვა წელთაღრიცხვა იყო მიღებული: ქართული, დასაბამითგანი, ქრისტიანული, მაჰმადიანური, ინდიქტიონის (მეფობის წლის) მიხედვით. ყველა ესენი თანაბრად გავრცელებული, ერთგვარად მტკიცე, ან ყველგან და ყოველთვის ერთნაირად გაგებული როდი იყო. ყველაზე მეტი გავრცელება, თანაც მეტი სიმკვიდრე ჰქონდა ქართულ წელთაღრიცხვას, რომელიც 780 წლიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე თითქმის საყოველთაოდ იყო გაბატონებული. იგი ხუთას ოცდა თორმეტ (532) წლიანი მოქცევის, ანუ ციკლის მიხედვით იყო ნაანგარიშევი. დასრულდებოდა ერთი ასეთი მოქცევა ანუ ციკლი, დაიწყებოდა მეორე, მერმე მესამე და ასე შემდეგ. ძველების ანგარიშით 780 წელს დასრულებულა თორმეტი მოქცევა „დასაბამითგან სოფლისა[1], და შემდეგ დაწყებულა მეცამეტე[2]. ეს მეცამეტე დასრულებულა 1312 წელს (780+532=1312) და მიმდევნო წელს დაწყებულა მეთოთხმეტე მოქცევა, რომელიც დასრულდებოდა 1844 წელს (1312+532=1844). 1845 წელი იქნებოდა პირველი წელი მეთხუთმეტე მოქცევისა, 1935 წელი კი ოთხმოცდამეთერთმეტე წელი, მაგრამ არა თუ ჩვენს დროს, არამედ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ქართული ქრონიკონით აღარავინ ანგარიშობდა, მთელი ხალხი უკვე საბოლოოდ იმ წელთაღრიცხვაზე იყო გადასული, რომელიც დღეს საყოველთაოდ მიღებულია ევროპა-ამერიკაში.

ხუთას ოცდათორმეტიანი წლების ანგარიშის დროს იშვიათად იტყოდენ ხოლმე, თუ რომელი იყო მოქცევა (მეცამეტე, თუ მეთოთხმეტე), უბრალოდ დაასახელებდენ მიმდინარე წლის რაოდენობას, მაგალითად ასე: ქრონიკონსა პირველსა, 2-სა, 10-სა, 19-სა, 25-სა, 83-სა, 154-სა, 234-სა, 307-სა, 403-სა, 530-სა 531-სა, 532-სა. ამ 532-ს აღარ გადმოშორდებოდა მოქცევის წელი. შემდეგ ისევ მოჰყვებოდა: ქრონიკონსა პირველსა, მეორესა, მესამესა და ასე შემდეგ. თუ გვინდა გადმოვიყვანოთ

---

[1] გეოლოგიური მეცნიერება დღეს მილიონი საუკუნეებით ანგარიშობს კვეყნის ისტორიას და ძველების ანგარიშით კი „დასაბამითგან სოფლისა“, ე. ი. კვეყნის გაჩენიდან 780 წლამდის თითქო 12 ციკლი გასულიყოს, ე. ი. (532×12=) 6384 წელი!

[2] მისდუდენ თუ არა ასეთ წელთაღრიცხვას 780 წლამდის, ჯერ ამისი უტყუარი ცნობები არ მოგვეპოვება. მეთორთმეტე მოქცევა უნდა გათავებულიყო 248 წელს (748 — 532=248) და შემდეგ (249) წელს უნდა დაწყებულიყო მე-12 მოქცევა.

ასეთი სათვალავი დღევანდელზე, მოცემული რაოდენობა წლებისა უნდა მივუმატოთ ან 780-ს (თუ ვარაუდით იგი მეცამეტე მოქცევას ეკუთვნის), ან 1312-ს (თუ იგულისხმება მე-14 მოქცევა); მაგ. ატენის წარწერის ქრონიკონი ოგ (73) დღევანდელი ანგარიშით იქნება (780+73=) 853 წ.; გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების ქრონიკონი 81 (გვ. 49) უდრის (780+81) 861 წელს, ხოლო ბაგრატის ტაძრის იატაკის გამტკიცების ქრონიკონი 223 უდრის (780+223) 1003 წელს და მისთ. ერთი სიგლის ბოლოს ვკითხულობთ: „დაიწერა პიტაკი ესე ქრონიკონსა რნა, თუესა სეკდენბერსა ბ, ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათჩუიდმეტესა“. ცხადია, რომ იგი დაწერილია (1312+151=) 1463 წელს, ორ სექტემბერს. ქრონიკონი ტპდ (364) მეთოთხმეტე მოქცევით მოგვცემს (1312+384) 1696 წელს, ხოლო ქრონიკონი უპა (481) ამავე მოქცევით იქნება (1312+481) 1793 წ. და მისთ.

დასაბამითგანის დღევანდელ ანგარიშზე გადმოსაყვანად ასე უნდა მოვიქცეთ: მოცემულ რაოდენობას წლებისას უნდა გამოაკლდეს 5604. მაგ. უძველესი თარიღიანი ხელნაწერი, რომელიც სინას მთაზეა დაცული, გადაწერილი ყოფილა, როგორც იქ არის ნათქვამი, დასაბამითგან ბჯპ ე. ი. (6468—5604=) 864 წ. ამასვე გვაძლევს იქვე დასახელებული ქართული ქრონიკონიც: ჰდ (780+84)=864 წ. სხვა მაგალითი: იოანე ოქროპირის ცხოვრება, რომელიც ამჟამად საქ. მუზეუმშია დაცული, ასეა დათარიღებული (ნ. სურათი ამ წიგნის ბოლოს, ტაბ. 4): „დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფოგ, ქრონიკონი იყო რპე. ორივე თარიღი ერთსა და იმავე წელს გვაძლევს: 6572—5604=780+188=968 წ.

ალ. ბარამიძე.

ძველი ქართული მწერლობა

(ზოგადი მიმოხილვა)

ძველი ქართული მწერლობა ფაქტობრივ V—XVIII საუკუნეებით იფარგლება. არსებითად ესაა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფეოდალური ეპოქა. ჩვენ დრომდის მოღწეულ უძველეს სალიტერატურო ძეგლად ითვლება ე. წ. «შუშანიკის წამება», რომელიც უტყუარი ცნობებით შეთხზულია 474-484 წლებს შუა (მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში). მაგრამ ქართული მწერლობის ისტორია ამ ძეგლით ვერ დაიწყება.

მეცნიერებაში ჯერ საბოლოოდ დადგენილი არაა საკითხი ქართული მწერლობის წარმოშობის დროის შესახებ. მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით ქართული ანბანის შემოღება რამდენიმე საუკუნით მაინც უნდა უსწრებდეს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს, ე. ი. ქართული მწერლობა, ამ მკვლევართა შეხედულებით, არსებობს წარმართული პერიოდიდან. მართალია, წარმართული პერიოდის ნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია, მაგრამ ეს ადვილი ასახსნელი იქნებოდა, თუ კი ასეთ შესაძლებლობას დავუშვებდით. საქმე ისაა, რომ საქართველოში წარმართობა შესცვალა ქრისტიანობამ, ხოლო მებრძოლი ქრისტიანული ეკლესია ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა წარმართობის დამახასიათებელ ყოველგვარ ნაშთს. ასეთ პირობებში მთელ წარმართულ კულტურასთან ერთად, რასაკვირველია, წარმართულ მწერლობაც უნდა დაღუპულიყო.

ქართული მწერლობის დიდ სიძველეზე ლაპარაკობს უკანასკნელ ხანებში მრავლად აღმოჩენილი VI-VII საუკუნის (ე. წ. ხანმეტი) ტექსტები. ხანგრძლივი ევოლუციური პერიოდის არსებობის მაჩვენებელია ამ ტექსტების მაღალხარისხოვანი პალეოგრაფიული (ე. ი. დაწერილობითი) თვისებები.

მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით ქართული მწერლობის წარმოშობა უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეს. ქრისტიანობა თავისი ხასიათით წიგნობრული რელიგიაა და საკულტო წესების (ღვთისმსახურების) შესასრულებლად აუცილებლად საჭიროებდა განსაზღვრული დანიშნულების საკულტო მწერლობითს ძეგლებს (როგორიცაა, მაგალითად, „სახარება“, „სამოციქულო“, „წმიდათა ცხოვრებანი“ და სხვ.). სააგიტაციო-საპროპაგანდო მიზნებისთვის მწიგნობ-

რობა საუკეთესო იარაღს წარმოადგენდა მებრძოლი ქრისტიანების ხელში. ამით აიხსნება ე. წ. წმიდათა ცხოვრება-მოღვაწეობის ფართო საზოგადოებრივი პოპულარიზაცია, ჰომილეტიკური (საქადაგებო) და პოლემიკური მიმართულების განვითარება და სხვ. მწიგნობრობის მიმდევარნიც თავდაპირველად იყვნენ უმთავრესად სასულიერო-საეკლესიო ფენის წარმომადგენელნი, ხოლო მწიგნობრობის ცენტრად სასულიერო დაწესებულებები (ეკლესია-მონასტრები) ითვლებოდა. ერთი სიტყვით, ქრისტიანული პროპაგანდის საჭიროება ობიექტურ საფუძველს უქმნიდა საქართველოში მწერლობის განვითარებას. ამიტომაც, თუ ქართული მწერლობის დასაწყისს წარმართობის დროიდან არ ვივარაუდებთ, მაშინ აუცილებლად მისი სათავე ქრისტიანული პროპაგანდის პირობებში უნდა ვეძიოთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიუღებელი ხდება იმ მკვლევართა აზრი, რომლებიც ქართული ანბანის შემოღებას V საუკუნის პირველ ნახევარს მიაწერენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ ხალხს, რომელსაც საუკუნის პირველ ნახევარში ანბანის მოხაზვა უსწავლია, იმავე საუკუნის მეორე ნახევარში მაღალხარისხოვანი ორიგინალურ-მხატვრული ლიტერატურული ძეგლის შექმნა შესძლებოდეს. საერთოდ ძნელია აღნიშნული თვალსაზრისითაც ქართული ანბანის შემოღების კონკრეტულად დაზუსტებული დათარიღება. პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურად მიუღიათ 337 წელს, მაგრამ, ცხადია, ეს თარიღი არც დასაწყისს აღნიშნავს ქრისტიანობის პროპაგანდისას, და არც დასასრულს. ქრისტიანობა ადრიდანვე იკვალავდა გზას ქართველი საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში, ხოლო იმის (ქრისტიანობის) ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი საკულტო ფენის საპროპაგანდო საქმიანობას. მაინცდამაინც ელემენტარული საკულტო მწერლობის არსებობა საგულვებელია ქრისტიანული საზოგადოების მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოებამდე. როგორიც უნდა იყოს საქმის ნამდვილი ვითარება, ქართული მწერლობის უძველესი ძეგლები მხოლოდდა მხოლოდ სასულიერო-საეკლესიო (სკკულტო) ხასიათს ატარებს და ეს გარემოებაც თავის მხრივ უდავოდ ცხადყოფს ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობას მწიგნობრობისთვის. შემდეგაც მთელი საუკუნეების განმავლობაში მწიგნობრობა საქრისტიანო საზოგადოების საუკეთესო საპროპაგანდო იარაღად რჩებოდა.

ძველი ქართული მწერლობა ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის იდეოლოგიური ყოფის ამსახველია. მაგრამ ფეოდალური სტრუქტურისა და კლასობრივი განფენების ფორმა მუდმივ ერთიანი და ერთფეროვანი როდი ყოფილა. საზოგადოების სოციალ-კლასობრივი ყოფის კონკრეტ-ისტორიული ვითარება იდეოლოგიური ცხოვრების კონკრეტულ ფორმას განსაზღვრავდა. ძველი ქართული მწერლობის ისტორიაც ამ იდეოლოგიური ცხოვრების თავისებურ გამოხატულებას იძლევა.

ძველა ქართული მწერლობა, ანუ ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობა, შეიძლება პირობითად სამ ძირითად პერიოდად დაიყოს. პირველი

პერიოდი იწყება ქართული ანბანის შემოღებიდან და დაახლოებით XI საუკუნის ნახევრამდის გრძელდება, მეორე პერიოდი XI საუკუნის მეორე ნახევრითა და XIII-ის პირველი მეოთხედით იფარგლება, მესამე პერიოდი შეიცავს XIII-XVIII საუკუნეებს. პირველი პერიოდის განმსაზღვრელია ადრეული ფეოდალიზმის ფორმა. ადრეული ფეოდალიზმის პირობებისთვის დამახასიათებელი იყო ნატურალურ-კარჩაკეტილი მეურნეობის უაღრესად პრიმიტიულ-განუვითარებელი სახე, ხოლო პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამჩნევი ხდება ქვეყნის დანაწევრება მოქიშვე და მტრულ დამოუკიდებელ სამთავრო ერთეულებად. თავის მხრივ ეს მდგომარეობა დიდად უწყობდა ხელს მეზობელი დამპყრობელი ხალხების (სპარსელების, ბერძნების, არაბების) გაბატონებას ქართველ ტომებზე. კულტურული ცხოვრებისათვის ამ პერიოდში მთავარი ტონის მიმცემი იყო საკულტო ორგანიზაციის ფორმა. მწერლობა საქრისტიანო პროპაგანდის საშუალებად იქნა გამოყენებული და მისი საზოგადოებრივი ფუნქცია ამით განისაზღვრა. აქედან ბუნებრივია თავდაპირველი ქართული მწერლობის სასულიერო-კლერიკალური ხასიათი. მწიგნობრობა უწინარეს ყოვლისა საქრისტიანო-საკულტო მოთხოვნილებებს ემსახურებოდა. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქრისტიანობა საქართველოში უცხო ქვეყნებიდან შემოვიდა, საკულტო-სამღვდელთმსახურო ლიტერატურაც ამაკე მიზეზით თავიდანვე უცხო წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. სახარება, სამოციქულო და სხვა ბიბლიური ტექსტები, რომლებიც საქრისტიანო მღვდელთმსახურების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა, უნდა ქართულადაც გადმოეთარგმნათ. აქედან უკვე გასაგები ხდება უძველესი ქართული მწერლობის როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე მთარგმნელობითი ხასიათი. საიდან უნდა ყოფილიყო ეს თარგმანები გადმოღებული? ცხადია იმ ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში ქრისტიანობა შემოდიოდა და იმ ენებიდან, რომლებზედაც იმ დროს სათანადო საქრისტიანო-საკულტო ლიტერატურა არსებობდა. იმ დროს (და შემდეგშიაც) განთქმულ საქრისტიანო ქვეყნებად ითვლებოდა საბერძნეთი და სირია-პალესტინა. ქრისტიანული პროპაგანდის ნაკადი ორივე დასახელებული მხარიდან შემოდიოდა საქართველოში. უძველესი ქართული საქრისტიანო-საკულტო ძეგლები გადმოღებულია ბერძნული, სირიული და სომხური ენებიდან (სომხეთი ტერიტორიულად აკავშირებდა სირია-საქართველოს და ერთგვარი კულტურული შუამავლის როლს ასრულებდა). უკვე დასახელებული «შუშანიკის წამებიდან» ჩანს, რომ იმ დროს (V ს.) საქართველოში ჩვეულებრივად მიღებული და გავრცელებული ყოფილა სათანადო საკულტო ლიტერატურა. თავის ახალ სადგომში შუშანიკმა თურმე „თანა წარიტანნა ევანგელიო[1] თჳსი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი“. სხვათა შორის ეს გარემოებაც იმის მაჩვენებელია, რომ თითონ «შუშანიკის წამება» ვერ იქნება პირველი ქართული სამწერლო ძეგლი.

[1] ევანგელიო სახარებასა ნიშნავს.

უცხოელ ქრისტიან ერებთან ცხოველი ლიტერატურული ურთიერთობა წარმოებდა უმთავრესად საზღვარგარეთული ქართული საქრისტიანო კოლონიების (ეკლესია-მონასტრების) საშუალებით. ასეთი კოლონიები ადრიდანვე დაარსდა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში და შემდეგში გამოჩენილი კულტურული ცენტრების სახელი მოიხვეჭა. შესანიშნავი სალიტერატურო ცენტრები არსებობდა პალესტინაში, სინას მთაზე, ულუმბოს, ათონს (ორი უკანასკნელი საბერძნეთის ტერიტორიაზე), პეტრიწონში (ბულღარეთში). ეს საზღვარგარეთული ცენტრები თავის პირდაპირ ამოცანად ისახავდა ქართული ქრისტიანული კულტურის სამსახურს და ერთი მხრით მთარგმნელობითი მოღვაწეობის განვითარებას უწყობდა ხელს, მეორე მხრით გადამწერლობითსა და ორიგინალურ მწერლობითს საქმიანობას აჩაღებდა, მაგრამ ამასთანავე საზღვარგარეთსაც აცნობდა ხოლმე ქართული კულტურის ნაყოფს. ცნობილია, რომ განთქმული ე ფ ვ თ ი მ ე ა თ ო ნ ე ლ ი (955-1028) თავისუფლად თარგმნიდა როგორც ბერძნულიდან ქართულად, ისე ქართულიდან ბერძნულად. ასევე გ ი ო რ გ ი ა თ ო ნ ე ლ ი ც (1009-1065). ზოგიერთი საზღვარგარეთელი ქართველი მოღვაწე კაცობრიობის უდიდესი გონებრივი მოძრაობის სათავეშიაც კი ექცეოდა. ნ. მ ა რ ი ს აზრით, მაგალითად, ი ო ვ ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი (XI-XII ს.) ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი კ უ რ ი ფილოსოფიური აზროვნების ერთერთი გამოჩენილი მეთაური-განი უნდა ყოფილიყო.

როგორც ყველგან, ისე საქართველოშიაც ქრისტიანობა გზას ბრძოლით იკაფავდა. ქრისტიანულ პროპაგანდას განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას უწევდა მისი წინამორბედი წარმართული სარწმუნოების (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მიმდევარი საზოგადოება. ამ საზოგადოებას დიდ მფარველობას უწევდა ცეცხლთაყვანისმცემლობის მაღიარებელი და საქართველოს პოლიტიკური მეპატრონე სპარსეთი (გარკვეული წრეების ანტისპარსული განწყობილება თავის მხრივ ქრისტიანული პროპაგანდის წარმატებას უწყობდა ხელს). მებრძოლი ქრისტიანული საზოგადოება ბრძოლის არცერთ საშუალებას არ ერიდებოდა და, სხვათა შორის, როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურულ საქმიანობასაც კარგად იყენებდა თავის მიზნისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „წმინდათა“ ცხოვრების ფართო გავრცელება. ადგილობრივი „წმინდანების“ ცხოვრებათა აღწერილობამ კი სათავე მისცა ორიგინალურ ქართულ მწერლობას. „წმინდათა“ ცხოვრების აღწერილობას ა გ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ა ეწოდება. აგიოგრაფიული მწერლობა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყველაზე უფრო გაერცელებული დარგია სასულიერო-ფეოდალური ლიტერატურისა. დანარჩენ საკულტო დარგებთან შედარებით განსაკუთრებულია აგიოგრაფიული მწერლობის, ანუ სასულიერო, ეპოსის, მხატვრული რაობა. ადგილობრივი „წმინდანის“ ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერით მწერალს შემთხვევა ეძლეოდა მის დროინდელ ისტორიულ სინამდვილესაც შეხებოდა, ამიტომაც ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლები დიდად ფასდება როგორც საისტორიო წყაროები.

ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის მაღალხარისხოვან ძეგლებს წარმოადგენს წამებანი: შუშანიკისა (V ს.), ევსტათი მცხეთელისა (VI ს.), აბო ტფილელისა (VIII ს.); ცხოვრებანი: სერაპიონ ზარზმელისა (IX ს.), გრიგოლ ხანძთელისა (X ს), ექვთიმე და გიორგი ათონელებისა (XI ს.) და სხვა. აღსანიშნაია ის არის, რომ ქართველი აგიოგრაფი მწერლები ყოველთვის არ იფარგლებოდენ ცალკე მოღვაწის ცხოვრების აღწერილობით და კერძო მოვლენის განზოგადების ნიადაგზე ქრისტიანულ-ეკლესიური და ფეოდალურ-კლასობრივი აზროვნების თვალსაზრისით გარკვეულ სარწმუნოებრივ-ეროვნულ თუ სხვა იდეას აყალიბებდენ (აბო ტფილელის წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). მაშასადამე, აგიოგრაფიული მწერლობა სცილდება საკულტო დაწიშნულების ვიწრო ფარგლებს. ამიტომაც დიდია ამ მწერლობის ხვედრითი წონა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში. დიდ სიმაღლეზე დგას ქართული აგიოგრაფიული მწერლობა მხატვრული გაფორმების მხრივაც. იაკობ ხუცესი (ავტორი შუშანიკის წამებისა), იოვანე საბანის-ძე (ავტორი აბო ტფილელის წამებისა), ბასილ ზარზმელი (ავტორი სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა) და განსაკუთრებით გიორგი მერჩული (ავტორი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა) მხატვრული სიტყვის იშვიათი ოსტატებია, კლასიკურად გამართული ენითა და მხატვრული მეტყველების მდიდარი ტექნიკით. დასახელებულ ავტორებს საუცხოოდ ეხერხებათ აზრის ნათელი გამოხატვა, მოთხრობის დალაგებულად და მიმზიდველად გაშლა, მხატვრული ფიგურალობის გამოყენება, ბუნების აღწერილობა და სხვ. გიორგი მერჩული პირდაპირ გასაოცარი ვირტუოზობით (ოსტატობით, დახელოვნებით) იძლევა მთიანი ტაო-კლარჯეთის ლამაზ პეიზაჟებს (ამ მხრივ შედეგრია «კლარჯეთისა უდაბნოთაჲ», ნ. გვ. 42_{25}-43_{9}) და თბილი და ნოტიო აფხაზეთის (ე. ი. ახლანდელი დასავლეთ საქართველოს) ბუნების სურათებს. მკვეთრი, ლაკონიკური და მხატვრულად მოხდენილი ენით გვისურათებს იაკობ ხუცესი ჰერეთის ნესტიანი და ცხელი ჰავის გამხრწნელ გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, დიდი ოსტატის ხელით აღწერს იაკობი მალარიის საშინელებას. აგიოგრაფიული შაბლონის მიუხედავად ცალკე „ცხოვრებათა“ ავტორები მშვენივრად ახერხებენ თავიანთი გმირების ასახვას ყოველდღიურობის ნიადაგზე. შუშანიკი, მაგალითად, ასახულია არა მწიგნობრული „წმინდანის“ იდეალიზებული მშრალი სქემის კვალობაზე, ე. ი. განყენებულად და უსისხლხორცოდ, არამედ ჩვეულებრივი ადამიანური და უარყოფითი თვისებებითაც, ცოცხლად, მხატვრული დამაჯერებლობით. შუშანიკის მხატვრული სახე კერძო პორტრეტულ საზღვარსაც სცილდება და ერთგვარად ატარებს ზოგადი, ტიპური პერსონაჟის თვისებებს.

აგიოგრაფიული ძეგლები მდიდარ და საინტერესო მასალებს იძლევა ქვეყნის სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დარგებიდან. ხშირად მოხდენილადაცაა გაშუქებული (მაგალითად გიორგი მერჩულის თხუზულებაში) სოციალ-კლასობრივი ურთიერთობისა

და შინაკლასობრივი ბრძოლების (აღებულ შემთხვევაში სასულიერო-ფეოდალური და საერო-ფეოდალური ფენების ანტაგონიზმი) ცალკეული და დამახასიათებელი მომენტები. დიდი გულმოდგინებით აგვიწერს ზოგიერთი „ცხოვრების" ავტორი საყოფაცხოვრებო ამბების მნიშვნელოვან მხარეებსაც. ამგვარად, აგიოგრაფიული ძეგლები საზოგადოებრივი აზროვნებისა და მხატვრული მეტყველების დიდმნიშვნელოვანი წერილობითი დოკუმენტებია.

კიდევ ერთი მომენტი ახასიათებს ზოგიერთ აგიოგრაფიულ ძეგლს, რომლის გვერდის ახვევა არ შეიძლება. ესაა აგიოგრაფიული მწერლობის საერო მოტივები. როგორც უკვე ვიცით, აგიოგრაფიული ძეგლები თავისი სპეციფიკით სასულიერო-საეკლესიო (საკულტო) მწერლობას მიეკუთვნება და მიზნად ისახავს სულიერი (და ასკეტიკურ-მონაზვნური) ცხოვრების იდეალიზაციას. მაგრამ ზოგიერთი აგიოგრაფი აქა-იქ ეპიზოდურად მაინც ახერხებს საამქვეყნო ცხოვრებიდან საყურადღებო, ღირსნდ კლერიკალური თვალსაზრისით „მწუალებლური" ამბის მხატვრულად გადმოცემას (რასაკვირველია, თითონ აწერილი ამბის შეფასება ტენდენციურად და ცალმხრივად ხდება, რამდენადაც აგიოგრაფები კლერიკალური იდეოლოგიის გამომხატველნი არიან მწერლობაში). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანული ამბები. გიორგი მერჩულს თავის თხზულებაში აწერილი აქვს რამდენიმე რომანული შემთხვევა. თითოეული ცალკე დამოუკიდებელსა და საინტერესო ნოველას წარმოადგენს, რომელიც გვისურათებს ერთი მხრით საერო ფეოდალური არისტოკრატიის საყოფაცხოვრებო ვითარების გარკვეულ მხარეს, ხოლო მეორე მხრით ეკლესიურ-კლერიკალური საზოგადოების დამოკიდებულებასაც გვითვალისწინებს საერო არისტოკრატიის თავისებური ზნეობის მიმართ. ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომანული ამბავი მშვენიერ ფონს წარმოადგენს საერო-ფეოდალური და საეკლესიო-ფეოდალური წრეების ანტაგონისტური განწყობილებების გადასაშლელად. ამას გარდა, დიდია რომანული ნოველების მნიშვნელობა ლიტერატურული თვალსაზრისითაც. აქ ერთგვარი ჩანასახით უკვე მოცემული გვაქვს ეპიკურ-რომანტიკული მიმართულების ჟანრი, რომელიც უაღრესად გაიშალა და გაიფურჩქნა შემდეგ პერიოდში («ვისრამიანი», «ვეფხის-ტყაოსანი»). სავსებით მართალია აკად. ნ. მარი, როდესაც ფიქრობს, რომ საერო მოტივების შეპრა სასულიერო მწერლობაში საერო საზოგადოების ერთგვარი მომწიფებისა და მისი სასულიერო-კლერიკალურ საზოგადოებაზე იდეური ზემოქმედების ფაქტით უნდა აიხსნასო. ჟუმცა ჯერჯერობით — რამდენადაც ეს იმავე გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩანს — წამყვანი და მეთაური როლი კვლავ სასულიერო-ფეოდალურ საზოგადოებას უპირავს. მაინცადამაინც დამახასიათებელია, რომ კლერიკალური იდეოლოგიის წარმომადგენელი მწერალი გვერდს ვერ უხვევს ამქვეყნიური ცხოვრების კონკრეტულ სინამდვილეს და საერო საზოგადოებისათვის საინტერესო ფაბულური მომენტების შეტანა უხდება საკულტო მწერლობითს ძეგლებში.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან ერთად საერო მოტივებით ძლიერად არის გაჟღენთილი საშუალო საუკუნეების ერთერთი უპოპულარესი სასულიერო რომანი, ე. წ. სულისმარგებელი მოთხრობა «სიბრძნე ბალავარისია», რომელიც სხვა ხალხში «ვარლაამ და იოდასაფის» სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ქართულ მწერლობაში იგავ-არაკული ჟანრის პირველი ნიმუშია, რომელსაც ჩვენ დრომდის მოუღწევია. სხვათა შორის, ეს თხზულება VIII-IX ს.ს. ქართულად გადმოუღიათ არაბული, თუ სირიული ენიდან, ხოლო ექვთიმე ათონელს ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია. ბერძნულის საშუალებით კი «სიბრძნე ბალავარისი» მთელი კულტურული დასავლეთის კუთვნილებად გამხდარა.

აგიოგრაფიული დარგის გვერდით ძველი ქართული სასულიერო მწერლობიდან აღსანიშნავია ე. წ. სასულიერო პოეზია (ჰიმნოგრაფია). ჰიმნოგრაფები ერთგვარ ვერსიფიკაციულ (ლექსთწყობის) წესებსაც კი იცავენ და თავიანთ იამბიკოებში სასულიერო ქების (ჰიმნის) მაღალხარისხოვან ნიმუშებს იძლევიან. ჰიმნები ჩვეულებრივად გალობისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომაც იმთავითვე კარგად სცოდნიათ ნოტაციის წესებიც. ვინმე ფილიპეს 16 მარცვლოვანი ზომით შეუთხზავს ერთი თავისი ლექსი (ღვთისმშობლის ქება), რომელიც განთქმული რუსთველური შაირის პროტოტიპადაც კი მიაჩნიათ. მაინცადამაინც ქართულ ლექსის გენეზისი (წარმოშობილობა) უსათუოდ უნდა დაუკავშირდეს იამბიკოს და ამის ბუნებრივ განვითარებად უნდა ჩაითვალოს. ქართული ჰიმნოგრაფია თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს ჯერ კიდევ X საუკუნეში. იმდროინდელ ცნობილ ჰიმნოგრაფთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მიქელ მოდრეკილი, რომლის აეტოგრაფულ საგალობლებს ჩვენამდის მოუღწევია. მიქელისა და სხვა გამოჩენილი ჰიმნოგრაფების ლექსები მხატვრული მოხდენილობით ამჟღავნებენ ძლიერი რელიგიური გრძნობების უშუალო ლირიკულ განწყობილებებს. აქა-იქ რელიგიურ გრძნობებში ნაციონალური მოტივებიც არის შერეული.

თავის დროზე დიდ განვითარებას მიაღწია აგრეთვე სასულიერო ფილოსოფიამ. ამ მხრივ ის არის აღსანიშნავი, რომ საქართველოში საკმაოდ მტკიცე ნიადაგი მოუპოვებია ბიზანტიაში მართლმადიდებლური ეკლესიისაგან დევნილ ნეოპლატონიკურ მოძღვრებას. ნეოპლატონიზმი ერთგვარი კრიტიკული ძიების ნაყოფი იყო ფილოსოფიაში და ბრმა დოგმატური აზროვნებით შეპყრობილი საზოგადოების გონებადახშულობის გადალახვას უწყობდა ხელს (ნ. მარი). ნეოპლატონიკური მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელია საქართველოში იოვანე პეტრიწი (XI-XII ს.), რომელიც ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ერთერთი გამოჩენილი მეთაურთაგანი უნდა ყოფილიყო საბერძნეთშიაც. საბერძნეთიდან თავისუფალი აზროვნებისათვის გამოდევნილ პეტრიწს დროებითი თავშესაფარი უპოვია საქართველოში, მაგრამ, რასაკვირველია, არც ადგილობრივ კლერიკალებს დაუნდვიათ ეს შესანიშნავი მოღვაწე.

სასულიერო მწერლობის დასახელებული დარგების გარდა თავის სიმაღლეზე იდგა სხვა უფრო ვიწრო საკულტო ხასიათის მქონე დარგები, როგორიცაა დოგმატიკა, ჰომილეტიკა (საქადაგებო მწერლობა), პოლემიკა (სხვადასხვა რელიგიური სისტემების კრიტიკა) და სხვა, მაგრამ ეს დარგები მოკლებულია ზოგად სალიტერატურო ინტერესებს.

სასულიერო-ფეოდალური მწერლობის ფართო განვითარების და აყვავების პერიოდი თითქმის იფარება პირველი სალიტერატურო პერიოდის ფარგლებით. ადრეული ფეოდალიზმის პერიოდში სასულიერო-საეკლესიო მიმართულება მთავარი, წამყვანი, ანუ ჰეგემონური (გაბატონებული) მიმართულებაა. მაგრამ შემდეგში, დაახლოებით XI საუკუნიდან, ლიტერატურაში ხელმძღვანელ როლს იკავებს საერო მიმართულება (საერო-ფეოდალური მწერლობა). რასაკვირველია, სასულიერო მწერლობაც განაგრძობს არსებობას და განვითარებას, მაგრამ ამიერიდან ის უფრო ვიწრო დანიშნულების საკულტო ფარგლებში ემწყვდევა და კარგავს ადრინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ მნიშვნელობას. საერო-ფეოდალური მწერლობის წარმოშობა ჩვენ მეორე სალიტერატურო პერიოდის დასაწყისად მიგვაჩნია.

სოციალ-პოლიტიკური ვითარების მხრივ მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელია ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება. დიდგვარიან ფეოდალთა და ცენტრალური ხელისუფლების ხანგრძლივი ბრძოლა (რასაც ადგილი ჰქონდა წინა პერიოდში) XI საუკუნის გასულისა და XII-ის დასაწყისში მონარქიის სასარგებლოდ გადაწყდა. ამ მოვლენას ხელი შეუწყო შინაგანი და გარეგანი ხასიათის მთელმა რიგმა ისტორიულმა პირობებმა. ფეოდალური სისტემის წიაღში აღებ-მიცემობის გაჩაღებამ და ამ ნიადაგზე ვაჭრული ფენების საზოგადოებრივ ასპარეზზე დაწინაურებამ ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით წვრილი და საშუალო თავადაზნაურული კლასის ორგანიზაციულმა შეკავშირებამ ერთმეფობის პრინციპის გარშემო, ძირითადში უზრუნველყო ცენტრალური (მონარქიული) ხელისუფლების გამარჯვება. დიდი როლი ითამაშა ამ შემთხვევაში მონარქიული ხელისუფლების (კერძოდ დავით აღმაშენებლის) გონიერმა ღონისძიებამ დაქირავებული რეგულარული ჯარის შესაქმნელად. წვრილ-თავადაზნაურული და ვაჭრული საზოგადობრიობის ინტერესებზე დაყრდნობით ქართულმა მონარქიამ დავითის სახით უკვე შეძლო ანტისახელმწიფოებრივი დიდგვარიანი ფეოდალების ალაგმვა. დასახელებულ შინაგანი ხასიათის მიზეზებს ზედ დაერთო მეტად ხელსაყრელი საერთაშორისო მდგომარეობა. ე. წ. ჯვაროსნულმა ომებმა დიდად დაასუსტა მუსულმანური სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს მუდმივ გარეშე საფრთხეს უქმნიდენ. ევროპელი ჯვაროსნებისგან შეიწროებული მუსულმანები ამიერიდან იძულებული ხდებიან თავი დაანებონ დამპყრობლურ პოლიტიკას და თავდაცვაზე იზრუნონ. ამით კი საქართველოს დიდი შეღავათი ეძლევა და ცენტრალურ ხელისუფლებას ყურადღების ცენტრი გადააქვს შინაგანი მოწინააღმდეგე ძალების დასამორჩილებლად. დავითმა კარგად გამოიყენა ხელსაყრელი პირობები და თითქმის შეუზღუდავი უფლების მქონე მონარქი გახდა. XII ს. დასაწყისისათვის

საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორია გადაიქიმა, როგორც სია-მაყით ამბობს იმდროინდელი ისტორიკოსი, „ნიკოფსით (შავი ზღვის სანა-პირო ქალაქია) დარუბანდამდე“ (ე. ი. დერბენტამდე, კასპიის ზღვამდე). საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა რამდენიმე მოსაზღვრე მუსულმანური საჰიაერო. ქვეყანა თანდათან თვითონ გადაიდა აქტიურ დამპყრობელურ პოლიტიკაზე და წინააზიის მასშტაბით ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. გაბედული და მტკიცე პოლიტიკის წყალობით დავით აღმაშენებელმა (1089-1125) ბოლო მოუღო გვაროვნული არისტოკრატიის თავაშვებულებას და ხელისუფლების მოწინავე რიგებში უგვარო, მაგრამ ერთგული და თავდადებული სოციალური ფენებიდან გამოსული პირები ჩააყენა. ამრიგად, დავით აღმაშენებლის დროიდან მაინც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთგვარი აბსოლუტური ხასიათის მქონე ძლიერი მონარქია. ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების დათრგუნვასთან ერთად, დავითმა დაიმორჩილა გვაროვნულ თვალსაზრისზე აგებული ფეოდალური ეკლესიაც, რომელიც წინა პერიოდში არა თუ საკუთარი დამოუკიდებლობით არ კმაყოფილდებოდა, არამედ ცდილობდა თავისი უფლებისადმი დაემორჩილებია საერო ხელისუფლება და საერთოდ მთელი საერო საზოგადოებრივი ცხოვრება (ეკლესიის ასეთი მცდელობა მშვენივრად არის ასახული გიორგი მერჩულის თხზულებაში). 1103 წელს რუის-ურბნისში მოწვეულ საეკლესიო კრებას საქართველოს მონარქმა თავისი წესები უკარნახა, კრება კი იძულებული იყო უსიტყვოდ მიეღო ეს კლერიკალურ-ხნეობრივი თვალსაზრისით დამამცრებელი, ხოლო უფლებრივად დიდად შემზღუდავი წესები.

აბსოლუტური ხასიათის მქონე ფეოდალური მონარქიის პირობებში საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში ექცეოდა მონარქიზმის ბურჯი თავად-აზნაურთა სამხედრო-რაინდული ფენა და მსახურეულ დიდებულთა წრე. და სწორედ ამ ელემენტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაწინაურებას უნდა დაუკავშირდეს საერო მშარიულების გაბატონება საზოგადოებრივ აზროვნებაში საერთოდ და მხატვრულ მწერლობაში კერძოდ. ამრიგად, შექმნილმა პირობებმა სავსებით უზრუნველყო და განსაზღვრა კიდეც საერო-ფეოდალური მწერლობის რომორც წარმოშობა-განვითარება, ისე მისი ხასიათი.

ფრიად მნ შენელოვანია ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიურ-პოლი. ტიკური ცენტრი და კერძოდ სამეფო რეზიდენცია გაბატონებისა და მწერლობის ცენტრსაც წარმოადგენდა. სამეფო კარზე იკრიბებოდენ და ერთ მთლიან სკარო ინტელექტუალურ ფაქტორს ქმნიდენ ქვეყნის განთქმული მწიგნობარ-პოეტები, ისტორიკოსები, მხატვრები, მგალობარნი, ფილოსოფოსნი, ექიმები და სხვ. ეს სკარო პირობები ძალიან ხელსაყრელს და წარუშლელ დღეს ასვამდა, ასე ვთქვათ, მთელ ნაციონალურ კულტურას. რასაკვირველია, საერო ხასიათს ატარებდა ლიტერატურაც. მაგრამ, სანამ ამ ლიტერატურის შესახებ ჩამოვაგდებდეთ სიტყვას, ჯერ მოკლედ უნდა გავეცნოთ ის სოციალური რეჟიმის სქემატური სახე, რომელსაც

პატრონყმობა ეწოდება და რომელიც მთელი მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ქვაკუთხედს შეადგენდა.

პატრონყმური რეჟიმის მიხედვით საზოგადოება ერთგვარ სოციალურ კიბეს ემსგავსება. კიბის უმაღლეს საფეხურზე დგას მეფე, რომელიც არის პირველი პირველთა შორის (პატრონი პატრონთა შორის), ანუ უმაღლესი პატრონი (უმაღლესი სუზერენი). ქვეშევრდომებს საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურები უკავიათ. უკანასკნელ საფეხურზეა მიწის მუშა (გლეხი) და მონა. ამ საფეხურზე მყოფი მხოლოდ ყმურ (თანამედროვე გაგებით) მდგომარეობას განიცდის და საზოგადოების უფლებამოკლებულ, დაჩაგრულ ნაწილს (კლასს) ეკუთვნის. სოციალური კიბის აღნიშნული უმდაბლესი საფეხურიდან უმაღლესამდე განრიგებულია გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის სხვადასხვა ფენები. წარჩინებულთა და მსახურეულ დიდებულთა ფენა დიდი შეძლებისა და გავლენის მქონე პატრონებად ითვლება, რომელიც იმავე დროს მეფის, უმაღლესი პატრონის, უშუალო ყმას (ვასალს) წარმოადგენს. ასე ამგვარად, ყოველი დიდებული კარისკაცი და მოხელე (როგორც, მაგალითად, «ვეფხის-ტყაოსანში») ერთსადაიმავე დროს პატრონიც (სუზერენიც) არის და ყმაც (ვასალიც). დიდებულთა ყმები თავის მხრივ მათზე უფრო შეუძლოთა და სოციალურად შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფ ფენებს პატრონობენ და ასე კიბის უკანასკნელ საფეხურამდე. მთელი საზოგადოება პატრონყმური ურთიერთობის უღელშია შებმული. ამ ურთიერთობის მოხაზული ფორმებითაა განსაზღვრული საზოგადოების წევრთა პირადი უფლებრივი მდგომარეობა. ყოველი ყმა უწინარეს ყოვლისა თავის უშუალო პატრონს ემორჩილება. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა კერძო მეპატრონეთა უფლების შეზღუდვას და სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გავრცელებას ყველა ქვეშევრდომზე. ცხადია, იმდენად ძლიერი იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლება, რამდენადაც შეიზღუდებოდა ცალკე ფეოდალების უფლებები და პირიქით. ცენტრალური ხელისუფლების ზრახვები აგრარული არისტოკრატიის (შეძლებული მემამულეების) ოპოზიციას იწვევდა. ინტერესთა ამ წინააღმდეგობაზეა აღმოცენებული მონარქიზმი და ფეოდალების ისტორიული შუღლი. წინა საუკუნეებში სოციალური კიბის საფეხურებად განწილადება შთამომავლობითი (გვაროვნული) პრინციპის მიხედვით წარმოებდა. დავით აღმაშენებლის დროიდან მეფეები ახერხებენ, რომ სახელმწიფოებრივი მართველობის სიმაღლეები გადააბარონ მონარქიზმის ერთგულ წევრილი და საშუალო თავადაზნაურული (და აგრეთვე ვაჭრულ-ხელოსნური) ფენიდან გამოსულ პირებს, ანუ გვაროვნული არისტოკრატიის თვალსაზრისით „უაზნონი“ და „უგვაროვნი“ ექცევიან სოციალური ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე. ამ „უგვაროთა“ ფენიდან შედგებოდა მონარქის სამსახურში მყოფ მოყმე-რაინდთა ერთგვარი კასტა, რომელიც თავისებურ სამხედრო გვარდიას წარმოადგენდა და ამ ფეოდალურ-მონარქიულ რეჟიმს საფუძვლად უდგა. მოყმე-რაინდთა ყოფაცხოვრება

ყალიბდებოდა ლაშქრობა-ნადირობისა, ასპარეზობისა, ნადიმობისა და მისთანათა პირობებში. ამ ნიადაგზე იქმნებოდა თავისებური სამხედრო რაინდული იდეალები, რომლის უმთავრეს მომენტს შეადგენდა: მონარქისა და პატრონის ერთგული სამსახური, რაინდული კურტუაზია (ზრდილობიანი, თავაზიანი, თავმდაბალი და საერთოდ ზნეობრივად ფაქიზი საქციელი), რაინდული სიყვარული (ქალის კულტი), შეწყალება, უხვობა-უშურველობა, მამაცობა-გმირობა (ფიზიკური ძალღონისა და სულიერი მხნეობის კულტი), პირდაპირობა და მისთანანი. ერთი სიტყვით, სამხედრო-რაინდული მისწრაფებანი და პატრონყმური რეჟიმისა და საკარო პირობებისათვის შეფერებული ზნეობრივი იდეალები შეადგენდა მონარქის გარშემო შეკრებილი წრის სანუკვარ საგანს. თავის მხრივ ეს წრე იყო მთელი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის გამძღოლი ძალა. ლიტერატურაც, როგორც საზოგადოებრივ-კლასობრივი ცხოვრების თავისებური გამოვლინება, აღნიშნული საკარო წრის ინტერესებისა და ნებისყოფის ამსახველი იყო.

საკარო ლიტერატურა ორი მიმართულებით განვითარდა — საგმირო-რომანტიკულისა და სახოტბო მიმართულებით. საგმირო-რომანტიკულ მიმართულებას ეპიკური ჟანრი შეეფერებოდა, სახოტბო პოეზიისთვის კი დამახასიათებელია ლირიკული ჟანრები. ამ პერიოდის (რომელსაც აგრეთვე კლასიკურსაც უწოდებენ) ლიტერატურული პროდუქციის დიდი ნაწილი დაღუპულია (რასაკვირველია, ასევე ნაკლულადაა წარმოდგენილი ჩვენი ძველი ლიტერატურის სხვა პერიოდებიც), მაგრამ მაინც გადარჩენილია ორივე მიმართულებისათვის სანიმუშო რამდენიმე კლასიკური ძეგლი, როგორიცაა საგმირო-რომანტიკული დარგიდან «ამირან-დარეჯანიანი», «ვისრამიანი», «ვეფხის-ტყაოსანი». სახოტბო პოეზიიდან «აბდულმესიანი», «თამარიანი».

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული საერო-ფეოდალური მწერლობის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სპარსული ლიტერატურა. ამის დამადასტურებელია თითონ გადარჩენილი ლიტერატურის ხასიათი. «ამირან-დარეჯანიანი» და «ვისრამიანი» უდავოდ სპარსული ორიგინალების ასეთი თუ ისეთი (სახელდობრ საკმაოდ გადასხვაფერებული და ადგილობრივ სოციალურ პირობებთან შეფარდებული) თარგმანებია. ქართული ფეოდალური საზოგადოებრიობა გატაცებით ეწაფებოდა ეროვნულად უცხო, მაგრამ კლასობრივად მონათესავე საინტერესო სპარსულ სუჟეტებს. კულტურულ-ლიტერატურული თანამშრომლობის შესაძლებლობას ხელს უწყობდა სპარსულ-ქართული ცხოველი ეკონომიურ-პოლიტიკური ურთიერთობა. სპარსულ-ქართული ურთიერთობა თავიდანვე ძლიერი (თუმცა საქართველოსათვის ცალმხრივად საზიანო) იყო, XII საუკუნიდან კი სპარსეთის კულტურულად დაწინაურებული და აყვავებული პროვინციები (შირვანი, ადერბეიჯანი, რანი) საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა, როგორც მოხარკე სამთავროები. განვითარების შემდეგ საფეხურზე ქართული მწერლობა თავს

აღწევს სპარსული გაელენის ნამეტურობას და სამაგიეროდ აძლიერებს ორიგინალურ-ნაციონალური პოეზიის ფრთას. ამ საფეხურზე შესაფერისად მატულობს მწერლობის იდეურ-მხატვრული ხარისხი.

«ამირან-დარეჯანიანში»—საერო-ფეოდალური მწერლობის უადრინდელეს ძეგლში — უკვე ნათლად ასახულია სამხედრო-რაინდული კლასის სოციალური ზრახვები. ერთი მხრით ნაწარმოები აიდეალებს ფიზიკური ძალღონისა და სულიერი სიმტკიცის თვისებებს, ხოლო მეორე მხრით პატრონისადმი (და მონარქისადმი) ერთგულსა და თავდადებულ სამსახურს აცხადებს რაინდის უპირველეს ვალდებულებად. ამირან დარეჯანის-ძე განთქმული მამაცი რაინდია, რომლის ძლიერ მკლავს ვერ უძლებს ვერც ერთი გოლიათ-ბუმბერაზი, ვერც დევ-გველეშაპი, ვერც სხვა რაიმე ზღაპრულ-ფანტასტიკური აღქაჯი: ამირანზე ვერ მოქმედებს ჯადო-თილისმა, ის დაუმარცხებელ ფალავნად რჩება ბოლომდის; მაგრამ ამასთანავე ეს გამოჩენილი ჯაბუკი თავისი პატრონის ყურმოჭრილი მონაა და უერთგულესი მსახური ყმა. დამახასიათებელია, რომ სოციალური წარმოშობით ამირანი უბრალო აზნაურია, რომელიც უდიდეს პატივს დაიმსახურებს საკუთარი რაინდული მხნეობით. ამირან დარეჯანის-ძე (და ნაწარმოების სხვა პირველხარისხოვანი გმირები) სანაქებო ფალავან-რაინდისა და ერთგული მსახური მოყმის, გინდა კარისკაცის, იდეალიზებულ ტიპს ასახიერებს.

თუ «ამირან-დარეჯანიანი» საერო ფეოდალური კლასის უმთავრესად სამხედრო-რაინდული ყოფითი მხარის ასახვას უნდება, «ვისრამიანი» ძირითადად გაშლილია რომანული (სამიჯნურო) ამბის ფონზე. გიორგი მერჩულის თხზულებით («ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა») სიყვარული და საერთოდ ამქვეყნიური (მიწიერი) ადამიანური გრძნობა მაცდურ, ეშმაკეულ და საძრახის გრძნობად არის მიჩნეული. ქრისტიანული კლერიკალიზმის თვალსაზრისიდან გამომდინარე მონაზონი ავტორი ხორციელი ლტოლვის (სიყვარულის) ჩახშობასა და საიმქვეყნიო სულიერი ნეტარებისათვის ზრუნვას ქადაგებდა. «ვისრამიანით» ამ ასკეტიკურ მოძღვრებას აბსოლუტურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი უპირისპირდება. ნებიერი და ლაღი არისტოკრატის შეხედულებით „ვინც მიჯნური არაა, არცა კაცია“ («ვისრამიანი», გვ. 42); ამიტომ „არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყუედრება“ (იქვე), რა რიგ ზნეობრივად უკადრისი საქციელი უნდა ჩაიდინოს. «ვისრამიანი» ხორციელ სიყვარულს აცხადებს უმაღლეს იდეალად და შეყვარებულ პირს ყოველგვარი ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს, მაშასადამე, უზნეობის (თუ თავისებური არისტოკრატიული „ზნეობის“) ლეგალიზაციას ქადაგებს. მაინცადამაინც «ვისრამიანი» ფრიად დამახასიათებელი და ტიპური ძეგლია, რომელიც დიდი მხატვრული სიძლიერით გვისურათხატებს ფეოდალურ-არისტოკრატიული კლასის ზნეობრივ ყოფაცხოვრებითს სინამდვილეს.

«ვეფხის-ტყაოსანი» გმირულ-რაინდული და სამიჯნურო მოტივების უმაღლეს მხატვრულ სინთეზს იძლევა. აქ თანაბარი ყურადღება ექცევა როგორც საგმირო-სამხედრო ამბებს, ისე რომანულ ისტორიებს. ტარიელი

და ავთანდილი შეუდარებელი ფალავანი ჰაბუკებია, გონიერი და ზრდილი კარისკაცები, უერთგულესი მოყმე-მსახურნი და გატაცებული მიჯნურები. თინათინი და ნესტანი ასახიერებენ მანდილოსნური დარბაისლობისა, ნაზი ქალურობისა, გონიერებისა, თავგანწირული სიყვარულისა და მტკიცე ნებისყოფის მომენტებს. საერთოდ «ვეფხის-ტყაოსანი» კლასიკური სისრულით ხატავს საერო-ფეოდალური კლასის, კერძოდ მსახურეული ფენის საზოგადოებრივ იდეალებს. ამ იდეალების მატარებელია პოემის მთავარი გმირები. მონარქის თაყვანისცემა, პატრონყმური რეჟიმის უსაზღვრო ერთგულება, სიმამაცისა და რაინდული კურტუაზიის ცხადყოფა, მიჯნურისა და მეგობრისათვის თავის განწირვა და მისთანები «ვეფხის-ტყაოსნის» ძირეული მოტივებია, რომლებიც იშვიათი მხატვრული მოხდენილობით არის პოემაში გაშლილი. ამასთან «ვეფხის-ტყაოსანი» რაინდული სულგრძელებისა და ზნეობრივი სიფაქიზის სასტიკ წესებს აკანონებს და ამ მხრივ განსხვავდება «ვისრამიანის» თავისუფალი ზნეობრივი შეხედულებებიდან. «ვეფხისტყაოსნის» ავტორი მსახურეულ-ფეოდალური არისტოკრატიის ყოფაცხოვრების ამსახველია, მაგრამ პარალელურად, თუმცა ცხადლივ ტენდენციურად ვაჭრული საზოგადოებრიობის ყოფითს მხარესაც ხატავს. სხვათა შორის, ფეოდალურ-არისტოკრატიულ და ვაჭრულ საზოგადოებათა ყოფაცხოვრების ცალმხრივი დაპირისპირებით კარგად მეღავნდება ავტორის იდეოლოგია.

მონარქიული სასახლეების ბრწყინვალე ატმოსფერაში იშვიათ განვითარებას მიაღწია სახოტბო, ანუ სამქებრო პოეზიამ. XII საუკუნის ქართველი მონარქების საკარო შტატში არა ერთი და ორი ადგილბრივი, თუ უცხოელი სახელმოხვეჭილი პოეტი ირიცხებოდა. კარის პოეტის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა თავისი „მწყალობელი“ ბატონისა და მნიშვნელოვანი შემთხვევულობის (ომში გამარჯვება, სახელმწიფო და საოჯახო დღესასწაული, ზეიმი და სხვ.) კაზმული სიტყვით შექება. ცხადია, რამდენადაც მოხდენილი და ზეიადი იქნებოდა ეს ქება, იმდენად მეტ პატივსა და ყურადღებას დაიმსახურებდა მისი ავტორი, და პირიქით. ამიტომაც არის, რომ სახოტბო პოეზიისათვის დამახასიათებელია გადაჭარბებული ქება, პირფერობა, მლიქვნელობა, პოეტურ შედარებათა ფანტასტიკური ნაირობა, უსაზღვრო ჰიპერბოლიზმი, ეპითეტების სიუხვე, ტონაციის სიმახვილე, ენაწყლიანობა და სხვ. ყოველივე ეს ჩარბად ახასიათებს «აბდულმესიანსა» და «თამარიანს». შავთელს («აბდულმესიანის» ავტორს) და ჩახრუხაძეს («თამარიანის» ავტორს) თავიანთი პატრონები გამოხატული უყავ ზნეობრივი სიფაქიზის, კაცთმოყვარეობა-ჰუმანურობის, მართლმსაჯულება-ლმობიერების, სულგრძელების, გონიერების, მხნეობის, ფიზიკური სიმშვენიერისა და სხვათა უბადლო განსახიერებად. თითქოს არც ძველმა და არც ახალმა ისტორიამ არ იცის „წილხდომილ“ საქართველოს მეფეთა მსგავსი პატრონები. თითქოს ქართველი მეფეები რჩეულნი არიან რჩეულთა შორის, არა მიწიერ-ამქვეყნიური, არამედ „ზეცისა ძალთა მოდასე“, „წმინდათ მემწყობრე“ და თვითონ ღმერთი! ჩახრუხაძე თავისი ქების ობიექტს (თამარს) ამ ქვეყნად განსხეულებულ ნამდვილ ღმერ-

თად აცხადებს და კაცობრიობის მხსნელ მესიას უწოდებს. როგორც ჩანს, ეს მონარქისტულ-ნაციონალისტური და მესიანისტური იდეა საკარო სფეროების ოფიციალური წრეებიდან მომდინარეობდა და კერძოდ ოფიციალურ მეხოტბეთა (თუ საერთოდ კარის ლიტერატორთა) საერთო ხმას შეადგენდა. ეს ხმები ისმის «აბდულმესიანში», «თამარიანში», თამარ მეფის ისტორიაში, ერთი სიტყვით საკარო მწერლობის ყველა ჩვენს დრომდის მოღწეულ ძეგლში (მეფის ღვთაებრიობას აღიარებს «ვეფხის-ტყაოსანიც»). ტექნიკურ-მხატვრული შესრულების მხრივ XII საუკუნის სახოტბო ძეგლები ღირსეულად უმშვენებს მხარს გენიალურ «ვეფხის-ტყაოსანს».

XIII საუკუნის ოციან წლებიდან საქართველოს ისტორიულმა განვითარებამ კატასტროფული მდგომარეობა განიცადა. ეს იყო მონღოლების შემოსევისა და ხანგრძლივი ბატონობის დასაწყისი. საქართველო ჯერ ჩინგისხანისაგან დევნილმა ჯალალ-ედინმა გადათელა, შემდეგ მდევნელის ურდოებიც ეწვია. ჩინგისის საქმე XIV საუკუნეში თემურ-ლანგმა განაგრძო. სამხედრო ალაფის სახით მონღოლებმა დიდძალი დოვლათი გაზიდეს ქვეყნიდან, ამასთან მოსახლეობას შეაწერეს აუტანელი გადასახადები და საველდებულო მძიმე სამხედრო ბეგარა დააკისრეს (თავისი დამპყრობელური მიზნებისათვის ქართველი მეომრები მონღოლებს მიჰყავდათ შორეულ ქვეყნებში). მოსახლეობის დიდი ნაწილი ომებმა იმსხვერპლა. განსაკუთრებით დაზარალდა მშრომელი მოსახლეობა (გლეხკაცობა), ხოლო შედარებით შეეიწროებული თავადაზნაურობა ექსპლოატაციას აძლიერებს (მონღოლებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება ხდება გლეხკაცობის ხარჯზე). აფორიაქებულმა ცხოვრებამ და მშრომელი მოსახლეობის რიცხვის ძლიერმა შემცირებამ დასცა მეურნეობა, მიწის შემოსავალი ფურმე გადასახადებსაც არ ჰყოფნიდა, რის გამოც მიწათმოქმედება უაზრო შექმნილა. კიდევ უფრო ცუდი დრო დაუდგა აღებ-მიცემობასა და ვაჭრობა-მრეწველობას. მუდმივი თავდასხმების პირობებში ნორმალური სააღებმიცემო ურთიერთობა შეუძლებელი გახდა. ესეც არ იყოს, ადგილობრივი მრეწველობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული, საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოსავლის მნიშვნელოვან მხარეს შეადგენდა ვასალური (მუსულმანური) სამთავროების ხარკი. მონღოლების შემოსევასთან ერთად საქართველოს ჩამოსცილდა ეს სამთავროები (საქართველოს აღრინდელი დამპყრობელურ-მძარცველი პოლიტიკით გაბოროტებული მუსულმანური სამთავროები ახლა სამაგიეროს გადახდასაც ცდილობენ). ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი შემოსავლის ყოველი წყარო ამოიწურა: ხარკის მიღება შეწყდა, აღებმიცემობა განადგურდა და სასოფლო მეურნეობა დაეცა, ერთი სიტყვით უკუღმა დატრიალდა ეკონომიური ცხოვრების ჩარხი, ქვეყანა საშინელი ეკონომიური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ყოველივე ამან პოლიტიკური ცხოვრების დაცემა გამოიწვია. XIII საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკური დანაწილების პროცესი დაიწყო. დანაწილება-განთიშულობის იდეა ამოძრავებდა მონარქიული ცენტრალიზმით შეზღუდულ გვაროვნულ არისტოკრატიას (მსხვილ მიწათმფლობელურ კლასს), ქვეყნის საერთო დასუს-

ტების მიზნით მონღოლებიც სიამოვნებით უჭერდენ მხარს გამთიშველ ელემენტებს. თავის მხრივ ეკლესიაც ცდილობს ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას და ადრინდელი პრივილეგიური მდგომარეობის აღდგენისათვის იბრძვის. დამახასიათებელია, რომ ეკლესიას ერთგვარ მფარველობას უწევდენ თითონ მონღოლები. ყოველივე აღნიშნულის შედეგად გაერთიანებული მონარქია ჯერ ორ ნაწილად (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ) გაიყო XIII საუკუნეში, ხოლო XV საუკუნეში ხუთ სამეფოდ და შეიდ სამთავროდ დაქუცმაცდა. ერთი სიტყვით, მონღოლების ბატონობის პირობებმა საქართველოს დანაწილება-დაქუცმაცებისა და დენაციონალიზაციის პროცესი მოგვცა. შემდეგ საუკუნეებს საქართველოს საგარეო მდგომარეობის შემდგომი გაუარესება მოაქვს. XV საუკუნიდან მონღოლები სპარსელ-ოსმალებმა შეცვალეს, 1453 წ. კონსტანტინეპოლის დაცემით დასავლეთის ქარებიც გამოიკეტა. სპარსეთი და ოსმალეთი დიდმპყრობელურ სახელმწიფოებს წარმოადგენდენ და ოცნებობდენ საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო გზის ხელში ჩაგდებაზე. ქვეყნისათვის გამანადგურებელი ზიანი მოჰქონდა მთიული ტომების, კერძოდ ლეკების გამუდმებულ პარტიზანულ თარეშებს. საქართველოს მდგომარეობას არაჩვეულებრივად ართულებდა მისი ისტორიული გარემოცვის პირობები, რადგან — როგორც სამართლიანად ამბობს ამხ. ფ. მახარაძე—„შინაური შფოთი, და ხშირად ომიც, ხომ მოსვენებას არ აძლევდა ხალხს, მაგრამ ამაზე უფრო დიდი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს მაშინ ჰყავდა გარეშე მტრები: ოსმალები, სპარსელები, თათრები, ლეკები და სხვ. იყო ერთი გარემოება, რომელიც ამ მხრით, კიდევ უფრო დიდ უბედურებად ეელინებოდა საქართველოს, სახელდობრ ის, რომ ქართველი ხალხის ყველა გარეშე მტერი მაჰმადის რჯულს, ანუ სარწმუნოებას აღიარებდა. ეს მტრები სისტემატურად და გამუდმებით თავს ესხმოდენ საქართველოს, იკლებდენ და აოხრებდენ ქართველი ხალხის მიწა-წყალს. მაგრამ მარტო ამას როდი კმარობდენ: ისინი ცდილობდენ ქართველების გამაჰმადიანებასაც. რადგანაც ქართველი ხალხი ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებდა და გარეშე მტრები კი — მაჰმადიანს, ამიტომ ბრძოლა ამ ორ მოპირდაპირე ბანაკს შორის სარწმუნოებრივი ომის ხასიათს იღებდა; თითქოს ბრძოლა სწარმოებდა სარწმუნოებისათვის და არა ნივთიერი, მატერიალური ინტერესების გულისათვის. ეს გარემოება ფარავდა ხალხის თვალში ომის ნამდვილ მიზეზებს; ხალხს გონებას ურევდენ, უმტკიცებდენ — ვითომც იგი თავისი სარწმუნოების დასაცავად იბრძოდა. ეს კი ბუნებრივად იწვევდა როგორც საქართველოში, ისე მაჰმადის სჯულის მაღიარებელ ხალხებში, სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას, რითაც, რა თქმა უნდა, მოხერხებულად სარგებლობდენ მაშინდელი გაბატონებული წოდებანი: მეფენი, მთავრები (თავად-აზნაურობა) და მაღალი სამღვდელოება (კათალიკოსები, მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები)“.[1] მუსულმანური ტალღებით შევიწროებული საქართველო დახმა-

[1] საქარ ველო მეცხრამეტე საუკუნეში, «მნათობი» 1926, № 2(22), გვ. 150.

რებისათვის ხელს იშველდა „ერთმორწმუნე“ რუსეთისაკენ (რუსეთის ორიენტაციის საკითხი დღის წესრიგში დაისვა XVI საუკუნიდან). თუმცა ბურჟუაზიული აღორძინების გზაზე შემდგარ რუსეთს დიდი სურვილი ჰქონდა ხელში ჩაეგდო კავკასიის გადმოღმა მხარეს მდებარე გემრიელი ლუკმა, მაგრამ ერთხანს ამ სურვილის განხორციელებისათვის საჭირო ძალა არ შესწევდა. XVIII საუკუნეში კი სათანადო პირობები მომზადდა და ჩრდილოეთის დიდი „ერთმორწმუნე“ ქვეყანა საკოლონიოდ „იერთებს“ აღმოსაელეთ საქართველოს. XIX ს. განთიადზე — 1801 წელს — ოფიციალურად დადასტურდა საქართველოს ძალმომრეობითი ანექსია. რუსული მართველობის დამკვიდრებით ჩვენში დაიწყო ძველი პატრიარქალურ-ფეოდალური რეჟიმის ჩქარი რღვევის პროცესი (ამ პროცესის სათავეები შესამჩნევია წინა საუკუნეებშიც) და ახალი საზოგადოებრივ-სოციალური და ეკონომიური ცხოვრების საფუძვლები იყრება.

ასე ამრიგად, საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა XIII საუკუნიდან მოყოლებული უაღრესად რთულ პირობებში ვითარდებოდა. უკეთესი არ ყოფილა (თუ უარესი არა) ქვეყნის საშინაო მდგომარეობაც. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამა და ქვეყნის დაქუცმაცებამ კიდევ უფრო გააძლიერა ფეოდალური აშლილობა: ურთიერთ ბრძოლა, დინასტიური ინტრიგები, უცხოეთის ძალებზე დამყარებით საკუთარი გამორჩენისათვის ზრუნვა და სხვა. ძლიერ გამწვავდა კლასობრივი ურთიერთობის ფორმები. ურთიერთის შეღლით თავბრუდახვეული თავადაზნაურობა თავისი კლასის საუკეთესო წარმომადგენელი პოეტის — არჩილის — გონიერ გაფრთხილებასაც კი ვერ ითვალისწინებს: „თუ ამოწყდა გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდა“ო და, როგორც სამართლიანად ამბობს გიორგი სააკაძის პირით იოსებ სააკაძე — „გლეხთ სარჩოც დია დაიმსო“ («დიდ-მოურაეიანი»). პატრონყმური რეჟიმის ფორმა ახლა უფრო მწვავე ბატონყმური რეჟიმის ფორმას ღებულობს. XVIII ს. დასაწყისში ამ ახალი ფორმის (ბატონყმობის) სახელმწიფოებრივი კოდიფიკაცია ხდება (ვახტანგის სამართალი). ჯანონი ახლა საქეყნოდ აცხადებს „ყმისა ყოველი ბატონისა არის“ო. ამ ფორმულის პრაქტიკული გამოყენება უფრო შორს მიდიოდა. დამახასიათებელია, რომ მესამე პერიოდში თუმცა ძალზე დაეცა აღებმიცემობითი საქმიანობა, მაგრამ სამაგიეროდ იშვიათად განეითარდა ყმებით ვაჭრობა. ცოცხალი სულებით სარგებლიან ვაჭრობას თანაბრად ეწეოდა ფეოდალური კლასის ორივე — სასულიერო და საერო — ფრთა.

ფრიად მწიშენელოვანი ხდება გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის ზნეობრივი გახრწნა. სამოქალაქო უფლებას პოულობს პირფერობა, მლიქვნელობა, ცბიერება და მისთანანი ჩვეულებრივი ხდება ანგარების მიზნით სჯულის გამოცვლა, ღალატი, მაბეზღრობა, სექსუალური აღვირახსნილობა და სხვ. სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ დაცემულობას თან მოჰყვა ზნეობრივი დაცემულობაც. ხოლო ყოველივე ამან საერთო კულტურისა და კერძოდ მწერლობის დაცემაც გამოიწვია. უკვე მონღოლების დროიდან ძლიერ შეფერხდა სწავლა-განათლების საქმე,

შემდეგში აფორიაქებული ცხოვრების წყალობით — როგორც გურამიშვილი ამბობს — კიდევ უფრო „იკლო სწავლამა, ტყეში ლეკთ დავლამა წიგნი წარსტყვენა". ახალის შექმნის სანაცვლოდ საშინლად ნადგურდებოდა ძველი კულტურული ნაამაგარი. ამ დროს დაიღუპა მატერიალური, თუ სულიერი კულტურის მრავალი ძეგლი. ამიტომაც არის, რომ — მაგალითად — მთელი რიგი თხზულებებიდან ჩვენ მხოლოდ სახელი-ღა შეგვრჩენია. XIII-XIV საუკუნიდან მხატვრული მწერლობის ხაზით ჩვენ დრომდის არაფერი მოღწეულა, თუმცა ეს ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს მაშინ ლიტერატურული საქმიანობა არ წარმოებდა. ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია ვიფარაუდოთ იმდროინდელი მწერლობის დაბალი ხვედრითი წონა.

XV-XVI საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა მონღოლების დროსთან შედარებით ოდნავ გაუმჯობესდა, რამდენადმე მოშენდა და მომტკიცდა ცალკე კუთხეები, განსაკუთრებით ბუნებრივი პირობებით დაცული მთიანი ადგილები და ხევები. ამასთან აღმოსავლეთი საქართველო კვლავ კულტურული სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა. ამან კი ხელი შეუწყო თითქმის მიმქრალი ლიტერატურული კერის გაჩაღებას. აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით, მესამე პერიოდს ლიტერატურის ისტორიკოსები ჩვეულებრივად ორ ხანადაც ყოფენ: XIII-XIV საუკუნეს უწოდებენ დაცემის ხანას, ხოლო XV-XVIII ს.—აღორძინების ხანას. ფაქტურად კი დაცემულობა ახასიათებს როგორც XIII-XIV, ისე შემდეგ საუკუნეებს, თუმცა ერთგვარ გამოცოცხლებასა და წინსვლას (ანუ „აღორძინებას") უკანასკნელ საუკუნეებში უსათუოდ ჰქონდა ადგილი. დაცემულობა დაეტყო მწერლობის იდეურ მხარესაც და ფორმალურ მიღწევებსაც. ლიტერატურული გემოვნებისა და ლიტერატურული ოსტატობის დაცემის ცხადი მაჩვენებელია ის გარემოება, რომ XV-XVII საუკუნეებში «ვეფხის-ტყაოსნის» გენიალურ ავტორს უნიჭო წამბაძველ-გამგრძელებლები ენაცვლებიან. იდეური დაცემულობის აღმნიშვნელია მთელი ლიტერატურული პერიოდის დამახასიათებელი მელანქოლიკურ-პესიმისტური მოტივი, ბედის ჩივილი, სოფლის სამდურავი, მაშინ როდესაც წინა პერიოდს სჩვევია აღფრთოვანებულ-პათეტიკური ტონი. თუ XII საუკუნის ფეოდალური რენარჩის სიკაროჰ პოეზიას შედარებით ბრწყინვალე, ხალისიანი და პერსპექტიციანი მიმართულება ასულდგმულებდა, მონარჩიის დაშლისა და ფეოდალური აშლილობის პირობებს სევდიანობა-ნაღვლიანობისა და მისტიკურ-ქაოტური განწყობილების მოტივები შეეფერება. სწორედ ამ მოტივებს ამჟღავნებენ ეპოქის განთქმული მწერლები: თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, გურამიშვილი, ბესიკი და სხვ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ეკლესიამ და სასულიერო წოდებამ ამ დროს ძველი პრივილეგიური მდგომარეობის აღდგენა სცადა და რეაქციურ გზას დაადგა. ეკლესიამ, სხვათა შორის, კატასტროფული ხასიათის მოვლენები ახსნა ვითომ რელიგიური გრძნობებისა და ქრისტიანული ზნეობის შერყევით, ისარგებლა მოხერხებული მომენტით და რელიგიური

პროპაგანდა გააძლიერა;' მძიმე მდგომარეობით დაშინებულ და სულიერად დაცემულ საზოგადოებაში ამ პროპაგანდამ ერთგვარი ნიადაგი პოვა. მართლაც-და, მთელ პერიოდს ეკლესიურ-კლერიკალური აზროვნობის დიდი გავლენა ეტყობა. ბრძოლის ხასიათზე დამდგარი ეკლესია საძრახისად აცხადებს წინა პერიოდის ნაამაგარ მდიდარ საერო კულტურულ მემკვიდრეობას, სდევნის ვითომ გარყვნილობა-ზნედაცემულობის გამომხატველ «ვეფხის-ტყაოსანს», «ვისრამიანს» და სხვა მისთანა ძეგლებს. საზოგადოების მოწინავე პროგრესული ნაწილი, რასაკვირველია, ვერ ურიგდებოდა ეკლესიის ასეთ გამოსვლებს და მას სასტიკ წინააღმდეგობასაც უწევდა. საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ფრონტზე ეს წინააღმდეგობა იყო მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი. გაფთრებული ბრძოლის პირობებში კლერიკალურმა კრიტიკამ თეიმურაზ პირველიც კი არ დაინდო და „სულის საზიანო" „თათრული ზღაპრების" მოშაირე უწოდა. «ვეფხის-ტყაოსნის» გადარჩენის მიზნით ვახტანგ VI კომპრომისის გზას დაადგა, საერო კულტურის ეს კლასიკური ძეგლი მან „საღვთო" ნაწარმოებად გამოაცხადა, ხოლო ლირიკულ პოეზიას დაუსახა ალეგორიული საღვთო მიჯნურობის გზები. ვახტანგი თავის ლექსებში ოსტატურად ხატავს ქალის გარეგნულ სილამაზეს, ამკობს სილამაზის ხორციელ მხარეს, მხურვალე სასიყვარულო სიტყვებით მიმართავს სატრფოს და სხვა, მაგრამ სატრფოში თითქოს არა მიწიერ, ჩვეულებრივ ქალს გულისხმობს, არამედ ღვთისმშობელს, ანგელოსებს, წმინდანებს, ღმერთს. ალეგორიულ-მისტიკური სამიჯნურო პოეზიის განთქმული ოსტატია დავით გურამიშვილი, ხოლო მამუკა ბარათაშვილმა — ვახტანგის წრის პოეტმა — თავის «უშნოკაშია» (პოეტიკის სახელმძღვანელოში) ალეგორიულ-სამიჯნურო მიმართულება სასურველ მიმართულებად გამოაცხადა. მაინცადამაინც საერო-ფეოდალური საზოგადოებრიობის გამძღოლი ფრთა, კერძოდ საკარო გარემო, საკუთარი იდეოლოგიური პრინციპის შენარჩუნებას ახერხებდა და თავგამოდებით იცავდა საერო პოეზიას. თეიმურაზ პირველი ერთგან, იქნებ ერთგვარი გადაჭარბებითაც, პირდაპირ აღნიშნავს სასულიერო მწიგნობრობის მიმართ გარკვეულ საზოგადოებრივ გულგრილობას:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა"-ო.

ამას ადასტურებს არჩილიც:

„საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით,
საშაიროს ინახევდენ სტავრის ბუდით, ან ნახლობით"-ო.

დამახასიათებელია, რომ არჩილის სიტყვით „ორი არის წიგნის ცოდნა სამღვდელო და საერიო, საეროსა მცოდინარეს სამღვდელომა მოერიოს"-ო. ე. ი. სასულიერო მწერლობას აძლევს არჩილი უპირატესობას საეროსთან შედარებით, ასევე თეიმურაზი და სხვები. მაგრამ ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ეკლესიასა და კლერიკალურ საზოგადოებრიობასთან კონფლიქტის აცილების სურვილით აიხსნება. თეიმურაზი, არჩილი და სხვ.

ერთგვარ სავალდებულო ბარკს იხდიან თანადროულობის წინაშე. ერთი მხრით თითქოს თითონაც „უსარგებლო ზღაპრად“ აცხადებენ საკუთარ ლიტერატურულ პროდუქციას, მაგრამ მეორე მხრით საზოგადოებრივი ყურადღებით გამხნევებულნი გატაცებით ემსახურებიან ამავე „უსარგებლოს“ საქმეს. მაგრამ, როგორც უნდა იყოს, რელიგიურ-მისტიკური აზროვნების გავლენა ძლიერ ბეჭდად აზის მთელ იმდროინდელ მხატვრულ მწერლობას. ამ გავლენას განიცდის თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით გურამიშვილი, რომელმაც შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით ბიბლიური ტექსტების აღდგენაც კი სცადა.

სულიერად დაცემული და მორალურად შერყეული საზოგადოებისათვის საჭირო იყო გამხნევება და ზნეობრივ-აღმზრდელობითი საზრდოს მიცემა. ამ როლს კისრულობს მხატვრული მწერლობა, აქედან მოდის დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი და მორალისტურ-აღმზრდელობითი მიმართულების პოპულარობა. ლიტერატურული ფორმის მხრივ დიდაქტიკურ-დამრიგებლობითს მიმართულებას კარგად ეგუებოდა იგავ-არაკული ჟანრი, გადატანით-გაიგავების, ანუ ალეგორიული გზით უფრო მრსახერხებელია ხშირად სხვა პირობებში შეუძლებელი აზრების გამოხატვა. გონებამახვილი ავტორი ცხოველთა სამეფოს მეშვეობით იოლად მოახერხებს ადამიანთა უზნეო სახის მხილებას. სწორედ ამ მოვლენაში უნდა ვეძიოთ იგავ-არაკის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, გავრცელების ღრმა სოციალური აზრი. ამით აიხსნება „ეზოპური“ ენის პოპულარობა ძველ მწერლობაში. იგავ-არაკული ჟანრის ორიგინალური მწერლობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის განთქმული «წიგნი სიბრძნე-სიცრუისა» (XVIII ს.), ხოლო თარგმანიდან აგრეთვე განთქმული «ქილილა და დამანა». დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლებია არჩილი და გურამიშვილი.

ეპოქაში გაბატონებული საზოგადოების კლასობრივ სულისკვეთებას შეეფერებოდა საგმირო-რომანტიკული და ზღაპრულ-ფანტასტიკური ხასიათის მიმართულებაც. მწერლობის ეს დარგი ტრადიციულად განაგრძობს არსებობას და მიმდინარე ეპოქაში მნიშვნელოვან ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებს იძლევა. როსტომიანი (შაჰ-ნამე) საგმირო ეპოსის უბადლო ნიმუშია: როსტომიანის როგორც ლიტერატურული, ისე, საფიქრებელია, ხალხური ვერსია წინა პერიოდში ყოფილა ქართულ ენაზე შემუშავებული, მაგრამ მონღოლების დროიდან დაჭარგულა. XV ს. დასაბამიდან იწყება ამ შესანიშნავი და „ულევეი“ (როგორც ერთერთი მელექსე უწოდებს) თხზულების განახლება, განახლებას უნდება მთელი საუკუნეები და მწერალთა თაობები. საზღაპრო-ფანტასტიკური ელემენტის გაძლიერებით საგმირო-რომანტიკული თვისება ახასიათებს ე. წ. საზღაპრო ეპოსს, რომელიც იშვიათ სახალხო გავრცელებას აღწევს. ახლაც ხშირად გაიგონებთ ყარამანიანისა, შვიდვეზირიანისა და სხვათა სახელებს. საზღაპრო ეპოსის ტიპურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს ორიგინალურ

„კომპილაციური «რუსუდანიანი“ (XVII ს.). რუსუდანიანი იმით არის შესანიშნავი, რომ იქ ეპოქის თითქმის ყველა დამახასიათებელი მოტივია შეზავებული, სახელდობრ: დიდაქტიკურ-მორალური, რელიგიურ-მისტიკური, გმირულ-ფანტასტიკური, რომანტიკული, ეროვნული და სხვ. აღსანიშნავია, რომ ფეოდალური პოეტიკის კანონმდებელი მამუკა ბარათაშვილი (XVIII ს.) საგანგებოდ მოითხოვს მწერლებისაგან სამხედრო-საგმირო და დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი თემატიკის დამუშავებას.

სამიჯნურო პოეზიის დიდი ოსტატია თეიმურაზ პირველი (XVII ს.). ამ შემთხვევაში მისი შემოქმედებითი ორიენტაცია აღებულია სპარსეთზე. სპარსული ორიენტაციის გასამართლებლად თეიმურაზმა თავისებური თეორიაც კი წამოაყენა:

„ნახოს კაცმან კარგი რამე, მანცა იგი გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა-რამე წამოიღოს“-ო.

თეიმურაზი აღტაცებულია სპარსული სიტყვის „მუსიკობით“, ხოლო ქართულს იწუნებს კიდეც: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“ და „მძიმე არს ენა ქართველთა“-ო. თეიმურაზმა გადმოაქართულა სპარსული მწერლობის მთელი რიგი კლასიკური ძეგლები («იოსებ-ზილიხანიანი», «ლეილ-მეჯნუნიანი», «ვარდ-ბულბულიანი», «შამ-ფარვანიანი») და შეთხზა რამდენიმე მნიშვნელოვანი ორიგინალური პოემა, თუ ლირიკული ლექსი. მან პირველად შემოიტანა საქართველოში «ვარდ-ბულბულიანური» სიყვარულის მოტივი, რომელიც შემდეგში მწერალთა მთელი თაობების მისაბაძი გახდა. თეიმურაზი ავტორია დიდად განთქმული და სანიმუშოდ ქცეული «მაჯამური» პოემისა. თეიმურაზის პოეზიაში პირველად გაისმა ნაციონალური მოტივის ხმა («წამ ბა ქეთევან დედოფლისა»), მანვე მწვავე მელანქოლიკურ-პესიმისტურ განცდებში აღბეჭდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური უკუღმართობა და პირადული მწუხარე ხვედრი. მაგრამ ის მაინც უმთავრესად სამიჯნურო ვარდ-ბულბულიანური მოტივების მომღერლად და სპარსული მიმართულების წარმომადგენლად დარჩა ქართულ პოეზიაში. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, თუმცა თეიმურაზი თანამედროვეთაგან და შემდეგშიაც უდიდეს პოეტად იყო მიჩნეული და რუსთველსაც კი უტოლებდენ (ზოგი რუსთველზე მაღლა აყენებდა), მაგრამ მაინც ძლიერი იყო მის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია. ამ ოპოზიციის მეთაურია თეიმურაზის დიდი დამფასებელი და ერთგვარად მისი გაელენის ქვეშ მყოფი არჩილი (XVII-XVIII). არჩილი ნაციონალურ-ფეოდალური დასის თვალსაზრისს ასახიერებდა და სასტიკად დაგმო რუსთველისა და თეიმურაზის „ზღაპრულ-მოჟორილი“ (არჩილის სიტყვებია) და უცხო „სპარსული“ თემატიკა. ზღაპრულ-ფანტასტიკურ მიმართულებას არჩილმა დაუპირისპირა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება. თავის შესანიშნავ «რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასებაში» არჩილმა მოგვცა თეიმურაზის და მისი დროის (XVII ს.) ორიგინალურ-მხატვრული აღწერილობა. არჩილი იწუნებს სპარსიზმებით შეზავებულ თეიმურაზის ენას და თავის მხრივ პურიზმის პრინ-

ციპებს იცავს. თეიმურაზის «მაჯამას» წაბაძვით შეთხზულ ლირიკულ პოემაში „ლექსი აქა-იქ ნათქვამი“ არჩილი ცხარე გამოჯავრებით აცხადებს: «მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია»ო.

ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელია დავით გურამიშვილი (XVIII), რომელმაც იშვიათი ნიჭიერული ოსტატობით და კეთილსინდისიერი პირუთვნელობით ასახა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების რთული გარემო. რუსეთში გარდახვეწილმა პოეტმა ლირიკულად გამოიტირა მშობლიური ქვეყნის მწუხარე ბედი და ჭირისუფლური მზრუნველობის პოზიციიდან დიდი სიმწვავით აბხილა მისი თანამოძმე თავადაზნაურული კლასის ზნეობრივ-მორალური სნეულებანი. გურამიშვილი ცნობილი დიდაქტიკოსიცაა (ამას უკუთვნის პოპულარული „სწავლა მოსწავლისა“), რელიგიურ-მისტიკური და პესიმისტური ხასიათის ლირიკული ლექსების ავტორი. ყოველივე ამასთან ერთად გურამიშვილი პიონერია საქართველოში ერთგვარი რეალისტური ტენდენციის მქონე მწყემსური საყოფაცხოვრებო პოემისა („ქაცვია მწყემსი“). გურამიშვილისა და მისი თანამედროვე მამუკა ბარათაშვილის სახელთან დაკავშირებულია ახალი სალიტერატურო ენისა და სავერსიფიკაციო (ლექსთწყობის) ნორმების განმტკიცება. ამაზე ადრე ქართული ვერსიფიკაცია რუსთველური თექვსმეტმარცვლოვანი შაირით და ჩახრუხაული საზომით ამოიწურებოდა. საერთოდ რუსთველური „პოეტიკის“ ეპიგონური განმეორება და უხეში მიმბაძველობა მთელი სალიტერატურო პერიოდის დამახასიათებელი გარემოებაა. სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ ახალი ნორმების შემოღებაში პირველობა სულხან საბა ორბელიანს (XVII-XVIII ს.) ეკუთვნის, ქართული პროზის უბადლო ხელოვანს. გურამიშვილი და ბარათაშვილი რუსეთში გარდახვეწილი პოლიტიკური ემიგრანტების ჯგუფში ერიენენ, ემიგრანტული განწყობილების მოტივებიც ღრმად არის აღბეჭდილი ორივე პოეტის შემოქმედებაში.. მაგრამ ეროვნულ გარემოს მოწყვეტილი ეს შესანიშნავი მხატვრები თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდენ ლიტერატურული ცხოვრების მიმდინარეობაზე საკუთრივ საქართველოში.

ძველი ქართული პოეზიის უკანასკნელი კლასიკოსია ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი). ბესიკის შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა გადაგვარებისა და დაცემის გზაზე შემდგარი თავადაზნაურული არისტოკრატიის დეკადანსური განწყობილება: ეროტომანია, ჰედონიზმი, მელანქოლია. ამ მხრივ ბესიკი აგრძელებს თეიმურაზ პირველისა და სპარსული პოეზიის გზებს. ბესიკი განსაკუთრებით ცნობილია, როგორც მხატვრული სიტყვის დახელოვნებული ოსტატი. ბესიკის ლექსები მდიდარია ნაირ-ნაირი პოეტური მეტყველების ხერხებით, მუსიკალობით და საზომების სიახლით. ბესიკი თავისებური სკოლის მეთაური გახდა, რომელსაც მრავალრიცხოვანი წამბაძველ-მიმდევარნი გაუჩნდა. XIX ს. პირველი ნახევრის პოეზია უშუალოდ აგრძელებს ბესიკის სალიტერატურო გეზს.

არისტოკრატიულ-სალონური მწერლობის გვერდით ცოცხლობდა და ვითარდებოდა ქალაქის დაბალი სოციალური ფენების, ვაჭრულ-ხელოსნური წვრილბურჟუაზიული წრის პოეზიაც, ე. წ. აშუღურ-ყარაჩოღლური პოეზია, რომელიც ძლიერ განიცდიდა მწიგნობრული ტრადიციების გავლენას, მაგრამ ერთგვარ თავისებურებასაც ინარჩუნებდა. აშუღურ-ყარაჩოღლური პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელია საიათნოვა (XVIII ს.). საიათნოვას შემოქმედებაში ერთი მხრით ძლიერია «ვარდ-ბულბულიანური» სიმბოლიკის სტიქია და «ყარამანიანის» რომანტიკა, მაგრამ მეორე მხრით ფართლით შოვაჭრე აშუღის სოციალური განცდებიც იხატება. მხატვრული ოსტატობის მხრივ საიათნოვა საკმაოდ მოიკოჭლებს, სამაგიეროდ ის მდიდარია ახალი იდეურ-ემოციონალური მომენტებით. ესაა აშუღური პოეზიისა და კერძოდ საიათნოვას დამსახურება ქართული ლიტერატურის ისტორიის წინაშე.

თუ ძველ ქართულ მწერლობას ჩაეუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მწიგნობრობა-პოეტობას მისდევდენ ხშირად მეფეები, ან მეფის კარისკაცები და დიდებულები, საერთოდ უმაღლესი სოციალური, თავადაზნაურული წრიდან გამოსული პირები. სასულიერო-საკულტო მწერლობას თავის მხრივ ემსახურებოდენ ბერ-მონაზვნები, მღვდლები, ეპისკოპოსები და მისთანები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ სწორედ თავადაზნაურული კლასი წარმოადგენდა მაშინ საზოგადოების გაბატონებულ ნაწილს, ამ კლასის ხელში იყო ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სადავეები; კულტურული ცხოვრებისათვის საჭირო პირობებითაც მხოლოდ თავადაზნაურობა სარგებლობდა. სოციალურად დაჩაგრული მშრომელი მოსახლეობა (გლეხკაცობა) კულტურულადაც ძლიერ დაბალ დონეზე იდგა. გლეხობისთვის მიუწვდომელი იყო სწავლა-განათლება, მწიგნობრობა, ლიტერატურული საქმიანობა. თავადაზნაურობა და სამღვდელოება თავისი სოციალური კანონმდებლობით და მორალით, თავისი რელიგიით, თავისი ადათ-ჩვეულებით მშრომელი ხალხის გონებრივ დაჩლუნგებას უწყობდა ხელს. გონებრივი წყვდიადით მოცული გლეხკაცობა სოციალური ექსპლოატაციის უფრო სარგებლიანი წყარო გახდებოდა. ვინც ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას ედგა სათავეში, მის ხელში იყო მწიგნობრობა და პოეზია. ამიტომაც არის, რომ მთელი ძველი მწერლობა თავადაზნაურული ცხოვრებისა და ინტერესების ასახვას ემსახურება. დამახასიათებელია, რომ ისეთი — თავის დროისათვის შედარებით პროგრესულად მოაზროვნე პოეტი, — როგორიც იყო დავით გურამიშვილი, მშრომელი ხალხისაგან მოითხოვს „ცხელის ოფლის“ ღვრით დღე და ღამის გასწორებას „ჩრდილთ ქვეშ მიუკარაულად“, რომ „ქვეყნის მფარავნი“ ე. ი. თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მისთანები გამოაძღოს. ასეთია გურამიშვილის „სამართალი ბატონ-ყმური“.

მაგრამ თუ წერითი სიტყვიერების, ანუ მწიგნობრობა-ლიტერატურის ერთადერთი ბატონპატრონი იყო თავადაზნაურობა და სამღვდელოება, ზეპირი სიტყვიერება (ფოლკლორი) უმთავრესად მშრომელი

ხალხის კუთვნილებას შეადგენდა. აქ უკვე უძლური იყო ფეოდალური ზნეობის „ცენზურა“ და გლეხობა თავისუფლად ამჟღავნებდა თავის სოციალურ განცდებს. ამრიგად, ოფიციალური ლიტერატურის გვერდით მხატვრული სიტყვის არა ოფიციალური დარგიც არსებობდა. ქართული ფოლკლორი დამძიმებულია მრავალსაუკუნოვანი წარსულის ტვირთით და იშვიათად მდიდარია როგორც თავისი იდეების სიღრმით, ისე ამ იდეების მხატვრული გადმოცემით. განსაკუთრებულად გამახვილებულია ფოლკლორში სოციალური მოტივები, ხალხური ლექსები სავსეა თავდაზნაურობისა, სამღვდელოებისა და მისთანათა კიცხვით, გმობით. ჩვენ დრომდის მოღწეულია (ამჟამად ნაწილობრივ ჩაწერილი და შესწავლილიცაა[1]) ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული ხალხური ლექსების მთელი ციკლი, რომელიც XVI-XVIII საუკუნეებს ეკუთვნის და ამდენადვე ბუნებრივად ჩვენი მიმოხილვის საგანი ხდება. ნუგზარაგვისთავს—XVI-XVII სს. დიდ ფეოდალს — თავისუფალი მთიულეთის დაპყრობა და ბატონყმობის უღელში შებმა განუზრახავს, მთიულებს თავი სასიკვდილოდ გამოუდგიათ და სისხლისმღერელი ბრძოლით უპასუხებიათ მტარვალის წინააღმდეგ. ხალხური გადმოცემა ახლაც ზიზღით იგონებს მხეცი ერისთვის დროს: „ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“. ნუგზარის უკაცრიელი საქმე მის არა ნაკლებ მტარვალ შვილ ზურაბს განუგრძია. ზურაბი დიდი გაელენის და შეძლების პატრონი იყო, ტყუილად კი არ ამბობს ერთი ხალხური ლექსი: „ისპაანამდე გაითქვი, ყეენთან გაიზარდეო“[2], და თურმე ამ „ზურაბს ჯავრი კლავს ორისა: ხევსურეთისა, ფშაველისა“. თავისი სურვილის მისაღწევად ზურაბს არა ერთგზის დაულაშქრავს მთები. შემოსეული მტრისათვის მთას ჯერ უთხოვია: „დადეგ, დაგვეხსენ ზურაბო“-ო; თხოვნას რომ არ გაუშრია, მაშინ მთიულებს თავისუფლებისათვის ბრძოლის სანაქებო მაგალითები უჩვენებიათ. გამანადგურებელი ირონიით აღნიშნავს ხალხური ლექსი ერისთვის თანამებრძოლი აზნაურების სამარცხვინო აწყვეტას:

„უხოცავ აზნაურები დაბლა აკუშოს წყალ ზედა...
ერისთვის აზნაურებსა ყორნებ პწკლით ეზიდებისა“ო.

ხალხი ვერ დაივიწყებს ზნედაცემული ერისთვის ველურ საქციელს:

„ზურაბმ ხოყანა აიფრა, ბევრს ეაქს უტირა დედაო,
ბევრს ქალს გაუხსნა ფარაგი, უკბინა ძუძუზედა-ო.

დიდი მძულვარებით და გამეტებით დაუწყევლია ხალხს „ძაღლი ზურაბი“, ხოლო როცა მისი სიკვდილის ხმა გავარდნილა (ზურაბი, როგორც საშიში

[1] განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. შანიძის „ხალხური პოეზია“, ტფილისი 1931. (იხ. აგრეთვე ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“).

[2] ზურაბის შესახები ციტატები ამოღებულია ა. შანიძის ხალხური პოეზიიდან.

მეტოქე, ღალატით მოაკლევინა მისმა სიმამრმა, მეფე თეიმურაზ პირველმა), მთიულებს თავისუფლად ამოუსუნთქავთ და დიდ სიხარულს მისცემიან:

„ქაცი წავიდეს თუშეთში, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი:
საფურცლეს მოკლეს ზურაბი, ძილ დააძინეს მაგარი.
ფშაველ-ხევსურთა უთხარი, წელით დაიხსნან აბჯარი,
ფშაველ-ხევსურთა ქალ-ზალმა ძილ დაიძინან მაგარი“.

ცხარე ბრძოლა უწარმოებია ბატონყმური უღლის შემოღების წინააღმდეგ მთის რაჭასაც. ამ სახელოვანი ბრძოლების ამბავი მოთხრობილია ზვიადა ლობჟანიძის შესახებ არსებულ ვრცელ თქმულებაში[1].

დასასრულ აღსანიშნავია, რომ თუმცა ოფიციალური ლიტერატურა მედიდურობითა და ათვალწუნებით უყურებდა ფოლკლორს, როგორც ხალხური შემოქმედების მდაბიო ჟანრს, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ იცის მრავალი მაგალითი, როცა სწორედ ხალხური შემოქმედებითი წყარო დასდებია საფუძვლად წერითი სიტყვიერების განთქმულ ძეგლებს. ასეთი მაგალითები არც ძველ ქართულ მწერლობას ეუცხოვება. ფოლკლორული მასალებით სარგებლობდენ სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, მამუკა ბარათაშვილი და სხვ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თითქოს ლიტერატურული «ამირან-დარეჯანიანისა» და «ვეფხის-ტყაოსნის» სათავეები სათანადო ხალხურ თქმულებებში უნდა იქნას გამონახული. თავის მხრივ მწიგნობრობაც დიდად ანაყოფიერებდა ხალხურ შემოქმედებითს სალაროს: თავი რომ დავანებოთ სადაოდ ქცეულ იმავე «ამირან-დარეჯანიანსა» და «ვეფხის-ტყაოსანს», ამ მოსაზრებას ცხადლივ ადასტურებს «შაჰ-ნამეს», ანუ «როსტომიანის» მაგალითი. სწორედ ფ ი რ დ ო უ ს ი ს ლიტერატურული ქმნილება (შესაძლებელია ნაწილობრივად სპარსულ ნიადაგზე, უფრო კი «შაჰ-ნამეს» ქართული ვერსიების საშუალებით) დასდებია საფუძვლად საქართველოში ფრიად პოპულარულ თქმულებათა მთელ ციკლს როსტომ და ზურაბისა, ბეჟან და მანიჟაისა და «შაჰ-ნამეს» სხვა ცნობილი ეპიზოდების შესახებ.

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, „მთის რაჭა“.

ხანმეტი ძეგლები

უძველესი წერილობითი ძეგლები ქართული ენისა (VI — VII ს.ს.) ხანმეტის სახელწოდებითაა ცნობილი. ხანმეტი ნიშნავს, რომ ასო ხ (ხანი) გარკვეული დროიდან (მე-IX ს-იდან) სიტყვაში შეტია, როგორც მაგალითად ამაებში: ხაქუს = აქვს, ხიყო = იყო, ხუმჯობესი = უმჯობესი, ხედავ, = ხედავ, ხეტყოდა = ეტყოდა, მიხუგო = მიუგო, შეახო = შეახო, ხესმოდა = ესმოდა, დახუწერა = დაუწერა და მისთ. ტერმინი ცნობილია გიორგი მთაწმიდლის დროიდან (XI ს.), მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობის გამორკვევა მხოლოდ თვით ასეთი ენით დაწერილი ხელნაწერი ძეგლების აღმოჩენის შემდეგ მოხერხდა (1923 წ.). ხანმეტი ტექსტები შემონახულია ეპიგრაფიკული ძეგლების მიერ, ე. ი წარწერებით (ბოლნისის სიონზე, მცხეთის საყდარზე) და ხელნაწერებში. უმეტესობა ხანმეტი ტექსტებისა პალიმფსესტებიდანაა ცნობილი. პალიმფსესტი ჰქვია ეტრატს (ცხვრის ან ხბოს ტყავს, საგანგებოდ დამხადებულს წერისათვის), რომელზედაც ერთხელ დაწერილი წაშლილია, ან გადაფხეკილი, და რომელიც ხელმეორედაა გამოყენებული საწერ მასალად. ძველი ნაწერი პალიმფსესტისა ჩვეულებრივ ძნელი ამოსაკითხავია. ხანმეტი ტექსტების უმეტესობა სწორედ ძნელად ამოსაკითხავ პირველ ნაწერს წარმოადგენს. ზოგიერთი მათგანი გარჩეული აქვს ი. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს და რ. ბლეიკს. ბევრი ჯერ კიდევ ამოუკითხავია. პალიმფსესტის გარეშე ჯერჯერობით ცნობილია ერთი ხელნაწერი, ე. წ. ლექციონარი (საკითხავების წიგნი რომელიც ერთ დროს სინას მთაზე ინახებოდა[1], ქართველთა მონასტერში, და ახლა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული (ავსტრიაში). ხანმეტი ტექსტების შემცველი პალიმფსესტები უმთავრესად ტფილისში მოიპოვება (საქართველოს მუზეუმში). ტფილისურ პალიმფსესტებში პირველნდელი ნაწერიც (ქვედა) და მერმინდელიც (ზედა) ორივე ქართულია, მაგრამ ინგლისში (ოქსფორდში და კემბრიჯში) მოიპოვება ნაწყვეტი ქართულ-ებრაული პალიმფსესტისა (პირველნდელი ნაწერი ქართულია და მერმინდელი — ებრაული).

ხანმეტ ძეგლებში აქა-იქ ურევია ჰაემეტობის კვალიც (მაგ. ჯიცილობთ, გვ. 5. სტრ. 2).

ლიტერატურა:

1. ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ხმნებში (ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—23, გვ. 262).

2. —, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში (იქვე, გვ. 398).

3. —, ხანმეტი მრავალთავი (ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1926 წ., გვ. 98).

4. —, ქართული ხელნაწერები გრაცში (ტფ. უნივ. მოამბე IX, 1929 წ., გვ. 311).

5. —, ერთი წიგნის ბედი („წიგნი", სახელგამის ყოველთვიური ჟურნალი, თებ.-მარტი 1933, გვ. 21).

6. ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922 — 23, გვ. 313).

7. რ. ბლეიკი, კემბრიჯის ქართული ხელნაწერების აღწერილობა (ჰარვარდის თეოლ. მიმოხილვაში, 1932, ინგლისურად).

[1] სინას ნახევარკუნძულზე, რომელიც მდებარეობს მეწამული ზღვის ჩრდილოეთით ორ მის ყურეს შორის. პოლიტიკურად იგი ამჟამად ეგვიპტეს ეკუთვნის.

A. ბოლნისის წარწერები

I

ქრისტე, დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანის მცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შინა შეხენწიე.

II

შეწევნითა ქრისტჱსითა მე ფარნ(...) და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოცველად სულთა ჩუენთათჳს.

ეს წარწერები მოთავსებულია ბოლნისის სიონზე (ბორჩალოში, ლუკსემბურგის რაიონში): პირველი აღმოსავლეთის კედლის სარკმლის თავზე, მეორე კი (რომელიც კარის შებმის ამბავს ეხება) — ჩრდილოეთის კარის თავზე. წარწერები რამოდენამეჯერაა გამოცემული, უკანასკნელად ა. შანიძის მიერ („ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში": ტფ. უნივ. მოამბე, II, 262 და შემდ.). პირველი მათგანის სურათი ნ. ამ წიგნის ბოლოს.

B. მცხეთის ჯვრის წარწერები

I

წმიდაო მიქელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჴპატოსსა მეოხ ხეყავ.

II

წყალობითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ჯუარისაჲთა მე თემესტია მკჳდალმან ქრისტჱსმან აღეაშჱნე საყოფელი ესე საკსენებელად სულისა ჩემისა, თავყანისაცემელად დედათა.

ეს წარწერები მოთავსებულია ჯვარის საყდარზე, რომელიც პრაგვის მარცხენა ნაპირას ამართულ გორზეა გაღმომდგარი (ხაჭესის საგუბრის პირდაპირ). წარწერები რამოდენამეჯერაა გამოცემული, სხვათა შორის პირველი მათგანი ა. შანიძის მიერაც („ნაშთები..." ტფ უნივ. მოამბე, II). მეორე წარწერა ისეთ ფორმას არ შეიცავს რომ მოსალოდნელი იყოს „ზედმეტი" ხანი, მაგრამ საყურადღებოა სხვა ფორმების მხრივ (მაგ. თავყანი(ს) საცემელად=თავის საცემლად ყანისათჳს, ე. ი. მიწისათვის. აქედან შემდეგ: თაყვანისცემა).

C. პალიმფსესტებიდან ამოკითხული ნაწყვეტები [1]

I

ნუ დახშჳთ, რაჲთა არა დახსნაჳნეთ; რამეთუ რომლითა ხშჳთ, მითცა ხსნაჳნეთ და რომლითა საწყაულითა მიხუწყჳდეთ, მოგეწყოს თქუენ.

[1] ამოღებულია ი. ჯავახიშვილის ზემორე დასახელებული შრომიდან. პირველ ნაწყვეტში მოცემულია მთლიანი ტექსტი ორი სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით.

რაჲსა ხხედაე წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუალსა შინა შენსა დირესა არა ხხედავ? ანუ ვითარ ხეტყჳ ძმასა შენსა: «მაცადე და აღმოგიღო წუელი იგი თუალით შენითა», და აჰა ეგერა დირჲ ეგე თუალსა შინა შენსა გიც?! ორგულო! აღმოიღე პირველად დირჲ თუალისაგან შენისა და მაშინ ხიხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.

ნუ მიხცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დახუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, რაჲთა—არა დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოგექცენ და განგხეთქდენ თქუენ.

ხითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ხეძიებდით დი ხპოვოთ, ხირეკდით და განგეღოს თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ხითხოვს, მიიღის და რომელი ხეძიებს, პოვის და რომელი ხირეკს, განხეღის.

ხიყოს-მე ვინ თქუენგანი კაცი, რომელსა ხთხოვდეს ძჳ მისი პურსა, ქვაჲ ნუ მიხცესა მას? ანუ თუ თევზსა ხთხოვდეს, გუელი ნუ მიხცესა? უკუეთუ თქუენ უკეთურთა ხიცით ნიჭისა კეთილისა მიცემაჲ შვილთა მათ თქუენთა, რაოდენ არა ხუფროჲს მამამან თქუენმან ზეცათამან მოხცეს კეთილი, რომელნი ხთხოვდენ მას?

ყოველივე რაჲცა გნებავს, რაჲცა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეცა თქუენ ხყოფდით მათა მიმართ, რამეთუ ეგრე არს შჯული და წინაწარმეტყუელი. შეეიდოდით იწროსა მას ბჭესა, რამეთუ ფართო არს ბჭჱ და ვრცელ არს გზაჲ, რომელმან მიგიყუანის წარსაწყმედელად და მრავალ არიან, რომელნი შევლენან... რამეთუ ‹იწრო არს ბჭჱ და წუელ გზაჲ, რომელმან მიიყუანის ცხოვრებად და მცირედ არიან, რომელთა პოონ იგი.

ხეკრძალენით ცრუ წინაწარმეტყუელთა მათგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან არიან მგელნი მტაცებელნი. ხოლო ნაყოფისა მათისაგან ხიცნეთ იგინი.

II

ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსი გაეყარა მამას და შორეულ ქვეყანაში წავიდა. უწესო ცხოვრების გამო მთელი თავისი ქონება იქ გაფლანგა. ბოლოს შიმშილმა უწია კიდეც და იძულებული შეიქმნა მეღორედ დასდგომოდა ერთ კაცს და ღორებთან ერთად რკოთი დაკმაყოფილებულიყო. ბოლოს მამამისის დოვლათი მოაგონდა. გადაწყვიტა შინ დაბრუნება და პატიების გამოთხოვა მამისა და ძმისაგან. დაუბრუნდა სახლს. მამას დიდად გაუხარდა და ბრძანა:

„შეხაცუთ ბეჭედი ჴელსა მისსა და კამლი ფერკთა მისთა და მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ, და ეჭამოთ და ვიხარებდეთ, რამეთუ ძჳ ჩემი მკუდარ ხიყო და განცოცხლდა, წარწყმედულ ხიყო და ხიპოვა". და იწყეს განცხრომაჲ.

და ხიყო ძჳ იგი მისი უხუცესი ველსა გარე და, ვითარცა მოვიდოდა და მოხეახლა სახლსა მას, ხესმოდა კმაჲ სიხარულისაჲ და განცხრომისაჲ. და მოხუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ „რაჲ არს ეს"? ხრჭუა მას, რამეთუ „ძმაჲ შენი მოსრულ არს და დაკლა მამამან შენმან ზუარაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით მოხიყუა იგი". ხოლო

იგი განრისხნა და არა ხუნდა შინა შესლვად; ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა და ხლოცვიდა. და მან მიხუგო:

მე ამდენი ხანია შენთან ვშრომობ და ერთი თიკანიც კი არ დაგიკლავს ჩემთვის, მაგრამ როცა მოგვიდა მეორე შვილი, რომელმაც შენი საცხოვრებელი გაფლანგა, მას მსუქანი მოზვერი დაუკალო. მამამ უპასუხა: შენ სულ მუდამ ჩემთან ხარ და ყვე ლაფერი ჩემი შენია. შენი ძმა კი დაკარგული იყო, ვიპოვეთ და სიხარული გვმართებსო.

D. ნაწყვეტები სინური ლექციონარიდან[1]

I

„მუნ ხიხილოთ იგი, აჰა ეგერა გარქუ თქუენ“. ხოლო იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა. და აჰა იესუ შეხემთხუა მათ და ხრქუა: „გიხაროდენ“! ხოლო იგინი მოხუკდეს და შეხუერდეს ფერკთა მისთა და თაყუანის ხცეს მას. მაშინ ხრქუა მათ იესუ: „ნუ გეშინინ, წარვედით და ხუთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეად და მუნ მიხილონ მე“. და იგინი წარვიდეს. და აჰა ესერა დასისა მისგანნი მოვიდეს ქალაქად და ხუთხრეს მღდელთ-მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაჲცა ხიქმნა. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახეა ყვეს, ვეცხლი დიდძალი მიხცეს ერისაგანთა მათ და ხრქუეს: „ესრე თქუთ, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა. უკუეთუ ხესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ხუარწმუნოთ მას და თქუენ უზრუნველ გყუნეთ“. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განხითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღედმდე. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეად მთასა მას, სადაცა იგი ხუბრძანა მათ იესუ, და იხილეს იგი და თაყუანის ხცეს მას. ხოლო რომელნიმე შეორგულდეს. და მოხუკდა მათ იესუ, ხეტყოდა მათ და ხრქუა: „მომეცა მე ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენთ ყოველნი წარმართნი, და ნათელ-ხცემდით მათ და ხასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რომელი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“.

II

და აჰა ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა, რომელი ხშორავს იერუსალჱმსა ას სამეოცუტევან, რომლისაჲ სახელი ემმაოს, და ესენი ზრახვიდეს ურთიერთას ყოვლისა მისთჳს, რომელი ხიქმნა. და ხიყო ზრახეასა მას მათსა და გამოძიებასა და თავადი იესუ მიხეახლა მათ და თანა ხუვიდოდა. ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ ხიყუნეს, რაჲთა

[1] ამოღებულია ა. შანიძის გამოცემიდან („ქართ. ხელნაწერები გრაცში“. ნ. ლიტერატურა ზემოთ).

ვერ იცნან იგი. და ხრჭუა მათ: „რაჲ არიან სიტყუანი ეგე, რომელთა ჰიცილობთ ურთიერთას სლეასა შინა, და ხართ თჭუენ მწუხარე? მიხუგო ერთმან, რომლისა სახელი კლეჭპა, და ხრჭუა მას: „შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჱმს და აღარ ხუწყი, რაჲ ესე ხიქმნა მას შინა ამათ დღეთა“. და მან ხრჭუა მათ: „რომელი?“ ხოლო მათ ხრჭუეს: „იესუჲსთჳს ნაზორეველისა, რომელი ხიყო კაცი წინაწარმეტყუელ, ძლიერ საქმითა და სიტყჳთა მისითა წინაშე ღმრთისა და ყოელისა ერისა; ვითარ იგი მიხცეს მღდელთ-მოძღუართა და მთავართა ჩუენთა საშჯელსა სიკუდილისასა და ჯუარს ხაცუეს იგი. ხოლო ჩუენ ხუესაჳთ, ვითარმედ იგია, რომელმან იჳსნეს ისრაჱლი. და ამას ყოველსა თანა ესე მესამჱ დღჱ არს, ვინაჲთგან ესე ხიქმნა. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკჳრეს ჩუენ, ვითარ მიეიდეს იგინი ცისკარს საფლაჳსა მას და არა პოეეს გუამი იგი მისი. მოვიდეს და თქუეს, ვითარმედ ხილვაჲცა ანგელოზთაჲ იხილეს, რომელთა ხრჭუეს მათ, ვითარმედ ცხოველ არს იგი. და მი- ვიწმე -ვიდეს ჩუენგანნი საფლაჳად და პოეეს ეგრე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს“. ხოლო მან ხრჭუა მათ: „ჲ უცნობელნო და მძიმენო გულითა სარწმუნოებისათჳს ყოველსა ზედა, -რომელსა ხიტყოდეს წინაწარმეტყუელნი! ანუ არა ესრჱთ ჯერ ხიყო ენებად ქრისტჱსა და შესლვად დიდებასა თჳსსა?“ და იწყო მოსჱსითგან და წინაწარმეტყუელთა და გამოხუთარგმანებდა მათ ყოველთაგან წიგნთა მისთჳს. და მიხეახლნეს დაბასა მას, ვიდრეცა მიეიდოდეს. ხოლო თავადმან მიზეზ ყო ხუშორესადრე წარსლვად. იგინი ხაიძულებდეს მას და ხეტყოდეს: „დახადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხრ არს და მიდრეკილ არს დღჱ“. და შეეიდა დადგრომად მათ თანა. და ხიყო ინაჲთ ჯდომასა მას მისსა მათ თანა მიიღო პური, აკურთხა და განტეხა და მიხცემდა მათ. ხოლო მათ თუალნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი და თავადი მიხეფარა მათგან. და იგინი ხიტყოდეს ურთიერთას: „ანუ არა გული ჩუენი განკურვებულ ხიყო ჩუენ შოვრის, ვითარ იგი მეტყოდა ჩუენ გზასა ზედა, და ვითარ იგი გამოგუთარგმანებდა ჩუენ წიგნთა?“. და აღდგეს მასეე ჟამსა შინა და მოხიქცეს იერუსალჱმდ და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა:

ამოწურეთ ყველა სიტყვა, სადაც ხ გეხვდება, და დააჯგუფეთ ისინი იმის მიხედვით, თუ სად არის ხ ფუძისეული და სად არის იგი მაწარმოებელი („შეტი“).

ჰაემეტი ძეგლები

ჰაემეტი ძეგლები ცნობილია ეპიგრაფიკული მასალებიდანაც და პალიმფსესტებიდანაც. სიტყვა ჰ ა ე მ ე ტ ი ნაწარმოებია ხ ა ნ მ ე ტ ი ს მიხედვით და ნიშნავს, რომ ჰ „მეტია“ ფორმაში (გარკვეული ხანიდან), მაგ. ჰიყო = იყო, ჰემჯობსი = უმჯობესი, ჰჯეს = აჯეს, ჰუყუარს = უყვარს, ჰესმოდა = ესმოდა და მისთ.

ჰაემეტობის ნიშნები ხანმეტ ძეგლებშიაც გეხვდება. მაგრამ მთლიანად ჰაემეტობა, ერთ პალიმფსესტს ახასიათებს, რომელიც ა. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ არის გამოცემული) ჰაემეტობა სათავეა, საიდანაც მომდინარეობს სალიტერატურო ენის ფორმები მე-IX საუკუნიდან მოყოლებული.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

1. ა. შ ა ნ ი ძ ე, ჰაემეტობა ადიშის სახარებაში (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-23
2. —, ჰაემეტი ტექსტები და მათი ნიშნველობა ქართული ენის ისტორიისა თვის (ტფ. უნივ. მოამბე. III, 1923, გვ, 354).

პალიმფსესტიდან ამოკითხული ნაწყვეტები [1]

I

(ჰკითხვიდეს მას და ჰეტყოდეს:) უკუეთუ ჯერ არს შაბათსა კურნებაჲ რაჲთამცა შეასმინეს იგი. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: „ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ჰედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი ღესს შაბათსა ჯურმულსა, არამე ჰუპყრასა და აღმოჰქუას იგი? რაოდენ ჰემჯობსს არს კაცი ცხოვრის! ამისთჳს ჯერ არს შაბათსა შინა კეთილისა საქმჱ“. მაშინ ჰრქუა კაცსა მას: „განირათხ კელი შენი!“ და მან განირთხა კელი და კუალად მოჰგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახეა ყუეს მისთჳს, რაჲთა წარწყმიდონ იგი. ხოლო იესუ გულის ხმა ყო და განეშორა მიერ და წარეიდა და მიჰდეედა მას ერი მრავალი.

II

ხოლო ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე და შებორკილა და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდიაჲსთჳს ცოლისა ფილიპეჲს ძმისა თჳსისა, რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ „არა ჯერ არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად“. და ჰუნდა ღათუ მისი მოკლეაჲ, ჰეშინოდა ერისა მის, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ჰეპყრა იგი. და ვითარცა შობისა დღენი

[1] ამოღებულია ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემიდან („ჰაემეტი ტექსტები“... ნახე ლიტერატურა ზემოთ).

იყვნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული იგი ჰეროდიადისი შორის. და ჰთნდა ჰეროდეს როკვაჲ იგი მისი, რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს. ხოლო იგი წინაჲსწარ ბირებულ ჰიყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: „მომეც მე აქა ლაკლითა თავი იოანესი ნათლის მცემელისაჲ!“ დალათუ შეწუხნა მეფჱ იგი, არამედ ფიცისა მისთჳს და თანა-მეინაკეთა ბრძანა მიცემად იგი მას. და მიაელინა და მოჰკუეთა თავი იოვანეს საპყრობილესა შინა და მოართუეს თავი მისი ლაკლითა და მიჰცა ქალ'ს მას.

III

მოჰუწოდა მოწაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ: „მეწყალის ერი ესე რამეთუ სამი დღჱ არს, ვინაჲთგან მელიან მე და არა ჰაქუს, რაჲ ჭამონ. და უკუეთუ განჰუტევე უზმანი ვანად მათა, დაჰკსნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან“. და მიჰუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქუეს: „ვინაჲ ძალ გჳც აქა განძღებად პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?“ და ჰკითხა მათ: „რაოდენ გაქუს პური?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „შჳდი“. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა. და მოიღო შჳდი იგი პური და ჰმადლობდა და განტეხა და მიჰსცემდა მოწაფეთა მისთა, რაჲთა დაჰუგონ. ხოლო მათ დაჰუგეს ერსა მას. და ჰაქუნდა თევზი მცირედ და იგიცა აკურთხა და ჰუბრძანა მათ დაგებაჲ, და ჭამეს.

IV

და ჰიყო ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა და იხილნა ორნი ნავნი მდგომარენი კიდესა მის ტბისასა. ხოლო მესათხეველნი იგი გამჳვიდეს ნაჳსა მისგან და განრცხიდეს ბადეთა და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი ჰიყო სიმონისი, და ჰუბრძანა მათ შე- რე -დგინებად მცირედ და დაჯდა და ასწავებდა ერსა მას ნავით გამო.

და ვითარცა დაჰსცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: „შეაელინე ღრმად და ჰდევთ ბადჱ თქუენი ნადირობად“. მიჰუგო სიმონ და ჰრქუა: „მოძღუარ, ღამე ყოველ დაეშურებით და არარაჲ მოვიღეთ. ხოლო სიტყჳთა შენითა გარდაჰუტეო ბადჱ“. და ესე ყვეს და შეაყენეს თევზისა სიმრავლჱ დიდი და განჰთქდებოდეს ბადენი მათნი და წამს ჰუყოფდეს, რომელნი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაჲთა მოვიდენ და შეჰეწინენ მათ. და მოვიდეს და აღაესნეს ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე დაითქმოდეს იგინი.

V

და მიერ წარმოვიდოდა და იხილა ლევი ალფჱსი, ჯდა რაჲ იგი საზუერესა ზედა და ჰრქუა მას: „მომდევედ მე“. და აღდგა იგი და მიჰდევდა მას. და ჰიყო ვითარ ჯდა იგი სახლსა შინა მისსა და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუჲს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, — რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მიჰდევდეს მას, — და მწიგნობართა მათ და

ფარისეველთა ვითარცა იხილეს იგი, რამეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰამს, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: „რაჲსა მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰჭამთ და ჰსუამთ?“ და ესმა ესე იესუს და ჰრქუა: „არა ჭუმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

და იყვნეს მოწაფენი იოვანჱსნი და ფარისეველნი მარხვასა შინა და მოვიდეს მისსა და ჰრქუეს მას: „რაჲსათჳს მოწაფენი იოვანჱსნი და ფარისეველნი იმარხვენ და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?“ ჰრქუა მათ იესუ: „ვერ კელ-ჰეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად, ვიდრე სიძჱ იგი მათ თანა არს. არამედ მოვლენ დღენი, ოდეს ამაღლდეს მათგან სიძჱ იგი, და მაშინ იმარხვიდენ მას დღესა შინა.

არავინ სადგმელი უმურკველი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა. უკუეთუ არა, მოაპის ცოცხალიცა იგი მისგან ახალმან მან ძუელისაჲ მის და უძკრჱს განიპის. და არავინ შთაასხის ღჳნოჲ ახალი თხიერსა ძუელსა, რაჲთა არა განხეთქოს ღჳნომან ახალმან თხიერი და ღჳნოჲ დაითხიოს.

* * *

როგორც ნაწყვეტებიდან ჩანს, აქა-იქ უკვე დაწყებულია ჰაეს დაკარგვა ხმოვნების წინ. მაგ. ასწავებდა (7,26), ესმა, (8,3), უძკრჱს (8,14) დაესხმოდა (7,21), ერთი მხრით გვაქვს ჰუბრძანა (7,25), და მეორე მხრით: უბრძანა (7.15), ან კიდევ: ჰიყო (7,37), და იყვნეს (7,39). მეორე ნაწყვეტში რომ საკუთარი სახელები გვხვდება ჰეროდია და ჰეროდე, აქ ჰ ფუძისეულია და არა მაწარმოებელი, როგორც პირიან ზმნებში, ან ჰემჯობესში.

დ ა ს ვ ლ ე ბ ა:

ძველად იწერებოდა: „ჰკითხა, ჰომი, ჰემალებოდა, ჰურია, ჰუნდა, დაჰფარა, ჰამბავი, ჰიდვა“ და სხვ. გამოარკვიეთ, რომელ ამათგანშია ჰ „მეტი“ და რომელში ფუძისეული.

ატენის წარწერა

თთუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ქორონიკონსა ოგ-სა, ი(სმაიტელთა) წელსა სლთ-სა, ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკლა. და მასვე თთუესა აგუსტოსსა კვ-სა, დღესა შაბათსავე, ზირაქ შეიპყრა კახაჲ და ძს მისი თარკუჯი.

ეს წარწერა, მოთავსებული ატენის ტაძრის კედელზე, შიგნით (ტანიის ხეობაში, გორიდან რვაოდე კილომეტრის მანძილზე), პირველად გამოსცა დ. ბაქრაძემ და შემდეგ ი ვ. ჯავახიშვილმა (Хр. Восток, I, 277; ქართვ. ერის ისტ. I, 376). იგი მოგვითხრობს არაბთა სარდლის ბუღა თურქის ლაშქრობას 853 წელს ტფილისის ამირას საჰაკის წინააღმდეგ, რომელიც ბაღდადის ხალიფას გადაუდგა. ზირაქი იყო ბუღას სპასალარი, რომელმაც შეიპყრა ანტიარაბული კოალიციის მონაწილენი კახა ერისთავი და მისი შვილი თარხუჯი. წარწერა დათარიღებულია ორგვარად: ქართული ქრონიკონისა და ისმაიტელთა (ანუ არაბთა) წელთაღრიცხვის მიხედვით (ე. წ. ჰიჯრის მიხედვით). ორივე თარიღი თანაბრად გვაძლევს 853 წელს. თარიღიან წარწერათა შორის იგი მეორეა სიძველის მიხედვით.

ეს წარწერა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ შიგ რიცხვები ქართული ასოებით არის აღნიშნული. საზოგადოდ ძველად რიცხვების აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ასოებს ხმარობდენ. თვითეულ ასოს თავისი რიცხობრივი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეს არის ნაჩვენები გრამატ. მიმოხილვის I დამატებაში. ე. წ. არაბული ციფრების ხმარების შემთხვევები ჩვენში ჯერ კიდევ მე-10 და მე-11 საუკუნეში გუხვდება (მაგ. ბაგრატისეულ ტაძარზე კუთაისში ქრონიკონი 223, ე. ი. 1003 წ., „არაბული“ ციფრებით არის გამოყვანილი), მაგრამ მათი ხმარება ჩვენში საბოლოოდ მეცხრამეტე საუკუნეში განმტკიცდა.

დავალებანი:

1. როგორ დავწეროთ ასოებით ქვემოთ მოყვანილი რიცხვები: წელიწადში 12 თვეა, ანუ 365 დღე (ნაკიან წლებში: 366 დღე), თვეში 30 ან 31 დღე (თებერვლის გამოკლებით, რომელსაც მოუდის 28, ან არადა, — თუ წელიწადი ნაკიანია, — 29 დღე); კვირაში 7 დღეა, დღეში 24 საათი, საათში 60 წუთი (რიცხვის აღმნიშნელ ასოებს ხაზი გაუსვით ქვეშ).

2. გადმოწერეთ ციფრებით შემდეგი რიცხვები: **ტლგ, ჩქე, ჸე, ჹბ, ძრნბ, ხჟჱ, ჳი, ცოჴ.**

იაკობ ხუცესი

შუშანიკის წამება

შუშანიკის წამება, ანუ, — როგორც ძველად ერქვა, — „წამებაჲ შუშანიკისი“ ქართული ორიგინალური მწერლობის ჯერხნობით ცნობილი პირველი ძეგლია. მკვლევრები მის წარმოშობას 474 — 484 წლებს შორის დებენ. ნაწარმოების ავტორი როგორც ამას თვითონ თხზულება მოწმობს, იაკობ ხუცესია. როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, იგი ყოფილა სპარსპიაშოს კარის მღვდელი და მოძღვარი შუშანიკისა. იაკობი არ გაშორებია მას სიკვდილამდის და თავისი თვალით უნახავს ყველაფერი, რაც თავს გადახდენია წამებულ დედოფალს.

წამება მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც უძველესი ძეგლი ქართული ორიგინალური მწერლობისა, არამედ როგორც მრავალმხრივ საგულისხმო მხატვრული ნაწარმოები. პირველ ყოვლისა იგი ძვირფასი საისტორიო წყაროა, რომელიც მარტივილობის ამბავთან ერთად აგვიწერს კუნძის მაშინდელ (V საუკუნის მეორე ნახევრის) სოციალ-ეკონომიურ ვითარებას. აქ წარმოდგენილია სურათი სახოგადოების ფენებად დაყოფისა. არის ადგილები მათი (ამ ფენების) შინაური ყოფაცხოვრებისა და სხ.

ლიტერატურული თვალსაზრისითაც თხზულება ინტერესს მოკლებული არაა. კარგადაა მასში მოცემული ბუნების აღწერა და მოქმედ პირთა ფსიქიკური გაწცდები. ენა მეტად დახვეწილია, მხატვრული და ლიტონი. ზოგიერთი ფორმა შეცვლილია მერმინდელი (IX — X საუკუნის) ლიტერატურული ნორმების მიხედვით (ძველესი ხელნაწერი X საუკუნისაა), ამიტომ ხანმეტი ფორმები აქ აღარ გვხვდება.

შუშანიკის წამების გამოხმაურება უპოვნია უცხო მწერლობაში. სომხურ ენაზე შენახულია წამების ამბავი როგორც ერცლად, ისე მოკლედ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით სომხური ერცელი რედაქცია ქართულის გადაკეთებას წარმოადგენს. ამ ერცელისაგან სომხურ ნიადაგზე აღმოცენებულა მოკლე რედაქცია, რომლის თარგმანსაც მკვლევართა აზრით წარმოადგენს ათონის მონასტრის[1] მეათე საუკუნის მრავალთავში დაცული ქართული ტექსტი. უკანასკნელი აღმოაჩინა აკად. ნ. მარმა, გამოსცა პროფ. ალ. ცაგარელმა.

ერცელი რედაქცია პირველად მ. საბინინმა გამოსცა („საქართველოს სამოთხე“, გვ. 181 — 192, პეტერბ. 1882 წ.), მეორედ კი ს. გორგაძემ (ქუთაისს 1917 წ.). უკანასკნელი შედარებით უფრო კარგადაა გამოცემული და ჩვენი კრესტომათიისათვის იგია გამოყენებული ხელნაწერ ნუსხებთან ერთად (ყოფ. საეკ. მუზ. № 95, ყოფ. საისტ. მუზ. № 1672, 1370).

ლიტერატურა:

1. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გვ. 13-26 (II გამოცემა, ტფ. 1921 წ.).

2. პროფ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი: ძველი მწერლობა, გვ. 119-124, ტფ. 1923 წ.

3. პროფ. ალ. ცაგარელი, Материалы по груз. агиологии (Труды по Востоковедению, вып. XXXI), გვ. 49-51, Москва 1910.

---

[1] ათონის მონასტერი იმყოფება ქალკიდონის ნახევარკუნძულზე (საბერძნეთში).

იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა[1], კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჳ არშუშაჲსი. რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲპეტისაჲ, მამისაგან სახელით ვარდან[2] და სიყუარულით სახელი მისი შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ სიყრმითგან თჳსით.

კარად მისულ ვარსქენს პატივი კი არ უნდოდა სპარსთა მეფისაგან, არამედ ერთჯერადი დასამტკიცებლად ასული სთხოვა ცოლად და გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება, — ქრისტიანობას უარყოფო, და აღუთქვა, რომ ჩემ პირველ ცოლს და ბავრთვე შვილებს მივაღებინებ ცეცხლთაყვანისმცემლობას ანუ მაზდეანობასო. გაბარებულმა მეფემ შეუსრულა წადილი და გამოისტუმრა უკან.

და იჯმნა მეფისაგან სპარსთაჲსა პიტიახშმან. და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო, რაჲთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მღნაჲ თჳსი.

შუშანიკმა რომ შეიტყო მონისაგან, რომ მისი ქმარი ქრისტიანობას განუდგა, დაეარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა: „სწუალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ. რამეთუ უვარ ყო ჴეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტოშანი და შეერთო. იგი ულმრთოთა“. და აღდგა და დაუტეხა ტაძარი თჳსი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიღა. და თანა მიიყვანნა სამნი იგი ძენი მისნი და ერთი ასული.

ეკლესიიდან შუშანიკი სასახლეში აღარ დაბრუნებულა.

სახლაკი ერთი მცირჱ პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსჱ და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფუტ, არა მუნ იყო, არამედ ... ქაქისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსამე სიტყჳსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინაჲთ და გჳთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლეაჲ პიტიახშისაჲ და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვიესენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ეტიროდეთ გამწარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათჳს.

ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი გამწარებული, მეცა ეტიროდე მის თანაჳე.

ხუცესმა გაამხნევა იგი და სთხოვა, უამბოს მას ყოველიე, დაფარულიც კი, რომ მიეცეს მას შესაძლებლობა დედოფლის ღვაწლის აღწერისა. დედოფალთან ბაასის

[1] საუბარია პეროზ მეფის შესახებ. იგი მეფობდა 459 — 484 წლებში.

[2] სომხური წამების წიგნებით ამ ადგილს არის: „ვარდნი“ (ვრცელით) და „ვარდანი“ (მცირით). ერთიცა და მეორეც „ვარდი“-საგანაა წარმოებული, ისე როგორც მეორე მისი სახელი (მოფერებითი) შუშანიკ „შროშანის“ სომხური სახელისაგან „შუშან“.

დროს გამოცხადდა მათთან ვარსქენის თანამოაზრე და ცბიერებით აღსავსე «კაცი ერთი სპარსი», რომელსაც უნდოდა გადაებირებინა დედოფალი. შუშანიკმა დროზე შეიტყო მისი განზრახვა და «მოიხსნა თავი მისი მტკიცედ».

და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში. და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრქუა: „მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან და მე გეტყჳ შენ: «ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს».

და ხვალისა დღე, ვითარ აღდგა პიტიახში, გჳწოდა ჩუენ ხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგჳმთხჳნა და გურქუა ჩუენ: «აწ ნურას მერიდებით მე და ნუცაღა გძაგ!» და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ: «წარ-სწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ!» მაშინღა იწყო სიტყუად და თქუა: «რაჲსა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესეეითარისა საქ-მედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამკუ და საგე-ბელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და/შენი ადგილი დაგიტეევებიეს და სხუად წარსულ ხარ».

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ. მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჴეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ. და თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“.

ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშსა, ხოლო მან განიწყო გული და იბრდღუენდა მისთჳს.

ამის შემდეგ ვარსქენმა შუშანიკს მიუგზავნა თავისი ძმა და რძალი (ჯოჯიკი და მისი ცოლი) და «ეპისკოპოსი სახლისა თჳსისაჲ» და შეუთვალა, შინ-მობრუნდიო «უკუეთუ არა, — თრეით მოგითრიოო», იყო მუქარა ვარსქენისა. შუშანიკი ჯერ დიდ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს, დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, «წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანნა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნი მოწამეთანი». შუშანიკი დაბრუნდა სასახლეში, მაგრამ «არა დაჯდა იგი თჳსსა მას გალიაჯსა, არამედ სენაკსა. შინა მცირესა».

შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი [ვარსქენ] ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ეჭამოთ, ბოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად!“ და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყუანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყუანეს ტაძრად, ხოლო გემოჲ არარაჲსაჲ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან

მიართუა ღჳნოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას: წმიდამან შუშანიკ რისხვით: «ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?» და განყარა კელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია. მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერკითა თჳსითა დასთრგუნეიდა მას. და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თაესა და ჩაჰფლა და თუალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრეედა, ვითარცა მკეცი მძჳნვარჱ ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი.

მაშინ შეელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა და კუბასტიცა თაესა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრაეი მგელსა, გამოუღო კელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდეა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოკრებელად სახელსდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერკთა მისთა.

და ვითარცა მცირედ და- რე -სცხრა გულის წყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ ეჳდრებოდა მას, რაჲთამცა საკრეელთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ. და ვითარ ფრიად ეჳდრებოდა, ბრძანა განტევებაჲ მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა და რაჲთა სხუაჲ არავინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ «წყლულებისა მისგან ვითარ არს»? ხოლო მან ჰრქუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“. მაშინ თჳთ შევიდა და იხილა იგი და დაუკჳრდა დიდძალი იგი სიმსიენჱ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა: «ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა». და თჳთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ და მიველ და ვარქუ მცველსა მას: „მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი“. ხოლო მან მრქუა მე: „ნუ უკუე ცნას და მომკლას მე“. და მე ვარქუ მას: «უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს»? მაშინ შემიტევა მე ფარულად.

და ვითარ შეველ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსიეებული და აღუტეე კმაჲ და ეტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე“. და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს: „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდეა, რაჲთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე: „ხუცეს! მაგას ნუ იტყჳ, რამეთუ სისხლი ესე განწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ“. ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჯამადი, რომელი მოეძღუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუწიდეს და ნუგეშინის-სცემდეს. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს! ვერ ძალ-მიც გემოჲა ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსრვილ არიან“. მაშინ მიეიღე მცირედ ღჳნოჲ და

ური, დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა. და მე ვისწრაფდი გამოსლვად. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ: „ხუცეს, მიუძღუანოა სამკაული ესე მისიჲ? ნუ უკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეკმარების“. ხოლო მე ვარქუ: „ნუ რას ესწრაფი. იყოს შენ თანა“.

და ჩუენღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ, ვითარმედ „რაჲ გინებს“? და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. და მე დამიკჳრდა, თუ რაჲსა მე მიწესს ამას ჟამსა. და მივისწრაფე და მივედ. და მან მრქუა მე: „უწყია, ხუცეს: მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა, და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს: იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე. რაჲცა რაჲ არს“.

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად და კუალად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“.

დიდმარხუის დღეებში შუშანიკი სასახლიდან კლავ ეკლესიის მახლობლად, ერთ მცირე სენაკში, გადასახლდა. ამ მარხუის გასულს, ვნების კვირის ორშაბათ დღეს ჰონთა ბრძოლიდან მობრუნებულმა ვარსკენმა ეკლესიას მიაშურა და ძალით წამოათრია შუშანიკი სასახლეში და იქ არაერთხელ მიაყენა ტანჯუა და გემა. ცემის შემდეგ დაადგა ჯაჭვი კისერზე, ბორკილი დაადგა და ბრძანა მისი ციხეში ჩაგდება.

დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა თუ «მტკიცედ დეგ»! და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სიცილოლად იწყო სწრაფით.

მაშინ წარმოიყუანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უკამური და თმა-გარდატეებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი და ვერაჲნ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მკედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა. და მიჲდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრაველი დედებისაჲ და მამებისაჲ, სიმრაველ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, კმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იკაკდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მოჰიკსენეთ და ჯჳნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მკედრ მიმოდასდევნენ და მეოტ ჰყოფენ მათ ყოველთა.

და ვითარცა მიიწინეს კიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერაითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამო-

გიღონ". და ვითარცა შეიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოჲთ კერძო მცირჱ და ბნელი და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჯაჭჳ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა, ეგრჱთვე ედვა. და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თჳსითა.

კარებზე მცველები დაუყენეს და პიტიახშმა უბრძანა მათ, რომ არვინ შეეშვათ შუშანიკთან. სამი კვირის შემდეგ ვარსქენმა მოუხმო ერთ მცველთაგანს და გამოჰკითხა შუშანიკის მდგომარეობა. მცველმა მოახსენა, რომ შუშანიკი უჭმელობისაგან ძალზე ღონემიხდილია და სიკვდილის პირს არის მისულიო. შებრალების ნაკვლად ვარსქენმა მკვახედ უთხრა: „ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუდეს"! ე. ი. ნურაფერი გაღონებს, დაე მოკვდესო.

ციხეში შუშანიკს ვერვინ ნახულობდა, გარდა იაკობისა, რომელიც ქრთამის გაღებით ახერხებდა დედოფლის ნახვას. ვარსქენი დროდადრო სახელმწიფოებრივი საქმეების გამო ამათუიმ მხარეს მიდიოდა. შუშანიკის საპყრობილეში მოთავსების შემდეგ იგი ასეთი მიზნით „ჩორდ წარემართა" ე. ი. ჩორს წაეიდა, გზად მომავალს მიეწია მისი ძმა ჲოვჰიკი, რომელმაც სთხოვა ძმას აეხსნა შუშანიკისთვის ჯაჭვი და ბორკილი. ჯაჭვის ჩამოხსნაზე დაითანხმა ძმა, რაც შეეხება ბორკილს, იმის მოხსნა თვით შუშანიკმა არ ინება. ასეთ პირობებში შუშანიკმა ექვსი წელი დაყო. აქ ხანის განმავლობაში შუშანიკის ტანჯვა-წამების ამბავი მთელ ქართლს მოედვა. მის სანახავად მრავალი ხალხი მოდიოდა.

ციხეში ყოფნისას შუშანიკმა შეიტყო, რომ მისი შვილები გადასულიყვნენ მოგვთა სარწმუნოებაზე (მაზდეანობაზე), რის შემდეგაც ისინი სირცხვილით ვეღარ ბედავდნენ დედის ნახვას.

და მერმე მოიწჱულნი მიაელინნა პატიახშმან და ჰრქუა: „ანუ ნებაჲ ჩემი ყავ და მოეედ ტაძრად. უკუეთუ არა მოხუდე შინა, ჩორდ წარგიც შენ ანუ კარად კარაულითა!" ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრჱთ: „უბადოჲო და უგულისხმოჲო! ხოლო მე თუ კარად ანუ ჩორდ წარმიც, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შეეემთხჳო და ბოროტსა ამას განვერე". და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთჳს, ვითარ იგი ჰრქუა მას ვითარმედ „ვინ უწყის თუ კეთილსა რასმე მიეემთხჳო", ვითარმედ „ნუ უკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს". და მიერითგან არღარაჲინ მიაელინა მისა.

მკაცრი ცხოვრების ტარებამა და საპყრობილემ შეარყიეს შუშანიკის ჯანმრთელობა. ამას ხელს უწყობდა ქვეყნის კლიმატური პირობებიც; მართლაც:

ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჳურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი; რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი საესენი სენითა, წყლითა განსჳებულნი და განყჳითლებულნი, დაწერტილნი და დამწრშალნი და დამღიერებულნი, ჩაროდოვანნი, პირ-ძსიჲანნი და ღღე-მოკლედ ცხორებულნი, და მოხუცებულნი არაჲინ არს მათ ქუეყანათა.

სიკვდილის პირს მიმდგარი შუშანიკის სანახავად და გამოსათხოვებლად შრაველი მისი პატიჟისმცემელი მიდიოდა. პირველ რიგში მაზლი ჲოვჰიკი ეწვია მას მთელი ფაჟისი ოჯახით. შემდგომ ინახულეს იგი მთავარეპისკოპოსმა სამოელმა და იოანე ეპისკოპოსმა. ასევე მოიკითხეს:

„აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“.

აღსასრულის წინ შუშანიკმა იხმო მისი სახლის ეპისკოპოსი აფუტ და ხუცესი იაკობ და დაუგდო მათ ანდერძად, რომ დაესაფლაებიათ იგი იმ ადგილს, საიდანაც პირველად გამოათრიეს, რაც კიდევაც შეასრულეს მათ წესისამებრ.

შუშანიკი გარდაიცვალა 17 ოქტომბერს.

კითხვები და დავალებანი:

1. რა ვიცით წამების დამწერის ვინაობის შესახებ და საიდან?
2. გამოკრიბეთ ძეგლიდან სოციალურ ფენათა აღმნიშვნელი ტერმინები.
3. როგორი ყოფილა წესი პურის ჭამისა ძველად თბზულების მიხედვით?
4. როგორ შეიცვლებოდა ზოგიერთი სიტყვა ამ ძეგლის იმ ნაწილში, რომელიც მოთავსებულია მე-13 გვერდზე, რომ იგი ხანმეტი ყოფილიყო? ჰაემეტობის შემთხვევაში კი?

იოვანე საბანისძე

აგტ·წამება

აბოს წამების წიგნში მოთხრობილი ამბავი VIII საუკუნის მეორე ნახევარს ეხება დაწერილიც იგი ამავე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უნდა იყოს.

«გამომთქმელი წამებისა» ანუ შრომის ავტორი ივანე საბანისძეა. მკვლევარნი ფიქრობენ, რომ იგი ერის კაცი უნდა ყოფილიყო. სასულიერო პირი იყო ცოტა ნაკლებად, ვიდრე ძეგლით დაცული წარმოადგენს. რა კაციც უნდა იყოს ავტორი, იგი ყოველ შემთხვევაში წამებულის თანამედროვე, მეგობარი და საქმის ახლო მცნობია, როგორც ეს მისი შრომიდან ჩანს.

საბანისძის ნაწარმოები სხვა მსგავს ნაშრომს არა ჰგავს. იგი მარტოოდენ ჩვეულებრივი წამებია მოთხრობა არ არის, იგი დიდად განსხვავებულია სხვებისგან. სხვაობა ეხება როგორც აღნაგობას, ისე შინაარსის განვითარებას. და ეს იმიტომ, რომ ავტორს ძირითადი მიზანია, აღწეროს მკითხველს არა იმდენად მარტვილის ძნელობაჲი მოთმინება და კრიტეს მ ძღვრებისათვის თავდადება, ვიდრე აუხსნას და გააგებინოს თანამედროვეს და მომავალ თაობას მოწამის მარტვილობის აზრი და მნიშვნელობა მაშინდელი ქართველობისათვის.

აბოს დროს ქართლში არაბთა ბატონობა იყო, რომელიც ეკონომიურისა და პოლიტიკური ჩაგვრების გარდა, რელიგიურ დევნასაც წარმოადგენდა ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში გაჩაღონებული წიაღიდან გამოსული პირის მიერ ჩაგრული ხალხისადმი თანაგრძნობის გამომჟღავნება ისეთი სახით, როგორიცაა სამწუხაროებაზე გადაწყვეტა, კარგი ნიმუშია ეროვნული ცნობიერისათვის ქართველებს შორის შეუღებული ეროვნული გრძნობისა და თვითშეგნების აღდგინა-განმტკიცების საჭადაგებლ დ. ამისკენაა მიმართული მწერლის მთელი გულისყური. იგი სამიოდ სხვადასხვა საშუალებას ეძიებს, რომელიც მაგ. მხატვრულ შედარებებს, შექმნილი ცხოვრების პირობების აღწერას და სხ.

მოთხრობის მიმდინარეობაც დასახული მიზანს ემსახურება. პირველ თავში ავტორი სწორედ თავის გულისნადებს უზიარებს „მარტვილ-მოყვარე“ საზოგადოებას, ამხადებს მას, დაკვირვებული თვალით შეხედოს ს ნაწილის და ცხოვრების კირძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელობის პოვნა შეინიშნოს. მეორე და მესამე თავი საკუთრივ მარტვილობას გადმოგვცემს. აქაც საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება იმ მხარეებზე, რომლებიც ავტორისათვის საჭიროა დასახლი მიზნის მისაღწევად. იგი საგანგებოდ ჩერდება მოწამის ცხოობაზე, ისმაიტელობაზე, უდრეკ ნების ყოფაზე, უნაკლოობაზე და კოისტ ს სარწმუნოების დაცვაზე. ყველა ამით აბო, აგიოგრაფის შეხედულებით, თუ არ იტი, მაინც მოწმეთა თანაბარია ჩანს. მეოთხე თავი, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, აბოს «ქებას» ანუ ხოობ ს წარმოადგენს. აქ კიდევ უფრო მეტად და დიდი ოსტ ტობით (თქმაცაა ჩვეული რეტორული ენაწყლიანობით), შემკობილია მოწამის ღვწლი ქართველთა ეროვნული იდეოლოგიის აღდგინა-განმტკიცებაში საქმეში, როგორც საეკლესიო, ისე საერო სფეროში.

ძეგლი ორჯერ არის გამოცემული. იგი პირველად მ. საბინინმა გამოსა („საქართველოს სამოთხე“, გე. 333 — 350, პეტერბ. 1882 წ.), მეორედ პ. კარბელაშვილმა („წმიდა მოწამე აბო ტფილელი“, ტფილისი, 1889 წ.). უკანასკნელი

გამოცემა ერთ-ერთი ძველი მრავალთავიანის მიხედვით არის შესრულებული (ს. ფ. საეკლესიო მუზეუმში ხელნაწერი № 19). სქოლიოებში ზოგან ნაჩვენებია აქვს განსხვავებული ადგილები კიდევ ერთი ძველი მრავალთავიანის (ყოფ. საეკლ. მ. ზეიმის ხელნაწერი № 95).

კვლევით მოყვანილი ნიმუშები სხვებთან ხელნაწერებიდან არის უშუალოდ ამოღებული.

წამება კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ვრცლად აქვს გარკვეული პროფ. ი. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (II გამოცემა, გვ. 39-52, ტფ. 1921 წ.). ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით განხილულია იგი პროფ. კ. კეკელიძის მიერ: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (I ნაწილი, გვ. 126 — 131, ტფ. 1923 წ.).

სამოცელ ქართლის კათალიკოსმა მოკითხვის წერილი გაუგზავნა იოანე საბანისძეს ხიზართან ბრძოლის ხელით. ეკლესიის მესვეური სთხოვდა საბანისძეს, კაცი დიდად ნიჭიერს, უნარიანსა და განათლებულს, რომლის ავბედი კათალიკოსისთვისაც კი ცნობილი გამხდარიყო, მიეყო ხელი აბო ტფილელის მარტვილობის აღწერა სათვის, რათა „დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიას. შინა მოსაკსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა“.

ეს თხოვნა მორჩილება გამოუცხადა სამოელს. დაჰპირდა, რომ შესრულებისთანავე გაუგზავნიდა მას მარტვილობის წიგნს.

I

თხრობაჲ და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲს ცხენებაჲ

მრომის დასაწყისში იოანე მიმართავს ღმრთის მსახურსა და მარტვილ-მოყვარე მახოგადოებას თხოვნით:

მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსლა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი, განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა!

განსაკუთრებით იქით დროსა და პირობებში, როგორშიაც ეიმყოფებით, როცა „ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამ-ს ჟამისათა“

ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს რომელნიმე მძლაერობით, რომელნიმე შეტყუებილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვრებით და სხუანი, რომელ ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღუდულნი შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა.

და საკჳრველ სწორედ ეს, რომ

ესევითარსა ჟამსა შინა, გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამჱ, არა თუ პირველიოგანეე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა ჩუენსა შეეწჱვნა.

სარწმუნოება კი ქართველთა შორის არ არის სხვაზე დაბალი:

რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკჳდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს: „მოვიდოდიან მზის აღმოსავალით და დასავალით და ინაკ-იდგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკობისთა“. აჰა ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა. რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებითა.

II

ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი

რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ, სახელით ნერსე, ძჳ ადრნესე კურაპალატისა და ერის მთავრისაჲ, მიწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან ჟამსა სარკინოზთასა ამირა მუმნისა აბდილაჲსგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა. ხოლო შესმენითა ბორტთა კაცთაჲთა შთაგდო საპყრობილესა მან ნერსე ერისთავი ქუეყანისა ამის ქართლისაჲ. და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძჳ მისი მაჰდი.

მაჰდმა გაათავისუფლა ნერსე, რომელიც დაპრუნდა სამშობლოში. მას იქიდან გამოჰყვა აბო.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა და არა თუ უცხოჲსაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი მამულად და დედულად, რომლისაჲ მამაჲ მისი და დედაჲ მისი და ძმანი და დანი მისნი იყუნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა. და ესე იყო ჟამსა ჰაბუკ, ვითარ ათრაკამეტის წლის, გინა უკჱნჱს. აჰჳმეტის წლის. ამან ირება წარმოსლვაჲ თჳსი აქა ერისმთავრისა მის ნერსჱს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა. და იყო იგი კელოვან კეთილად შემსაებელ სულნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა. და დაუტეა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაჲნი და აგარაკები და წარმოვიდა აქა ნერსჱს თანა მუსაერ ქრისტჱს სიყუარულისათჳს.

და რაჟამს მოვიდა იგი ქართლდ, ეხონდებოდა იგი ნერსე ერისთჳსა თანა და თჳსითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოველსა ერსა და შესძინა სწავლად ქართულისა წიგნობრებისა და ზრახვისა კსნილად.

რიცა ამის ადრჱ ქრისტჱს მოძღურებ[illegible],

უდებ ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტეა და შეიყუარა ქრისტჱ ყოველითა გულითა. არამედ ვერ განიცხა-

დებდა თავსა თჳსსა სრულიად ქრისტეანედ. ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტჱსს მიმართ, და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მიიღო ნათელი ქრისტჱსი, რამეთუ ეშინოდა სოფლის მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.

და იყო ღღეთა მათ შინა კუალად იყო განრისხებაჲ კელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი. და უფალმან დაიცვა იგი კელთაგან მათთა და განველო მან ქარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისაჲ ვითარ სამას ოდენ მამაკაც. მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტჱსი ჰაბო.

ხოლო ნერსე ვლტოლვილი ქუეყანით თჳსით შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკჱ ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მკეცის ბუნება, სისხლის მჴამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან. ხოლო რაჟამს მიიღიდა ნერსე ერისთაჳი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათჳს და ვლტოლისათჳს მტერთა მისთაჲსა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან მძლავრებისა სარკინოზთაჲსა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა და ნათელ იღო.

შემდგომად რაჲდენისამე ჟამისა ეახლა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს მას დედაჲ და ცოლი და შვილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანაჲ იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა.

ხაზართა მეფემ დასცა დასტური და გამოუმართა ნერსე თავისი ამალით.

და უითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოველით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედაჲ თჳსი, და ცოლი და ძენი თჳსნი სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშჳდობით შეკრებისა მათისათჳს.

მაშინ ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოჲსთჳს, რამეთუ ახალ ნათელ-ღებულ არს, განიხარა ფრიად ყოველით ერით მისითურთ. და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსთა და მღდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის სცემდეს მას.

აბო აღტა ეპაში მოვიდა იმით, რომ აფხაზეთში ყველა ქრისტიანი დახვდა. იქ იგი და ნერსე დიდხანს არ დარჩენილან. სტეფანოზ გურგენისძის ქართლის ცხოვრებაში დანიშნის შემდეგ გახარეულმა ნერსემ (ნერსე დედისძმა იყო სტეფანოზისა) ამ ამბავთაგან ითხოვა ნებართვა საქმოლიში დაბრუნებისა მთელი თავისი მხედრობით და უშიშროების პირობაც მიიღო.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მოუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანად იგი ქართლისად სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ და არა გიტეონ შენ ქრისტიანებით მათ შორის. და მეშინის მე შენთჳს, ნუ უკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჱსისა ნეფსით, გინა უნებლუბით და ესოდენი შრომად შენი წარსწყმიდო“. ხოლო ნეტარმან ჰაბო ჰრქუა: „სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისად და ღირს მყო ნათელსა მას მისსა, არასადა უვარ ვყო მე სახელი მისი, დაღათუ ბევრეული ოქროჲსა და ვეცხლისად მომცენ მე, განათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ დამაყენებ მე ღმრთის მსახურო!

აღარ დაუშალეს.

და გამოვიდა იგი ნერსჱს თანა ქუეყანად ქართლდ და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშჯობისა სიტყჳთა შეაჯერებდეს, ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტჱს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა. არამედ სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოჲს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ. არამედ ვერვინ მიყუნა კელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი. ხოლო კაცთა ღმრთის მოყუარეთა, რომელთა იცოდეს ღმრთისა მიმართ სათნოებაჲ მისი, იღუწიდეს მას საზრდელითა და სამოსლითა.

III

წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი

შეიპყრეს ნეტარი ესე მოწამჱ ქრისტჱსი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფილისს და ქრისტჱს აღსარებისათჳს შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო შემდგომად რავდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ ერისთავმან ქართლისამან და გამოიყვანა იგი საპყრობილით და განუტევა.

ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მოწამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, საესენი შურითა ქრისტეანეთაჲთა. შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა, შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხუად მსაჯული ამირად შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს და ჰრქუეს მას: „არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ მოციქულმან ჩუენმან

და აწ დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყჳს თავსა თჳსსა ქრისტეანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანე ყოფად. აწ ბრძანე შეპყრობაჲ მისი, შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისაჲ. უკეთუ არა, მოკუედინ იგი, რაჲთა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყჳთა მისითა!"

ამას რაჲ შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა კაცთა და მივიდეს მწრაფელ და უთხრეს ნეტარსა ჰაბოს, ვითარმედ „აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გუემად". და შეაჯერებდეს მას, რაჲთამცა შიჰრიდა და დაემალა. ხოლო მან ჰრქუა მათ: „მე არა ხოლო ტანჯვად განმხადებულ ვარ ქრისტჱსთჳს, არამედ საკუდიდცა". და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად.

მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო და შეიყვანეს წინაშე მსაჯულისა მის. და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაჲ არს, რომელი ესე მესმის შენთჳს, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტჳებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ? აწ განეშადე და იქცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს ბჭობელთა შენთა". ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჱს შიმართ და აღიტჳსა სულითა სარწმუნოებისაჲთა, და ჰრქუა მსაჯულსა მას ამირასა: „ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე ვარ შინა მაბჭლად და დედულად. განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედიანითა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე ჴმეცრებასა შინა ვიყავ. ხოლო დაუტევე მე პირველი იგი კაცთა კელოვნებითა შეთხზული იგი შჯული და ზეაპრობის სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ და აწ შეუდეგ ჴშმარიტსა ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა". ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „დაუტევე სიცოფისა ეგე განხრახვაჲ და უკეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ შენ ქრისტეანეთა, მე უფროჲსღა ნიჭი და პატივი აწუე მიგცე შენ". ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო: „ოქროჲ და ვეცხლი შენი შენთანაე იყავნ წარსაწყმედელად შენდა! მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი და პატივი საუკუნოჲ ცათა შინა". მაშინ უბრძანა კელით და ფერჴითურთ შეკრვაჲ მისი ბორკილითა რკინისაჲთა და ეგრჱთ შთაგდეს იგი საპყრობილესა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა მას შინა ჭირხეითა და ლოკეითა და ფსალმუნებითა ღამე და დღე განუსუენებლად და ჰყოფდა იგი ქველის საქმესა. რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაჲცა აქუნდა მას და ზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემსმენელნი შეიდიან მისა და ეტყჳნეს, რომელნიმე რეცა სიტყჳთა ლიჭნისაჲთა: „შეილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანებად და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რაჲთა არა შეამთხჳ ძჳრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი". და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყჳნეს: „რაჲ სარგებელ გეყოს ქრისტჱ იგი შენი, ანუ ვინ გიკს-

ნეს შენ კელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგჳმზადებიან შენოჳს, არა თუ მოიქცე ჩუენდავე". ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა.

და იყო ნეტარი იგი საპყრობილესა მას შინა ცხრა დღე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მის თანათა, პყრობილთა ქრისტეანეთა და სხუათაცა, ეითარმედ „ხვალე განსლვაჲ არს ჩემი".

მეათე დღე

გამოიყვანეს იგი ეგრჱთვე ბორკილითა ფერკთა და კელთაჲთა და მიჰყვანდა იგი შორის ქალაქსა და რომელნი ჰხედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი ცრემლოოდეს მისთჳს. ხოლო წჳიდამან ჰაბო ჰრქუა მათ: „ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ გისაროდენ!" და ესრჱთ მიიწია იგი კარსა მას მსაჯულისა მის ამირისასა და რაჟამს მიიწია, კადნიერად დასწერა ჯუარი კარსა მას და თჳთცა დაიბეჭდა ჯუარი და წარადგინეს იგი წინაშე მსაჯულისა მის. და ჰრქუა მას მსაჯულმან მან: „რაჲ არს, ჰაბუკო რაჲ განიზრახე თაჳისაჲ შენისა?"

მსაჯულის მეკარემ ვერ შეაშინა აბო, რომელმაც ბოლოს ასე ძრჭობრთა მას:

„ხოლო შენ რაჲსა განაგრძობ? რაჲ გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რაჳეთუ მე ვითარცა კეთილსა მაგას. რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრჱთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი".

მაშინ განრისხნა ამირაჲ იგი და უბრძანა განყუანებაჲ მისი გარე და მოკუეთაჲ თაჳისა მისისაჲ. ხოლო მსახურთა მათ გამოიყუანეს გარეშე კართა ეზოსა მას ტაძრისასა და განჰკსნეს იგი კელით და ფერჳით საკრველთა მათგან რკინისათა. ხოლო ნეტარმან მან თაჳით თჳსით მსწრაფლ განიხეწა სამოსელი იგი, რომელ ემოსა, და განშიშულებულმან დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი თჳსი და ცოუდრიკა ქედი თჳსი მახჳლსა და, ეითარცა სკუეს მას მახჳლითა სისგჳის. შეჰკუეცრა სული თჳსი უფალსა.

და ეითარცა იხილეს ქრისტჱს მბრძოლთა მათ შეასრულებული წჳიდისა მოწამისაჲ, რაჳეთუ სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისტჱს ძიმართ და ღუაწლი კეთილი მოიღუაწა და საკადრებელითა და მოსაწონებითა სძლო მათსა მას სიბოროტესა, ფერფლადა ალიეს შეალითა და შეიეიდეს წინაშე ბძლეულისა მის და ჰრქუეს: [illegible] არს ქრისტეანეთაჲ ესე სადგდ. ღმ[illegible] [illegible] მოიპარიან გუამი წმიდა და პატიოს სცუან ას დაეფლეთა. და ტკუეცილით, რეცა თჳ სასწაულსა და კეთილებასა ოდეს განსცხრებოდ ერსა შორის და სამოსელსა და თმასა თაჳისა მისისასა და ხელსა მისსა გაჳიოფდ, ოდეს სალოც სჳეტებთაჳს და აჳით სხჳთა მრავალნი ტკიცენი შეიტკუენიან. აწ ბრძანე გუამი მისი მოკუეთად ჩუენდა, რაჲთა ვანეღლით და დაჳფლათ იგი ცეცხლითა და განაქარჳოლ იგი და აღუკოცოთ საცთური ქრისტეანეთაჲ, რაჲთა იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათჳანნი მოიქცენ

ჩუენდა და ჩუენგანთა ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწაელასა ქრისტეანეთასა“. ჰრქუა მათ მსაჯულმან მან: „წარიღეთ ვიდრე გნებავს, და ყავთ, ვითარცა თჳთ იცით“.

მაშინ გამოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი მისი და დადვეს წმიდაჲ იგი ურემსა ზედა. და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა მას და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათჳს და მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მისგან და დადვეს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს კორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავალით ციხესა ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოლტ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა. ესე არს სახელით მტკუარი.

ფერფლი დამწუარი ხორცისა და ძვლები ჩაყარეს მდინარეში.

IV

ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი

აწ მოვედით ქრისტჱს მორწმუნენო და ვდღესასწაულობდეთ კსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახუენეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღუაწებასა მას მისსა და ვიტყოდით: „გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო უფლისა მიერ, რამეთუ შენ უკანაჲსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეათერთმეტისა ამის ჟამისაჲ მდღეერთა მათ თანა აღმსთოჳლითა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა არა დააკლდი.

აწ ვინმე ღირსად გაქებდეს შენ ჴეშმარიტად საქებელსა? მნებავს მე ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტჱს მოწამეო, არამედ ვერ ეიკადრებ და ვერცალა შეუძლებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოებათა შენთაჲ. და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱს მიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა.

შენთჳს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთჳს აღირჩიე და მახჳლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჴეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარსცუმულსა მას თაყუანის ეც უფლად და ღმრთად. ვინაჲ ანუ ვისგან ისწავე ქრისტჱსთჳს ესოდენი ცნობაჲ? რომელმან საკჳრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველისასა?

შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდების, რამეთუ აღეერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა, განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათგანი და ვჰმონებდით გულისთქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძებითა მათითა, ეითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამეიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი.

კითხვები და დავალებანი:

1. ვინ არის აეტორი და როდისაა დაწერილი აბოს წამება?
2. აწერეთ ქართლის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა თხზულების მიხედვით.
3. საზოგადოების რომელი ფენის თვალსაზრისზე დგას აეტორი და რა მიაჩნია მას მიზანშეწონილად, რომ შეიცვალოს არსებული მდგომარეობა ქვეყნისა?
4. როგორ ახასიათებს მაჰმადიანი ქრისტიანების ჩვეულებას მოწამეთა კულტის შემუშავების საკითხში?

სერაპიონის ცხოვრება

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში მოთხრობილი ამბავი საქართველოს ერთერთ ეპიშკოპოსზე ეკუთვნის ეპოქას. ესაა ზარზმა და მისი მიდამოები, რომელიც IX საუკუნიდან საბერძნობაზონო საქმიანობის ასპარეზად იქცა.

აღმესიონ-სამონასტრო მოძრაობის ძეთაური ზარზმაში სერაპიონი იყო. მისი მოღვაწეობა. რომელმაც ცხოვრების წიგნი გადმოგვცემს, მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა. ნაყოფიერი მუშაკის ღვაწლის დაეიწყებისაგან გადარჩენა და მოშკვალი თაობისათვის მაგალითად დადება ბასილ ზარზმელს უკისრია. ბასილი სერაპიონის ძმისწული იყო, შვილი მისი უფროსი ძმისა. სერაპიონის ცხოვრებას იგი არ მოსწრებია. ბიძის შესახებ მისთვის უმთავრესად სხვებს უამბიათ და ზოგი ნაამბობი ცხოვრებაში ზოგჯერ პირველი პირითაა გადმოცემული. თხზულება დაწერილი უნდა იყოს მეათე საუკუნის დამდეგს. პირველნდელი სახით იგი ჩვენამდის არ შემოსულა. მას გადაკეთება განუცდია. ჩართული ჩანს მასში რამდენიმე საწყაული, ცხადია, რელიგიური გრძნობის გაღვივების მიზნით.

ცხოვრება მრავე ლმაროვ არის საინტერესო. უპირველესად იგი მნიშვნელოვანია, როგორც საისტორიო წყარო. აქ აღწერილი ფაქტიური მომენტები უმეტესწილებად ეტაკება ზარზმის წარწერებით. რაც მთავარია, აქ კარგადაა მოცემული ფეოდალური სახოგადოების სურათი. ფეოდალის ცხოვრებისა და მისი საქმიანობის დახასიათება, იმე როგორც ურთიერთობა სასულიერო წოდებასთან, აქ ნათლად არის მოცემული. მხატვრული ადგილები ავტორს საკმაოდ მოპოვება ძლიერია იგი ხარზმისა და მისი სანაპების ბუნების სურათის დახატვაში.

ცხოვრების წიგნი აღმოაჩინა და გამოსცა მოსე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა („ქართული წერილობა", II, გვ. 1-48, ტფ. 1909 წ.). ძეგლში (ბელნაწერში და აქედან გაკოცემაშიც) ზოგიერთი ადგილი არეულია, როგორც მის ლათინურად მთარგმნელს ბელგიელ მკვლევარს პ. ა ე ტ ე რ ს შეუნიშნავს [ნ. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რეცენზია „მიქაშვილეულში" (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ეურნალი, ტფ. 1926 წ.]. ქვემოთ მოთავსებული მასალა შეწყორებულია ენობრიულად და თანამიმდევრობაც აღდგენილია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

1. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული მწერლობა, წიგნი მეორე, გვ.გვ. XXXXIV—LXIV + 1-48, ტფ. 1909 წ.

2. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საისტორიო მწერლობა, II გამოც., გვ. 111-124 ტფ. 1921 წ.

3. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 145-148, ტფ. 1923 წ.

4. ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Зарзмский монастырь, его реставрация и фрески (Сборник материалов... Кавказа XXXV, 1905 წ.).

ესე ნეტარი და ყოელად ქებული სერაპიონ აღმოსცენდა ქუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელნი შრომით და ქუეყანის მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ზრდიდეს გლახაკთა და ძალიაბრს მისცემდეს უღონოთა. ხოლო მაშასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა კუპრიანე, ხოლო სახელსა დედისა მისისა უმეცარ ვართ, არა თუ სახე ბოროტებისა რაჲსათჳსმე, არამედ ჟამთაგან დაფარვისათჳს.

კვიპრიანეს კიდევ ორი ვაჟი ჰყოლდა: ერთი უფროსი და ერთი უმცროსი სერაპიონზე.

ხოლო უმრწემესი ძჱ იოანე დაშთა ყოელად უსრულ და ენა-ბრგუნილ. იგი უკუე აღზარდა მამამან მისმან კუპრიანე, ვითარცა შეჰგავეს მამასა შეილთ-მოყუარესა. არამედ შემდგომად არა-მრავალთა წელთა აღესრულა მამაჲცა ამათ ნეტართაჲ და წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა განპოხებული და დაშთეს სამნიე იგი ყრმანი, მსგავსად ბაბილოვნისა ყრმათა, ალსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი.

ობლად დარჩენილი სერაპიონი და მისი ერთი ძმა — იოანე — მიდიან დასამოწაფებლად ჟულესია-მონასტრების ცნობილ მაშენებელ მიქელ პარეხელთან.

ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა. და მათ თანა შეჰქედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანა აღრაცხილ ყენა დასსა მოწაფეთასს. ხოლო უხუცჱსი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოჲთა დამპყრობელ იქმნა მამულსა სამკჳდრებელსა და იგივე შეიტკბო ტალანტი, მოღუაწებაჲ უცხოთა და გლახაკთაჲ.

და ამან ყოელად განთქუმულმან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღიყუანნა იგინი, ვინაჲცა ხედეიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრჱსთა სწაულათა და ნიშთა, და სასწაულთა დიდთა მის მიერ აღსრულებულთა, რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფენი მისთა. ამას რაჲ ყოველსა ხედეიდეს წმიდანი იგი, ვითარცა მაგალითთა კეთილთა შთასედეიდეს, მსგავსად კელოვანთა ხელოვანთა. და მის მიერთა მადლთა მოღებითა აშენებდეს საფუძველსა სედა სწაულათა მისთაჲსა, არა თიესა, ლერწმასა, არამედ ოქროსა. ვერცხლსა და თჳალთა ანთრაკთა. ესეეითარითა საქმეითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნნეს.

ჩვენების თანახმად მიქელი მის მიერ გაანწყალული მოწაფეები, — სერაპიონ, იოანე და კიდევ ორი სხვა, — სასწრაფოდ გაუზავნა საქუეყნო მონასტრებისა გასაშენებლად. გზაზე მათ მოეწონათ ერთი ადგილი, რომელსაც ძინძე ერქვა და რომელიც ხუდაბნო იყო და შეეცალეს ტყეთა და კეთილ. აქ

კელ ყუეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რაჲმე მონასტრისა. და დაყუენეს მუნ არა-მცირენი დღენი.

ხოლო ეუწყა რაჲ უფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილისა მის აღშჱნებად მონასტერი. ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოველითურთ მკეცებრივ, უწირავ და ბოროტ. რამეთუ არა ინებეს კურთხევა წჱიდათა მათგან. ამისთჳს ზედა მიეტევნეს მათ პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას და წიაღმოვლეს რაჲ მდინარჱ იგი და მოვიდეს დასავალით მისსა ვითარ ორ მილიონ ადგილთა ყოველად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ და მიმორაჲვიდოდეს ჰირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა, ჰოვეს ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა.

დაასჳენეს აქ მოტანილი ფერისცვალების ხატი და იწყეს მონასტრების აშენება. ამ საქმეში მათ დიდად ჰშველოდა

ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქუეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცჱ საზღვართ-ერცელ და მრავალ იყო. და არა თუ ქუეყნიერთა და ქუემეთრევთაგან მდიდროოდა, არამედ ღმრთის მსახურებით ცხორებულთაცა ყოველთა ერეოდა და, ვითარცა იობისთჳს წერილ არს, ჴეშმარიტ, მართალ და უბრალო. ესეეითარი ესე კაცი იყოფოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შჱნ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისათა. ხოლო უმრავლჱსთა ჟამთა ინადირობნ იგი ადგილთა მათ ცხროჲა წოდებულთა, რამეთუ იყო მუნ სიმრავლჱ თხათა და სხუათა ნადირთა ველურთაჲ და არეთა მათ ეშჱნა სახლი, რომელ [უკუეთუ] ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ ყვიან მათ შინა სიბნელისათჳს ჟამისა და უვალობისა და სიკშჭასა ტყეთაჲსა.

და იყო, რაჟამს დაიბანაკეს წმიდათა მათ ადგილსა მას ზემოკსენებულსა და ქმნეს [ტალავარი] მახლობელად ბორცკსა მის, და აღაგზნეს ცეცხლი, და ვითარცა აჲდა კუამლი დიდ-ძალი. ხოლო ვითარცა იხილა გიორგი მორწმუნემან, იყო რაჲ მღეჳარ ნადირთა, განკჳრდა ფრიად და ჰრქუა წინაშე მდგომელთა: „ვინაჲ არს ადგილსა იმას სიკშჭა კუამლისაჲ, ანუ თუ ვის რად უკმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხჳნო ქმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უკმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერ ვართ?“ არამედ ვერა ვინ მისცა პასუხი.

ვინაჲცა მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა: „და წარჲედ მსწრაფლ, — ჰრქუა — და ზედამიწჳევნით ცან ძალი საქმისაჲ ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რაჲმე არს სახილავი ესე?“ ხოლო წარჲვიდა მყის ყრმაჲ იგი და ჰირით და შრომით მიჰყვა. კუამლსა მის ცეცხლისასა. ხოლო ვითარცა მიიწია მუნ, იხილა ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოჲთა მეუდაბნოეთაჲთა. განჰკრთა უკუე კაცი იგი, ხოლო იგინიცა განკჳრდეს. და მიელინებული იგი ჰკითხვიდა ვინაობასა, ანუ რაჲძე არიან საქმენი მათნი, რომელნი ესეეითარითა სიგლახაკითა იხილჳებიან და ესეეითარსა ამას უღუაწსა ადგილსა იხილჳებიან.

ხოლო მათცა მიუგეს და ჰრქუეს: „და, საყუარელო, შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიკმს ზედამიწევნით ცნობაჲ ჩუენისა ვითარებისაჲ?“ და კაცი იგი ეტყოდა: „მთავრისა ვარ მე დიდისა, რომლისა სახელი გიორგი, რომლისა მიერ მოვიყვლინე მე, რამეთუ დაუკჳრდა ესევითარსა ამას ადგილსა კუამლი ცეცხლისაჲ· და ყოველად ყოფაჲ კაცისაჲ. ხოლო წმიდასა მას ეთარაცა ესმა, რამეთუ მთავარ არს და უფალ ადგილთა მათ, გამოიკითხა გამოწულილვით ყოველი საქმჱ მისი და ვითარცა ცნა ზედამიწევნით, ვითარმედ უფალ არს მათ ადგილთა და მპყრობელ ყოველთა მათ სანახებთა, მეყსეულად იწყო წმიდამან სერაპიონ და მყის წარმოუთხრა პირველითგან ვიდრე მუნ ჟამამდე, თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას და ვითარ ეგულების აღშჱნებაჲ მონასტრისაჲ და ესეცა შესძინა, ვითარმედ: „ბრძანებაჲ არს საღმრთოჲ და მოწაფენი ვართ ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინვებულისა მიქელ პარეხელისანი“.

და ვითარცა ესმა ესე ყოველი კაცსა მას და რაჲ იგი იხილა, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშე მდგომელთა. ხოლო იგინი მთავრითურთ შიშმან და განკჳრვებამან შეიპყრნა და საოცარ რაჲმე ჰგონეს საქმჱ იგი. ხოლო კაცი იგი ეტყოდა მათ, ვითარმედ: „კაცნი მინახვან ყოველად კორცითა მყოფნი, ხატითა და სახითა მონაზონთაჲთა და არა საოცრად, არამედ ცხადად“.

ხოლო განთენნა რაჲ, კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თჳსთა და გონებითაცა ფრთხილთა, რაჲთა ზედამიწევნით ცნან ყოველივე. ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი, და ვითარცა მოიწინეს წინაშე წმიდისა მის მამისა და იხილნა იგინი და გულისკმა ყო, რამეთუ მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი, მიეგება და მოწილედ მოიკითხნა წმიდამან მან, და წინაშე ხატსა წარაველინნა. და თაყუანის სცეს რაჲ და იკურთხნეს და განიხარეს დიდად ფრიად, მაშინ ჰრქუეს მთავართა მათ წმიდასა სერაპიონს და სხუათა მათ ძმათა: „ვჰმადლობთ ღმერთსა, წმიდანო მეუფენო, რომელმან ჟამთა ამით მოხედვა ყო ჩვენ ზედა და ქუეყანასა ზედა გჳჩუენნა კაცნი ზეცისანი, ხოლო აწ გულ-სავსე გუყუენით ჩუენ, თუ რომლისათჳს ჯერ იჩინა სიწმიდემან მან მოსლვაჲ უღუაწთა ამათ და უვალთა ადგილთა?“.

მაშინ წმიდამან მამამან სერაპიონ ყოველივე წარმოუთხრა შემდგომითი შემდგომად. ხოლო მათ, ვითარცა გულისკმა ყვეს, რამეთუ ჰეშმარიტ არიან სიტყუანი მათნი, წარემართნეს და მიიწინეს, რაჲთამცა წინაშე გიორგი ღმრთის-მსახურისა ყოველივე ხილული და სმენილი წარმოუთხრეს. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი არიან, ირწმუნა ჰეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განიხარა და წარვიდა სახიდ თჳსა და სურვიელ იყო ხილვასა მათსა.

ხოლო შემდგომად სამისა დღისა უბრძანა, რაჲთა მზა ყვნენ გზანი, მიმყვანებელნი ადგილსა მას, რომელსაცა იყვნეს წმიდანი იგი. და აღეკაზმა და აღიღო მცირედი რაჲმე ეულოგიაჲ, რომელი შეეტყუებოდა კაცთა მათ მეუდაბნოეთა და მის თანა წარიყვანა ხუცესნიცა საცეცხურ-

საკუმევლებითა და წარავლინნა წინაჲთ მკჳრცხლმავალნი, რაჲთა განჰმზადებდენ გზათა. და მი- რაჲ -იწინეს ადგილსა მას, რომელსა წმიდანი იგი იყვნეს, ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ და მყის წინა მიეგებნეს მთავარსა და სადა იგი [იყო] წყაროჲ, განვიდეს ადგილსა მას. ვინაჲცა გარდაკდა საკედარსა და შეუვრდა ხატსა მას ცხოველსა და ეგრეთვე წმიდანი იგი მოიკითხნა და იკურთხა მათ მიერ. ხოლო სანატრელი სერაპიონ აღიესო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლ-მწთოლვარითა ცით ენითა სწავლათა საღმრთოთა და, ვითარცა მდინარჲ ედემისაჲ, აღმოუწყაროდა ოქროჲ ნაკადულით პირით მისით, რომლისათჳსცა განკჳრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე მდგომნი.

მამებმა მიჰმართეს მთავარს:

-ჳერ არს ადგილსა ამას აღშჱნებად/ მონასტერი შესაკრებელად სულთა ღმრთის მოყუარეთა". ხოლო მთავარი იგი შეუვრდა მათ და ეტყოდა: -გეყედრები, ჲ წმიდანო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა, რამეთუ აჰა ესერა ჰხედავთ, ვითარ ყოველითურთ უქმ და უღუაწ არს ადგილი ესე".

მთავარმა უფრო მარჯჳე და მოზდენილი ადგილები შესთავაზა მათ სხჳაგან. მაგრამ სერაპიონმა ერთხელჳე ამორჩეული ადგილი არ დათმო.

მაშინ გიორგი მოუწოდა ვისმე ჰაბუკსა ასაკითა, რომელ არს ძალითა, და ჰრქუა: „შჱილო საყუარელო, გზა ჰყევ წმიდათა ამათ და [რაჲცა] ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე შემოწერით შემოველონ, მიმიცემიეს მათდა, ვინაჲთგან ადგილსა ამას წადიერ არიან და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწჳველ მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავის უფლებით და ნებისაებრ აშჱნებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსაჲ".

გან- რა -ათიეს ღამჱ იგი და მზე აღმობრწყინდებოდა, აღდგა წმიდაჲ იგი და ძმაჲ მისი იოანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხჳ ექუსი იყო, და წარემართნეს ჰაბუკსა მას თანა სამნი იგი და სანნი დაეტევნეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად პირსა მის მდინარისასა დასაველით კერძო და, ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქჳლი, სახლი რაჲმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა. და ამას შინა იყუნეს კაცნი რაჲმე უკეთურნი, ყოველად მეცებრიენი, ვითარცა ადგილისა უკაცოჲსა და უცხოჲსანი.

და ვითარცა მიეიწიენით ადგილსა მას, მაშინ ჰაბუკი იგი, მოძღუარი ჩუენი, გუიტყოდა: „წმიდანო ღმრთისანო, სადა გნებავს სლვაჲ?" ხოლო ჩუენ გუენება, რამეთუ გარე შეწერიხ შემოველოთ სიმგრგულჱ მათ ადგილთაჲ, ვინაჲ პირი სამხრით ვიქცეთ თანა აღყოლად ერთისა მის მდინარისა. ხოლო გჳხილნეს რაჲ კაცთა მის დაბა-წისქჳლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინა რბიოდეს. ხოლო ჰაბუკი იგი აყენებდა მათ და რისხვით უთქმიდა.

მათ შემოტევას სერაპიონმა წყევლით უპასუხა და განაგრძო თავისი გზა.

აღჰყევით პირსა მის მდინარისასა და მიეწიენით კევსა რასმე ღრმასა და უღაღსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების, და ფრიად ძლით შევედით მას შინა, ვინაჲცა სიკუოჭჲსა მისგან მყოვარ ჟამ ვერღარა ვიხილეთ ცაჲ. ანუ მზისა შარავანდედი, რომლისათჳსცა ჰირით და შრომით დაყოვნებულთა, ვითარცა სიზრქითა ალმურისაჲთა ანუ სილრმითა უყისაჲთა აღმოშობილნი აღვედით რაჲ თავსა მის კევისასა და ვიხილენით მცირენი რაჲმე ყანობირნი და მცირჱ დაბაჲ. და მყის მიერ მოგუეგება კაცი ვინმე კეთილი, მკოვანი და მოწჱილედ მოიკითხვიდა წმიდასა მას და აწუევდა, რაჲთა მცირედ განისუენოს შრომისა მისგან. რამეთუ განსმენილ იყო მოსლვაჲ ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა და გუკითხვიდა კაცი იგი, თუ რად გჳკმს უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვაჲ. ხოლო ჰაბუკმან მან იცნა იგი და ყოველივე საქმჱ ჩუენი ზედამიწჳვნით მიუთხრა. და ვითარცა მრავალგზის გუევედრებოდა კაცი იგი, რაჲთა ღამესა მას საჳანე ეყოთ სახლსა მისსა, ხოლო წმიდამან მან მადლობით მიითჳალა კეთილი იგი გონებაჲ მისი, და ჰკითხა სახელი და ჰრქუა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს არა-მისლვაჲ ჩუენი ადგილსა მას დროსსა". და კაცი იგი ეტყოდა: „სახელი ჩემი ია, ხოლო დაყოვნებულ თქუენდა ადგილსა მას მისლვაჲ, რომელსა იტყჳთ". ვინაჲ წმიდაჲ იგი ეტყოდა: „საყუარელო ძმაო ია, შრომაჲ თავს იდევ ღმრთისათჳს და მცირედ თანამოგზაურ მექმენ ჩუენ". ხოლო მოიღეს მცირედ პური და მარილი და ყველი და რომელთა ენება, ჰამეს. ხოლო წმიდასა მას ყოველად არა-რაჲსა გემოჲ უხილავს. ხოლო კაცი იგი ია თანამოგზაურ გუექმნა ჩუენ და წარვემართენით აღმოსავალით კერძო და ვიდოდეთ ქედთა რაჲმე მაღალთა, ტყიანთა და ლოდოანთა და ვითარცა აღვედით უმაღლესთა ადგილთა, და ჰკითხა მას კაცსა წმიდამან მან: „საყუარელო ია, რაჲ ეწოდების ადგილსა ამას?" ხოლო იგი ეტყოდა რამეთუ „არს ესე შესაკრებელ ნადირთა ველისათა და ბაკთა ეწოდების".

კუალად მიიხილა წმიდამან და იხილა აღმოსავალით კერძო ქედსა მას ზედა ტბაჲ, აღრეული ლალითა, რომელი იგი სახედ მწჭრისა იხილვებოდა. და გჳკჳრდა ჩუენ ფრიად და ეჰკითხეთ კაცსა მას: „რაჲ არს ადგილი ესე უცხოჲსა ამის წყლისაჲ?" ხოლო ია მომიგო ჩუენ: „ესე არს ტბაჲ ღრჯე ყოველადვე, რომჱლსა ეწოდების სათაკუე და არს ამას შინა სიმრავლჱ თაკუთაჲ, სხუათა ნადირთაჲ და დედა შფოთთა და ბრძოლათა. რამეთუ ჟანსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შკრებულნი თჳთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომჱლნი კლვადცა მზა არიან თჳთოეულისა". და ვითარცა წარვეწარათენით ტბისა მის მიმართ, და კაცი იგი ია შეუერდა წმიდასა და ღმრთისა მადლობასა აღუარებდა ხილვისათჳს ჩუენისა და ესრჱთ გუეტყოდა, რაჲთა ყოველადვე უბრძანებდეთ, უკუეთუ რაჲ გუენებოს მის მიერ.

ხოლო წმიდამან ჰრქუა მას: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჰაბუკი ესეცა უმეცარ არს აღგილთა ამათ". და ია ეტყოდა: „ქრისტემან

მომმადლოს, რაჲთა მარადის ვიყოფვოდე სიწმიდისა თქუენისა თანა, მაშაო“. და ვითარცა შთაველით პირსა მის ტბისასა, ეჰკითხეთ კაცსა მას ჟამი დღისაჲ. ხოლო მან მომიგო: „მწუხრ არს და მიდრეკილ დღჱ“. ხოლო წმიდამან მან მიუგო: „რაჲ არს ამიერით ქედთა ამათ ტყიანთა, ანუ სიმაღლჱ დიდისა ამის მთისაჲ, რომელ არს ზემოჲთ ჩუენსა?“ და მან მიუგო: „მთაჲ ესე მაღალ არს, თავ ყოველთა ამათ ქედთა, რომელსა ჰრქჳან თაე შეშათა, რამეთუ თავ არს ყოველთა ამათ მაღნართა. ამისთჳს შეშის თაე ეწოდების და უვალ კაცთა და პირუტყუთა სიმაღლისათჳს მისისა. ხოლო წინაჲთ ჩუენსა არიან ადგილნი მცირედ კაცრიელნი და აწ ვინაჲთგან მოსწრაფე ხართ, რაჲთა ადგილსა მას დროსასა მიხჳდეთ, არა ჯერ არს ყოენებად, რაჲთა არა უჟამოდ გეწიოს ღამჱ“. ვინაჲცა ენება წმიდასა მას, რაჲთა ტბაჲ იგი მარჯუნით წარელოთ და წარვიდეთ ღელეთა მიერ, რომელნი იყუნეს წინაშე ჩუენსა.

და ვითარცა ვიდოდეთ, აჰა ესერა მოვიდეს ეინმე კაცნი უკეთურნი, რომელნი გუეტყოდეს, რაჲთა დავაცადოთ სლვაჲ კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა, — რამეთუ „ჳმი არსო ნადირთაჲ, რომელნი მოელენ ტბასა ამას. რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ, რაჲთა არა იქმნას ცთომაჲ მათი თქუენ მიერ“. და არა გჳტევნეს რაჲთურთიით წარსლვად კერძოთა მათ. და ჰაბუკი იგი მოძღუარი ჩუენი ძლიერად წინა-აღუდგებოდა მათ და არა იყო მათ თანა სმენაჲ, არამედ გარე უკუმოგუაქცინეს და პირი იგი ზღუაჲ მის დასავალით წიაღლელეთ, მოვედით თავსა შთასავალისა მის ქედისასა, რომელ არა იყო ყოველად კუალი მგზავრობისაჲ და არცა გზაჲ. ხოლო კაცი იგი ია გუჩუენებდა მცირესა რასმე დაბასა და სახელ-სდებდა კაცსა სახელოანსა და კეთილსა, რომელსა ეწოდა გარბანელი და გუეტყოდა: „მიეედით ადგილსა იმას ამის იწროჲსა მიერ გზისა, და კაცმან მან ადფილად მიგიყუანნეს ადგილსა მას, საცდაჲთ იქმნა წიაღსლვაჲ თქუენი განთიადღ“.

და ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა ბაბგენ უწოდიან, და ვიხილეთ მცირჱ ველი ადგილსა მას ბობხა წოდებულსა, და გჳთხრა ჩუენ ია ყოველივე კაცისა მისთჳს გარბანელისა. მაშინ ია შეუვრდა წმიდასა მას და მოწილედ მოიკითხნა, ხოლო წმიდამან მან ჯუარი დასწერა და ეტყოდა მას: „ღმერთმან მოგაგოს ნაცვალი მგზავრობისა შენისაჲ, ძმაო! ხოლო გეტყჳ შენ, რამეთუ ადრე იხილო მისაგებელი კაცთა მათ ბოროტთა და შფოთის მოყუარეთაჲ“.

ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ შთამოველით შთასაქანელსა მას, ვითარცა წუალთასა; და ვითარ მიველით დაბასა მას, ჰა ესერა ზემო კაცი იგი ესენებული მოვიდოდა სახედ თჳსად ორთა თანა ძეთა მისთა. და ვითარცა გჳხილნა ჩუენ ესევითარითა რაჲთმე სახითა, განჰკრთა და მოწილედ განგჳკითხვიდა და განგჳხილვიდა ჩუენ. და ვითარ ცნა, ვითარმედ იგინი არიან, რომელნი მოსრულ არიან ადგილთა ამათ აღშჱნებად მონასტრისა და, იხილა რაჲ ვითარ იგი არღარა იყო ჩუენ თანა სახჱ სამოსელთა ჩუენთაჲ და ყოველითურთ დაბძარულ იყუნეს

ასონი ჩუენნი, მაშინ ცრემლით მოეხჳა და ამბორს უყოფდა ფერკთა მის წმიდათასა. და ესრჱთ იხილა რაჲ წმიდამან მან კაცი იგი, ეტყოდა: „საყუარელო და ქრისტჱს მიერ ძმაო გარბანელო! აწ აჰა ესერა მცირედ თანა ლმობით შეეწიე მგზავრობასა ჩუენსა და რაჲთა წარგჳძლუე ვიდრე მდინარემდე, რომელ არს ჩრდილოჲთ ჩუენსა“. ხოლო იგი გულს-მოდგინედ და ცრემლით ეტყოდა, ვითარმედ: „არა ეგების ეგე, ჲ წმიდაო ღმრთისაო, რამეთუ ესერა დასლვასა მზისასა ღმერთმან მოგიყვანნა ცოდეილისა მონისა თქუენისა და ვხედავ წყლულებასა ფერკთა თქუენთასა და რაჲთა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა და რაჲთა ზედამიწევნით ეცნა, უკუეთუ რაჲ არს ესოდენი ესე მდუღარებაჲ სულისა თქუენისაჲ, რომელ ესრჱთ გაიძულა დადებად სული ესე უღაღთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“. წმიდამან ჰრქუა მას: „შეუძლებელ არს ჩემგან, რაჲთამცა არა მიევედით ადგილსა მას განჩინებულსა“. ხოლო შერბიოდა შინა კაცი იგი და კუალად გამოვიდა თანა მეუღლითურთ, შეუვრდეს, ფერკთა წმიდისათა და ეითარ ვერ არწმუნეს, მაშინ ჰაბუკი იგი მძღუარი ჩუენი შეუვრდა ძმასა მისსა იოანეს და ეტყოდა: „აჰა ესერა, არა დაშთომილ არს სული ჩუენ თანა, დაევმორჩილნეთ კაცსა ამას, რამეთუ არღარა არს ჟამი სლვისაჲ“.

სერაპიონი მაინც თავისას ადგა, გზის განგრძობას არ იშლიდა.

მაშინ წარმოუძღუა კაცი იგი და წარმოემართნეს. და ვითარცა წარმოვედით, იპოვა წინაშე ჩუენსა გზაჲ რაჲმე იწროჲ და ძნიად საჭიროველი, ხოლო გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა, რაჲთა თანა გზა მყვეს ვიდრე პირამდე მდინარისა, რომელსა შთაველით რაჲ და აღმავალნი კუალად გჳხილნეს ძმათა მათ, მოგუეგებნეს.

ხოლო გჳხილნეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოოდეს ჩუენ ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი ყოველად არღარა იყო და ფერკნი ჩუენნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს. და მცირედ რაჲმე ნუგეშინის ვეცით საზრდელი, რომელი პოვა მათ თანა. ხოლო განთენა რაჲ, შევწირენით ლოცვანი. და ვითარცა იყო ჟამი სამჴმისაჲ, ვილოცეველით რაჲ ადგილსა მას, და აჰა ესერა კაცი იგი გარბანელი და ჰაბუკი იგი მძღუარი ჩუენი და ორნი კაცნი უცხონი, და მოიწინეს სწრაფით ჩუენდა. ხოლო ჩუენ, ვიხილენით რაჲ, განვიხარეთ. და იგინი იყუნეს შეპყრობილ შიშითა რაჲთმე დიდითა, და კაცნი იგი უცხონი, ვითარცა მკუდარნი ხილვითა. ხოლო ჩუენ ვიკითხეველით მიზეზსა, თუ რაჲსათჳს სულთქუმით და ეჭვთ მოიწინეს იგინი, ანუ ვინ არიან კაცნი იგი, რომელნი სახედ მკუდართა უკმო და უსიტყუ არიან.

გარბანელმა დაწერილებით უამბო სერაპიონს შიშის მიზეზი. ტბის გარღვევა და წალეკა იმ ადგილებისა და მოსახლეობისა, რომლებიც აბრკოლებდენ წინა დღეს ბერების მგზავრობას. სერაპიონის თანამგზავრებმა მ ი ჭ ო ნეს სერაპიონის წყეულება და მას მიაწერეს მომხდარი სასწაული. ეს ამბავი აცნობეს გიორგი ჩორჩანელს. იგი მოეფდა მახლობელ აოე-მარეს. ყველამ მიაშურა სერაპიონს. გაიმართა ზეიმი, რომელსაც დაესწრო აგრეთვე მეზობელი ადგილების მთაუერიც. მათ შორის იყო ძ ი ნ ძ ე ს მთა-

ჭარიც, რომელმაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველმა დაუწყო დევნა ამ მხარეში ახლად ფეხ-შემოდგმულ სერაპიონსა და მის ძმობას. ახლა იგი უკვე თაყის მამულში სთხოვს მათ მონასტრის გაშენებას. მის მიწვევაზე სერაპიონმა

მიუგო და ჰრქუა: „შენდობაჲ იყავენ პირველი ცთომაჲ შენი. ხოლო ჩუენ ნუ ვინ გვაიძულებს სხუად ცვალებად ადგილისა“.

იმ ადგილს, სადაც მონასტერი ააშენეს,

ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთაჲ, რამეთუ ეწოდა ზარზმა ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყუნეს.

ზეიმის მეორე დღეს დაიშალა სახოგადოება.

ხოლო ღმრთის მსახური გიორგი დაშთა მათ თანა და უბრძანა, რაჲთა მოიძიონ ადგილი, სადა ჰნებავს აღშჱნებად ეკლესიაჲ, და მისცნა საკმარნი უხუებით და, წარვიდოდა რაჲ, უბრძანა კუალადცა მოსლვაჲ.

აირჩიეს ადგილი, იწყეს ეკლესიის შენება. საშენი მასალის სიმცირე დიდად უჭირვებდათ საქმეს.

ვინაცა კუალად მოვიდა მუნ ღმრთის მსახური იგი გიორგი და განიცადა ყოველი საქმჱ მათი და იურვოდა, რაჲთამცა კეთილად აღეშჱნა ეკლესიაჲ იგი. და მოუკდა გულსა და ჰრქუა წმიდათა მათ: „უკუეთუ სთნავს სიწმიდესა თქუენსა, არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან. აწ უკუეთუ ჰბრძანოთ, ადგლ არს, რაჲთა იგი მოვიღოთ“. ხოლო ცნეს რაჲ წმიდათა მათ, რამეთუ უკმრად მდებარე არს ეკლესიაჲ იგი, ბრძანეს, რაჲთა სწრაფით აღღ-ყონ საქმესა მას.

ხოლო შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიმკო ყოველითა განგებითა, რომელი შეჰგუანდა ჟამსა მას, და აღჰმართეს მას შინა ცხოველს-მყოფელი ხატი ფერისცვალებისაჲ და ამისა შემდგომად სენაკებიცა იშჱნეს ძმათა. და შემოკრბა კრებული დიდძალი ძმათაჲ.

ხოლო ღმრთის მსახურმან გიორგი მისცნა ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები. და რაოდენი რაჲ უკმდა სიმრავლესა ძმათასა. ხოლო წმიდამან მან განაჩინნა წესნი და კანონნი საეკლესიონი.

ბოლოს, როდესაც სერაპიონმა აღსასრულის მოახლოვება იგრძნო, «მოუწოდა კრებულსა მას ძმათაჲსა», დამოძღვრა და დაუტოვა მათ წინამძღვრად ჟვინმე მღდელთაგანი, კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალჱ და ტკბილი სიტყჳთა ღა საქმითა, სახელით გიორგი. თვითონ დიდხანს აღარ ცოცხლია. რამდენიამე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ეკლესიის გასრულება კი სერაპიონის მემკვიდრეების დროს მოხერხდა.

კითხვები:

1. ვინ არის აქტორი და როდისაა დაწერილი სერაპიონის ცხოვრება?
2. სახოგადოების რადარა ფენის წარმომადგენლებია გამოყვანილი მოქმედ პირებად თხზულებაში? გადმოეცით მათი ცხოვრება და მოღვაწეობა.
3. სად მდებარეობს ზარხმა?

ბიოგრაფი მეჩხული

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება შედეგრია ძველი ქართული მწერლობისა. მისი ავტორია გიორგი მერჩული, წევრი გრიგოლის მიერ დაარსებული მონასტრის ძმობისა და ერია იგი, როგორც ეს ავტორის სიტყვებიდან ჩანს, გრიგოლის აღსასრულიდან 90 წლის გასვლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს.

ძეგლი მოგვითხრობს ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ამბავს VIII და IX საუკუნეებში. მეთაურთაგან ყველაზე უფრო დიდ ფიგურად გრიგოლ ხანძთელია გამოყვანილი, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სურათს ავტორი სხვა თანამოღვაწეებთან ერთად ნათლად გადმოგვცემს.

თხზულების ავტორი გაურბის ისტორიული ფაქტების მარტოოდენ მშრალ აღნუსხვას. იგი მაშინდელი საზოგადოების გარკვეული სოციალური ფენის იდეოლოგიის წარმომადგენელია. ფეოდალური საზოგადოების გაბატონებული კლასის სასულიერო ფრთის სულისკვეთებას იგი ყველგან, მთელ თავის საქმიანობაში ამჟღავნებს. მას სწადია პრივილეგიური მდგომარეობა თავისი წრისა ხელშეუხებელი იყოს. მის უფლებებს თავგამოდებით იცავს იგი ყოველგვარი შემოტევისაგან. პირველ რიგში იმავე გაბატონებული კლასის მეორე ფრთის-გან, — ერისთავთა და სხვა დიდგვარიანთაგან. თხზულებაში ჩანს ინტერესთა სხვადასხვაობის ბაბაც, — ეკონომიური ურთიერთობა საზოგადოების წევრთა შორის. ყოველივე ამას ავტორი დიდის ხელოვნებითა და მხატვრული ხერხებით იძლევა. ავტორს დიდად ემარჯვება ბუნების აღწერა, მოკმედ პირთა დახატვა როგორც გარეგნული, ისე შინაგანი სამყაროს ჩვენებით. აღს ნიშნავია ის მოვლენა, რომ გიორგი მერჩულს თავის ნაწარმოებში ადგილი აქვს დათმობილი საოჯახო, ცოლ-ქმრული დამოკიდებულების ინტიმური მხარისთვისაც. რომანული ელემენტი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, განვითარებულია შემდგომ დროის ქართულ ლიტერატურაში. ს ხელდობრ საერო ლიტერატურის წიაღში, სადაც სიყვარულისა და ქალის გაღმერთების კულტი შემუშავდა.

«ცხოვრება» აღმოაჩინა იერუსალემში 1902 წელს თავის აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს აკად. ნ. მარრმა და გამოსცა იგი 1911 წ., დაუთთო რუსული თარგმანი, ერცელი გამოკვლევა და ტაო-კლარჯეთის სიძველეთა თანამედროვე ვითარების აღწერა: Георгий Мерчул, — Житие св. Григория Хандзтийского, — грузинский текст, издание, перевод с дневником поездки в Шавшию и Кларджию (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII, Петербург 1911). «ცხოვრების» განხილვა მოეპოვება აგრეთვე პროფ. ივ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა" I, მეორე გამოცემა, ტფილისი 1941, გვ. 96 — 111, და პროფ. კ. კეკელიძეს: „ქართული ლიტ-რის ისტორია" I, გვ. 148 — 153, ტფილისი 1923 წ. ძეგლი თარგმნილია აგრეთვე ლათინურ ენაზე ბელგიელი მკვლევრის პ. პეტერსის მიერ და გამოცემულია Analecta Bollandiana-ს XXXVI — XXXVII ტომებში 1923 წ.

ცხოვრების დასაწყისშივე ავტორი ერთგვარ კადნიერებად თვლის თავის გადაწყვეტილებას, რომ ხელს ჰკიდებს გრიგოლ ხანძთელისა და მის მოყვასთა და მოწაფეთა ცხოვრების აღწერას, რომლისთვისაც მას წყაროდ გამოუყენებია «პეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა».

ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ-მორწმუნეთა მამა-დედათაჲ. და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთვისასა აღზრდილ იყო კელიონა კეთილად მსახურისა დედოფლისა ნერსჱს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმის-წული მისი. და საშოჲთგანვე დედისაჲთ შეწირულ იყო ღმრთისა დედისაგან თჳსისა, ვითარცა სამოელ წინაჲსწარმეტყუელი, და მარხვათა შინა იზარდებოდა მსგავსად წინამორბედისა, რამეთუ სიჩჩოჲთგანვე ღუნოჲ და კორცი არა შეჳდა პირსა მისსა. ვინაჲთგან ქრისტჱსა განეკუთნა სული თჳსი სამკჳდრებელად და ხატიცა მონაზონებისაჲ ეშოსა, რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თჳსსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო. ამისთჳსცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი.

ხოლო გულის-კმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკჳრებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და კმითა სასწაჳლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნჱცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულჱ იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბაასრობნ.

სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა. რამეთუ არა იყო, ვითარცა ჰაბუკი, მზუაობარ და ჰამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე, არამედ თავით თჳსით დანიელ წინაჲსწარმეტყუელისა სიტყუასა იტყჳნ, ვითარმედ «პური გულის-სათქუმელი არა ვჭამო».

და ესრჱთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ კორცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

აღმზრდელებმა და მშობლებმა მოიწადინეს გრიგოლის მღვდლად კურთხევა. მას, მართალია, მოეწონა მღვდლობა, მაგრამ, რადგან ჯერ ძალიან ახალგაზრდა იყო, იგი მძიმე მოვალეობად მიიჩნია. მისი პასუხი იყო: «და ჲჭ პატრჳსა ეხედავ და პატიჟისაგან მეშინის».

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისაჲთა იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა.

ესეც არ აკმარეს აღშხრდელებმა და მთავრებმა მისი ეპისკოპოზობა განიზრახეს მაგრამ გრიგოლს ხორციელი პატივი არ აკმაყოფილებდა. თანახმად მოწოდებ-სა, იგი მოსურნე იყო, დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი და ხელი მოეკიდა სამონასტრო საქმიანობისათვის უდაბნოებში. თანამოაზრეებიც გაიჩინა:

საბა, რომელსა ეწოდა საბან. დედისდისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და თეოდორე, ნეძვსა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კჳრიკეთისა მაშენებელი და მამაჲ.

და პოიყვანნა იგინი [ღმერთმან] ქართლით ოპიზას პირველად. და ორისა წელიწდისა ჟამთა იყუნეს ოპიზას მამაჲ გრიგოლ და მოყუასნი მისნი ღუაწლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისაჲთა, ვითარცა იყო წესი მის ჟამისა მონაზონთაჲ.

ამ ხნის გასვლის შემდეგ გრიგოლი ოპიზიდან პირველად ხანძთას წავიდა, სადაც მაშინ მხოლოდ ერთი ვინმე ბერი მარტომყოფი იმყოფებოდა, სახელად კუედიოს. გრ-გოლმა დაათვალიერა «ყოველი სანაბები ხანძთისაჲ», დაბრუნდა უკანვე და თან წაიყვანა თავისი თანამოაზრეები.

ამისა შემდგომად იწყო მან ხანძთისა შენებაჲ. და იწყეს საქმედ სენაკებისათჳს ქუეყანისა დაჲაკებად, რამეთუ კლდჱ იგი ხანძთისაჲ უფიცხლჱს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქჳ, არცა სხუაჲ ეგევითარი საკმარი, არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა კელთა მათთა, და თანაშემწე ექმნნეს ყოვლითა საკმრითა და კორცთა საღუაწრითა, რამეთუ მას ჟამსა სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა. და არცა მსოფლიონი ერის-კაცნი ახლჱიდეს ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი.

მცირე ხნის შემდეგ გამოაკლდათ ბერი კუე·იოს. ახლად მოსულებმა იგი დიდი პატივით მიაბარეს მიწ-ს. გრიგოლის მიერ დაარსებული ძმობა თანდათან მრავლდებოდა. იქ მოხვედრა ყველას არ შეეძლო.

ხოლო მამაჲ გრიგოლ არაჲის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა. და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უზაკველი და უდრტჳნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერებად ყოველსა ზედა კეთილის· საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. და ესრჱთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად. ხოლო კორციელად დიდსა იწროებასა იყუნეს.

და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის მსახური კელმწიფჱ დიდი ბაგრატუნიანი — აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნჱ,

რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და კელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა დიდებულთა მათ კელმწიფეთა წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ.

მაგრამ სანამ გრიგოლი მეფეს გაეცნობოდა, ამჯობინა ჯვრ დაახლოებოდა მეზობელ «დიდებულ ახნაურსა» (ფეოდალს) გაბრიელ დიფანჩუ-ოს, რომელსაც ნიყოიერი დახმარებისათვის მონასტერში საძვალიო დათმობა და წირვა-ლოცვის დროს მოხსენება ალუთქვა.

ხოლო გაბრიელ დიდებულმან ახნაურმან ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამაჲ გრიგოლ და მოსცნა კირით-ხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშჳნებლად. და ესრჱთ მოვიდა მამაჲ გრიგოლ თჳსსა ვანსა და განიხარეს მოწაფეთა მისთა. და იწყეს შჳნებად. და ესრჱთ კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიაჲ ხანძთისაჲ შეწევნითა ქრისტჱსითა და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა და ლოცვითა ნეტარისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო კორციელად მოღუაწებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისაჲთა და ყოველთა მორწმუნეთაჲთა.

ამ მხარეს სხვებიც მოაწყდა. მათ შორ იგი მსწრაფლ გაბედნდა ეკლესია-მონასტრებით. შეიქმნა დედათა მონასტერიც ბერეს საშცხიდან მოსული ფებრონიას მეთაურობით.

ამისა შემდგომად ღმრთის-მსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერის-მთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაჲ და უცხოებაჲ და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შჳნებაჲ და მოწაფეთა მისთა სათნოებაჲ და მოწაფეთაგანვე ცნობაჲ დიდებულებისაჲ წმიდისა მის მშობელთაჲ. ესე ყოველი ვითარცა გულის-კმა ყო კეთილად-მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ დაწერა ებისტოლჱ კელითა თჳსითა და კაცი ერთი კეთილი წინაშე მდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი მსწრაფლ წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისაჲ, პატივით მოწერილი წოდებისაჲ, ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა ცნა ყოველი, მუნჳუესვე წარვიდა კელმწიფისა მის წინაშე და მი- რაჲ -იწია პალატად, მოეგებნეს ძენი კურაპალატისანი. და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მაშინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს. და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰრქუა: „ღმრთისსამიერი კურთხეჳაჲ პირითა შენითა იყაენ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო".

გრიგოლმაც დალოცა ისინი. ლოცვა-კურთხევა შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

„არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე!"

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებაჲ ხანძთისაჲ, ვითარმედ „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ და მაღნართა სიმრავლჱ ურიცხჳ და მცირედი რაჲმე სხუაჲცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა. ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ჭეუყანაჲ რაჲთურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“. ესე ვითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა, — ადარნერსე და ბაგრატ და გუარამ — შეწირეს თითოეულად, რაჲცა საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უხუებით.

და ვითარცა ადგილნი იგი მოითუალნა და კურთხევაჲ მიანიჭა კურაპალატსა და ძეთა მისთა ნეტარმან გრიგოლ, მაშინ მრავლისა კეთილისაჲ ნაყოფითა საცსჱ მოვიდა ხანძთად, მონასტრად თჳსა, და ახარა ძმათა ყოველი იგი განმარჯუებაჲ.

ძმობა ნივთიერ ზრდასთან ერთად რიცხობრიჲადაც იზრდებოდა. მას უერთდებიან ქართლიდან და სამცხიდან მოსულები. სამცხიდან მოვიდა ზენონ.

ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოჲსა ვისმე კაცისაჲ სამცხეს, და ღმრთის-მსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა. და ვითარცა აღესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს ეტყოდა, რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტეჳა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდის შაჳშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიპურა საჭურველითა მარტოდ და ამკედრდა ცხენსა და დევნა უყო და ვითარ დიდი ჭეუყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ „ვარ მე ჰაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრკე არს სულისა ჩემისა. და.უკუეთუ ცუდად უკუნ ვიქცე სახიდ ჩემდა, სირცხჳლ არს ჩემდა. არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა“. და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების. და დაიწერა ჯუარი კორცთა თჳსთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიიწია წინაშე დედისა ფებრონიაჲსა მერეს, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისაჲ. და ნებითა ღმრთისაჲთა მუნ იყო მამაჲ გრიგოლ და დედამან ფებრონია შეაწუნარა წმიდასა მას უმანკოჲ იგი კრაეი მწყემსსა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანძთად.

ძმობის წევრთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის მიზნით გრიგოლი ფიქრობდა:

„წეს არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი„. ამისთჳს განიზრახა წარლესაჲ ქრისტჱს

საჴურჭლედ, მეორედ იერუსალჱმად (რომელ არს კონსტანტინეპოლისი) და ყოველთა საჭინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას ჟამსა იერუსალჱმს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჳსი და მას დაჴედრა საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ და ძმათა თჳსთა კაცნი მოღუაწენი უჩინნა და მშჳდობაჲ დაუტევა მათ და აღუთქუა კუალად ადრე მოსლვაჲ.

და თანა წარიყვანა საბა, დედისდისწული თჳსი, და ერთი ვინმე სხუაჲ მოწაფჱ და წარემართა საბერძნეთად და მიიწია კონსტანტინეპოლისს და სიხარულით მოჳლნა ყოველნი წმიდანი ადგილნი სალოცველნი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი და რომელიმე სახილავი მოძღუარ კეთილის ეჴმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათჳს. და ესრჱთ აღმოიჳსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა ახლისა შჯულისა და სულითა მადლისაჲთა განმხიარულებული წარმოემართნეს საყოფელად თჳსა.

უკან რომ ბრუნდებოდა, გრიგოლმა გზაში გაიგო აშოტ კურაპალატის მოკვლის ამბავი, რამაც ძალიან დააღონა.

და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას იშხნისა პირველი დიდებულებაჲ. და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ კელითა საბანისითა. და ეცნობა გზაცა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მი- რაჲ -ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ.

რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის-საცემელი სულიერი და კორციელი. და საბას მუნქუესვე გულს ჴედვა დადგომაჲ, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანნი ჩუენნი ხანძთას შინა მყოფნი და ნებითა ღმრთისაჲთა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა. და მიერ წარმოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და დაულოცეს ნუგეშინის-ცემით სიკუდილისათჳს მამისა მათისა.

და ესრჱთ მოვიდეს ხანძთად. და პოვნეს ძმანი ცოცხლებით და მშჳდობით. და შემდგომად მცირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მოწაფენი მისცნა მას. და თჳთ განაგებდა სულიერსა ცხოვრებასა ხანძთისასა ნებისაებრ უფლისა.

მაშინ იერუსალჱმით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაწმიდისა განგებაჲ და წერილი. ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასჲ დაულეველთა კეთილთაჲ.

წეს-განგება საკმაოდ მკაცრი იყო როგორც საეკლესიო, ისე საშინაო ცხოვრებისათვის. სასტიკად იყო განსაზღვრული ყოველგვარი კვება ბერისა.

არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ. რამეთუ სენაკთა

მათთა შინა იყო მცირჱ სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს, ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი კორცთაჲ არაჲ აქუნდა საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოელადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებაჲ მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა ყოველადვე. და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იკუმეედეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა. და არცა ღამე სანთელი აღანთიან.

მოძღურისადმი ბაძჳა დიდი იყო ძმობის წეერთა შორის. მეუდაბნოება და უჭმადგი ო თა ეკლე ია-ბონასტრებით გაშენება მიმხიდველი შეიქმნა ხოგჯერ ასეთი განზრახე ს სისრულეში მოყუანას მამასახლისისაგან დაფარულადაც კი ცდილობდენ.

ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა თეოდორეს და ქრისტეფორეს აქუნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტრისა შჱნებისაჲ და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაჲ მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისაჲთა ძჱ დიდისა მირეან აზნაურისაჲ დაიმოწაფეს, სახელით არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გჳრგჳნი დაუჭნობელი. ხოლო ყრმაჲ იგი მცირე იყო ჟამითა, ვითარ ექუსისა წლისაჲ, და სახლსა შინა მამისა თჳსისა იზარდებოდა.

ზემოსეს იგი მოწესის ტანსაცმლით

და წარვიდეს აფხაზეთად. ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ სცა და ადგილსა კეთილსა დაამკჳდრნა.

და რაჟამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვაჲ თეოდორჱსი და ქრისტეფორჱსი, შეწუხნა ფრიად და თანა წარიყუანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისაჲთა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმაჲ, ჰაბუკი ღირსი. ესე ეფრემ ღირსი ღმრთისაჲ დაიმოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა ესრჱთ: „რაჟამს მოვიქცე აფხაზეთით, თანა წარგიყვანო შენ ხანძთად“. და თჳთ წარემართა აფხაზეთს. და მი- რაჟ -იწია წინაშე კელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა. და შემდგომად მოკითხვისა დასხდეს მეფჱ და ნეტარი გრიგოლ. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო. და მეფჱმან მან თქუა: „ვინაჲ არს მიზეზი მოშრომისა შენისაჲ, მაუწყე მე“. და ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა: „მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო, მოწევნულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა, და აწ არიან სამეუფოსა ამას, და მათთჳს არის მოსლვაჲ ჩემი აქა. არამედ ბრძანენ კელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა“. ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქუა: „არა მოსრულ არიან აქა ეგეცითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდჱ შენი“.

მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრქუა: „მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ. მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა“: და ვითარ ღონჱ სიტყჳსაჲ არღარა აქუნდა მეფესა შართლ-მხილებისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყუანებაჲ ძმათა მათ. და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ, შეუურდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით. და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო მამაო, აჰა იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისაჲ ჩემისაჲ. რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შჱნებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშჱნოთ ადგილი იგი“.

და მოვლეს ქუეყანანი საგონებელნი სამონასტრედ და არა სთნდეს წმიდასა მას. და ჰრქუა მეფესა მას: „არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშჱნა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს. და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“. და შეწუხნა ფრიად მეფჱ იგი ამის მიზეზისათჳს და ჰრქუა მათ: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ“.

მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშჱნა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ და ილარიონ ვინმე იერუსალჱმით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად. რამეთუ ხანძთით წარყოლილ იყო თეოდორჱს და ქრისტეფორჱს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და- ვე -უტევნა მონასტერსა მას. ხოლო კელმწიფჱ იგი სიხარულითა აღიესო მონასტრისა მის შჱნებისათჳს და შეწირა საშჱნებლად მისსა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა.

ხოლო ჟამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულს-მოდგინედ სახჱ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ. და მამამან გრიგოლ ჰრქუა: „ჲთქუა მრავლისაგან მცირედი ესრჱთ, რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ. და კეთილად შეზავებულ მხისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივჱ შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ მზუარჱ. რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერკთანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლჱ წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაჲთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკჳდრობაჲ მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარე-მოსლვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ უძრაჳისა. და ესრჱთ ყოვლითა

კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და კეცნებისა და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მაუალთაჲსა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საკნაი. არამედ დიდითა შრომითა როპიკისა მისლვაჲ აქუს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენაკნი ჭირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხჳ. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უჭრისტოთა მათ ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ჟამსა კელმწიფეთა მტერობისასა. და ესრეთ მრავლითა მშჯდობითა მუდროებით არიან ყოველადვე და ქრისტესა ადიდებენ".

გრიგოლი განაგრძობს: „ასეთი ადგილები ბერ-მონაზონთათვის არის განჩინებული. თუმცაღა მათ ხელმწიფეები ჰყვლიან, მაგრამ მაბინებლებად მაინც ბერები ითვლებიანო".

„მისცა ღმერთმან კელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საებისკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ ყენა, რაჲთა სიმართლით განიკითხავდენ შათ შემკობილნი სამოსლითა ბრწყინვალითა. ხოლო რაჲთა არა დაუტეონ გონებაჲ მათი ხილულთა მათ ნივთთა შინა, არამედ კეთილთა მათ საუკუნეთა გულისჯა ჰყოფდენ. ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა კელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროჲსათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათჳს მწუხარებაჲ ადგილთა გლოვისათა".

გამოჰმშვიდობენ აფხაზთა მეფეს გრიგოლი და მისი თანამოღვაწეები და შინისაკენ გამოსწვრებს. გზაზე თეოდორემა და კრისტეფორემ აუწყეს გრიგოლს, თუ როგორ გაბედა მოწესეთ არსენი, მირეან მთავრის უმცროსი შვილი. გრიგოლმაც თავის მხრივ ეფრემის ამბავი უამბო მათ. ერთიცა და მეორეც ძმობამ თავის წევრად ჩარიცხა, თუმცა პირველ ხანებში მცირეწლოვანთა შეწყნარება ძმობამ წესდების დარღვევად მიიჩნია.

აღმშენებლობისაგან არ ცხრება გრიგოლი. აშოტ კურაპალატის მემკვიდრემ ბაგრატმა რომ კურაპალატობის ხარისხი მიიღო, მისალოცავად მივიდა მასთან გრიგოლიც. მოკითხვისა და დალოცვის შემდეგ მან მიჰმართა მეფეს:

„აწ ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად, უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სულისა შენისა და ვიდრე ეგოს ცაჲ და ქუეყანაჲ, ეგოს მას შინა ლოცვაჲ შენთჳს". მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებაჲ მისი და მისცა ყოველივე საკმარი საშენებელად.

მაშ ჟამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა კსენებაჲ საბან იშხნელისაჲ და აუწყა ყოველი პირველ ყოფილი ღმრთის-მსახურსა კურაპალატსა. ხოლო მას ვითარცა ესმა, ფრიად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მიველინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ არა

ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა. მაშინ ბრძანა კურაპალატმან გზათა იშხნისათა საქმჱ, რამეთუ მახლობელად იყო ჟამსა მას. და ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს: „განუგებელად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწუ-რად გეც. აწ ვითარ წეს არს, მიუწერე“. და თჳთ კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს ხოლო წიგნსა მამისასა.

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისაჲ მოსურნეთა მათ თანა. ხოლო კურაპალატი წინა მიეგება და პატივით მოიკითხა. და მან კურთხევით ულოცა. და ვითარ დასხდეს, ჰრქუა კურაპალატმან წმიდასა მას: „ჴერ არს კელმწიფეთა მორჩილებაჲ. რაჲსათჳს არა მოხუედ პირ-ველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ ხოლო მან ჰრქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთა. შენ ნათესაჲთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ყოველთა დაბადებულთა. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ საუკუნოჲ მეუფჱ და სრული ჰგიეს უცვალებელი. არამედ აწ სიტყჳთა ძმისა და მოძღურისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი მამაჲ გრიგოლ და მამაჲ საბა თანა. და ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა ადგილი იგი.

საბა შემდეგში იშხნის ეპისკოპოსად იქმნა ხელდასხმული.

არა ნაკლებ გაოცებულნი დარჩენ კურაპალატი და ორი მისი ძმა (უფროსი ადარნერსე და უმცროსი გუარამ), როცა მათ, გრიგოლის მიწვევის თანახმად, დაათვა-ლიერეს გრიგოლის მიერ აშენებული მონასტრები. ამ მონასტრებისათვის მათ შესა-წირავი უხვად გაიღეს.

კლარჯეთის ბერ-მონაზვნობამ გრიგოლი არქიმანდრიტად დაადგინა. ადგილობრივმა მთავრებმა იგი ნათლიად მოიკიდეს, — ადარნერსემა და ბაგრატმა შვილები მოანათლინეს. ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი მონასტრებისადმი ნივთიერი დახმარების გაწევას კურაპალატების მხრით.

რაჟამს განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწეენულ მოხუცებულებასა, მას ჟამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა კორცითა. და მსწრაფლ ხოლო წარმოვიდა საკეღრითა. და თანა იყუნეს მსახურნი მისნი მამანი და დედანი. და მოიწია დედისა ფებრონიაჲსსა მერეს. ხოლო მან სიხარულით შეიწყუ-ნარა და მსწრაფლ ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმი-დაჲ იგი ძჱ უბიწოჲ მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწმუნისა და თა-ყუანის სცა მას და ქრისტჱს-მიერი კურთხევაჲ და მშჳდობაჲ მისცა. ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესა თჳსსა, ჰამბორს უყოფდა და ეტყოდა: „შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე რომლისათჳსცა მსუროდა,

რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი". და მრავალფერითა სიტყუთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი.

გრიგოლის დედა მერეს დარჩა და იქეე გარდაიცვალა.

ფიქრი მონასტრების გაშენებისათვის არ ასვენებს თეოდორწმსა და ქრისტეფორეს. როცა წამოეხარდენ მოწაფეები—არსენ და ეფრემ—თეითონ აღმხრდელები ქართლისაკენ გამოიპარნენ მონასტრების ასაშენებლად. მალე მოძებნა ისინი გრიგოლმა, უსაყვედურა გაპარვა, მაგრამ არ დააყენა; ისინიც

წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანენი. და უწოდეს თეოდორწმს ვანსა ნეძჳ, ხოლო ქრისტეფორწმსსა კჳრიკე-წმიდაჲ და მოწაფენი დაუტევნეს.

ნეძვისა და კვირიკე-წმიდის გაშენების შემდეგ გრიგოლმა შეყარა ძმობა ხანძთას და გაანაწილა მისი წევრები მონასტრებს შორის.

ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა ხანძთას და შატბერდს იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა. რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყუელებდა ყოველით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად. და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აესოვდა. და აქუნდა კმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ. ხოლო განსაკჳრვებელ იყო კსოვნებაჲ მისი. რამეთუ აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა.

მრავალ გზის მის ჟამისა კელმწიფეთა განიზრახეს დამტკიცებით ამის ნეტარისა ეპისკოპოსობაჲ და ფრიადითა შრომითა აწყინეს, რაჲთამცა დაემორჩილა. ხოლო მან არა ინება დიდებაჲ ესეოითარი და გულის-კმა უყო მათ განმარტებულად, ვითარმედ „მსოფლიოთა მათ. წმიდათა საყდართა არა უმრწემს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი".

გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები ერთიმეორეზე ცნობილი და მასწავლებლის მსგავსი შეიქმნენ. ასეთნი იყუნენ: მატო, მიქელწინელი მღვდლად მერეს, ეფრემ, რომელიც

უწინარეს მრაველით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა, სამცხეს,

და არსენ, რომელიც

ქართლისა კათალიკოზ იქმნა.

და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათჳს. არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათჳს ფრიად გულ-წყებულ

იყვნეს ამის მიზეზისათჳს, რამეთუ თჳნიერ განწრახჳისა მათისა მძლავრ სამცხისა. ერითა ძᲩ თჳსი დაადგინა კათალიკოზად თანადგომითა და ქურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაჲთა.

გუარამ მამფალმა, რომლის მხარეზე სამღვდელოების დიდი უმრავლესობა იყო, საეკლესიო კრებაც კი მოიწვია არსენის გადასაყენებლად. მაგრამ საქმაო აღმოჩნდა გრიგოლის ჩარევა, რომ მღელვარება დამცხრალიყო. მან მეამბოხენი დაარწმუნა, რომ არსენის კათალიკოზობა განგების საქმეაო.

მაშინ გუარამ, დიდმან კელმწიფემან, კეთილად ისტუმრნა ყოველნი. და პურის-ჭამასა შინა იკითხა ეპისკოპოსთა მათგან: „წმიდანო ღმრთისანო, უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერის-კაცი ვინმე წიგნთა სამრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი მიიწიოს იერუსალᲔმდ ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტეანობასა შეენოდეს და ჩუენ შორის არა იყოს, გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულის-ჴმა ყოს და თავით თჳსით ერსა უსწაელელსა აუწყებდეს, კეთილ არს ანუ არა“? ხოლო მათ თქუეს: „უკუეთუ ახალი რაჲმე კეთილი წესი ერის-კაცმან გულის-ჴმა ყოს, მსგავსად ბრძანებისა შენისა, უმჯობᲔს დუმილი არს. და უკუეთუ დუმილი ვერ ძალ ედვას, არა თავით თჳსით ჭადაგებდეს, არამედ აუწყოს თჳსსა ეპისკოპოსსა. და თუ ჯერ იყოს, მან ასწაოს თჳსსა სამწყსოსა“.

და ვითარცა განასრულეს პურის-ჭამაჲ, მისცეს მშჳდობაჲ მთავარსა მას დიდსა და მან სიხარულით განუტევნა ყოველნი.

კრებაზე ყველაზე მეტ წინააღმდეგობას არსენის მიმართ ეფრემი იჩენდა. კრების შემდეგ კი ეფრემი კვლავ დაუმეგობრდა არსენის. ხოლო ორივენი ერთად დიდი პატივისმცემელნი იყუნენ მოძღურისა.

არამედ დიდი ეფრემ მრაველისა კეთილისა მომატყუებელ იქმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალᲔმით მოჰყვანდა. ხოლო ეფრემ ქრისტᲔსმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალᲔმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ აღესრულების, ხოლო კჳრიელეᲔსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო, წყალობა ყავ, გინათუ: უფალო, შეგვწყალენ.

არანაკლებ სახელოვანი შეიქმნა ეპიფანე, რომელიც «სიმდაბლითა თჳსითა მიიწია სახომსა თჳსისა მრძეურისასაᲐ». მას არ ჰამოუვარდებოდა იაკობ მიძნაძორელიც. იმათი ამბების გადმოცემასთ, განაგრძობს ავტორი, «წიგნისა ამის განგრძობისათჳს თანა წარჯᲔდოო და კელაე გრიგოლს უბრუნდება.

ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა კელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშᲔნა ციხᲔ არტანუჯისაჲ საცხორებელად დედუფლისა, მეუღლისა თჳსისა. და მას შინა კეთილად ცხოვნებოდა მრავალთა წყალობათა. ხოლო აცოტუნა მტერმან კელმწიფᲔ იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლისა თანა

ომრუშებდა, რამეთუ ეშმაკი ტრფიალებისაჲ ფრიად აზრხენდა, რომელსა პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩუეულებაჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმჱ იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიად და ამხილა პირის-პირ კელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტეევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაჲცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულის-თქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა ჭამი მარჯუჱ. ოდესცა კურაპალატი შორს იყო, არტანუჯსა, დღესა ერთსა შატბერდით წარვიდა და მიიწია მიმწუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუელინა დედაკაცსა მას ჰამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგჱ წარსცა წმიდისა მისთჳს და მოწაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კუალად მიუელინა კაცი, რაჲთა მივიდეს ხილვად მისსა. მაშინ უფროჲსად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მკეცალთა თჳსთა, რაჲთამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა. ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომაჲ. და მოწაფენი კიდერე განდგეს წამის-ყოფითა მოძღურისა თჳსისაჲთა და ეგრჱთვე მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ: „ჲ საწყალობელო, რაჲსათჳს შორის ცოლქმართა შთაჰრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲმე მიზეზითა საფრკე ქმნულ ხარ დიდისა კელმწიფისადა?“ ხოლო მან ცრემლით ჰრქუა: „წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თაეისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და აწ არა უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად“. ხოლო წმიდამან მან ჰრქუა: „შეილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თაეს-მდებ გექმნე ქრისტჱს მიმართ, რაჲთა მან თაეადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს“. დაჲ მან ჰრქუა: „წმიდაო მამაო, კლდთა შენთა ვარ, უმჯობჱსი სულისა ჩემისაჲ იზრუნე“. მაშინღა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეეცურა მადლითა და მისცა თჳსთა კაბლთა საბელი, რაჲთა სარტყულად შეირტყას. და მან ყო ეგრჱთ.

გრ-გოლმა წაიყვანა ის დედაკაცი დედათა მონასტერში ფებრონიასთან მერეს და იქ დააყენა.

ხოლო რაჟამს მიიწია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი და, ვითარ არა პოვა, ფრიად შეიცრუა, გულის-ჰმა ყო რაჲ ყოვლი იგი ყოფილი საქმჱ. და რამეთუ არა ღონითა რაჲთმე კაცობრივითა მახეთაჲთა იყო ტრფიალ მისა მიმართ კელმწიფჱ იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თაემოთნეობაჲ დაიეწყუა და მსწრაფლ ხოლო მოეიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედა-

კაცი იგი და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობლისასა და მიიღო ლოცვაჲ დედისა ფებრონიაჲსი, მაშინ იწყო სიტყუად: „უწყი-მე, დედაო, რაჲსათჳს მოვედ აწ?“ ხოლო მან ჰრქუა: „უფალმან იცის, რაჲსათჳს ჰბრძანე აქა“. და მან ჰრქუა: „ამის მიზეზისათჳს იქმნა მოსლვაჲ ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუენისა მეპურეკლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი კელთა მისთა იყო. და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოჳიდეს და ყოველი მოგჳთუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

ფებრონიამ მეკახე პასუხი გასცა.

ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სირცხჳლეულ იქმნა მართლ-მხილებისა მისგან კდემული და მყოვარ ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული. რამეთუ კორციელად ძლიერსა კელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჳურვიეთა მათ საღმრთოჲთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჳირვებისაგან თქუა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!“ო. და მსწრაფულ ხოლო აღდგა და წარვიდოდა. მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რაჲთამცა ისტუმრა იგი და არა დაემორჩილა.

საზოგადოებრივსა თუ კერძო საქმეებში სხვა დროსაც ჩარეულა გრიგოლი. მაგ., ის ებრძოდა ადარნერსე შეფესა და ვი-მე ცქირს, რომელმაც ძალით ხელში ჩაიგდო ანჩის საყდარი და გრიგოლი მოსაკლავადაც კი გაიმეტა.

ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისაჲ მამაჲ გრიგოლ ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა არცა შეემთხჳა თუალთა მისთა მრუმედ-მხედველობაჲ და კორციით ძლიერ იყო და რაჲთურთ უძლურებაჲ სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა. ხოლო შრომაჲ დიდად უყუარდა, არა ხოლო ლოცვისა და მარხჳისაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე კელითა თჳსითა იქმოდა. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთმოღუაწე. ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, რამეთუ თჳსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი იღუწიდეს მათ, და რომელი გარდამრჩ საქმჱ არნ, მას აუწყიან მსგავსად სიბრძნისა მის ღმრთიე მოცემულისა, რომელი მკჳდრ იყო მის თანა მარადის, ვიდრე აღსრულებადმდე მისსა.

ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა იყო რაჲ შატბერდს, ზრუნვაჲ აქუნდა ძმათა მათ მკჳდრთა ხანძთისათა, რამეთუ ესმა, ვითარმედ ოხჳანი ამის ცხორებისაჲ შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა. მაშინ, რომელთა სლვაჲ ძალ-ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვაჲ ძმათა მათ თჳსთაჲ და, რაჟამს გულის კმა ყვეს მიზეზი მისლვისა მათისაჲ, სიხარული მწუხარებად გარდაიქცა.

ყველამ იგრძნო მოძღვრის განშორების მოახლოება. ყოველი მათგანი ცდილობდა უკანასკნელად მოძღვრისა მოსმენას. მანაც იგინი დაარიგა და ანდერძიც დაუგდო. ითხოვა ძმათა მორის დამკრძალეთო და ნუ დამიიწყებთო.

ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა.

ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, — სამსაე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე.

კითხვები და დავალებანი:

1. ვინ არის აეტორი და როდისაა დაწერილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება?
2. საზოგადოების რომელი ნაწილის საქმიანობაა მოცემული თხზულებაში?
3. ვისი მსოფლმხედველობის მხარეზეა ცხოვრების აღმწერი და საიდან ჩანს ეს?
4. საეკლესიო ლიტერატურის რომელი ელემენტის ჩანასახი შეიძლება შევნიშნოთ თხზულებაში?
5. რად მდებარეობს ხანძთა?

ასოებით დაწერეთ ძეგლის ბოლოს მოყვანილი რიცხვები და ახლანდელ წელთაღრიცხვაზე გადმოიყვანეთ იქ მოხსენებული ქრონიკონი.

ბალავარის სიბრძნე

ბალავარის სიბრძნე, ანუ, — როგორც ძველად უწოდებდნენ, — «სიბრძნე ბალავარისი» ქრისტიან ხალხთა ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი თხზულებაა. იგი შორალურ-ასკეტური ხასიათის ნაშრომად წარმოადგენს. მას სხვანაირად „სახულიერო რომანსაც“ უწოდებენ.

აქ მოთხრობილი ამბავი ბუდას ცხოვრების გადაკეთებაა ქრისტიანულ გემოვნებაზე. შინაარსი ამ მოთხრობისა აზის იდეოლოგიის გაქრისტიანება.

ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ ზოგს ამ თხზულების ავტორად და ზოგსაც მთარგმნელად იოანე დამასკელი (VIII საუკუნე) მიაჩნიათ. ზოგი კიდევ მას ავტორად VII საუკუნის მოღვაწეს, იონე პალესტინელ ბერსა თვლის. ქართული ძეგლის სათაურით კი ავტორად დასახელებულია ისაკ, სოფრონ პალესტინელის შვილი.

თხზულება მეტად საინტერესოა თავისი ფორმით თხრობაში ალეგ-ალეგ ჩართული იგავები ძალზე მიმზიდველსა ხდის წიგნს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სულხან ორბელიანმა თავისი «სიბრძნე სიცრუისა» გეგმა ამ ძეგლის მიბაძვით დაამუშავა.

ქართულად ბალავარიანს პირველად ალ. ხახანაშვილმა მიაკვლია, ხოლო პირველი შრომა მას ნ. მარმა უძღვნა უკანასკნელმა იგი არაბულსა და ბერძნულ ტექსტს შეადარა. მისი აზრით ქართული ტექსტი ანთაგან კი არ უნდა მომდინარეობდეს, არამედ პალესტინაში უნდა იყოს ნათარგმნი სირიულიდან IX — X ს-ში. საბოლოოდ მტკიცდება ცნობა იმის შესახებ, რომ ბერძნული ბალავარიანი, საიდანაც მომდინარეობს ევროპის სხვა ენებზე არსებული ვერსიები, ქართულიდან არის ნათარგმნი XI საუკუნემდის და რომ იგი ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ცნობილმა ათონის მოღვაწემ იქთიმემ. ამის საბუთად ექთიმეს ცხოვრების ის ადგილი მოჰყავთ, სადაც იქთიმეს შრომები ჩამოთვლილი. იქ, სხვათა შორის, ნათქვამია: «ბალავარი... და სხვანიცა რამოდენიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად». ამტკიცებენ, რომ ქართული ვერსია ადრეც ითარგმნა დასავლეთ ევროპაში მეტად გავრცელებული ძეგლისა საშუალო საუკუნეებში.

ქართული ტექსტის ძველი ნუსხები არ შენახულა მთლიანად. პირველად იგი გამოსცა, XVIII—XIX ს უკუნეების ნუსხების მიხედვით, ექ. თაყაიშვილმა («სიბრძნე ბალავარისი», ტფილისი 1895 წ.), შემდგომ უფრო ძველ ხელნაწერებში (XII—XIII საუკ.) იქნა მიკვლეული მისი ცალკე ნაწილები, რომლებიც ჯერ ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა (Балаһар и Иоасаф. Москва 1902) და შემდეგ მ. ჯანაშვილმა (Описание рукописей церк. музея, III, 1908, გვ. 28). არსებობს ამ ძეგლის რუსული თარგმანი, რომელიც პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ არის შესრულებული (Записки Восточного Отд. Рус. Археол. Общества, т. XI стр. 1-48). არის ამ ძეგლის თარგმანი ახალ ქართულზეც: «სიბრძნე ბალავარისა» ქართულ ძველ ხელნაწერთაგან მდაბიურად გადმოლებული ესტატე კერესელიძის მიერ, გრ. ყიფშიძის რედაქციით, ტფ. 1879.

ლიტერატურა:

1. H. Марр. Мудрость Балавара, Груз. версия душеполезной истории о Варлаамѣ и Иоасафѣ: Записки Восточ. Отд. Рус. Арх. Общ-ва, т. III, стр. 223-260.

2. H. Marr, Армяно-грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иодасафе. Записки Восточ. Отд. Рус. Арх. Общ-ва. т. XI стр. 49-78.

3. H. Marr. Из поездки на Афон: Журнал Минист. Нар. Просв., 1899 г. Март м-ц.

4. ექ. თაყაიშვილი, «სიბრძნე ბალავარისი», ბოლოსტყაობა 134-157, ტუილი 1895 წ.

5. Хаханов Л., «Балаам и Иодасаф». Москва 1902.

6. Хаханов Л., Очерки по истории Груз. литературы т. I, ст. 82 (Москва 1897).

7. ხახანაშვილი ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია (მეორე გამოც. 1913), გვ. 232.

8. კ. კეკელიძე ქართული ლიტერ. ისტორია I. გვ. გვ. 187-189; 551-552 ტფილისი 1923 წ.

— —

გვთხრობდა ჩუენ მამად ისაკ, ძე სოფრონ პალესტინელისად, და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალაჰვარისი, რომელი იყოფეოდა ღმრთისა მძოვართა თანა.

მივეწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ანის სოფლისანი, ფრიად სარგებელნი სულისანი.

იყო ვინმე მეფე ქუეყანასა ჰინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა ჰრქუან ბოლატ, და სახელი მისი აბენეს. იყო იგი წარმართ, კერპთ-მსახურ; ხოლო კაცი იგი იყო მშჳდ და ღმრთის-მოყუარე გლახაკთა; და არა ესუა მას შვილი და მწუხარე იყო იგი უშვილობისათჳს, რამეთუ ფრიად მდიდარ იყო იგი, და სწადდა, რაჲთამცა დაუტეოს მკჳდრი მონაგებთა ზედა. ამისათჳსცა ეეედრებოდა ღმერთთა მათ მისთა, რაჲთა მიანიჭოს მას შვილიერობაჲ. ხოლო იგინი ვერარას შემძლებელ იყუნეს კეთილისა ყოფად მისდა. ამისთჳსცა ცუდ იქმნებოდა ეედრებაჲ მათი; გარნა ღმერთსა რომელსა ყოველთა კაცთა ჰნებაჲს ცხორებაჲ მოწყალებისა მისთჳს, რომელ ჰყოფდა გლახაკთა ზედა, მიანიჭა მას შვილი კეთილი და სალმრთოჲ. და ალიესი სიხარულითა დიდითა და უწოდა სახელი მისი იოდასაფ და თქუა: „ესე მიუვეს ღმერთთა ჩემთა“, და უმეტჱს ადიდნა იგინი. და შეკრიბა სიმრაელს ვარსკულავთ-მრიცხველთაჲ და ფილასოფოსთა და მემარგეთაჲ, რაჲთა აუწყონ, თუ რაჲ წინა-უც ძესა მისსა. ხოლო მათ ყოველთა თქუეს ერთბამად, ეითარმედ „მიიწევის ყრმაჲ ეგე დიდებასა მეფობისასა, რომელ არასადა ვინ მიწევნულ არს ქუეყანასა ამას ჰინდოეთისასა“. ხოლო იყო მათ შორის კაცი ერთი მეცნიერი სიბრძნესა უფროჲს ყოველთა და ჰრქუა მეფესა: „მე ესრჱთ ვჰგონებ, მეფეო, დიდებასა რომელსა მიიწევის ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისაჲ, არამედ ესრჱთ ეჰგონებ, ეითარმედ დიდ წინამძღუარ იყოს გზასა ჳეშმარიტებისასა“.

ხოლო ვითარცა ესმნეს მეფესა სიტყუანი ესე, აღივსო მწუხარებითა და მაშინ ბრძანა მონათა მათ ქრისტჱსთა განსხმაჲ ქუეყანისაგან მისისა.

ხოლო მეფესა აბენესს ესუა კაცი ერთი სახელით ბალაჰვარ. და იყო იგი ღმრთის-მსახურ და მორწმუნე და მოსავ ქრისტჱს; და უყუარდა ფრიად მეფესა, რამეთუ იყო გონიერ და ფრთხილ და მწერალ კეთილ და უწარ- ჩინებულჱს ყოველთა იყო წინაშე მეფისა და არა იცოდა მეფემან აბენეს, თუ მონა არს იგი ქრისტჱს, და ყოველთა წარჩინებულთა მისთაგან უმეტჱს პატივ-სცემდა.

ხოლო ბალაჰვარს შეემტერნეს კაცნი იგი კერპთმსახურნი, რამეთუ ჰშურდა მისთჳს პატივი იგი მეფისაჲ, რომელ წინა უყოფდა მას, და მივიდეს და ჰრქუეს მეფესა: „ჲ მეფეო, კაცისა მის რომლისა დაგიც სასოებაჲ, არა არს სჯულისა შენისაჲ, რამეთუ უკუეთუ პოვის კაცთა მათგანი ქრისტეანეთაჲ, მოწლედ მოიკითხის. და აწ ჰნებავს განდგომილებაჲ შენი და დაპყრობად მეფობისა შენისა, და რომელნიცა პოვის განდრეკილნი მეფობისაგან თქუენისა, მოსწრაფებით ჰყუარობს მათ და პატივსა წინა უყოფს“.

ამის გამო მეფემ იხმო ბალავარი, ერთგვარი გამოცდა უყო დანაბჭდების შესამოწმებლად, მაგრამ ბალავარმა მეფის ეჭვები გაფანტა მასთან თავ-შეყვარებული ქრისტიანი კაცის შემწეობით. მტრებმა ეს არ აკმარეს.

და კუალად შეუკდა შური მთავართა მათ ბალაჰვარისთჳს და ჰრქუეს მეფესა: „მეფეო, თუ განიხილო ყელი ბალაჰვარისი, იხილო მის თანა ჯუარი, რომელსა თაყუანის-სცემს იგი, და ღმერთნი ჩუენნი საბასრობელ არიან მის წინაშე“.

ეს ბრალდება დამტკიცდა. მეფემ პატიება აღუთქვა, თუ იგი დაგმობდა ქრისტეს. მაგრამ ბალავარი უარზე დადგა. მაშინ მეფემ უთხრა:

„აწ წარვედ ქუეყანისაგან ჩემისა და ნუმცა მესმის ამბავი შენი ყურთა ჩემთა და, უკუეთუ გპოვო-ღა, უბრალომცა ვარ სისხლისაგან შენისა“. ხოლო მან კაცმან ღმრთისამან დაუტევა დიდებაჲ ესე წარმავალი და მძოვრთა თანა წარვიდა მონებად იესუ ქრისტჱსა, ღმრთისა ჩუენისა.

მეფემ შვილი გააცალკევა, — საგანგებოდ აშენებულ ჭალაჭში მოათავსა

და მისცა ზანდან მზრდელად და ამცნო მას და ჰრქუა, რაჲთა ბერი კაცი, გინა სნეული არა უჩუენოს და არცა სიკუდილი უსენოს სადა, რამეთუ სწადდა აღზრდაჲ მისი სიბარულით და შუებით, რაჲთა არა შეჰრევებით შეემთხჳს რაჲ გინა სიბერისათჳს, გინა უძლურებისა, გინა თუ სიკუდილისათჳს.

მეფის ვაჟი სრულწლოვანი შეიქმნა ფიზიკურ მომწიფებასთან ერთად მას მამისმა გონებრივი გაზრდაც არ დააკლო. ამ მხრივ ახალგაზრდა დიდ წარმატებას იჩენდა. მაგრამ იგი მაინც განცალკევებულად ცხოვრობდა, რაც მას დიდად აღონებდა და აფიქრებდა. მარჯოდმყოფობის მიზეზის გაგებას მამისაგან იგი არ ელოდა. ამიტომ მან გ-მხრდელს მიმართა. მანაც სიტყვა ჩამოართვა, რომ არ გათქვამ ეა და

ყოველივე მოახსენა. რა მოისმინა გამზრდელის ნაამბობი მეფის შვილმა, ქვეყნის გაცნობის მიზნით, ნებართვა მიღო მამისაგან, გასულიყო ქალაქს გარეთ. მეფის ღონისძიებამ, დაეფარა შვილისაგან ბერი კაცი და სნეულ-დავრდომილი, ვერ გაჰკრა. გზაზე მან იხილნა ორნი კაცნი:

ერთი გონჯი და ერთი მწუხარე, რომელი სხუასა მიჰყვანდა, და ზარგანკდილ იქმნა, და ჰკითხვიდა მათთჳს და ჰრქუეს: „ესე კაცნი არიან და ვნებაჲ შეჰმთხუეოეს, ვითარცა სხუათა კაცთაცა შეჴმთხუევის“. და ჰრქუა მან: „ესე ყოველთა კაცთა შეემთხუევისა“? ხოლო მათ ჰრქუეს: „არა, არამედ ზოგთა, რამეთუ რომელთამე შეჴმთხუევის და რომელნიმე დაუშთებიან“. მაშინ განჰკრთა გონებითა, და იქცა დამძიმებულ.

და კუალად, ოდეს განვიდა და მოყუასნი იგი წინა-მავალნი უდებ იქმნნეს და ვერ იხილეს კაცი მდებარე მოუძლურებული, რომლისა თმაჲ სპეტაკ იყო, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არა იყო, და სიტყუაჲ მისი ფლაფნით იყო, და, ვითარცა ჴივიდოდა ძჳ მჴფისაჲ, იხილა იგი და შეეზარა, და ჰრქუა ზანდან ზეარდულსა: „რაჲ არს ესე“? ხოლო მან ჰრქუა: „და ესეცა კაცი არს“. და ჰრქუა მას: „და რასა შეუქმნიეს ესრეთ“? ხოლო მან ჰრქუა: „წელიწადთა სიგრძესა“. და ჰრქუა: „რაჲ არს წელიწადი“? მიუგო ზანდან: „ათორმეტი თთუე“. და ჰრქუა: „რაჲ არს თთუჱ“? მიუგო: „ოთხი კჳრა“. „და რა ზომსა წელიწადსა შეიქმნების ესრეთ“? ჰკითხა: „ოთხეოცდაათსა, გინათუ ასსა“. ხოლო იყო იგი გონებითა ვრცელ და სიბრძნითა საჴსე, და აღრაცხნა თთუენი და წელიწადნი და ჰრქუა: „ვითარ ვხედავ, ადრე მიუთჳს დღჱ დღესა და წელიწადი წელიწადსა, და ასთა წელიწადთა დასასრული ადრე იქმნების. და აწ რაჲღა წინა უც კაცსა ამას“? ჰრქუა მას ზანდან: „ამისსა შემდგომად სიკუდილი“.

და ჰრქუა იოდასაფ: „და რაჲ არს სიკუდილი“? ხოლო იგი ვერღარასა დაუფარვიდა და ჰრქუა: „განქარდების საკჴენებელი ამისი ქუეყანით“. და ჰრქუა: „მამაჲ ჩემი ესეეთირადვე იქმნებისა“? და ჰრქუა: „ეგრეთ იქმნების“. „და შენცა ესრეთვეა“? და ჰრქუა: „ესრეთ“. „და მე ესრეთვეა“? „ეგრეთვე შენცა“. „და ყოველნი კაცნი ესრეთვეა?“ ჰე ეგრეთ, უკუეთუ საზომსა მაგას მიიწიენენ. ხოლო ესეცა უწყოდე, რამეთუ რომელნიმე ოდეს იშენენ მაშინვე წარიტაცებს სიკუდილი, და რომელთამე, მცირედ რაჲ აღიზარდნენ, და ზოგთა, ჰასაკთა რა მოვიდენ.“ და ჰრქუა: „ეე აწ თანა მაცა სიკუდილი“? და ჰრქუა: „არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა“.

შეწუხდა იოდასაფ. მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მის შეკითხვაზე, — არსებობს თუ არა ისეთი ქვეყანა, სადაც ტანჯვა და სიკვდილი არ არისო — უარყოფითი პასუხი მიიღო აღმზრდელისაგან.

და კუალად ჰკითხვიდა: „და რაჲ იქმნებიან კაცნი შემდგომად სიკუდილისა“?

პასუხი იყო: ღვთის მორწმუნეთა შეხედულებით შემოქმედი მის მცნებათა დამცველს სამოთხეს უჩენსო.

ხოლო მაქსისა შენისა ფილასოფოსნი ზოგნი მოკუდავად იტყჳან სულსა და ზოგნი უკუდავად.

მაჰასთან შესვედრისას იოდასაფ მხიარულებას იჩენდა. ისე კი იტყოდის გულსა შინა: „ღმერთო ჴეცათაო, მომიელინე მე კაცი მონათა შენთაგან, რაჲთა მაუწყოს მე გზაჲ ჴეშმარიტებისაჲ და ვიდოდე მათ შინა, და ვიქმოდე მცნებათა შენთა წმიდათა".

ეს რომ ბალავარმა გაიგო, გაეცინა ვაჭრის ტანსაცმელი, მივიდა მეფის ვაჟის სასახლეში სავაჭრო ყუთით ხელში და მასთან შესულა მოახერხა. იქ მათ შორის საუბარი გაიმართა. იოდასაფი ისმენს მისგან სულის სარგებელ თხრობებს.

თხრობაჲ პირველი

რაკი მეფის შვილმა მიიღო ისეთი უბრალო კაცი, როგორიც იყო ბალავარი, უკანასკნელმა უამბო მას ამბავი ერთი მეფის შესახებ ამ მეფეს ერთხელ მგზავრობის დროს უყვნია ლატაკი და საწყალობელი მგზავრები, რომელთაც გადაჰხვევია კიდეც ამალას სწყენია მეფის ასეთი უკადრისი საქციელი და მისი ძმისთვის უთქვამს. ძმას კიდეც მუე გაუციცხვს. შემდეგ მეფეს უგრძნობინებია ძმისათვის მისი გაკიცხვის უმართებულობა. ამალისათვის კი საჯაროდ უსაყვედურებია.

ჳამსა ერთსა შევიდა [მეფე] საჭურჭლესა თჳსსა და მოიხუნა კიდობანნი ოქროჲთა და მარგალიტითა შემკულნი, და მოაღებინა ნაგებეთაგან სკორპ მყრალი და ძუალები მძორისაჲ და სხუაჲ საძაგელი ბაყლები და კიდობანთა მათ შინა შთადვა ყოველი, და დაჰკრძალა ზედა ბეჭდითა. და კუალად მოიხუნა სხუანი კიდობანნი, უშუერად შექმნილნი, ფისითა შეგოხილნი და შთადვა მას შინა თუალები პატიოსანი და რაჲცა უმჯობესი ჰოვა საჭურჭლეთა მისთა და სხუაჲ სულნელთაგანი მრავალი და დაჰკრძალნა იგინიცა. და მოუწოდა წარჩინებულთა თჳსთა და, ვითარცა იყო სიხარული, უბრძანა მეჭურჭლესა თჳსსა, რაჲთა მოიხუნენ კიდობანნი იგი, და მოიხუნეს და დადგეს. უბრძანა დიდებულთა თჳსთა, რაჲთა დაფასნენ კიდობანნი იგი. ხოლო მათ ვერ გულის-ყმა ყვეს და ჰრქუეს მეფესა: „ერთნი იგი კიდობანნი არა ღირს არიან შემოხუმად ტაძარსა შინა შენსა, ხოლო მეორეთა იმათ არა დაედების ფასი". მაშინ უბრძანა კიდობანთა მათ აღხუმად, რომელთათჳს ფასსა დიდად იტყოდეს. აღჰკადეს და აღმოჰკდა სიმყრალ სასტიკი, რომელ ყოველთა დაიდევეს პირსა ზედა კელი და აღმოყარეს მუნით ყოველი საძაგელი. და კუალად უბრძანა ბილწთა მათ კიდობანთა აღხუმად, და აღმოჰკდა მუნით სული სულნელებისაჲ, რომელ ყოველი იგი სიმყრალ დაფარა. და ამოყარეს მუნით სამკაული დიდ ფასისაჲ და თუალები პატიოსანი.

ბალავარმა უხეირო კიდობნებს ეწოდა მგზავრები, კარგებს — გამკიცხველები, ხოლო გონიერ მეფეს — იოდასაფი.

მაშინ აღდგა [იოდასაფ] საჯდომთაგან და თქუა: „ნეტარ ვარ მე, რამეთუ ვპოე საწადელი სულისა ჩემისაჲ, რომელსა ვეძიებ". და მიექცა და ჰრქუა ბალაჰვარს: „მომეც სიტყუაჲ შენი ნაცვლად თუალისა, და აღმძარცუე მწუხარებაჲ გულისაგან ჩემისა".

თხრობაჲ მეორე

შემდგომ ბალაჰვარმა უამბო იოდასაფს სახარების იგავი მთესველის შესახებ: ერთმა მთესველმა თესლი დათესა სხვადასხვა ადგილას და მხოლოდ ერთმა გაიხარა. იგავის მიხედვით ეს ნაყოფის მომცემი თესლი ნიშნავს იმას, ვინც ღვთის მცნებას გულმოდგინედ ასრულებს. ამის გაგონებაზე

ჰრქუა მას ძემან მეფისამან: „მე ვესმე ღმერთსა, რაჲთა, რომელი ჩემთანა დასთესო, აღმოცენდეს კეთილად და გამოიღოს ნაყოფი. აწ მითხარ სახე საწუთროჲსა და ვითარ აცთუნებს კაცთა“.

თხრობაჲ მესამე

ჰრქუა ბალაჰვარ: „მსგავს არს საწუთროჲ ესე კაცსა, რომელსა სდევდა პილოჲ ამრისებული. და მიაწყუდია იგი ჯუარმულსა ს შინელსა და იხილნა ხენი, რომელსა ზედა აღჲდა. და იხილნა კუალად თაგუნი, ერთი შავი და ერთი თეთრი, რომელნი სჭრიდეს ძირსა მას ხეთასა, რომელთა ზედა აღსრულ იყო კაცი. და შთახედნა ჯუარმულსა და იხილა ეშაპი, რომელსა აღეშმო პირი და ეგულებოდა შთანთქმაჲ მისი. და აღიხილნა ზე და იხილა თაფლი მცირე, რომელი ჩამოსდიოდა ხეთა მათ და იწყო ლოკაჲ მისი, და კუალად არღარა მოიკსენა განსაცდელი, რომელსა შთავრდომილ იყო. ხოლო თაგუთა მათ ხენი იგი წარსჭრნეს და კაცი იგი დაეცა და პილომან აღიტაცა და მიუგდო ეშაპსა.

«აწ, ძეო მეფისაო, პილოჲ იგი სახე არს სიკუდილისა, რომელი სდევს ძეთა კაცთასა, და ხენი იგი საწუთო არს, და თაგუნი იგი დღენი და ღამენი, და თაფლი იგი საწუთოჲსა ამის სიტკბოება არს და შეაქცევს კაცსა გემოვნებაჲ საწუთოჲსაჲ და დღენი და ღამენი აღსრულდებიან და სიკუდილი წარიტაცებს და ჯოჯოხეთსა შინა ეშაპი იგი შთანთქამს და ესე არს ცხოვრებაჲ კაცთაჲ.

და ჰრქუა ძემან მეფისამან: „განაცხოველე მაგით სული ჩემი და აწ მომეც სახჲ სოფლისაჲ ამის და მოყუარეთა მისთაჲ“.

თხრობაჲ მეოთხე

ჰრქუა ბალაჰვარ: «სახჲ ამის სოფლისაჲ ესე არს: კაცსა ვისმე ესხნეს სამნი მეგობარნი. ერთი იგი უმეტჱს სხუათა უყუარდა, და მეორე იგი მეგობარი უყუარდაეე, ბოლო მესამე იგი მეგობარი შეურაცხ იყო მის წინაშე, და შემდგომთა დღეთა მოიწივნეს ბოროტნი მეფისანი კაცისა მის და წარჰყვანდეს განსაკითხავად. და მივიდა საყუარელისა მის მეგობრისა და ჰრქუა: „შენ უწყი, საყუარელო ჩემო, ვითარ მიყუარ. აწ ესერა წარმიყვანენ განსაკითხავად, შემეწიე ჰირსა ჩემსა“. მიუგო მან და ჰრქუა: „არა ვარ მე აწ მეგობარ შენდა და არცა გიცი შენ, მე სხუანი მისნენან მეგობარნი, რომელთა თანა ვიშუებდე. აწ მოგცნე ორნი სამოსელნი და იგიცა არავე გერგნენ“. და მივიდა მეორისა მის მეგობრისა და ჰრქუა: „აწ მოიკსენე სიყუარული ჩემი შენდა მიმართ, რომელ მჴუნდა. აწ ესერა

წარვჰყავ მე განსაკითხავად და შემეწიე ჰირსა ჩემსა". მიუგო მან: „არა მცალს დღეს შენდა, რამეთუ კმა არს ჰირი თავისა ჩემისაჲ. წარვედ გზასა შენსა, ამიერითგან არღარა ვარ მეგობარი შენი, არამედ მცირედ გზა გყვე და მერმე მივიქცე ზრუნვად თავისა ჩემისა". და წარვიდა მესამისა მეგობრისა, რომელსა იგი სძულობდა და ჰრქუა მას: „სირცხვილ მიჩს, გარნა მიჰპირს ფრიად და მით მოვედ შენდა. შემეწიე მე, დაღაცათუ არა კეთილ ეყავ შენ თანა". ხოლო მან მხიარულებით ჰრქუა: „მე ვარ მეგობარი შენი, რომელმან დაგიმარხე კეთილი შენი მცირედი, და აწ აღნადგინებითურთ მიგაგო შენ და თანამოგზაურ გექმნე და მეოხ ჰირსა შინა და არა მიგცე კელთა მტერთა შენთასა". მაშინ იწყო სინანულად და თქუა: „რად არა შენ ზედა ეყავ ყოველი კეთილი, რომელ ორთა მათ მეგობართა ზედა წარვიგე ცუდად?»

ჰრქუა ძმან მეფისამან: „მაუწყე შეტყუებაჲცა მაგისი, წმიდაო!" ჰრქუა მას ბალაჰვარ: „მეგობარი იგი პირველი ეცხლისა მოყუარებაჲ არს რომელი ფრიად უყუარს კაცთა, და ვერას წარიტანს თანა, ოდეს იგი წარიყვანდეს სიკუდილი და ოდეს წარადგინებდეს განსაკითხავად, ხოლო ორნი იგი ს.მოსელნი და საგრაგნელნი. და მეორჱ იგი მეგობარი — ცოლი და შვილნი, რომელნი უყუარან და მათთჳს ზრუნავს სამარადისოდ, და დღესა მას განკითხვისასა ვერას არგებენ, არამედ საფლავადმდე მიჰყვებიან, მერმე თავისა ზრუნვასა შეექცევიან. და მესამე მეგობარი სული თჳსია და არა ჰყოფს კეთილსა. ხოლო რომელმან იგი ყოს, დიდად შეერაცხების წინაშე ღმრთისა, და რამეთუ ას-წილადცა მიაგებს ღმერთი ნაცვალსა".

ჰრქუა ძმან მეფისამან: „უწყი, რამეთუ ყოველსა უწყებულსა ჴეშმარიტ ჰყოფ".

თხრობაჲ მეხუთჱ და მეექუსჱ

სოფლის ვერაგობისა და საწუთროს წარმავლობის დასურათებას შეეცადა ბალავარი მეხუთესა და მეექუსე თხრობაში. მიზანსაც ეწია. იმდენად დიდი გავლენა მოახდინა იოდასაფზე რომ ათქმევინა:

„არღარა არს ყოველით კერძო სიყუარული ამის სოფლისაჲ გონებასა ჩემსა, არამედ მსურის ცხოვრებისა მისთჳს საუკუნოჲსა, და აწ განმიზრახავს, რაჲთა დავადგრე შენ თანა და მოვითმინო სიმძიმჱ ცხოვრებისა შენისაჲ".

თხრობაჲ მეშვიდჱ

მეშვიდე თხრობაში ბალავარმა მეუის ვაჟს საიქიო ცხოვრების მარადიულობა და მისი მოპოვების გზები დაუსურათა. იოდასაფმა ყველაფერი სარწმუნოდ მიიღო, ოღონდ აკვირვებდა მაინც ის ამბავი, რომ მისიანები არ იღებდენ ხელს კერპთაყვანისცემაზე ამიტომ

ჰრქუა იოდასაფ ბალაჰვარს: „მითხარ მე სახჱ სიბრძნისაჲ და რად აქუს ნათესავსა ამას ჩუენსა სიბრძნჱ სიყუარულისათჳს კერპთა მიმართ".

თხრობაჲ მერვჱ

ხოლო მან ჰრქუა: „კაცმან ვინმე შეიპყრა მჴურინავი და დაკლვიდა მას. ხოლო მან ჰრქუა: „და რასათჳს გნებავს დაკლვაჲ ჩემი, რამეთუ არა

არს ჩემ თანა განსაძღოლელი შენი? უკუეთუ განმიტეო, გასწაენე სამნი მცნებანი. უკუეთუ დაიმარხნე, სცხოვნდე და სარგებელ გეყოს". ხოლო მან ისმინა და ჰრქუა: „აუწთომელსა ნუ ეცდები, გარდასრულსა ნუ ინანი და რომელი შენთჳს არა გინდეს ბოროტი, სხუასა ნუ უზამ, და სცხონდე". ხოლო მან განუტეევა. ხოლო იგი დაჯდა სამაღლესა რტოთა ხეთასა, რამეთუ უნდა გამოცდაჲ კაცისა მის, თუ ვითარ დაემარხნეს მცნებანი იგი, და კმა უყო მაღლით: „კაცო, უკუეთუმცა ცოდნილ იყავ და მე და დაგეკალ, ჩემსა ინჩაკუსა იღვა მარგალიტი სირაქლემისა კუერცხისა ოდენი და იგიმცა შენ დიდი საფასჲ შეგეძინა". და ვითარცა ესმა კაცსა მას, იწყო სინანულად, და ენება შეპყრობაჲ მისი კუალად და დაკლვაჲ. და ჰრქუა კაცმან მან: „ვინაჲთგან მასწაენ მცნებანი, სხუაჲ არა მაქუს ნაცვალი, რაჲთამცა მოგიზღე მის წილ; აწ მოვედ სახიდ ჩემდა, რამეთუ ზამთარი ესე ფიცხელ არს და მე კეთილად გიღუაწო, განგისუენო და განგიტეო". ჰრქუა მას მჳურინაგმან: „ცუდ არს სწაულაჲ მცნებათა ჩემთაჲ შენდა მიმართ, რამეთუ სამივე მცნებაჲ აწვე დაჰკარგე. პირველი იგი: რამეთუ გარდასრულ არს გაშუებაჲ ჩემი და აწ ინანი. და მეორჱ: შეპყრობაჲ ჩემი აუწთომელ არს და ეწუთები. და მესამჱ ესე: სიკუდილი შენი არა გნებაჲს და ჩემსა დაკლვასა ჰლამი, ხოლო მე გამოგცადე, თუ ვითარ დაიმარხაე მცნებათა. და აწ ვითარ გრწამს, და თუ არსა ჩემსა ინჩაკუსა მარგალიტი სირაქლემისა კუერცხისა ოდენი, რამეთუ თჳთ ნაკრტენითურთ არცა ხოლო თუ ნატამალი ეარ სირაქლემისა კუერცხისაჲ?!"

იჲათან დაკავშირებით იოდასაფმა იწყო გამოკითხვა ღუთის მცნებათა, რომ შეეტყო, თუ რა მიეცემა კაცს მათი დაცვის შემთხვევაში. ბალავარმა უპაბო ყოველივე ამასთან დაკავშირებული, ისე რომ

ამას ზედა იოდასაფ ცრემლოოდა და ეტყოდა: „სიტყუანნი შენნი განმეწრონეს გულსა, აწ მეც სიტყუაჲ ცხოვრებისაჲ".

და ვითარცა ესევითართა სიტყუათა ასწაევებდა ბალაჰვარ ძესა მეფისასა, და განმრავლდა შემოსლვაჲ ბალაჰვარის წინაშე იოდასაფისა და ჰრქუა მას ზანდან მზარდულმან: „შენ უწყი, ძეო მეფისაო, ვითარ ერთგულობისა ჩემისათჳს დამადგინა შენ ხელი მამამან შენმან და აწ დიდად განკჳრებულ ვარ საქმესა ზედა ამისა კაცისასა, რომელი შემოვალს შენდა ყოველსა ჟამსა, და მეშინის, ნუ უკუე მათგან იყოს, რომელნი სძულან მამასა შენსა. აწ თუ გინდეს, დაიცადე საქმჱ ესე და განზრახვაჲ მისთანა, და თუ გინდეს, უბრალო მყავ და ეაცნობო მამასა შენსა, და, თუ ესე არა გნებავს, განმიყუანე მე შენგან, და ნაცვლად ჩემდა მამამან შენმან მოგცნეს სხუანი მსახურნი და მე განმათავისუფლე რისხვისაგან მამისა შენისა". ჰრქუა იოდასაფ: „პირველად ესე ყაე, რაჲთა დასდგე ფარულად უკუანა კერძო კრეტსაბმელისა და ისმინო, რასა იგი მეტყჳს მე, და მერმე, რაჲცა გნებავს, იგიცა ყაე".

და ვითარცა შემოვიდა ბალაჰვარ წინაშე იოდასაფისა, უკუნ დგა ზანდან უკუანა კერძო კრეტსაბმელისა, და იწყეს სიტყუად ურთიერთას და ჰკითხვიდა იოდასაფ საქმეთა საწუთოჲსათა. ხოლო ბალაჰვარ იწყო

გამოთქუმად ამაოებათა ამათ საწუთროჲსათა და სხუაჲ მრავალი ასწავა ესეეითარი.

და ვითარცა განვიდა ბალაჰვარ, უნდა იოდასაფს გამოცდაჲ ზანდანისი, უკუეთუ სარგებელ ეყვნეს სიტყუანი ბალაჰვარისანი, და ჰრქუა: „არა გესმისა, რასა მეტყჳს მტყუარი იგი და გრძნეული? რამეთუ ეგულვებიმ შეცთუნებაჲ ჩემი და განრყუნად საშუებელი ესე საწუთროჲსაჲ“. ჰრქუა მას ზანდან: „არა გიკმს, ძეო მეფისაო, ზაკულებაჲ ჩემ თანა, რამეთუ ზრახვაჲ ესე ნათელ არს, და ჩუენ გუასმია და ვიცით სიტკბოებაჲ მისი დიდი. ხოლო ოდეს შეაჩუენნა მეფემან კაცნი იგი ღმრთის მსახურნი და განასხნა ქუეყანისა ამისგან, მუნითგან არღარა გუასმიეს სიტყუაჲ ესევითარი“.

ერთი სიტყვით, იოდასაფმა შეიტყო ზანდანის ღვთისმოყვარეობა, მაგრამ წუთისოფლით მოზიბლულობა და შიში მეფისადმი აჩერებდა ზანდანს. იოდასაფის პასუხი იყო:

„ხოლო ჩემგან უშიშ იყავ ამაერითგან და იქმოდე და იტყოდე, რაჲცა გენებოს“.

ხოლო აწ ბალაჰვარსა ენება წარსლვაჲ და იჯმნიდა ძისაგან მეფისა. ხოლო იგი ფრიად შეწუხნა და ვერ დაითმენდა განშორებასა მისგან, და ჰრქუა: „ვერ თავს ვიდებ თუნიერ შენსა ყოფასა და გეყოდრები, რაჲთა წარმოვიდე შენ თანა და ერთგან ვიყოფოდით მოყუასთა შენთა თანა“.

მიუგო ბალაჰვარ: „ძეო მეფისაო, სახჳ ეგე მსგავს არს სახესა მას, რამეთუ იყო ვინმე კაცი დიდებული და ესუა მას ძჳ საყუარელი, და ძისა მის მისისათჳს ნუკრი განჳარდა და ეყუანი შეაბა ყელსა მისსა, ხოლო იგი განვიდის ველსა ჩვეულებისაებრ, რაჲთა ძოს. ხოლო ჟამსა ერთსა შეეყო სხუათა ქურციკთა და თანა განჰყვა იგი მაღნართა შინა, და ვითარცა ცნეს, რამეთუ ნუკრი იგი წარვიდა უშინაგანჳსთა მაღნართა და წარვიდეს ძიებად ნუკრისა მის გამხრდელნი იგი მისნი და პოვეს იგი სხუათა თანა ნადირთა. ხოლო იგინი დაკოცნეს და ნუკრი შეიპყრეს და წარმოიყვანეს. ეგრჱთვე ჩუენ შეგუემთხჳოს, მე და მოყუასთა ჩემთა, და ვერცა სასოებაჲ შენი სრულ იქმნეს“.

„და აწ განვალ და ამას გამცნებ: დაუმარხე ღმერთსა სჯული მისი, რომელი მოგეცა ჩემ მიერ, და გაუწყენ სამართალნი მისნი, და ღირს მისდა გიჩინა შენ! ხოლო შენ განჰკრძალე, რაჲთა არა გარდაკდე მცნებათა მისთა და შთაჰვარდე მთხრებელსა წარწყმედისასა“.

დაარიგა, გამოემშვიდობა, დაუტოვა მისი თხოვნისამებრ თავისი ძაძა

და წარვიდა ბალაჰვარ სჳოფელად თჳსად.

ამიერითგან იწყო იოდასაფ მარხვად და ლოცვად ღმრთისა მიმართ და, რაჟამს კაცთა დაიძინიან, მან იწყის ღამის-თევად, ტირილითა და სულთქუმითა აღასრულებდა ლოცვათა თჳსთა.

ხოლო ზანდან მზრდელი დასნეულდა შიშისაგან მეფისა და, ვითარცა ცნა მეფემან სნეულებაჲ, წარავლინნა მკურნალნი, რაჲთა შეუძლონ ცნო-

ბად, თუ რომლითა მიზეზითა სნეულ არს. ხოლო მათ, ეითარცა განიცადეს, წარვიდეს, ჰრქუეს მეფესა: „მეფეო, სენი ისი ზანდანისი არა არს სნეულებისაგან, არამედ გულის კლებისა“.

მეფე ეჭვმა შეიპყრა, ხმა არავინ მიცთუნა შვილიო. ადგა და წავიდა მა თან მართლაც მან მბრძელისაგან შეიტყო ბალავარის მიერ იოდასაფის ცთუნება.

და შეეძნდა მეფესა ფრიად და იქცა პალატადეე. და მოუწოდა კაცსა ერთსა თანა-მსრახსა და ეარსკულავთ მრიცხველსა, რომლისა იყო სახელი რაქის, და ჰრქუა: „რაჲ ეყო, რამეთუ ძჳ ჩემი განდრეკილ არს სჯულისაგან ჩემისა“? ხოლო მან ჰრქუა: „პირველად ჯერ არს, რაჲთა ეზრახნეთ და ვამხილოთ ცთუნებაჲ მისი და, უკუეთუ ვერ დავარწმუნოთ, სხუაჲ ღონჱ ვიძიოთ“.

ბევრს ეცადნენ მაგრამ ვერას ეწიენენ. მამამ დიდხანს აბრალა თავი შვილს, მაგრამ ამაოდ, იოდასაფი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. საქმეს ვეღარ მეცარამ უშველა. ბოლოს გაიყარნენ, ორად გაიყვეს ლაშქრო. იოდასაფმა აღადგინა დეენილი სარწმენოება თავის სამეფოში.

ხოლო ეითარცა იხილა მამამან მისმან მოკლებაჲ სამეფოჲსა თჳსისაჲ და განმდიდრებაჲ სამეფოჲსა ძისა მისისაჲ, შეუძნდა ფრიად და იყო ურვასა შინა დიდსა. ხოლო ჟამსა შინა ერთსა წარაელინა აბენეს მეფემან წინაშე ძისა მისისა კაცნი კერპთ-მსახურნი, რაჲთა ცნან საქმჱ და ქცეეაჲ ძისა მისისაჲ.

იოდასაფმა მიიღო ისინი და ყველა თავის რჯულზე მოაქცია.

და მიიქცნეს კაცნი იგი წინაშე მეფისა, აუწყეს ყოველი, რომელი ესმა და იხილეს. ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან განიზრახეს, რაჲთა შეუდგენ სჯულსა იოდასაფისსა და შეიწყნარონ წესი მისი.

განზრახეა მალე მრიყუანეს სისრულეში.

მამის სიკვდილის შემდეგ იოდასაფმა სამეფო ერთს თავის მახლობელს, ბარაქიას, დაულოცა და თვითონ უდაბნოში წავიდა, იქ იგი წაეწყდა ბალავარს, რომელმაც მალე მის ხელთ ცალია სული.

ხოლო შემდგომად მცირედთა ჟამთა შეისუენა იოდასაფცა. და იყო მახლობელად მათსა კაცი ერთი მძოვართაგან. მოვიდა და დადეა გუამი იგი ბალავარის თანა და წარვიდა წინაშე ბარაქიაჲ მეფისა და მიუთხრა საქმჱ იგი. ხოლო იგი წარვიდა და წარმოიხუნა წმიდანი ნაწილნი იოდასაფ და ბალაჰვარისნი, და დაკრძალნა ლუსკუმასა შინა ოქროჲსასა და დიდითა პატიოსნებითა შეამკუნა.

კითხვები:

1. რა გზით გაერცელდა ევროპაში ბალავარიანი?
2. როგორი შეხედულებაა გატარებული იგავ-არაკებში წუთისოფლის შესახებ?
3. გამოთარგმნეთ დღევანდელ სალიტერატურო ქართულზე არაკი მჭვრინაჲის შესახებ (ბერუე თხრობიდან).

იოანე მტბევარი

იოანე მტბევარი მეათე საუკუნის ჰიმნოგრაფთა ჯგუფს ეკუთვნის. არსებული ძეგლების მიხედვით ჰიმნოგრაფიული მწერლობა (მწერლობა საეკლესიო ხასიათის საგალობლებისა) ჩვენში ადრეული აღმოცენებული. VIII საუკუნის გასულს უკვე იოანე საბანისძის სახით საკმაოდ დიდ ჰიმნოგრაფთან გვაქვს საქმე, რომლის შრომის მეოთხე თავი „ქებაჲ აბოჲსი“ (ნ. 24-25 გვ.) პროზად დაწერილ ხოტბას ანუ ოდას წარმოადგენს. განვითარების უმაღლეს საფეხურს ქართულმა ჰიმნოგრაფიულმა ძეწერლობამ X ს-ში მიაღწია. ამ დროს არა მარტო პროზაიკოსი მეხოტბენი მოგვეპოვებიან, არამედ პოეტებიც, რომელთა ჰიმნები, სამუსიკო ნიშნებით ანუ ნოტებით გამართული, საეკლესიო პრაქტიკაშიაც კი შეიდა.

როგორც იოანეს ეპითეტიდან ჩანს, იგი ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა, მაგრამ შემდეგ, როგორც ეს 995 წ. ტბ თში გადაწერილი სახარების ერთ-ერთი მინაწერიდან ირკვევა, მას მაწყვერელობა, ანუ აწყურის ეპისკოპოსობა მიუღია. იოანეს შესახებ კიდევ მხოლოდ ის ვიცით, რომ ²ის მამას არსენი ჰრქმევია და დედას მარიამი. ესაა და ეს, რაც კი იოანეს შესახებ ვიცით ამჟამად ამრიგად იოანე მტბევარი X საუკუნის გასულის მოღვაწეა.

ჩვენამდის მოღწეულია იოანეს ჰიმნები, რომლებიც მას მტბევრობის დროს დაუწერია. ეს ჰიმნები უმეტესად პროზითაა ნაწერი. აქვს ერთი ჰიმნიც იამბიკო, ე. ი. 12 მარცვლოვანი ლექსი, რომლის ნაწყვეტსაც აქ ნიმუშად ვათავსებთ.

ქართული საეკლესიო ჰიმნოგრაფიული შემოქმედების უმეტესი ნაწილი გამოცემულია პ. ინგოროყვას მიერ: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“ I, ტექსტები, ტფ. 1913 წ. ქვემოთ ნიმუშებად მოყვანილი ადგილები იქიდან არის ამოღებული.

ლიტერატურა:

1. ალ. ცაგარელი, Сведения о памятниках груз. письменности, I, 20. СПБ 1886.

2. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. გვ. 170-172, ტფ. 1923 წ.

3. ა. შანიძე, იოანე მტბევრის ვინაობისათვის („მიმომხილველი“, I. 220 გვ.).

შობისათჳს.

იხარებდით ყოველი დაბადებული,
რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს კორცითა.
და ბეთლემს შინა შობილი, ქუაბსა შინა
შეხუეული აცხოვნებს ადამიანთა
და გამოუბრწყინებს სანთელსა სალმრთოსა.

ბეთლემო, იხარებდ, რამეთუ ხსჲ იგი
ცხოვრებისაჲ შენ შორის აღმოცენდა დღეს
და განმიღებს ურჩებით დაკშულსა პირველ
ს..მოთხესა და კუალად მაგებს ჩუენ მუნვე,
რომელიცა ჩჩჳლ იქმნა მოწყალებით.

უკორცოჲ იგი კორციელ იქმნების დღეს
და დაებადების უსხეულოჲ ჩუენთჳს
და საესჲ დაცალიერდების, რაჲთა ჩუენ
აღმავსნეს და სახუევლითა შეიხუევის,
რაჲთა დაჰკსნეს ცოდვაოა ჩუენთა პატიჟნი.

წესნი უკორცოთანი შენ გიგალობდეს
ქუაბსა შინა შობილსა, ქრისტე, და მწყემსნი
მოგუთა თანა შენ თაყუანის გცემდეს, მკსნელო,
და ყოველი დაბადებული გადიდებს,
რომელი მოხუედ ძიებად წარწყმედულთა.

დავალება:

დათვალეთ თვითეულ სტრიქონში მარცვალთა რაოდენობა და გამოარკვიეთ რომელ სიტყვებში გეხვდება უმარცვლო „უ“.

მიჭაელ მოდრეკილი

მიჭაელ მოდრეკილი ყველაზე უფრო მწიშვნელოვანია ქართველ ჰიმნოგრაფთა შორის. არაერთი ცნობა მისი ვინაობის შესახებ არ გვაქვს. როგორც მის ეპითეტიდან ჩანს („მოდრეკილი"), იგი ბერი უნდა ყოფილიყო. მის ხელთ ქართულმა პოეტურმა ჰიმნოგრაფიამ ფორმის მხრივ (იამბიკოების რითმა და რიტმი) სრულქმნას მიაღწია.

მიჭაელის ღვაწლი დიდია იმითაც, რომ მან თავის შემოქმედებასთან ერთად თავი მოუყარა ერთ კრებულში სხვების ჰიმნებსაც ანუ საგალობლებსაც. ეს საქმე მას 978 — 988 წლებში შეუსრულებია.

ლიტერატურა:

1. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, I. ტექსტები ტფ. 1913 წ.

2. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. გვ. 172-176 და 634-647.

თთუესა იანვარსა: ზ

კსენებაჲ ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისაჲ.

განჰკაფე გუამი შენი, წმიდაო, მარხვითა, და განსწმიდე სული შენი. მაშინ მადლითა ღმრთისა მიერითა აღივსე და მიჰრბიოდე წამებად, ვითარცა ზუარაკი შესაწირაველად ღმრთისა, მრგულიად დასაწუველად, და აღიარე კაცნიერად მძლავრთა წინაშე და სახელს იდევ ქრისტეანედ და სთქუ: „არა მეშინის ტანჯვათაგან თქუენთა, ულმრთონო, და თავყუანის ვსცემ ღმერთსა ჩემსა, სამებით ცნობილსა და ერთარსებით დიდებულსა."

რაჟამს გეღწყა განსრულებაჲ ღუაწლთაჲ მათ შენთაჲ, წმიდაო, და განსლვაჲ საკრველთა მათგან კორცთაჲსა და მისლვაჲ უფლისა, მაშინ უფროჲს განსძლიერდი და იწყე გალობად, ვითარცა რაჲ იგი გალობენ მკუდარსა ზედა, და ავაზაკისა თანა ჰკმობდი: „მომიკსენე, უფალო, მოსლვასა მეორედ დიდებითა". და შესწირევდი თავსა თჳსსა მსხუერპლად, ვითარცა მღდელი ჯერისაებრ, და ღირს იქმენ სუფევასა დაუსრულებელსა.

დიდ არს მადლი ნიშთა შენთაჲ, მეუფეო, რომელნი ჰყვენ წმიდათა თჳს, რომელნი ესე სათნო გეყვენეს შენ ღირსებითა, რამეთუ გამოაცხადე დღეს მოწაჲს შენი ჰაბო ზეცით ცეცხლისა მოვლინებითა და უჩუენე ყოველთა კაცთა დიდებაჲ, რომელთა შენთჳს იღუაწონ. აწ გევედრებით, მეოხებითა მათითა მოგუმადლე მშჯდობაჲ და წყალობაჲ შენ მიერი, რაჲთა მარადის უგალობდეთ სახელსა შენსა, რომელსა ჰქადაგებ.

გიხაროდენ გამოჩენილო მაღლისა მიერ, ღმრთისა მამისა და ძისა მხოლოდ შობილისა მიერ წოდებულო, სულისა წმიდისა გაბრწყინვებულო, ზეცას უკორცოთა გუნდსა თანა შეერთებულო, მოწამეთა და მართალთა შორის ქებულო, ეკლესიათა შეჯენიერო სამკაულო, მარტჳლთა სიქადულო, მეფეთა სიხარულო, მორწმუნეთა, შემწეო, ახოვანო, მოღუაწეო აბო, ღმერთსა ეეედრე აწ მონიჴებად სულთა ჩუენთა დღეს დიდი წყალობაჲ.

[თავნი იტყჳან აბო].

აღსაარებელნი სიმტკიცისანი, მორწმუნენი ადამიანნი, აღმასრულებელნი საუფლოსა ამას დღესა ნათლითა შემოსილსა, სალმრთოჲთა შესხმითა უგალობდეთ კსენებასა აბო ახლისა მოწამისასა.

ჴუნებათა უზეშთაეს შეიმოსე ბუნებაჲ ჩემი, ღმრთისა სიტყუაო მხოლოდ შობილო, და ნათელს იღე კორცითა, უცოდველო, რომლისა მსგავსებითა ნათელს იღო მკნემან აბო წყლითა და სისხლთა დათხევითა.

ოკვარის მყოფელთა ქრისტჱსთა, უშჯულოთა ისმაიტელთა, ნაშობთა შორის ბნელისათა, ვარსკულავად ბნათობად გამოჰბრწყინდი, მკნეო მოწამეო აბო, და სალმრთოჲთა ნათლითა განანათლენ ქართლისა მყოფნი.

*
* *

სურვილითა სულისაჲთა და ფრიად სიყუარულითა შენითა, დიდებულო მოწამეო ჰაბო, აღიძრვის დღეს გონებაჲ ჩუენი ქებად ღუაწლთა მათ შენთა ბრწყინვალითა ქებითა. პირველად წამებისა შენისა, ვითარ მკნედ ჰშურებოდე, ძლიერად ეწყვე მტერსა, რაჟამს წარსდეგ მძლავრთა წინაშე, განდიდნა სახელი წამებისა შენისაჲ.

მოვედით დღეს, მორწმუნენო, იხილეთ მენელსაცხებელე, რომელმან შეწირა თავი თჳსი მსხუერპლად მისთჳს, რომელმან იქნო ჩუენთჳს და სისხლთა დათხევითა სულნელ ყო ეკლესიაჲ უფროჲს ყოველთა ნელსაცხებელთა და აწ ეეედრების ყოველთა მღუმესა, ღმერთსა ჩუენსა, სულთა ჩუენთა კსნისათჳს ყოველისაგან განსაცდელისა.

განზრახვითა კეთილითა შესცვალე შეუბაჲ სოფლისაჲ და დიდებაჲ მისი შეჰრაცხე ნაგებად, რაჲთა ქრისტე შეიძინო. და სრულიად იღუაწე, და აწ არა სარკითა ვითარცა სახედ ჰხედე მას, არამედ პირისპირ იხილავ საწადელსა. მეოხ გუეყავ, რომელნი აღვასრულებთ კსენებასა შენსა, ნეტარო.

ადგილი იგი სამხუერპლოჲ, რომელსა ზედა დაიწუა ყოველად წმიდაჲ გუამი შენი, ნეტარო, დიდებაო მოწამეთაო, ემსგავსა საკურთხეველსა წმიდისა ჱრონისსა ზეცით ცეცხლისა დადგრომითა განგრძობილად, ღირსო ნათლითა ბრწყინვალითა. ჰხედვიდეს რაჲ, ურწმუნოთა დაუკრდა და მორწმუნენი იხარებდეს საღმრთოთა წინაშე.

დახდუბელნი აღდგომიხანი.

აცურიე, ქრისტე, ცუარი ცხოველს მყოფელი.
უნაყოფოსა სულსა ჩემსა სახიერ.
და დაშრიტე აწ შემწუველობაჲ ცოდვისაჲ
ნაკადულითა სისხლისა და წყლისაჲთა,
რომელი გუერდით შენით გარდამოეცა.

არა დავჰფარაე ქველის მოქმედებასა
მადლთა შენთასა, ქრისტე ღმრთისა სიტყუაო,
რამეთუ ჩემთჳს დაჰგლახაკენ მდიდარი,
და სიგლახაკ ჩემი ადიდე, მსნელო
და უკუდავ მყავ მე სიკუდილითა, უკუდაო.

აჰა ბეჭედნი საფლავისანი ჰგიან
აღუტეხელად, აჰა სამისა დღისა
მკუდარი, განხრწნადი აღდგომილ არს უხრწნელად.
სირცხჳლეულ არს კრებული უშჯულოთაჲ.
უკუდაეი ღმერთი ცხოველი აღდგა მკუდრეთით.

კითხვები და დავალებანი:

1. როგორია საგალობლების დანიშნულება?
2. შეადარეთ მიქაელის შესხმა აბოსი იოანე საბანისძის მსგავს შესხმას.
3. რას ნიშნავს „თავნი იტყჳან"?

ბეთლემის საგალობელი

ფილიპეს შესახებ არაფერი ვიცით. ჩვენამდე მოუღწეია ერთ მის პატარა კიდურწერილიან ლექსს (აკროსტიქონს), სადაც შესხმულია ბეთლემის გამოქვაბული (შესაძლებელია, თვით ფილიპეს ზედმეტი სახელიც იყო ბეთლემი). ეს ლექსი ვეფხის-ტყაოსნისებური 16-მარცვლოვანი ზომით არის შედგენილი და ქართული მეტრიკის ისტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანია [1].

ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს, ღმრთის მშობელო,
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებით, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევებაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, დიდებულო.
პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი სანატრელო,
ეკლესიაჲ ბეთლემისაჲ ცათა მსგავს არს, უბიწოო,
ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, ჴ ბეთლემო,
ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ჴ წმიდაო,
თაყუანის ვსცემთ ქუაბსა მაგას დიდებულსა, ჴ უხრწნელო,
ლოცვაჲ ჩუენი შეიწირე, ბაგას მაგას მწოლარეო.
ეც მოსავთა შენთა პოვნაჲ წყალობისაჲ, სახიერო,
მადლი შენი მფარველ მეყავნ მე უღირსსა, მოწყალეო,
ისმინე დღეს თხოვაჲ ჩემი ცოდვილისაჲ, მწყალობელო.

კითხვა:

1. როგორი ლექსთწყობის ჩანასახს წარმოადგენს ბეთლემის საგალობელი და როგორია მისი რითმა?

2. რას გვაძლევს ამ ლექსის სტრიქონთა დასაწყისი ასოების შეერთება და რა ეწოდება ასეთ ლექსს?

---

[1] პირველად გამოსცა იგი აკად. ნ. მარმა: Тексты и разыскания, кн. XII, გვ. LVI, СПбург 1910; აქედან გადაბეჭდა პ. ინგოროყვამ თავის „ძველ-ქართულ სას. პოეზიაში“, გვ. 364.

გიორგი მთაწმიდელი

იოანესი და ეფთვიმეს ცხოვრება

იოანე და მისი შვილი ეფთვიმე (დღევანდელი გამოთქმით ეკვთიმე) იოანეს ერთ-ერთ ძმა თორნიკთან ერთად, ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლად ითვლებიან. დაარსდა ეს ლავრა X ს-ის მეორე ნახევარში. მის დამაარსებელთა ცხოვრება და მოღვაწეობა გიორგი მთაწმიდელის კალამს ეკუთვნის. ამ მონასტერმა დიდი როლი ითამაშა ძველი საქართველოს კულტურის ისტორიაში. იგი შუამავალი პუნქტი გახდა საქართველოსა და ბიზანტიას შორის მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და მწერლობის დარგებში. აქა ერთი და ორი თვალსაჩინო მოღვაწე აღიზარდა ათონის მთაწმიდის ლავრაში. მათ რიცხვს ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელიც.

გიორგი, ისე როგორც ათონის მონასტრის დამაარსებელნი, სამხრეთ საქართველოდან იყო, სამცხიდან. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეთერთმეტე საუკუნეში; პროფ. კ. კეკელიძის გამოანგარიშებით დაბადებულა 1009 წ., ხოლო გარდაცვლილა 1065 წ. გიორგი, ისე როგორც ეკვთიმე, რომლის ბიოგრაფიაც მას ეკუთვნის, მრავალმხრივი მუშაკი იყო: მთარგმნელი, რედაქტორი, კომენტატორი და ორიგინალური შრომის ავტორი. ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს ქვეყოთ შემოკლებულად ნაყვანილი „ცხორება".

იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება პირველ ყოვლისა ისტორიული ხასიათისაა. მისი შედგენისას ავტორს, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს, ზეპირი სარწმუნო წყაროებითა და დოკუმენტებითაც უსარგებლია. უკანასკნელი გამოკვლევები ადასტურებს მისი ცნობების სიმართლეს. ხანმეტი ტექსტების ძველად არსებობას ყველაზე ადრე გიორგის ნაწერებში ვხვდებით. უკანასკნელ დროს დადასტურდა გიორგის ის ცნობაც, თით „სიბრძნე ბალავარისა", რომელიც დიდად გავრცელებული წიგნი იყო ქრისტიან ხალხთა შორის საშუალო საუკუნეებში, ბერძნულად ქართულიდან თარგმნა ეკვთიმემ. ამრიგად, ეს ძეგლი სანდო წყაროა X-XI ს. ს. ქართული სინამდვილის წარმოსადგენად. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ათონის კულტურული კერის ისტორიისათვის. ენის მხრითაც საგულისხმო. ნაშრომს წარმოადგენს აღნიშნული ძეგლი, რომელიც ორჯერ გამოცემული: პირველად მ. საბინინს „საქართველოს სამოთხეში", გვ. 401-432, პეტ. 1882 წ., ხოლო მეორედ „ათონის კრებულში", გვ. 1-68 ტფ. 1901 წ.

ლიტერატურა:

1. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი საისტორიო წერილობა I, გვ. ტფ. 1921 წ.
2. პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია I გვ. 182-236, ტფ. 1923 წ.

ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არა რაჲთ უნაკლულო იყუნეს პირველ გამოჩინებულთა წმიდათასა, არამედ ყოველითაე სათნოებითა შემკულ და აღმასრულებელ მცნებათა ღმრთისათა. არა ჯერ-ეიჩინეთ მოუსენებლად დატეობაჲ ცხოვრებისა მათისაჲ, და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი კელყოფაჲ.

ხოლო დაღაცათუ ჩუენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისლვისა მათისა კელეყავთ მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუ ვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არა რაჲ აღგჳწერია, არამედ რაჲ იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყუნეს ყოველითურთ ტყუეილისაგან და სავსე მადლითა ზეგარდამოჲდთა.

ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოანე იყო ნათესავით ‘ქართველი, მშობელთა და პაპთაჲთაგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მკნე და ახოვანი და განთქუმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა, და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისკმისყოფითა და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად კსენებულისა დავით კურაპალატისაჲ.

ხოლო ვინაჲთგან ცეცხლი იგი ქრისტჱს სიყუარულისაჲ გულსა მისსა მძაფრად აღეტყინა, ყოველივე დიდებაჲ ამის სოფლისაჲ შეურაცხყო და ნაგვად შეჰრაცხა და მონაგებნი და სიმდიდრე, და განსუენებაჲ, მეუღლე, და შვილნი თჳსნი, და ნათესავნი, და რაოდენიცა რაჲ არს ამის სოფლისაჲ, -- სრულიად მოიძულა და უგულებელს ყო. და მერმე კუალად თავიცა თჳსი, სიტყჳსაებრ უფლისა, და აღიღო ჯუარი მკართა თჳსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იკუმია, და იჯმნა ყოველთაგან და მხოლოჲ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა შევიდა, კურთხეულ მონაზონებისაჲ მიიღო, და ჟამ რაოდენმე ღუაწლითა ძლიერითა მორჩილებასა მისსა თავი თჳსი და ყოველნი იგი მუნ მყოფნი მოღუაწენი განაკჳრნა.

აქიდან საბერძნეთში წავიდა, ულუმბროს მთაზე, და იქ ერთ-ერთ მონასტერში შევიდა.

ხოლო ვინაჲთგან მათ ჟამთა შინა ბერძენთა მეფემან ზემონი ქუეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძეულად ითხოვნა მისგან, ცოლისძმათა მამისა იოანჱსთა ძჱ მისი ეფთჳმე სხუათა თანა უფლისწულთა მძეულად მოჰგუარეს მეფესა.

ესე რაჲ ცნა იოანე, უნდა თუ არა, უნებლიეთ თავი თჳსი გამოაცხადა სამე ეფოდ ქალაქად. აღვიდა და ბჭობითა მეფეთაჲთა თჳსი შვილი მიიყვანა და კუალად ულუმბადვე უკუნ-იქცა.

ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, ვინაჲთგან განითქუა სახელი მისი და პატიესა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნდა საქმჱ ესე, და ამის პირისათჳს კუალად უცხოებასავე მიჰმართა, რამეთუ აღიღო ძჱ თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ათანასჱსსა, და მუნ შეეწყნარა და აქუნდა თავი თჳსი ფარულად.

და მათ ჟამთა შინა თჳსი მისი დიდი თორნიკ თჳსსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა, და, რამეთუ ასმიოდა იოანჱსთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და ვინაჲთგან ფრიადი სიყუარული აქუნდა, მას მოჰმართა და ულუმბათა შთამოვიდა. და ვინაჲთგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს, და თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხეჳად მონაზონებისაჲ კელთაგან იოანჱსთა მიიღო.

და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქუა ჰამბავი მათი და იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არიან. და იწყეს მიერითგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად. და ესე რა იხილეს ნეტართა მამათა ჩუენთა, განისრახეს, ვითარმედ: „არა ჴელ არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფაჲ, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ და გარე შექცევაჲ შეუძლებელ არს“. და ესრეთ, განზრახჳთა მამისა ათანასჱსითა, ლავრისაგან განშორებულად, ვითარ მილიონ ერთ, უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოანე მახარებელისა ეკლესიაჲ აღაშჱნეს და სენაკები, და მუნ იყოფებოდეს მრავალ ჟამ.

და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ და კმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყუნეს ჭალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რა შინა იყუნეს, განისრახეს, ვითარმედ „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ვინაჲთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წარვლენაჲ არა ეგებოდა, და დიდსა ზრუნვასა შინა იყუნეს, რამეთუ არცა ვინ იყო ეგეთი კაცი, რომელმანცა სრულყო ნებაჲ გულისა მათისაჲ.

წეიტყეს იოანესი და თორნიკის ყოფნა მთაწმიდს. მოუგზავნეს კაცი მიწერილობით:

„ულმრთოჲ სკლიაროსი გაგუაძგა და კმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ გეყედრებით სიწმიდესა თქუენსა, რათა თჳნიერ ყოლისა მიზეზისა, იოანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩუენისა“.

რმის შიშთ, ჴრომ

„უკუეთუ ამას ჟამსა ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიღსჲ რისხვასა მოვაწეეთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“ო,

ათანასეჲ და იოანემ სთხოვეს თორნიკ წასულიყო მეფესთ.ნ.

ამას ცილობასა ზედა გარდაკდა შჯდეული ერთი. ხოლო უკუანაჲსკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოანე მიიდევეს, და ძლით დაარწმუნეს წარსლვაჲ.

ხოლო ბასილი დი კონსტანტი მას ჟამსა წუთღა ყრმა იყუნეს და ყოველი განსაგებელი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა.

მათთან გამოცხადდა თორნიკი, რომელსაც სთხოვეს:

„შრომაჲ თაჳს იდევ, და, რომლითაცა სახითა გნებაჳს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე“.

თორნიკს ბერისათჳის წეუფერებელ საქმედ და ცოდვად მიაჩნია სერო საქმეებში ჩარევა.

ისინი კი უპასუხებენ:

„შენ ოდენ ამათ ობოლთა კელი აღუპყარ და, რაჲცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ". და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა, და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე მიიწია თორნიკ.

ხოლო იხილა რა იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითუალა და ყოველივე საქმჱ თორნიკ გააცადა, რომლისათჳსცა განზრახვაჲ ქმნეს, რათა ლაშქარნი წარგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატსა, რათა თაჳისა სიცოცხლესა ჰქონდიან.

მისცა კურაპალატმან ათორმეტი ათასი მკედარი რჩეული თორნიკს და შეწუევითა ქრისტჱსითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე შეიქცა და სიტყჳსაებრ მეფეთაჲსა დაატყუენნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თჳთ დაიმჭირა ნატყუენაი დიდძალი ფრიად: ოქროჲ, და ვეცხლი, და სტავრაჲ, და სხუაჲ ესეეითარი, და უკუნ-იქცა, და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და იჯმნა და მეფეთა წინაშე მოვიდა.

ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს. იჯმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა და კუალად მთაწმიდასაცე მოიქცა.

მთაწმიდას მიაწყდა ქართველობა. მონასტერი მათ ვერ იტეოდა. ამიტომ პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთაწმიდისა, და აღაშჱნეს მონასტერი და ეკლესიანი ფრიადითა ოფლითა და ღუაწლითა.

ხოლო იყო რა თორნიკ აღმოსაელეთს, მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი ჩამოიტანნა, სიმრავლჱ არა მცირედი, და ენება, რათა ქართველნი ოდენ იყუნენ მონასტრისა ამის მკჳდრნი ყოველნი. გარნა ეინაჲთგან ამისა ქმნაჲ შეუძლებელ იყო, იიძულნეს ბერძენთაცა შემოყუანებად, რამეთუ ჩუენ, ვითარცა ხედავთ, ზღჳსა რაჲთურთით გამოცდილებაჲ არა გუაქუს და ჩუენი ყოველი გასაორმელი ზღჳთ შემოეალს, და მერმე თჳნიერ მჳედელთა, და ხუროთა, და გალატოზთა, და მევენაკეთა, და ნაჲის-მოქმედთა და სხუათა ესეეითართა ამის ესეეითარისა ვრცელისა ლაგრისა დამჭირუაჲ უღონო არს. და ესე ყოველი გამონახეს წმიდათა მამათა ჩუენთა, და, თუ უნდა და თუ არა, ვითარცა ვთქუთ, შეიწყნარეს იგინიცა.

თორნიკი ყოველგჳარ საბერო წესს იცავდა. ერთჱ ნაკლი ჰქონდა ოღონდ —

ვინაჲთგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესეეითართა პირთათჳს უბნობაჲ და ჰამბაჲი უყუარდა. და მამაჲ იოანე ერიდებინ და არა უნდა, რაჲთამცა ამხილა მას, რათა არა მოწყლას გონებაჲ მისი.

ბოლოს მაინც გაუმჟღჳნა მას:

«აწ დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობაჲ».

მანაც დაიშალა

და ესევითარსა ამას სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თჳსნი.

შემდგომად თორნიკის მიცვალებისა, განიზრახა მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ძუ თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად, რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა მცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ [1]. და ამის პირისათჳს წარვიდა ვიდრე აჲდოსამდე, რათა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ. და, რომელი იგი მას ჟამსა მთაერობდა აჲდოსს, ფრიად საყუარელი იყო მამისა იოანჱსი, და მეგობრობისა მისისათჳს გამოუცხადა მას გულის-სიტყუაჲ თჳსი. ხოლო იგი წინა აღუდგა.

აცნობა მეფეებს იოანეს განზრახვა. რ-თაც უკან დაბრუნება მოითხოვეს,

„ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევაჲ, და დიდითა ბოძითა განუტევეს. და ესრეთ კუალად შეიქცა თჳსსავე მონასტერსა, და, შემდგომად მცირედისა ჟამისა, ნიკრისისა სენსა შთაჲარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი, მდებარე იყო.

მამის სიცოცხლეშივე იოანეს მისი შვილი ეფთვიმე ცელის, — მამასახლისი ხდება მონასტრისა.

ეფთვიმე ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც სწავლა დაწყებინეს.

წარიყვანა სამეუფოჲთ შვილი თჳსი ეფთჳმე ძმამან იოანე და პირველად ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძულად გაასწაელა ყოველითაჳე სწაელულებითა სრულებით.

ბერძნული ენა და მწერლობა ეფთვიმემ ქართულზე უფრო თუ არა, ნაკლებ არ იცოდა. მამის შთაგონებით და დავით კუროპალატის გამხნევებით ეფთვიმემ მრავალი წიგნი თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. კუროპალატი

ზედაჲსზედა მოუწერენ, რათა თარგმნიდეს და წარსცემდეს; და იგი სანატრელი შეუსუენებლად თარგმნინ და რაჲთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენაჲ ჩუენი და ეკლესიაჲ, რამეთუ თარგმნნა წიგნნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხეაჲ კნინღა და შეუძლებელ არს.

ეფთვიმეს ქართულიდანაც უთარგმნია ბერძნულად; ასეთია --„ბ ლაჰეარი და აბუკურაჲ და სხუ.ნიცა რაოდენნიმე წერილნი". ავტორის სიტყვით, მან საგანგებო წესდება შეიმუშავა თავისი მონასტრისათვის, სადაც 300-მდის ბერი იყო. წესები ეხებოდა როგორც საეკლესიო, ისე მის გარეშე საქმიანობას, საერთო თუ კერძო საყოფაცხოვრებო მხარეს. წესების დამოღვეთათვის მკაცრი სასჯელიც იყო დადებული.

[1] ლეკნდა იმის მეასახებ, რომ თითქო სპანიაში (ე. ი. ესპანიაში) ქართველები ცხოვრობდენ, იქიდან უნდა წარმომდგარიყო, რომ პირენეს ნახევარ კუნძულსაც და საქართველოსაც ბერძნულად ერთი და იგივე სახელი ერქვა: იბერია (მერმინდელი გამოთქმით იგივეა) ესპანელი იბერიელების ჩამომავლებად ამჟამად პირენეს მთების კალთებზე მცხოვრები ბასკები ითვლებიან.

აღასრულნა წმიდამან მამამან ეფთჳმი ათოთხმეტისა წლისა ჟამნი, შემდგომად მამისა თჳსისა აღსრულებისა, წინამძღურობასა შინა და მერმე ვედრებითა წმიდათა ბერთაჲთა არსენი ეპისკოპოსისაჲთა და იოანე გრძელის ძისაჲთა—იჯმნა წინამძღურობისაგან, რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალფერთა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა.

წინამძღურობა სხჳას გადასცა, ხოლო

თავადი წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა.

მონასტერში უკანასკნელად გახშირდა შფოთი და უწესოება. ეს მოესმა კოსტანტი ბერძენთა მეფეს. ეჳთვიმე სამფლო კარზე დაიბარეს. წავიდა და რადკან საქმის გარკვევამ კარგა ხანს გასტანა, დააგეიანდა. ერთ დღეს იქ მას

მოეკლენა ხატი წმიდისა იოანე მახარებელისაჲ, რომელი მხატვრისადა მიეცა განსაგებელად და უბრძანა მოწაფესა, რათა წარვიდეს და უთხრას, ვითარ ჯერ არს შეკაზმვაჲ მისი, და მერმე ჰრქუა, ვათარმედ: „ვითარ იგი გჯამს ჩუენ, ნუ უკუშ და ვერ გააგონო, შვილო! არამედ დამისხენ საკედარსა და მე თჳთ წარვიდე". ხოლო იყო ჯორი იგი ახლად სყიდული და მანკიერი, და მათ არა იცოდეს სიმედგრშ მისი და ზნოანებაჲ. და ვითარ წარელეს ხანი რაოდენიმე, პოვა ვინმე გლახაკი, რომელი ითხოვდა ქველის საქმარსა. და დადგა წმიდაჲ მამაჲ ჩუენი, რაჲთამცა მისცა მას ქველის საქმარი. ხოლო იგი აღდგა, შემოსილი ძონძებითა, და მოჰმართა მიღებად ქველის საქმისა. ხოლო ვითარცა დაჰხედნა მანკიერმან მან საკედარმან, მყის განჰკრთა და იწყო სივლტოლად და აქა და იქი ეკუეთებოდა, ვიდრემდის ფიცხლად მოწყლა წმიდაჲ იგი და სანატრელი მამაჲ ჩუენი. და ვითარცა გარდამოაგდო, ფრიადი ერი შეკრბა მის ზედა, რამეთუ ყოველნი მეცნიერ იყუნეს და ყოველნი ტიროდეს და იგლოვდეს და მერმე წარიღეს მონასტრად, სადა იგი საფანე ეყო.

ამ.ს შემდეჳ იგი მალე გარდაიცვალა.

ვახტანგის ბრძოლა სინდეთს

ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებულში, რომელსაც სახელად „ქართლის ცხოვრება“ ჰქვია, მოკცეულია ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსის ნაწარმოებიც, რომელიც სავსეა ზღაპრულ-ლეგენდარული ამბებით. იქ, სხვათა შორის, მოიპოვება ადგილი „ვახტანგ გორგასალის ბრძოლისა სინდეთს“. ლიტერატურული თვალსაზრისით იგი დიდ ყურადღებას იქცევს. ამ შრომის ავტორს (ვინც უნდა იყოს იგი: ლეონტი მროველი, როგორც პროფ. კ. კეკელიძე ფიქრობს, თუ ჯუანშერი, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს), თავის თხრობაში არაკებიც ჩაურთავს. ერთი მათგანი, „ქორისა და ყვავის არაკი“, იპოვება „ქილილა და დამნა'მიც“, რაც სხვა ცნობასთან ერთად გვაუწყებინებს, რომ „ქილილა და დამანას“ ძველი თარგმანი ქართულად XI ს-მდისაც უნდა არსებულიყო (დრო, როცა ვახტანგის ისტორია დაიწერა).

ეს არაკები მოკლე სახით არსებობს „ქართლის ცხოვრების“ სომხურ ვერსიაშიაც, რომელიც ქართულიდან უთარგმნიათ XII — XIII საუკუნეში.

ქვემოთ მოყვანილი ადგილები ამოღებულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულისა და ვახტანგ VI-ის რედაქციების მიხედვით (პირველი ე. თაყაიშვილის გამოცემით, გვ. 169 — 172, მეორე — ზ. ჭიჭინაძისა, გვ. 195 — 198).

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 185—194. II გამოცემა, ტფილისი 1921.

2. კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, გვ. 17-47, «ჩვენი მეცნიერება» № 4, ტფილისი 1923.

3. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 243-244.

4. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ-რის ისტ. II, გვ. 33-34.

ვახტანგ გორგასალი სპარსელებთან ერთად გამოუდგა სინდთა მეფის მხედრებს, რომლებმაც მხეკრობით მოუკლეს მას ერთგული ეჯიბი საურმაგი, რომელიც მათ ფალავანს ებრძოდა. გაქცეულმა სინდელებმა ვახტანგს ქალაქში შეასწრეს.

მაშინ სინდთა მეფე გამოდგა კართა ქალაქისათა და ქმა უყო კმითა მაღლითა და ჰრქუა: „ვახტანგ მეფეო, მსგავს ხარ შენ ყუავისა მის უგუნურისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული და გაგლეჯილი არწივისაგან, რომელსა ვერ ეძლო აფრენაჲ და მიახლებულ იყო სიკუდილსა. და არა ქმნა ყუავმან მან, ვითარცა წეს არ ყუავისა: რამეთუ სხუამან ყუავმან, ოდეს იხილის ქორი, იწყის კმა-მაღლად ყივილი და ისმინიან სხუათაცა, და დაესხის სიმრავლჲ ყუავთაჲ ქორსა, რათამცა განიოტეს საყოფელთაგან მისთა, და უშიშად დაყენესმცა დღენი მათნი (რამეთუ პირუტყუთაცა

იციან სარგებელი თავისაჲ). არა ქმნა ყუაემან ესევითარი, არამედ შეიწყალა ქორი იგი, ვითარცა კეთილის-მყოფელი მისი, და უტევა ზრდაჲ მართუეთა თჳსთა [თანა] და მარადის უკრებნ მკალსა და გუელსა (რამეთუ სხჳსა შეპყრობაჲ არ ძალ-უც ყუავსა) და მით ზრდიდა ქორსა. ვითარცა მოესხნეს ფრთენი, თქუა გონებასა თჳსსა ესრეთ: „დღეთა მრავალთა გაზრდილ ვარ მკალითა და გუელითა და არა მომცემიეს ძალი მამა-დედათა ჩემთაჲ, რამეთუ მკალითა ვერ განვძლიერდები, თუმცა ძალ-მედვა მიწევნაჲ მფრინველთაჲ და მით გამოზრდაჲ თავისა ჩემისაჲ. არამედ შევიპყრა ყუავი იგი, მზრდელი ჩემი, და შევჭამო, და განვისუენო ორ დღე, და მომეცეს ძალი და ვიწყო წესისაებრ ნადირობად, მამათა ჩემთაებრ“. რომლისაცა აღასრულა ესე: შეიპყრა ყუავი იგი და შეჭამა. მიერითგან იწყო ნადირობად დიდთა და მალეთა მფრინველთა.

არა მიეცა ყუავსა მას ქებაჲ მოწყალებისაჲ, არამედ უგუნურად და თავის მკლველად ითქუმის. არცა მიეცა ქორსა მას ყუედრებაჲ უწყალობისაჲ და კეთილისა-უსენებლობისაჲ. და იგი არს გუარი და წესი ქორისაჲ: განილეოდა და მოყუდებოდა მკალითა და ქმნა წესისაებრ და განერა სიკუდილისაგან. ხოლო ყუაემან მან არა წესისაებრ ქმნა და მითცა მოკუდა.

აწ სპარსნი, რომელნი პირველითგან მოაქამომდე და წაღმართ და მიუკუნისამდე მტერნი არიან ჯუარისა მსახურთანი, ჟამსა შინა უღონოებისასა ლიქნითა ყვიან სიყუარული. და ოდეს ეცის ჟამი, არა ყვიან წყალობაჲ და კეთილის ქსენებაჲ. ესე ბევრგზის ქმნილი გვასმიეს წიგნთაგან. და ოდეს იხილენ სპარსნი ჩუენ მიერ შეკნინებულნი, არა ჰყაე იგი რომელი ჯერ იყო შენდა საქმედ: სიხარული და ბადლისა შეწირვაჲ ღმრთისა შენისა და ზრახჳბაჲ სხუათაცა ნათესავთაჲ და მტერად აღზრზენაჲ სპარსთა ზედა, შეწევნაჲ მტერთა სპარსეთისათაჲ. არა ჰყაე ესევითარი, არამედ დაგიტევებიეს საყოფელი მამათა შენთაჲ და წინამძღუარ ქმნილ ხარ სპასა დიდსა საქრისტეანოსა საბერძნეთისასა და მოგიელიეს ორის წელიწდის გზაჲ და მოსრულ ხარ ძალად სპარსთა, რათა განძლიერდენ და მოიწყონ, და წარგწყმიდონ შენ, და ქუეყანაჲ შენი შეიპყრან წარსაწყმედელად ყოველთა ჯუარის მსახურთა. ჰეშმარიტად ამას ამზადებ თავისა შენისათჳს და ყოველთა ჯუარის მსახურთათჳს.

რად ეთქუ ყუავისა იგავი შენთჳს? რამეთუ მეფე ხარ თჳთმპყრობელი, ბოვანი, და ნებითა შენითა მიგიცემიეს თავი შენი მონად მტერთა შენთა, და ვითარ არა უგუნურად ეთქუ თავი შენი?!“

მაშინ ვახტანგ თქუა: „გეგონა შენ, ვითარმედ სიბრძნით გამონახულად იზრახე, არამედ ცრუ არიან სიტყუანი ეგე შენნი. მე გითხრა და გაუწყო ჰეშმარიტი, უგუნურო. მსგავს ხარ შენ თაგჳსა მის მთხუნველისა, რომელსა არა ასხენ თუალნი, და საყოფელი მისი არს მიწასა ქუეშე, და არა უწყის ბრწყინვალებაჲ მზისაჲ და შუენებაჲ ველთაჲ და დაჯერებულ არს იგი ცხორებასა თჳსსა, რამეთუ ეგე ოდენ ჰგონიეს მას ცხორებაჲ ყოველთა იძრვისთაჲ, ვითარსცა ცხორებასა თჳთ არს, და არა სურეიელ არს ხილვად

ნათლისა და შუენიერებისა ცისა და ქუეყანისა. ეგრეთვე შენ ბრმა ხარ გონებისა თუალითა და ყრუ ხარ გონებისა ყურითა, და არა ხედავ და არცა გესმის, არცა უწყი ცხორებაჲ სრული. არა მიქმნიეს მოსლვაჲ ამას ქუეყანასა დიდებისათჳს სოფლისა, არცა მსახურებისათჳს სპარსთა, არამედ მსახურებისათჳს ღმრთისა, რამეთუ ჩემითა აქა მოსლვითა პირველად გამომიჯსნიეს იერუსალჱმი და შემდგომად ყოველი საქრისტიანოჲ მიკსნიეს შოოკრებისაგან, რამეთუ მისცემოდა ჟამი სპარსთა მეფესა მოტყუენვად ყოვლისა საქრისტიანოჲსა".

დავალება:

გადმოთარგმნეთ ახალ ქართულზე ყვავისა და ქორის არაკი.

ამირან დარეჯანიანი

ქართული «ამირან-დარეჯანიანი» გადმოკეთებულია რომელიღაც ჯერ უცნობი სპარსული თხზულებიდან. გადმოკეთება მიეწერება ვინმე მოსე ხონელს: «ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უჭია ხონელსაო», ამბობს ლიტერატურული გადმოცემა. დანამდვილებით არც ის ვიცით, თუ როდის შემუშავდა «ამირან-დარეჯანიანის» ქართული რედაქცია. ყოველ შემთხვევაში ის საერო ფეოდალური მწერლობის ერთ-ერთი უადრესი ძეგლია და დაახლოვებით XI საუკუნის გასულით, ან XII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. XII საუკუნის მეორე ნახევარში «ამირან-დარეჯანიანი» პოპულარული ყოფილა, მას იმოწმებს სხვადასხვა იმდროინდელი ლიტერატურული ძეგლები (ქართლის ცხოერება, მეხოტბენი).

შინაარსეულად «ამირან-დარეჯანიანი» საკმირო-სარაინდო ნაწარმოებია. მასში მთავარი ყურადღება ექცევა გმირის სარაინდო-სამამაცო საქმიანობას, ზნეობრივ სიფაქიზეს და ფიზიკური ძალღონის კულტს. ამირანი უმწიკვლოა ზნეობრივად, შეუდარებელია მამაცური გამბედაობით და თავგანწირულობით, იგი უბადლო ფალავანია.

«ამირან-დარეჯანიანის» დადებითი გმირები არ ინდობენ დეევებს, აქცულებს, ჯადოებს, საერთოდ ბოროტ ძალებს, სამაგიეროდ დიდ დახმარებას უწევენ გაჭირვებაში მყოფ თანამოძმეებს, თუ უცხოელ ფალავნებს. (მაგალითად, ამირანი ეხმარება ბაღდად იამანის-ძეს, ნოსარ ნისრელს, მზეკაბუკს და სხვ.). რაინდებად მფარველობენ მანდილოსნებს, უანგაროდ იცავენ აბრაგებისაგან ვაჭრებს (მოქარავნეებს), მათ ერთგული ჭაბუკური „ღური“ ამოძრავებთ, ყოველი ახალი ფალავნის გამოჩენისას ჩქეფულებრივად იმართება ხოლმე სარაინდო შეჯიბრებანი (მაგალითად, ამირანისა და სეფედაულისა). ოლონდ რაინდული შეჯიბრება მოკლებულია ყოველგვარ მტრობასა და მდაბიო შურისძიების გრძნობებს. ამხანაგური შეჯიბრებიდან სახელოვნად გამოსული რაინდები ერთმანეთს ეკვრიან ძმობის კავშირით. ძმობა-მეგობრობა რაინდული ყოფა-ცხოვრების დიდად დამახასიათებელი მხარეა (ძმური კავშირით ეკვრის ამირანი ბადრს, ნოსარს, სეფედაულს და სხვ.). ძმობის გეერდით არსებობს დობაც (დად იწოდნენ ამირანისა და სეფედაულს ცოლები).

რაინდები ჩვეულებრივად მეფის სამსახურში მყოფი ყმები არიან. პატრონ-ყმური ეთოგულება და თავდადება რაინდული საქმიანობის საფუძველია. უერთგულესი მსახურ-ყმის განსახიერებაა თვითონ ამირანი. ის ბაღდადელი ამირ-მუმინის (ე. ი. „მორწმუნეთა ამირის“, ბაღდადელი ხალიფის) „მოდარბაზეა“ (კარისკაცია), სოციალური წარმოშობით იგი უბრალო ახნაურია, რომელმაც დიდ პატივს განსაკუთრებული ერთგულებითა და თავგამოდებული სამსახურით მიაღწია. მაგრამ თავის მხრივ ამირანიც არის პატრონი და მას გარს ახვევია საკუთარი ყმების მთელი შტატი (საარსიმის-ძის მეთაურობით). საერთოდ «ამირან-დარეჯანიანის» დედაარხს შეადგენს პატრონ-ყმური წესრიგის და სამხედრო-სარაინდო საქმიანობის იდეალიზაცია და სწორედ ეს იდეალები შეეფერებოდა XI-XII საუკუნის ქართულ სამხედრო ფეოდალურ კლასს. «ამირან-დარეჯანიანი» ამ კლასის სოციალური ზოგადების ამსახველია.

ლიტერატურული «ამირან-დარეჯანიანის» გეერდით არსებობს ხალხური «ამირანიანიც». უკანასკნელი (ხალხური «ამირანიანი») პირველის (ლიტერატურულის) დიდ გაელენას განიცდის.

«ამირან-დარეჯანიანი» შეიცავს ოთხმეტი კარისაგან შედგება. აქ შემოგვაქვს შესავლის ნაწილი, კარი მეოთხე (მთლიანად) და მეცხრე კარის მოხრდილი

ნაწყვეტი, სადაც მოთხრობილია ამირანის შეხვედრა განთქმულ ჰაბუკებთან — სეფე-დაულე დარისპანის-ძესთან და ანთარჰაის-ძესთან.

«ამირან-დარეჯანიანი» მხოლოდ ერთხელ არის გამოცემული და ისიც უხეიროდ (ტფილისი 1896, გამოცემულია ზ. ჭიჭინაძის მიერ). ნაწყვეტები მოთავსებულია სხვადასხვა კრესტომათიებსა და ანთოლოგიებში (ი. ჭუბინაშვილისა, გ. ორგანძისა, ე. ყალაძისა). ჩვენი ტექსტი დადგენილია ხელნაწერი მასალების მიხედვით. საფუძვლად აღებულია შედარებით უფრო ძველი ნუსხები, რომლებიც XVII საუკუნეს ეკუთვნის. ესენია საქართველოს მუზეუმის ყოფ. წ. ქ. კოლექციის ხელნაწერი № 393 და ყოფ. სისტ.-საეთნოგ. საზოგად. კოლექციის № 2149.

ლიტერატურა:

1. მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, ტფილისი 1895.

2. ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1914 წ., 268-281.

3. მისივე, Очерки по истории груз. словесности, II, 154-169.

4. აკად. ნ. მარი, Персидская национальная тенденция в грузинском романе «Амиран-Дареджаниани» ЖМНП, 1895, III.

5. მისივე, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести «Дареджаниани», ИАН, 1899, II, т. X, № 2.

6 პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 43-63, 192-195.

7. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 28-80.

პარი პირველი

აბესალომ ინდოთ მეფის ამბავი

იყო ინდოთ მეფე აბესალომ მორჭმული და განგებიანი, და არა იყო შეჭირვება გულსა მისსა. ესე იყო წესი მისი: ედგა ასი ავაზა, ექუსასი ჭორი თეთრი და მწყაზარი, ჰყვა სამი ათასი დიდებული. ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთხშაბათსა — ამა სამსა დღესა—უკმის ათასი დიდებული და გასცემდის საბოძვარსა საზომისაებრ, რაცა ვის ხვდებოდა. ამა განსუენებასა და დიდებასა შინა იყო, სიხარული და გამოსუენება იყვის. ხუთშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა ნადირობდის და გაისუენებდის. კუირაღესა დაჯდის და სამეფოსა საქმესა განაგებდის და სამართალსა უზემდის ციხეთა, ქალაქთა და ყოველსა სოფელსა.

და ერთსა დღესა ბრძანა ნადირობას განსვლა. გაეიდა და ინადირა სანადიროსა კარგსა. მოვიდა შინა, მხიარულმან დიდი პურობა გარდაიკადა და მნახავთა მადლი უბრძანა, ვითა „კარგთა სანადიროთა შინა მანადირეთო“. კვლავ უბრძანა „აწე, — იგი შზესა, წადით და ახლოს ნადირი მომინახეთო“. წაეიდეს მნახავნი და ეზომი ნადირი პოვეს, რომე ანგარიში არ შეეგებოდა. და ერთი ქურციკი ნახეს, რომე რქანი ესხნეს ოქროსა, თუალნი და ბლიკნი შავნი, უცელი თეთრი და ზურგი ძოწეული. შევიდა მნახავი და მოაკსენა მეფეს. მით ვე სახითა, ვითარცა ენახა. გაეხარნეს მეფესა და უბრძანა დიდებულთა: „ამა კაცსა საკუირველი ნადირი

უნახავს. აწ მისი უნახაობა ჩუენგან არ ეგების, და ვინათგან ესრეთ საკუირველი არისო, მნებავს რათამცა მრთელი შევიპყართო.

გაიყარა ნადიმი და შეეკაზმა მეფე და ყოველნი დიდებულნი მისნი. წაიძღუანა იგი კაცი და მივიდეს მას მინდორსა შინა. ნახეს იგი ქურციკი მასვე ადგილსა. ბრძანა მეფემან: „აჰა, მელი, აბა ყოველმა კაცმა ცხენები შეუტიევეთ და სიკუდილს ეკრძალენით!“ და შეუტიევეს ცხენი, და წავიდა ქურციკი იგი. არბიევეს დღისა სავალი და მოსწყდა ყოველი კაცი,— მეფე და სამნი სხუანი დიდებულნი შერჩეს, — და არბიევეს ვიდრე მწუხრამდე შუიდისა დღისა სავალი, ვერცა მიეწიენეს და ვერცა მოსწყდეს.

ადგილსა ერთსა მივიდეს, კლდოვანსა. ჩაეხუეწა ქურციკი და უჩინო იქმნა. ოდეს დახედნეს ქუეყანასა, ვერასადა ცნეს იგი, და ვერცა სოფელი, ვერცა იგი ნადირი. ქუეყანა უცხოდ აუჩნდათ; არა უწყოდეს, სადამცა წავიდეს. მიხედნა მეფემან და ნახა სახლი ერთი ქვითკირისა. გაუკუირდა და თქუა: „რა არის ესე სახლი ამა უკაცურსა ქუეყანასა?“ შევიდეს და ნახეს: იყვნეს ცალ კერძო ჰაბუკნი სამნი დაწერილნი და მათ შორის სახე ქალისა, რომელ კაცისა თუალსა ეგეთი არა უნახავს რა. და ერთი დიდი კაცი იყო, შუენიერი, ჯაჭუი ეცუა ტანსა და კმალი კელთა ჰქონდა, და ზედა ესრეთ ეწერა: «მე ვარ ამირან დარეჯანის-ძე, ყმა მისი საარსიმის-ძე, ბადრი იამანის-ძე და ყმა მისი ინდო ჰაბუკი, ნოსარ ნისრელი და ყმა მისი ალი დილამი. ოდეს ქაჯნი დავკოცენით, ზღუათა მეფის ასული გამოვიყუანეთ, ამას ადგილსა მოვედით, ყოველი არაბეთი ზედა მოგუიკლა, მაშინ არა ავად ვიყვენით»ო. ოდეს გარე მოიხედნეს, მარცხენა მკარსა იგი სამნი ჰაბუკნი ეწერნეს. გამოვიდეს სახლისა გარე. მინდორთა შიგან ძუალი იდვა კაცისა და ცხენისა და საჭურჭლისა ნალეწი, რომელ კაცისა თუალსა ეგეთი არა უნახავს.

გაუკუირდა მეფესა და დიდებულთა, თქუეს: „ვინ ყოფილან ესე ჰაბუკნი, ანუ რომელსა ჟამსა? ჰგავს, რომ იგი ერთი პატრონი ყოფილა, იმა სხუათაგან რომლისამე ქუეყანისანი ყოფილ არიანო“. ამას იტყოდეს და ამბავსა ვერასა სცნობდეს.

წამოვიდეს და ძლივღა გამოაგეს გზა. მეშუიდესა დღესა სამეფოსა სახლსა მოვიდეს. შემოკრბეს დიდებულნი და ნახეს მეფე დაღრეჯილად, შეჭირვება შეჰქნოდა ამა ამბისა უცნობლობისათუის. არცა შექნა პურობა და არცა გავიდა ნადირობასა. გაითქუა ყოველსა ქუეყანასა შინა, ვითა: „მეფესა სახლი რამე უნახავს და შეჭირვება შეჰქნიაო“. ზოგნი ზოგსა იტყოდეს და ზოგნი სხუასა მიზეზსა.

დიდი თათბირის შემდეგ გადაწყდა მოც ქულების დაგზავნა სხვადასხვა ქვეყანაში საქმის ნამდვილი ვითარების გასაგებად. ერთბაშს ძიებამ ნაყოფი ვერ გამოიღო, მაგრამ ბოლოს რომელიღაც ქალაქში „ბალღეთით კერძო“ იპოვეს ღრმად მოხუცი საარსიმის-ძე, ამირან დარეჯანის-ძის გაზრდილი და მისი საყვარული მოყმე. საგანგებოდ მიპატიჟებული საარსიმის-ძე ეწვია აბესალომ ინდოთა მეფეს და მოახსენა: „ათორმეტნი კარნი არიან პატრონისა ჩემისანი და სხუათა მრავალთა ჰაბუკთა ამბავნი“ო. მეფის თხოვნით საარსიმის-ძემ მოუთხრო შეკრებილ პირებს ეს საგმირო ამბები.

ქარი მეთხე

ამირან დარეჯანის-ძისა ამბავი

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე! ადიდნეს ღმერთმან მოყუარენი თქუენნი და არცხუინოს ორგულთა თქუენთა!

მასვე დღესა წაველით თუით ამირან დარეჯანის-ძე, მე — საარსიმის-ძე, — და იგი შავოსანი კაცი და მივედით იამანსა ჰაბუკსა თანა. გამოგუეგება წინა იამანი ჰაბუკი, კაცი ბერი და შუენიერი, და შეეტყობოდა, რომე ყოფილიყო ლომი ჰაბუკი. ატირდა ძნელად და თქუა, ეითა: „მეტსა ვერას მოგაკსენებო, რაცა გინდა ქენ, შენ ხარ ღონე ჩუენიო“.

მოაკსენა ამირან დარეჯანის-ძემან: „მეტსა ვერას გიქადებ, ანუ მოკუდები მათთანავე, და ანუ ვიკსნნე იგინიცა“.

დავყავით მუნ დღე ერთი და ვთხოვეთ ყოლაუზი კაცი და მოგუგუარეს უსიბიე. წაველით და ვლეთ თორმეტი დღე. და მივედით მას ადგილსა, სადა იგი ლომთა-ლომი ბადრი იამანის-ძე შეეპყრა. და მოაკსენა უსიბ: „აჰა, იგი ადგილი, სადა ძმა შენი ბადრი შეიპყრესო“. გარდაკდა ამირან დარეჯანის-ძე და ატირდა.

წაველით მუნითაცა და ვლეთ სამი დღე სხუა და გამოგუეგება წინა იგიეე ორპირი კაცი, თაყუანისცა ამირან დარეჯანის-ძესა და ეგრე მოაკსენა, ეითა: „ფიცებული ვიყავ ნოსარ ნისრელისა და არ გაუტეხ ფიცსა. თუ მას ვერა ეჰმსახურე, აწ, რადგან თქუენ მისად ძებნად მიხუალთ, მეც დამიც გული თქუენთანა, რომელი შემეძლოს აწ გმსახურო“. უსიბ ეგრე უთხრა მას ორპირსა კაცსა: „კულაეე მოხუელ, ჩუენო კუროვო და მკლველო?“ — უსიბს გაუწყრა ამირან დარეჯანის-ძე და მას ორპირსა კაცსა ეგრე უბრძანა: „კურთხეულმცა ხარ, ძმაო!“ და წაგუიძღუა იგი კაცი და წაველით.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო! აგუიჩნდა ციხე მაღალი და ჰკითხა ამირან დარეჯანის-ძემან: ვისი არს ის ციხეო. თქუა მან ორპირმან კაცმან: „იგი ციხე დევთა არისო და იგი ლომნი — ალი დილამი და ინდო ჰაბუკი — იმაზიგ არიანო. ოდეს მათნი პატრონნი შეიპყრნეს დევთა, იგინი უკან მიეწიენეს, შეებნეს ფიცსლად და იგინიცა შეიპყრნეს გრძნებითა რათმე და ამა ციხესა შიგან სხენან“.

დავდეგით მას ღაწესა მის ციხისა ძირსი. დილასა შეეკაზმა ამირან დარეჯანის-ძე საქუეითოთა აბჯრითა. აიღო ფარი და შეუქდა ციხისა ძირსა. წამოდგეს ზედა ლაშქარნი და ესროდეს ქვითა. შეუქდა ზედა, შელეწნა ციხისა კარნი, შევიდა, დაკოცნა და წაიღო ციხე. და პოვა მას ციხესა შინა ალი დილამი და ინდო ჰაბუკი. და არ შეეძლო, თუმცა თანა წამოეტანნეს, მეტად შეავებულ იყუნეს. დაყარნა მუნვე და დააგდო მათ ზედა შავოსანი კაცი, დაბეჭდნა კარნი საჭურჭლეთანი და წაველით სამნი ჩუენ და მეოთხე იგი ორპირი კაცი.

მიველით მას ადგილსა, სადა შეეპყრა ნოსარ ნისრელი და მუნ აჩნდა მოკუეთილი მიწა. გუიჩუენა მან კაცმან და ეგრე თქუა: „აჰა იგი ადგილი, სადა შეიპყრეს ნოსარ ნისრელიო“.

წავედით მუნითა და გუითხრა მანვე ორპირმან კაცმან: „მე აღარ წამოვალ და არცაღა წაგიძღუები და არცარა ვიცი. ესე ვიცი, რომე ამა სამისა დღისა საჯალსა ტყე მოგხუდების, რომე ყოველი საყოფელი არის მკეცთა. და რა იგი გაიაროთ, თქუენ თუით გაუფრთხილდით. მე აღარა ვიცი“.

უსიბ უთხრა მას კაცსა: „აბა თუ ეტიკი ხარო, ეგეთი კამსო“!

წავიტანეთ იქიცა იგიეე კაცი და წავედით ჩუენ. და მოგუხუდა ტყე იგი. ზენაარმან ღუთისამან და თავმან მეფობისა შენისამან, ხუთასი ლომი და ვეფხი მოვკალ:თ და გავიარეთ ტყე იგი.

მერმე მოგუიკდა წყალი მეტად დიდი. და იყო ნავი და იყვნეს მენავენი. რა გუნახეს, თაყუანი გუცეს და გუკითხეს: „მოდარბაზენი ხართო?“— ვთქუით, თუ: „მოდარბაზენიო“. — „აბა ბრძანეთ და ჩამოსხედითო“. ჩავსხედით და, ვითა შუა მივედით, წაგუიკდა მენავენი და ნავი და ჩუენ დავრჩით წყალთა შიგან.

მერმე ერთსა ღლიასა მე შემომიგდო და ერთსა უსიბ და ცურვით იმიერით გაგუიყვანნა და ეგრე გუიბრძანა: „ღმერთო, დიდისა ფათერაკისაგან დაგრჩითო“.

წავედით მუნით და იყო დიდი კლდე და ქუაბი. გამოვიდოდა მის კლდისაგან დიდო კაცი წითლოსანი და ეგრე თქუა: „ვაშად, რომელ მოხუელ ამირან დარეჯანის-ძეო“.

ფიცხლადვე აიყვანა ამირან და ნებსა ზედა დაისუა და უბრძანა: „ვაგლახ, რა ცოტა ხარო, განა ეინ ხარო?“ უსიბ მოაკსენა: „ეგე, ღმერთო, არაეინ არისო, კაცისა ყუელასი უარესი არისო. მან დიდომან ეგრე თქუა, ვითა: „ყოველი რიალი შენ ჰქენ და შენ შეაპყრობინენ იგი ლომნი და აწ ესე მოგყავსო“.

უსიბ უთხრა: „უბედურო, რა საწყალი და ავი კაცი ხარო! თუარა მე რა უნდა ვიყო?“ უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: „მითხარ, ძმაო, თუ რა ხარო“, მან ეგრე მოაკსენა, ვითა: „მე დიდოთა მეფე ვიყავ და დევთა გამომაძეს და ლაშქარნი დამიოცნეს, და მე მარტო დარჩომილვარ“.

უსიბ უთხრა: „რადგან აზომ საწყალი და მეფობისა მაყივნებელი იყავ, ნეტამცა აღარც შენ დარჩომილიყავო!“ — მოაკსენა დიდომან: „აწ სადა წახვალ, სარგებელი შემიძლია, თუ კარგი ჰაბუკი ხარო. და თუ რა გმსახურო, აღმითქუი, რომე მამული ჩემი მომცე“.

უბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: „ზენაარმან ღუთისამან, მოგცე“.

წავედით და წამოვიდა იგი დიდოთა მეფე. და იყო მეტად კლდოვანი ადგილი და კეცი ღრმა. და იყო მას კეცსა შინა მაღალი მოხუეწილი კლდე. გამოვიდა მის კლდისა თაესა გუელი საშინელი და იწყო კაპრობად. და მუნ მოვიდოდა ყოველისა ქუეყანისა გუელი. ეჰკოცდით და მოგუეწყინა კოცა, და არა მოკდა ლეგა მათი. მერმე ამირან დარეჯანის-ძემან ამოიღო მშჳლდი და შესტყორცა ისარი ბოძალი და წარჰკუეთა თავი მის გუელისა, რომელი ჯდა კლდისა თაესა. და გარდასწყდა გუელის მოდენა.

და გამოვიდა მას ადგილსა კაცი და ეგრე იყივლა, ვითა: „თუ ამა გუელისა სიკუდილი კარგი გექნას, აწუ სცნათო“. გამოვიდა კიდეე სხუა კაცი და ჰკითხა მას კაცსა: „მოკლეს ჩუენი ყმაო“?

ჩამოკდეს ორნივე და გაახუნეს კარნი მის კლდისანი. და გამოვიდეს სამნი ვეშაპნი საშინელნი: ერთი შავი, ერთი თეთრი და ერთი წითელი. თქუა ამირან დარეჯანის-ძემან: „შავი მე, თეთრი შენ, საარსიმის-ძეო, და წითელი უსიბს“. მან მოაკსენა: „ჩემი წითელიცა თქუენდა მომიკსენებიაო“.

შემოგუტიეეს ვეშაპთა და ჩუენ მათ შეუტიეეთ. წითელი მოვიდა, ჰკრა კმალი ამირან და მოკლა. და მე და იგი თეთრი ვიბრძოდით, და ჰკრა და იგიცა მოკლა. შავმან შემოუტიცა უკანის დროსა, და ჩანთქა ამირან დარეჯანის-ძე და გაიქცა. მას ადგილსა სახლსა შევიდა. მე მივეწიე კმალი ვჰკარ და კუდი მოვჰკუეთე. და შემეხუეწა მას სახლსა და ველარა შევიგენით გზა და კუალი მისი. დავიწყეთ ტირილი.

წესი იყვის ამირან დარეჯანის ძისა, რომე ორნი დაშნანი იჭით და აქათ მოგუშიგან ესხნიან. ამოიღო და შიგან მუცელი დაუპრა, გუერდი გაუპო და გამოვიდა სისხლითა შესურილი. და გუიბრძანა: „ავად მიშუელეთო“.

და იყენეს მას სახლსა შინა საჭურჭლენი დაბეჭდულნი, და კულაე დაბეჭდნა და წაედით ფიცხლად მუნითაცა.

და ვლეთ ორი დღე. კიდის-კიდე ვიარებოდით. მე გარდამეკიდა კაცი ვინმე დიდი. შუბლსა თუალი ედგა. თქუა: „ვაგლახ, საწყალნო, უსიბ მოგაღორნაო“, და მამეკიდა წასაყვანებლად. შევიბენით და ვიბრძოლეთ დიდი ხანი, მოვკალ და მოვედ ამირან დარეჯანის-ძესთანა. უამბე და უჩვენე კაცი იგი. გაუკუირდა და დამიმადლა, და ეგრე თქუა: „ძნელი საბრძოლელი მოგკდომია ეგეოდენ დიდი კაცი შენთუისო“. და წაედით.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე! ვიარეთ სამი დღე. სხუა დიაცი ვინმე ჯდა და ტიროდა. ჩუენ ვჰკითხეთ, თუ: „რა გჭირსო?“ მან ეგრე გუკითხა, ვითა: „ჩუენნი რჯულნი ხართო?“ მივედით და ამაზედა თქუა: „მამეგონა ლომი ბადრი იამანის-ძე და მისთუის ვტირიო. მაშინ იგი ოდეს გრძნებითა შეიპყრეს, მე ტყუედ წამომიყვანეს და მაშინდითგან აქა ჟრ ამა ეშმაკთა შინაო. აწ ბრძანეთ და სადილი მოგაკსენოთ“.

ჩუენ მათ ლეთა ნადირი არა შეგუეპყრა და მოგუმშეოდა. წაედით და წინა წაგუიძღუა იგი დიაცი მის კლდისა ძირსა მიედით. კარი უკუაღო. შეიდა რა, ამირან დარეჯანის-ძე შეიყვანა, დიდი ლოდი კარსა მოაგორვა. ეს თურე დევი იყო. ჩუენ გარეთ დავრჩით. რა შინა შევიდა, კაცი ვინმე ჯდა. შუბლსა თუალი ედგა და უთხრა: „ვაშად, რომე მოხუედ ამირან დარეჯანის-ძეო! განა რა, გლახ, მოიგონე აქა მოსლვაო!“

ესე იყვის წესი ამირან დარეჯანის-ძისა, რამცა ჭირი მისჭირდის: „აბა ლომო ლომთაო — იყივლის — ვაშად გნახეო, მაგრა შენთუის დია სჯობდა, ღმერთო, თუმცა არა გნახეო!“

ერთი ცოტა ყმა სხუა გამოვიდა, და შუბლსა თუალი ედგა მასცა, და ეგრე უთხრა: „მამაო, ვიცი რომე იმა ყმასა მოჰკლაო; და ქუე დამიდეე, თუით მე მოვკლაო“.

და ჩუენ ვდგავართ კართა ზედა და არა გუაქს ღონე შესლეისა. მაშინ ამირან დარეჯანის-ძემან აგინა მას ყმასა ცოტასა. ფიცხლადვე ფერანი დაუჭირნა და მისსა მამასა პირსა შესტყორცა და მოკლა იგი ყმა ცოტა.

ამაზედა ახლტა იგი ბერი კაცი და შეიბნეს კელის-კელ, და იბრძოლეს დიდი ხანი. მოერია ამირან, ამოიღო დაშნა და ჩასცა თუალსა, და თუალი წამოუგდო.

უყიელა დევმან, ვითა: „ნუღარ მომკლავ ჭაბუკობასა შენსა, იქ ჩემი ნესტა“[1]. დაადგო დევი იგი და შეიპყრა იგი დიაცი, რომელმან ჩუენ მიგუიტყუენა, და ეგრე უბრძანა: „შენ სხუასაცა ვისმე მოაცთუნებო“, და მოკლა.

გაგუიღო კარი და ჩუენცა შევედით. იდვა დევი და ცოტაღა სული ედგა, და აღარა ლამოდა სიკუდილსა დარეჯანის-ძე. ამოიღო კმალი უსიბ და მოკლა. გაუწყრა დარეჯანის-ძე უსიბს. და მან ეგრე თქუა: „ნუ სწყრები, პატრონო, მით რომე სხუასაც ვისმე მოაცთუნებსო“.

და ვპოვეთ მუნცა დიდი საჭურჭლე, დაებეჭდეთ და წაევედით მუნითცა. და აღარა მოგუხუდა გზასა ზედა ეგეთი. უსიბ მოაკსენა: „აქათგანცა ტალად დგომა გინდაო“. და მას ღამესა დადგა ფუითეე უსიბ. და მოვიდა ლაშქარი და კარგად იყო იგიცა.

წაევედით მუნით და დავდეგ ტალასა თუით მე და დავკოცენ ლაშქარნი. წაევედით და ვიარეთ ერთი დღე. მოგუხუდა უბადო ადგილი და ტალსა დადგა თუით ამირან დარეჯანის-ძე. მოვიდა დიდი ლაშქარი, დაეკოცა და გაეწურა.

ამაზედა მოვიდეს დევნი ორნივე ძმანი ბაყბაყ და ხაზარან; და ნაძინებსა, ეგრე ვითა ნოსარ ნისრელისა, მოჰკუეთეს ქუეყანა. და განკრთა ძილისაგან დარეჯანის-ძე, ოჰ-ქნა და შეუტიეა ცხენი. გაესწრა ბაყბაყ, ჰკრა ხაზარანს და მოკლა.

წაევედით და მივედით მას ციხესა, სადა სხდეს პატიმრად ბადრი იამანის-ძე და ნოსარ ნისრელი.

იყო ციხე მაღალი და ქალაქი შეუვალი. არა ეგებოდა შესლვა კაცისაგან. ვითა ღონე ვეღარა ავიგეთ, მუნ დავყავით კუირა ერთი. და ამას ვლამოდით, თუმცა გამოსულიყო იგი ბაყბაყ-დევი და შეგუეპყრა. და არ გამოვიდა. ვითა უღონო ვიქმენით, თქუა უსიბ: „რა იქნა ბილწი იგი დიდო?“ ამაზედა მოვიდა დიდო იგი და გუითხრა: „განაღა ვერას ხართ ღონესაო?“ — უბრძანა: „ვერაო“. „აბა მომიდეგითო“.

უკანა ჩაგუიძღუა დიდო. ციხესა იმიერით იყვნეს ხენი შეუნიერნი და გამოდიოდა წყარო ძირსა მის ხეთასა. ჩამოვიდის ფრინველი ყოველთა დღეთა, სუის წყალი და მასვე ციხესა შევიდის.

ეგრე თქუა დიდომან, ვითა: „მე მაშინვე მითქუამს, რომე თუ კარგი ჭაბუკი ხარ, ღონე ვიცი-მეთქი — თუ ვით იმა ფრინველსა ფერკთა მოეკიდეო, აფრინდების და მას ციხესა ჩაგსუამსო, — აწ ღონე ესე ოდენ არისო“.

[1] სპარსულია. ამას ნიშნავს: „ერთი თვალი არ მაკვს“.

უსიბ ეგრე უთხრა: „აჰა, ვაგლახ, შენ, რა თურე ავი ყოფილხარ! ჭითარი შენსა კაცობასა შეჰგავს, აგეთიცა ღონე გუასწავლეო".

შეიქნა მათ ხეთა ქუეშე სამალავი ამირან დარეჯანის-ძემან და ჩაჯდა მას სამალავსა შიგან. ვითა ჩამოვიდა ფრინველი, შეხლტა და მას ფრინველსა ფერკთა მოეკიდა. აფრინდა ფრინველი იგი და ციხესა გაემართა.

წამოდგეს ზედა და ყიოდეს: „მოვიდა, მოვიდაო". და გამოიღეს აბჯარი. ვითა დაესწორა, ჩაჯდა ციხესა შიგან ამირან დარეჯანის-ძე. გამოიწოდა კმალი, მიჰკოცდა და მივიდოდა.

და იწყეს მათ პატიმართა ყივილი, ვითა: „კარი გაგუიღეო". დაკოცა ამირან მრავალი კაცი, მერმე მოვიდა საპატიმროსა კარსა, ჰკრა კმალი და გატეხა კარი იგი, და გამოასხა პატიმარნი იგი.

გამოვიდეს ბადრი იამანის-ძე და ნოსარ ნისრელი. მაშინ უფროსი დაკოცეს და ამოსწყუიდნეს, და მოკლა ნოსარ ბაყბაყ-დევი.

და შეეედით ციხესა და არა იყო რიცხუი განძისა. დავყავით კუირა ერთი და ავჰკიდეთ ხუთასსა აქლემსა განძი. და სხუა ყველა ციხე-ქალაქი, ქუეყნები, ჯარი, მონანი სულ დიდოთ მეფესა მიუთუალეთ, და გავაკელ-მწიფეთ, რაც ემსახურა, მსახურებისა მისისათუის.

წამოვედით და წამოვიღეთ განძი ურიცხუი. მუნითცა წამოვიღეთ განძი ურიცხუი, სადა იგი მოეკლა დიაცი: და სადა იგი ეეშაპნი დავკოცენით, მუნითცა წამოვიღეთ და მოეედით მას ციხესა, სადა სხდეს ალი დილამი და ინდო ჰაბუკი. და მუნითცა გამოვიღეთ ურიცხუი განძი.

მიესმა ესე ამბაუი ყოველსა არაბეთსა, ვითა „კაცთა ვისმე ეეშაპნი და დევნი დაუკოციან და მოაქუთ ურიცხუი განძიო". შეკრბა ყოველი არაბეთი და უკან მოგუეწივნეს, რომე სიმრავლისა რიცხუი არ იქნებოდა. იგი სამნეგე ლომნი და ჩუენ მათნი ყმანი შემოვიქეცით და, თავმან მეფობისა თქუენისამან, მათ სამთავე უკეთესსა ეერ გამოარჩევედით; ერთმანერთსა სჯობდეს.

ვიბრძოლეთ სამი დღე. გავაქციენით და დავკოცენით, რომე რისხუა ღუთისა მოგაწიეთ მათ ზედა. მაშინ ააგეს მას ადგილსა ზედა სახლი ქუითკირისა და დაეწერნეს სამნივე. და ჩუენცა მათნი ყმანი დაგუწერნეს. და მუნითცა წამოვედით იამანს ჰაბუკსა თანა.

დავყავით კუირა ერთი და შეიყუარნეს ერთმანერთი. შეიყარნეს ძმად და იფიცნეს. სამნივე ძმანი, თავმან მეფობისა თქუენისამან, [ერთმანერთსა] ეერა მოერეოდეს.

გაიყუეს განძი სამად და წაიღეს თავის-თავისა ალაგსა.

კარი მეცხრე

სეფედავლე დარისპანის-ძისა ომბავი:

აქა ომი ამირან დარეჯანის-ძისა და სეფედავლე დარისპანის-ძისა

ისმენდი, მეფეთ მეფეო!

წაველით იგი ამირან დარეჯანის-ძე, მე, საარსიმის-ძე, აბან ქამანის-ძე, ალი მოამადის-ძე, ასან ბადრის-ძე, ქაოზ ქოსის-ძე და ყამარ ყამრელი, და ომად მადის-ძეცა წამოვიდა.

წაველით და ვლეთ თუისა ერთისა სავალი და მიველწურენით [სეფედავლისა] სამეფოსა. წავიდა წინა ომად მადის-ძე და მოაკსენა სეფედავლეს ჩუენი მისლვა. და გაეხარნეს მას ზომისაგან მეტად. დღისა ერთისა სავალსა წინ მოგუეგება, და დიდებულნი მისნი თანა მოჰყვეს. დიდითა ზარითა და ზეიმითა მოვიდეს. ოდეს ენახეთ, ეზომ მოგუეწონა, რომე ამბავსა კაცი სჯობდა[1].

გაიხარნა უზომოდ მან ჩუენი მისლვა. ამირან ზეგარდასლეით ლამოდა მოკითხვასა და იგი არ მოეშუა, ცხენზედაეე მოემშუიდობნეს. ჩუენ ყოველნი მოგუიკითხნა მდაბლად, ვითა მისსა სიკეთესა შუენოდა.

წაველით და მივედით დარისპან შაჰარს. და ომად მადის-ძე რომე ამბობდა პალატისა და დიდებულთა მოკაზმულობასა, რაზომ დარეჯანის-ძე სჯობდა ომად მადის-ძესა, ეგზომ უკეთ მოეკაზმა ყოველი ჩუენსა მისლვასა ზედა ქალაქნი, მონანი და დიდებულნი, რომე არა ნახულა კაცისა თუალისაგან მოკაზმულობისა სიკეთე ეგეთი და სიმდიდრე. გაგუიკუირდა.

პალატი შეეკაზმა ჩუენთუის და ეგრეე გამგენი და მზარეულნი გამოეგზავნა ჩუენთუის და ეჯიბნიცა. ეგრე ებრძანა: „ვითარს პურსა ჩუენთუისა ჰკაზმიდეთ, ეგეთსა დარეჯანის-ძისათუისო“. და საჭურჭლენი ორად გაუყენა და ნახევარი მისცა დარეჯანის-ძესა, ეგრეე დედოფალთან მოუგზავნა კელისეფალნი და იგინი კიდე უკაზმიდიან პურსა. ეგრეეე მოეგზავნა [სეფედაელესა] კაცი, ვითა: „ჩემსა საჭურჭლესა და ჩემსა წასაგებელსა ნუ სწყალობო. ერთსა დღესა შენსა პურად ვიყენეთ და მეორესა დღესა ჩემსაო“.

გაყენა ორად მგოსანნი, მოშაითნი და მებუკე-მედაბდაბენი და ბახტნი. ნახევარნი ჩუენთანა იყვნეს და ნახევარნი მათთანა. ვიყვენით ერთსა დღესა ჩუენსა და მეორესა მათსა. და მისციან ერთმანერთსა მისაცემელი. ნადიმი გარდაეიკადით. მღერა იყო და განსუენება და სიხარული ეგეთი, რომე არ ითქმის კაცის ენისაგან. მესამესა დღესა დედოფლისასა ვიყვენით და მანცა დიადი გუიბოძის.

ამა განსუენებასა შიგან ვიყვენით. დღეისასა ხვალისა სჯობდის. ცხოვნდი მეფეთ-მეფეო, რომე ტაბლასა ზედა საკმარნი ჯამნი და ჭიქანი

[1] ომად მადის-ძეს წინააღწარ უკო ამირანს სეფედაელე. ამირანის ჯადაწყეტილება სეფედაელესთან შესაბმელად ერთგვარი რაინდული „შურით“ აიხსნება.

მინახვან თუალისანი: ანუ შენ, ინდოთა მეფესა, და ანუ ბაღდადელსა ამირ მუმილსა, თუარ სხუასა კელმწიფესა, ამა ორისაგან კიდე, არავის შეეძლო.

ამა განსუენებასა შინა ვიყუენით ორსა თუესა. სწადდა მასცა და ამასცა ომი ერთმანერთისა. ამირან დარეჯანის-ძემან ეგრე თქუა, ვითა: „ჩემგან არ ეგების პირველად შეზრახვა, მით რომე ეგზომი განუსუენებია, ჩემდა მოგებებულა და წასაგებელი წაუგია“.

მერმე სეფედავლემ ეგრე თქუა: ომი, ღმერთო, მწადიან ამირან დარეჯანის-ძისაო, მაგრა თუ შებმა ვთქუა, ნუთუ ეგრე თქუას: „წასაგებელი გასდიდებიაო“.

არცარა მან თქუის და არცარა მან. კულა დავყავით ამაშიგან თუე ერთი და სხუა უკეთესი და უკეთესი განსუენება იყვის. მერმე ეგრე თქუა ქაოზ ქოსის ძემან: „მე შევაბნე ესე კაცნი და ერთმანერთსა აღარა ერიდებოდენ“. ამა სიტყუასა ზედა ბრძანა ამირან დარეჯანის-ძემან: „ქაოზ ქოსის-ძეო, ჩემსა მზესა, უთხარ რაო!“

ნადიმობა იყო და მღერა. იგი ქაოზ ქოსის-ძე მლაღობელი კაცი იყო და სეფედავლეს დიდად უყუარდა. ერთგან სხდეს ამირან დარეჯანის-ძე და სეფედავლე დარისპანის-ძე. ადგა ქაოზ ქოსის-ძე და ორნი ჭიქანი აავსნა, ერთი მას მისცა და ერთი მას და ეგრე მოაკსენა, ვითა: „ესე შესუით და რადგან ორთავე გწადიან, ომი თქუენი არსო“.

გაიცინნა სეფედავლემ და ეგრე უთხრა: „შენ თურე სპასალარი ხარო“. და გაიცინნა დარეჯანის-ძემანცა. სეფედავლემ ეგრე თქუა: „დარეჯანის-ძეო, განაღა იგი კაცი შენ მოგიბირებიაო“.

მან თქუა: „არა, შენმან მზემანრ, თუით მომზრახი კაცი არსო“.

ამაზედა დაასკუნეს ომი.

სეფედავლემ ეგრე უთხრა: „ვითა მოგაკსენო, ეგრე შევიბნეთო“. მოაკსენა ამირან: „დია, ვითაცა თქუენ ბრძანოთო“. რა ესმა, დაუმძიმდა დედოფალსა მათი ომი.

რა გათენდა, დილასა გამოიხუნეს საკარმანგნი კარაენი ოთხნი, — ორნი დიდ-დიდნი და ორნი შედეგნი. ორნი ერთ-კერძ დადგეს, და ორნი ერთკერძ, ერთი საპურრობოდ და სანადიმოდ და ერთი საწოლად. დაადგნეს ტურფასა რასმე ველსა შინა.

გაყვნეს დიდებულნი და ნახევარი ჩუენთან დააყენა, და ჩუენცა გაგუყვნა: ალი მოამადის-ძე, ყამარ ყამრელი და ქაოზ ქოსის-ძე მან წაიყვანა; მე — საარსიმის-ძე, — აბან ქამანის-ძე და ასან ბადრის-ძე, ესენი დარეჯანის-ძესთან დაგუყარნა. ომად მადის-ძეცა მან წაიყვანა და ომარ — იგი კარგი ჭაბუკი, ყმა მისი — ჩუენთანა მოიყვანა. მებუკენი და მედაბდაბენი პირველადვე გაყოფილნი იყვნეს.

ესე დადგა წესად სეფედავლემ, რომე, „თუ მაჯობო, ჩემსა მოგიყვანო პურად და ნადიმსაცა მუნვე გარდაგაკდეო, და ძღუენსა გიძღუნიო; და თუ მე გაჯობო, ამასვე შენ იქმოდიო“.

წავედით და დედოფალი თანა ვერ წავიტანეთ, მით რომე უმძიმდა მათი ომი. და ჩუენცა ყოველთა გუიმძიმდა, მაგრა ამისთუის ოდენ გუიხაროდა, რომე მათ უსწოროთა ორთა ჰაბუკთა ომსა ენახეედით.

ამაზედა დაარჩია ასი ტაიჭი და მოსცა დარეჯანის-ძესა და ასი თუით დაიჭირა და ეგრე შეუთუალა: „ხვალე ოროლითა შეეიბნეთო“.

შეიკაზმეს ოც-ოცი ტაიჭი, გავიდეს და შეიბნეს. რა სეფედავლემ ჩამოაგდის და მოუკლის ცხენი, მისთა კერძთა კაცთა დაუწყიან ცემა ზარსა, და დაუწყიან ცემა ბუკსა და დაბდაბსა: რა დარეჯანის-ძემან ჩამოაგდის და ცხენი მოუკლის, ეგრეევე ჩუენ დავსცით ზარი და ვჰკრით ბუკსა და დაბდაბსა.

მას დღესა ოციე ცხენი მოუკლა სეფედავლემ ამირან დარეჯანის-ძესა და თხუთმეტი ცხენი დარეჯანის-ძემან მოუკლა სეფედავლესა. დარჩომრდა. ჯობნა მის დღისა სეფედავლეს. რომე იცოდა ომი, ღმერთო, კარგად ოროლითა ამირან, მაგრა სეფედავლე თურე სჯობდა.

მას დღესა პურად ჩუენსა მოვიდა. ნადიმი ჩუენსა გარდავიკადეთ. უძღუენით დიადი და გავიყარენით. მეორესა დღესა შეიკაზმა ორმოცი ცხენი მან და ორმოცი მან. და მას დღესა მოუკლა ამირან სეფედავლეს ორმოციე ცხენი და ოცდაათი სეფედავლემ. დარჩა მას დღესა ჯობნა ამირან დარეჯანის-ძისა კერძ. მერმე მიევედით საპურობოდ სეფედავლესასა და ნადიმი მუნ გარდავიკადეთ, გუიძღუნა ურიცხეი.

რასღა ეაგრძელებდე?! ვირე ას-ასი ტაიჭი დაელეოდა, მანამდისინ ზოგჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან. წინასაე თქუეს მშუილდისა არ აღება. ყველასა კლმითა, ლახტითა და ხიშტითა იბრძოდეს. ვერა შეეატყევით ერთსაცა ჯობნა.

მეფეთ-მეფეო, ნახეთ მოწურთნილობა დიდებულთა მისთა! თავმან მეფობისა თქუენისამან, ოდესცა დარეჯანის-ძემან აჯობის, გულსა შინა განაღამცა უმძიმდა და ზეპირ სიხარული უგუანდა.

ჩამოგზაენის კაცი დედოფალმან, ეითა: „კმარის, დაუშალეთ ომიო!“ ჩუენცა ვლამოდით გაყრასა, განა ეითა მათ ხუდებოდა, ეგრე ფიცხლად არ შებმულიყუნეს. იბრძოდიან და განა ესე უნდოდა, თუმცა ერთმანერთი დაეჯერა.

ისმენდი მეფეთ-მეფეო!

შეიქნა ცილობა: ზოგმან იგი აჯობინა და ზოგმან იგი. შეიქნა ერთმანერთისა მედგრობა და გაგულისდეს. ბოლოსა ჟამსა ნადიმსა ზედა სასიტყუელი შეიქნა და ეგრე თქუა დარეჯანის-ძემან: „მე შენსა სახლსა დიდი ხანი დამიყოფია და შინ წასლვა მინდაო. ესე აჭამდის ჩუენი ომი ყმაწუილობა იყო და ბეღითი ცხენთა კოცა. აწ კამს, რომე გარდვიწყუიდოთო“.

სეფედავლემ ეგრე უთხრა: „ძმაო, შენ ჩემსა სახლსა ყოფილხარ და გაგისუენებია და ეგრეთგან თუმცა შენ არ გეთქუა, მე არ ვიტყოდი; ამად რომე ეგრე იტყოდი, ეითა -«მოესწყინებიეარ»ო. აწ ნათქუამი შენი ექნათ, რომე გაწყუედა კამს. და რომელიცა დაელხებით, არა ჰაბუკთა კელი არსო“.

ამაზედა დაასკუნეს ომი ფიცხელი ხვალისად და გაიყარნეს. შეგუექნა ჩუენ შეჭირეება ამისთუის რომე: „ანუ მოკუდების რომელიმე, და ანუ ერთი რომელიმე იჯობინების და გულ-კლებული იქნების; და ესე ჩუენი სიხარული,“ რაც აქამდის მოგუინახავს, „ყველა გაგუიმწარდებისო“, მაგრა დაშლისა ღონე არ იყო.

დილასა ბინდსა ჰკრეს ბუკსა და დაბდაბსა სეფედაელეს კარსა. და გამოვიდა სეფედავლე, თეთრსა ტაიჭსა ზედა ჯდა; პოლოტიკნი რკინანი დაეკიდნეს სატკივართა ადგილთა ცხენისათუისცა და თუითცა; ჩაბალახნი გარდაეკიდნეს, ეგრევე ცხენისა მკერდსა, თავსა და ფერდსა.. და სამნი კმალნი დაეკიდნეს: ერთი ალმედად, ერთი წელთა შემოერტყა და მესამე ტახტსა ჩამოეკიდა. ოდესმცა ჰნახე, ამას იტყოდი, თუ: «არა ნახულა ამისებრი კაციო».

შეგუეშინა ჩუენ ჯობნისაგან მისისა, ვითა გამოვიდა და ბრძანა: „მოაესენეთ დარეჯანის-ძესაც, ვაბუკთათუის სჯობს, რასაც ადრე შეიბმიანო“, და ნებასა მოიარა. მაშინ ჰკრეს ბუკსა დარეჯანის-ძისასა კარსა. გამოვიდა ეგრეევე შეკაზმული იგიცა, ვითა სეფედავლე. ოდესმცა ჰნახე, ჰბრძანებდი ამას, თუ: «ღმერთსა ორნი კაცნი ამათებრნი არ დაუბადებიაო» და, თავმან მეფობისა შენისამან, ვერა შევატყევით რა, თუ რომელი სჯობდა.

შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა, შეუტიევეს და შეიბნეს. დიდთა კლდეთა ჯაკებასა ჰგვანდა მათი ომი და ჯაკება. კმალთა ცემა ჴეხასა ჰგვანდა: იბრძოლეს დიდი ხანი და ორთაევე გაუტყდეს კმალნი. და მეორენი გამოიწუვდნეს და კულავე შეუტიეეს ერთმანერთსა. და ვერა შევატყევით დალბობა ერთსაცა.

მეფეთ-მეფეო! მე მრავალჯერ მინახვან მრავალნი ომნი დარეჯანის-ძისანი, მაგრა ეგეთი ომი დღეთა ჩემთა შიგან არა მინახავს და არცა ოდეს ეგრე მედგრად გაფიცხებული დარეჯანის-ძე! და იგი სეფედაელეს ყმა ომარ იტყოდა: „არცა მე მინახავსო სეფედაელე ასრე გაფიცხებულირა“.

გაგრძელდა ომი და გაუტყდეს მეორენი კმალნიცა და მესამენი გამოიწუადნეს, თავმან შენმან, უფიცხე შეიბნეს და ჩუენ ერთობ გაგუიკუირდა სიკეთე ცხენთა და კაცთა, რომე არა დალბეს. გაიყვანა ცხენი სეფედავლე და ეგრე იყივლა: „ამირან დარეჯანის-ძეო, აწ გამოგცადო, თუ რაძი ვაბუკი ხარო“. შემოიქცა ფიცხლად, შეუზახა. ჰკრა მკარსა მარცხენასა კმალი, გააკუეთინა პოლიტკნი რკინისანი, ჯაჭმანი და ჯაჭუი და მკარსა დიდი შეჰკუეთა. სისხლი ზე ამოიჭრა და კმა-მაღლა უყივლა, ვითა: „ჩამოიქერ“.

მაგრა ჩუენ ასეთი კმა გუესმა ნაკრაეისა, ვითა ჭეხა და არა თქუა რა დარეჯანის-ძემან. დაგუიმძიმდა ჩუენ და გუეგონა ჯობნა სეფედაელესი. ამაზედან ანაზდად ცხენი გაიყვანა დარეჯანის-ძემან, შემოიქცა და შემოუტივა სასტიკითა. შემოტეებით. აიდგნა ფერანი ავქანდათა ზედა, დაჰკრა კმალი ჩაბალახსა ზედა, გააკუეთინა ორნი პოლოტკნი რკინისანი, ჩაბალახი და თავსა დიდი შეჰკუეთა, და ეგრეევე ამოიჭრა მისგანცა სისხლი. და დაალეწა კმალი ზედა მედგრად.

მეფეთ-მეფეო, ესე აე იქნა სეფედავლე, რომე, რა დარეჯანის-ძესა კმალი გაუტყდა, მან კმალი არა დააგდო და არცა სხუის კმლის აღება აცალა. ცხენი გაიყვანა და შემოუტია კულავცა ფიცხლად. და ვითა სიახლესა მოვიდა და კელი აიღო საკრავად, მიჰყო კელი დარეჯანის-ძემან და კმლიანი კელი შესტაცა და მაგრად დაუჭირა, მოზიდა და კმალი გააგდებინა. გაიზიდნეს ცხენზედა და ვერა რომელმან ჩამოაგდო.

მერმე მიეედით და ეგრე მოეაკსენეთ მათ: „რა გიცთ ეზომი ხაბრძოლველი ერთმანერთსა თანა და, თორე ღმერთსა ორნიე კარგნი დაუბადებიხართ, ამისთუის ერთმანერთსა რად დასწყუედთო?“

გუისმინეს და გაიყარნეს. და ჩუენ გაგუეხარნეს მშუიდობით დარჩომა ორთაეე, მერმე ვერც ერთისაგან მორევნა, თუცა ჯობნა დარეჯანის-ძის კერძ დარჩა, მით რომე მოქნეული კმალი გააგდებინა. თუცა სეფედავლე იტყოდა: „კმალი თუით დაეაგდეო, თუარა, ოდეს უკანის მოეზიდენით, მაშინ რად არ ჩამომაგდოო?“ მაგრა ტყუოდა: კმალი დაჰირვით გააგდებინა.

გაიყარნეს და შემოეიდეს ქალაქსა. სიხარული იყო დიდი. გარდაიკადეს პურობა და ნადიმი. შეიყუარეს ერთმანერთი ზომისაგან მეტად. ამას იტყოდა დარეჯანის-ძე: „არ მინახავს ჰაბუკი სეფედავლესებრიო“. და სეფედავლე მას აქებდა და ამას იტყოდა, ვითა: „მადლი ღმერთსა, რომე ჰაბუკისა უნახავი არ მომკლაო“.

და იგინი ძმად იფიცნეს. და დედოფალმან მადლი შესწირა ღმერთსა მათისა მშუიდობით დარჩომისათუის. დიდი გასაცმელი გასცა და დიადი შესწირა მიზგითათა, და გლახაკთაცა გაუყო დიადი.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო!

ჩუენ არ გაგუიშუა სეფედავლე. თუე ერთი სხუა დაეყაეით. მაგრა განსუენება, ნადიმობა და ნადირობა მაშინღა იყო, ოდეს ომსა აღარა მოელოდეს, და ენა ვერ იტყუის მაშინდელსა განსუენებასა!

წელიწდამდის ლამოდა დაჰირვასა და ჩუენ არ დაედეგით. მოგუცეს დიადი მოსაცმელი მანცა და დედოფალმანცა. და იგი შესამოსელი, რომე ომად მადის-ძე აქებდა, მის დიაცისაგან მოცმული იყო, ამირან დარეჯანის-ძესა მოსცა. რომე არა ნახულა ეგეთი შესამოსელი. და რომელი მასვე დიაცსა დედოფლისად ეძღუნა, იგი დედოფალმან მოსცა ხუარაშან[1] ქალისათუის და ეგრე შეუთუალა, ვითა: „ჩუენნი პატრონნი ძმანი არიან ერთმანერთისანი და ჩუენ დანი ვიყვნეთო“!

გუიბოძეს ჩუენცა ურიცხუი საბოძუარი მეფემან და დედოფალმან. მოგუცნა აქლემნი, ჯორნი და მონანი. აჰკიდეს იგი ყველაი და წამოგუატანეს თანა.

ისმენდი, მეფეთ-მეფეო, ცხოვნდი უკუნისამდე!

წამოვედით დარისპან შაჰრით და გამოგუყვა სეფედავლე ღღისა ერთისა საჳალსა. მისცეს ფიცი ერთმანერთსა ეგეთი, რომე: „თუ ეგებოდეს, ერთმანერთსა ზედა-ზედ ვინახვიდეთ და უშუელდეთო“.

[1] ამირანის ცოლის სახელია.

შეიქნა სეფედაელე ჩუენისა წამოსულისათუის მომძიმარი. დაგუიმძიმდა ჩუენცა გაყრა სეფედაელესი. არა იყო ჩუენთანა საუბარი სეფედაელეს ქებისაგან კიდე.

ვირემდის გამოვიარდით სამეფოსა მისსა, გუყენეს თანა დიდებულნი სეფედაელისანი. სადაცა დავდეგით, ვითა პატრონსა მათსა, ეგრე მოგუეგებოდეს. განსუენებისა რიცხუი არ იყო, ეგრეეე ძღუნისა.

გამოვიარეთ სამეფო მისი. შეიქცეს დიდებულნი სეფედაელისანი. და უბოძა მათ ამირან საბოძუარი დიდი და წამოვედით.

აქა ომი ამირან დარეჯანის-ძისა და ანთარქავის-ძისა

შორი იყო ბაღდადი დარისპან შაჰრით. ვითა მოვედით მას მინდორსა დიდსა შიგან ოდენ, ვნახეთ კაცი ვინმე მოვიდოდა ფიცხლად. და მოვიდა ჩუენთანა და ეგრე უთხრა დარეჯანის-ძესა: „გზედაე თქუენ მცირედთა, მაგრა სიკეთისა მინდობილნი ხართ. ესერა აქა წინა დგას ანთარქავის-ძე ლომი ჰაბუკი ეგზომ დიდითა ლაშქრითა, რომე რიცხუი არ არის. და თუით ანთარქავის-ძე ეგზომ ლომი ჰაბუკი არის, რომე ჯერეთ მისად ვერავინ შებმულა, და ფიცხლადრე წაელა გინდაო".

ჩუენ ეჰკითხეთ ამბავი მისი, თუ ვინ არის და ანუ სადაური არის. მან ეგრე თქუა, ვითა: „ამბვად მასმია მისი სიკეთე და ლაშქართა სიკეთე. თუალად არ მინახავს და არცა ამის მეტი ვიცი. მაგა გზასა ნუ წახუალთ, სხუა გზა არის მშუიდობისა — მას გზას წადითო".

წავიდა იგი კაცი და ჩუენ დაგუიმძიმდა: სხუას გზასა წასლეა სიჯაბნე იყო და მათზედა მისლეა საშიში იყო ლაშქართა სიდიდისა და მათ კაცთა სიკეთისაგან. ღონე არ იყო, მივჰმართეთ.

რა წავიარეთ ცოტა ხანი, ქარავანსა დაძრცეილსა ზედა შევჰკედით დაკოცილსა, რომე რისხვა ღუთისა ეწეოდა. რა ჩუენ მიმავალი გუნახეს მოქარავნეთა, ყივილი დაიწუეს, ვითა: „ვინ ხართ მანდა? წინა ანთარქავის-ძე დგას და მისნი ლაშქარნი. თუ მათგანნი არა ხართ, დაგკოცენო".

მაშინ ქაოზ ქოსის-ძემან ეგრე უთხრა: „თქუენებრ, ღმერთო, ვერა დაგუკოცენო; თუ არა, უკანა მოგუიდეგით და ჩუენ ესერა მათად ომად მივალთ და ნახეთო, თუ ვითა დაგუკოკონო".

რა ქაოზ ქოსის-ძემან ესე თქუა, იზრიალნა ერთობით მან ქარავანმან და უკანა წამოგუიდგა. ოდეს ზედა წამოვადეგით, იდგა ლაშქარი, რომლისა რიცხუი არა იყო.

რა ჩუენ მიმავალნი გუნახეს, ჩუენ და იგი მოქარავენენი ლაშქარი ვეგონენით ომად მოსრული. მერმე აჰკადა კმა მათ ლაშქართა შიგან და გამოვიდეს.

ჩუენ შევიმოსენით აბჯარნი და შეუტივეთ ცხენები. სიდიდითა მათითა და სიკეთითა ჩუენითა ესეთი ომი შეიქმნა, რომე ფიცხლად ომად კმა იყო.

მეფეთ-მეფეო, თუმცა გენახა დარეჯანის-ძე, ამას ჰბრძანებდი: „ერთი კაცი ამას — ღმერთო — ვერა სჯობსო".

ვითა გაძლიერდა ომი და ლაშქარმან ზეოტმან წასლვა დაიწყო, მოაკსენეს მას ლომსა ჰაბუკსა ანთარქავის-ძესა, ვითა: „მცირედნი ვინმე ჰაბუკნი არიანო“. გაჯდა ცხენსა და მოვიდა ფიცხლა, არგანი კელთა ჰქონდა. ლაშქართა გაუწყრა, ზე უკუყარა და ეგრე უთხრა: „მცირედთა კაცთა ზედა მისლვა ეზდენსა ლაშქარსა არა გრცხუენიანთო“?

გამოდგა და გუიყივლა: „ვინ ხართ, ძმანო, რომლისა ქუეყანისანი ხართო“?

ჩუენ უთხარით: „მობაღდადენი ვართო და ეზდენ ცოტანი ომად არ მოვიდოდითო“.

ამაზედა უბრძანა ანთარქავის-ძემან ლაშქართა მისთა შინა წასლვა და თუით მცირედითა კაცითა ჩუენთანა უბნობდა და კარგსა ჰაბუკსა ჰგვანდა.

და მას ომსა შიგან ლაშქარი დაგვეცოცა დია და ეგრე თქუა: „ჩემი ლაშქარი დაგიოცებიათო. განა არ გაბრალებ, მგზავრნი მოხუიდოდით და ჩემთა ლაშქართა არ გაგიკითხეს, ომი დაგიწყეს და თქუენმცა განა დაჰკოცენით. აწ გამიშუიხართ, წადითო“.

ამაზედა შეხედნა ამირან დარეჯანის-ძესა, თუალად თურე შეუყუარდა და ეგრე უთხრა: „შენ, დიდო კაცო, თუალად რასმე კარგი ხარ და მე ომისა მძებნელი ვარ. ინდოდა მეფისა ასული წამომიყვანია და ჩემთუის ომი ვერავის გაუსწორებია. აწ მინდა ესე, რომელმცა ვინმე შემება და ომი გამისწორა. აწ, თუ შეგიძლია, შემები, თუ არა, წადი; ხარ, ღმერთო, დიდი და საჭაბუკოდ შექნილი, განა სიდიდე სიჯაბნესა არა აყენებს“.

ამირან დარეჯანის-ძემან გაიცინნა და ეგრე თქუა: „ესერა მრავალნი ჟამნი დამიყოფიან და აწისაგან კიდე ომი თუალითა არა მინახავს. განა ვინათგან თქუენ გწადიან, გამოვიცადო მეცა თავი ჩემიო: ნუთუმცა კარგი ეიყო და უსახელოდ არ მოეკუდეო“.

მან ეგრე თქუა: „მაშა, ულონიოდ ჯაბანი ხარ, თუ ჯერ ომი არ გარდაგიკეთიაო. თუმცა გულოვანი იყავ, მრავალიმცა ომი გარდაგიკეთიაო“.

ამაზედა ზურგი შემოაქცია და წავიდა. ეგრე უთხრა დარეჯანის-ძემან: „რად წახუედ, რად არ შემებიო? რაზომცა ჯაბანი ვარ, შებმასა, დაკოდასა და ჩამოგდებასა არა ღირს ვარა“? ანთარქავის-ძემან ეგრე უთხრა სიცილითა: „უბადოო, ნუთუ გასწბილდეო და ვერა შეგეძლოს ნაკრაესა ჩემისა დადგომა და მოგკლა, მებრალებიო“.

ეგრე უთხრა ამირან: „მე ესე და იგი არა ვიცი, ესე ჭარავანი ჩემი არის და გაგიძრცვია. და, თუ ყველასა კელთა არ მომცემ, ზენაარმან ღუთისამან, რაცა ჭარავნისათუის შენ და შენთა ლაშქართა გიყოფია, მასეე თქუენ გიზამ“.

ამა სიტყუასა ზედა გაწყრა იგი ანთარქავის-ძე და, გუერდით კაცნი ვინმე უდგეს ჰაბუკნი, მათ უბრძანა: „ეგერა ცხენისაგან ჩამოყარენითო და ქუეითნი მომისხენითო“.

მათ კაცთა ცხენი შემოგუიტიეს. მერმე ამირან ჩუენ გუიბრძანა: „ჩემსა მზესა, ნულარც ერთსა ნუ დაარჩენთო“. ჩუენ განალამცა შეუტიეთ და მისლვასავე ჩამოეყარენით და დავკოცენით.

ამაზედა კულა უფრო გაწყრა იგი ანთარქაიის-ძე. ცხენი გამოიყვანა და წბილად აგინა დარეჯანის-ძესა: „ვამოდი, შეეიბნეთო“.

გავიდა დარეჯანის-ძე. ამაზედა მოვიდა ლაშქარი და კმა გაისმა: „შეიბმიანო“ო. მოდგა ლაშქარი ურიცხუი. მერმე უბრძანა ლაშქართა ანთარქაიის-ძემან: „ზე უკუდეგით, მე და ის კაცი ოდენ შეეიბნეთო. თუალად რამე კარგსა ჰგავსო“.

ცხენი შეუტივეს ერთმანერთსა და იბრძოდეს დიდი ხანი.

მერმე ალი მოამადის-ძემან მოაკსენა დარეჯანის-ძესა: „მართლად დაგიწუნა მაგა კაცმან, ვერა რამე შენებურად გხედაო“.

ამა სიტყუასა ზედა გაიყვანა ცხენი და ეგრე უთხრა: „აჰა, ალი მოამადის-ძეო, ამისი სისხლი შენსა თავსაო!“ ჰკრა კმალი ჩაბალახსა ზედა და, თავმან მეფობისა შენისამან, წელთამდის ჩაჰკუეთა და მოკლა!

მისნი ლაშქარნი გაიქცეს. ჩუენ დევნად მათად აღარა გაგუიშუნეს. ეგრე გუიბრძანა: „ამათი არა ბრალიაო“. ვითა ჩუენ უკანა აღარ გაუდეგით, ზოგნი დაიფანჩნეს და წავიდეს, ზოგნი მოვიდეს და თაყუანი სცეს.

მივედით კარავთა მათთა და ლარისა სიმრავლისა რიცხუი არ იყო. ვნახეთ იგი ინდოთა მეფისა ასული ეგეთი, ვითა მზე. გაეხარნეს დარეჯანის-ძესა და მუნვე მაჰრი გაუკუეთა და ცოლად შეირთო.

დაეყავით იგი დღე მათ კარავთა შიგან. ზოგნი ყმად შემოგუეწყნარნეს და უფროსნი გამოგუეთხოვნეს, დიდითა ლარითა გაუშუენით. მერმე მოქარავნენი მოვიდეს, ქება შეასხეს და ეგრე თქუეს, ვითა: „ბედმან ჩუენმან მოგიყვანა და, რომელი ჩუენი წაუღია, გუიბოძეთო“. რაცა მათი იყო, უკლებლად მისცა მცირედთა ტურფათაგან კიდე, თუალი და მარგალიტი დავიჭირეთ და სხუა მივეცით. წავიდეს და ჩუენცა წამოვედით ბაღდადს.

დ ა ს ა ლ ე ბ ა ნ ი:

1. დაახასიათეთ რაინდობა და რაინდული იდეალები «ამირან-დარეჯანიანის» მიხედვით.

2. შეუდარეთ «ამირან-დარეჯანიანის» მეოთხე კარი ხალხურ თქმულებას ამირანის შესახებ.

ვისრამიანი

«ვისრამიანი» გადმოთარგმნილია სპარსული ენიდან. სპარსული ორიგინალის ავტორია ფახრ-უდდინ-გორგანელი (ქართული ვერსიით: ფაბფურ ჯორჯანელი[1]). გორგანელს თავისი რომანი შეუთხზავს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფალასურიდან გადაუკეთებია 1048 წელს. სპარსული დედანი დაწერილია ლექსად. ქართული თარგმანის დრო ზედმიწევნილობით ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში «ვისრამიანი» უსწრებს მეხოტბეებს, თამარ მეფის ისტორიკოსს და «ვეფხის-ტყაოსანს». ჩამოთვლილი ძეგლები თითონ იმოწმებს «ვისრამიანს». რადგანაც სპარსული დედნის დაწერის თარიღი ვიცით, შეიძლება თითქმის შეუმცდარად ითქვას, რომ თარგმანი XII საუკუნის პირველი ნახევრისა იქნება. «ვისრამიანის» გადმოთარგმნა მიეწერება სარგის თმოგველს.

«ვისრამიანი» საკმაოდ თავისუფალი თარგმანია და მრავალ რედაქციულ თავისებურებას შეიცავს: აქა-იქ ტექსტი გადაკეთებულია, ალაგ-ალაგ შეკეცილია, ზოგან გავრცობილია და სხვ. მხატვრული თვალსაზრისით ქართული ტექსტი ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სპარსულს, პირიქით, ცალკე შემთხვევებში აჭარბებს კიდეც. «ვისრამიანის» ენა, სტილი იმდენად მოხდენილია, კლასიკურად სრულყოფილია და ქართული ეროვნული იერის მქონეა, რომ იგი სრულიად არ ტოვებს თარგმანის შთაბეჭდილებას. ერთი სიტყვით, «ვისრამიანის» ქართული ტექსტი თავისუფლად შეშუშაებული და თავისებური რედაქციული სახის მქონე ნაწარმოებია.

«ვისრამიანი» ასახავს უმაღლესი ფეოდალური წრისა და კერძოდ სამეფო კარის ზნეობრივ ყოფა-ცხოვრებითს მხარეს. ნაწარმოების მთავარი მოტივი მიჯნურობაა (სიყვარულია). მიჯნურობა გაგებულია დაუცხრომელ და თავშეუკავებელ ხორციელ ჟინად. «ვისრამიანისთვის» უცნობია „შორით ტრფობის და შორით დაგვის“ ამბავი. მიჯნურებს აკლიათ სულგრძელება, სიდარბაისლე, ნებისყოფის სიმტკიცე, გამძლეობა; მათ ახასიათებთ სულწასულობა, სიმშიატე, ჰპრბი გრძნობიერობა, ცბიერება პირფერობა და სხვა. «ვისრამიანის» მიჯნურებს უფრო ჟინი და წუთიერი თავდავიწყება იტაცებს, ვიდრე ღრმა და მტკიცე სიყვარულის გრძნობა. ავტორი იცავს თავისი გმირების სულწასულ საქციელსა და მსუბუქ ყოფაქცევას. კიდევ მეტი: ის ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს იმათ და პირდაპირ აცხადებს: ვისსა და რამინს «ყუედრება არ უნდაო». და ეს გასაგებია, რადგანაც თხზულების ავტორი უდარდელი არისტოკრატიული სახოგადოებრიობის იდეოლოგია, ამ სახოგადოებრიობის ზნეობრივი ცხოვრების დამცველია. ეთიკის თვალსაზრისით «ვისრამიანი» დიდად განსხვავდება «ვეფხის-ტყაოსნისაგან».

«ვისრამიანი» საშუალო საჯუნების ტიპობრივი სამიჯნურო რომანია და ბრავალნაირი (როგორც იდეური, ისე ფორმალური ბასიათის) ნათესაობა აქვს კარგად ცნობილ «ტრისტან და ისოლდასთან».

«ვისრამიანი» გამოცემულია მხოლოდ ერთხელ (ილ. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით, ტფილისი 1884). თავის დროისათვის ეს კარგ გამოცემად უნდა ჩაითვალოს. ჩვენი ტექსტი დამყარებულია ხელნაწერ მასალებზე (წ. კ. №№ 27 და 17) სამწუხაროდ ჩვენ დრომდის მოღწეული ხელნაწერები შედარებით გვიანდელ დროს ეკუთვნის (უფრო ძველი XVII

[1] ჯორჯანელი იგივე გორგანელია, მაგრამ არაბულად გადაკეთებული.

საუკუნისაა) და ალაგ-ალაგ დამახინჯებულია. ამიტომაც ზოგიერთი წარყვნილი ადგილის შესაწორებლად და შესასწორებლად გამოყენებულია აგრეთვე «ვისრამიანის» სპარსული ორიგინალი (დაბეჭდილი კალკუტაში 1865 წ.).

«ვისრამიანის» ქართული ტექსტი ინგლისურად თარგმნა უორდროპმა (დაიბეჭდა 1910 წ. ლონდონში).

ლიტერატურა:

1. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტორია, I, 281-299.
2. მისივე, Очерки, II, 169-205.
3. ნ. მარი, К вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую, ЖМНП, 1897, III.
4. მისივე, Из грузино-персидских литературных связей, „Записки Коллегии Востоковедов", т. I, Ленинград 1925.
5. ი. აბულაძე, მე-XII საუკუნის საერო მწერლობა და ვეფხის-ტყაოსანი, ტფ. 1923, გვ. 19-21, შენიშვნა.
6. კ. კეკელიძე, II, 64—76, 249-251.
7. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 81-129

ხანში შესულმა ადრაბადაგანელმა შაჰმა მოაბადმა ერთ-ერთ ნადიმზე პირობა ჩამოართვა ხანში შესულსაც, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც მშვენიერ შაჰროს, რომ, თუ ოდესმე ქალი მიეცემოდა, აუცილებლად მისთვის მიეთხოვებინა. გავიდა ხანი და შაჰროს მართლაც შეეძინა ქალი. რომელსაც ვისი უწოდეს. ვისი გაიზარდა და დაშვენდა. დედამ აღთქმული პირობა დაიიწყა და, ცეცხლთაყვანისმცემელთა წ ს-ა მებრ, ვისი თავისსავე ძმას, ვიროს, მიათხოვა. ეს ამბავი მოაბადმა გაიგო და პირობის შესრულება მოითხოვა. თუმცა ვირო დიდ წინააღმდეგობას უწევდა ახირებულ მოკიშკიშეს, მაგრამ შაჰმა მოახერხა სასიდედრო მოყიდვა და ახალგაზრდა საცოლე ძალით ჩაიგდო ხელში. საპატარძლო მაყრიონის გაცილება წილად ხვდა მოაბადის უმცროს ძმას, მოხდენილ ჭაბუკ რამინს, რომელიც ადრიდანვე იცნობდა ვისს და სიყვარულის გრძნობითაც იყო მისდამი გამსჭვალული.

ამბავი დასაწყისი ვისისა და რამინისა

რამინ სიყმაწვილითგან მიჯნური იყო ვისისი: ოდეს ორნიე ხუზისტანს იზარდებოდეს ძიძისასა, მაშინ ყმაწვილსავე შეჰყუარებოდა ვისი, მაგრა ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა სიყუარული მისი და სურვილი, გუალეისაგან გამკმარსა ყანასა ჰგუანდა ნაყოფისა არ მოსლვისათუის იმედგარდაწყვეტილსა.

რა მერეღ ძიძასა გუერდით გორობს მოვიდა რამინ და ვისის სახელი ესმა, კულა მოირწყო მისი მიჯნურობა და, ვითა გამკმარი ყანა წყლისაგან, გამწუანდა და რამინ იმედოვნად შეიქმნა ნაყოფისა ჰამისათუის, დია გაუყმდა გული და დაბერებული სიყუარული ვისისათუის, გაუახლდა მიჯნურობა რამინს. ვერცაღა ენამან დაუთმო უთქმელობა და ფიცხელი სიტყუა მოაკსენა ძმასა მისსა შაჰი მოაბადს.

- ძმაჯან: ვისსაცა გულსა შინა სიყუარულისა ცეცხლი ეგზებოდეს, ვერცაღა ენასა დააბამს, წასძლეეს სათქმელად. გამოეცხადა ენამან საპატიმროებისაგან ხუაშიადი. პატრონისა უნებლიე ღმერთმან ნუვინ გაკადოს, ამით

რომელ დიდი აუგი ჰრთავს ამას. ენისა შემნახავი გული და საწუნელი სიტყუა უგულოდ არ ითქუმის.

რა რამინს გული აუდუღდა ვისის სიყუარულისაგან, კუშტად ეგრე მოაკსენა ძმასა მოაბადს:

— ჰე, კელმწიფეო! რად იჭირვი ეგზომსა ვისის ძებნისათუის? ნუ წაადებ საჭურჭლესა უსაქმოდ ცუდისა საქმისათუის, ამით რომელ დიდსა ჭირსა ნახავ და პაშტასა საჭურჭლესა უსაქმოდ გაანქრევო.

არაჯი: რაცა მღაშესა ადგილსა დასთესო, თესლისაგანცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანცა. ვერცა ოდეს ვისის შენ შეუყუარდე, და არცა შენსა საქმესა წაღმართი ჰქონდესო.

შეგონჯბა: თუალსა პატიოსანსა ეძებდე, რაზომცა დიდად სძებნო, ვერ ჰპოებ, თუ ადგილსა მისსა არ მიხუიდე. აწ ვითა ეძებ სიყუარულსა და მზახობასა მისისა შვილისაგან, რომლისა მამა შენ მოგიკლავს? არცა შეშინდების ვისი ლაშქრისა სომრაელისაკან და არცა მოღორდების თუალითა და მარგალიტითა და სამკაულითა. დიდითა ჭირითა ჰპოო ვისი შენ. მაგრა ძისგან ჭირი რომელ შენ ჰნახო, ვერ გასძლო. რა თავისა სახლსა შიგან მტერი გიჯდეს, ვითამცა საკელსა შიგან გუელი გიზის. წყალი თუ გარეთ შემოგიეიდეს, მისი რგება ეგების; მაგრა თუ შინათ აღმოჰკედეს, მისი რგება აღარ არის. ჯარესი საქმე შენი და ვისისი ესე არის, რომე შენ ბერი ხარ და იგი ყმა. თუ ცოლსა შეირთავ, სხუა ვინმე შეირთე, ყმისათუის ყმა თქმულა და ბერისათუის ბერი. ვითა ბერსა ყმა მოუნდების, აგრევე ყმასა ყმა მოუნდების.

არაჯი: შენ სთუელი ხარ და ვისი გაზაფხული, და თქუენი ერთგან შეყრა ძნელი საქმეა. თუ მისად უნებლად მას გუერდით სჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სიხარულსა ვერა ჰნახავ, მიწყიე თავისა საქმისაგან ინანდე. თუ გახლვიდეს, ჭირსა და ბოროტსა მისსა ვერ გაუძლებდე და, თუ გშორვიდეს და კიდეგნად იყო, არცა მისი დონე და გაძლება გქონდესო.

შეგონჯბა: სიყუარულისა ასაკი ზღუისა მსგავსია. მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. თუ გწადდეს, ზღუასა ადეილად შეხუალ. მაგრა, თუ აღარა გწადდეს, ძნელად დაეკსნები.

ჰუქუმათი-შეგონჯბა: აწ შენისა თავისათუის შენ აგეთსა სიყუარულსა ეძებ დღეს, რომელ ხვალე შენთუის ფათერაკად მოკდების. და თუ იცი, რომელ შე მართალსა ვიტყუი, — ამა ჩემისა ნათქუამისაგან შენსა სარგებელსა ვეძებ, — მოისმინე ჩემგან ესე შეგონება; და თუ არა მოისმენ, შენ შენთუის იქმ ზიანსა.

მოაბადმან რა რამინისაგან ესე სიტყუა მოისმინა და შეგონება, ემწარა. სნეულებისაებრ იყო სული მიჯნურობისაგან, რომელ პირსა შიგან შაქარი ემწარებოდა. თუცა რამინისა მცნება სიყუარულისა წამალი იყო, შანშა მისისა შეგონებისაგან სიყუარული მოემატა.

მიჯნურობითა გატენილი გული შეგონებასა არა მოისმენს, ფათერაკი ლხინად უჩანს ნებისა ძებნასა შინა. რა კაცსა უყუარდეს ვინმე, რაზომცა

ვინ აძულებდეს, უფრო და უფრო შეუყუარდების. ვითა დაბერებითა გუელი ვეშაპად შეიქნების, აგრეე მიჯნურობა რა გახანიერდეს, გაძნელდების.

კაცთა ყუედრება თუ მახუილიცა კრმალი იყოს, კაცი მიჯნური ფარად ღუიძლსა მიუპყრობს; თუ მიჯნურობასა ზედა შავი ღრუბელი დგეს, თავსა მისსა ყუედრებით ქვა წუიმდეს, არცა მაშინ შეშინდების მიჯნური. ყოველსა საქმესა შიგან კაცსა ზიანი დაუმძიმდების, მაგრა მიჯნურობისაგან გაეხარების.

რაზომცა აუგი უთხრან მიჯნურსა მიჯნურისა, მიჯნურობასა მისისა გულისაგან ვერცა ეგრე აღმოიღებენ. არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყუედრება. ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია!

რამინისაგან ვისისთუის გაჭიჯნურება

მიეიდოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ლაშქარნი და ვისის კუბოსა ხოჯანი მიჰყეებოდეს. ანაზდად ღუთისა განგებისაგან ადგა დიდი ქარი და მოჰგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა, ანუ ანაზდად მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისის პირი და მისისა გამოჩენისაგან დატყუევდა რამინის გული. თუ სთქუა, გრძნეულმან მოწუამლა რამინ და რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო.

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცელის ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა; მოედვა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა, დაუწუა ტუინი და გონება წაუღო. წამსა თუალისასა დაუმკუიდრა მიჯნურობა, წაუღო სიყუარულმან სული, გული. მისისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაჰრა და გახელება იყო. და, რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხან უჩქოდ იდვა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე, წითლისა იაგუნდისა მსგავსი, ცისფერად შეექნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქნა.

ვინცა დიდებულნი და მოყუენი ეახლნეს, ქუეითნი და ცხენოსანნი, მოეხუივნეს რამინს, ზედა უპურეტდეს და ვერავინ შეატყუა, თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასლვისათუის ყოველი კაცი ტიროდა და მისისა ჰირისათუის ყველა მისგან უძნელე იყო.

რა დიდხან აგრე უსულო-ქნილი იდვა, არცა ყიეილი შეესმოდა, არცა სურნელთა კმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა. მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, და ენისა კმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს. მერმე კელი უკუ-იღო და კაცთა სირცხუილითა კუნესა დაიწყო.

ჴოახლე-მნახავსა ყუელასა ასრე ეგონა, უღონიოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცაო.

რა კულა რამინ ცხენსა შეჯდა, მეტისა გონებისაგან ებნელებოდა ნათელი დღე. გზა-გზა მიეიდოდა ხელიეითა, გული მისი, ეშმაკსა ეხუთა და თუალნი მისნი ვისის კუბოსაკენ დარჩომილ იყუნეს, ეითა მპარავი, რომელ მიწყითა უკეთესსა ლარსა უმხერდეს.

და სულთქუმით ცრემლიანი ამას იტყოდა: „ნეტარძი ჩემთუის, თუმცა ერთხელ კულა ვნახე მისი პირი და ანუმცა ღონე იყო, მეკუბოობა მისი ამასა გზასა მე მამხუდებოდა. აჰა, იქნებოდამცა და ერთხელ ჩემი კუნესა ესმა და წამსა შემომკრნა თუალნი და შემომხედნამცა! აჰა, იქნებოდამცა და მწე ვინ შემექნებოდა მადლისა მძებნელი და წურილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა და სალამი ჩემი მას მოაკსენა! აჰა, იქნებოდამცა და სიზმრად ვეჩუენე და კალთა ჩემი, ჩემისა სისხლისაგან შეღებული, ნახა, ნუთუმცა მაგარი გული მისი ჩემთუის მო-რე-ლბა და ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლსა ზედა მო-რე-ტფა! აჰა, იქნებოდამცა და იგიცა ჩემებრ გამიჯნურდებოდა და მე ვითა მისისა სიყუარულისაგან ვარ, იგიმცა ნახევრად ჩემთუის იყო; ნუთუ რა მიჯნურობისა ჰაშნიგი ნახოს, არ უწყალოდ ამპარტავან მექნას!

ზოგჯერ რამინ ესრე გუარსა იგონებდის და ზოგჯერ სულ-დაღებული დაღრეჯით იყვის თავ-ჩამოგდებით. და დათმობა გამოარჩივის და ეგრე თქუის; „ვაი, გულო ჩემო, რა წაგეკიდა? რასა მოედები და ჭსარგებლისა ნატრისაგან პატიჟსა იმატებ? რასა მოელი, ანუ ეზომსა რასა იჭირვი მის მთოვარისა სიყუარულისათუის, რომელსა ყოლე შენ არ მოეგონები? რად მოელი ვისის შეყრასა? მუნით აქამდინ კორციელი მზისათანა ვინ შეყრილაო? რად უმეცრულად იმედიანი ხარ მისგან, რომლისაგან ლხინის საეჭუო ყოლა არა გაქუს“?

ჰრაჯი: „შენ გწყურიან და წყლისა მძებნელი ხარ, მაგრა რას გერგების, რადგან ჰმელსა მინდორსა შიგან ხარ?! შე-მცა-ებრალები შენსა დამბადებელსა მით, რომელ დიდად ძნელად არის შენი საქმეო.“

რა კარგად მაგრად დაება რამინ მიჯნურობისა ბადესა და გაკდა უიმედოდ გულ-გატეხილი და გულ-წყლული, არცა თავისა ნებისა ძებნა შეეძლო და არცა დათმობისაგან კიდე სხუა ღონე იცოდა.

უნდოდა თუ არა, არა გული დადეა და მგზავრობა დაიწყო მათვე თანა უნებლიე. და მუნ მყოფისაგან აჩის მეტი სარგებელი არ მიჰხუდის, რომე ხანდახან ვისის კუბოსაგან სული ეცემოდის, თუცა სული და გული მისი ვისის პირი იყო და იგი მისისა კუბოსა ჭურეტითა დაჯერებულიყო.

მიჯნურობისაგან უარესი არა არს საქმე, მიჯნურისაგან უფრო საბრალო არავინ არის!

ამბავი რამინის მიჯნურობისა

რა გულ-წარსრულსა, რამინს გაუძნელდა საქმე და უღონო იქნა, გაუბედითდა მიჯნურობისაგან ბედი: მიწყით უკაცურსა ადგილსა ეძებდის და მარტოდ დაჯდის, ტიროდის შეუსუენებლად და ღამით ძილი არა ჰქონდის, არცა თავი სასთაულსა ზედა მიდვის, ვარსკულავთა უჰურეტდის და ფილაქთა სამისოდ მოქცევისათუის ღმერთსა ეაჯებოდის; არა ჰქონდის მოსუენება არცა დღისით და არცა ღამით, ვითა ხელი ცურვიდის, ვითა კანჯარი და ვითა ველური თხა, კაცთა ფრთხებოდის. ვისის ნაკუთისა მიმსგავსებითა სადაცა ნაძუი ნახის, თუალნი ვერ მოსწყუიტნის; სადაცა წალკოტსა შიგან წითელი ვარდი პოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათუის

მას ჰკოცნიდის და ყოველთა დილათა ია კრიფის და მისისა თმისა ნაცვლად გულსა ზედან დაიდვის; მიწყივ მისი არიფი, რა ტირილისაგან მოიცალის, ორძალი იყვის და ნადიმი; სადაცა დასწავლებული მიჯნური იყვის, ძრავლითა და უცხო ფერითა რათმე კმითა კეკლუცად სიმღერა თქუის, — ყველა მოყურისა სიშორისათუის, — და, რა სულთქნის, ზაფხულსა ზამთრეული ქარი ააქროლის. მისითა კუნესითა კაცსა გული ეგრე გაუხდის, რომე იადონსაცა შტოსაგან ჩამოაგდებდის. ეზომისა სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუკლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თუალსა დღე ნათელი ბნელი იყვის და მას ქუეშე სტაერისა ამო საგებელი ეითა გული იყვის.

ასრე საბრალო იყო და ჩოსუენებელი მიჯნურობისაგან. ღუინოსა ყოლა არა დაიახლებდა ამისითა შიშითა, რომელ რა სუის, სრულად თმობა წაუღის ღუინომან. ესე ვერავინ ჰკითხის, თუ „რას ჭირისაგან ხარ ეგრე“ო? სანთლისებრ იწუებოდა, დნებოდა და წყლული გული მოყურისათუის შეეწირა. მისთუის სიცოცხლე გაბედითებულიყო და სიხარული მისსა გულსა ერთობით გაეწირა. ტირილისაგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასურილი იყვის და კუნესისაგან პირი მისი — რჩოსფერი. მიჯნურობისაგან და ჭირისაგან სულნი ბაგემდის მოსლეოდეს და მიწყით თავისა სიცოცხლისა და მოყურისაგან იმედ-გარდაწყვეტილი იყვის. მოყურისა მისისა სახე თუალთა შიგან გამოესახა და თუალთა მისთაგან ძილი კიდე-გან-ქნილიყო. სიდიდე ქუეყანისა მტკაელითა გასაზომლად უწნდა. მეტისა გონებისაგან დამთურალთა და ხელთაებრ უცნობო იყვის. საწუთროსა საქმისა ზოგჯერ ღონედ მოიგონის და წილნი ყარნის მოყურისა სახელისადა: „ბოლოსა ჟამსა ჩემი და მისი საქმე ვით ერთგან იქნებისო“! ზოგჯერ შანშას ბაღსა შევიდის, ბრუნვიდის და ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენნის და ეგრე უთხრის: „ჰე, ყოველნო ხენო! მოწამენი იყავთ ჩემნი, ასრე მტირალი მნახეთ დია. რა მხიარული ვისი აქა იყოს, მას მოაკსენეთ, ნუთუ გული მისი უსამართლოსა ქნისაგან გასწბილოო“! ზოგჯერ იადონთა ეუბნებოდის და ერჩოდის მრავლითა საყუედურითა და ეგრე უთხრის: „თქუენზედა რა მოსრულა ქუეყანასა ზედა ეზომი ავი, რომლისათუის თქუენ ეზომსა იზახით? რა წაგკიდებია, თქუენთა მოყუარეთა გუერდით შტოთა ზედა სხდეთ, არ ჩემებრ ჰშორაეთ და გაშტერებულ ხართ საბრალოდ“?!

არაჯა: „თუ ათასფერი წალკოტი და სიმსიარულე გაქუს, მე გულსა ზედა ათასფერი დაღი მაქუს. რადგან თქუენ მოყუარეთა გუერდით ასრე იზახით და ჰკუნესით საბრალოდ, მე რაღა ვქნა, რომე არცა ნახვისა მოლოდნა მაქუს! მე მშუენის ჟამსა და უეამოსა კუნესა და ზახილი, აჱით რომელ ჩემმან სულისა წამღებელმან ჩემი ჭირი არ იცისო“.

ვისისაგან რამინის ნახვა მოაბადის დარბაზთა შიგან და მისთუის გამოჯნურება

რამინის ბედისაგან შაჰი მოაბად დარბაზნი შეაკაზმინა. რამინ უკმო და სრულად დიდებულნი და აზნაურნი ყველანი ერთობით სუმად და სიხარუ-

ლად დასხდეს. მუტრიბთა ამღერებდეს, ცისებრ ავსილიყო დარბაზი მზისა, მთუარისა და ვარსკულავთაგან. სიხარული ჰქონდა მოაბადს დიდი.

მოაბადის ამირსპასალართა შიგან რამინ ესრე ჩნდა, ეითა ვარსკულავთა შიგან მთუარე. გაზრახვით მოკარებებით შეკაზმულიყოცა. მუშკი და ქაფური ვარდ-რეული აშუენებდა. მიწყითისა გონებისა და შეჭირვებისაგან გული მისი წელთავე დამსგავსებულიყო სიწლოთა და საწუთრო დანავღლებოდა. სუმად, ნადიმად და სიხარულად მჯდომი მუტრიბთა თანა წყალსა შიგან მრჩვალსა ჰგუანდა. მიჯნურობისა და ღუნისაგან ორფერი სიმთურალე ჰქონდა. და ღუნისაგან პირი ყაყაჩოსა დაჰმსგავსებოდა, მიჯნურობისაგან — გულ-მძინარესა. ვისის გონება ტუინსა გასჯდომოდა და სახე მისი თუალთაგან არ მიეფარებოდა.

ვისი თუით ძიძასა მოეყვანა, მალეით სარკუმელთა აპურატინებდა მსუმელთა დიდებულთა და რამინს. თუით ძიძამან განაღამცა ეგრე მოაესენა ვისის: „ჰე, თუალთა ჩემთა სინათლეო! ნახამცა ვინ რამინს უკეკლუცესი ლაშქართა შიგან? მიბრძანე, შენსა მზესა, არ წყლიანია და უმიზეზოა? არ დია ჰგავს რამინის პირი ვიროს პირსა? არ ღუთისა წყალობაა, რომელ შაჰი მოაბადის დარბაზი მისგან ელავს? კამს, თუ ისი უსწორო გიყუარდეს და ერთმანერთისაგან გაიხარნეთო“!

ვისი ვითაც უჭერეტდა რამინს, ეგრევე სიყუარული მოემატებოდა. და რა კარგად გაიცადა რამინ, ვიროს სიყუარული სრულად დაავიწყდა. გულსა შიგან ამასა იტყოდა: „აჰა, ნეტარძი მას, ვისცა ესეთი ქმრად მიხუდა! ნეტარ, რას უბედურობასა მომახუედრებს მისი ნახვა, რომელ ვირომიან ისრე სრულად დამავიწყა! აწ რადგან ძმისა და დედისაგან მოწყუედილვარ, მიწყით რად ვიწვი, რაღა სარგებელია? რად ვხი მარტოდ ეზომსა ხანსა? ვირემდის ჰირი გავსძლო? არ რკინა ვარ. ამისსა უკეთესსა მოყუარესა ვერა ვპოვებ. მიჯობს მისი წადილი ავასრულო“.

ესეგუარსა რასმე იგონებდა გულსა შინა და მათ დღეთა ცუდად წაკდომასა ინანდა. მას სიყუარული არა გამოუცხადა, თუცა მისისა მიჯნურობისაგან გახელებულიყო და ცეცხლი ეგზებოდა.

რამინიხი და ვისის ერთგან შეყრა

რა კარგი წელიწადი და კეთილი მოვიდოდეს, გაზაფხულეე შეეტყუებისა, ვითა ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა მომარჯუებით იქნა.

რა ვისმან სიყუარულით შეხედნა რამინს და საწუთროსა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოჰკოცა, თუცა ჰირი და გულისტკივილი დიდად ენახა სიყუარულსა შიგან, ერთგან დიადიცა გაიხარნეს. მასეე კუირასა ერთგან შეიყარნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა.

შაჰი მოაბად აიყარა ხორასნით და ნობათსა კარავსა პირი ხორასნისაკენ აქნევინა, გურგანით ქოისტანს მივიდა და ქოისტანით რეს მივიდა და ხანსა დაზმიდის, თავისა ქუეყანათა შიგან იურვოდის და ინადირებდის. დარჩა რამინ ხორასანსა მარავეს შიგან ამით მიზეზითა, რომელ თაეი მოი-

სნეულა. ძმამან თაჳისა ადგილი, ტახტი და ქუეყანა მას შეაჳედრა და მოსამართლეობა და სიმდაბლე დააჳედრა.

შანშა წავიდა მარავით ქალაქით და დარჩეს მარავს შიგან ვისი და რამინ და ძიძა.

პირველსა დღესა დაჯდა ვისი პირ-მზე ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად სადედოფლოსა მაღლად აგებულსა დარბაზსა შიგან, ზეით ქუეშემდისი ოქროთა მოხატულსა. და ამას დარბაზსა სამნი კარნი ებნეს, ერთი დიდსა დარბაზსა გასავალსა, ერთი წალკოტისაკე და ერთი გაღმა გზისაკე. ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტსა ზედა სიკეკლუცისა და სიმხიარულობისაგან თავ-დაჯერებული, დიდსა გემოობდა, თავით ფერკამდინ თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული იყო და ვისის შუენებისაგან ყოველი კეკლუცი დაღუხჳრებულიყო, ასიათასი ვარდი პირსა ზედა უყუაოდა და ოცდათორმეტი მარგალიტი დაცმული პირსა შიგან უნათობდა.

ვისის სული ვისაც ეცემოდა, მკუდარსა გააცოცხლებდა და წყლულსა გაამთელებდა. წალკოტსა შიგან ვარდი მისისა პირისაებრ აყუაებულიყო და მუშკისა სული დიოდა. და ვისისა საუბრისაგან სურნელობისა კუამლი, ვითა ჰაერსა ზედა ღრუბელი, დადგომილიყო: თუ სთქუა, ამბარსა და ალვასა აკუმეჳდეს.

სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლნი და ასულნი ვითა მზენი, თუცა მას წინაშე არად ჩნდეს, და ვარდის წყალსა ზედათ აწუიმეჳდეს. სამოთხესა ჰგუანდა მათი დარბაზობა. ძიძა, ვითა სამოთხესა ზოგჯერ ვისსა კაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა.

რა დარბაზობა გამოიყარა და ხალვათად დასხდეს, ძიძამან ზემოსა გზისაკენ რამინ შემოიყვანა მოაბადის საწოლსა შიგან. ვითარცა არ იგი სახლი ენახა და არ მისრ გულის წამღები ვისი გაეცადა და არა ადრითგანი მისი საწადელი გასრულებოდა, ასრე სიხარულითა უჯკო იქნა და გულსა ესე ვერ დაეჯერა, თუ ესე შენზედა ეგებისო. მისითა შეყრითა უკუდავების წყალი წუიმდა მას ზედა.

რა რამინ ქუეყანისა დამაშუენებელსა მზჳსა გუერდით დაჯდა, მაშინვე მისისა გულისაგან ცეცხლი და კუამლი დაშრტა. სიხარულითა ორნივე ღაწუნი უყუაოდეს და ეგრე არქუა: „ჰე, ყოვლისა სიხარულისა დასაბამო! ღმერთსა ყოვლითურთ უკლებობა შენდა უბოძებია, გუარად ყოველთა დედოფალთა უფროსი ხარ და საყუარლობისა საქმითა ყოველთა გრძნეულთა ოსტატი. ვარდი ხარ ქაფურეული, მუშკ-სული, თმა-ამბარი, მთუარისა სახე და სარო ნაკუთი. შენ სიკეკლუცითა მზე ხარ და ნეტარძი მას, ვისცა ანათობ“!

არაჯი: „შენ ელვარებითა მნათობი მთუარე ხარ, მაგრა მიჯნურისა გულისა დამანელებელი. ბედსა შენდა ესეთი სინათლე მოუცემია, რომე უბედურისა ბედისაგან ჯანგსა ამოჰკოცო“.

რა ესე საუბარი ვისსა ესმა, სირცხუილითა ნელად და ლამაზად ნაზი პასუხი გამოსცა და ეგრე არქუა: „ჰე, ბედ-სუიანო ჯობარდო! მე საწუთროსაგან დიდად-დიდნი ჭირნი მინახვან, მაგრა ეს თურე არა ჭირი მინახავს, რომელ აწ ჩემი მოყუენება მომიადუილებია. ჩემი წმიდა გუარი და

ტანი მისურია, ცნობა და სირცხუილი გამიწირავს. მაგრა ესე ავი საქმე ორისაგან წამკიდებია: მიწყით უბედურისა ბედისაგან, მერმე ჩემისა ძიძისაგან. მან ჩამაგდო მოყივნებასა მისითა გრძნეებითა და ფიცითა, ჩემზედა მოიკმარა, რაცა შეეძლო, მისი მაგალითობა და ბიჭობა, ქენება და შეხუეწა. მაგრა აწ ამას ვჰკითხავ: ჩემზედა მტერთა ჩემთა გაახარება და ვარდისაებრ ცოტასა ხანისა მოყურობასა შინა ხარა, ანუ დაიდგამ კაცობასა და იაგუნდისაებრ საგრძელო ხარა? თუ რაზომსაცა წელიწადსა ცოცხალ ვიყვნეთ, არა ინანი ამა საქმესა, რასა შიგან შესრულხარ და არა ცოტასა ხანსა ხარ ეგრე, თუით ესემცა ვიცოდი და თუ არა, რაცა ამასა საქმესა მოუთქს, მას ჰირსა და მოყივნებასა ნუ შესდგებიო“!

არაჯი: „ერთისა წამისა გულის ნების პოვნისათუის საუკუნოსა აუგსა და მოყივნებასა ნუ ჩაიჴრები. ათას წლამდინ გულის ნებისა პოვნა ერთ აუგად არა ღირს, ამით რომელ ჯანგი მისი უკუნისამდინ დაეკურის კაცსა. იგი ნება, რომელ ერთისა დღისა იყოს, მისი კამს, რომელ გონებადცა არ შემოუშუასო“. კულაცა დაუწყო რამინ ქება: „მერმე ესე ქუეყანა! მაჰისა ქუეყანისაებრი არა ვიცი, რომელსა შენებრი მზე გაზრდილაო, და არცა შაჰროსებრი დედა მინახავს, რომელსა ძე ვიროსებრი უშობიაო და ასული შენებრი! ათასითა კურთხევითა ღუთისაგან კურთხეულმცა უკუნისამდი გუარი შენი და მშობელნი შენნი, რომლისაგან შენებრი გამოვა! ნეტარძი შენსა დედასა, ნეტარძი შენსა მამასა და ძმასა! ნეტარძი შენთა მოახლეთა და მსახურთა! ნეტარძი მას, ვინცა შენს პირსა უჴურეტს ანუ სახელიცა ასმია შენი! ნეტარძი შენსა ძიძასა და მასცა ნეტარძი, ვინცა შენი მიჯნური და მოყუარული არის! მარავსა ესე სახელი უკუნისამდის ეყოფის, რომე შენებრივისა მზისა სადგომი არის; დიდებად მოაბადს ესე ეყოფის და სახელად, რომელ სადედოსა შინა შენებრივ უვის! მე ესე სიხარული, ვირე სულნი მიდგან, ღუთისა წყალობად შეყოფის. შენებრისა მზისა შეყრითა გასახელოვნებულვარ და რომლითა თუალითა შენი პირი მინახავს და რომლითა ყურითა შენი სიტყუა მომისმენია, აქათგან კარგისა სახელისაგან კიდე აღარა მესმის; აქათგან თავისა წადილისა და სიხარულისაგან კიდე აღარას ვნახავო“.

მერმე შეჰფიცა რამინ მტკიცითა საფიცარითა: ყოვლისა დამბადებელისა ღუთისა ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთუარითა, რაცა ცასა ზედა არის, ყველათა, ცითა და ქუეყანითა, ღუთისა სჯულითა და ყოვლითა საფიცითა, რომელ, ვირე სულნი ედგნენ, ვირე მთათა ზედა ჭარი ჭროდეს და ზღუათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან ვარსკულავი იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუარდეს,—ვისის სიყუარულსა არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე სხუა პირი მოეწონოს, არცა ვინ სხუა მისგან კიდე უნდეს, და არცა ვის სიყუარულისა თუალითა შეხედოს, და არცა რა ვისის უნებელი ქნას.

და რა რამინ ესე შეჰფიცა და შეაჯერა, მერმე ვისიცა შეჰფიცა აგრეცა მტკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეცროს და არცა მისსა სიყუარულსა არ მოაკლდეს. და ერთი იისა კონა მისცა კელთა რაჴინს და ეგრე უთხრა: „ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ჰხახევდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო, და მეცა ვარდსა ნიშნად დავისწავლე: სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ენახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღე-მოკლე ვარ, ოდესცა ეს ფიცი გაეტეხო და ღმერთი უარ ექნაო“!

რა ერთმანერთსა ესე შეჰფიცეს, დამბადებელი მოწშად დაიყენეს.

ვისისა და რამინის ერთმანერთის წურომითი გაყრა

რა მოიღრუბლოს, ჰაერი დაბნელდების. ქუეყანა ფიცხლისა ჭარისაგან აშფოთდების. აგრეცე მოყუარეთა რა საწუთრო გაჰყრიდეს, წინასვე დაუწუებს მუხთლობასა, ეძებს მიზეზსა და გამოაჩენსცა. რასაცა გააცხროებდეს, პირველ პირი გაუცხელდების.

რა რამინს მოეწუინა ნიადაგ ჰირის ნახვა და ბეგოს[1] საუბარიცა გულსა ჩაუკდა, შანშას კაცი მიუგზავნა, ეგრე მოაკსენა: „ესე აქაური ჰაერი არ დამაშუენდების, უფროსჯერ თეით ავად ვარ. თუ ბრძანოს მეფობამან შენმან და დიდებასა მაღირსებდე, ერაყს წავიდე და გმსახურო მუნაურთა ლაშქართა თავადობითა. შემიწყალეთ, რაცაღა სამსახური იყოს, ვიქმოდე; ოდესცა მიბრძანოთ, განაღამცა სირბილითა მოვიდოდე თქუენს წინაშე. ნუთუმცა ამა სნეულობასა და სევდიანობასა დავეკსენ თქუენითა წყალობითა. მთასა და ბარსა ნიადაგ ნადირობითა ვიხარებდე, ზოგჯერ ავაზითა, ზოგჯერ ქორითა და ძაღლითა გამოვსცადო სანადირო ყველაი. ცხენნი დამხამებიან და აბჯარი ჩემი ამა ექუსსა თუესა შიგან არად მიკმარებიან შინა ყოფითა. და აწ წავიდე და ოდესცა მიბრძანოთ, მონურად წინაშე ვიყო“.

რა მოაკსენეს, შანშას ესმა ესე და გაეხარნეს. გაასრულა რამინის მოკსენებული. რე, გურგანი, ქოისტანი, ჰამიანი და სრული ერაყი მას უბოძა, ტანსა შეჰმოსა, მანაშური ბრძანება გაკსნით უბოძა, მოეთაყუანა, კარავნი გარეთ დაადგმევინნა, შინამყოფი უგრძნეულოდ გაემგზავრა.

ვისსა, ამისა მსმენელსა, თავი ცოცხლად აღარად უჩნდა, გული უმცირდებოდა და გულისა კუნესა შეჰქნოდა.

რამინ მივიდა წამავალი ვისის გამოსათაყუანებლად, შეჯდომისაგან კიდე არა აკლდა, შეკაზმულიყო. ვისი ტახტსა ზედა ჯდა. შევიდა, მასვე გუერდით ტახტსა ზედა დაჯდა. ვისმან კელი გაუქნია და ეგრე უთხრა: „აღეგ, სეფეს ტახტსა ზედა ნუ დასჯდები! რა ყმა იყო, პატრონისა აღგილსა ეკრძალვოდე! ჯერეთ მეაღრების შენგან მაგა ტახტისა ძებნა, რასაცაღა მოუცთუნვებიხარ, რეგუენობაა ეგეო“!

[1] ბეგო განთქმული მეცნიერი იყო, რომელმაც რამინს ურჩია ვისისგან გაშორება.

დაუშძიმდა რამინს, დიდად დალრეჯილი აღგა და წავიდა. დასწყია თავისა დაბადება და ინანდა, რაცა ვისისათუის ჰირნი ენახნეს. ეგრე თქუა გულსა შიგან: „აჰა, აწ ვნახე თავისა ჩემისა საქმე, თუ რათა გულითა არის საჩემო ვისი; ბოლოსა ჟამსა რა მითხრა გამყრელსა! ნუმცა ვინ ეძებს დიაცისაგან მოწყალებასა, ნუცა ვინ სთესავს მლაშესა ველსა ზედა ეარდსა! ვირისა კუდსა ჰგავს მათი სიყუარული, ზომითა ვერ გაგრძელდების: მე ეზომდი დიდხან ვირისა კუდსა და მიუდგებოდი დევისა კვალსა. აწ მადლი ღმერთსა, რომელ თუალ-ხილული და გულ-მრთელი ვარ, შემიგნიან სახელი და აუგი. რად დავკარგე აქამდის ჩემი სიყმე ცუდად? რად გავიწკრიე საწუთროა და დღენი ჩემნი? ვაი იგი გარდასრულნი დღენი და ჟამნი! ვაი იგი გული ჩემი სიყუარულისა მომლოდე! რას მიზეზისთუის დავიკლე აქამდისი სიყმისა სიხარული, რადგან ბოლოდ იმისგან გამწირაობა დამრჩებოდა?! კაცსა თავისავე კელითა თავისა სიკუდილი უჯობს ესეთისა სიტყუისა მოსმენასა. ბარე კარგსა ჟამსა მოვისმინე ეზომ გრილი სიტყუა, რომელ გული გამიმაგრდეს. ვაშად გამიდრკა გული სამისოდ, მაგრა, რადგან მისი კიდეგანობა დამედვა გულსა, რა გგამა, რაზომიცა რა აჲი მოვისმინო! სახლი რომელ უბედური იყოს, რაზომცა ადრე აოკრდეს, ესე სჯობს. მე კიდეგანობისა მიზეზი მომცა ღმერთმან, ბოლოდ ნაცეალი გამოჩნდა ჩემისა ჰირისა. მე თუმცა ცნობანი მქონდეს, ათას თუალ-პატიოსნად სყიდეა მინდოდა. ესეთსა სიტყუასა აწ ღმერთმან მაჯნად მამასმინა. აჰა, გულო, შესჯერდი და გაიქეც ამის სიძნელისაგან! გაიქეც, გულო, საწუთროსა ფათერაკისაგან! გაიქეც, გულო, აუგისა დავიწყებულისაგან! გაიქეც და ნუღა ვის ეძლევ სისხლთა, შესჯერდი და გაჰრიდე! და თუ აწ არ გაჰრიდებ, მაშ ოდესღა გაჰრიდებ?!“

რამინ ამა საგონებელსა შიგან იყო და გული პილპილითა გატენილსა უგუანდა.

რამინისაგან გულისათუის გამიჯნურება

რამინ დაიწყო ყოველგან თავისა ქუეყანათა სიარული საურავად, ნადირობად და თამაშად. ამიანს მიეიდა და გორაბს. მუნებურნი დიდებულნი და კელმწიფეთა სწორნი, შაჰფურ და რაფედ, წინა მოეგებნეს, მის ქუეყანისა დიდებულნი და გუარიანობითა საკსებელნი იგინი იყვნეს. უმასპინძლებდეს ეგრე, ვითა ჰმართებდა. დილასა ნადირობად გავიდიან და საღამოდ სუმად და სიხარულად დასხდიან. ვითა ნადირობასა შიგან ლომისა და ვეფხისათუის მიწყით კრმალი კელთა ჰქონდის და ნადირთათუის ისარ-შუილდი, ეგრე შინა მყოფთა კელთა ჭიქა. ესრე ამოდ იხარებდიან, მაგრა ვისის გონება გულისაგან არცა ეგრე მიპრიდებოდა, არა ველსა შინა მყოფსა და არა შინა.

დღესა ერთსა ნადირობით მოვიდოდა და, ვითა მზე, ქალი ნახა: გულ ერქუა. საბედ და შუენებით უკლები იყო, გაზაფხულისა უყუავილი იყო გულისა გამამხიარულებელი, ჰირისა მაქარებელი, სამართლისა მოქ-

მედი და გულისა წამის ყოფით წამლები, კეკლუცთა კელმწიფე, მოყმეთა კელოვნად მიმზიდავი, სნეულისა გამამრთელებელი, ჰირველულთა მალხენელი. პირი ვარდიანსა წალკოტსა უგუანდა და თმანი შაენი და გრუზნი სიკშირითა შაქრისა ლერწამსა. კოპთამდის თმისა მისისა ყალბი მიჯნურთა ტოილო იყო და ფათერაკსა მისთუის არ ესუნა. ბაგეთა მისთა სიმცროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა, და ამა იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული. წამწამთა მისთა მშუილდოსნობა აფხაზთაგან ესწაელა, ამბარი ფერსა და სულსა მისგან ისახებდა. წარბი მისი მთუარესა ზედა მშუილდოსნობდა, და მისი არყი მუშკი იყო და წამწმისა ისარსა მოყმეთა გულსა დაასობდა. ერთი ბაგე ვარდსა ზედა მუშკ-მოცრილსა ჰგუანდა და მეორე უკუდავებასა. მისისა გულისა ყმა იყო ქვა და მისისა ლამაზობისა მონა ბასრი რკინა. ბროწეულისა ყუავილი მისთა ღაწუთა სახე იყო და ტანი მისი — გიისა. კორცისა და სისხლისა მისებრი არა ინახოდა; ტანისა სითეთრე ბროლსა უგუანდა ყასაბ-გარდაფენილსა. იგი ასეთი მიჯნურთა მამჭლობელი დიდითა გემოვნებითა თავაღებულობდა. სამკაულისა მეტად შეკაზმულობითა საჭურჭლესა ჰგუანდა, თუალ-მარგალიტისა ხუავრიელობითა — გაუპობელსა სადაფსა. მისისა გუირგუინისაგან მთუარე ელვიდა, პირისაგან მზე, კბილთაგან ვარსკულავნი და ყელისაგან მთიებნი. სიამაყითა ყმაწუილსა კელმწიფესა ჰგუანდა და საწადლობითა სიცოცხლესა, შუენებითა — გაზაფხულისა წალკოტსა და დიდითა გემოობითა — მარტორქასა. მეცვალნი ჰყვეს მისებრვე მშუენვარენი: ჩინელნი, თურქნი, ბერძენნი; დგეს ოთხმეოცნი გულისა მიდამოსა, ეითა მთუარის მიდამოსა ვარსკულავნი.

რა დაინახა რამინ ნაძუი მავალი და მთუარე სულიერი, რომელ ეითა მზე ციმციმებითა არ გაიცადებოდა, გული შეუსუსტდა; ვითა რეტი უქუდოდა, კელთაგან ისარი დაჰვარდა. არ ჯერ იყო მისსა ადამის ტომობასა: „ესე მისნი ლაშქარნი ეითა ვარსკულავნია და მათი პატრონი ნუთუ მთუარეა? და თუ ესენი მთუარენია, მათი პატრონი ნუთუ მზეაო"?!

ამა საგონებელსა შიგან იყო რამინ და უკურეტდა. მერმე გულ, მოყმეთა თმობისა წამლებელი, რამინს წინა წამოდგა ესრე სალამად, ეითა ადრინდელი მოყუარე, უსალამა და კელსა ემთხუია; ეგრე მოაკსენა: „სახელოანო კელმწიფეო! ჩუენი ქუეყანა შენგან ელავს, ეითა მზისაგან ცა. აწ შეღამებულა. ბრძანე, ჩუენსა გარდაჰკედ, გამოისუენე. ამას ღამე ჩუენი სტუმარი იყავ, გიმასპინძლებთ, სანუკუარსა ამოსა მოგართუამთ მფრინველთა და ნადირთა სიმრავლითა, გაგისუენებ, ღუინოსა მურავაყიანსა მოგართუამ; წინა იასა და ვარდსა დაგიყრი, მეჯლისსა შეგიკაზმავ შენსა მსგავსსა, სულისაებრ საყუარლად გიმასპინძლებ. თუით ჩუენი წესი სტუმართმოყუარეობა არისო".

რამინს ესრე შეუყუარდა, რომე ვისის გული და სიყუარული დაჰვიწყებოდა. თუალთა ხედვამან საწუთროისაებრ უმუხთლა. ვისის (გლახ!) შიში და ზარი არ გაუმტყუნდა.

ვაი, მას გულსა, რომელი ესეთსა უხანოსა მოყუარესა მიენდოს! და ვაი მას მამაცსა, რომელ ესენ უხანო და უზენარო იყოს, სიყუარულ-უმტკიცო და ფიც-გაუსრულებელი!

რამინმა ვისი დავიწყა და გული შეირთო. ამ ამბის ცნობამ ვისი დაასნეულა. სასოშიხდილმა ვისმა ვერ ძიძა მიუგზავნა რამინს და ადრინდელი სიყვარული მოაგონა. შემდეგ მხურვალე წერილებით ამხილა მისი გამწირავობა და სთხოვა დაბრუნება.

მეორე წიგნი ვისისი რამინს თანა

თუ შუიდნივე ცანი ქაღალდად მქონდეს, სრულად ვარსკულავნი მწიგნობრად მყვეს, ღამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქუიშათა და თევზთაებრ კშირად სხდენ, აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყურისა ნახვისათუის მქონდეს, — შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავწერ სურვილსა!

მე შენისა სიშორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაჭირვებს. შენგან შორს დარჩომილსა არა მაქუს გამოსუენება, არ მომიეა ძილი, და, თუ დამეძინოს, შენივე სახე მიდგს თუალთა წინა. მე უშენო საბრალო ვარ, ესრე რომელ მტერთაცა ვეწყალები. რომელი ჩემად სალხინოდ მიჩანს, რა მას ვიქმოდი და თუალთაგან ღუარად ცრემლთა ვიდენდი, ამას მიგავს, ვითამცა ცეცხლსა ცეცხლითა ვაესებდი და ჭირსა ჭირითა ვკურნებდი.

მე უშენობისათუის მგლოვიარედ ქუე ვზი და შენ ჩემსა მტერსა გუერდით ჰმხიარულობ და იშუებ. ატირდების თუალი ჩემი, რა ნახოს მოყუარისა სადავე მტერისა კელთა შიგან. ვითამცა კიდეგანობა შენი ცეცხლი იყო, რომელ თმობისაგან კიდე [არასა] დასწუავს. სიცხესა შიგან ვერავინ დაიძინებს და მე ცეცხლსა შიგან მყოფმან რა გამოვისუენო?

მე იგი ძუელი ნაძუი ვარ, რომელ შენმან კიდეგანობამან წამაქცია, გამაკმო, დამწუა. შენ რომელ ჩემსა ნაკუთსა ისრისაებრ მართალსა იცნობდი, შენმან გონებამან გაამრუდა, საგებელსა ზედა დაცემულ არს. ჩემად წუალობად, ნახვად და კითხვად რა მოვიდენ, რაზომცა ჩემსა მიდამოსა დასხდენ, ასრე დასაწყლებულ ვარ, რომელ ვერ მნახენ, ზრახვით და კიცხვით ესრე იტყუიან: ნუთუ ჩუენი სნეული ნადირობად წასრულა, აქა აღარა არის!

შენისა ნახვისა ნატრასა ასრე გაუკდია ჩემი ტანი, რომე თუალხილულნი კაცნი ეღარ ნახენ, კუნესითა ოდენ შეიგებენ ჩემსა სიცოცხლესა და აწ უსუსურობითა არცაღა კუნესა შემიძლია, შენითა კიდეგანობითა ამისგან კიდე სარგებელი არა დამრჩომია, რომელ, თუ სიკუდილი მოვიდეს და წელიწადსა ერთსა მეძებდეს, ესრე დალეულ ვარ, შენმან სურვილმან, რომელ საგებელთა შიგან ვერცა იგი მპოებს. თუცა უშენობისაგან მენატრების, ამით სიკუდილისაგან უშიშვარ, ვირე ესრე ვარ.

შენი შეჯირუება მთათაებრ გამდიდებია და თმობისა გზა გამძნელებია. ამა ჭირისაგან ნუ მიკსნას ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქუსცა! და ვით ჰქონდეს მას გულსა გაძლება და თმობა, რომელ ჯოჯოხეთისა საკმილსა ჰგუანდეს და არცაღა თუით მისი სისხლი არის მას შინა, არა

თუმცა სხუაა? ასრე ტყუილია, თუ სული სისხლითა ცოცხალაო; მე სისხლი ალარ მიდგს, და ჯერეთ ცოცხალ ვარ.

მე, საყუარელო, ვირე შენ გახლვიდი, ტანი ჩემი ხე იყო, რომელსა ნაყოფად ვარდი ჰქონდა. აწ ამით კამს ჩემი წუა, რომელ უნაყოფოსა შტოსა ყოველი კაცი დასწუაეს. რა წახუედ, წამივიდა თმობა; რადგან ვერ განახავ, არცაღა რას ეილხენ. უშენობითა ნება ჩემი წამსლვია და, ვირე შორს ხარ, არცაღა იგი შემოიქცევის.

საწუთრო ესრე ამშფოთებია, ვითამცა ეტლთად შებმულ ვიყავ; საწუთრო ესრე ამშლია, ვითა უთაო ლაშქარი; შეჭირვებასა ქუეშე ესრე შემიღამდება დღე, ვითა ველურსა თხასა ავაზისა შიშითა.

თუ ესეთისა ყოფისაგან ვტიროდი, ნუ გიკუირს, ნუ ვინ მიაუგებთ: მე ვარ უმოყუარო და ჭირთაგან მოყურიანი, მე ვარ უსაქმო და მიჯნურობისა საქმეთაგან დაბნეული. ვერას გავისუენებ უშენოდ. ნუთუ შენ იყავ ჩემი სიცოცხლე, რომე უშენობითა გულსა შიგან ჩემსა დასთესე შენი სიყუარული და აწ, ზენაარ, მორწყე სიხარულისა რუთა!

ნახე ერთხელ კულა ჩემი პირი, რომე არა ვეჭუ, თუმცა მისებრი ანუ ყუითელი ოქრო გენახა. თუცა მტერი ხარ და მესისხლე ჩემი, ეგრეცა შეგებრალები, რა მნახო. და თუცა გამწირავი და უხანო ხარ, რა ჩემნი ჭირნი ჰნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების.

ეგრე მეტყუიან: „სნეული ხარ და მკურნალი ძებნე, რომელ გარგოს რაო“. მე თუით ჩემისა აქიმისა და მკურნალისაგან მკუდარი ვარ, ჩემმან მკურნალმან მიმუხთლა და მიღალატა, მისისა მუხთლობისაგან დასნეულებულ ვარ! მე, ვირე ესრე საწყლად ვარ, შენ გეძებ ღონედ. შენისა ნახვისაგან კიდე ჩემი რგება არას შეუძლია, ვერცა გულსა შევიჯერებ შენისა სიშორისათუის.

არა ვარ ღუთისა და ბედისაგან იმედ-გარდაწყუედილი, რომელმცა ჩემი ელვარე მზე კულა არ მიჩუენა. თუ შენისა პირისა მზე მოვიდეს, ჩემისა შეჭირვებისა ღამე განათლდების. შევებრალები ადრინდელსა მტერსა და ნუთუმცა შენცა შეგეწყალე: არ მტერთაგან რამე უფრო სამტერო შემიცოდებია!

და თუ ამა წიგნსა წაიკითხავ და არცა აწ შეგეწყალები, რა ჩემთა ჭირთა სცნობ, სრულად უზენაროო და გამწირავი თურე ხარ.

ვისის ხერხმა გაკრა: ბოლოს რამინი მართლაც დაუბრუნდა თავის ძველ მიჯნურს. მალე მან ტახტიც ჩაიგდო ხელში, გახელმწიფდა და ვისი კანონიერ დედოფლად დაისვა.

დ ა ვ ა ლ ე ბ ა ნ ი:

1. დაახასიათეთ ვისი და რამინი, როგორც ლიტერატურული ტიპები.
2. გამოარკვიეთ, როგორ საზოგადოებრივ გარემოს ასახავს «ვისრამიანი».
3. შეადარეთ «ვისრამიანში» ასახული მიჯნურობა გიორგი მერჩულის თხზულების ანალოგიურ მოტივს.
4. შეადარეთ «ვისრამიანი» ტრისტანისა და ისოლდას ამბავს.

იოანე შავთელი

აბდულმესია

«აბდულმესია» ანუ «აბდულმესიანი» ხოტბას, ე. ი. ოდას წარმოადგენს. ეს ჟანრი ჩვენს საერო ლიტერატურაში აბსოლუტური მონარქიის ძლევამოსილების ჟამსა და მის კარზე აღმოცენდა. გამარჯვებულმა შონარქმა ქედი მოახრევინა მოცილე თეო-დალურ არისტოკრატიას, ხელთ იგდო ეკონომიური მწვერვალები და შეკმნა მტკიცე საბელმწიფოებრივი ორგანიზაცია მისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. იგი დაეუფლა მაშინდელ კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებასა და ლიტერატურას და ყველაფერს თავისი დაღი დაასვა და თავისკენ მიმართა.

ასეთი მიდრეკილება პოეზიაში საგანგებო ფორმაში — ოდასა ანუ ხოტბაში — ჩამოყალიბდა. ხოტბათა შინაარსი გაბატონებული სოციალური ფენის იდეოლოგიის მომცემი შეიქნა. ხოტბას ასხმენ ფეოდალურ მონარქიას. შიგ ასაბუთებენ და აუცი-ლებლობად მიიჩნევენ მის ღვთაებრივ წარმოშობას, აქებენ „გონიერ“ მონარქებს და მათ საგმირო საქმეებსა და სხვ. ასეთი ხასიათისაა სწორედ „აბდულმესია“.

«აბდულ-მესია» არაბული სიტყვაა, რაც მესიის მონას ანუ ქრისტეს მონას ნიშნავს. მონად ანუ მსახურად ხოტბის მთავარ გმირს გულობენ. აქ გმირად დავით მეფე ჩანს, მაგრამ რომელი? იგი დასახელებული არაა. აკად. ნ. მ ა რ ს ასეთად დავით აღმაშენებელი ჰგონია და შეთხზულადაც ოდა დავითის მეფობაში ეგულება,. ხოლო ავტორად დავითის თანამედროვეს იოანე შავთელსა თელის.

სხვებს აქ შემკობილად ორი პირი ეგულებათ. ტრადიციულ შეხედულებას ბოლო დრომდე მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ადგა. მისი მიხედვით იოანე შავთელის მიერ შექ-ებული პირებია თამარი და მისი ქმარი დავით სოსლანი. ორი პირის შექებას აღნიშ-ნავს ოდაში პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ც. ესენია ქალი და კაცი: ერთი — თამარ მეფე და მეორე — დავით აღმაშენებელი. დასკვნა პროფ. კეკელიძისა ისაა, რომ ხოტბის სახელწოდება შინაარსს არ შეეფერება; ამიტომ, მისი აზრით, «აბდულ მესია», რომ-ლის ავტორადაც ვეფხის-ტყაოსნის ბოლო ტაეპი იოანე შავთელს ასახელებს, ეს კი-არა, არამედ სხვა, ჯერხნობით დაკარგული, თხზულება უნდა იყოს და ამიტომაც „აბდულ-მესიად“ წოდებულ ოდას სათაური უნდა შეეცვალოსო. იგი მას უწოდებს „ქებას დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისას“ და აღმოცენებულად თამარის სიცო-ცხლეში მიაჩნია, ე. ი. 1212 წლამდე.

ხოტბა დაწერილია ე. წ. ჩახრუხაული საზომით.

ძეგლის პირველი ოთხი ტაეპი შესავალს წარმოადგენს. იგი, როგორც ეს ძველ შესხმა-ხოტბებს ახასიათებს, იწყება ღმრთისადმი მიმართვით, რომელშიაც ავტორი ღმერთს სთხოვს, ეკმნეს მას შემწეედ ქების საგნის ღირსეულად შემკობის საქმეში. აქვეა მოხსენებული შესაქები პირიც, დავით მეფე.

შესავალის შემდეგ გვირგვინოსანი გმირის შთამომავლობაა მოცემული (ვე-5 სტროფი) და იგი სამეფო ტახტის კანონიერ მფლობელად არის მიჩნეული. მომდევნო სტროფებში (6—28) მონარქის მართვა-გამგებლობაა გამოხატული. მერმე კი უფრო-მეტი ზედმიწევნილობით არის გაშლილი გმირის პირადი თვისებები: მისი ახოვნება და მძლეობა (29-36), ბრწყინვალება და სიდიადე (37-44), ღვაწლი სამეფოს კეთილ-

დღეობისათვის (45-49) და სხვ. ამის შემდგომ იგი დახასიათებულია არა მარტო თავისი ერისათვის მხრუნველად, არამედ მთელი საქრისტიანოსათვის, ქრისტეს მოძღვრებისათვის, რომლის მოკლე ისტორიასაც მეხუთბე იძლევა (89-93). პოეტს სწამს, რომ ქრისტეს ასეთ მიმდევარს ჯილდოდ ელის სამარადისო სასუფეველი (94-95).

დანარჩენი სტროფები პოეტის მობოდიშებას შეიცავს: ხელი რომ მიჰყავს ისეთ ძნელ საქმეს, როგორიცაა გეორგეინოსანი გმირის შემკობაო. მათგან პოეტური მოხდენილობით შესანიშნავია მგოსნის მიმართვა მეფისადმი (96-100).

ძეგლი ექსჯერ არის გამოცემული. პირველი გამოცემა პლ. იოსელიანს ეკუთვნის, მეორე — დ. ჩუბინაშვილს, მესამე, კრიტიკული გამოცემა, აკად. ნ. მარისაა „Древне-Грузинские Одописцы (Тексты и разыскания... VI, 1902, პეტერბურგი); მეოთხე გამოცემა ს. კაკაბაძემ შეასრულა, „ქებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ», ტფილისი 1913 წ.; მეხუთე და მეექვსე გამოცემა მ. ჯანაშვილისა, „იოვანე შავთელი «აბდულ-მესიანი“, ტფილისი 1920 წ. (V გამოც.), 1922 (VI გამოც.). ხოტბის მიმოხილვა და ნარკვევები თან აქვს ტექსტებს დართული.

[შესავალი]

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან, მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად!
გიძღვენ ქებანი: მწადს აქ ებანი დავითის, დავით ვჯდე მუსიკობად.
მე სხა ზეესური რა ენახე, ესური, რომ სიტყვან' მეთხზნეს მეფისა ძნობად.
მუნ გულის-კმობით თვით გულის, კმობით კარი სიბრძნისა შეღელთა ცნობად.

შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო, დავითს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს, ჩინ-მაჩინეთსა, თაროშის ქებულსა.
რომელნი ელნით, რომელნი ელნით თავს სოკრატისებრ სწავლით გებულსა.
ვარსკელავეთ-მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკიცხველნო ვერ ძალგიძსთ ქებად, თაეს ჰყოფთ ენებულსა.

ძე ადამისი მსგავსად ამისი ვისცა ეხილვოს, მამცნონ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამ-ოთხით ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი.
აღმოსავლეთით და დასავლეთით სამხრით ჩრდილომდის პოონ, სადარი!
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით უკანასკნელით უფსკრულს ადარი!

ვიწყოლა ქებად, ძლივ შეკადრებად: მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი.
მკნე, ლმობიერი, ქველი, ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი.
შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი, ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.

[მართვა-გამგებლობა]

აღეძრნე ბაგენი, ბრგენილად მაგენი, გულისკმის ყოფით შესხმად ქებისა,
მაღლისა, მკნისა, ბრძენთა სეხნისა: აღმოთქმად ვიწყო ნეტარებისა.
გოლებრ მწთოლვარე, არად მკმოლვარე სამართლად ღირსი ნეტარებისა.
არა სთნავს რისხვა. გესმის? არი სხვა: ნამდვილ ჩვეული მოწყალებისა.

ესა მართალი: ე, სამართალი ხეს შეიქმს კმელსა წყალ-მომდინარედ.
აქვს მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარედ.
აწ ესე ლომი: თვით ე სელომი მისთვის აღეგო კეთილ საკმარედ.
წყლად არს გეონი, ვინ ლეგეონი პირ-დაყოფილ ყო უქმად, მედგარედ.

[სამეფო კარი]

გუნდ-მწყობრი დასი მას ბევრ-ათასი ჰყავს დიდებულთა, დიდ-გვარ თავადთა.
იოსებს თვალად, დიდ სამფსონს ძალად, სჯობს ნებროთს გულად ნაყოფი მსთვადთა.
ცუდ ჰყოფს ვით ცვილთა ლიქნა-სიცბილთა, მზირთ სიბოროგილით, საფრკით ძმაცვადთა.
მისთვის მოეწყდები, შევირაცხები მსხვერპლად: ვემსგავსო ცხოვართა კლვადთა.

[მიმართვა მეფისადმი]

შენ, გონიერო, გულის კმიერო, თვით მეცნიერო მეფეც ძლიერო,
მიუკდომელო, მიუწდომელო, მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო,
განათლებულო, განახლებულო, განბრწყინვებულო მზეო ციერო,
გალაღებულო, გალომებულო, კვლავ გოლიათო გულ-ლმობიერო!

მე გლახ რა გიძღვნა? თქვენგან წარირღვნა ყოველი ბიწთა მომახვეულობა.
ვინა იშვების, სად აღიზრდების, რომ ჰქონდეს თქვენებრ ჭკვა-მხედველობა?
მოიმუშაკენ, ღვაწლით მოიმკენ სათნოებათა მჭელეულობა.
ხარ სიბრძნის ეზი, ნათლის ემბაზი, სულისა ქნარი, ღვთის მხილველობა.

მწფეც მაღალო, ქცევა მდაბალო, ლომისა მსგავსო ძალად და გულად,
ალვისა რტოო ყოველად მარტოო, მჭვრეტთ სასურველო მოსარხეველად,
ვარდზედ გაშლილო ყორნის ბოლოო, ქმნილო სუნნელთა მოსაფრქეველად,
შუქთა მფენებო, თვით გამთენებო ზე სამყაროსა, მერმე ქვე ველად.

კითხვები:

1. როდის და რა პირობებში აღმოცენდა სახოტბო პოეზია?
2. რადარა შეხედულება არსებობს „აბდულმესიანში“ შექებული პირის ვინაობის შესახებ?

ჩახრუხაძე

თამარიანი

«თამარიანი», მსგავსად «აბდულმესიანისა», ხუტბას წარმოადგენს. როგორც სათაური მოწმობს, იგი მიძღვნილია თამარ მეფისადმი. «თამარიანი» კრებულია ოდებისა, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მოვლენის გამო არის გაშოთქმული. მასში სულ 11 ოდა და ერთი ელეგია არის.

ტრადიციული შეხედულების თანახმად თხზულების ავტორად ვინმე მოხევე ჩახრუხაძეს მიიჩნევენ. ეს შეხედულება ეყრდნობა უმთავრესად კრებულის ბოლოს დართულს ერთ მერმინდელს სტროფს, სადაც იკითხება:

„მოკვეცეს ძეთა ჩახრუხაძეთა ეკო თამარი, შეფე წყლიანი".

სისრულით ამ ავხრს არჩილ მეფემ შეასხა ხორცი. ჩახრუხაძე მისი ცნობით თამარის მდივანი და რუსთველის წინამორბედიც კი იყო.

ნ. მარი ერთ დროს (1917 წლამდე) ბროსეს მსგავსად, ხუტბათა ავტორად ვეფხის-ტყაოსნის ავტორს მიიჩნევდა. მისი შეხედულებით ორივე თხზულების ავტორი შოთა რუსთველი იგივე ჩახრუხაძე უნდა იყოს.

„თამარიანი" და „ვეფხის-ტყაოსანი" რომ ერთი პირის მიერ უნდა იყოს დაწერილი, ეს ავხრი ბოლო დროს მ. ჯანაშვილმა წამოაყენა კლარე (გახეთი ტრიბუნა 1923 წ. № 406).

ავტორის სურათის ზედმიწევნილობითი სისრულით დახატვას პ. ინგოროყვა შეეცადა. იგი არსებითად ტრადიციულ ავხრს იწყნარებს, ოღონდ უფრო დაწვრილებით ეხება პოეტის თაყვანისცემას. მიღებული სურათი თუმცა წარმტაცია, მაგრამ მისი დასაბუთება ვერ არის დამაჯერებელი.

უკანასკნელად „თამარიანის" ავტორობის შესახებ საგულისხმო შეხედულება პროფ. კ. კეკელიძეს მოეპოვება. მას შესაძლოდ მიაჩნია, რომ გელათის ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძის ავტორი, რომლადაც დასახელებულია პალესტინის ჯვრის მონასტერში მოღვაწე ბერი გრიგოლ ჩახრუხაძე, შეძთხზველი იყოს „თამარიანისაც" ამ ავხრს მას ანდერძისა და თამარიანის ენის მსგავსება უკარნახებს. ხოლო „თამარიანისა" და ე. წ. „აბდულმესიანის" შორის არსებული ნათესაობა ლექსისა და ფორმის მხრივ, მას საკითხს აყენებინებს უკანასკნელი ოდის ავტორადაც გრიგოლ ჩახრუხაძე მიიჩნიოს.

«თამარიანი» მკვლევრებს 1207 წლამდე დაწერილად მიაჩნიათ, მასში მოთხრობილი ამბების გათვალისწინების ნიადაგზე

«თამარიანი» დაწერილია ოც-მარცვლიანი ლექსით, სადაც ყოველი სტრიქონის პირველ ნახევარს შინაგანი რითმები მოუდის. ხშირად აქ მაჯამური ამბებიც გვხვდება. ამ ლაპის ლექსთწყობას სახოგადოდ ჩვენში ჩახრუხაული ეწოდა.

ძეგლი გამოსცა პირველად პლ. იოსელიანმა,—თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა, თქმული ლექსად ჩახრუხაძისგან, ტფილისი 1838 წ. მეორედ კი — დ. ჩუბინაშვილმა, მესამედ ზ. ჭიჭინაძემ, მეოთხედ ნ. მარმა Древне - Грузинские одописцы; Тексты и разыскания, IV, პეტერბურგი.

გამომცემელთა შეხედულებანი თანა აქვთ დართული მათ გამოცემებს. ცალკე კი უნდა დაუასახელოთ: 1) მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. ტრიბუნა 1923 წ. № 406. 2) პ. ინგოროყვა, — „ჩახრუხაისძე, — პოეტი, მოგზაური“ კავკასიონი 1924 № 1 — 2; № 3 — 4. 3) პროფ. კ. კეკელიძე, — ქართული ლიტ. ისტორია, II, გვ. 143-154, ტფილისი 1924 წ.

სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან, ცა და ქვეყანა.
(არს მეცნიარი!)
მნათობთა დასი, სხვა ბევრ ათასი, ჰაერით ეტლი ქართა ქმნიარი,
დასდევა ბრძანება და ამცნო მცნება თჳსად და თჳსად შესაშინარი:
აღრაცხენ ტომნი, მცთომნი, უცთომნი, უსიტყჳ-მოსიტყჳნი
და მოუბარი.

თამარ, შენ გიძნობ! ასულად გიცნობ: მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი.
მხიარულ იქენ! ნაქმარნი გიქენ: გესმენეს ნატიფნი და მშვიდი წყნარი;
ელვა ეთერი და სიტყვიერი, დარმანის ველი, ედემს მაღნარი;
არს ცნობათ მოთხე. ეითა სამოთხე, წყლად წყალი მრწყველი, მუნვე
მდინარი;

სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლით ცებრი, მდაბლად მოწყალე,
ჰვრეტად ნარნარი.
მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი, კედრით კედრამდის
მძლედ სასმენარი;
ასეთი ესე არს ეს მოწესე, ჯვარითაც ღმერთთან მიმომთმინარი;
დიდსა მსაჯულსა, ამტკიცებ სჯულსა. ღმერთმან მით მოგცა
მისი საქნარი.

ქაცები გმონებს. და გიპატრონებს ვეფხთა კლდოვანი, ლომთა
შამბნარი.
არსნი მზედ გამობენ, შვიდნი გამკობენ: ვინმცა შეგცოდა თავის
საქნარი?
ვერ მიგწუდენ ქებად, სხდენ თვითვე ენებად პლატონის ენა,
დავითის ქნარი.
წშინდას ოქროსებრ, სიყვარულისებრ ორგულთ ეწევის სიყმილი
მძაფრი.

თამარ წყნარი, შესაწყნარი, კმა-ნარნარი, პირ-მცინარი.
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მკნარი მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი.
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი.

კითხვები:

1. როდის დაიწერა „თამარიანი“ და ვინ არის მისი ავტორი? ჩამოთვალეთ ძირითადი შეხედულებანი ამის შესახებ.

2. რა არის ნიშანდობლივი თვისება „ჩახრუხაული“ ლექსისა და საიდან მოდის, ეს სახელწოდება?

ვეფხის-ტყაოსანი

«ვეფხის-ტყაოსანი» დაახლოვებით XII საუკუნის გასულისა და XIII საუკუნის დასაწყისის ნაწარმოებია. ამის გამორკვევა, სხვათა შორის, შესაძლებელი ხდება თხზულების წინასიტყვაობით. ერთგან იქ პირდაპირ ნათქვამია: „თამარს ვაქებდეთ მეფესა“, ხოლო მეორეგან პოეტის აღტაცებას იწვევს „მზე“ თამარი და მისი „ლომი“, რომელსაც „ჰშვენის კმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“. თამარად უნდა ვიგულისხმოთ XII საუკუნის მეფე თამარი, „ლომი“ კი თამარის ქმრის — დავით სოსლანის — მხატვრული ფიგურაა. დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს, თამარი — 1212 წელს. მაშასადამე, პოემაც შეთხზული უნდა იყოს არა უგვიანეს ამ წლებისა.

«ვეფხის-ტყაოსნის» ავტორობა მიეწერება შოთა რუსთველს. ამასაც პოემის წინასიტყვაობა ადასტურებს: „დაეკნე, რუსთველმან გაელექსე“ო და „მე რუსთველი კალობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“ო. წინასიტყვაობის მოწმობას ემხრობა ერთი ძველი უცნობი პოეტის სიტყვები: „ტარიელ [უქია] მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა“ო. რუსთველს თვლის «ვეფხის-ტყაოსნის» ავტორად XV—XVIII საუკუნეების მთელი ქართული მწერლობა ყოველივე ამის გამო უფლება არა გვაქვს, რომ ეჭვი შევიტანოთ «ვეფხის-ტყაოსნის» ავტორის რუსთველობაში. რუსთველის სახელი შოთა პირველად დამოწმებული აქეს XVII საუკუნის ცნობილ მწერალ თეიმურაზ პირველს. რუსთველი რუსთაველის მამულის მფლობელობას, ანუ გამგებლობას ანიშნავს. საქართველოში ისტორიულად ცნობილა ორი რუსთავი: ერთი რუსთავი მესხეთშია, მეორე კი ტფილისის ქვემოთ მდებარეობდა მტკვრის პირად. XII საუკუნეში კულტურულად დაწინაურებული და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე იყო მეორე, ტფილისის მეზობლად მდებარე რუსთავი უნდა ვიფიქროთ, რომ «ვეფხის-ტყაოსნის» ავტორი სწორედ ამ რუსთავ-ქალაქის მფლობელ-პატრონი იყო. როგორც მნიშვნელოვანი კუთხის მფლობელი, ცხადია, ის წარჩინებული და გავლენიანი წრიდან იქნებოდა გამოსული. ყოველ შემთხვევაში «ვეფხის-ტყაოსანი» მსახურეული ფეოდალური კლასის იდეოლოგიის ამსახველი ნაწარმოებია.

რუსთველის პოეტურ ქმნილებას საეუძვლად დასდებია რომელიღაც დღეს დაკარგული სპარსული რომანის ქართული პროზული ტექსტი. ამ დასკვნისთვის საჭირო ცნობებსაც გვაწვდის «ვეფხის-ტყაოსნის» წინასიტყვაობა:

„ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი კელი-კულ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ექმენ საპოემანები“.

პირველ ტაეპში ნახმარი ტერმინი ამბავი, თავისი ცნობილი მნიშვნელობის გარდა, ძველი ქართულით ნიშნავს ავრეთვე პროზას. მაშასადამე, რუსთველს ხელთ ჰქონია სპარსულიდან ქართულად ნათარგმნი პროზული რედაქცია (რომელსაც ავტორი ძალიან აქებს და ხელი-ხელ საგოგმანებელს უწოდებს). ეს პროზული ტექსტი „პპოვე“ და „ლექსად გარდავთქვი“ო ე. ი. გალექსეო, გვაუწყებს პოეტი. ამასთან ავტორი დიდ მოკრძალებას იჩენს და თავმდაბლობით „საპოემანოდ“ (საჩოთიროდ) აცხადებს თავის საქმიანობას. ამრიგად, «ვეფხის-ტყაოსნის» ფაბულა უცხო წარმოშობისა ყოფილა, მაგრამ ეს უცხო ამბავი რუსთველს დიდი მხატვრული ოსტატობით ძირ-ფესვიანად გადაუმუშავებია, შეუფარდებია ქართული ეროვნული და სოციალური

პირობებისათვის და საბოლოო ანგარიშით სრულიად დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაწარმოების სახე მიუცია. ორიგინალურია «ვეფხის-ტყაოსნის» როგორც მხატვრული გაფორმება (სუფეტური კომპოზიცია, პოეტური მეტყველების უბადლო ხერხები, ენა, სტილი, მეტრი და სხვ.), ისე სოციალური ტიპები და საერთოდ თხზულების მთელი იდეური შინაარსი. პოემა პირდაპირ გენიალურად ასახავს იმდროინდელი ქართული ფეოდალური კლასის უშუალო სოციალურ განცდებს. ესაა თხზულების ნამდვილი ორიგინალობა და დიდი მხატვრული ღირსება.

«ვეფხის-ტყაოსანი» თავიდანვე ძალიან პოპულარული იყო და სანიმუშო ძეგლად ითვლებოდა. ამ გარემოებამ პოემას დიდი ზიანი მოუტანა. ტექსტი დამახინჯდა და წაირყვნა მრავალ წამბაძველ-გამგრძელებელთა ხელში. «ვეფხის-ტყაოსნის» პირველ სახეს ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, ამის სანაცვლოდ გვაქვს ტექსტის სხვადასხვაგვარი რედაქციები და მკვლევართა შორის დიდი დავაა თხზულების როგორც საერთო შემადგენლობის, ისე ცალკე ადგილების წაკითხვის თაობაზე. «ვეფხის-ტყაოსნისა» ყველაზე უფრო მიღებულ და გავრცელებულ რედაქციად ითვლება ე. წ. ვახტანგისეული რედაქცია. ეს ის რედაქციაა, რომელიც ვახტანგ VI 1712 წელს დ. სტამბაში. პოემის ყველა ახალი გამოცემა (ჩუბინაშვილისა, კარისჯაშვილისა, ბერძენიშვილისა და სხვ.), ასეთუისე, ვახტანგისეულ რედაქციას ემყარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსთველი მსახურეულ-ფეოდალური კლასის იდეოლოგია. პოემის მთავარი და იდეალური გმირები — ტარიელი და ავთანდილი — ტიპებია ერთგული და კრძალული ყმისა, პატრონის უანგარო მსახურისა, ზრდილი და დარბაისელი კარისკაცისა, მამაცი და თავდადებული რაინდისა. მეფისადმი ყმური ერთგულების და სამსახურებრივი ვალდებულების მხარეს მშვენივრად გამოხატავს ავთანდილის შემდეგი სიტყვები:

„პირველ ყმა ვარ, წასვლა მინდა პატრონისა სამსახურად,
კამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გემართებს ყმასა ყმურად“.

მეფე დასახულია უმაღლეს პატრონად, კარისკაცები და სხვა დიდებულები მეფის უშუალო ყმებს (ვასალებს) წარმოადგენენ. თავის მხრივ ყმა-დიდებულებსაც ჰყავთ საკუთარი ხელქვეითი ყმები, ე. ი. დიდებულები (ავთანდილი, ტარიელი) ერთსა და იმავე დროს ყმებიც არიან და პატრონებიც. «ვეფხის-ტყაოსანში» მოცემული სახოგადოებრიობა პატრონყმური ურთიერთობის ჯაჭვით არის შეკავშირებული. ავტორი აიდეალებს ამ ურთიერთობის ფორმებს. პატრონთა კლასობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარე პოეტი ყმებისგან მოითხოვს ყურმოჭრილ მორჩილებას და თავგანწირულ ერთგულებას. რუსთველის აზრით პატრონსა და ყმებს კლასობრივი წინააღმდეგობისა და ბრძოლის სანაცვლოდ სიყვარული და მამაშვილური გრძნობა უნდა აერთებდეს. «ვეფხის-ტყაოსნის» ერთერთი დევიზია: „სჯობან ყოველთა მოყვარულთა, პატრონ-ყმანი მოყვარულნი“. რუსთველი საგანგებოდ აფრთხილებს თავის მკითხველებს, რომ „პატრონისა სამსახური არაოდეს არ წაკდების“ და „ვინცა მოკვდეს მეფეთათვეს, სულნი მათნი ზეცას რბიანო“. ყმების უკეთ გამოყენებისა და წინააღმდეგობის ასაცილებლად, პატრონებს ეკისრებათ, რომ იყვნენ „მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი“. მეფე-პატრონს უნდა ახასიათებდეს ჰუმანურობა (კაცთმოყვარეობა), სულკრძელობა, მართლმსაჯულება, ლმობიერობა და მისთანანი. რუსთველი თავგამოდებული დამცველია ჰუმანური მონარქიზმისა და პატრონყმური სოციალური რეჟიმის ფორმებისა. ეს რეჟიმი, «ვეფხის-ტყაოსნის» მიხედვით — თვით ღვთაებრივისგან არის დადგენილი და ადამიანებიც უნდა დასჯერდენ თავიანთ სოციალურ ხვედრს:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მეშა მიწყივ მეშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“.

დამახასიათებელია, რომ რუსთველი რელიგიურ მოტივებსაც კარგად იყენებს თავისი სოციალური თვალსაზრისის გასაშუქებლად. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნას განხილული «ვეფხის-ტყაოსნის» ცნობილი აფორიზმი (ავთანდილის ანდერძიდან):

„მიეც გლახაკთა საპურპლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მჭლენი".

ასეთი ქველმოქმედება ნაკარაუდევია სულიერი ნეტარებისათვის მომავალ ცხოვრებაში. ავთანდილი პირდაპირ ამბობს, რომ შეწყალებული პირებს: „მიღეწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ" და ამიტომაც „ნურა ნუ გშურს საკონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად". სხვათა შორის, მსგავსი ქველმოქმედების ქადაგება იმის მაჩვენებელიცაა, თუ როგორი აუტანელი უნდა ყოფილიყო მონების მდგომარეობა; მონების განთავისუფლება სამადლო საქმედ ყოფილა მიჩნეული.

მონარქიზმის თვალსაზრისზე მდგომი რუსთველი დაჟინებით იცავს დინასტიური ლეგიტიმიზმის (კანონიერი მემკვიდრეობის) პრინციპს. ეს საკითხი დასმულია თინათინის გამეფების ეპიზოდში. როგორც პოემიდან ჩანს, არაბეთის მეფე როსტევანი არ ჰყავდა ტახტის მემკვიდრე ვაჟი. ამიტომ ის იძულებული ხდება თავისი ქალის გაბედნიერება გადაწყვიტოს. როსტევანიც და თინათინიც ამ შემთხვევაში საკმაოდ უხერხულად გრძნობდენ თავს, მაგრამ დიდებულები ამხნევებენ მოხუც მეფეს: „ოღმცა ქალია კელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადიაო (ე. ი. თუმცა ქალია, მაგრამ თითონ ღვთისაგან არის შექმნილი სახელმწიფოდო). თავისი წინადადების გასაძლიერებლად დიდებულები იმოწმებენ ცნობილ აფორიზმს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუხდა ხვადია", ე. ი. მეფის შვილი („ლომი" აქ მეფის მნიშვნელობით არის ნახმარი) — ქალი და ვაჟი — სწორიაო. დიდებულებისა და მეფის შეთანხმებული ნაბიჯი იმით იყო გამოწვეული, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დარღვეულიყო დინასტიური მემკვიდრეობის ტრადიციული წესი და სამეფო ტახტზე უნდა ასულიყო გარეშე პირი. დამახასიათებელია, რომ შემდეგში, როცა თინათინის ავთანდილზე (ქვემეარდომ კარისკაცზე, არა სამეფო გვარეულობის წევრზე) მითხოვების საკითხი დადგა, მეფე სიამოვნებით დათანხმდა სახელგანთქმული ჰაბუკის და დიდი ფეოდალის სიძობაზე, მაგრამ მხოლოდ **სიძობაზე**. როსტევანმა საკანკებოდ გაიფრთხილა სასიძოს მრისხანე ტარიელი, რომ **მეფობა** თინათინს აქეს მიცემული და კიდეც შეჰშვენის, რომ ჰქონდესო:

„მე **სიძესა** ავთანდილის უკეთესსა ვპოებ ვერა,
თვით **მეფობა** ქალსა ჩემსა მიეც, აქუს და მას ეფერა".

ამრიგად, მიუხედავად გათხოვებისა, მაინც თინათინი რჩება დინასტიური ხაზის გაგრძელებლად და კანონიერ (ლეგიტიმურ) მეფედ. სხვათა შორის, ეს ეპიზოდი ძალიან ემსგავსება თამარის გამეფებისა და გათხოვების ისტორიულ ამბავს. ამის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ამბობს რუსთველს სწორედ დასახელებული ისტორიული ამბავი უნდა ჰქონდეს ალეგორიულად (გადატანით, გაიგავებით) გამოხატული.

როგორც ფეოდალურ-სამხედრო საზოგადოების ინტერესების ამსახველ ძეგლს შეეფერება, «ვეფხის-ტყაოსანში» სანაქებო ზნეობად მიჩნეულია **სიმამაცე**. ამ ნიშნით საყურადღებოა ნესტანის ტარიელისადმი მიწერილი „უსტარის" შემდეგი ადგილი:

„ბედითი ბნედა, სიკუდილი, რა მიჯნურობა გგონია?!
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!".

მართლაც, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ასახიერებენ მტკიცე ნების-ყოფის მქონე, სულგრძელისა და მამაცი რაინდის ტიპებს. იდეალურ გმირ-რაინდს სიმამაცესთან ერთად ახასიათებს ზრდილობა, თავმდაბლობა, კრძალულობა, პირდაპირობა, გულწრფელობა, მორწმენობა, უანგარობა, უხვობა-უშურველობა, ზნეობრივი სიფაქიზე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ უხვობა-უშურველობა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პატრონ-ყმური რეჟიმის პირობებში: უხვი სარჩუქრებით ერთი მხრივ ორგულის დაყურება ხერხდებოდა (ორგულობა და განდგომილობა ხომ ფეოდალური საზოგადოებრიობის უკურნებელ სენს შეადგენდა), ხოლო მეორე მხრივ ერთგულის წაქეზება. ორსავე შემთხვევაში კი სარგებელი „უშურველ“ პატრონს ჰპრჭობოდა. ამ ხერხს ჩვეულებრივად მიჰმართავდენ მეუღეები ურჩი ფეოდალების და ხარბი კარისკაცების მოსათვინიერებლად. რუსთველი მოხდენილად განსაზღვრავს „უხვობა-უშურველობის“ საზოგადოებრივ ფუნქციას:

„უხვი აკსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა ვინ ორგულია“.

გმირი-რაინდი ამბანაგობა-მეგობრობაში გამტანი და თავ-გამწირავია, ფიზიკურად სუსტი არსების უანგაროდ მფარველია. რაინდები უსასყიდლოდ იცავენ ვაჭრებს მეკობრეთაგან (აბრაგებისგან), უდიდესი პატივისცემითა და კრძალვით ეკიდებიან მანდილოსნებს. მანდილოსნების პატივისცემა რაინდული მიჯნურობის ფორმითაა «ვეფხის-ტყაოსანში» ასახული. შეყვარებულ რაინდს მიჯნურის გულითადი სამსახური, თაყვანება და შორით ტრფობა მოეთხოვება. რიდი, კრძალვა და თავშეკავება რაინდული სიყვარულის საფუძველია. საერთოდ მიჯნურობასაც პატრონ-ყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ფორმები ახასიათებს. საყვარელი ქალი უმაღლესი პატრონია თავისი მდგომარეობით, შეყვარებული კაცი კი უერთგულეს ყმას უნდა გამოხატაედეს. აღსანიშნავია, რომ «ვეფხის-ტყაოსნის» გმირი ქალები სოციალურადაც პატრონთა წრეს ეკუთვნიან. ასე, ამრიგად, «ვეფხის-ტყაოსანი» აიდეალებს და ბრწყინვალე მხატვრულ ფორმებში სახავს პატრონ-ყმურ სოციალურ წესრიგს, რაინდობას, ფეოდალურ მონარქიას და საერთოდ მთელ ფეოდალურ ყოფა-ცხოვრებას.

პოემაში მოცემულია ბერეთელ ვაჭრული საზოგადოებრიობის ყოფაცხოვრებითი მხარეები (გულანშარო). ვაჭრული საზოგადოებრიობის პირობებში ტარიელს და ავთანდილს ენაცვლება უსენი, ხოლო ნესტანისა და თინათინის მაგივრობას ასრულებს ფატმანი, მაგრამ რა უფსკრულია დაპირისპირებული გმირების ფიზიკურსა და ზნეობრივ თვისებებს შორის?! გულანშაროს მეფის უახლოესი მეგობარი („არიფი“) და მოდარაჯე უსენი ფიზიკურად გონჯია (ფატმანი ასე ახასიათებს უსენს: „მით არ ვსჯერვარ კმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი“) და ზნეობრივად დაქვემდებარებული: უპირო, ფიცის გამტეხი, მატყუარა, ანგარებიანი, ურწმუნო, სუსტი ნებისყოფისა და სხვ., მაგრამ ამასთან სარფიანი და უნარიანი მოსაძებნი ვაჭარი. ფატმანიც მოკლებულია დადებით ფიზიკურ ღირსებებს, ზნეობის მხრივ კი მსუბუქი ყოფაქცევისაა, მემთვრალე, ჭორიკანა და სხვ. ვაჭართა სახოგადოებაში არისტოკრატიულ-რაინდული სულგრძელებისა და თავშეკავების ნაცვლად ბატონობს სულმოკლეობა და სულ წვასულობა, უხვობა-უშურველობის ნაცვლად სიძუნწე და სიხარბე, ანგარება, მიჯნურულ ერთგულებისა და ზნეობრივი სიფაქიზის მაგივრად — მეტიჩრობა, გარყვნილობა და ზნეობრივი აღვირ-ახსნილობა და ა. შ.

«ვეფხის-ტყაოსნის» ავტორი გარკვეულად უპირისპირებს ერთიმეორეს ორ სოციალურ გარემოს (ფეოდალურ-რაინდულსა და ვაჭრულ-ბურჟუაზიულს) და მათ დამახასიათებელ ყოფაცხოვრებითს მოვლენებს. მისი სიმპათია ამ შემთხვევაში ფეოდალურ-რაინდული სოციალური წრის მხარეზეა. ერთი სიტყვით, ის ფეოდალურ-რაინდული კლასის იდეოლოგი არის. რუსთველმა ეს იდეოლოგია ხარის-

ხობრივად შეუდარებელი მხატერული ოსტატობით ასახა, ამასთან თავის დროისათვის შედარებით მოწინავე ჰუმანურ-ლიბერალური აზრებიც გამოთქვა და ამ მხრივ გაცილებით გაუსწრო თავის თანამედროვეობას და ნრაველი საუკუნეების განმაელობაში გენიალური ხელოვანის სახელი შეინარჩუნა.

«ვეფხის-ტყაოსანი» ყველაზე უფრო გავრცელებული მხატვრული ნაწარმოებია საქართველოში. მოიპოვება ოცდაათიოდე გამოცემა, რომელთაგანაც პირველი 1712 წელს გამოვიდა ტფილისში (ვახტანგის რედაქცია). შემდეგ გამოცემათაგან შეიძლება დავასახელოთ: ბროსე-ფალავანდიშვილ-ჩუბინაშვილისა (პეტერბ. 1841), ჩუბინიშვილისა (პეტ. 1846), ქართველიშვილისა (ტფ. 1888, მდიდრული გამოცემა, რომელსაც ხიჩის სურათები ახლავს), კარპა-შვილისა (ტფილ. 1903, 1920), კაკაბაძისა (ტფ 1913, 1927), იუსტ. აბულაძისა (1914, 1926), კ. ჭიჭინაძისა (1934).

«ვეფხის-ტყაოსანი» ბევრ ენაზეა გადათარგმნილი, ზოგზე სრულად, ზოგზე ნაწილობრივ. სრული თარგმნებია: გერმანული ლექსად ა. ლეისტისა (ლაიფციგს 1889), ინგლისური ლექსად ბელა ვიკარისა (ბუდაპეშტს 1917), ინგლისური პროზად მარჯორი უორდროპისა (ლონდ. 1912). ცოტად თუ ბევრად მოხრდილი ნაწყვეტები მოიპოვება რუსულად, სომხურად, ფრანგულად.

ლიტერატურა:

1. ნ. მარი, წერილი ვეფხის-ტყაოსნის გამო, «თეატრი» 1890, № 12.
2. მისივე, Вступительные и заключительные строфы...., TP, XII. 1910.
3. მისივე, Грузинская поэма „витязь в барсовой шкуре"... ИАН, 1917.
4. ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყ. ისტორია, I, 1914,329-385.
5. მისივე, Очерки, II, 243-298.
6. დ. ჩუბინაშვილი, О грузинской поэме Вепхис-Ткаосани или барсова кожа, ЖМНП, 1842, № 8
7. მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, ტფ. 1896.
8. მისივე, თამარ მეფის მეხოტბენი (ვახ. „ტრიბუნა" 1923, № 462 და შემდ.).
9. ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, V, 1926 (გვ. 3-28)
10. ი. აბულაძე, მე-XII საუკუნის საერო წერილობა და ვეფხის-ტყაოსანი, ტფ. 1923 (აგრეთვე მისივე გამოცემათა წინასიტყვაობანი).
11. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II, 76-141.
12. მისივე, აეტორი ვეფხის-ტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა („მნათობი 1931, №№ 7-8,9-10).
13. პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, I, 1926.
14. კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხის-ტყაოსნის პრობლემა, 1925, გვ. 4-39.
15, ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 130-169.
16. ა. ს. ვეფხის-ტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული, ტფილისი 1934.
17. მ. ტოროშელიძე, ქართული ლიტერატურა, ტფ. 1934.

შაირობა

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი.
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამათ კარგი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა საუბართა ტკბილთა ფრქვევა.
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ღვება,

—

მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა!
რა ვეღარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
კელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იკმაროს დიდი გმირობა.

—

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი-ორი.
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი.
განაღა თქუას ერთი-ორი, უმსგავსი და შორიშორი.
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

—

მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ ქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოკლვენ. კელად აქვს კოცა ნადირთა მცირეთა.

—

მესამე: ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად,
საშაიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართეველად.
ჩვენ მათისა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად.
მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ეინცა გრძელად.

ჭაში ჩაგარდნილი
(არაკი)

ორნი კაცნი მიდიოდეს სადაურნი სადმე გზასა.
უკანამან წინა ნახა ჩავარდნილი შიგან ჭასა.
ზედ წაადგა, ჩაჰყიოდა, ტირს, იძახდის ვაგლახ-ვასა.

—

ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე.
წავალ თოკთა მოსახველად, მწადსო, თუცა აწოგზიდე“.
მას ქვეშეთსა გაეცინა, გაუკვირდა ბეტად კიდე.
შემოჰყიელა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე“?

სახელის მოხვეჭა.

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მლმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა?!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი.
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და კაცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ხნეული აქიმი

რა აქიმი დასნეულდეს რაზომ გინდა საქებარი,
მან სხეა იკმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი.
სხეამან სხეისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

ამბავი როსტევან არაბთა მეფისა.

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სეიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჩმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუბარი წყლიანი.

სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.
მან მისთა მჭერეტთა წაულის გული, გონება და სული;
ბრძენი კამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.

მისი სახელი თინათინ (არს ესე საცოდნარია).
რა გაიზარდა, გაიესო, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან იკმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია.
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

უბრძანა: „გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყვავილი გააკმოს, დაამჭკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა.
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვჰვრეტთ ღამესა ჩვენ უმთვაროსა.

მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს ჭირთა უფრო ძნელია.
დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია.
რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
ჩემი ძე დავსვათ კელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქვენი ბერობა?
ვარდი თუ გაკმეს, ეგრეცა გვმართებს რაზომცა ჯერობა,
მისიცე ჰმეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა.
მთვარესა მცხრალსა ვარსკელავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!

მაგას ნუ ჰბრძანებ, მეფეო! ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია.
თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია!

კმდა განაღამცა სათქმელად, რაცა თქვენ გულსა გლმობია!
სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.

თუმცა ქალია კელმწიფედ, მართ ღმრთისა დანაბადია,
არ გათნევთ: იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა, დია,
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
ლეკი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“.

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი, ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა,
ჯერ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა;
მას თინათინის შვენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.

გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად:
რა მოჰშორდის, ვერ მშვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გაედის უფრო წყლულად.
საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლეულად!

რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, ვსება სჩირს მის სოჭ-ალისა.
თქვა: „ზედა-ზედა მომხვედების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა.
ნუ თუ მით ეპოვო წამალი მე ჩემი ფერ გამქრქალისა“!

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი კელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან.
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან“!

მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი განმრავლდა ხასისა,
ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა.
მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა“!

თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასეა და თავსა გვირგვინი დაადგა თავის კელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.

უკუ დგეს და თაყვანი სცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა კმათა;
ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ხრის ყორნისა ბოლო-ფრთათა.

მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა.
ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა.
მეფე სწვრთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა.
ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამეესებოდა“.

უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან კელმწიფედ კმობილი,
აქათგან ესე სამეფო მართ შენია მონდობილი.
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების:
უხვი აკსნილსა დააბამს; იგი თვით ების, ვინ ების.
უხვად გასცემდი, ზღვათამცა შესდის და გაედინების!

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია.
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია.
სმა-ჭამა — დიდად შესარგი, დება რა საეარგულია?
რასაცა გასცემ, შენია, რაც არა დაკარგულია".

ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა:
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთასა არ მოიწყინებდა.
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა.
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.

მოიკმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი"!
მოართვეს. გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

მას დღე გასცემს ყველაკასა სივაჭისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწაელებულსა.
ჩემსა ნუვინ ნუ დაჰმალავს საჭურჭლესა დადებულსა.

უბრძანა: „წადით, გაკსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია"!
მოიღეს. გასცა უზომო, სიუხვე არ მოსწყენია.
ლარსა ხვეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაიჭსა არაბულსა, ქვე ნაბამსა, ნასუქალსა.
რომე ჰგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა;
არ დაარჩენს ცარიელსა არ ყმასა და არცა ქალსა.

დღე ერთ გარდაკდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მჯდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.
„ნეტარ რა უმძიმს, რა სჭირსო"? შექმნეს ამისი ცილობა.

თაესა ზის პირ-მზე აეთანდილ, მჭვრეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია.

ვაზირი ბერი სოგრატი თვით მასთანავე მჯდომია.
თქვეს თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკრთომია“?

თქვეს თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თვარე აქა სამძიმარი მათი ყოლე არა ქმნილა“.
ავთანდილ თქვა: „სოგრატ, ვჰკითხოთ, გვითხრას, რამცა შეგვეცილა,
ვჰკადროთ რამე სალაღობო. რასათვისმცა გაგვაწბილა“?

ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენარითა,
თვითო აივსეს ჭიქები, მივლენ ქცეევითა წყნარითა,
წინა მიუსხდეს მუკლ-მოყრით, პირითა მოცინარითა.
ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნარითა:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო.
მართალ ხარ: წაკდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ძვირიო, —
ყველასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-კაშირიო.
ყოლამცა მეფედ ნუ დასვი! თავსა რად უგდე ჰირიო“?

რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოჰხედნა.
გაუკვირდა, „ვით მკადრაო, ან სიტყვანი ჭით გაბედნა“.
„კარგა ჰქმენო“, დაუმადლა, ბრძანებანი უიმედნა,
„ჩემი ძრახვა სიძუნწისა, ტყუის, ვინცა დაიყბედნა.

ეგე არ მიმძიმს, ვაზირო! ესეა რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია.

ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა,
ღმერთმან არ მომცა ყმა შვილი, ვარ საწუთროსა თმობითა,
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა,
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

ყმა მეფისა ბრძანებასა ლაღი წყნარად მოისმენდა,
თავ მოდრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა,
თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხვენდა“?

კვლა უბრძანა: „თავსა ჩემსა რას იცინი, რა დამგმეო“?
ყმამან ჰკადრა: „მოგახსენებ და ფირმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გაჰრისხდე, არ გასწყრეო,
არ გამკადო კადნიერი, არ ამიკლო ამათზეო“.

უბრძანა: „რამცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა“?
ჰფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბნარისა.
ნუ მოჰკვეხ მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.

მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია.
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენივე ყმანია.
„მოასპარეზედ ვინ მგავსო", ცუდიღა უკუ-თქმანია, —
გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია"!

„მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო შედრეკილობა-კლებასა,
კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა"!

ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდაწყვიდეს,
იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და კარგად ზმიდეს,
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს:
„ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამს დღეს ვლიდეს".

კვლა ბრძანა: „მონა თორმეტი შევსხათ ჩვენთანა მარებლად.
თორმეტი ჩვენად ისრისა მომრთმეველად, მოსაკმარებლად
(ერთაი შენი. შერმადინ არს მათდა დასადარებლად),
ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად".

მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დასცევით ჯოგი მრავალი, თავნი ამისთვის არენით".
ლაშქარნი სამზოდ აწვიენეს: „მოდით და მოიჯარენით".
გაყარეს სმა და ნადიმი. მუნ ამოდ გავიხარენით.

დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძრწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბადახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხეია, ჰშვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თერთ-ტაიჭოსანი.

შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს;
მგრგვლივ მინდორსა მოსდგომოდეს, აღყად გარე შემოჰკრვიდეს.
ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაფარვიდეს;
ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.

უბრძანა: „მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალვიდითა"!
დაიწყო მოსვლა ნადირთა ყოვლთა მინდორთა კიდითა.

მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ-მიუწთომელი:
ირემი, თხა და კანჯარი, ჭურციკი მაღლა მხტომელი.
მას პატრონ-ყმანი გაუკდეს, ჰკრეტადმცა სჯობდა რომელი?!
აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიჰკოცდეს და მიესროდეს, მინდორს სისხლსა მიასხმიდეს.
რა ისარნი დაელივნეს, მონანი ყე მოართმიდეს.
მკეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.

იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს.
დაკოცეს და ამოსწყვიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს.
ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს.
ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“.

იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განარბენია.
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა კლდენია.
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია.
იგი მაშერალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მკენია.

ერთმანერთსა თუ „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს;
მერმე მოვიდეს მონანი, რომე მას თანა ჰყვებოდეს.
უბრძანა: „თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეთნებოდეს“!

მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცთარებით:
მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით,
აწეცა დაგვკოც, ვერა ჰგავ, ვერად ვერ მოგეკმარებით.
მისგან ნაკრავნი გვინახავან მკეცნი ვერ წაღმა წარებით.

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუკოცია,
არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიკოცია“.

მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
აქვს მიჯნურობა იმისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსვლა დირდისა.

იგი ორნივე საგრილად გარდაკდეს ძირთა ხეთასა.
ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა.
ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმკნესი სხვათა მკნეთასა.
თამაშობდეს და უქვრეტდეს წყალსა და პირსა კლდეთასა.

ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა.

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყაესა.
ვეფხის ტყავისა ქუდიეე იყო სარქმელი თაესა,
კელთა ნაჭედი მათრაკი ჰქონდა უსხოსი მკლაესა.
ნახეს და ნახეა მოუნდა უცხოსა ხანახაესა.

ავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად,
თავ-ჩამოგდებით მტირლისა, არ ჰვრეტით მოლიზღარისად.
მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად.
ახლოს მიეიდა, მოსცალდა სიტყვისა თქმად აღარისად.

ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
და ხან უკვრეტს გაკვირვებით, თუცა გული უმაგარდა,
მოაკსენა: „გიბრძანებს“ო, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა,
იეი ტირს და არა ესმის, მისგან გაუმეცარდა.

მის მონისა არა ესმა სიტყეა, არცა ნაუბარი,
მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,—
უცხოდ რადმე ამოსკენოდა გული ცეცხლთა ნადებარი,
ცრემლსა სისხლი ერეოდა, — გასდის ეითა ნაგუბარი.

სხვაგან-ქრის მისი გონება, მისმან თაესა წონამან!
ასე მეფისა ბრძანება ერთხელ კვლა ჰკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან.
არცა გახლიჩა ბაგეთა თავი ვარდისა კონამან.

რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა,
როსტენს ჰკადრა: „შემიტყეია, იმას თქეენი არა უნდა.
თვალნი მზეებრ გამირეტდეს, გული მეტად შემიძრწუნდა;
ვერ ვასმინე საუბარი, მით დავყოვნე ხანი მუნ, და-“.

მეფე გაჰკვირდა, გა- ცა -წყრა, გული უც მისთეის მწყრომარე;
გაგზავნა მონა თორმეტი, მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „კელთა აიღეთ აბჯარი თქეენ საომარე,
მოდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!“

მონანი მიდგეს, მივიდეს, გაკდა აბჯრისა ჩხარია;
მაშინღა შეკრთა იგი ყმა, ტირს მეტად გულ-მდუღარია,
თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია,
ერთხელ ესე თქეა: „ეა მე“!ო, სხვად არას მოუბარია.

თვალთა კელი უკე იელო, ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
კმალ-კაბარჩი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შეჯდა, მონათამცა საუბარი რად იყურნა?!
სხვასა მკარსა გაემართა, მათნი ჯირნი არ განკურნნა.

მონათა კელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.
მან, გლახ, იგინი დაჯადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანერთსა, დაკოცნა თავის კელ-აღუპყრობელად,
ზოგსა გარდაჰკრის მათრაკი მკერდამდის გასაპობელად.

მეფე გაწყრა, გაგულისდა, მონანიცა შეუზახნა.
მან მდევართა მიწევნამდის არ უშვრიტნა, არცა ნახნა,
რაზომნიცა მიეწივნეს, ყოელნი მკედართა დაასახნა,
კაცი კაცსა შემოსტყორცა. როსტან ამად იეაგლახნა.

შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწეველად.
იგი ლადი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად,
შეიგნა მისვლა მეფისა მისად უკანა მდეველად.

რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრაკი მისსა ცხენსა,
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თვალსა ჩვენსა.
ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა.
ეძებდეს და ვერ ჰპრებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.

კვალი ძებნეს და უკვირდათ ვერ პოვნა ნაკვალევისა.
აგრე კვალ-წმინდად წარკდომა კაცისა, ვითა დევისა.
ლაშქარნი მკვდართა სტიროდეს, სწრაფა აქვთ წყლულთა ხვევისა.
მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ლხინთა ლევისა“.

ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანაღვლება,
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება;
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“.

ესე თქვა და შემობრუნდა დაღრეჯილი წამოვიდა,
არცალა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა.
ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მკეცთა სრვიდა.
ზოგთა თქვეს, თუ: „მართალია“, ზოგი: „ღმერთო!“ უზრახვიდა.

მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი.
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩნს ვითა შვილი.
ყველაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არ დაჯრილი,
გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი.

თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა,
ადგა და კარსა მივიდა, — ჰქონდა მზისაცა ცილობა, —
მოლარე იკმო, უბრძანა: „ძილია, თუ ღვიძილობა“?
მან მოაკვნა: „დაღრეჯით ზის, სჩირსო ფერ-შეცვლილობა.

ერთაი ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა.
უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა“.

თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესვლა არ ჩემგან ჟამით ა;
მიკითხოს, ჰკადრე, იყო-თქო აქა ერთითა წამითა".

ხანი გამოკდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქს ქალიო,
ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო"?
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწაღა ფერ-ნამკრთალიო,
დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო".

უბრძანა, თუ: „წადი, უკმე! უმისობა ვით გავძლეო?
მოაკსენე: რად დაჰბრუნდი, შენ მამისა სიცოცხლეო?
მოდი, ჰმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
გითხრა ჩემი სამიზნესო, მე თუ ლხინთა რად დაველეო".

თინათინ ადგა, მოვიდა, მიჰყვა მამისა ნებასა.
უგავს პირისა სინათლე ფთვარისა მოვანებასა.
მამამან გვერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა,
უბრძანა: „მოხვალ რად არა, მელი მე მოყვანებასა"?

ქალმან ჰკადრა: „კელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს?!
თქვენი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს.
კაცმან საქმე მოაგვაროს, ვეჰვე, ჰმუნვასა ესე სჯობდეს".

უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი ჭერეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია.
ვეჰვე, რა სცნა, შენცა მამართლო ჩემი სულ-თქმა და ახია.

უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე.
მისმან შუქმან განანათლა სამყარო და კმელთა კიდე.
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ეისთვის კიდე.
ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წავეკიდე.

მე რა მწახა, ცხენსა შეჯდა, თვალთა ცრემლნი მოიკოცნა;
შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამიკოცნა,
ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდმკოცნა.
ჯერთცა ესე არა ვიცი: ცხადი იყო, თუ მეოცნა.

ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს.
დამავიწყდა, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
ყოველმან პირმან ვაგლახ მიყოს, ვეღარამან მინეტარნეს.
სადამდისცა დღენი მესხნენ, ვეღარამან გამახარნეს".

ქალმან ჰკადრა: „მოგაკსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:
ჰე, მეფეო! რად ემდური ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?!

თუ ყოფილა იგი მოყმე კორციელი, კმელთა მცელელად,
მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად;
თვარა ეშმა გჩვენებია, ლხინთა შენთა შესაცელელად.
სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოულხენლად?!

მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედან მფლობელი,
შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანება-მიუთხრობელი,
გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი,
ადრე სცნობ: არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი“.

მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა,
უბრძანეს: „წადით, პატიჟთა თავიმცა რად დაჰრიდეთა?
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მოიცლიდეთა,
მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხვიდეთა“!

კაცნი წავიდეს, იარეს მათ ერთი წელიწადია,
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კვლავ და კვლა დია;
ვერცა თუ ნახეს მნახველი ღვთისაგან დანაბადია.
ცუდად მაშვრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.

მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩვენ კმელნი მოვიარენით.
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
მისსა მნახველსა სულ-დგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით.
ჩვენ ვერა გარგეთ, საქმენი სხვანი რამ მოიგვარენით“.

მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო:
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო.
გამიშეია შეჰირვება! არა მგამა ყოლა მეო“.

ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა,
მგოსანი და მუშაითი უკმეს, პოვეს რაცა სადა.
დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოკადა.
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაჰბადა?!

ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი,
შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
მოაკსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.

ავთანდილს მიჰხვდა მოსმენა საქმისა სანატრელისა.
ადგა და კაბა ჩაიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა,
უზარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
ამოა ჭერეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა!

ავთანდილ, ლაღი, უკადრი, მიეა, არვისგან ჰრცხვენოდა,
მას ჰნახავს, ვისთა ეამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა.

იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგაესად შეენოდა.
მთვარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საპირონი,
ჰშვენოდეს შაენი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი არ უკმირონი.

დაღრეჯით იყო მჯდომარე ძოწეულითა რიდითა.
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშვიდითა.
მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა,
პირის-პირ პირსა უქერეტდა, სავსე ლხინითა დიდითა.

ყმამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმა-ღა ვით იქმნების?
მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევის, და- ცა -ჰკნების.
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების.
თქვენნე ბრძანეთ რაცა გიმძიმს, ანუ რამცა გეკურნების.

ქალმან უთხრა საუბარი კეკლუც-სიტყვა, არ დუხჭირად,
ეტყეის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,
მიკვირს, მოგხედა წამის-ყოფით საქმე შენგან საეკვი რად?
მაგრა გითხრა პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად.

გაკსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მეცი დაგეკოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეკოცა?
მას უკანით გონებამან მისმან ასე დამამკო-ცა,
შენ გენუკეი მონახვასა, კიდით კიდე მოჰლაკო ცა.

აქანამდის საუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია,
ეიცი, რომე გაუწყეეტლად თვალთა ღაწვი გისეტყვია,
შეუპყრიხარ სიყვარულსა, გული შენი დაუტყვია.

ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, კორციელი არვინა გეყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაშორად.
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად.

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამკსნა შეპირება, ეშმა ბილწი ასაპყარე,
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მწესა შეგეყრები, შემეყარე.

სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარული მოუბარი;
ვერა ჰპოებ, — დავიჯერებ, იყო თურმე უჩინარი.
კოკობი და დაუფრჩვნელი ვარდი დაგხვდე, დაუმკნარი.

ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი
მზეცა მომხედეს კორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი!
შენი მკლევდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“!

მოაკვნესა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?!
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
ვითა მონა სამსახურად გაღანამცა წავე, წა- მე“.

კვლაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა.
მე რომ თქვენგან მოვისმინენ წუალობანი, მედიადა:
ვარდი ჩემი არ დაჰკნების, შუქი შენი იეფად ა“.

კვლა შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი,
გასალდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-კშირი,
გაადვილდა, აქანამდის გარდეკადა რიცა ჭირი.
თეთრთა კბილთა გამოჰკრთების თეთრი ელვა, ვითა ქვირი.

ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მის'სა ვერ გასძლებდა,
უკუღმავე იხედვიდა, თვალთა რეტად აყოლებდა,
ბროლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს. ტანსა მჭევრსა ათრთოლებდა,
გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.

თქვა „მზეო, ვარ'სა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი შევცვლილ-ვარ ქარვისა უყვითლესად-რე.
მაშინ რაღა ვქმნა, ვერ-ჰკრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესად-რე?
კამს მოყვრისათვის სიკვდილი, -- ესე მე დამიც წესად- რე“.

საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეპოებების,
ვითა ვერხვი ქარისაგან, ირხევის და იკეცების.
რა მიჰლულნის, სიახლეე საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდი დაიზახის, მით პატიჟი ეოცების.

მოშორება საყვარლისა მას შეჰქმნოდა მისად ღაზოდ.
ცრემლსა, ვითა მარგალიტსა, ჰყრის ვარდისა დასანაზოდ;
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭვრეტთა სალამაზოდ,
ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია,
შესთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:
ყოველი პირი მიწისა თქვენ კმლითა დაგიმონია,
აწ თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან, რაცა გარემონია.

მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის კელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ეჰგმირო,

მორჩილ-ქმნილი გავახარო, ურჩი ყველა ავატირო,
ძღვენნი გკადრნე ზედა-ზედა, არ სალამი დავაძვირო“.

მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გარდუვალობა,
აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა.
წა! მაგრა მომხედეს, რაღა ვქმნა, თუ სიშორისა გრძელობა?

ყმა შევიდა, თაყვანი სცა, მადლი რამე მოაკსენა:
„კელმწიფეო, მიკვირს ქება რად იკადრეთ ჩემი თქვენა,
აწ ნუ თუ კლა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამითენა,
პირი თქვენი მხიარული მხიარულსა კვლა მიჩვენა“!

მეფე ყელსა მოეკიდა, გარდაჰკოცნა, ვითა შვილი.
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი.
ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი უჩნს გაყრილი.
როსტან მისთვის აატირა გონიერი, გული ლბილი.

გამოემართა აჟთანდილ, მოყმე მკნე, ლაღად მავალი.
ოც დღე იარა, ღამესა დღე ზედა წართო მრავალი.
იგია ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი,
არ მისცილდება თინათინ მისი მას, ვისგან სწვავს ალი.

რა მივიდა, სიხარული შიგან გაჰდა სამეფოსა,
მოეგებნეს დიდებულნი, ძღვენსა სძღვნიდეს იეფოსა.
იგი პირ-მზე არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა.
მიჰხვედეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა.

ქალაქი ჰქონდა მაგარი, საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვითკიროსა.
ყმამან მუნ დაყო სამი დღე ამოსა სანადიროსა,
გაზრდილი მისი შერმადინ დაისვა სავაზიროსა.

ესეა მონა შერმადინ, ზემოდცა სახელ-დებული,
თანა შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული.
მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული.
აწ გაუცხადა სიტყვები მის მზისა იმედებული,

უბრძანა: „ჰა, შერმადინ, ამად მე შენგან მრცხვენიან:
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან!
მე ვისგან მჭონდეს პატიჟნი. აწ მასვე მოულხენიან.

მოუკლავ-ვარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცხელნი ცრემლნი ასველებდეს ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა.
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა.
აწ მიბრძანა საიმედო, ამად მხედავ მხიარულსა.

მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა!
მოხვიდე, სრულ ვქმნა მაშინ-ღა შენი წადილი გულისა.
ქმარი არ მინდა უშენო, მომხვედების ხისა რგულისა".
მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.

პირველ ყმა ვარ, წასელა მმართებს პატრონისა სამსახურად
კამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად,
მერმე ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავს გულსა მურად.
კამს, თუ კაცი არ შეუდრკეს ჭირს, მიუკდეს მამაცურად.

ვართ უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,
ამისთვის გნუკვე სმენასა შენ ამა ჩემთა კმათასა:
ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა.
იმა საქმისა ვერა ვიქმ მე განდობასა სხვათასა.

ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი,
დარბაზს კაცსა გაჰგზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვნობდი,
აქა სადმე არ ყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი?!

ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხვაშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭკნა ხე.
არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე.

მაშინღა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია,
აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთვრალია;
«მიჰხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთა-თვის გარდუვალია»
გლახაკთა მიეც საპურჭლე: ოქრო, ვერცხლი და რვალია.

მაშინ უფრო მომეკმარე ამისგანცა უფრო მკნედ-რე,
ნუ, თუ ადრე დამივიწყო! მაკსენებდე ზედაზედ-რე!
მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეიევდრე.
ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმდედრე"!

რა მონამან მოისმინა, გაუკვირდა, შეეზარა,
თვალთა, ვითა მარგალიტი, ცხელი ცრემლი გადმოყარა,
მოაკსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა?!
ვიცი, რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამად არა.

«ჩემად ნაცელად დაგაგდებ»ო, ესე სიტყვა რად მიბრძანე?
რაგვარა ექნა პატრონობა, რამც გიფერე, რამც გიგვანე?!
შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე!
სჯობს, ორნიენი გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე!

ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად.

მარგალიტი არეის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უეაჭრელად,
კაცი ცრუ და მოღალატე კამს ლახერითა დასაჭრელად.

ვისმცა ეუთხარ ხვაშიადი? შენგან კიდე არვინ ვარგა,
უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა?
სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა;
კვლა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა.

ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი.
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი.
აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი,
წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდენ, ვინცა იყოს ჩემი ხასი".

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი

აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი მტირალი, —
მისმანვე ცრემლმან დაუვსის ვის ედებოდა ვის ალი.
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი.
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი:

„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქეს, კალამი ნაღველთა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები.
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეკსნები, აწ ები!

ჰხედავა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია?!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია.
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

ჰხედავ, ჩემო, ვით გაგეყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან.
ვეღარ გნახე, საყვარელო, მხიარული მხიარულმან.
ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან?
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულა სიცოცხლე და ყოველი ღონე.
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვჰმონე.
ჩემი ყველა აქანამდის ჭირი ლხინსა შევაწონე.

შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად.
მომიგონებდე, გაკსოვდე მე შენთვის დაკარგული სად.
ეზი მზრდელი სიყვარულისა, მის შენგან დანერგულისად.

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
ენა დაშვრების, მოსმენით არეისგან დაიჯერების.

ფატმანმან წამგვარა გრძნეულთა (ღმერთიმცა მას ეტერების!).
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

აწ სოფელმან უარესი ჰირი ჰირსა დამისართა:
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა,
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა.
ბედმან გვიყო ყველაკაი. ჩემო, რაცა დაგვემართა!

ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან.
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან.
დღისით და ღამით მოყვენი ნობათსა არ დასცთებიან,
მათთა შემბმელთა დაჰკოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

ნუ! თუ ესენი გეგონნენ, სხვათა მებრძოლთა წესითა!
ნუცა მე მომკლავ ჰირითა, ამისგან უარესითა.
შენ მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა.
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, არვის მივჰხვდე, მო- ცა -ვიდენ სამნი მზენი!
აქა თაესა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი.
სჯლი ჩემი შეივედრე, ზეცითა მომხვდეს ნუთუ ფრთენი!

ღშერთსა შემვედრე, ნუთე კვლა დამკსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა,
შომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას იახელ, მისი ეტლი არ თუ წბილი.
შუნა გნახო, მასვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი.
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რადგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა.
მოშეგონის მოშორევება, მემატების წყლული წყლულსა.
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოე, ჩემო, შენთვის დაკარგულსა.

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით კელ-აღუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა მოშორევებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა.

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად.
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მიეა რად.
შენთვის მოვკვდები, გავკვდები, ყორანთა დასაყივარად!
ვერე ცოცხალვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად.

აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა:
გადმიქვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა.
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიდისა“.

ალება ქაჯეთის ციხისა და დაკვნა ნეხტან-დარეჯანისა

სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები.
თანა ჰყავთ კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, არ ნაჩქარები.
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა ფარები.

პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად.
მათ შიგნითთა ეერა უგრძნეს, ვერცა დაჰხედეს გულ-კმიერად, —
გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად.
მიდგეს, გარე მუზარადნი დაიხურეს ჟამიერად.

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრაკამან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გაჰკდა ზრიალი.
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.

მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა:
კრონოს, წყრომითა შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა.
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგვლე ცისა.
ველნი მკვდართა ვერ იტევდა, გადიადდა ჯარი მკვდრისა.

კაცსა უკრავად დაჰბნედდის კმა ტარიელის კაფისა,
აბჯარსა ჰფრქვდის, გაცუდდეს სიმაგრე ჯავშან-ქაფისა:
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირნი არ ნახნეს კაფისა.
რა ქალაქს შეკდეს, შეიქმნა სიკრეხე ციხის სწრაფისა.

ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოელვარნეს.
იყივლეს და ერთმანერთი ნახეს, დიდად გაეხარნეს;
თქვეს: „ტარიელ რა იქმნაო“? მისად ვერეტად თვალნი არნეს.

ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიელისა.
ციხისა კარსა მიჰმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;
მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეკი კმალთა წვერისა,
ათი ათასი ნობათი უსულო, მსგავსი მტერისა.

ციხისა მცველი ყველაი იდვა მართ ვითა სნეული,
თავით ფერკამდი დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული.
სცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული“.

გზანი დაჰხვდეს შეკაფულნი, შეიდეს და გაძვრეს კვრელსა,
ნახეს: მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა.
მუზარადი მოეხადა, ჰშვენის აკვრა თმასა ლელსა,
მკერდი მკერდსა შეეუბა, გარდაეჭდო ყელი ყელსა.

მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელ-გარდაჭდობილნი,
კვლა შეეწებნეს კშირ-კშირად ვარდი ბაგეთათ პოპილნი.
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა კმობილნი.

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოცა მისთა მშველელთა ლაღმან ცნობითა წყნარითა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნარითა.
ორნივე ერთგან უბნობდეს ტურფითა საუბნარითა.

ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს.
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
თავნი მათნი გაალმნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს.

სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა.
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთ-კერძ უხაროდა.
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დაჰრჩომოდა;
რომე პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თვალვით ვით ითქმოდა?!

მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალები;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, — იაგუნდი და ლალები.
იგი მზე შეჰსვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

სამოცი კაცი დააგდეს ქაჯეთის ციხის მცველია.
წამოიყვანეს იგი მზე (მათი-ღა წაგვრა ძნელია),
ზღვათა ქალაქსა დაჰმართეს, თუცა გზა მუნით გრძელია, —
თქვეს: „ფატმან ენახოთ, მუქაფა გვაც მისი გარდუკდელია“.

კითხვები და დავალებანი:

1. დაახასიათეთ «ვეფხის-ტყაოსნის» მთავარი გმირები.

2. დაახასიათეთ «ვეფხის-ტყაოსანში» ასახული რაინდული იდეალები და შეადარეთ «ამირან-დარეჯანიანის» ასეთსავე მოტივებს.

3. დაუპირისპირეთ ერთმანეთს «ვეფხის-ტყაოსნისა» და «ვისრამიანის» მიჯნურობა.

4. როგორ ახასიათებს «ვეფხის-ტყაოსნის» ავტორი ვაჭრულ სოციალურ ფენას და რატომ?

5. როგორ უნდა გავიგოთ «ვეფხის-ტყაოსნის» აფორიზმები:
   ა. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
   ბ. მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათაისუფლე მონები.
   გ. რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია.

6. გამოარკვიეთ «ვეფხის-ტყაოსნის» მხატვრული ხერხები (შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, განმეორებანი, პარალელიზმები, ალიტერაციები).

7. შეადარეთ ხალხური თქმულება ტარიელის შესახებ სათანადო ადგილებს «ვეფხის ტყაოსნიდან».

8. გადააკეთეთ ნარიან მრავლობითში დასმული, პირდაპირი ობიექტის მაჩვენებელი სიტყვების ფორმა მხოლობითისად (ან ებ-იან მრავლობითისად) და ამის მიხედვით სათანადოდ შეცვალეთ ზმნის ფორმაც.

9. მონახეთ ყველა წინადადება, სადაც -მცა ნაწილაკი მოიპოვება და დააკვირდით იქ მოყვანილი ზმნის ფორმებს. როგორ შეიცვლებოდა ეს ფორმები, რომ მცა არ ყოფილიყო ნახმარი, მაგრამ ისე, რომ, წინადადების აზრი იგივე დარჩენილიყო?

10. ამოკრიხეთ ის სიტყვები, რომლებიც ნადირობასა და ომის ტექნიკას განეკუთვნება და ამის მიხედვით შეადარეთ იმდროინდელი საშუალებანი ნადირობისა და ომისა დღევანდელს.

რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი

(გმირული ეპოსი)

«რ ო ს ტ ო მ ი ა ნ ი» ეწოდება განთქმული სპარსელი მწერლის ფ ი რ დ ო უ ს ი ს «შაჰ-ნამე»-ს ანუ «მეფეთა წიგნის» ქართულ რედაქციას. «შაჰ-ნამე», დაწერილი X საუკუნის გასულსა და XI-ის დასაწყისში, წარმოადგენს რამდენიმე ტომისაგან შემდგარ უზარმაზარ ეპიკურ თხუზულებას, სადაც თანმიმდევრობით აწერილია სპარსული ცხოვრების თავგადასავალი მითური პერიოდიდან არაბების შემოსევამდე (VII საუკუნე). ჩვენ წელთაღრიცხვით). «შაჰ-ნამე» არსებითად სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი შეიცავს მითურ ამბებს, მეორე — საგმიროს, ხოლო მესამე — ისტორიულს. ყველაზე უფრო ვრცლად და უკეთ არის დამუშავებული საგმირო პერიოდი. «შაჰ-ნამის» მრავალრიცხოვან გმირებში პირველი ადგილი უკავია ძლეველ ფალავანს როსტომს, ამით აიხსნება «შაჰ-ნამის» ქართული ვერსიის სახელწოდება «როსტომიანი».

«როსტომიანი» სავსეა გმირულ-ფალავნური ხასიათის ნაირ-ნაირი მრავალფეროვანი ამბებით, სწორედ ეს გარემოება იწვევდა მის იშვიათ პოპულარობას. «როსტომიანის» საგმირო მოთხრობებში ქართული ფეოდალური საზოგადოება თავისი სამხედრო იდეალების ანარეკლსა და თავისი სოციალური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს ხედავდა. ერთი ფეოდალი მწიგნობარი სრულიად სამართლიანად ეძებდა ამ თხზულებაში „ძველ ზნეობასა და ზოგად ჩვეულებასა ძველთა ქართველთა“, ოლონდ ამ „ძველ ქართველებში“, რასაკვირველია, თავად-აზნაურობა უნდა ვიგულისხმოთ.

იმავე მწიგნობრის სიტყვისა არ იყოს, «როსტომიანის» დანიშნულებას შეადგენდა საზოგადოებაში „სიმხნისა და ახოვნისა სულის განლვიძება“, ანუ სამხედრო-საგმირო საქმიანობის წაქეზება. ამიტომაც «როსტომიანი» ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთ უსაყვარლეს საკითხავ წიგნად ითვლებოდა. საგმირო ამბებს გარდა «როსტომიანში» საპატიო ადგილი აქვს დათმობილი რომანულ ისტორიებს, ნადირობის აღწერილობებს, ნადიმობის სცენებს და სხვა.

დამახასიათებელია, რომ ქართულ ენაზე სრულიად არ შენახულა «შაჰ-ნამის» ისტორიული ნაწილი და შესაძლებელია იგი ნათარგმნიც კი არ ყოფილიყოს, რადგანაც ცხადია, ის მოკლებული იქნებოდა ქართველი ფეოდალური საზოგადოების უშუალო სოციალურ ინტერესს.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული «როსტომიანის» ხალხური თქმულებანი (ლექსად და პროზად). ამ თქმულებათა სათავე თითონ ლიტერატურულ ძეგლში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ხალხს ისე შეუთვისებია და თავისებურად გარდაუქმნია ეს ძეგლი, რომ თითქმის სრულიად წაუშლია იქ უცხო წარმოშობის კვალი.

«როსტომიანი» ქართულად უნდა ეთარგმნათ თავდაპირველად არა უგვიანეს XII საუკუნისა, მაგრამ ძველ თარგმანს ჩვენამდის არ მოუღწევია. ხელმეორედ გადმოუღიათ «როსტომიანი» XV-XVI საუკუნეებში. ტექსტის საბოლოო ჩამოყალიბებაზე სხვადასხვა პირებს უმუშავიათ სხვადასხვა დროს ამჟამად «როსტომიანის» რამდენიმე დაბოლოებული ვერსია არსებობს (ზოგი პროზად და ზოგი ლექსად). ჩვენს წიგნში მოთავსებული ნაწყვეტი «როსტომიანის» ერთ-ერთ საუკეთესო ეპიზოდს წარმოად-

გენს. ეს ეპიზოდი (როსტომისა და ზურაბის ამბავი) საგმირო ამბებითაც მდიდარია და არაჩვეულებრივად მწვავე დრამატულ მომენტებსაც შეიცავს[1]. ეპიზოდი სანიმუშოა მხატვრული დამუშავების მხრივაც. ამის ჭართველი ავტორია XV საუკუნის გასულისა და XVI საუკუნის დასაწყისის მოღვაწე მდივან-მწიგნობარი სერაპიონ საბაშვილი.

გალექსილი «როსტომიანის» პირველი ტომი გამოსცა იუსტ. აბულაძემ (შაჰ-ნაძეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტფილისი 1916 წ.). მეორე ტომი დაიბეჭდა ფირდოუსის 1000 წლის იუბილესთან დაკავშირებით (შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, II, ტფ. 1934: პროფ. იუსტ. აბულაძის, დოც. ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, პროფ. კ. კეკელიძის და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარიებით და ლექსიკონით). ჩვენი ტექსტი ძირითადად აბულაძის გამოცემას ემყარება, მაგრამ ის შედარებული და შესწორებულია ხელნაწერი დედნების მიხედვით (ამ შემთხვევაში უმთავრეს წყაროს შეადგენდა საქართველოს მუზეუმის ყოფ. წ.-კ. კოლექციის ხელნაწერი № 428).

ლიტერატურა:

1. ნ. მარი, ორიოდე სიტყვა «შაჰ-ნამეს» ქართული თარგმანის შესახებ („იერერია" 1891, №№ 132, 133. 135).

2. მისივე Из грузинско-персидских литературных связей („Записки кол. Востоковедов, I, 1925).

3. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტორია, I, 1914, 467-447.

4. მისივე, Очерки, III, 112-119.

5. ი. აბულაძე, შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტფ. 1916.

6. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II, 168-191.

7. ალ. ბარამიძე, ფირდოუსი და მისი შაჰ-ნამე, ტფ. 19`4.

8. პროფ. აკ. შანიძე, შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში („ლიტერატ. მემკვიდრეობა" №№ 1-2, 1934-35, 177.

9. ალ. ბარამიძე, შაჰ-ნამეს ახლადაღმოჩენილი ქართული პროზული ვერსია (ib., 196-207).

აქა ამბავი დასაწყისი როსტომისა და ზურაბისა

დღესა ერთსა თავის წინა როსტომ იჯდა შეჩვრებით,
მას მოუნდა ნადირობა, ცხენსა შეჯდა თავის ნებით,
წელთ კაპარჭი შემოირტყა, წამოვიდა არ ყმა-ხლებით,
ნახა ველი კანჯრით სავსე, მას იამა გახარებით.

გაეხარნეს უსაზომოდ, აუყვავდა ვარდი ღაწვი,
ფიცხლად რაშით შეუტია, ლახტით უყო მხეცთა ლაწი;
ცეცხლი შექნა შესაწველად, დააყარა ეკალ-ნაძვი,
მან: „კანჯარი შამფურზედან" (თაესა უთხრა) „კარგა შაწვი!"

[1] აღსანიშნავია, რომ «როსტომიანის» საგმირო მოთხრობები უმთავრესად გაშლილია ერან-თურანის ტრადიციული ბრძოლის ფონზე. აქიდან ერანი (სპარსეთი) კეთილ ძალას ასახიერებს, ხოლო თურანი ბოროტი ძალის მოკავშირეა როსტომი და უპოსის სხვა საყვარელი გმირები ერანელთა ბანაკს ეკუთვნიან.

შეჯამა და არას ეყო, ძვალთა ტვინი გამოსდინა,
რაშსა მისცა საძოვარი, ხმალ-კაპარჭი ედვა წინა;
მან დაიგო მოლი ქვეშე, — არსად უჩნდა მტერი ვინა, —
სათაულად უნაგირი: დაწვა, ამოდ დაიძინა.

მერმე მიხვდა შვიდი თურქი, მისთა მკვლელთა დაემზგავსნეს,
ნახეს რაში ჭალაშიგან, შეიპყრეს და წაიყვანეს.
როსტომ ძილი მოიქარვა რაშისათვის თვალნი არნეს,
ნახა, ცხენი აღარ ჰყვანდა, თუ სთქვა, სულნი გაეპარნეს.

თქვა თუ: „სავსე აუგითა, შერცხვენილი სად წავიდე?!
ხმალ-ქარქაშსა, მძიმეს ლახტსა, უპატიოდ ვით ვზიდვიდე?!
აწ რა ვუყო უნაგირსა, მისად ნაცვლად ვის შევდგმიდე?!
რას იტყვიან ფალავნები? წაუღია ვისმე კიდე!?

სჯობს, მირჩევნია სიკვდილი სიცოცხლე აუგიანსა!“
მხარს უნაგირი შეიცვა ტან-აბჯარ-დარაკიანსა,
რაშისა კვალსა წაუდგა, ვლის ღამე, დღესა მზიანსა,
იარნა დღენი მრავალნი მინდორსა ქვიშა-წყლიანსა.

სამანგანის ჭალაქშიგან ეს ამბავი იყო ასი:
„როსტომ ტახტის მიმცემელი, ხელმწიფეთა დასთა დასი,
ქვეითია სანადიროდ, დაუკარგავს მისი რაში,
მხარს აცვია უნაგირი, იარების, ეძებს ნასი“,

სამანგანის ხელმწიფემან ბრძანა, თუ: „არს მღთისა ნება“!
შეიყარა დიდებულნი, როსტომს წინა გაეგება,
ერთმანერთსა ესალამნეს, პილოტანსა ჰკადრა ქება:
„მიკვირს, რაში რად ვის მიეც, თქვენი მომრე ვინ შეგება“?!

როსტომს ჰკადრეს: „ვართ მონანი, ბრძანებისა არ ორგულნი,
შენთვის გვინდა საქონელი, თავი, შვილი, ჩვენი სული“.
მან ტკბილითა საუბრითა დაუმა როსტომს გული.
„არ მინიხავს მეომარი, ჩემთვის ომად მოკაზმული.

ვიყავ მხეცთა სანადიროდ, მხეცნი მოვსრენ მინდორს მია.
დავშვერ, ვჭამე ცოტა რამე, დამეძინა ერთი დღია,
რაშსა მიეც საძოვარი, უნაგირი ავიღია.
წაბოვიდა გამოპარვით, აწ აქ კვალი მიმიღია..

ფიცხლავ მონახე, იპოე, შენ საქმე გაგიკეთდების,
ჰპოვე, კარგითა შემოგზღავ, რაც შენგან შემეკვეთების;

რაშსა არ ენახავ, მანამდის გული ჯაერითა მენთების,
მრაველად თავადთა თავები დღეს ჩემგან მოიკვეთების“.

როსტომს ჰკადრა ხელმწიფემან: „საუბარი მოიხსენე!
მაგ საქმესა ვინ იკადრებს?! სახლსა ჩემსა მოისვენე,
ჩემსა გმართებს მაემანი, ღამე ლხინით გაითენე,
ყველა კარგად მოვა ღვთითა, რაში შენი შენ გიჩვენე“!

ხელმწიფისა საუბრითა როსტომ ჭირნი იმსუბუქნა,
შინა წასვლა დააპირა, მოყვარულად მონაბუქნა.
თვალ-შავნი და ღაწვ-წითელნი მეჩანგენი ქალნი უხმნა.
ტკბილად მორთეს ჩანგის ძალნი, მან მეჯლიში კარგი უქმნა.

მას მოუნდა მოსვენება, როსტომ გაძღა ღვინის სმითა.
ოქროს ტახტი მოუკაზმეს მუშკითა და ანბარითა.
მაშიგ დაწვა, მოისვენა, დამაშვრალსა მართებს ვითა.
კარსა ზედა მონა მოდგა, გაეღვიძნა რა ძილითა.

მონა მოდგა როსტომს წინა, სანთელ-მუშკი ჰქონდა ხელსა.
ქალი მოსდევს პირად მთვარე, ანათობდა სრულად ხმელსა,
წარბი შავსა შეილდსა უგავს, თმა დაკეცით საგდებელსა,
მნათობთაგან გამოსულა, ჰგავს ალვასა, საროს ზრდილსა.

გულ-ლომი როსტომ გაკვირდა, ახსენა მღთისა სახელი,
ჰკითხა თუ: „აქა რასა იქს შუქი-მზე მონასახენი“?
ქალმან თქვა: „სამანგანელსა ჰყავს მტერნი მოვაგლახენი,
ასული უხუცესი ვარ, თუმიან მე მძეს სახელი.

გული ორად გამპობია მზის შუქისა სურვილითა,
ნაძლევი ვარ, საწუთროსა სხვა ჩემებრივ ჰყვანდეს ელითა!
ჯერეთ კაცთა პირი ჩემი არ უხილავს საუბრითა,
მე სიტურფით მზესა ვგავარ, შენ ნიანგთა მოსრავ ხმლითა!

როს ბრძენთაგან შენი ქება გავიგონე, ხმლითა ქველად
თურანისა ქვეყანასა იარები მარტო ველად,
ისადილებ, არ გეყოფის შენ კანჯარი შესაჭმელად,
ხმლით აერსა აატირებ, გაქვს ლომ-ვეფხთა დასაჭრელად.

ნიანგნი და უზებარნი შიშით ზღვასა ჩაგიცვივდეს.
შენი ხმალი თუ ფასკუნჯმა ნახოს, ფრთენი ჩამოსცვივდეს,
შუბის პირი ცასა ხვედეს და ღრუბელი სისხლსა წვიმდეს,
ქება მესმა აქანამდის და სურვილით ცეცხლი მწვიდეს!

რა მამეგონი, ავტირდი. ბაგეს ვიკბინი კბილითა,
ვინატრი შენი შეხვევნა ბეჭ მკლავთა მკერდით რბილითა,
აწ გნახე ლომი საჩემოდ, გმირი ტანითა ზრდილითა,
მე ამას იქით შენი ვარ, მზე კუბოსა ვჯდი ჩრდილითა.

ჰკვა შემიცვალა სურვილმან, მე ნაკლულად ვარ ცნობითა. 5
დამმადებელმან ყმა-შვილი მიბოძოს მე წყალობითა,
ძალად და გულად შენ გგვანდეს, მე—ტურფა თვალადობითა,
ხმა მისი სჯობდეს კრონოსსა, რაში გიპოვნო ცნობითა“.

რა შეიტყო რაშის პოვნა, როსტომ მიხვდა სიამესა,
ღაწვნი მისნი გაიცადნა, ჰგვანდეს მზისა სინათლესა. 10
დაუმადლა, ტახტსა ზედან დასვა მისსა სიახლესა,
ქნეს წადილი მათ გულისა, ერთად იყვნეს მას ღამესა.

გათენდა და საგდებელი მზემან ეტლით გამოაგდო.
პილოტანსა მძიეი ება ძვირფასისა, არ დასაგდო,
შეიხსნა და ქალსა მისცა, მისეულად მან დააგდო. 15
ეგრე უთხრა: „დაორწულდი, ცოდვაშიგან არ ჩამაგდო,

ქალი თუ იყოს, შეაბი, თმათა ნათხზენთა აგებდეს,
ვაჟი თუ, — ჰგვანდეს ნარიმანს, ვის სრულად ხმელი აქებდეს,
ფალავანს მკლავსა შეაბი, ღრუბელთა სულსა აფრქვევდეს,
ჩამოიყვანდეს ფასკუნჯსა, ნიანგსა მძლავრად დახეევდეს“. 20

სამანგანის ხელმწიფესა მაშინ მიხვდა დღეთა თხოვნა,
პილოტანსა ეთაყვანა, მოახსენა რაშის პოვნა;
ფალავანსა გაეხარდა უსაზომოდ მისი შოვნა.
როსტომ ხელი გარდაავლო: „რად გამიგდე, რაშო, ძოვნა“?!

შეჰკაზმა და ზედა შეჯდა, ჰგავს თუ ორბთა მხართა ფრთოდეს, 25
ერთის თვისა დაყოვნილსა მოვა, ქარი ვერ უსწრობდეს;
ქაოზთანა[1] მო- ცა -ვიდა, სადა სპანი ნადირობდეს.
გაუკვირდა ერთობილთა, მარტოს წასვლას აბრალობდეს.

თუმიანს მიეცა ბაჟი, რომელსაც ზურაბი დაარქვა. ზურაბს თავიდანვე დაჰყვა იშვიათი ფალავანური თვისებები. ჯერ კიდევ 30
სრულიად ახალგაზრდა ჰაბუკმა დედისგან გაიგო თავისი თავგადასავალი და ერანში გაემგზავრა მამის საძებნელად. გზაში და აგრეთვე ერანშიაც მრავალი სახელოვანი ბრძოლა გადაიხადა. უკანასკნელად საბედისწერო შეტაკება მოუხდა საკუთარ მამასთან რომელსაც არ იცნობდა. 35

[1] ქაოზი, ანუ ქექაოზი ერანელთა მეფის სახელია.

აქა პირველი ომი როსტომისა და ზურაბისა

ზურაბ უთხრა: „შეჰირევება შენ ამხადე ომთა ქარად,
გამოვსცადოთ ერთმანერთი, სხვა მეშველი უნდა არად;
მე მიამა თქვენი ნახვა ომად ჩემთვის მოსახმარად,
გპოვე ერანს ლაშქარშიგან ერთი კაცი ჩემად დარად!

ეერა გხედავ ჩემად სწორად, ვაზრობ, შენგან ჩამოსვლასა,
ჩემსა მჯიღესა ეერ დაუდგამ, მზა ხარ სულთა ამოსვლასა“!
ხარ მაღალი მკერდ-მკლავ-მსხვილი, სისრულითა ჰგავხარ ზღვასა,
მაგრა ბეჭნი დაუჰირავს მრავალთ წელთა გამოსვლასა.

რა როსტომ ნახა მკერდ-მკლავი და მისი ჰანგ-მახვილობა,
წუნარა თქვა: „მიწა ცივია, სიტყვისა მოსდევს თბილობა.
ამ სიბერითა მინახავს მე ომთა გარდახდილობა,
მიწათა გამირევია შენებრივ მოწიფულობა.

დღეს აქამდის გაუქცევი არ მამირჩა, ვის შევები,
ცა მხედავს და ეტლმან იცის, თურქთ დავსჭერი ხმლით თაევები;
ჩემი საქმე ცათა სწვდების, მამაცობით ასავსები;
ვეშაპს ნუღარ ერიდები, თუ ცოცხალი მამირჩები“.

ზურაბს ესმა ესე სიტყვა, საეჭოსა ჩაჰხდა გული,
როსტომს უთხრა: „ერთი სიტყვა გკითხო მღთითა დაფიცული,
მე მგონია, შენ როსტომ ხარ, ზაულისტანს თემად რჯული,
ნარიმანის ნათესავი, ზალდასტანის დანერგული“.

უთხრა, თუ: „როსტომ არა ვარ, არცა მისისა გვარისა.
ერთი მოლაშქრე კაცი ვარ, მამკვლელი უზებარისა,
მტერთა სისხლისა დამღვრელი, ხმლითა გამკვეთი ტანისა,
აწ შენი აღსასრული ვარ, სრულ დამამხობი პირისა“.

ზურაბ თქვა: „ცეცხლთა აბედი, აჰა, ჩამეგზნა მე გულსა.
ამაზედ ეხედავ ნიშანსა დედისგან დავედრებულსა.
ახლა გარდმიწყდა იმედი დადაგვით ცეცხლ-მოდებულსა,
რადგან ეს როსტომ არ არის, ვა მე ჰირ-გაცუდებულსა“!

შეეუტიეს ერთმანერთსა, ეტლი მათი აატირეს.
რა დალეწეს მათ შუბები, მერმე ხმლითა დაუშინეს,
იზახოდეს, მუზარადთა სცეს, ბურჯღული გაადინეს,
კვლაე დალეწეს საომრები, ტანი მათი გაატინეს.

სხვა აიღიან აბჯარნი, იგ საომარსა ლეწდიან.
დაშვრეს და ძალი მოაკლდათ, ცხენნი გლახ მოირეწდიან.
სიცხემან ენა დაუპო, სისხლსა და ოფლსა ხვრეტდიან,
ლახტითა სცემდენ აბჯრებსა, ვითა ზეწარსა ფრეწდიან.

რაში დადგა, ძვრისა ღონე არა ჰქონდა, ვითა ვირსა.
ერთმანერთსა დაეთხოვნეს, მოისვენეს ოდენ ჩრდილსა.
შვილსა მისთვის საყვარელსა მაშინ მისცემს მამა ჭირსა.
კვლაცა შესხდეს შესაბმელად, დალესვიდეს ისრის პირსა.

ჰკრეს ისარი ერთმანეთსა, მშვილდსა მხარ-გრძლად წამოზიდნეს,
ჯაჭვ-ბაბრაბი ორთაჟ ეცვა, წყლული ყოლე ჲრ ეტკივნეს.
საომარი დაელივნა, ერთმანერთსა ვერა ავნეს.
მერმე ხელად შეიყარნეს, ერთმანერთსა მოეშიდნეს.

როსტომ გულს უთხრა: მე-დ' რაში აწ ცუდად არა ვშვრებითა,
ვით სხვანი სახელდებულნი ამიხვამს უნაგრებითა,
ცხენსა მოვხადო მათებრივ, ავავსო შეჭირვებითა.
აზიდნა მან უნაგირსა, გახეთქა ჩაჭირებითა.

მაგრამ ზურაბ ძლივ შეიძრა, მუნვე იჯდა, დაემყარა,
მერმე როსტომს მან აზიდნა, თავი პილოს დაადარა,
ქვეშეთ ფეხნი შემოხვივნა, როსტომ რაში მოიხმარა,
ოთხნივ ფეხნი მოუსხლიტნა ქარმან, ქვეშე გაუარა.

კვლა გაიყენა სამანდი, ვითა სრონღულმან გაუსო,
კისერსა ხელი წამოჰკრა, ზურგსა ლახტი ჰკრა, გაუშო;
მან ერანელთა მომართა, ეტლი დაბმული აუშო,
ქარულად ზედა მოუხდა, სისხლისა ღვარი გაუშო.

რაშსა შესდგა უნაგირი, როსტომს ჰქონდა ხელთ ოროლი,
თურანელთა შუტიცა, ჰფანტავს ვითა ტრედთა ჭორი,
უყო რისხვა საშინელი, დახოცილთა იდვა გორი,
პილოტანსა ვერვინ დახედა მეომარი მისი სწორი.

თქვა: „იგი თურქი რა იქნა, ვინ მზესა დაედარების?
ერანელთაგან თავადი მას ვერვინ გაედარების;
მათ ავი რამე მან უყოს, არვისგან გაიყინების,
ამათი ხოცა ქექაოზს აღარას მოეხმარების".

ესე თქვა და უკ-მობრუნდა, ქაოზისკენ წამოვიდა.
ზურაბ ვლიდა ვითა მგელი, ერანელთა სისხლსა ღვრიდა,

რიყედ იდვა დახოცილი, ვითა ბზესა დალახვიდა,
მკლავთა სისხლი ჩაზდიოდა, ჯაჭვის კალთას უღებვიდა.

როსტომ ნახა, ეგრე უთხრა: „თურქო, მსმელო სისხლისაო!
ერანელი ვინ შეგება, რად ჰხოც ავის რჯულისაო“?
ზურაბ უთხრა „შენ რად დაეც სპათა ჯარი თურქისაო?
თქვენ მუქარა ვერვინ გთხოვა შესაბმელად რაზმისაო!“

როსტომ უთხრა: „აწ დაღამდა, აღარა ჩანს მზისა არე,
ხვალ აქავე შევიყარნეთ, ხმალს ქვეშ არის ტახტ-სამარე,
შემოყვრებით ეტლისაგან ჯერ ვაჟი ხარ რძე-მწოვარე,
ცასა უკვირს შენი საქმე, განცვიფრდების მზე და მთვარე“.

აქა როსტომ გიგს ზურაბის ქებას უანბობს დიდად შეპირვებული.

„იგ ფალავანი ახალი დღესითგან მტერთა ბადია,
სიმძიმით მიწა ვერ ზიდავს მასკვლავთა განაცხადია,
ლახტითა, ხმლითა, შუბითა, ისრითა გამოესადია,
მე ვერა უყავ ომითა, — „ყოლ არა მჩანხარ!“ — თქვა დია.

ეთქვი: „სხვანი სახელდებულნი მე ამიესია ჰირითა,
ესეცა დაესცე მიწასა, ავიღო უნაგირითა“.
მას შეეტიდე ცხენზედა მედგრად, გულითა ძვირითა,
მაგრამ, ვითა მთა, ვერ შევსძარ იგ შეპურვილი რკინითა.

ხვალ ადგილსა საომარსა რკენით მინდა ღონის დება,
შევეხვეწნეთ შემოქმედსა, — მისი იყოს ჩემგან ვნება,
მზე და მთვარე მას ქვეშ არის, გამიმარჯვებს თუ განგება,
ზოგთა მისცემს ტახტ-გვირგვინსა, ზოგთა — მიწათ გასწორება“.

ჭაოზ იტყვის: „როსტომ, იყავ ამას ღამე ლოცვის ახლოს!
პირი მიწას გააერთე, გული შენი გაანათლოს,
მოგცეს ძალი მორევნისა და ცათამდის აგამაღლოს,
ხვალე მოჰკლა უზებარი, მკლავი შენი გაგიახლოს“.

როსტომს ტვინი გაუფიცხდა, გული ჯავრით აენთების,
მოახსენა: „ხელმწიფეო, მღთითა ნურა გეჯავრების,
კეთილისა მგონებელო, თქვენი ნება გათაყდების,
თქვა და სადგომს წამოვიდა, მას ზურაბვე ეგონების.

ჭამად დაჯდა პილოტანი, მოითხოვდა სანუკარსა,
კაეშანი გაიყარა, სვამს, დალევდა დოსტაქანსა.

ზავარს უთხრა: „ხვალ შეებმი, სადა იგი თურქი არსა,
შეეკაზმე გულ-მღვიძარედ, დადეგ ჩემის კარვის კარსა!

მეც ადრე მოვალ, თუ მამცემს განგება გამარჯვებასა.
თუ მომკლან, გულსა ნუ მისცემ ტირილსა, შეჭირვებასა;
აქ ნუ დახვდები ქექაოზს, ამ რაზმსა თუ შეებასა,
ზაულს მიმართე, ეცადე დასტანის გამაგრებასა!

დედაჩემსა მოახსენე: «ჩემთვის გული ნუ ეწვების»
მე ეს მიყო საწუთრომან, ხან-გრძლად არვინ გათავდების.
არამი და ცრუ, მტყუანი ყოვლსა კაცსა ემტერების.
მუხთალია ეს სოფელი, კაცი ვერსით მოურჩების.

ლომი, ვეფხი და ნიანგი, ჰე, ჩემგან მო- ცა -კვდებოდა.
თუ დღეთა ჩემთა სიგრძესა ათას-წელ დამეტებოდა,
გზა ესევ გვედვა სავალი, არსით არ გაგვცილდებოდა,
არავინ არის უკვდავი, საქმე აქ მოიყრებოდა.

ზაალს ჰკადრე ერანელსა: «ხელმწიფისგან შორს ნუ დგების!
მტერთან კარგად მოეხმაროს, ნურას დაუსუსურდების;
ბრძანებასა ნუ გადავა, ნურცა ომსა მოეშლების,
ყრმა იყოს, თუ უნდა ბერი, ყველა სწორად გარდაჰხდების».

როსტომ ომსა აპირებდა შვილისათვის სისხლ-საჩქეფად:
მან ჩაიცვა ტანს აბჯარი, ისწრაფოდა მისთვის ენებად,
ფრინვით შეჯდა ვეშაპზედა მზისა შუქთა დასაყსებად.
წინ მეჯლიში გაიშალა, ზურაბ იჯდა მოსვენებად,

ომანს უთხრა: „იგ ლომ-კაცი დღეს მოვა და მე შემებმის,
მკლავ-კისერი ჩემსა უგავს, ჰვრეტად თვალნი არ მოხლჩდების,
ავეანდათა ფეხთა ქნევა, სიყვარული შემექნების,
მას საკრავად ვერ ვიმეტებ, ცნობა რადმე ერიდების.

დედისაგან დავედრულსა მაზედ ეხედავ მანაშურთა.
ბრძოლად გული არ მიმეტყვის, სირცხვილითა დავხშავ კართა.
როსტომ არის უსაცილოდ, ვინ შეიპყრობს უზაბართა.
უცხოდ მოვკლა მამაჩემი, არამც ესე დამემართა"!

ომან უთხრა: „მე მინახავს რაზმთა შიგან როსტომ ომად,
მისსა რაშსა ესე ცხენი ჰგავს ავეანდად, ცხენსა ჯდომად.
უცხო კაცი დააგვანებს სადავეთა ხელთა ქონად, —
ნუ ყოს ღმერთმან! იგ არ არის, ყოლე ნუ გჩანს მისად სწორად"!

ზურად ჩაიცვა აბჯარი რაზმთა საომრად ლხინითა,
გრგვინვედა ღრუბელივითა იგ შეჭურვილი რკინითა,
მან როსტომს ჰკადრა მოკითხვა მოკინარითა პირითა,
ჰგვანდა, მას ღამე ნადიმად ერთად წაერთო ღვინითა.

მოახსენა: „როგორა ხარ ნაომარი ლომისაგან?
როგორ დაგიპირებია, ვარჩევ დავსცხრეთ ჯავრისაგან,
ხმალი-ლახტი, ჯაჭე-ჯაჭმანი გავიშორეთ ტანისაგან,
უბედური ფათერაკი ჩამოვიხსნათ ეტლისაგან.

დავიდეთ წინა ნადიმი ჩვენ მხიარულის გულითა,
ვსთხოვოთ უფალსა შენდობა, მას შევეხვეწნეთ სულითა,
სისხლთა ღვრა, ომი, ორთავე აღუთქვათ აღსასრულითა,
ამას წინათა ნაქმარი შევინდოთ სინანულითა“.

კვლაცა უთხრა საუბარი ზურაბ, სიტყვა არა მქისი:
„მე შენზედა ნიშანს ვხედავ, ნათესავად შენ ხარ ვისი,
საძებნელად გამოვჩრილვარ, მე სურვილი მამკლავს ვისი,
შენ როსტომ ხარ, დასტანის ძე, შვილის-შვილი საამისი“!

როსტომ თქვა: „ცუდად აუბნებ, ყმაწვილო, ტკბილსა ენასა!
ჩვენ ერთმანერთსა ომშიგან გუშინ დავჰპირდით რკენასა,
მით ხვალმე გარდავიწყვიტოთ, ერთი ველოდეთ შველასა,
ბოლო იგ იყოს საქმისა, ვიწყოთ ცრემლისა დენასა!

არ მოვსტყუვდები ლაყბითა, მაქეს ჟამთა გამოცდილობა,
ბერი კაცი ვარ, მაჩნია ომშიგან ჭირთ-ნახულობა,
მოკაზმული ვარ სარკენლად, გინახო მოწიფულობა,
დასცადე ჩემი ძალ-გული და ჩემი ჭანგ-მახვილობა“!

ზურაბ უთხრა: „ბერო კაცო, დაიმშვიდე გული წყლული!
სჯობდა შინა მისულიყავ, დაგველივა მუნვე სული“.
ცხენი ქვასა გამოაბეს ბარგისტანით შეკაზმული,
ჰმუნვით იყვნეს, ორთავ ედეა შეჰირვებით სავსე გული.

აქა პირველი რკენა როსტომისა და ზურაბისა და როხტომის დაცემა

რა ამართეს მათ პირები, ლომი ლომსა შეეჯიდა.
ტანსა ოფლი სისხლიანი მათ კოჭამდის ჩამორცხიდა.
ზურაბ პირი ა- ცა -აღო, ჰგავს, ვეშაპი მზეს ჩანთქმიდა,
ერთი ხელი კისერს მიჰყო, სხვით ბარკალსა მოეკიდა.

შეკეცა და ზე აიღო, დაიძახა: „აბორია“,
მე ვგრად დასცა მიწაზედა, პირი მტვერსა გაურია,
ვითა ვეფხი ზედ შეახლტა, შვილი მამას მოერია,
თავს ლამოდა მოკვეთასა, სული აღარ დაულია.

როსტომ თქვა: „მივხედი ვეშაპსა, ვარ უიმედო სულისა“!
თქვა: „მიჯობს, გამოცხადება საქმისა დაფარულისა.
— „გმირო ჯომარდო, ყმაწვილო, ალვა ხარ ედემს რგულისა,
აქ თქვენი წესი არ არის, სხვა არის ჩვენის რჯულისა.

აჯა ვინცა ერკინების პილოტანი ფალავანსა,
პირველზედა არას ავნებს, არც პატიმრად წაიყვანსა,
თუ მეორედ მოერევის, თავსა ლომსა დაირქვამსა,
ფიცხლავ თავსა გააშორებს, სატაგრუცოდ მიიყვანსა".

ამ ღონითა როსტომ იხსნა ვეშპის პირით თავი მარად.
ზურაბ უთხრა: „ბერო კაცო, ლაყაფს კრეფა უნდა არად.
გამიშვიხარ, სადანამდი დღე გათავდეს შენი დარად,
აწ დღესითგან დაიჭირე სული ჩემგან იაღგარად"!

მოტყუვდა გმირი ყმაწვილი ამისი იმედეული,
ჯომარდი გულოვნობითა, ჟამად ვერვისგან ძლეული,
ლაშქართა შიგან მოვიდა ნაბრძოლი, აბჯარ-ჭნეული
იგ უმაშვრალოდ, ვითამცა ალვა ნიავთა რხეული,

შემოირტყა შვილდ-კაპარჭი, თამაშობად გამოვიდა.
ინადირა, მხეცნი მოსრნა, თავის სრასა შემოვიდა.
პირ-მთვარენი გვერცა უსხდა, მერმე მკვრელნი შემოვიდა,
სმა და ლხინი გაახშირეს, მზე უღრუბლოდ ამოვიდა.

ზურაბ ამბობს ომთ ამბავსა, მჭვრეტელთათვის სასურველი,
რაცა ექნა როსტომისთვის, ან გაეშვა რისთვის მრთელი.
გულსა ედვა ქაჯის ბადე, ომან იკრა პირსა ხელი,
უთხრა: „გასძეხ სიცოცხლითა, დაგიბნელდა დღე ნათელი!

ვა შენი ტანი მაღალი, პირისა შვენიერობა,
ბეჭ-მკერდი, მკლავი და ლახტი და ავჟანდათა გრძელობა!
საქმე მდაბალი მკვახედ ჰქენ, იწყე თავისა მტერობა,
შენ უზებარი გაუშვი, დაჰკარგე ბედნიერობა!

ამა საქმითა შენზედა, ნახავ რა მოიწევისა!
შენი სიცოცხლე დღესითგან ცუდია, გარდახდებისა".
სადგომისაკენ წავიდა, ტირს, გული დაუჭანებისა.
თქმულია: «მტერი ბედითი მტერთგან არ იწუნებსა».

შესარცხვენელად ზურაბს ესმა რა ომანის პირისაგან,
მან მეჯლიში გაიყარა, მოეშალა ლხინისაგან,
ჯავრიანი შუღლს აპირობს, დნების უფრო ცეცხლისაგან,
მას ღამესა უნაწილოდ დარჩა ტკბილის ძილისაგან.

როსტომს ზურაბ რა დაეხსნა, მოუბრუნდა მკვდარსა სული.
თქვა თუ: „მოვრჩი, ახლა ვპოვე მე სიცოცხლე დაკარგული".
იგ შეიქნა, ვითა გერდემლი, — ბასრი ხმალი გამაბული,
მერმე წყალსა მო- ცა -მართა, გაჰხმობოდა სიცხით გული.

სვა წყალი, პირი მიწასა დასდვა, ილოცავს ნებასა,
ღმერთს რა გაეგო, არ იცის, იაჯდა გამარჯვებასა.

ეტლი უკუღმა მბრუნავი ისწრაფდა გამწარებასა,
მათ უპირობდა გვირგვინსა მოხდასა, გამტეერებასა.

ლაშქართა შიგან მოვიდა როსტომ პირ-გაყვითლებული.
წინ მიეგებნეს თავადნი, ნახვად იმისთვის რებული.
მათ უთხრა მისი ამბავი: „ვარ დღითა შევიწრებული".
ხელმწიფეს წინა მოვიდა პირ-ჭმუნვით, გამწარებული.

მოახსენა: „აწ სიცოცხლე დღეთა ჩემთა გარდაჰხდების.
რაც მინახავს მეომარი, სხვა მისებრივ არ იქნების;
ნიანგი და დევი, სპილო ძალად არას ედარების,
რა გინდა რა გრძლად ვიბრძოლოთ, ვით უხორცო, არ დაშვრების.

სხვა მეომარი მის მეტი, იცით, ვერ გამმაგრებია,
ამისგან კიდევ სიკვდილი ჩემი არ მიაზრებიან.
თუ მამერევის, ისრევე დღეთაგან გარდავხდებია,
საამს მივართვამ ამბავსა, ნარიმანს ვესტუმრებია".

ნაღვლითა ცოტა რამ ჰამა როსტომ გულითა ქველითა,
მას ღამე ღმერთსა ევედრა სიტყვითა საკვირველითა:
„ნუ ამოაგდებ ქექაოზს, ერანსა საძირკველითა,
ნურც გათავდების ჩემი დღე იმ ფალავნისა ხელითა!

ინადირებს ერანელთა უადვილეს ჩიტისაგან,
უმეტდოდ დახდებიან ტახტისა და ციხისაგან;
ბანოვანნი უპატიოდ ითრევიან თურქისაგან,
ბევრი სული ამოსწყდების, წაირღენების სისხლისაგან".

რა გათენდა, ზურაბ შეჯდა, იგ სამანდსა მოირბევდა.
— „დღეს რკენითა გავიჩინოთ, ფალავანო"! — მაღლა ჰყეფდა.
შეენება და ჯომარდობა მისი როსტომს აკვირვებდა,
საუბარი ომანისა ზურაბს ჯავრით აღელვებდა.

აჭა როსტომისა და ზურაბის რკენა და მამისაგან შვილის სიკვდილი

როსტომ უთხრა: „ლომის ომსა რადგან დაჰკრთი, გიჯობს ზავი!
აწ მოდი და ერთმანერთსა ჩვენ უჩვენოთ კვლავცა მკლავი"!
როსტომ ყოლე არა თქვა რა, რაშსა შეჯდა გმირთა თავი,
კვლა სარკენლად დაემზადნენ, უბრუნევდა ეტლი ავი.

ვითა ლომნი შეიპიდნენ, გააპობდენ კლდესა ტინსა,
რკენასშიგან იგ მკერდებსა აძგერებდა გმირი გმირსა;
მაგრამ ეტლი უკუღმართი გაუპირებს ვისცა ძვირსა,
ვან შეუკრა მხარი ზურაბს, კლდეს დაადნობს ვითა ცვილსა.

მას ნიანგთა მეომარსა მკერდ-კისერსა ხელი დასცა,
ლომმან როსტომ დაიძახა, აიყვანა ზურაბ, დასცა.
მან ხელ-ფეხი გაიქნივა ასადგომლად თავის გზა სცა,
ფიცხლავ დანა გამოიღო, მოსაკლავად გულსა დასცა.

როსტომ ვერ დაიმაგრებდა ზურაბს, გავსილსა მთვარესა,
ვით ეტლი აუდგებოდა, ჰგავს მზისა მეჯუფთარესა,
მამამან დასცა ხანჯალი, გლახ, სისხლთა სადინარესა,
გული და ღვიძლი გაუპო ყმაწვილსა გულ-მღვიძარესა.

ზურაბ თქვა: „ეს ფათერაკი თავს ვუყავ ანაზდეული“!
სისხლისა ღვარი გაუშვა, უკუ-წვა გულ-მტკივნეული,—
„მე მქონდა საწუთროს კლიტე, შენ მოგეც განასრულებ
შენ უბრალო ხარ, მოეტყუედი, სირეგვნით ცნობა-რეული!

საძებნელად მამისათვის ჩემი გული გამოჭრილა,
დედაჩემმა გამამგზავნა, საქმე იმან მამილბილა,
სული დავსთმე ძებნისაგან, დღეს სანთელი დაშრეტილა,
აწ იტყვიან: «საწუთრონი ჩემნი ეტლით ჩამოჭრილა».

შენ ბერო კაცო, მუხთლობით (საუბრად პირი აიღო)
რად მამკალ, გიჯობს, ზღვაშიგან თევზთაგან ცნობა აიღო,
ჰაერთა შიგან გახვიდე, ზეცით ძალთ ჭკუა აიღო,
ვარსკვლავეთა თანა საჯდომლად მიწათ სურვილი აიღო!

აქ ლაშქართაგან ერთიცა მორჩების სახელ-დებული,
როსტომს მიართვამს ამბავსა მტირალი, შეპირებული:
«ზურაბ მოგიკლეს ღალატად, ძე შენად ძებნად რებული!
მან ჩემი თავი იძებნოს ღრუბელთა შესწორებული!“

როსტომს რა ესმა, გაჰკვირდა, დადგა უშტოსა ხე ვითა;
ვითა ფურცელი ათრთოლდა, დაეცა მკვდარი ძე ვითა.
სულად მოვიდა, ჰკითხეედა ნიშანსა ცნობა-რევითა:
„აწ შენი საქმე მიანბე, აწ, დავიკარგე მე ვითა“.

ზურაბ უთხრა: „თუ როსტომ ხარ, რასთვის მამკალ, შენ გეძებდი,
ავ-ცნობობით არ მოგეკალ, ცეცხლსა წყლითა გინელებდი,
არ შეგეძრა სიყვარული, ყოვლგნით გზასა გიჩვენებდი,
აწ ჯავშნისა ნასკვი გახსენ, თუ ტყუილად გიჩემებდი.

აქა წამოსვლად ბუკსა ვკარ, ტაბლაკსა რა ეგვანების,
მუნ დედაჩემი მოვიდა, ტირს, მკვდართა დაედარების.
მან ესე მძივი მიბოძა, რომელი მკლავსა არ ების,
დამეედრა მამისეულად, «ნახე, სად მოგეხმარების»!

როდის გნახე, მუნვე გიცან, გაჩვენებდი გზასა დია,
მძივი თქვენგან ნაბოძები ამად ჩემთვის უხმარია.

ბედი ავი გამიმლაშდა, შაავი ეტლი მამერია,
მამის ხელით დალახრული უპატიოდ მკედარი ვქია".

მერმე გაუხსნა ხუფთანი ელვა გამოჰკრთა, მზე ვითა.
მძივი ეცნა და ატირდა როსტომ, ყვიროდა, მთა ვითა.—
გარდაიხივა საყელო, გრგვინავს მღელვარე ზღვა ვითა,
„ვა, შვილო, ჩემგან მოკლულო" — ტირს, ამას იტყვით ვაითა.

„ვა ანჯამანო ფალაენად", ტირილით როსტომ ყვიროდა,
შვილობით მოსთქვამს საბრალოდ, თავს მიწა გარდასცვიოდა,
მინდორთა ჰფრენდა ხელითა, სისხლი და ოფლი სდიოდა,
ცრემლისა ნაცვლად თვალთაგან ძოწისა წყარო სცვიოდა.

ზურაბ თქვა: „ჟამად კმა არის, ჩვენ ავი რაცა ვქენითა,
უარესია, მოიკლავ თავსა თავისის ხელითა.
ეს მოსავალი მოვიდა, სირეგვენით რაცა ვქენითა,
გარდაჰხდა ჩემი სოფელი, არ მოსალოდნი ლხენითა".

აჰა ზურაბის შავ-დედისაგან მის ლომ-კაცის შვილის ხიკვდილის ცნობა

ზურაბის გვერცა ნაახლი ლაშქარნი გულ-დადაღულნი,
სამანგს მივიდნენ ქალაქად, იმალოდიან ნაბულნი.
დღეს ერთსა ჰყვანდა სამანდი საძოვრად ბაღსა დაბმულნი,
თუმიან იცნა, გაჰკვირდა, ცეცხლნი მოედენეს დაგულნი.

მიმყვანნი მიასხმევინა, მათ მოახსენეს ყოველი,
ხუფთანი სისხლით გასერილი მიართვეს კვლა უპოველი.
ჰკადრეს: „მობრუნდა რისხვითა ცა წყალობისა მთოველი,
მუხთლად მოგვიკლეს პატრონი, ზურაბს ნუღარა მოელი"!

გარეტდა და ამას ჰგვანდა, ქვაა კლდისა მონაკვეთი,
შვიდთ ქიშვადთა გაიგონეს, დაიკივლა მან ასეთი.
ორსა დღესა მკედარი იდვა, სულ-ამოსვლად დანაკვეთი,
მან დაიწყო მერმე მოთქმა, წამოიჭრა ვითა შეთი.

იტყოდა თუ „ჟძლეველო, ჰე, ლომ-კაცო, აჰა შვილო!
მზის მოყვასო, საწუთროსა სიამითა ვარდო ჩვილო,
ჯერ უნდილო, შესაქნელო, ალვის ხეო, ედემს ზრდილო,
ვაჲ ნაყოფი უბრალოო, მამის ხელით დალახრულო"!

მერმე იკრა პირსა ხელი, ძოწის წყარო ითხეოდა,
რაცა ეცვა სასალუქო, უპატიოდ იხეოდა.
ტანი ბროლი, საროს მზგავსი, შეძრწუნდების, ილეოდა,
ქარისაგან მორეული ვითა ვერხვი ირხეოდა.

კვლაე დაიწყო ძახილითა უცხო ფერად მან მოთქმანი,
იგ ჩაიპრის ცეცხლთა შიგან, ეკიდიან ხელთა სხვანი.
მკერდსა სისხლი ჩაზდიოდა, ზეცას ისმის მისი ხმანი,
ნათხზენთაგან დაიგლიჯნის ელვარენი შაენი თმანი.

ხორცთა იჭამდა კბილითა, ვით ლომი გაფიცხებული,
ნაცარი გარდაიყარის, ტირს ღონე-გაცუდებული.
რაც დარჩომოდა თმათაგან წვგლეჯი, ეაგლახებული,
იგ მოიტუსა ცეცხლითა, იწოდა დაეალებული.

„დედისა თვალთა ნათელო, რასა ვიქ მზე-დაესებული?
ნეტარ, ვინ გნახა, მიწათა გარეეით ტალახებული?
სად დაგიტივა სოფელმან ღრუბელთა შესწორებული,
ვაჲ წახდა შენი სახელი, ყოველგან მოწონებული!

ბანთა ვჯდი, შენ მოგელოდი, ღამე ვერ გაეძლი ძილითა,
როსტომის შეყრა მეგონა შვილობის სიყვარულითა,
ჩემთანა მოსულა ორთავე გულითა მხიარულითა.
შაე-დედა რას იაზრებდა სხვას ამის მეტსა სულითა?!

მე მოველოდი დღე-ყოველ, ვიშვერტდი ბანის-ბანითა,
ჩუქების ნაცელად მამამან ღვიძლი გაგიპო დანითა!
ვაი, არ შეუბრალიხარ პირი-მზე საროს ტანითა!
თვალნო, გაძეხით ტირილით, ღაწვნო — ცრემლისა ბანითა!

ნაკვთი ტანისა შენისა, ლამაზად მოხდომილობა,
თმა შაეი, ბროლის ბურჯითა სწორობით შეკეცილობა;
უდრეკთა მკლავთა სიმაგრე, შუქისა მოფენილობა,
არა იაზრა მან ბრძენმან, ვაჲ, მზეო, შენი შვილობა!

მაღალი ტანი, უკლები, გაგზარდე დიდის ჰირითა,
ვითა გფერობდა, ჯომარდო, ამოდ და სათუთობითა,
მიტყუა დღემან მოკლემან, გამხადა ასეთობითა,
ხვანჯი შენშიგან დამალა სუდარა ხარიხობითა.

შვილო, დაბნელდა განგებით. უფალსა თურმე ენება!
წმიდათა თანა მოგხვდების სამოთხეს გამოსვენება.
სანამდის ვიყო ცოცხალი, გავძლო ღამისა თენება,
ვინ მყავს გულისა დამდები, მე მმართებს მისი ჭენება!

ვინ არს ჩემი მოხოიშნე, ვის გავანდობ გულის წვასა?
სად არიან შენნი თვალნი, უმშვენესი მელნის ტბასა?
საძებარად მამისათვის, შვილო, წახველ შორსა გზასა,
ნაცელად ჰპოვე შენ სამარე, დაამყარებ ჩემრვის ვასა.

გაჰხეა, შვილო, უღონოდ მამისა იმედეული,
ჩასწევა სამარეშიგან, ხანჯლითა ღვიძლ-დახეული!

ჰკვიანო შვილო, გნახაა შენ როსტომ ლახვარ-ხეული,
რად არ უჩვენე მანამდის ეგ მძიგი იმათეული?!

ნაკეთი ტანი შეენიერი გაეცადა ჩხიარულსა,
ბრძენმან აჯერ მართლა მითხრა, ეითა მართებს მოციქულსა:
«მოლოდინით დედას მოჰკლაეს და მოყვასთა დასწვაეს გულსა»
ტყვედ მტირალი დედა შენი დავრჩი, ეაი დაკარგულსა!

თანა რად არა წამოგყევ? შვილო, მშვიდობით გარებდი.
როსტომს მე შორით ვიცნობდი, შეგყრიდი, გაგახარებდი
ვით ვარდსა, აგაყვავებდი, მამა-ძედ დაგამყარებდი,
აწ ესე არ მოჰხდებოდა, მტერთ გულსა შევაზარებდი!“

ამას მოსთქვემდა, იგლოვდა. მტირალი ცრემლ-დათხეული:
„ჰე, შვილო, ზურაბ, მანდ დასწევ, ეა, წყლული ღვიძლ-დახეული,
მე ლაპარაკად აქა ვზი, მზეს უქვრეტ ცნობა-რეული“!
ორივე ხელი მუხლს იკრა, დაბნდა მიწათა რეული.

თქვეს: „მოკვდა, აჰა, უცილოდ, შვილისა გზასა წავიდა,
სისხლი არ შერჩა, სიწითლე უფსკრულთა თანა ჩაეიდა,
ღამისა ორ-ნაწილამდი ოდენ სულადვე მოვიდა.
ჰპატიჟეს ბრძენთა თუმიანს, მზის ქვრეტად არ წამოვიდა.

ოთხნივ ფეხნი გარდუკოცნა, გლახ, სამანდსა თვალი არო,
„ჰე, ზურაბის წამხდენელო, ფათერაკთა მოსახმარო“,—
თვალთ აკოცა, — „საუკუნოს პატრონისა ვერ მიმხვდარო,
ვინღა შენის ხელის მქნელი, ბედ-მლაშეო, საფადარო!

აეჟანდათა ჩამჭირები, ვინ არს შენი მომხედნელი?
სადავეთა მამზიდაეი, ნადირთ უკან მიმწეელი,
საისპაოდ, სამამაცოდ, კაცი ზნეთა მასწაელელი“?
სრულად სისხლით იღებვოდა, ამას მოსთქვამს ეითა ხელი.

ცნობა წასვლოდა, რასა იქს, მას არა შეუგებოდა,
პირსა აიდეა ლაგამი, ტირს, ცრემლი არ შეშრებოდა,
ზურგს უნაგირი დაიდგა, სამანდსა ემსგავსებოდა:
„მე წამეყვანა თუ ზურაბ, დედას არ მოუკდებოდა“.

ხმალი, შუბი, მშვილდ-ისარი გარდილეწა მისი თავსა,
სახელმწიფო სამოსელი, რომ ემოსის ზურაბს ტანსა
მოჰკაზმა და ტირილითა მოეხვია, ვით ცოცხალსა.
მერმე გასცა გლახაკთზედა, სამკაულსა წაატანსა.

მან სამანდსა გზა უჩვენა: წადი, ძოე გზას მაღალსა,
ნადირთთანა იქცეოდი, ნუ მორჩილობ ქართა ძალსა“!
თქვა თუ: „შვილო, ვეღარ გიქვრეტ ნადირობით-ნაბერთალსა“!
ორნივ თვალნი წაიყარნა, თქვა: „რას ვაქნევ სახედასა“?

წლამდი ისე ცოცხალ-იყო ვერ იხილა მზე და მთვარე,
ტიროდის და ილეოდის, გლახ, სიცოცხლე ჰქონდა მწარე,
ბედმან კრულმან ტახტის ნაცვლად დაუმკვიდრა მას სამარე.
წესი არის საწუთროსა, არის ჩვენთვის მოუხმარე.

—

დავალებანი:

1. შეადარეთ ხალხური ლექსები როსტომ-ზურაბის შესახებ აქ მოყვანილ ეპიზოდებს.

2. რა ცვლილებას ვამჩნევთ «როსტომიანის» ენას «ვეფხის-ტყაოსნის» ენასთან შედარებით სინტაქსის მხრივ (მაგ. ჩრაელობითში დასმული „ნ"არიანი სახელის შეწყობის საკითხში პირიან ზმნასთან)?

3. გეხვდება თუ არა «როსტომიანში» ნამყო ხოლმეობითის ფორმები და თუ გეხვდება, სად და რომელი პირის ფორმით? (ამოიწერეთ ფორმები).

თეიმურაზ პირველი

თეიმურაზი დაიბადა 1589 წ., პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის დედისგან, შემდეგში იზრდებოდა სპარსეთის შაჰის აბას დიდის კარზე. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის ჭაბუკი (1605 წ.) გამოცხადებულ იქნა კახეთის მეფედ. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ის არაერთხელ ყოფილა ტახტიდან ჩამოგდებული, გაძევებული, და კვლავ აღდგენილი. თეიმურაზის დაუძინებელი მტერი იყო მისივე აღმზრდელი გონიერი და ენერგიული შაჰ-აბასი, რომელმაც ორჯერ პირადად ილაშქრა საქართველოში, საშინლად ააოხრა ქვეყანა და ათიათასობით მცხოვრებნი აჯარა და შიდა სპარსეთში გადაასახლა (1616 წ.).

გარეშე მტრისაგან დასუსტებული თეიმურაზი შეძლებული ფეოდალების დიდი გავლენის ქვეშ მოექცა და ერთგვარად მათი სათამაშო საგანი გახდა. თეიმურაზის მდგომარეობა, როგორც ნომინალური მეფისა, დიდი ფეოდალების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მეფის ცხოვრება უმთავრესად ემიგრაციაში (იმერეთის სამეფოში) მიმდინარეობდა და თავისუფალ დროს იქ ლიტერატურულ საქმიანობას ანდომებდა. თეიმურაზმა სცადა ახალი საორიენტაციო გზების გამონახვა და დახმარებისათვის მიჰმართა ოსმალეთს (რომელიც სპარსეთს ჰმტრობდა), დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და განსაკუთრებული იმედინებით რუსეთს. უკანასკნელთან საკმაოდ მტკიცე დიპლომატიური ურთიერთობა გააჩაღა და ელჩების რეგულარული გაცვლა-გამოცვლა აწარმოება, ბოლოს თითონაც ეწვია მოსკოვს, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩდა. მაშინ თეიმურაზი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო და ისევ სპარსეთთან მორიგება ერჩია, ამ მიზნით ღრმად მოხუცი ყოფილი მეფე სახიფათო მგზავრობას არ შეუშინდა და სპარსეთისაკენ გაეშურა. სპარსეთიდან თეიმურაზი ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. 1663 წ. პატიმრად მყოფი გარდაიცვალა ქ. ასტარაბადში.

თეიმურაზის ხანგრძლივ პოლიტიკურ მოღვაწეობას მუდმივ მძიმე შედეგი ახლდა თან. მწარე ხვედრი ეწია მას ოჯახურ ცხოვრებაშიაც. თეიმურაზის დედა ქეთევანი შაჰ-აბასმა საშინელი წამებით მოაკვლევინა; იმავე შაჰმა დაალუპვინა მისი ორი უფროსი შვილი; ოჯახის არც სხვა წევრების ყოფა ყოფილა სახარბიელო. საერთოდ თეიმურაზის ცხოვრება საშინელი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და ოჯახური აფორიაქების პირობებში მიმდინარეობდა. ამ პირობებმა ღრმა ბეჭედი დაასვა თეიმურაზის შემოქმედებითს ინდივიდუალობას. მის პოეზიაში ნათლად აისახა საზოგადოებრივი დაცემულობის ტენდენციები. ეს ტენდენციები უწინარეს ყოვლისა პოეტის პესიმისტურ განწყობილებაში გამოიხატა: პოეტი უჩიოდა წყევლის წუთისოფელს, ცხოვრებას და ხანდახან სიკვდილსაც კი ნატრულობს. საერთოდ მოთქმა, ჩიოდა, წუწუნი, სევდიანი და ნაღვლიანი კილო თეიმურაზის ლირიკული ლექსების განუყრელი მომენტია. მაგრამ თეიმურაზი უფრო ცნობილია, როგორც სპარსული მიმოთოლების წარმომადგენელი პოეზიაში და ეპიკურ-რომანტიკული ჟანრის მწერალი. ის საკუთხოდ აცხადებდა „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, ხოლო „მძიმე არს ენა ქართველთა“ო.

თეიმურაზის კალამს ეკუთვნის სპარსული კლასიკური მწერლობის რამდენიმე ძეგლის თარგმნა, ანუ უკეთ გადმოკეთება-გადმოქართულება. აქედან ამ წიგნში შემოსულია მოკლე პოპულარული პოემა «ვარდ-ბულბულიანი», ეარდისა და ბულბულის სამიჯნურო ამბავი, სადაც ვარდი ასახიერებს ლამაზს, მაგრამ ცბიერსა და გულცივ სატრფოს, ბულბული კი ნაზი, ერთგული, თაეგანწირული და დაჩაგრული მოჯნურია. პოემაში სიყვარული ცალმხრივი მიმართულებით ვითარდება: გაუხარელი და სასომიხდილი ბულბული მსხვერპლად ეწირება გულცივ ვარდს. ამ მხრივ «ვარდ-ბულბულიანი» სიყვარულის პესიმისტურ გაგებას იძლევა, რაც ალბათ კარგად ეგუებოდა თეიმურაზისა და მისი დროის საზოგადოებს სულიერ განწყობილებას.

ყოველ შემთხვევაში «ვარდ-ბულბულიანი» სამიჯნურო პოეზიის საყურადღებო დოკუმენტია. დამახასიათებელია, რომ, მიუხედავად საერთო მძიმე მდგომარეობისა, ქვეყნის მეთაური თავად-აზნაურული კლასი, მაინც სამიჯნურო ლექსებით ირთობდა თავს, ქვეყნის ვარამის პირობებში ბაგე-კარდის პოეზიის ხმებით ტკბებოდა და ბულბულის ბედს დარდობდა.

სპარსული პოეზიის ძლიერ გაელენას განიცდის თეიმურაზის ორიგინალური თხზულება «მაჯამა». «მაჯამა» თავისებური ლირიკული ლექსების კრებულია. შინაარსეულად ის იძლევა სიყვარულის, სილამაზისა და ღვინო-ბაგის ქებათა-ქებას. შაგადაშიგ «მაჯამაში» ჩართულია სევდა-ნაღველის გამომხატველი ადგილებიც. ფორმალურად «მაჯამა» შედგება ე. წ. მაჯამური სტროფებისაგან. მაჯამური სტროფის რაობა რომ უფრო გასაგები იყოს, აჯობებს გავარჩიოთ რომელიმე სახელდახელოდ აღებული ნიმუში.

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე;
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?!
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სტროფის ყოველი ტაეპის (სტრიქონის) ოთხი უკანასკნელი მარცვალი (შაად დაბეჭდილი) იძლევა ბგერათა ერთნაირ კომპლექსს: დასადაგე. მნიშვნელობის მიხედვით ეს კომპლექსი ჩვენ აქ დავყავით ცალკე შემადგენელ ნაწილებად, ანუ ცალკე სიტყვებად. ჩვეულებრივ კი მაჯამური სიტყვები იწერება განუყოფელად. დასადაგე-ს სხვადასხვა ტაეპში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: პირველ ტაეპში ის ნიშნავს დასადაგავს, დასაწვავს. მეორეში — დასად, ჯგუფად აგებას, შეყრას (ჯგუფებად შემყარე სასიკვდინე ლახვარიო), მესამე ტაეპში პოეტი უჩიეის სოფელს: სად წაიყვანე (ჩემი) დო, ხოლო მეოთხეში — „და“ კავშირია, „სად აგე“ — სად ააგე (აიშენე, შეჰქმენი). ამრიგად, მაჯამური სტროფის ყოველი ტაეპი ომონიმური სიტყვით იკრება. ომონიმი სინონიმის მოპირისპირე ცნებაა და აღნიშნავს, რომ ორი ან მეტი სიტყვა ბგერათა მიხედვით ერთნაირია, მაგრამ შინაარსობლივ განსხვავებული. «მაჯამას» მხატვრულ-ფორმალური მიღწევა დამოკიდებულია ომონიმების ოსტატურ შერჩევაზე. «მაჯამის» ავტორები ხშირად ძალიან შორს მიდიოდნენ და, რაც სიტყვიერი მარაგი არ ჰყოფნიდათ, თავისუფლად იყენებდნენ ხმარებიდან გამოსულ ძველ (არქაულ) სიტყვებს, იშველიებდნენ უცხო გამოთქმებს, ამახინჯებდნენ სიტყვის წესიერ ფორმებს, ხელოვნურად ქმნიდნენ და იგონებდნენ ახალ ფორმებს და სხვ. ამიტომაც „მაჯამური“ ლექსების გაგება ძნელია, იქ ჩვეულებრივია ხელოვნურობა და ნაძალადეობა. მაჯამებით გატაცება ხელოვნურობით გატაცებისა და პოეტური გემოვნების გადაგვარების მაჩვენებელი მოვლენაა. ეს ჟანრი ქართულ მწერლობაში პირველად თეიმურაზმა შემოიტანა, იგივეა «მაჯამის» უბადლო ოსტატი. თეიმურაზს «მაჯამის» თხზვაში ჰბაძავს არჩილი, იოსებ სააკაძე, დავით გურამიშვილი, ბესიკი და სხვა მრავალი. სხვათა შორის აკაკის „ალმართ-ალმართ“ მთლიანად „მაჯამური“ ლექსია.

თეიმურაზის ნაწერების ერთი ნაწილი არეულად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ („ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან“, ტფილისი 1886 წ.). სხვადასხვა დროს ცალკე წიგნაკებად იცემოდა «ვარდ-ბულბულიანისა» და „შამ-ფარანიანის“ უკრიტიკო ტექსტები. „ვარდ-ბულბულიანი“ დაბეჭდილი აქვს თავის კრესტომათიაში აგრეთვე ს. გორგაძეს. თეიმურაზის თხზულებათა მოზრდილი ნაწყვეტი გამოქვეყნებულია „ანთოლოგიის“ II წიგნში (ტფილისი 1928). აქ მოთავსებული ტექსტები ამოღებულია ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას გამოცემიდან (თეიმურაზ I თხზულებათა სრული კრებული, ტფ. 1934, გამომცემლობა „ფედერაცია“). „ვარდ-ბულბულიანი“ იბეჭდება მთლიანად, „მაჯამის“ ნაწყვეტები გამოკრებილია შერჩევით. „სოფლის სამდურავი“ წარმოადგენს „გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასების“ ბოლოსიტყვაობის ნაწილს. სათაური ჩვენ მიერაა გაკეთებული.

ლიტერატურა:
1. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტორია, I, 1914, გვ. 429—447.
2. მისივე, Очерки, III, 85—93.
3. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, 224—232, 330—332, 384—401.
4. თეიმურაზ პირველის თხზულებათა, კრებული ალ. ბარამიძის და გ. ჯაბაკობიას რედაქციით, „ფედერაცია“, ტფ. 1934.

ვარდ-ბულბულიანი

ჰე, არსისა შემომქმედო! შენგან არი ყოველი ფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი.
ვერვის ძალუც ხორციელსა ქება შენი შესაფერი,
შენმცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტყუილად მოგეფერი!

ვიწყო რამე სიტყვა მცირე, ბრძენმან ვინმე ყურად იღოს.
გულისაგან საუნჯისა ვის რა ედვას, გამოიღოს.
ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს,
უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოიღოს.

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა — წამლად გულისა:
მე გამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,
სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა.

ფილოსოფოსთ ელენთ სიბრძნე შვიდი არის, გან ექვსული?!
ერთი არის რიტორება, სიტყვათ შეთხზენა განექსული,
ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განლექსული,
უკვდავი ხარ — ცნობა გმართებს, პირუტყვად გაქი გან ეგ სული?

ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჭობა არ ასმოდეს,
მას იამოს ეს ამბავი, თუ ვისთვისმე ხელი რბოდეს,
ვის მახვილი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწთოდეს,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს.

გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ ბრძენთა-ბრძენმან,
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტკბილი, ენა გრძელმან,
სალხინოდ და სალაღობოდ, სხვად არასმე შესაძენმან,
მიჯნურთათვის გულსა ლახვრად ჭირსა ლხინზე დასაძენმან.

შევიწიო ძალი ღვთისა, მე დავიწყო თარგმანობა.
გაზაფხულზე დაიწყების აწინდელი სიტყვის თხრობა,
მზე კირჩხიბზედ გარდაჯდების, შეიქნების ქვეყნად თბობა,
ფრინველთაგან შემღერება, ჭიკჭიკი და ამო ხმობა.

* *

ზღვა დაწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარ-კეთილად,
ვითა გული გამწყრალისა, დამშვიდდა და იქმნა ლბილად.
მკსინვარება ზამთრისა და ყინვა დადნა, ვითა ცვილად,
ხეთა იწყეს შემოსადგე პირველისა დანაწყილად.

ჰაერიცა შეიცვალა, ჟამ-კეთილმან მოაბერა,
მანვე მიწა განაახლა, ვინცა პირველ მოაბერა;
მაქებარად ხელოვნისა გამოჩნდების მოამბე რა,
გამისინჯეთ ლექს ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა!

წელიწადის მოქცევამან მიწის პირი განაახლა,
იგ ოსტატი ხელოვანი პირველ იყო, განა ახლა?
ჭარი, მიწა, ცეცხლი, წყალი ერთმანერთსა თან აახლა,
ცა ყინვაზე, მიწა წყალზე ადრიდგანვე დაასახლა.

გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს,
ხენი ხილთა გამომღებლად მიდგომილი დაიკვერცხოს,
ამაუბნა ჰიკჰიკითა, — ლამის მეცა გამამერცხლოს.
მელექსემან, ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს.

ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუთროსა დანაზრობდა,
წყლისა პირსა ალვა ნორჩი ტურფად რასმე ტანად ზრობდა,
ყვავილნი და მწვანე მოლნი თავსა მიწით დანაზრობდა,
მზისა შუქთა მომლოდნელი იგ არვისგან დანაზრობდა.

ჯერ ვადიდო, რაც ძალ მეღვას, შეჲმჭმედი მისგან ქმნილმან,
მაგრა რა ვქნა, — სოლომონცა მცირე რამე უთხრა ძლივ მან.
აწ მივიქცე პირველსავე ამბავზედან სიტყვა-მცირმან.
საქებელად ძალსა მისსა აღმოხეთქა ნერგთა ძირმან.

დაუსწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოსვლა იამან,
მოგვართვა სული სურნელი, იგ საყნოსელმა ი ამან;
თავ-მოდრეკილმან სიმდაბლით არ თავი გაიზვია მან,
ტკბილად შეხედნა თვალმან და გული კარმან ღიამან.

სურნელი და პირად თეთრი გაიშალა იასამან,
ვთქვი: ესე სჯობს ფერად, სულად, დამამდურვა იასა მან;
მას ვერა სჯობს ერთი რამე ვერ უდარებს, იასა მან,
ვერ მიუველ მოსაკრეფლად, ვის დაუსვამს ი ა სამანზ?

ზამბახმან პირი გაშალა, იგ, თავი სრულ მან დახარა,
აგვავსო სურნელებითა, ზედ ყოვლმან სულმან დახარა;
ვთქვი: ჩემთანც მოდი საწოლსა, ბალშიგან სულ მანდა ხარა,
ვფიცავ, ან ძმა ხარ ვარდისა, ან, ჩემმან სულმან, და ხარა.

რა მოვიდა დრო მოსვლისა, სუმბულიცა მოვა სითმე,
ნახა ვინმე პირად მზემან, თქვა: „ვსჯობვარო ნეტა რით მე"!
უსუნა და თქვა: „ეგზომი მე სიტურფე ვით დაგითმე?
შავი ხარ და სულ-ამბარი, ზილფად მინდი, ან დ·გით მე"!

ნარგისი მოვა შვენებით, ყვითლითა შემოსილაო,
არ ვიცი, ვის ჰგავს, სით მოვა, ვისი გვარი და სილაო;
მისითა სურნელებითა წალკოტი სულ ავსილაო,
გამდიდრებულა ბაღი და... მებაღე არ დავსილაო.

ყაყაჩო და არღავანი ერთმანერთსა ეუბნების:
„სიტურფით და შვენებითა, ფერად ვერვინ გვედარების,
სურნელობით გვაჭარბებენ, გული ჩვენი ამით ჭკნების,
მივიდეთ და გაველიენეთ, მათში ნურვინ გამოწყდების“.

სოსანმა უთხრა რეჭანსა: „ქუფრი გვაქვს, თალხი ფერები,
გიგავს რა მგლოვიარესა, გული ჩანს დანაბერები,
შენ სული გიდის სურნელი ტურფად რამ მონაბერები,
უსული მაქვს და შვენება, მათთან მეც შევეფერები“.

ვით გიამბო რიცხვი, ზომი მათ ყვაეილთა გარეგანთა,
სურნელნი და მრავალფერნი, არ თუ მგზავსი ეკალ-ნართა;
თქვეს: „მოველით უკეთესსა, მოვა, საქმე წაგვემართა,
ჰფერობს ჩვენი ხელმწიფობა, რად დაყოვნდა, არ მოგვმართა“?

თქვეს: „რა გვექმნების უმისოდ ვარდისა მომლოდინესა?
ჩვენ თავი დაგვიც სამონოდ მისთვის, გლახ, ცრემლთა მდინესა“.
მოვიდეს, ნახეს, გაშლილი, თქვეს: „ეგზომ ტურფა ვინ ესა?“
თაყვანი სცეს და შეიტკბეს, გაღიმდეს, გაიცინესა.

მათ შუა დასვეს ხელმწიფედ, იგი მისებრივ შვენოდა,
ეგზომი მათი სიტურფე მასთან არ გამოჩნდებოდა.
მეფე გლახა და მდიდარი იშვებდენ, არ მოსწყენოდა,
იგ მისთვის ხელი ბულბული თავს ევლებოდა, მღეროდა.

ბაღი, ბაღჩა და წალკოტი შეამკო, დააშვენა მან,
იგ მონად შექმნა ყოველნი თეთრ-წითლად შეჭთა მფენამან,
სრულ საყნოსელი აავსო სურნელობისა დენამან,
ველარა ქნა რა სევდამან, შეჰირვებისა წყენამან.

ყველამ მომართა სალხინოდ იგ ვისცა სცალდა, ვის არა,
რცხვენიან ჰირისუფალსა, თვარ შეჰირვებით ზის არა,
შელეწეს ზღუდე, კარები, ღობემან ველარ ისარა,
რაღა იციან ღამისა, ან მზისა ამოსვლისა რა?

ბულბულისა რაღა გითხრა მრავალგვარად ყეფა, მღერა,
მისმან ეგზომ ხელობამან ყოვლი სული შეაჯერა.
იგ სულისა დაუღებლად ზახილი და ცრემლთა დენა
ვარდმან ნახა, ითაკილა, შე ვიდა გულსა წყენა.

* * *

მან ერთ დღე იხმო მებაღე ხალვათად თავის წინარე,
თქვა: „გკითხავ რასმე, მიამბე, თვარე გაო ცრემლთა მდინარე;
ბევრ-მრავალგვარად მხრობელი, მითხარ, ეგ ჩიტი ვინ არე?
კვდების, იწვის და იძახის, არვის უნახავს მძინარე.

რა მე მოვსულვარ, მას აქეთ ბრუნავს ამ ჩემსა არესა,
დაფრინავს სრულა ხე-და-ხე, იძახის კენესის მწარესა,
რა გამელვიძოს, აქ ვნახავ ჩემზედან დამბრუნვარესა,
პირს არ შეიღებს, არ გაელის გარე ბაღისა კარესა.

ბევრჯერ მინახავს უსულოდ ეკალთა ძირსა მდებარე,
გავბედავ ეუთხრა: «დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე»
იტყვის: «ცოცხალ ვარ, რად მმარხავთ?—გულსა ცეცხლი მწვავს მდებარე»!
აწ მითხარ: მე და ეს ბაღი შენს ხელთ ვართ, შენ მოგებარე"!

მებაღე ჰკადრებს: „ტურფაო თვალად, ფერად და სულადო,
იხარებს ყოვლი ქვეყანა, რა მოხვალ კარგ უსულადო.
მე შენი სამსახური მაქვს ჩემად სიცოცხლედ, სულადო,
მე ვხედავ ამა საწყალსა ჰკვისაგან გარდასულადო.

მიბრძანე, მითხარ მართალი, თვარ ვიკადრებდი მე რადო!
შენთვის იწვის და ენთების, პირისპირ გიზის მზერადო,
თავსა გეელების ხელ-ქმნილი, ზედ დაგჩიკჩიკებს მღერადო.
აწ შენცა ჰკითხე, გიამბოს, უბრძანე: «დამკენეს მე რადო»?

რა წახვალ,—დაიკარგების, რა მოხვალ,—მოვა ესეცა,
გაკვდების თავ-განწირული, ხედავ, ლახვარსა ეს ეცა,
უსახლკარო და ღარიბი, ცოტა რამ ტანსა ეს ეცა,
რას გერჩის, თვარემ შენ იცი: «გავაგდებინო ესეცა»!

თუ რასმე მკითხავ — დაეხსენ! იყოს ამ შენსა არესა!
ამოა, ტკბილი მხმობელი, ნუ მოშლი ბაღის კარესა,
ბჭალია, აქ არ იძახდეს, კაცმან გააგდოს გარესა"!
არ დაიშალა, ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.

* * *

აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მჭისე რამე, არ თუ ტკბილი:
„სადა მე და ან ვინ შენა? ხელი ხარ და ან შეშლილი!
ჰყეფ, იძახი დღივ და ღამე, გამიკრთების თვალთა ძილი,
საქმე ხელად აგიღია ერთობ ძნელი, არ აღვილი".

რა ბულბულსა ესმა, იამა ვარდისა გაუბნებაო,
უზომოს სიხარულითა ვეღარ ზის, ზე-ქვე ხლტებაო,
— „ჩემისა სიკვდილისაგან, მითხარ, თუ რა გერგებაო?
თუ გაგეყრები ცოცხალად, მე სული ამომხდებაო"!

„რად ეგრე უცხოდ გამხადე? ბრძანებ: «შენ ვინ და მე ვინა»?
ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ სხვამან ვინ დამაწვევინა?
შენი შეიდი ბულბული კარში რამ გაგაწვევინა?
ნეტარძი დამხსნა სურვილსა, ცოცხალს არ გამაწვევინა"!

ვარდმან უბრძანა ბულბულსა: „უჭკვო ვინმე ხარ ხელადო,
იგ შენი ვინმე საფერი სჯობდა აგეღო ხელადო,—
უფრო სხვაგვარი უნდოდა ჩემთვის გაჩრილი ველადო.
ხელმწიფეთ სატრფიალოსა რად გამხდი საკიცხველადო“?

ბულბულმან უთხრა: „პირ-მზეო, რად ეგრე მომიშორეო?
ეგრე მწარისა სიტყვითა გულში ლახვარი მორეო,
შენს ახლოს ჭოფნას არ ვღირსვარ, ეკალში გამაგორეო,
აქ შენს წინ თაყვა მოვიკლავ, თუ კიდევ მეტყვი „შორეო“!

ვარდმან თქვა: „შენი სიტყვები მე გულში მეცა დანადო,
მიჯნური უნდა საფერი, — ვინც ნახონ — თვალად, ტანადო.
მე ვარ ყვავილთა ხელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო?
დამეხსენ, თვარ გაცემინებ, სიგრძე მოგეცეს განადო“!

ბულბულმან უთხრა: „საკვდავად მე თავი გამიწირაო,
მე შენი შეკვეთილი ვარ, არ სხვა ფრინველი, ირაო;
მომკლავ, დამარჩენ, — მე შენმან სიტურფემ გამაკვირაო,
შენად საფერად დაგმღერი, არ ავად რასმე ვყვირაო“.

ვარდმან უბრძანა: „ღვთის მძდლსა, დამეხსენ, გამეცალეო,
გვერც მახლვან ტურფა ყვავილნი, ამათთვის მომაცალეო.
სტუმრად ვართ, ცოტა ხანი გვიც, ეს ბაღი დაგვიცალეო,
სხვაგან ქენ შენი ბუნაგი, ადგილი გარდიცვალეო“.

აწ გაახშირებს ბულბული ტირილსა, სულთქმა-უშებსა,
იგ სისხლის ფერად ნაღებსა, გლახ, ცრემლსა გარდმოუშვებსა,
ეტყვის: „სად მაგდებ საწყალსა ტყვესა, აწ შენგან უშვებსა?
მეც ვიცი, შენი შვენება კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა.

არ გაგეყრები, ცოცხალი რომ წვრილად დამახევინო,
შენსა ეკალსა ავეცმი, სხვა შტო არ ვიცი, ხე ვინო;
ფერხთ ქვეშ მოგიკვდე, ჩემზედან საყელო გარდგახევინო,
ჩემისა სიბრალულითა სიცოცხლე დაგაწყევინო“!

ვარდმან უბრძანა: „ბულბულო, ვერ გხედავ ჩემსა ფერასა,
ვიც გაწყენ, მაგრა არ ღირს ხარ პირისპირ ჩემსა მზერასა,
სხვაც არის ტურფა ყვავილი. ჩამომეკიდე მე რასა?
ნახე, თუ ჩემისთანასა აღმოანორჩებს მზე რასა!

მე თავის ქება მრცხვენოდა, აწ არ დამეხსენ, ვიქებო:
მიწის ნაყოფსა ყოველსა სიტურფით გავაჭიქებო;
თასს შოვუხდები სავსესა, ჭიქასა მე ვაჭიქებო,
მჭვრეტელნი გულსა ეტყვიან: «ესე სჯობს, მასთან იქ ებო»!

მეფენი და ხელმწიფენი ნატრით თავსა გარდმიყრიან,
რა მე მნახენ, გულისაგან შეპირვებას გარდიყრიან,

დაიმონის სულმან ჩემმან, ბაღით არსით გამიყრიან,
სხვა ტურფა რამ სანახაო ჩემგან კიდე აი, ყრიან.

ხელნი ხელ-ქმნილსა მადრიან, მიჯნურნი — სამიჯნუროსა,
ჩემზედ შეითხზვნენ რიტორნი სიტყვასა მათებუროსა,
ვინ თავს დამირჯობს, არა მშურს გვირგვინი მათ ებუროსა.
ნახე სული და წამლობა, თუ ვინმე გამომწუროსა!

კეკლუცნი ღაწვთა მნათობსა შემირჯმენ, ზედან მიდებენ,
უნდა, რომ იყვნენ ჩემთანა, მითვისტომებენ, მიდებენ;
მაგრა ცუდია, მნახავნი უტურფესობას მიდებენ:
„გგავს. მაგრა კიდეე შენ ჯობა“, მე ამით გულსა მიდებენ.

აშიყ-მაშიყნი რა ჟამად ერთმანერთს შეეყრებოდეს,
ხელთ უჭირავ ორთავე, წოლად რა წაეყრებოდეს,
უჩემოდ არც ერთი ვარგა, რა დაწვნენ, დაეყრებოდეს,
მათსა საწოლსა, საჯდომსა ქვეშ სხვა ვინ წაეყრებოდეს?

ქალნი ტურფანი, კეკლუცნი ჩემთვის წალკოტად მორებენ,
დამკრეფენ ბროლის თითითა, ეკალსა მომაშორებენ;
სურნელს უბესა ჩემითა ავსებენ, ამოყორებენ,
ჩემს-მიდამოსა ლხინობენ, თამაშობენ და გორებენ.

არ ჩამომეხსენ. მე თავი, მგონია, მაქებინეო;
შენ არ იცი და მე ვიცი, სადაური ვარ, ვინეო,
სად იყო ჩემი სამყოფი, პირველ სად მოვილხინეო,
მე ბრძანებითა ღვთისათა სამოთხით მოვივლინეო“.

ბულბულმან უთხრა ტირილით, ცრემლით ააესო გობანი:
„დია გმართებს და გშვენიან ყოვლითურთ ქება-მკობანი;
მაგრამ წესია კეკლუცთა მიჯნურზედ ამაყობანი,
ყმობაცა აღარ მაღირსე, არ თუ ამხანაგობანი!

აწ მიწაშიგან ჩამაგდე, დიაღ, ცად გაიწიეო,
მე გვარად ინდოური ვარ, შენთვის აქ მოვიწიეო,
შენისა სიყვარულითა, ხედავ, რომ დავიწვი, ეო,
ცემა მიქადე, გაგდება, გვერცა არ დამიწვიეო.

უცხო ვარ, უამხანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,
იადონი და მერცხალი ვერა ხმობს ჩემთან, გვრიტია,
ფერად-ფერადი ჩემი ხმა ვერც სასმენელთან იტია,
აწ მომკლა შენმან სურვილმან, საკვდავად შემომიტია.

მე სახაფიფო ყოველთა სათქმელად გამოსულია,
უწყალოდ შორს დაჭერითა მე ამომართვი სულია;
საქვრეტლად აღარ მიმიშვი, არცა მკარ შენი სულია.
შენად საქებრად მხმობელი ვერც მაშინ დამასულია!

ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა, მოშაირეთა,
სპარსთა, ინდოთა, ქართველთა, ცნობილთა, არ თუ ვირეთა,
შენად მიჯნურად დამწერეს, ჩემთვის არ დამაძვირეთა,
თუ არ გფერობდი, რისთვის გთქვეს, მათ ვინ დაუყოფს პირეთა?

შენც იცი, ჩემი ამბავი არ ახალია, ძველია,
შენი ქება და დიდება, ვიძახი, არ დამელია;
შემოგფრინავ და შემოგმზერ, გლახ, გული გარდამელია,
ამდენი უსამართლობა გეკითხოს, მე მოველია!

რა განახეს, გიხმეს ყოველთა ყვავილთა უტურფესადო,
შენად უფერად მიჯნურად, ნეტარ, დამწერეს მე სადო?
ეგზომ მოდგმა და ზახილი, მგონი, მეყოფის კვნესადო,
დამწვი, გამხადე აბედად, შენ იქმენ ჩემად კვესადო“!

ტირილით ხმობდა: „მარგეთ რა, მოდით, მიჯნურნო, მორებით,
წყლული მინახეთ ულხენი, იგ რომ თქვენცა გჭირსთ სწორებით.
ჩემგან ისწავლეთ ხელობა ახლო, ნუ ერთობ შორებით,
ვერა მარგოთ რა, დამმარხეთ, საფლავად მიმაგორებით.

ეს ვის ასმია სულდგმულსა: ხელს უთხრას «ნუ ხარ ხელიო,
ცეცხლსა მოგიდებ უშრეტსა, ნუ დაგეწვების ყელიო,
გატირებ სისხლის ცრემლითა, ღაწვნი ნუ გაქვან სველიო,
წადი და სხვათა უჭვრიტე, ჩემთან ხარ ნუ მომსვლელიო»!

მე წაბეკიდა ეს ჭირი სხვათა მიჯნურთა მეტადო,
ვისთვის მოვკვდი და ვეწამე, აღარ მიმიშვა ჭვრეტადო;
მე ამას დავჯერებულვარ: პირსა გიჭვრეტდე რეტადო.
ისწრაფი ჩემსა სიკვდილსა ნაცვლად ცეცხლისა შრეტადო“.

თქვა: „ნეტარ მომკლა, როდესცა მაჯა ვერ მცემდეს და მარა,
საკაცეზედან დამაკრა, ეს ბაღი ისე დამარა,
ეკალთა ძირსა დამმარხა, მე დამძრა იქიდამ არა,
ვერ მომეხმარნეს მოყვასნი: ძმამან რა მარგო, დამა რა“?

ვარდმან თქვა: „მესმა, ბულბულო, შენის სიტყვისა მიგება.
მეწყალევი, ვნახე, გლახ, შენი ჩემთვის ლახვარზე მიგება,
მაგრამ არ გმართებს შენ სხვათა მიჯნურთა თვალის მიგება,
შენსა ულირსსა საქმესა წინა მისწრობა, მიგება.

მე ერთი ტურფა, უებრო ვარ ყოველთა საქებარადო,
მთას ავყვავდები მას უკან, როდეს მომკრეფენ ბარადო;
თეთრი ვარ ბროლის უთეთრე, ყირმიზი-ლალის გვარადო,
საჭერტლად შვენიერი ვარ, სურნელი მუშკ-ამბარადო“.

მერმე ეს ჰკადრა: „აწ შენი სიკეთე გამაგონეო,
ამისად შესადარებლად შენც თავი მომაწონეო,

შენი და ჩემი საქმენი გასინჯე და აწონეო,
თუ ჩემს თავს არა ღირს იყო, დამეხსენ, ჩემო ღონეო“!

ბულბულმან სულთქმნა საბრალოდ, ამოიკვნესა მწარენი,
ცრემლი დასთხია თვალთაგან სისხლის ფერისა დარენი;
მისის სულთქმისა კვამლითა სრულ დაწვა იგი არენი,
ვითამც თქვა სიტყვა ამაყი, იგ არ თუ სამუდარენი.

უთხრა, თუ: „თავი არ მომაქვს მე შენად საკადრისადო,
ერთიცა არ დ მცდომია მანდეთ ლახვარი მკრი სადო;
ხამს სიბრალული გაქონდეს შენთვის უწყალოდ მკვდრისადო,
ბრძანე, თუ ფილოსოფოსთა შენთვის არა მთქვეს, ვისადო?

ვითა შენ სხვანი ყვავილნი, ვერ მედარების მე ჩიტი.
შენზედ ვილოცავ, არ ვიცი მაქა, მადინა, მეჩიტი,
შემოგფრინავ და შემოგმღერ, პირდაპირ ჩამოგეჩიტი,
შენთვის ვიძახი, შენს მეტი სხვა გზა არ ვიცი გეჩიტი.

შენმან სურვილმან დამლია, თვალ-ტანად დამანასაო,
თვარე ფრინველსა ათასსა მე ვჯობევარ, არ თუ ასსაო!
დავსწყველი ვარ მშობელსა, მამასა, იმ ანასაო,
შენ სიკვდილისა ამაგსა, ვიცი, შემასვამ თასსაო!

ყვავილში შენ ხარ ღარიბი, ფრინველში — მე ვარ, მგონია,
დაგვწერეს ამა-ნაშიყად, ჩგონი თქვენც გაგიგონია;
ესეოდენი ცოდო ხმა შენს ეშყზე მომიგონია,
შენს ეშყი მოკვდე, წყვედგო — იგ ეგრე მოიგონია!

მკვრელნი, მთრელნი და რიტორნი, მგოსანნი, მოშაითენი,
ვარდ- ბულბულსა ჰაიძახიან ყოველი სული იმთენი;
აწყა დაბი-ყ ნობა, გამკრიე, გამაყვითენი,
შენი ბრალია, შენ შალე, თეთრ-წითლად პირი მითენი“.

ვარდმ ნ უბრძანა ბულბულსა: „შენს ლაყაბს ვინ აუაო?
ხმა და ფსუნი კ რგი გაქვს, არა ხარ ხარაბუაო;
შენმან ქაზრნ ხაილმან მე ერთთა დამაყრუაო,
თუ ერთხელ ჩაიიდებით, ვინ ჩამოგვიცა შუაო?

მოლექ ეთაგან ნათქვამი სიტყვა მოიღე პირადო,
დაგწერეს ე დ მიჯნურად, — არ მიმაჩნიხარ ჩირადო;
რუსთველნანც რაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო,
შორს ვადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო?

იგ ახლოს ყოფთა მიჯნურთა ზრახვა არ დააკლდებაო,
შენ ვერას ირგებ. შეწრახება მე ცუდი მოყივნებაო;
რ შეადგ ბს საოდ იგი, ვინ ვისთვის კვდებაო,
წადი და იყავ ნშვიდობით, გკყოფ ცეცხლთა დებაო“!

ბულბულს რა ესმა, ცრემლთაგან დააყენებდა მორევსა,
„რად მეტყვი, სულთა წამღებრ, სიტყვასა მოსაშორევსა?
«სხვა გიყვარდეს»-ო, ეგ სიტყვა გულში ლახვარსა მორევსა,
შენსა ეშყსა და სურვილსა სხვისა ვისიმცა მორევსა?

ეგზომს ხანს შენი ხელ-ქმნილი სხვაგან სად უნდა წარევდეს?
ხამს, თუმცა სხვათა მიჯნური შენს სიტურფესა წარევდეს;
შენი მძებნელი, გლახ, შენთვის თავს უნდა გაიმწარევდეს,
შენისა მოკრეფისათვის ხელსა ეკალში წარევდეს“.

ესე თქვა, დაბნდა უსულოდ, ეკალში დანამცემობდა,
მას უბედურსა, საწყალსა გულზედან დანა მცემობდა;
ვარდს შეებრალა, რა ნახა, თვალს ცრემლი გარდმომცემობდა,
წყალსა ასხემდა გულზედან, ძლივ ჰკუას მონამცემობდა.

უთხრა: „რად შემიქ, ბულბულო, შენის სისხლისა მზღვეველად?
სხვანიც ყოფილან მიჯნურნი არ შენებრ დასაწვეველად,
არ ჩამომეხსენ, არ ვიყავ შენი მე აქა მწვეველად,
მოჰკვდები, ცოდვა მომხვდების, — ვიცი, — თუ გაგაგდო ველად!

ნება დამირთავს, აწ იყავ ბაღისა ამ მიდამოსა,
მას ადიდებდი, ყვავილნი ვინც ასე ტურფად დამოსა;
გაიცდიდი და სინჯევდი თეთრ-წითლად, ყვითელ-მწვანოსა,
შენიმც ბრალი აქვს, ვინც შენი გაგდება შეიწამოსა“!

ბულბულს რა ესმა, გაცოცხლდა, უძრავად აღარ ბნდებოდა,
სიკვდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებოდა,
სისხლისა ცრემლი შეაშრა, ცეცხლი არ ისრევ სდებოდა,
ვარდსა დაუწყო ყველაი, მის შესაფერად ჰქებობდა,

თქვა: „შენ მან მოგცეს მუქაფა, ვინ ეგ ტურფად გშენაო,
სალხენად ყოველთა სულდგმულთა შეგამკო, დაგაშვენაო;
სიკვდილს მომტაცე, სიცოცხლე მიბოძე იგ აქ შენაო,
დამწყვიტე დენა ცრემლისა, სულთქმა, კვნესა და ქშენაო!

შენით შვენის და იხარებს წალკოტი, ბაღჩა ბაღადო,
ღმერთმან დაგბადა ყვავილთა თუ არ ხელმწიფედ, რაღადო?
შენი გაყრა და შორს ყოფნა აღარ დამასვი დაღადო,
მუსიკთა ყოელთა უტკბოსად მე შენი ქება ვღაღადო!

რომ არ გამწირე სიკვდილად, აღარ გამაძე გარე მე,
შენს მიდამოსა მამყოფე, იგ არ გაჭრილი მარე მე,
არ მომიშორე, თუცაღა ახლო არ მიმიკარე მე,
ფერი, სული და სიტურფე ვეღარას შეგიდარე მე.

დაგბრუნავ, თავსა გევლები მე შენი ყურბან-სადაღა,
შენ შემოგწირე საკვდავად გული დამწვარი, სადაღა,

შენთვის მკვდარი და ტყვე-ქმნილი, ნეტარ, წავიდე სადა ღა?
შენთანა ჩემად პატრონად, ნეტარ ვიშოვნო სად აღა"?

რამდენს ხმას ვიცვლი, ეგზომსა შენს სიტურფესა ვთვალაო,
შენთვის ხელ-ქმნასა, დაწვასა ვიძახი, არ დავმალაო,
გაშლილსა გნახავ, დავიწვი, რა პირსა გაილალაო,
ხმა-მაღლა შენსა შქებელსა გარეგან რასთვის მლალაო?

გავცოცხლდები ერთ წელ მკვდარი, რა დრო მოვა შენი ფასლი,
თავს დავიწყებ შემოვლასა, სულს ამოსვლას აღარ ვაცლი,
უსულსა და ტკბილსა ხმასა საქებარად შენზედ დავსცლი,
შენს ჭვრეტაზედ სამოთხეში ყოფასაცა მე არ გავსცვლი.

დღე დამელევის მაშინვე, ოდეს დაიწყებ ლევასა,
გული ვერ გაძლებს ქვა-ქმნილი შენის გაყრისა ლევასა;
მაშინ დაიწყებ უძღებად ჩემის სისხლისა ლევასა
მე დამიმკვიდრებ გულისა სევდასა, იგ მალე ვასა!

წავალ და დავიკარგები, შიგან ჩავჯდები ყანასა,
თუ ხელს მოვკიდებ, უცილოდ ზედ დაეხეევი დანასა;
ეეცადო, არვინ მაღირსებს შენ-თანა წამოტანასა,
არ მოვინდომებ უშენოდ ჩქიდამ ამოყვანასა.

თვალით არას დავინახავ, შევიქნები უტყვი, მუნჯი,
ვირ არ მოხვალ, მე სოფლისა სიყვარულსა არ ვიუნჯი;
მე ბულბულად ვეღარ მიცნობს თათარი და ვერცა გურჯი,
სიკვდილისა მონატრესა მიწა მინდა ერთი ბღუჯი".

ვარდმან უბრძანა პასუხი ტკბილი და არ გამწყრალები:
„სიტყვა იხმარე მსმენელთა საბრალოდ, შესაწყალები,
მიჯნურად ერთობ კარგი ხარ, გულსა გჭირს დასაბრალები,
მთქმელი ხარ ერთობ უებრო, ხმა გაქვს არ დასამალები.

ვითამც თქვეს ფილოსოფოსთა, საქმე რამ შეგიდარესა,
ერთს საქმეს ვერ ვემოწმები იგ მათგან ნაუბარესა.
ხედავ, სადაც ვარ, ვაშენებ იგ ყოვლსა არემარესა,
ამას კი ვიტყვი, ვერ გხედავ თვალ-ფერად ჩემსა დარესა".

ბულბულმან მისი პასუხი ვეღარ თქვა, ენა დაება,
სიახლოვითა ეფონა ცოტა რამ ჭირი და ვება;
ამა სიტყვაზედ გარდაწყდა მათი ბრძოლა და დავება,
მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაყბაება.

*
* *

თქვას თუ ვინმე: — „რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა"?
ესეც მითხარ: რა დამაკლდა, ანუ რამცა დამეხარჯა?

რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?!
რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი, ლექსი არსად დამეხვანჯა.

ჰე, ღმერთო, დაუწყებელო, უკვდაო, დაუბერაო,
არ არსის არსად მომყვანო, უსულოთ სულთა მბერაო,
ვინ უწყის, მოსეს, ელიას მთაზედან უამბე რაო?
ცრემლნი პეტრესნი მომმადლენ, იუდად ნუ გამბერაო!

შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი,
რომელმან ცითა უწვიმე და დარი მოეც მზიანი,
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა იცი გვიანი,
ვაიმე, ცუდის ლაყბითა თუ სული დაეაზიანი!

სოფლის სამდურავი

(გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასებიდან).

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?

სულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე,
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოკვედე, მიწაც აღარ მიწდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგებრალდე, იტირე და მო აწი ვე!

მე წამართვი სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა.
რად გინდოდა სასიკვდინედ? შენ მაღირსე არ დარჩენა,
არ გმართებდა, ეგზომ მეტად, მტერობისა გამოჩენა!
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა.

მე ეხედევედი ლხინსა ჩემსა სრულად ჰირად გარდაცელილთა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა,
მივემზგავსე მე ფრინველთა, იგ მხარ-ბოლო დანაცვინთა,
მედებოდა ცეცხლი ეხელი, ვეწვებოდი მგზავსად ცვინთა.

ბედი ანუ სვე-დოელათი იგ ბოლო-ჟამ მამეშალა,
ვთქვი, გავშიშვლდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მამე შალა,
ყველა აქა ეერ დავწერე, რომლის საქმით დამეშალა,
წამლად ვიწყე მარტო სევდით, არამც ჰკუა ამეშალა.

ეის სიცოცხლე მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად,
რომ ხმელეთსა ანათობდეს, ბოლოდ იქმნას იგ აჩრდილად,
ნაცელად ბროლთა, მარგალიტთა მოგვეცემის ქარვა კბილად,
გრაკლის ხესა დაეემზგავსნეთ პირველ ნორჩი, ალვა ზრდილად.

ჴა თუ მიწყინოთ ყოველთა სოფლისა სიყვარულითა,
იგ სოფლიონი ბრძენნი და ან ვინც უბნობდა სულითა,
ყველა სწუნობდა სოფელსა, არ გასაზრახოდ გულითა,
არ ვიტყვი სრულად გაუშვით, ნუ გიყვარსთ სულ-წასულითა!

სიცრუე, ანუ სიცქაფე სხვაცა ვთქვა ერთი მისი და,
მუხთლობა არის თავიდგან სულ მისი დასაწყისი და,
ზეცად გასულსა ქვე დასცემს, რომ ძმაცა იყოს მისი, და,
ანაზდად, მოულოდნელად, ბნელად ქნას შენი დღისი და.

შოთამ თქვა სწორედ მიდგომა მზისაგან ვარდთა, ნეხვისა,
მისგან ბოლომდი გატანა თქვას, ვინცა დაიკვეხისა!
ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
მას დაუდუმდეს ბაგენი, ვეღარვის შეუქეხისა.

ტახტი ამას არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგ ანაზდად გარდმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი,
მისად ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი.
სკორემანცა დაიწუნოს ზედ საჯდომლად ამოზდილი.

ამდონად როგორ გვიყვარდეს, ჩვენთვის ამგვარად მტერები,
ბოლოს გააგდებს ყველასა რაზომცა ზედ ეჯერები;
მარტო რას გვარგებს ხორცნი და, თუ სულსაც არ ეტერები,
იგი დაადგრეს უკვდავად, ჩვენ ვიქმნათ მონამტერები.

ან ადრე დაგვხოცს უდროოდ ახალსა მოუწევარსა,
ვარდსა დაგვიჭნობს უფრჭნელსა, შეგვიქს ბედისა მწყევარსა,
ვერ მოურჩებით, მართ ვითა კურდღელი მალსა მწევარსა,
ჯხედავთ და არ გავტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.

თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს, თვალს წინ დაგვიხოცს სულთაგან უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრაეს კვესებსა,
ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჰირთა და სულთქმა-ვაება-კვნესებსა.

ამას გვიზამს და სხვაცა ვთქვა მისგან ჩვენზედა ქმნულება,
ვსრეთ მოგვშლის და წაგვახდენს, არ გვინდა სულთა დგმულება,
იგი უებრო, უსწორო, უშვერ-ყოს ქმნულ-კეთილობა,
იგ მისგან ერთიც არ მორჩეს გული უწყლულო, ულება.

ან სიკვდილს მიგვცემს ანაზდად, ან სიბერესა ძნელებსა,
პირსა მთვარულებრ გავსილსა არმურსა დაგვდებს ბნელებსა,
ვგრე უებრო მნათობსა, ვერ ეჭოს ბრძენთა ენებსა,
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა.

თვალსა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშვენებელსა,
წარბთა მშვილდურებრ მოხრილსა, მიჯნურთა მახელებელსა,

შაეთა წამწამთა ნარგისთა, მჭერეტელთა გულსა მხებელსა,
გააყრევინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებელსა.

პირსა დაუჭკნობს მნათობსა უთეთრესს ზამბახისასა,
ღაწვისა ფეროვნებასა ვარდულებრ გაშლილისასა,
წახრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან-სარო ალვის-ხისასა,
დაადუხჭირებს ჯაჭარსა სანდომად უსულისასა.

ბაგეთა მოშლის ეგეთსა, უკვდავებასა ღიმობდეს,
კბილთა წაახდენს მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,
თმას ამბრისფერთა კოპამდი, რომ გიშრის ტყერად ხშირობდეს,
გაუსპეტაკებს თოვლურებრ, იგ ვეღარ ამბრად ძვირობდეს.

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამაშიგან ვითმც იქმნას გული არ დასაკოდები?
ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალჟამ ვიყოთ მგოდები,
ბოლოჟამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები.

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოვლთა არსთა მბადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა სიმართლით მუნცა კეთილთა მზადემან,
სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოლოთა მოსაწადემან,
ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადემან.

მაგას არ ვიტყვი, არ გვინდეს სოფლისა ნივთიარები,
ესრეთ ვიხმაროთ კეთილად, ბოლოდ არ გასამწარები.
არა გვიდგს სული მოკვდავი, პირუტყვებრ გასაქ რევები,
ოდეს ეს ხელთა გაგვარდეს, მუნ არ დაგვეხშას კარები.

ეგ ღმერთმან იცის, თქვენთვის ვწერ საკეთოდ, არ თუ ზიანად,
არ ვიტყვი მე. რომ კარგი მჭირს თავისა გასაზვიანად,
გვიბრძანე: „ჩვენი სავაჭრო დადევით სარგებლიანად“,
არ ვიქმნე მონა მედგარი, განხდილი დასაწვიანად.

მაჯამა

კვლაეც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლით სოფელსა, არვინ დავრჩებით შინაო.
სულის არ განმსვენებელო, მსგავსად პირუტყვთა ფშვინაო,
კარი დაგვეხშას სასძლოსა, გვესმას: „ნუ მოხვალ შინაო“.

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული,
მომინდა წერა ამისთვის: არ იქმნას დავიწყებული;
კაცი ბრძენი და გამგონი, ვინ იცის, შეხვდეს სწრებული,
ცუდად არ წახდეს ნაშრომი, დამევსოს ცეცხლი გზებული.

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“, შეყრილად ითარგმანება,
წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება.
იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება.
გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაევანება.

I.

მზე ცუდ მაშვრალობს, ვერ ნათობს, ეტლზე შენ ზიხარ, ის არა,
სხვამ, შენგან კიდე, სამყარო ვინ გაისახლა, ისარა?
მელნისა ტბამან გიშერი ტევრად გარ ივლო, ისარა,
მუნით მკრა გულსა ტყვე-ჭნილსა, გლახ, შავმან მშვილდმან ისარა.

გული ქმნილა ნარგიზთათვის, გლახ, ლახვართა ასახებლად,
ვერ ძალ-ედვათ, თვით რად ხელჰყევეს, მაშ, მნათობთა ასახებლად?
მით იძლივნეს, მოიკიცხეს, ედემს ნორჩნი ასახებლად,
მსურის მისთვის გაჭრა, ხელ-ქმნა, ვიწყო სულთქმა ასახებლად.

ვერ გაქეს ბრძენთა კრებულმან, უტყვ იქმნეს, პირი დაეყო,
ციერთ მიეღო ნათელი სრულ შენგან, არ თუ და ეყო;
გაუჩნდებოდა სიტურფე, ვარდს შენთან ხანი დაეყო,
გლახ, ჩემთა ცრემლთა ნაკადი, ვეფიცავე, სოფელსა დაეყო.

II.

შენთვის ხელმან, გლახ, უშენოდ მითხარ, მზეო, იამოს რა?
შენმან ეგრე სიტურფემან ვარდი მოკლა, ია მოსრა.
წარბ-წამწამმან გული კრული პირველ მოწყლა, მერე მოსრა,
არა ჰგევხარ ქვე-ნამყოფთა, ზემო იწყევ მალე მოსრა!

ერთი სული მაქვს, სიკვდილო, მოყვრისად შემიწირავსო!
სხვა შენთვის ვეღარ დავბადო, ვერ მოგცე, ნუ გიკვირავსო!
იგ არს პატიჟთა მიზეზი, სად ვარდს ქვეშ ბროლი სჭვირავსო,
სული მას მიჰყავს, არ ვიცი, ჩემთვის რა გაუპირავსო.

ყაყაჩოს უთხრეს ყვავილთა: „რადგან შენ გვჯობხარ ფერადო,
სუნი არ გიდის სურნელი, ეგ საყვედურად გძე რადო“?
თქვა ტურფამ ვინმე გაწყრომით: „მიბრძანე, მგევხარ მე რადო?
სუნი წამართვა, დამაგდო ლახვართა დასაძგერადო“.

თავმან შენმან, რისხვა უნდა კაცრებისა დაუმალსა,
მაგრამ რა ვქნა, სხივთა ცეცხლსა სრულ დაუწვავს გული, ალსა!
დაუჭრიავარ, ალმასისა მისდგომია დანა ძვალსა,
თუ არ მიხსნი, შევდგომილვარ მაჯნუნისა მე, გლახ, კვალსა.

შენებრ ნაყოფი უფალმან ხამს ედემს თვით რგოს, მან ასოს,
ყანდაარს ნირი შაქრისა ვარდმან ბაგემან დანასოს;
მუნით ნაკადი სიტკბოთა უკვდავ ჰყოს, ვისცა მან ასოს,
ისწრაფის ყოველი მიჯნური, ვინძი, ახიოს მან ასოს.

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა, თუ სიკვდილისა, გლახ, სასმელი დამელია;
მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია,
აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია.

III.

მზე უნათლე ჰქმენ, ეტლსა ჰზი, შუქნი კრთებიან სადარი,
ამად ვტირ, მაგრამ რაზომ ხამს, ეგზომი ცრემლი სად არი?
ვარდსა მისტაცე შვენება, ბადახშანს ლალი სად არი?
ბროლსა სცვენ ძოწნი ბაგენი, ფერად არლავნის სადარი.

ბრძენთა მოვასხამ საქებრად დიონოსითურთ კრებულად,
მაგრამ ვით ხელჰყონ, მზე ნახეს თვით შენგან ნათელ-კლებულად!
ბაკნი მოგიძღვნა მთვარემან, გნახა უმეტეს ვსებულად,
გლახ, ჰმუნივი გახდა, პირს იცა, მუნით აჩნია ლებულად.

გული ნარგისთა ლახვარმან დაჰრა, დახია, ასერა,
მუშკი ხარ, ზილფი, ამბარი, ნახეთ, რა მიყო ასე, რა!
წამწამან ჰინდი ლაშქარი ჩემად კლად, რისხვად ასერა,
მე მომკლა, მხეცნი, ფრინველნი ხადილად ჩემზედ ასერა.

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა.
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!
გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?!

IV.

გაბაასება ღვინისა და ბაგისა

ღ ვ ი ნ ო ეტყოდა ბაგესა: „სიტყვითა დაგებასო, და-,
ბადახშანისა ლალო და იაგუნდისა ფასო და,
ფერად შენ მჯობხარ, ამით მე ვის ჩემი თავი ვასო და
გულსა სევდითა სავსესა ზედ ლხინი დაეამტნასო და“.

ბ ა გ ე მ ა უთხრა ღვინოსა: „სიმხიარულეს იქებო,
მე სრულად შევშლი მჭვრეტელთა, გულსა ეტყვიან: «იქებო»!
კაცის გულებსა დავფერავ, შენც დაგაშვენებ, ჰიქებო,
ძოწსა, სადაფსა, აყიყსა, არლავანს გავაჭიქებო“.

აწ ღვინო ეტყვის ბაგესა: „ტურფა ხარ მეტის-მეტადო,
ჯარდი გაყარეს ბულბულთა, შენზედა შეკრბეს ყეფადო.
მე კაცს დავათრობ, ვამღერებ, ტკბილს გაუჯდები კეფადო,
ვირემ არ უკუვეყრები, ვერ იგრძნან, სმიდენ რეტადო“.

ბაგემა უთხრა ღვინოსა: „კაცის დათრობა იქ ჯდე,
«კაცსა ვამღერებ», ამისთვის მე დაჭარბება მიქადე;
მე კაცს სრულ მოვჰკლავ, საწყალო, ვით ადრე გატყდეს ჭიქა, დგე,
ვერ გამოჩნდები ჩემთანა, სადაც მე ვიყო, იქ ადე!“

ღვინომ თქვა: მგონი, ამ საქმეს არავინ დამიწუნებსა,
ვეცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა,
ვსწყუროდე, თუ არ ვსწყუროდე, ყველანი მომიწყურებსა.
მჭვრეტელთა თვალთა და გულთა არარა უფრო უნებსა“.

აწ ბაგე ეტყვის: „ეგ ქება: უკეთ სთქვი, რაღაც ღონია,
მაგითა ჩემი სწორება ტყუილად მოგიგონია;
ვეცხლის თასზედა ყირმიზად ღვინო დგას მოსახდომია,
აწ მე გიამბო ჩემი ზნე, ეს უფრო მოსაწონია“.

თეთრ თასსა წითელი ღვინო დასტურად შეახამებსა,
ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რაღას შეიდარებსა?
სანდომად რასმე ღიმილით რომ გააღებდეს კარებსა.
მისსა მჭვრეტელსა შეაცდენს, ხელსა ვინ შეიგვანებსა!

* * *

არ მომეწყინა ლაყაბი, ეს უსარგებლო სულისა,
სხვად არას მოსახმარისი, ოდენ ჩანს სიბრძნე გულისა;
ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა;
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები,
სასწრაფოდ უბეს სადები, ან სარტყელს ჩასარჭმულები,
იახტანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, კულები,
ყოველის წიგნისა უმცროსი, ჩანს მათი უფლისწულები.

დავალებანი:

1. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ თეიმურაზის შემოქმედების სხვადასხვა მოტივი.
2. გამოარკვიეთ ამ მოტივების სოციალური სარჩული.
3. შეადარეთ თეიმურაზის პოეტური მეუფების ბერზები «ვეფხის-ტყოსნისას».
4. გამოარკვიეთ, რომელი აქ მოთავსებულ სტროფთაგანი წარმოადგენს ნამდვილ მაჯამას და რომელი არა.

რუსუდანიანი

(ზღაპრული ეპოსი).

«რუსუდანიანი» წარმოადგენს ერცელ ზღაპრულ კრებულს, რომელიც შესავალისა და 12 კარისაგან შედგება. თხზულების სახელწოდება მიღებულია მთავარი მოქმედი პირის რუსუდან დედოფლის სახელისაგან. შესავალში მოთხრობილია, რომ ათაბეთის ქრისტიანი დედოფლის რუსუდანის ქმარ-შვილი სპარსეთის შაჰის მრისხანე კარზე ყოფილა გაწვეული. მახლობლების მწარე განსაცდელის მოლოდინს დედოფალი საგონებელსა და სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია. დასამ ეიდებლად და გასართობად რუსუდანს სწვევია მშობლები და ძმები, რომელთაც მორიგებით უამბნიათ დედოფლისათვის სხვადასხვა ზღაპრები. თხზულების მთავარ ინტერესს სწორედ ეს ზღაპრები იწვევს.

ყოველი ზღაპარი ფაბულურად ისეა გაშლილი, რომ მოქმედი პირები თავდაპირველად დიდ გასაჭირში ჩავარდებიან, მაგრამ საბოლოოდ ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახვენ და მიხანაც აღწევენ. ზღაპრებში ხაზგასმელია, რომ საჭიროა მოთმინება და ღვთის სასოება.

მეათე ზღაპრის შემდეგ რუსუდანს მოსდის თაეისი ეაჟის, ფრიდონის განთავისუფლების ამბავი. თუმცა დედოფალს მაინც დიდად აწუხებს ქმრის მდგომარეობა, მაგრამ მედარებით მაინც უმსუბუქდება კაეშანი და იმედის ნაპერწკალი აენთება გულში. სასიამოვნო ამბავთან დაკავშირებით უმცროსი ძმები სამხიარულო და სახუმარო შინაარსის ზღაპრებს მოჰყვები ნ, ე აა XI და XII ზღაპარი.

«რუსუდანიანისათვის» მეტად დამახასიათებელია დიდაქტიკურ-მორალური (დამრიგებლობით-აღმხრდელობითი) და ქრისტიანულ-რელიგიური მოტივები. ეს მოტიეები სავსებით ეგუებოდა იმ ეპოქის საზოგადოებრივ სულისკვეთებას, რომდესაც დაწერილა ჩვენი თხზულება. ტექსტისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთგვარი ისტორიულ-ეროვნული ტენდენციაც. აქ ზღაპრული მოთხრობების სახით ალეგორიულად უნდა იყოს გამოხატული საქართველოს XIII საუკუნის, კერძოდ რუსუდან დედოფლის დროინდელი ისტორიული ამბები. ამ მხრივ მართლაც მრავალი საყურადღებო ანალოგია მოიძებნება (ქართველი მეფეები ა და უფლისწულების შორეულ „უსჯულოს“ ქვეყნებში გაწვევა, ამასთან დაკავშირებული საფრთხე და სხე.).

«რუსუ ანიანი“ დაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნის მეორე ნახევარში. აეტორი ცნობილი არაა. თხზულება შედგენილია ერთგვარი კომპილაციური წესით. როგორც ფაბულური ჩარჩოსათვის, ისე განსაკუთრებით ზღაპრებისათვის აეტორს უსარგებლია იმდროინდელი ქართული და უცხოური წყაროებით წერილობით თუ ზეპირად. «რუსუდანიანის» ფაბულა უ ათეოდ ორიგინალურად უნდა ჩაითვალოს. ორიგინალურია ზოგიერთი ზღაპარიც, მათ შორის ის ტექსტი, რომელიც ამ წიგნშია დაბეჭ ილი

«რუსუდანიანი» დიდი მოცულობის ნაწარმოებია და ის მთლიანად ჯერ გამოცემული არ ყოფილა. ნაწყვეტები მოთავსებულია დ. ჩუბინაშვილის ცნობილ ქრესტომათიაში (ქართული ქრეატომათია, I-II, პეტერბ. 1846, მეორე გამოც. 1860 წ.). ერთი თაეი (XI ზღაპარი) გამოსცა აკად. ნ. მარრმა (1895), ერთიც (VI ზღაპარი) „ანთოლოგიის“ II წიგნში დაიბეჭდა (ტფ. 1928). აქ პირველად და მთლიანად ქვეყნ-

დება კრებულის უკანასკნელი XII ხლაპარი. რეკსტი ამოღებულია საქართველოს არქივში დაცული ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერიდან (№ 102), დასახმარებლად (ზოგიერთი ადგილების შესამოწმებლად და შესასწორებლად) გამოყენებულია აგრეთვე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერები (წ.-კ. № 3698 და № 2541).

ლიტერატურა:

1. ნ. მარი, Грузинский извод сказки о трех остроумных братьях «Русудании» (Вост. Заметки, СПБ, 1895, 221-259)
2. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტ. ისტ., I, 1914, 410-422
3. მისივე, Очерки, III, 7-52.
4. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. 267-275.
5. ალ. ბარამიძე, რუსუდანიანის ლიტერატურული წყაროები („უნივ. მოამბე", VIII, 309-326).

აქა ამბავი იტიტინესი და ილაპარაკესი

კარი მეათორმეტე

იცით თქვენ, უწინ რომელ ორნი მეპატრონენი ყოფილან თურქეთისა ქვეყანასა, სიმდიდრითა ხელმწიფისა შესადარებელნი და სიკეთითა ყოველთათვინ საყვარელნი. მათ შუა ერთი მდინარე ჩაუდისთ, ესოდენ დიდი, რომელ უნაოდ არცა ზამთარ გაისვლებოდა და არცა ზაფხულ. მაგრამ ერთმანერთის სიყვარულითა მუდამ მოუშლელად ნავი ჰქონებიათ, მით უვლიათ ძმობასა და მოყვრობაზედ. ესრეთნი თვისნი ყოფილან, რომე უერთმანერთოდ არც ილაშქრებდიან და არც ინადირიან. ერთს უსეინ რქმევია და ერთსა ომარ. მოსულა რისხვა ღვთისა მათთვინ,—დახოცილან.

უსეინს შვილი არა ჰყოლია და ომარს ერთი ვაჟი დარჩომია ძუძუთა. მამულის სიმრავლითა და უპატრონობითა ესეთი არეულობა და ერთმანერთის მტერობა შექნილა, რომე არას მესისხლესა და მტერთა შუა ის არ იქნება. ომარის ყმათაგანი უსეინის ყმათა ვერ ნახევდის და უსეინისა — ომარისას. წყალს გაღმა ესენი ვერ გავიდოდენ და წყალს გამოღმა ისინი. იყო თურე დიდი შფოთი და ყარყაში მათში ასეთი, რომე უსეინისა და ომარის ცოლნიცა ასრე დაშფოთებულან, პირის ფარდა და საბურავი მოუკდიათ და ერთმანერთის სალაპარაკოდ გამოდგომიალან. ესოდენ გამრავლებულა მათის ყბედობის ანბავი, რომე უსეინის ცოლს იტიტინეს უხმობდენ, და ომარის ცოლს — ილაპარაკესა.

გაზდილა ომარის შვილი აბუბაქარ ესდენი, რომელ ფაცისა ცნობა აუღია. დედისა მისთანა უწესოდ ქცევა უნახავს, უშლია, მაგრამ არ დაუშლია იმას, — „მაგას არ ვათქმეო, რომ პასუხი ვეღარ მიპოვაო". და უარ-დაუარ განმრავლებულა მათ შუა სიტყვა ესდენ მწარე, რომელ მკვეთის ხლმისაცა უბოროტესი. როდესაცა ვერ მოუშლევინებია აბუბაქარს, მცირეს ყრმას ველად სიარული დაუწყია, არა ნადირთა სროლისა ხალისითა, განა მეტის ჯავრისაგან თავგამომეტებისათვინ: „ნუთუ ან კლდესა ანუ მდი-

ნარესაო ასეთი რამე ამიჩნდესო, მომკლასო და ამისთანას სირცხვილს მოერჩეო და კაცთა პირი არა ენახოო“.

დღესა ერთსა ნადირობასა შექცეულა და გზა დაუკარგავს, საზარელსა რასამე კლდესა მისდგომია და გზა ვეღარსით უპოვნია. უელია ვეფხურად მას კლდესა ზედა დიდი ხანი და მისდგომია ერთსა ნაპრალსა კლდისასა. ერთი პატარა ქალი უნახავს სახითა შვენიერი, განა შიშითა ფერ-მიხდილი. თვალში მოსწონებია და გულით შეჰყვარებია. ასე გამოუმეტებია მისთვის საკვდავად თავი, რომ ესა აღარ გაუსინჯავს, — ამ კლდეში რასა იქს ეს და ან ვის მოუყვანიაო. აუკიდია და წამოუყვანია. რას ჰირითა და სასჯელითა მას საშინელსა კლდეზედ ურონინებია უგზოდ. ოდეს დაბლა დაუხედაჳს, დიდი რამე საშინელი მთის ოდენი დევი დაუნახავს, რომ მას კლდეზედ მიმავალა. იგი დევს რას იცნობდა, სახელიც არ გაუგონია. შეშინებულა და ასე უთქვამს: „ჩემი დღე თურმე გათავდაო: მე ამას სით წაუვალო და ან როგორ მოურჩებიო“. მერმე იგი ქალი კი დაუსვამს და ღმერთს შეხვეწნია და შეუტირია. მერმე უხსენებია ღმერთი და სანამდი მას დევსა დაუნახავს, აბუბაქარს ბოძალი უსროლია, მარჯვენესა თვალში სცემია და მარცხენეში გავარდნია. რომ დაულრიალებია, ის ქალი შიშისაგან დაბნედილა და აბუბაქარცა შეშინებულა. გამწვავებულსა დევსა თვალით რომ ვეღარა დაუნახავს რა, კლდე ხელით უგლეჯია და უსროლია. ბრძანებითა ღვთისათა მათთვინ ვერა დაუკლია რა. აბუბაქარს რომ დევი ისე გამხდარი უნახავს, გული გაუმაგრებია და კვალად ლახტი უსროლია, თავში მოუხვედრებია, პირუკუღმა დაუცემია. მერმე იარაღი აღარა ჰქონია რა და მისისაე ნაგლეჯისა და ნასროლის ქვით უომია და ესოდენი ქვა მიუყრია, რომ მისი ტანი დაუფარავს. მერმე იგივე ქალი აუკიდია და წამოსულა. როდესაც ძირსა ჩამოსულა, დევი უღონოდ გამხდარი, სულზე მიწურვილი დახდომია. გამოუკრავს ხმალი და თავი გაუგდებინებია. წამოსულა სიხარულითა, დედისათვინ მიუგერია, რომ „თუ ჩემი დედაშვილობა გინდა, ეს გამიზარდეო, შენის უბითა და კალთით ამას ნუ გარდუშვებო, ამისმეტსა ცოლს მე არ შევირთაო“. ეითომ მისი კარგა გაზდა ნდომია, მაგრამ დედის დაწუნარებისათვის უფრო მიუბარებია: „ეგების ეს მაშინც არ გაუშვასო“. მაშინც არ მოუშლია მას თავისი საქციელი და იგი ქალი კარგის გვარიშვილთ დედათათვინ მიუვედრებია და ფარდასა შიგან კაცთა უნახავად ხელმწიფურისა წესითა უზდია.

როდესაც იგი ქალი გაზდილა და უყურებია, რომე დილას თურმე წავიდის და ბინდამდი აღარ მოვიდის, დღე-ყოველ ამ ცხოვრებაში იყვის, მხევალთა ჰკითხა მან ქალმან: „სად წაჳალს დედოფალი ჩვენიო, ჩვენც რასათვის არ ვიახლებითო, რომ ამ დრობამდი არ მოვაო და მარტო არიო“? მათ უთხრეს მისი საქმე ყოველი. მერმე მან ქალმან ასე თქვა: „ნეტარძი ვინმე მიაჯოს, რომე დღესა ერთსა მე მისად ნაცელად გამგზავნოსო და თვითონ არ წავიდესო“! მათ მის ქალისა სიტყვა ყველა მოეხსენათ. ილაპარაკეს აგრე ეთქვა: „ჩემი საქმეც კმარაო, რომ სამიდღეშიოდ დედათ აუგად მე დავჯედო; მაგას როგორ ვიქო, რომ ჩემმა შვილმა ერთი ნაპოვნი

ტყვე მომაბარა, მაგას იმ ეშმაკის დიაცის პირი ვაჩვენოო". მრავალჯერ თურმე შეეხვეწა და არა ქნა, რომ ის ასეთი გრძნების მოქმედი არისო, რომ ქვასაც გაილაპარაკებსო".

ყოფილიყვნენ ამ ცხოვრებითა თხუთმეტ წელიწადს. და, მე რომ თურქეთს ხელმწიფესთან გამგზავნა პატრონმა მამა ჩემმან, ერთი კვირა იქ დავყავ. აბუბაქარ კარგი სტუმრის მოყვარე კაცია და ჩვენის ქვეყნით ვინც მიეა, გზა ის არი, იმაზე გაივლის და, მე რომ მიველ, მეცა ენახე მათი საბრძოლი ალაგი. აქეთ ტახტი იდგა. ის მინდვრის პირს იქი დიდი მაღალი მარმარილოს ქვა ძევს, იმ მარმარილოს ქვაზე იტიტინე დაჯდებოდის, და აქეთ ტახტზე — ილაპარაკე. ისრე ერთმანერთს ებრძოდიან მოლესულის ხლმის მგზავსის ენითა. ღმერთს მათთვინ წყალობით მეშველად ის წყალი მიეცა, ვერ გაუვიდოდენ და იყვნენ, თვარა ხელდახელ შეიყრებოდენ, მათს ფალავნობასაც გამოსცდიდენ ერთმანერთზედ.

სამი დღე რომ დავყავ. აბუბაქარ ნადირობას დამპატიჟა და წამიყვანა. მას დღესა თურე კიდევ შეეხვეწა იგი ქალი და ფიცი მისცა, რომ „წყალსაც გამოვიდეს და მოსაკლავად მომიხდეს, მაშინც არ გაველაპარაკებიო. თქვენ ამით შემიწყალეთო, რომ დღეს თქვენს სახლში მოისვენეთო და მას ნულარ ეუბნებითო, მე გამგზავნეთო და ჩემი და იმისი საქმე სინჯეთო". თურმე ღმერთსა მისი შველა უნდოდა და ეშმაკის საფრხით გამოხსნა სწადდა. უქცია გული და გაგზავნა იგი ქალი საბატიურად ძხლებლითა ჯარითა და დიდის დიდებითა.

მან ქალმან სამი ნარინჯი წაიღო, სამი ფირფიტა აბრეშუმი და სამი თითისტარი. და იგი მხევალნი ფიცით შეიჯერნა, რომ „ხმა არ ამოიღოთო, თორემ ჩემი საქმე წახდებაო". მათ მიიყვანეს. იგი ასპიტი უწინვე მოსულიყო და ესდენ მწარედ ტიტინებდა, რომ მის წყლის ხმა აღარ ჩნდა. მათ მხევალთა ტახტზე მისი საფერი დოშაქი დაუფინეს და დასვეს. ნალბაქით ნარინჯი წიწ დაუდგეს და ტარი და აბრეშუმი გვერდს მოუდევეს. თვითონაც დასხდომას მის ტახტის ძირსა აპირობდენ. მან ქალმან აგრე უთხრა: „თუ ჩემი სიკვდილი არა გწადიანთ, აქ ნუ დასხდებითო, ასეთს ალაგს დასხედით, მისი ქართული არ გესმოდესთო და თვალით კი მხედვიდეთო. თუ რომ დამეშიროს, მიშველეთო, თვარამ თქვენთვინ იყვენითო წასელის დრო დი". ისინი რომ გამოისტუმრა, თითონ აბრეშუმს სთვა დაუწყო.

რა ის იტიტინემ ნახა, რომ ისე საბატიურად იჯდა და მისი ტარტარი არად ჰკვირდა, თავისთვინ საქმეს შეექცეოდა, ასეთი ყოფა ქნა, რომ იქიურობა აჰყარა და აიღო. მისი მგზავსი ღვთის საძაგელი და ეშმაკის საყვარელი კაცისაგან არ იმბობა და არც სასმენელად ევარგების. რაზომცა მრავალი დაულევნელი სიტყვა ავი იტიტინა, მან ქალმა არც უკუხედა, არამთუ პასუხი გაეცა. სანამდი ერთი ფირფიტა აბრეშუმი არ მისთო და თითისტარი არ ავისო და ის არ დადგა, მანამდი არც მიიხედა არც მოიხედა, და არც მისსა სიტყვასა ყური ათხოვა, ვითომ არ გაეგონა. რა ის ესე ტარი დადგა, ერთი ნარინჯი გაფცქვნა, შეჭამა და წყნარად ის კურწი გარდაუგდო: „არც ამდენსაო, რაც გინდა იტიტინეო". მიყო ხელი და სხვას მეორეს

დაუწყო სთვა. იმან რა ის მოინახა, ასთავდა, ასეთი ყოფა ქნა, რომ კაცთაგან გასაოცრებელი იყო. მან ქალმან აბრეშუმი სთა და მან დიაცმან უმგზავსო იტიტინა, სანამ ის მეორე ფირფიტაც არ დასთა, სავსე ტარი არ დადვა და ისევ გაუკვირვალად იჯდა. მერმე მეორე ნარინჯი შეჭამა და კიდევ მისი კურწი გარდაუგდო: „ესე და შენი ლაპარაკი სწორედ მიჩანსო". გამობრუნდა და მესამესა აბრეშუმსა სთვა დაუწყო. აღარა პასუხი გასცა, ერთს მხევალს ხელი დაუქნია, მის წინ ბიიყვანა და ეგრე უბრძანა: „წადი, ბატონს ჯერ ღერთი აფიცე, მერმე შვილიო, რომ ასეთი ტანისამოსი შეიმოსოს, ამ ნ ვერ იცნასო და აქ მობძანდესო, და თქვენთან დაჯდესო, ამის ყოფას უყუროს და ხმას კი ნუ გასცემსო".

რა ესეთი აგდება მოინახა იტიტინემ, ესეთი ყვირილი და ტირილი შექნა, თითქო მისის ტიტინით კლდენი გასქდენ და წყ ლი დაყუჩდა მისი უწვესოს სიტყვის სმენითა. ესრეთ აწყდებოდა, რომ მისი ჯახი-ჯუხი გალმა ისმოდა და ნამეტნავის სიფიცხითა ქვათა და ქვიშათა ისროდა. მაგრამ რაზომცა აეს ანბობდა და იქმოდა, ქალი არას იკადრებდა. არცა ერთსა ჩუმსა ამოიღებდა.

მოვიდა [ილაპარაკე] და დაუჯერა: იქ აღარ მივიდა, მუახლეთა შიგან დაჯდა და ეგრე უყურა, მისმა საქმემ ასე გაასტერა, რომე ვეღარც გაიჩუჩუნა.

მესამე ტარიც რომ აავსო, დადვა და მესამე ნარინჯი შეჭამა, კურწი გარდუგდო და ეგრე უთხრა: „საწყალო, მე ჩემი საქმე გავათავე, აწ კი წავალო და შენი მაგდენი ლაყაფი ამ ნარინჯის კურწის ოდნად არ მიჩანს. რამდენიც გინდა, იტიტინეო". ეს რომ [იტიტინემ] მოინახა და იგი ქალი ასადგომად მოეკაზმა, ესდენ ბედგრად გაიოფდა, რომ ვეღარა შეიტყო რა, რას იქმოდა, ვითამ იმ ქალს თავისის გუნებით წამოსწვდა, წყალი კი ვეღარ დაინახა, გარდმოიჭრა მარმარილოს ქვიდამე და წყალში უკუვარდა. მისის სიცოფითა შერცხვენა და სიკვდილი და წ-წყმენდა გაჰყვა. მისმა მრავლი-მეტყველობამა და უშვერმა ენამა ცხვა არა მოაგებინა რა.

რა ეს მოინახეს ილაპარაკემ და მისთა მხლებელთა, გაკვირვებულთა და გახარებულთა, იარეს და მას ქალს წინათ თაყვანებად დასცვივდენ, ხელსა და ფეხსა ეხვეოდენ და ჰკ-ცნიდენ, თავისად მხსნელად ხადოდა ილაპარაკე, რომე „შენ დამიხსენ ეშმაკის საფრხისაგანაო, თვარა თვითონ ეშმაკისა საცთურსა შვილიანად დაბმული ვიყაო". წამოვიდენ დიდად გახარებული და თავისა სახლსა მოვიდენ. მის დღითგან დაიკარგა მისი სახელი ილაპარაკეობისა, დაერქვა დედა აბუბაქარისა, დედა ყოველთა რიგითა და წესითა ხელმწიფურითა.

და როდეს ნადირობით მოვედით, ბანოვანთა სამოსითა მოსილი, წყანარისა და მდაბლისა ქცევითა [დედა] შვილს წინ მოეგება და ეგრე უთხრა: „დედისა თვალთა ნათელო, აზომი ერთი ხანია, ეს პირმთვარე ქალი შემოგვევედრებია ჩემთვის და ჩემის უბედობით აღარ მინახავს და აწ სალხინო სუფრა მომიმზადებია და დღეს შენ ნახე ლხინი და, თუ მოგეწონოს და შენი საფერი იყოს, ქორწილისათვისცა მზა ვარო, თუ არა და, რომელიც გწადდეს, იგი ქენიო". იამა მწვედ აბუბაქარს და ჩემთვისცა საწვევარი

კაცი გამოეგზავნა. მეჯლიში და ლხინი მუნ გარდიხადა, მაგრამ კაცის თვალს მის ქალის შვენება გაასტერებდა, და მისი კიდევ არა.

საკურველია, მაგრამ ის აბუბაქარის დედა მისის შვენებისა და შესმენისა და სიწყნარისა პატრონი მას უგვანსა და უწესოს ვით იქმოდა; მაგრა ეშმაკი ესეოდენი თურე საქმიანია, რომე გონიერთაცა უგუნურად გარდააქციოს, თვარა მისის მნახავისაგან უცხო დასაჯერი იყო მისგან უწესოს რასმე ქნა.

და დიდად გამიჯნურდა აბუბაქარ და სიყვარულსა მის ქალისასა ეელარ მალევდა და ეგრე უთხრა დედასა: „ჭირით ნაშოვნია და შენგან შვილურად გაზდილი ეს არიო. და არც სიკეთეს ვიკითხავ მამისასაო და არც სიავესაო, არც გვარიშვილობასაო და არც კაცთ-ნათესაობასაო. ჩემი ბედი ეგ არი, მის მეტი არავინ მაშინ მინდაო, რომ ზეცის ანგელოზიც ვიშოო“. მერმე დედამ ეგრე უთხრა: „შენ ეგრე გიყვარსო, და მე თავად მაშინც მერჩივნა სულსაო. და ახლა დღეს რომ მე მაგისგან საქმე დამემართა და ეშმაკის შანქანებით შერცხვენისა და წაწყმედისაგან დავიხსენო, ან მხეელობას როგორ ვღირსვარ ამისას, არამ თუ რძლობასაო“. უანბო ყოველი მისგან ნაქნარი. „თუ ამას არ ექნა, აწემცა მე მოკვდებოდი მისად ნაცელადაო“.

მას ღამესა ამოდ გამოისვენეს. რა დილა გათენდა, ქორწილისა საქმესა შეუდგეს და ყოველთა დღეთა უკეთესი და უკეთესი ლხინი ნახიან.

დღესა ერთსა ბანთა მაღალთა ზედა ესხედით და ვლხინობდით. მრავალი ქარავანი მომავალი ვნახეთ. აბუბაქარ კაცი გაუგზავნა ქარავანბაშსა მოსვლის საწვეევარი: „მოდიო და შენთა ლართაგან ჩვენც ვიყიდით რასმეო“. „ქარავანი დაიყენეს. ქარავანბაში მოვიდა, ძღვენი ტურფა მოართვა, თითონაც შავით იყო და რაც კაცი ახლდა, ყველა შავით მოსილნი იყვნენ. ვკითხეთ მიზეზი მათისა შაოსნობისა. ატირდა ქარავანბაში იგი აგრე თქვა: „ცოდვათა ჩვენთათვის ასეთი საქმე მოიწია, რომე ჩვენი ხელმწიფე ძაძა-ფლასით ნაცართა ზედა სხეწან და მათსა საბრძანებელში ქვანი და ხენიც შავით-მოსილნი არიანო, თვარა კაცთა სასიხარულო შემოსა როგორ იქნებაო“. მე ვკითხე: „მაგისთანა რა დაგემართათ, რომ ქვათაც აგლოვებთ მეთქი“? მან აგრე მითხრა: „ჩვენს ხელმწიფეს ერთი ქალის მეტი არა ჰყვანდა რაო და ხუთის წლისა რომ გათავდაო, სულ ზღვათა მეფის საბრძანებელი მას შეფრფინვიდაო, თვარა დედასა და მამას თვალთა სინათლედ იგი ჰყვანდაო; სულ თავის სახელმწიფოში აროწინებდის და შეექცეოდიანო, რომ ერთს მგზეფსს ერთს ალაგს არ დაყოფნიან, „ეგება სხვასა და სხვას ალაგს ყოფა უფრო მოუხდესო და ადრე გაიზარდოსო“.

თვისითა შუახლითა თურე თამაშობდა. რაღაც მოსძულდა ღმერთსა ჩვენი ხელმწიფე და ჩვენი ქვეყანა. და ანასდეულად რაღამაც მოიტაცა. ვეძრავენ რა შეიტყო ამის მეტი, რომ ვინც იმასთან იყო, ყველა დაბოცილი ეყარა და ყმაწვილი აღარც მკვდარი ჩნდა, აღარც ცოცხალი. იმდენი სულისაგან ერთის მეტი ვეღარავინ მოიყვანეს. სულა ერთს კვირას ვერც ის ჩააგდეს ჭკუაში. რახან სულობას მოვიდა, ჰკითხეს: „რა იქნა, რისაგან ამოსწყდითო, ან ის ყმაწვილი რა იქნაო“? მან ასე თქვა: „ამის მეტი არა

ვიცი რაო, შავი ღრუბელივით რამ წამოვიდა, შეეხედე, მთის ოდენი რამ შავი მოდიოდა, რომ მისთანა არცარა ანბად მსმიაო. სანამდი ყმაწვილი არ აიყვანაო და მხარზე არ შეისვაო, მანამდი არა მჭირდა რაო. რა ის აყვანილი ნახეს, ყველამ თავი გამოიმეტესო, მიეხვივნენო. მაგრამ მას რას დააკლებდენო. ერთი ხელი უკმოიქნივა და ეს ამდენი ჯარი ერთმანერთზე დააწყვიტაო, როგორცა ხედავთო. მე ჩემის უბედობისათვის შორს დავრჩიო და მას უკან მზეს უჭერეტო". საწყლისა ტირილითა ტიროდა.

რა ეს შეიტყვეს მეფემან და დედოფალმან, თავი საკვდავად გამოიმეტესო. სამს თვეს ჭკუა არც ერთს ჰქონდა. რა სულად მოვიდნენ, მათი სიცხოვრებელი სულ იმის ძებნაში წააგესო, ვერა შეიტყვეს რაო. აწ არიან მას უკან მწარის ცხოვრებითა, ოღონ სული ამოსდისთ, თვარამ სხვა კაი არა სჭირსთ რაო".

რა აბუბაქარ მის ვაჭრის ანბავი გაიგონა, გულსა შინა გაიხარა: „ეგება ეს ქალი იყოსო", აგრე გასინჯა. მერმე უთხრა მას ვაჭარსა: „რომ ნახო, შენის ხელმწიფის შვილს იცნობო"? მან აგრე თქვა: „მე იმის ნახვას ვინ მაღირსებსო, თვარა ასეთი ნიშანი აქვს მაგათ გვარსა; რომ ვიცნობო".

ეს ამბავი აბუბაქარ დედას შეუთვალა. მას როგორც მართებდა, ეგრე გახარებოდა და შეუთვალა: „ვაჩვენოთო. თუ ეს არიო, მის უკეთესი რა დაგვემართება. თავად ამისთანა ვაღი დაგვიდებია ზღვათა მეფისათვისო და მერმე მის მოყრობას ვღირსებულვართო".

შეიყვანეს იგი კაცი და აჩვენეს. იცნა, რომე იგი იყო. მან ქალმანცა უთხრა, რაღაც იქიური ახსოვდა. შეიქნა დიდი სიხარული. მან ქარვანბაშმან თავისი ბარგი ყველა იქ დაადგო და თვითონ მარტო ჩაფრად წავიდა თავის ხელმწიფესთან მახარობლად. აქათ ამათ ფიქრი ქნეს — ნუთუ აღარ დაგვანებოსო — და სასწრაფოდ ქორწილი ქნეს.

ამ ერთს კვირაში რაც იქნა, მე ჩემის თვალით ვნახე და სხვა ყველა მათის პირისაგან გავიგონე. მე წაველ, სადაც გაგზავნილი ვიყავ. ისინი იქ დავყარე, სანამდი გამოვიელიდი ზღვათა მეფესაც ესმა მათი ანბავი და მრავალი ჯარი და საჭურჭლე გამოეგზავნა დიდითა დიდებითა გამდიდრებულნი და გალაღებულნი. ქალი და სიძე წაესხმევინა, იქ აღარავინ დამხვდა. წამოველ ჩემთვის, მოველ და აწ აქ გახლავარ და ჩემი და ამ ჩემის ძმის საქმე მათს ცუდს მოლაყბეობას ჰგავს. მაგრამ თქვენ უნდა, ზღვათა მეფის ასულისა მგზავსებსა დასჯერდეო: თუ ის ერთი მარტო ხუთის წლის ყმაწვილი წყალობითა ღვთისათა მის უცნაურის დევისაგან გამოიხსნა, შენ ღვთისაგან ამას რასათვის არა სჯერ ხარ, რომე ყოველის ბოროტისაგან ადრე იხსნის მოსაესა და მინდობილსა მისსა და რა საკვირველია ღვთისაგან შენთა განსაცდელთაგან გამოხსნაო?!".

ამისთანას სიტყვით ხან ლაღობითა და ხან სიბრძნის მეტყველებითა ალხენდენ, სანამ ფრიდონის მოსულის მახარობელი მოვიდოდა. ინება ბრძანებამან ღვთისამან, გათავდა მათი ჭირი და მწუხარება და მოვიდა დიდებული კაცი მახარობლად, ვითა: „გამოუშვა მაღალმან ხელმწიფემან ფრიდონ ხელმწიფე გვართა და ჩამოვაალთა ზე აღმატებით დიდითა მორჩმა-

დიდებითა და ასერ ახლო მოეალსო". შეიქნა სიხარული ზომისაგან მეტი და წავიდენ მისაგებავად პაპა-ბიძანი და ძმანი მისნი. შეიქნა მიგებ-მოგება და მოკდობით ხვევნა-კოცნა, გაყმდა გული ბერის აფთვიმიანესი[1] ნახვითა ფრიდონისითა, რომელ ისე ყოვლითა ხელმწიფობისა ზნითა სრულად შემკობილი ნახა. თვალ-ტანად, ყოფა-ქცევით მას ვერავინ ესწორებოდა. შეიქნა ქოსთა ხმა, ბუკთა ტკრციალი, ნაღარისა მაღლად ხმობა. შეიყარა სულ იამანეთი, მაგრამ ფრიდონ ახალი ხელმწიფე დედის ნახვისათვის სწრაფობდა და დედა მისის ნახვისათვის სულთა ამოსვლად მზა იყო. მოვიდა ფრიდონ სრულისა იამანეთისა ხელმწიფედ.

კითხვები და დავალებანი:

1. რა ანდახა გადმოგვცემს აქ მოთხრობილი ხლაპრის დედააზრს?
2. ამოკრიბეთ ამ ძეგლისათვის დამახასიათებელი სიტყვები და ფორმები.

[1]) აფთვიმიანე რუსუდანის მამამთილია.

არჩილიანი

«არჩილიანის» სახელით ცნობილია არჩილ მეფის თხზულებათა კრებული.

არჩილი დაიბადა 1647 წელს. 1661 წ. გამეფდა იმერეთში, სადაც დაყო ორიოდე წელი. 1664 - 1675 წ. განაგებდა კახეთს, ხოლო შემდეგ ამაოდ ცდილობდა იმერეთის ტახტის კვლავ დაბრუნებას. 1681 წელს დახმარების გამოსათხოვად რუსეთში გადავიდა, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო გამოდგა. 1699 წლიდან სამუდამოდ დაესახლა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1713 წელს.

არჩილმა რუსეთში მოაწყო სტამბა და ქართული წიგნების ბეჭდვას შეუდგა 1705 წ. უმთავრესად რუსეთშივე მიმდინარეობდა მისი ლიტერატურული საქმიანობაც. არჩილი ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების ერთერთი დამწყები და საუკეთესო წარმომადგენელია ქართულ მწერლობაში. თავისი იდეოლოგიით ის თავადაზნაურული კლასის ულტრანაციონალური ფრთის განწყობილების ამსახველია. არჩილმა მოგვცა ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის სერიოზული და გაბედული გადაფასება. ის დიდი პატივისცემით და მოკრძალებით ეპყრობა ქართული პოეზიის ისეთ ოსტატებს, როგორიც იყვნენ რუსთველი და თეიმურაზ პირველი, ერთგვარად ჰბაძავს კიდეცაც იმათი წერის მანერას, მაგრამ ამასთანავე ერთად არჩილი გარკვეულად გაგმიჯნა ერთსაც და მეორესაც. არჩილი გმობს რუსთველისა და თეიმურაზის „ხლაპრულ“ და „მოჭორილ“ მთხზველობას და იმის სანაცვლოდ „მართალი“ მოთხრობის საჭიროებას იცავს. „რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასებაში“ არჩილი ამბობს: „სხვას ზღაპრულს ამბავს ესე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად, და არცა რა ამაში ტყუილი სწერია, ერთის მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების მეტი“-ო.

რუსთველისა და თეიმურაზის დაპირისპირებით ავტორს საშუალება ეძლეოდა მათი შეფასება-დახასიათებაც მოეცა და იმდროინდელი ცხოვრებაც აეწერა. მართლაც „გაბაასებაში“ ვრცლად და საინტერესოდ არის გადმოცემული XII და XVII ს.ს [illegible] ისტორიული ცხოვრების ამბავი. აქედან პირველი (XII ს. შესახები ამბავი) იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რადგანაც ავტორი მასალებით შეზღუდული იყო და მხოლოდ ცნობილი ისტორიული წყაროებით სარგებლობდა, მეორე (XVII ს. შემცველი ამბავი) ფრიად საყურადღებო ორიგინალურ-მხატვრულ საისტორიო თხზულებას წარმოადგენს.

„მართალი“ (ერთგვარი „რეალისტური“) ამბის გამოქომაგებასთან ერთად არჩილი თავგამოდებით იცავს ეროვნული თემატიკის პრინციპს. «გაბასებაში» არჩილი ებრძვის მოპაექრეთა (ე. ი. რუსთველისა და თეიმურაზის) ნაწერების როგორც „ხლაპრულობას“ და „მოჭორილობას“, ისე სპარსულობას. ენის საკითხში კი ის პურიზმის (ენის სიწმინდის) თვალსაზრისზე დგას. არჩილი კიცხავს თეიმურაზის სპარსულით გატაცებას და თავის მხრივ თავმოწონებით აცხადებს: „მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“-ო. დამახასიათებელია, რომ ამ სიტყვებს ამბობს ავტორი იმ ლექსში, რომელიც თეიმურაზის «მაჯამის» უშუალო გავლენით არის დაწერილი. ამ გარემოებას არჩილი არც [illegible] მალავს:

მკითხველ-მთარგმნელო, მაჯამას წილ მეც [illegible] შემირთმევია-ო[1].

---

[1] ამ ლექსით («ლექსნი აქა-იქ ნათქვამნი») არჩილი ერკვევა ხარკს იხდის სამიჯნუროო პოეზიის წინაშეც.

არჩილმა პრაქტიკული შემოქმედებითი საქმიანობით განამტკიცა თავისი თეორიული შეხედულებანი. მისი საუკეთესო თხზულებების თემატიკა ისტორიულ-ნაციონალურია («გაბაასება», «საქართველოს ზნეობანი»), ამბები აღწერილი და გაშუქებულია ფეოდალური თვალსაზრისის «სიმართლით», — ხოლო იმის თხზულებათა ენა და სტილი უალრესად დახვეწილი და პურისტულია („წმინდაა“), — გაურბის უცხო სიტყვების ხმარებას.

არჩილი დიდაქტიკოსი მწერალიცაა. მისი «საქართველოს ზნეობანი» და ზოგიერთი სხვა ნაწარმოები (რომლის ნაწყვეტები ამ წიგნშია დაბეჭდილი) ზნეთსწავლულების თვისებურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ავტორს მხედველობაში ჰყავს მხოლოდ არისტოკრატიულ-ფეოდალური საზოგადოებრიობა და იმათი ზნეობრივი ცხოვრების ნორმებს ქადაგებს. ლირიკელ ლექსებში არჩილი მოხდენილად გადმოგვცემს თავისი ნაღვლიანი განწყობილების საგულისხმო მომენტებს, ოღონდ ავტორის სევდა-ნაღველი მოკლებულია უიმედო პესიმიზმის განცდებს. არჩილს არ სჩვევია მუდმივი კენესა-წუწუნი და მოთქმა-ვაება; ის ერთგან კატეგორიულად აცხადებს:

სოფელმან ავს დროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ე სენი,
მაგრამ მე მისად საზრუნელად ე რ მ ნ ა ხ ო ს ს ხ ვ ი ს ებ რ მ კ ვ ნ ე ს ე ნ ი-ო.

«არჩილიანი» მოლად ჯერ არ დაბეჭდილა. «რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების» ერთი მოზრდილი ნაწილი, სახელდობრ ცხოვრება თეიმურაზისა (XVII ს. ისტორიული ამბების შემცველი მოთხრობა) 1853 წ. გამოსცა პლ. იოსელიანმა. «გაბაასების» უფრო ვრცელი, თუმცა საერთოდ მაინც ნაკლული ტექსტი 1888 წ. ქუთაისში დაბეჭდა ლ. მაჩიტაძემ. «არჩილიანის» ზოგიერთი ნაწყვეტი შეტანილია ს. გორგაძის «ჩვენს ძველ მწერლობაში», გაცილებით უფრო სრულია «ანთოლოგიის» II ტომში (1928) მოთავსებული ადგილები.

წიგნში შემოსული ტექსტები ამოკრებილია შერჩევით «არჩილიანის» სრული კრებულიდან, რომელიც ავტორის უშუალო ზედამხედველობით გადაუწერია მდივან-მწიგნობარს გივ თუმანიშვილს (ეს ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმში, ყოფ. წ.-კ. კოლექცია № 424). «საქართველოს ზნეობათა» პირველი ცხრა სტროფი ამოღებულია «კაცისა და სოფლის გაბაასებიდან», ხოლო სტროფები 10-14 «სიტყვა სანათლისებრ» ნაწილია. წვრილი ლექსები სხვადასხვა თხზულებათა ლირიკულ ჩანართებს წარმოადგენს, ამ ლექსების სათაურები ჩვენ მიერაა გაკეთებული.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

1. ალ. ხახანაშვილი. ქართ. სიტ. ისტორია I, 1914, გვ. 448—463.
2. მისივე, Очерки, III, 93-100.
3. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, 348-358,401-421.

გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა

[შესავალი]

ბაასი შოთა რუსთველისა მეფისგან თემურაზისა,
მათთა ენათა სიტკბონი ვსცან მამშვიდებლად ბრაზისა,
არ მოკლე სასაბრძნობელი, უგრძეა ბევრ მარაზისა,
მათებრ მეფე და ან მრნა, ბრძანეთ, თუ სადღა რა ზისა?

მე მოვახსენებ მეფეს და რუსთველს წინაშე მჯდომარსა:
ვცდილვართ და სრულ ვერ მიმხვდარვართ თქვენ სიბრძნით
მოსაგონარსა,

ღარიბთა ლექსთა შეწყობას ბრძენთაგან მოსაწონარსა.
ვინ სიბრძნეს ეეძებთ, გადარებთ, დავჭვმობთ უდებს და მცონარსა.

ბევრი რამ გითქვამს, სამზღვარი თქვენს შუა რამდენი რამ ძეს,
ვინ ერთი-ერთსა მოგიდგეს, დაემდურება მამა ძეს;
დიდი იქნება ცილება, ზოგ-ზოგი კარსაც განაძეს,
გიაჯ, თქვენ გარდაიწყვიტოთ, მე სათხოვარი მიბოძეს.

თვით შეექნათ მათ ცილება, სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა, ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ ირევენ,
სწორსა ასხმენ შარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ,
მათსა პირსა ტკბილი წყარო წმინდათ მოსდის, არ ამღვრევენ.

ნახეთ, რუსთველი მეფესა რა-ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნოება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს;
არა ჰყრის თავსა სიმონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს,
ასრე სწადს, მუდამ გვერც ახლდეს, არც წამ არ გაეყრებოდეს.

პასუხი პირველი მეფისა

რუსთველო, ყური მამიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: „შოთამ გაჯობა შენაო.“
ხან კიდეც გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო;
საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

პასუხი პირველი რუსთველისა

მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას?! ამხანაგი შემადარონ!
ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიაროონ,
გრძნებაც რომ ქნან, ცა ღრუბლითა შეპყრობილი მოადარონ!
სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღვდელი აროონ.

პასუხი მეფისა მეორე

სრულ მელექსეთ უფროსობა რასთვის ბძანე? არ გმართებდა,
არ მეც მათთან დამატანე, ეგ მე ჯავრით ამანთებდა,
ვით ჩამოგყვე, გითავმდაბლო, ჩემ კერძ მყოფთა ვერ ვაებ და
სხვას ვის გინდ რომ ეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ეძებდა.

არ მეც მათთან ჩაგიგდივარ, ლექსს ვინ ამბობს, შაირებსა,
ზოგნი რასმე ამსგავსებენ, ზოგნი სადმე ცუდად რებსა.
მოცილეს გავს მოსატყუვრად, ვინ არ ხედავს მართლა მბღვრებსა,
მე რომ მართლა ცა შევამკო, შენ მრევ, ვინცა მოავდრებსა.

არც მე მწადდა აწ ბაასი, ვთქვი: აქებდეთ თქვენ რუსთველსა,
ენა ხარბად მოუბარსა, ვითა ტკბილი მოსდის სთველსა,
მაგრამ ავსებს თეატრონსა ასპარეზსა, კვლაცა ველსა,
ბაასობენ, შეგვადრიან, ზოგჯერ ეხედავ თვალით სველსა.

პასუხი რუსთველისა

თქვენ ნუ აჰყვები, იუბნან, ვინც უნდა თქვას რა გინდა რა,
ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდა რა?
თუ კიდევ ბაასს მიბძანებთ, გინდ ცოცხალ ვიყო, გინდ არა,
ჩემსა დამეხსენ, მეფეო, და თქვენი არა მინდა რა.

ცუდად ლაყბობენ, შენმა მზემ! ვინ შეადარა ბატონს ყმა?
თქვენ ყურს ნუ უგდებთ, რაზომცა იძახოს ტბაში ბაყაყმა.
სიტყვა-მცდარმა და უცებმან ცუდი თქვას, სიტყვა-ამაყმა.
მათ რომ იუბნან, ჩვენ რა გვერჯის, ვინცა დაათროს არაყმა?!

პასუხი მეფისა მეხამე

რაღას უშველის, ამბობენ, სიტყვასა ამისთანასა,
ზოგი ხმა-მაღლა ბაასობს და ზოგი იტყვის ბანასა,
ზოგთ ჯავრი ამოატირებს, ღაწვთა შეიქმენ ბანასა,
აწ შენი მქები უფროა, ბოლოს დროს ჰყოფენ ნანასა.

პასუხი რუსთველისა

სანამდის გავსძლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა,
ვიდრე დარეკდეს სიფიცხე გულსა მი და მო ლმობასა,
მანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს სალმობასა,
მერე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ღმერთს მადლობასა.

პასუხი მეფისა მეოთხე

რუსთველო, სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავესა,
მე არც გისწორებ, არ იცი, კარგა მჭირს, ან თუ აე ესა;
მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდევესა,
ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.

ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდებს? რაცა სთქვი, იძულებითა,
თამარ მეფემა გიბძანა, ძალი იყო თუ ნებითა,
მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვით ვისით მეთქვა თნებითა?
შენ არ გასტყდები, მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა.

პასუხი რუსთველისა

ჯობნა, მგონი, არვინა თქვას, თქვენ რომ თქვენით თავს იმკობდე,
ჩემი გმართებს სათნოობა, სხვათ მელექსეთ ამაყობდე,
მაშინც ისრევ მე მაქებენ, რაზომ გინდა მუსიკობდე,
თავსა არათ არ დაგიდებ, გასწყრე გულით, ან სჯავრობდე.

მეფევ, სიმართლით ბრძანებდე, ხარ რაზომ შეუპოვარი,
მეც რამ ცოდნა მაქვს, თქვენც იცი, არ პირუტყვი ვარ მძოვარი,
ვთქვი ჩემგან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნე თქვენის თქმით, ბევრი ვქენ მე საშოვარი.

პასუხი მეფისა მეხუთე

ვერ გედარო, რით იქნება, როგორ იტყვი ჰაი ამას?
ერთის ამბის გარდალექსვა არ მოხდება სჯობდეს ამას.
სჯობს გამიტყდე, ჩამომეხსნა, თვარემ მოგგვრი თვალთა ნამას,
არ თუ მჯობდე, ვერც მედრები, დავიფიცავ ჩემსა მამას.

ერთი კაცი ძალის საქმით კარგს იქმოდეს ანუ ავსა,
მას იმდენად ვინ ჩაუგდებს, ვინ მისცემდეს ნებით თავსა.
რა გასინჯავ ჩემს საქმესა, ეღარ ითხოვ აგრე დავსა,
რა შარვანდი მზისა მოვა, სხვათ მნათობთა იქმნას დავსა.

ასრე არ გადაგვიწყდება, რაზომ გაგრძელდეს ბაასი,
შინაგან მგელ-მტაცებელო, გარ ცხვრის გმოსია დაბასი;
ნაძლევი დავდვათ, გაჯობო — მომცემი იყო დაბასი,
ვერ გაგიტეხო, ტვირთითა ფლური გიბოძო აბასი.

პასუხი რუსთველისა

მეფე მოწყალეე, თქვენს წიგნში, მგონ, ჩემი ქება სწერია,
ხელმწიფეე სიბრძნით სავსეო, მეც რამ ვთქვა მოსაფერია,
თქვენ ბატონობა შეგშვენის, მე ყმა ვარ შესაფერია,
არ დაიმადლებ ამ სიტყვას, მაშ ძალი გამოერია.

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქუხს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისაც უწუხს;
მხიარულად წაიკითხენ, მასზედ თვალნი არვის უწუხს,
ნუ გასწყრები, ხელმწიფეო, მოგახსენებ კიდევ პასუხს.

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს,
ამასზედან რასთვის სწუხარ, პირად მზეო, იკრავ შენ ობს?
ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?
ნუ ეპე მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბს შენ, ნობს.

პასუხი მეფისა მეექვსე

ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?
ეპე მას დარჩეს პირველობა, დაიხიოს შენი მასა,
თორემ ეჰკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ბასა.

პასუხი მეფისა მეათე

შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად?
ომი მისთვის არ გაველექსე, მე თვით ვექმენ მტერთა კენესად,
უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვის სთქვი მოუმკალი დანათესად,
ჩემთვის კვეხნად არ ჩაგეგდო, მაჯობებდი მაგით მე სად?

გამისინჯე, სად მართებდა გუნებისა შემოკრება,
თუცა მინდა გასაძებლად, მაგრამ სიბრძნე არ მეყრება.
მამაგონდეს ჩემი საქმე, ბევრჯელ გულსა შემეყრება,
არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდი კრება.

პასუხი რუსთველისა

ვეღარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიყურებ ამბობ, ტო, რას,
მარჯანი ვარ, მამიტიო და მადევნო ჩიტსა ტორას.
სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ვეღარ დამკრავ თავსა ტორას,
ყმანი ყველა გაგეცლებით, გაგიჩნდების იქ მარტო რას?

რაც არ გგონია, ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებული,
სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული,
პატრონის ყმისა ურჩობას უკეთეს დამონებული,
მაშა სოფელმან დამაგდო მოწყლული, საარებული.

პასუხი მეფისა მეათერთმეტე

ღაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე,
ქისიყურად პასუხს მოგ(ე)ცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე!
ძოლან დიაღ მამაწყინე, მხიარულსა დამიმძიმე,
სიტყვის უქმსა რადგან ცუდი სიტყვა წაგცდა, ნეტარძი მე!

უგურე ბრიყვსა, მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა,
რაღას გელაყბო ჯავახსა ღარიბსა, შე უპოვარსა,
ტურას მძორისა მჭამელსა, ზროხას ბალახის მძოვარსა,
ყბედსა, გულ-დიდსა, მტერობა-აქლემისებრი მხსოვარსა?

პასუხი რუსთველისა

რასთვის ჩამოგყევ ბაასში, რად შევცდი, რა დამეფეთა?
ხმალიც მოგეკრა საკვდავად, გლახ, ხორცი ჩემი გეფეთა.
სხვა მონა ვინ შეედარა ჭკვიანი თვისთა მეფეთა?
ყვავმა-ყორანმა დამძახა, მო, ძაღლნო, თქვენც დამყეფეთა!

მეფეო, გიხამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა ნახლისა,
თქვენთან მტერმან და ღრგულმან თავი მიწასა ახლისა;
საღვთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გიახლისა,
თვით უწყი, სადა სწერია ძველი უმჯობეს ახლისა.

პასუხი მეფისა მეათორმეტე

მართალია, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემმა დააჭარბა, ამად ცრემლი ჩამოგდისა.
მთვარე ღამეს გაანათებს, მერმე ჰფარავს შუქი მზისა,
ჩემმა წიგნმა დააჭარბა, შენს წიგნს ვინც სწერს, ცუდათ ზისა.

ჰე, რუსთველო, მოიცადე, დადეგ, სიტყვა შეინახე,
საღვთო სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე.
მაღალ საროს ვერ შესწვდები, გლახ, დაბალი მოინახე,
ქრისტე არის მართლ-მსაჯული, მოციქულნი მოინახე.

პასუხი რუსთველისა

მეფევ, არ იყო სათქმელი წიგნის წახდენა თქვენგანა,
ჯავრითა ბძანებ მაგ სიტყვას, თვარა არ იცი შენ განა?!
მე ეს მერჩივა მაგ სიტყვას, თავს გადმოგეკრა დაგანა,
თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიკვირს უკოთაგანა.

[არჩილის დახვნა]

ორთავე უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს,
მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს,
თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყევით, თუ ვინ დასცემს.

პასუხი მეფისა მეათხუთმეტე

[ცხოვრება თეიმურაზისა]

კარი გაზაფხულის ნადირობისა და შეკცევა-მხიარულებისა

იცია, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება,
მაშინდელს ნადირობასა სულ წვრილად ვინღა მოჰყვება?!
ზოგი რამე ვთქვა, უფროსი დამრჩება, გარდამეშვება,
თუცა არ მინდა სათქმელად, მელექსე არ მომეშვება.

ქოჩობის სიხარულითა ყველამ ბოძლები მოლესა,
მშვილდსა უგდებდენ ფიცხელსა და ცხენი მოიმალესა;
ქვეყანას გახარებულსა ეჭერეტდით, ახალსა მოლესა,
ბერნიცა გაჰაბუკდიან, არ თავი მოემოლესა.

ალონს ვიწყით ნადირობა და ქვემოთრე ჩაეყვებოდით,
უკეთ სროლის ბაასითა ერთმანერთსა აეჰყვებოდით;
მუნ ნადირი ვინც ვერ დავსცით, შორს აღარვინ გავჰყვებოდით,
მოვიდით და ლხინად დავსხდით, ვინ ვის რასმე ვლაყბებოდით.

რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით,
მუნ განსვენება სად იყო, იმუშაკებდა ნადი რით,
ტყეებსა ერეკდით ყოველდღე შამურით, ბედიყრის თითრით,
გაზაფხულისა აერი შეენოდა კარგა მუნ ნირით.

მცირეს ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა,
ჩვენის ბაასის ჯობნაზედ ნუ ჰგონებთ მალ დამაშოთა;

სად მამეცალა სალექსოდ, მიბრძანე ბრძენო ფაშოთა,
კიდევ ბევრს რასმე უამბობ, ხელიდამ არსად უშოთა.

მაისი დადგის, ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა,
ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა;
ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჭვრეტდით სულ-დანაღებსა,
მე ვინ მნახევდის იმ დროსა ულხინოდ სუფრა-ნაღებსა!

იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები,
მოკრძალვით, გულს ხელ-მოჭდობით, მშიშრად, ვით ცხვართა ვაცები;
ფეშქაშსა მო- ცა -ზიდვიდეს ვერ რბევით რას მომტაცები,
აწ ნახე სოფლის სიმუხთლე ჩემხედა კვლა-და-კვლაცები.

მინდორს ბალახი მომაღლდის, ხბოს დამალევდის, ნადირთა,
იმ წამს მიმართის ირემმა შამბს, მალვით მუნ დანაპირთა,
ჩვენც თანა გავყვით სიმრავლით, გაწყობით, არ მებოძირთა,
ალაზანს გავხდით ნავითა სასროლად ზედ მინაშურთა.

ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასელასა,
ბაზრიდამ აყრას, დიდებით სამინდროსა წასვლასა;
კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასელასა,
დილით მწუხრამდის მხეცს სრვიდეს, ვინ ელის მზისა დასვლასა.

ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენსა, ჯორს, აზავერს გარდა,
ქარვებს მის მოფენილობით ჰკიდებენ, იდვის მუნ გორ და;
ტყუილი ნურვის ჰგონია, მართალი არის, არ ჰორ და
ნუზლიც მრავალი ვიახლით, მინდვრები სოფლებს გაშორდა.

შვიდს-რვას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვისწრაფდითა!
გამოლმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრევ გაღმა მხრითა,
აქეთურიც ნავზედ დამხვდის, ნაპირელნი კვერნაქითა,
გვიან ვერვინ მოვიდოდა, მისთვის რომე დავბაქითა.

ჯარის სიმრავლე რა გკადრო, დიდებულთა თუ მცირეთა,
ახლა ვაქკაცთა სიმრავლე ვარსკვლავთა გვანდა ციერთა.
ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა,
ვაი რაზომი სხვა კარგი სოფელმან გაწამიერთა!

მუნ იყვის ბედაურთ ცხენთა შეკაზმა, გამოჩვენობა,
შესამოსელთა კეკლუცთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორბეს ფრთით შვენობა,
ვაქკაცებისა ხუმრობა, მუნ ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.

ასე დადგიან კარვები, კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა.
იყვნიან შვებით, მშვიდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა.
მესისხლე ჰყვანდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენდა,
ღვთის წყრომით მოხდა, თვარემ და მათ ეგრე რა წაახდენდა!

თორმეტი არის მინდორი სხვებისგან უკეთესების,
ირმის, ჯერნისა, დათვისა, ღორის, ტურის და მგელების,
აფთრისა, შველისა, ფოცხერისა, კურდღლის, მაჩვისა, მელების,
ბეერს ჯარს რომ მოინდომებდა, მათ სახელები ეს ების.

წინა მინდორი, შირაქი და ორივ ტარბანაები,
ორი ელიდრის მინდორი, ჯერან-ჩულურში დაები,
ყაჯირლუს, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩადივარები,
ყარაიაზე დაშერიან მესროლნი, კარგ-სადაევები.

მივიდით, მინდერებს მივადგით, დაუწყით ჯერგას რიგება,
შუალამისგან უწინეე ნადირთ ვერ ექნა შეგება,
ასე შეკრიან სამგნითვე, მეცნი მათ ვერ გარდეგება,
დაიწყის მოსელა კარზედა, პირს ვერვინ ვერ შეეგება.

დილა გათენდის, შეიქნის დაწერით დაკარებანი,
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერა ქმნის მოკარებანი;
შეიქმნის სროლა უცდური, დანაცდენთ ძვირად ძებანი,
კარგ-სადაევნი მომხრედ ვყვი, აეისა — შორს გაძებანი.

ასრე უნდა შვილდოსანი, არა ჰკრეედეს ყოველსა ასოს,
მართალს მხარსა შუასა ჰკრას, წინ გადამხტალს თეთრს დაასოს,
მხეცი სადგომს წამოიღოს, მწყურეალს მინდორს სისხლი ასოს,
ერთს გაზაფხულს თიბათვემდის ოთხმოცისგან უფრო ასოს.

ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოს შეეძგერაო,
მერმე სადაეეს გამოჰკრას, რას ჰქვიან გულის ძგერაო?!
ხარსა და ვაცსა მოჰკლეედეს, ცუდია მელა, ძერაო,
მოუწონებდენ სიფიცხეს, ინატრონ მისი მხერაო.

რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წაეყრებოდით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანერთს შეეყრებოდით.
ვარდი დაგვიხედის გაშლილი, ვჰკრეფდით და შიგ ვეყრებოდით.
ასე გვიამის იქ მისელა, მალ აღარ გაეყრებოდით.

გრემსა იყო ბეერის ქვეყნის უცხოები იქ მოსული,
ბაღებშიგან კეიპაროზი ალვის ხითა ამოსული;
ფშოდა სული სულნელისა ყვავილთაგან ამო სული,
მისის ნახვით გაყმდებოდა სიჭაბუკის ძალ-წასული.

ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა,
მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიეფისა:
ყოველი ყვავილი, ხეხილი, გარმოცულიყო სეფისა.
განცვიბრდებოდა მნახაეი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის მგლოვიარობა და მწუხარება

ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი,
ლხინმა მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი;
ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი,
ნადიმი აღკრბა, სერობა, ვეღარ მაჭამეს წუ-ხილი.

მოვსთქვემდი: „მზეო, დამაგდე, ცეცხლი მომიდევ, წამ ალი,
მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვჰპოვე წამალი,
ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა შიგან წა მალი,
სუფევა ჰპოვე უკედავი, წმინდათა·თანა წამალი“.

წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი გიშრისა, დალულა,
შვილდი შავისა კემუხტით, შემოსით ვით მოზეულა,
თმა ამბრის ფერი შეწმასნით მიწამდის ჩამოწეულა,
ვითარ ვთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა!

ბაგეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ეხედავ გაყვითლებულად,
მას შიგნით თეთრსა კბილებსა სადაფ-მარგალიტებულად,
ენასა შაქრის უტკბოსსა ეხედავ უძრავად დებულად,
ჰაი ვაიმე, რაღა ვქმნა, აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად.

ცხვირს ზომიერად ჩამოწვდილს, სული ფშვის სურნელებისა,
პირი ერთ-პირად შექმნილი, უალოდ გამთვარებისა,
რომელმან ენამ აღმოთქვას სინაზე მკლავ-ხელებისა,
ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა.

ვაჲმე, წაუხდა, ვის ჰქონდა, ყელი ბროლისა სურათა,
ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან მისი სურათა,
მშვრეტელთა სატრფიალოა, უნახთა მოსასურათა.
ვაჲ, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლ გასაცურათა.

ვა, რად მეც შავს მიწასა პირი-ვარდი, ბროლ-ფიქალი,
ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერი ფერ-გამქრქალი,
შენს საქციელს ვერ აიღებს ბეერის ცდითა სხვაღა ქალი,
შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.

რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივთი?
სახელმწიფო, ქმარი, შვილნი რად გაჰხადე ოხრად ვითი?
სამუდამო ლოცვა-წირვა, ფსალმუნება, ან დავითი?
პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე ადრე რათ წაირთვი?

მე გამწირე საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად?
ალექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე მე ეს ობლად?
შენ უბრალოდ ტახტს აოხრებ, თაესა შეიქ საბრალობლად,
მე გამხადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მგმობლად.

გვირგვინთ ნაცვლად ჩაჩსა მბურავ, სკიპტრად მაძლევ შავსა ჯოხსა,
პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა,
გამაბედითე, დამაგდე, ეჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა,
უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა.

ვით წესია, გარდვიხადე გლოვა დიდი, სულთ წესები,
სულთქმა, ახი სამუდამო და ტკივილი საკვნესები,
ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ შრეტით დანავსები,
ნაღველს ესევმდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.

ორმოცამდისი ბნელს ვიჯე, სინათლეს ძვილ სად ვნახევდი,
თავსა ვიცემდი, ესტიროდი, ცრემლითა ღაწვთა ვიხევდი,
შენც შემიბრალე, არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი,
ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომინახევდი!

მარაბდის ომი

მაგრამ კიდევ ჩვენ შააბაზ არ დაგვიშერა მტერობითა,
ამ ყოფაზედ ყორჩიბაში ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა,
სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა,
გაუჩნდების აწ შუბებსა თუ არ გატყდეს დასობითა.

ის მოვიდა ალგეთზედა, ჩვენ ავედით ტაბახმელას,
მე გიამბობ, თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას,
მოდი, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მაღალ სელას.

დავასკვენთ ომი ალგეთზედ, მივმართეთ გულით მაგართა
კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა;
ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სისხლსა, მისთა ამართა,
რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.

ავიყარენით, რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა,
დავდეეით ქრისტეს რჯულზედა ჩვენი ხორცი და სულობა,
მხიარულად და თამამად. რას ჰქვიან დანასულობა?!
აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა.

დღისით ჩავლიეთ ავძ გზა, ღამე ჩაეედით ვაკესა,
ცოტა ხან შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა,
კახნი ამბობდეს: „ვიაროთ, მიუხდეთ ფურებს მაკესა“!
რაზმი დავაწყვეთ, ვიარეთ, მეთოფემ ტალი დაკესა.

რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა,
მზე რა უღრუბლოდ აღმოჰხდა, ქვეყნად მოჰფინა დარი და
ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შეეადარი და
არ სხვას ზნეობის დრო არის, ჟამი არს საომარი და.

გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ,
დავაწყევით ორთავ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიდამ.
მათი იდგა თვალ-უწდომი, სიმრავლე სჩირთ მათ გვარიდამ,
მაგრამ ვერც სულ დაგვაღონა სიბევრისა ჩვენ არიდამ.

მან თურე ასრე გააწყო მეთოფე თოფხანიანად,
ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად,
მას ქვეშ მუხლ-მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგიანად,
მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.

მივახლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა,
ჰგვანდა, თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყანად, ან დაიქცა,
მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გარდაიქცა,
ვირემ კვამლი არ გაწქარდა, მათკე ვერვინ ვერ გაიქცა.

რა განქარდა თოფის კვამლი, შეუტიეთ ერთპირობით,
გულ-სრულად და ჯავრიანად ვინ ვის წინა წაუსწრობდით,
ეხოცდით, ვლეწდით, ჩამოვყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყრობდით,
არ მოსწონდა შაბადახან, სულ გაწყვეტას უპირობდით.

გავაქციევთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ,
მათს ურდოსა გავაცილეთ, მოსცლა ერთხან შევანანეთ;
უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცემა, დიდად მავნეთ,
გაგვიქციეს უკან ჯარი, დაიხახნეს „გაათავნეთ“.

ამასზედა „თეიმურაზ (ვინ მუხრანსა პატრონობდა)
მოკლეს“ თურე დაიზახეს. ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა,
გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა,
გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდაბ-ნობდა.

ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად,
ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვნენ, დაიჯერე უსაცილად,
გაათავეს თვისი თქმული, სადგომსვე თქვეს დაქადილად,
ორნივ თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკვდილად.

ქვეითობა ურდოშიგა ალაფობდეს, იტვირთოდეს,
მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს.
დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისროდეს,
სიცხისაგან ძალწართმულნი ისარს ველარ მოისროდეს.

კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი,
აღათანგის სახლის კაცი შვიდი მოკვდა, კარგი ერი,
სხვა ბაადურ ცრცისშვილი, კახი დავით, გულად სვერი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფნეს, ვითა ტევრი.

ჩოლოყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს საქებელია;

სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია,
ძლივ მორჩა ალაბერდელი, გარდაგდეს ხარჰაშნელია.

ათაბაგი ამირ-გულხანს იმ დღეს შეხვდა ერევნისაკს,
შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხმლისას,
სამი, თურე, ზედის-ზედა შემოჰკრის და შესძახისას:
„ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავსა ვფიცავ ყაენისას“.

მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა,
თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა?
თუ დავირქვა ანჩხაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ ძიდგა,
არ დამიშვრეს ხელი ცუდად, სანამ პირში სული მიდგა“.

საძართველოს ზნეობანი

სწავლა სათანადო სოფლისაგან ყოველთა კაცთა

ოდეს გამდიდრდე დიდი თუ მცირენი ნიჭით ღვთისადა,
თავით შენითა, ან დაგრჩეს შოვნილად კელავ მამისადა, —
შეიმოსე და შემოსე, ვინ სწუხდეს სიშიშვლისადა,
უნაყროვანოდ სვი-ჭამე, ლხინი მინახე ვთქვი სადა.

ნუ გააბრუნებ უქმელსა კარით შენითა მშიერსა,
ერთი გოხოვდეს თუ რამდენი, რა შეკრებს ბევრი ჰიერსა;
ვინ გინდა იყოს, აჭამე, ნუ დაუჭინებ სულ ბერსა.
მან დაგიმადლოს უზომოდ, ვინ მატიანეს გიწერსა.

ამხანაგს წინ მიეგებე თავმდაბლად შორ მომავალსა,
ნურას დაუტერ გასაცემს, თქვას იმან: „ეს მე მაეალსა“.
ეს დაგრჩეს. სხვა არაფერი, ჰე კაცო, შენ წარმავალსა.
უმჯობეს არის სახელი კეთილი განძსა მრავალსა.

შეირტყუთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა,
თქვენის ქვეყნისა სიმაგრის, მეფეთა ერთგულობისა;
ცხენი, აბჯარი გაიწყეთ სალაშქრო ნადირობისა,
როსცა დასჭირდეს პატრონსა, სჯობს, ვინც მალ მიესწრობისა.

სიხარულით წადით ლაშქარს, თუცა სისხლი გენთხეოდეს,
ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ შეუღონდეს!
ვინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხონდეს;
რაც გარდარჩეს მეწინავე, მას სახელი დიდი ჰქონდეს.

კარგია და ღვთის წყალობა, თუ ჟამია მშვიდობისა,
მეფეთ ხლება, ამხანაგთან უკუყრა ნადირობისა,
შეგებულთან კაცთან ლხინი ნადიმის და პურობისა,
ხან შინ ყოფნა, სიხარული და ალერსი და-ძმობისა.

თუცა თუ ფერად-ფერადთა ტანსაცმელსაც აქვს ხარება,
კარგია მოკაზმულობა, კარგს კაცს მწვე შეეხამება,
მაშინც ცხენი და ამჯარი სჯობს, უფრო მოეხმარება.
ცუდს კაცს რომ კარგი ჩააცვა, მას კი ვინ მიეკარება!

საკაცო მუდამ საცმელი მგონია ზნე-კეთილობა,
სიბრძნე საღვთოსა საქმისა, საუროს კარგა ზრდილობა;
სიმშვიდე, სიტყვა-მარჯვობა, სამართლის განმკვეთილობა,
უამაყობით სასიცრცხოს საქმისა მოთაკილობა.

ვის ეს სჭირს, ეს სჯობს კაბისას ჩაცმასა ახალ-ახლებსა,
სტავრასა, ხარა-დიბასა, ატლას-ბაბსა და ნახლებსა,
მაღალსა, ტურფად დახატულს სარაიას და სახლებსა,
მას აქებს კაცი ყოველი, მეფეცა მას იახლებსა.

* * *

კაციც აგრე სჯობს, საცნობლად პირველად იყოს ძნელადა,
დიდის საქმისა შემართვად ადვილად უნდა მქნელადა.
კარგისა ავი არ მითქვამს, არც შინაგანი ჰრელადა,
ეგზომი სიბრძნე იცოდეს, თითქმის გაჰკვირდეს ელადა.

კაცი უნდა პირველ იყოს მართალი და ღვთის მოშიში,
სჯულ-მტკიცე და მოსამართლე, ნათლისღების ედვას ნიშნი,
მამაცი და თავმდაბალი, ამხანაგის არ მოიშიი,
პურადი და კაცის გამწყო, ნუ მარტო ზის, ვითა ქვეშე.

ეს კმარა, მაგრამ სხვაც არის მრავალი ზნეობანია:
მშვილდოსნობა და ბურთობა, სიმღერა, ტკბილი ბანია,
ზმა, სიცილი და ლაღობა, ესეც რამ კაის გვანია.
ვინ ყველას უქმობს, რა არის, მაშ, თუ არ ბრიყვი სჯანია?

თვითვეულად ვით გასწავლო, რაც ზნეობა არი სულა?!
კაცი ვნახე, შემიჯერა, არ ფიცა და არ ისულა,
დიაღ თავი შემაყვარა, რა ის სიტყვა აღასრულა,
ცოტა სხვაც რამ მათქმევინა, ჯერ აღარა დამასულა.

სიტყვა-მარჯობა კარგია, ცოტას თქმა, ბევრის გაგონა,
საქმის შეტყობა, მიხვედრა, გასინჯვა, კარგა გაგონა;
ვინ-ვინ ნამუსზედ შეაგდოს, ეცადონ რითაც არ გონა,
ვინც კაცი არის, სიკეთეს იჩემებს, ეს გააგონა.

* * *

კარგ კაცობაა შენახვა ყოვლისა ხოშიადისა,
ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდისა.
ჩხუბი და შეენაობა ვინც კაცმან დაიქადისა,
სასაცილოდ და საზრახად მან თავი გაიხადისა.

ვინ ბატონის საიდუმლო სიტყვა გარეთ გაიტანოს,
მუსაიფს თუ სხვას ვის გინდა მისი რჩევა მიუტანოს,
მას პირს უნდა შეადუჟოს, ზედ თავსლაფი დაატანოს,
ძირში ენა ამოართოს, კლიტე თან ამოატანოს.

მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ-მდგომობა და სარჭრობა,
ბარვა, წიდნვა, ხნვა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა.
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა,
ვის მუშა ჰყავსთ, თვითან შერება, ურევია არზაქრობა.

მსწავლელი მოსწავლეებსა სასწავლოს არ გაუძნელებს,
მცირედ-მცირედის სწავლებით ძნელს საცოდნს გაუადვილებს,
ცოტა რომ კარგად ისწავლოს, გაუშვებს, მალ ასადილებს,
უწინ პატ-პატა სწავლებით ამ დიდრონს დააქადილებს.

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა-რა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლადაც, მგონ, საკმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს ცათ კმამარია.

უცოდნი კაცი სადა გინდ უხამსზედ გამამაცდება,
როს მართებს, ველარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება,
მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდმუდი სიტყვა წასცდება,
ცოტა ხანს თუცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წახდება.

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია,
მოზღაპრეობაც ივარგებს საძრლოდ, არაკაია,
მინდოდა სხვებიც რამ მეთქვა, მითხრეს: „ეგ კმარა, კაია“.

ლირიკული ლექსები

[ჩემი სვე]

ჰოი ჩემს სვესა, სად გარდამსვესა, მე სადაური სადათ არესა!
ბნელსა ჩამსვესა, სისხლი მომსვესა, მგონია, ესეც არ მაკმარესა.
მათი ნაქნარი, ავად საქნარი, სულა მე დია დამაბარესა.
სიცოცხლე ჩემი, არ ასაჩემი, რომ ეხედავთ, ასე დამამწარესა.

მე ტიტა-პიტნა და პური სიტნა უფროს ვირჩიე ცრუთა საზრდელთა,
სიტკბო დამწარდა, მექმნა ბაწრადა საღეჭლად, სულა არ გასაზრდელსა.
სულთა განყოფას, ჩემს ასე ყოფას აღვირჩევ გემოდ ველისა ყრდელსა,
ვიყავ მხედარი, კარგ სახედვარი, აწ, ვწუხობ, შევგავ კაცს არადულსა.

ვაი ჩემს დროსა, სადღა მედრო სა, სრულ მოღრუბლული დღედ ნათლისადა?
მწუხრ შესწრობილსა, ბნელთ შეპყრობილსა, სადათ ვეწიო ჟამს დილისადა?
სად შევისწაო, ანღა ვისწაო, მე სადაური სადმე ვლი სადა!
არა ვიდუმნე, ღაზოდ ვიდუმნე, მადლობა არსთა შემქნელისადა.

მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე ფეხი ჩემისა გუნებისადა,
დავიდევ თავი, არ ავად ავი, საარაკოდა ქვეყნებისადა.
ბუკთა საყვირად, ვინ თქვას, თუ ვყვი რად, სამუსიკელად მე ებნისადა?
ჩემს გარდა სხვათა ჩემთა მნახავთა მამხილონ, ავი ვიზე ვყვი სადა?!

სად ვიარე, მოვიარე, აღვირჩიე მე სამარე,
ვინ ვიკადრე, ესე ვკადრე, ყოველიე მისკე ვარე;
ვერ უარე მისკე არე, იგ ჩემდავე მოვიხმარე,
ყოვლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსაკმარე.

განვლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შვებითა,
ვყავ არ ცოდვასა შეკრული, მარადის არ აშვებითა;
საქმე შემოხდა ასეთი, აქათ არ გაგიშვებითა,
მივანდოთ თავი უფალსა, ამაოდ ნულარ ეშერებითა.

[უცხო უცხოს კარს]

მე რა ვქნა უცხომ უცხოს კარს მდგომმან და შინ ვერ-შესულმა,
მეფობისა წილ შორიელს ქვეყნად ღარიბად წასულმა,
ჩარხთა ბრუნვითა მრუდითა უდროოდ გულ-დანასულმა?!
ვინ რა ისიბრძნოს ჩემსაით ავად საქმემა მოსულმა?

მასპინძლის წილ მყვირალთ მხეცთა სულ მოუცავ გარეშემო,
ჯოხთა ნაცვლად ხელთა ვიქნევ, ეს ტყუილად არ ვიჩემო.
ფერხთ მაგიერ გულსა მკბენენ, არ მეტყვიან თუ «შინ შემო!»
ეჰ, რა მიყავ უკუღმართო სოფელო და ბედო ჩემო!

ცუდად ყოფა მომეწყინა, სულ ფიქრმან დამაღამა,
ღონეს ვეძებ ლხენისასა, არამც მოვკვდე ამაღამა.
დია მიკვირს, რად გამხადა ასე დიდმა ამაღამა.
მაშინც მადლი მოვახსენე მე იმისმა სადაღამა.

[გატყდომა]

მინდა გაგიტყდე, მოძღვარნო! სახიერ, სხვაც რამ მინდაო:
ძმანი მიჩვენო მშვიდობით და მათთან ჩემი გინ დაო.
რა მათ მოუშორდი, სიბნელემ თვალები დამიბინდაო,
ყირმიზად აყვავებული გული ნაღველმან ინდაო.

სხვანი რაედენნი საყოლნი და ყრმანი ჩემთან შეზრდილნი,
ზოგ-ზოგნი ჩემნი გამზრდელნი და სხვანი ჩემნი დაზრდილნი
კა ამყოლ-მუსაიფენი, მოლხინე, თან მოღიმილნი,
იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითაც მჭონდა ქადილნი.

მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართვით მღერა,
მხეცთა სრეა და ნადირობა, თავი ლაღად მომეღერა;
ბურთობა და მინდორობა, კვლავე ნადიმი, ჰადრაკ-მღერა,
უხვობა და გასაცემი, სრულ ვითა გთქვა, მომეღე რა?

აწ იგინი უჩემობით არას სწუხან, ისრეე ზმიან,
ვინ ასპარეზს ასპარეზობს, მერმე სმენ და მღერენ, ზმიან;
მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი, თუ რად მიზმიან,
ბუტბუტობენ ზოგიერთი, მგონი იქ ხანს ბევრს დაზმიან.

სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს, არ სცხრები რად არა?
არ მოგსთვლი შენსა სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა.
ვერვინ მოგირჩა უენები, ცუდად ისრბოლა, რა და რა.
თუ არ უცებმა წარმავალს, ვინ წარუალი რა დარა?

მაგად არ მითქვამს მეჩემოს, რაცა ვთქვი საქმე ესენი,
სოფელმან ავს დროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ე სენი;
მაგრამ მე მისად საზრუნლად ვერ მნახოს სხვისებრ მკვნესენი!
თქვენ ასრე გმართებს, ვინცა ხართ ცნობილნი, სიბრძნის მთესელნი.

მე არ დამცალდა, რაც მნებდა საღვთო და არცა საკაცო,
მექმნა რამ მოსაწონარი ჯერ ღვთის წინ, კვლავ სამამაცო.
საქმე მომირთო სოფელმან თავს საცემი და სატკაცო,
მო, მამეხმარეთ, დამხსენით, ახლო თუღა მყავს, მამაცო!

მაგრამ მე ღვთისა იმედი ამად არ გარდმივარდება,
ამად, რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარნარდება,
მისი წყალობა, მოხედვა, ერთხელ სამ ზედ მომევარდება,
აწ მოქუფრეილი ყვავილი, მგონია, გამივარდდება.

კითხვები და დავალებანი:

1. რა მოტივებით ემიჯნება არჩილი რუსთველსა და თეიმურაზს?
2. დაახასიათეთ თავად-აზნაურული ზნეობის იდეალები «საქართველოს ზნეობათა» მიხედვით.
3. რა არ-ს არჩილის პოეზიის ნაღლიანი მოტივების სარჩული?
4. რა ჰქვია ლექსთწყობის იმ სახეს, რომლითაც დაწერილია ლირიკული „ჩემი სიე“?
5. ამოკრიფეთ თეიმურაზის ნაწერებიდან ის უცხო სიტყვები, რომლებიც «არჩილიანში» არ გეხვედება.

— —

სულხან ორბელიანი

სულხანი დიდ ფეოდალთა გვარს ეკუთვნოდა. დაბადებულა 1658 წელს და იმ დროის შესაფერისად კარგი განათლება მიუღია. 1698 წელს ბერად შედგა საბას სახელწოდებით. 1713-1716 წლებში სულხან-საბამ დიპლომატიური მიზნით ევროპაში იმოგზაურა და სხვათა შორის, ეს მგზავრობა ცალკე წიგნად აღწერა. 1724 წელს რუსეთში გადაჰყვა ვახტანგ VI-ს. გარდაიცვალა მოსკოვში 1725 წ.

სულხან-საბა ორბელიანი ცნობილია თავისი შესანიშნავი «ქართული ლექსიკონით». მისი მხატვრული ნაწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია «წიგნი სიბრძნე-სიცრუისა». ეს წიგნი წარმოადგენს ფაბულურ ფონზე გაშლილ იგავ-არაკთა კრებულს. თხზულების დანიშნულება დრდაქტიკურ-დამრიგებლობითია, არსებითად ეს არის სამეფო კარისა და ამ კართან დაახლოვებული თავად-აზნაურული საზოგადოებრიობის პრაქტიკულ-აღმზრდელობითი სახელმძღვანელო. ავტორი მისი დროისათვის შედარებით მოწინავე ლიბერალურ ახრებს ქადაგებს, დაბეჯითებით იცავს ე. წ. სპარტანული აღზრდის პრინციპებს, კიცხავს ფეოდალურ გათიშულობას და ერთმეფობის (მონარქიზმის) თვალსაზრისს იზიარებს. სულხანის იდეალურად დასახული მეფის თვისებებს უნდა შეადგენდეს ჰუმანურობა (კაცთმოყვარეობა), მართლმსაჯულება, ლმობიერობა, სულგრძელება, ქველმოქმედება და მისთანები. ავტორი არ ერიდება ანგარებიანი, ცბიერი და ორპირი კარისკაცების მხილებას, ტუქსავს მექრთამე, ბოროტ და ჩერჩეტ მოსამართლეებს, ააშკარავებს წვრილი მოხელეების (მამასახლისების, გზირების) მავნე საქციელს, არ ინდობს სამღვდელოების გაიძვერობას, გმობს გაუმაძღრობას, სიხარბეს, სიძუნწეს, წუწუნს, გაუტანლობას, ორპირობას, მაბეზღრობას, უგნურებას, სილაჩრეს და მისთანებს.

სულხან-საბა ორბელიანის სწავლა-დარიგება ლიბერალურად განწყობილი დიდკაცის თავმდაბლურ-პირისუფლებრივი სწავლა-დარიგებაა და ამ მხრივ გარკვეული კლასობრივი ხასიათის მქონეა.

«წიგნი სიბრძნე-სიცრუისა» დაწერილია ავტორის „ჟამსა სიჭაბუკისასა“ და, ყოველ შემთხვევაში, ბერად შედგომამდე, ე. ი. 1698 წლამდე. სხვათა შორის, ამით აიხსნება თხზულების აშკარა ანტიკლერიკალური განწყობილება და ბერ-მონაზვნების მხილება-დაცინვა. «სიბრძნე-სიცრუისა» ორიგინალური ნაწარმოებია, ზოგიერთი იგავ-არაკი ავტორს ხალხური მასალებიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული. «წიგნი სიბრძნე-სიცრუისა» სანიმუშოა თავისი სადა, მაგრამ მხატვრულად მოქნილი ენით. შეიძლება ითქვას, რომ სტილებრივი უბრალოება სულხან-საბა ორბელიანმა დიდ მხატვრულ სიმაღლემდე აიყვანა. სულხანის დრომდის ლიტერატურაში ბატონობდა ზეიადი მწიგნობრული კილო. სულხანმა დაარღვია გაბატონებული ტრადიცია და მხატვრული პროზის დიდი ოსტატის სახელიც ღირსეულად დაიმსახურა.

«სიბრძნე-სიცრუის» რამდენიმე გამოცემა არსებობს, (მაგ. უმიკაშვილისა, ტფ. 1871, მთვარელიშვილისა, ტფ. 1903, ლეონიძისა, ტფ. 1928), მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიცავს მეცნიერულად დადგენილ ტექსტს. ჩვენი წიგნის მასალები ამოღებულია საქართველოს მუზეუმის ხელნაწერიდან (№ 858 A).

«სიბრძნე-სიცრუის» წიგნი სრულად თარგმნილია რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე, ხოლო ნაწილობრივად ფრანგულზე.

სულხან-საბა ორბელიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე «ქილილა და დამანას» ქართული ვერსიის შემუშავებაზე (ამის შესახებ იხ. „ქილილა და დამახასთან").

ლიტერატურა:

1. А. Шагарели, Книга Мудрости и Лжи, СПБ 1878.
2. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტ., I, 1914, გვ. 528-533.
3. მისივე, Очерки, III, 231-239.
4. პროფ. კ. კეკელიძე ქართ. ლიტ ისტ., II. 301-305.
5. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ. 1928.

წიგნი სიბრძნე-სიცრუისა

ამბავი დასაწყისი

იყო ხელმწიფე ერთი, რომლისა საქმენი არა ვისგან მოიხსენებიან, რომლისა სიკეთისა და სიქველისაგან ეგეოდენი მოწყალებანი შეეკრიბნა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა. სიფიცხლე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღეთის შიშისა ნიაღით გაექარვებინა. სიუხვე მისის ნოტიოს ღრუბლისაგან უმრავლესად გაეგრილა და ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმათათვის გარდაემატებინა. მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილიყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ; მისნი სიტკბო და ალერსნი ესრეთ შეეტკბოთ, ჩვილთა წულთაებრ სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიეზიდათ. და იყო სახელი დიდისა მის და მაღლისა მეფისა ფინეზ. და ჰყვა ვეზირი ეგეთი, რომე სიბრძნითა მისითა ცათა აღწევნილიყო, ჭკუითა ხმელთათა სიგრძე და განი სრულიად განეზომა, მეცნიერებითა ზღვათა უფსკრულთა მიწევნილიყო. ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა. ესეთი სიტყვის სიტკბო ჰქონდა, მხეცთა კაცთა მსგავსად მოაქცევდის, ტინთა ცვილებრ დაადნობდის და მფრინველთა კაცურებ აუბნებდის. და იყო სახელი ვეზირისა მის სედრაქ. დიდად უყვარდა მეფესა ვეზირი იგი და არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა, გინა შეუპირებდა უძეობისა კიდე, რომე შვილი არა ესვა.

დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძეობისა მისისათვის. და იყო საჭურისი მეფისა, კაცი გულ-ჩქარი და ფიცხელი, სეფეთ-უხუცესი იყო და გულითადი მეფისა, რომელსა ერქვა რუქა. და ჰრქვა [რუქამან]: „რომელთა მეფეთაგანსა გარდაუგია ესეოდენი საჭურჭლე?"

მემკვიდრის დაბადება და დალოცვა

გამოხდა ხანი და ჟამი რაოდენნიმე. შეიწყალა ღმერთმან [ხელმწიფე იგი], — მისცა ძე ერთი ესეთი, რომე სინათლითა მზე მოშურნეობდა; ათხუთმეტისა დღისა მთვარე მისგან ნათელსა ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შაენი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან

განპყრობით დაეშვენებინა. მელნის გუბენი გიშრის ღერწმით შემოესარა, ფარდი და ზამბახი ერთმანერთში აეყვავებინა. სახელად ჯუმბერ უწოდეს.

რა მოიზარდა, გამოიყვანა მეფემან, ვეზირსა თვისსა სედრაქს, საპატრონოთა თვისთა აჩვენა. აიყვანა ვეზირმან, დალოცა და მოახსენა: „მეფეო, ღმერთმან გიცოცხლოს და ბედნიერმცა არს ძე შენი ესე და კურთხეულ ამიერითგან უკუნისამდე! და მიეცეს ამას გულისხმიერობა ვირისა, ერთგულობა ძაღლისა და ძალი ჯინჭვლისა“!

ესმა რა ესე რუჭა საჭურისსა, აღშფოთდა და უთხრა ვეზირსა: „რად მოიღე წყევა ძესა ზედა მეფისასა? ვეზირი გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე ხამს, ამად რომე ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სპირდეს: ერთი: სიტყვა ტკბილი უნდა ჰქონდეს; მეორე: გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს; მესამე: პირიდამ ავი სიტყვა არ წაიცთუნოს; მეოთხე: სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს; მეხუთე: რაც თქვას, ყველას კაცს მოაწონოს“.

შეხედა სედრაქ და ჰრქვა: „შენ ყოველსა მართალსა იტყვი, მაგრამ მე ძე მეფისა არ დამიწყევლია. თუცა გინებს, ადრე სცნობ: ვირი ერთსა უყესა ტალახსა შიგან გაატარე, რათა დაეფლას. მერმე გზა იგი გაახმე. თუცა შენ ვირი გზასა მას ზედა გაატარო, უგუნურმცა არს. ძაღლი კაცისა გლახაკისა მჭლე და დიდად უსუქარი მოიყვანე და მდიდარს კაცს მიაბარე, გაასუქოს. მერმე ორთავე უხმონ. თუმცა პირველათ დამამჭლობელი დაუტეოს და რომელმან გაასუქა მას გაჰყვეს, ორგულ არს. ჯინჭველი შეიპყარ და ერთსა ჭიქასა ათორმეტი დღენი დააყოფინე მშიერსა და მერმე გამოუტევე. თუმცა თვისისა ზომისაგან ოთხი წილი მეტი არ აიღოს წაღებად, უსუსურმცა არს და, სიტყვა მცდარო, თვარა რად გამკიცხეო“!

მოასხეს სამნიენი და ყვეს ეგრეთ და ყოველივე თქმულებრ იყო. იხარებდა მეფე დიდად ვეზირისა სიტყვასა და ძისა მისისა სიკეთესა ზედა.

მემკვიდრის აღზრდა[1]

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა. დღესა ერთსა წავიდა ნადირობად, თვით თოხარიკს ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ქორი ხელთა შეუსვა უცხენოდ, წინ წაიძღვანა. საღამომდინ არბენინა; ქორსა და ქორის ნაბუღსა ადევნა, მეორეს დღეს მწევრები მისცა ხელთა მათთა და გორათა არბენინა, ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამეს დღეს შიკრიკად გაიძღვანა. მეტად დაშვრა, მალმალ დაეცემოდის და არ მოეშვა. მანობამდინ არბენინა, სადგომს მოიყვანა. ესმა ესეცა რუჭას და შეასმინა მეფესა.

დღესა ერთსა ლეონ ცუდად გაუწყრა, შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ, და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად გვემა. ცნა რუჭამან, მოვიდა გარისხებული. არაკობა აღარ დაიწყო, მეფეს ეგრე უთხრა: „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგვიგლინა. შენ მიეც ერთს ღვთის წყრომით აღსებულს კაცსა. შეუპყრია, ასი არგანი უკრავს. რა ბრალი

[1] შვილის აღმზრდელად მეუემ ახალგაზრდა გონიერი ჰაბუკი ლეონ აიყვანა.

ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ველარ მიატანს. და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად“. მრავალი ეგევითარი საუბარი წართქვა, ვითა მტერთა წესია,—რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტერობასა.

მეფე ერთობ შეჭირვა და დიდად გაარისხა, რომე ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მირიდებდა. მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა. რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა. და მრისხანემ მეფემ ეზირი გააძო, ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოიღეს, მოკლას ღამოდა. ეგრე ჰკადრა ლეონ: „ვერ მომკლავ, მეფეო, აჰა საფიცარი შენი! ამ დღისათვის გამოგართვი, ამას ველოდი, და ვიცოდი: მე ეს წინ მედვა. ვერ მომკლავ უსამართლოდ“. მოეხსენა მეფესა ფიცი და უთხრა რისხვით: „მოვედ და ვისამართლოთ!“ ლეონ მოახსენა: „არა, ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღელფი განაბნიე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე მეტყოდე“.

სიტყვასა მას ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა. ლეონ მყოვარჟამ დადუმებით იდგა, მერმე აუბნა თავისი ბულბულის უტკბოსი ენა. ყოველსა კაცსა ასე ეგონა: პირსა იადონი უბუდობსო, ან მერცხალი პიკჭიკებსო. თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა?! მოახსენა: „მეფეო, დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმდოვრესა და შენსა ეზომსა სულგრძელებასა. აზომ აგაშფოთა კაცობისა მარცხვინალმან და გაუკითხავად არ მამკალ, აწ ეს ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუმცა მწყემსად?! მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იქირეოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ეს თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, პირი, მუშაობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხან ფეხზე არ მდგარიყო, რამცა იცოდეს მონათა და მსახურთა და მწდეთა პირი, თუ ზე დგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის: უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი მცნება სამსახური ვით ცნას? რას მიიჩრევებენ, მისთვის დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ! თუმცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა ჰშიან, ანუ სხვათა საქმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჯამს და სვამს, არ მოიმშევს.

არაკად თქმულა: „მაძღარი კაცი მშიერს მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდაო და ზედ დაყუედრიდა: რა ღორულად სჭამო“! თუცა უცხენოდ სლვა და ფეხ-შიშლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, მიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა პირნი რით ეცნა? რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა, იგი მერანთა, ანუ თოხარიკთა ცხენსა ჯდეს, გინა ეტლითა ეიდოდეს? თუმცა არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო, მონათა ზედა ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა.

აწ ყოველი გლახაკთა და ულონოთა, მდაბალთა ჭირნი მისწავლებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწაულოდ მისსა.

ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის ავი ექნა. მოეხვია ყელსა [და უთხრა]: „რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილის სიმწარემან აღმაშფოთა“.

ლეონის შეგონება

თქვა ლეონ: „მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელება.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა, დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა, და ჭირში ჭირსა და ლხინში ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღწვიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირსა მოუკლებელსა და მალე შეუბეზღლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვეზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ნატრობენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდრუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მაბეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა.

ესე არს წესი მეფეთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა. რომელმან ყოს იგი, ქვეყანა მისი დაემყაროს.

მელა მოძღვრად

ერთი მელა დაცანცარებდა. ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო, სამღებროს ქვევრი ლილით სავსე პირღია დარჩომილიყო. სლვასა იქი-აქა შიგ თურე ჩავარდა. ამობორტყდა, ამოვიდა, მელა შავად შეღებული შეიქნა. დაიწყო სიარული.

ერთი მამალი შემოეყარა, ჰკითხა მელასა: „რა დაგმართებიაო?“ მელამან უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვის ქნით დავაღამე, ახლა ჰკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი, ბერად შევდეგო, იერუსალემს მინდა წავიდეო“. მამალმა უთხრა: „რადგან ცოდვისაგან ხელი აგიღია და ქველის საქმეს იმრავლებ, მეც წამიყვანე, მადლი მოგხვდებაო“. მელამან წაიტანა და წავიდნენ.

შემოეყარა ძერა, უთხრა მამალსა: „რას მოუცდუნებიხარ, ვის მისდევ“? მან უთხრა: „ბერად შემდგარა, იერუსალემს მივაო და მივსდეო“. მოეწონა ძერას და იგიც გაჰყვა.

შემოეყარა ოფოფი, იგიც გაჰყვა.

შეიყარნენ ოთხნი ამხანაგნი, მელი სოროსკენ გაუძღვა, თავისი ხერხიანი ენა ტკბილად აუბნა და ეგრე უთხრა: „შვილებო, იერუსალემს უმოძღრო კაცს არ მიესვლება, ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთო და მონანული წავიდეთო. იგინი დამორჩილდენ. სოროში შეასხა, „სამოძღრო ოთახიაო“-ო. და თვით კარისაკენ დაუჯდა, უთხრა: „ოროლის ცოდვის შენდობა შემიძლიაო და მესამისა კი ვეღარაო“. მათ მადლი მოახსენეს: „თუცა ორს ცოდვას შეგვინდობ, მესამის შენდობას ვინღა ითხოვს“? მათ თავიანი უცოდველი ეგონათ და მელი მიზეზს ეძებდა.

უბრძანა [მელმან] პირველსა მოწაფესა შამალსა: „ღმერთმან ქათმის ყიეილი გათენებისას ბრძანაო და შენ ვახშმათ უკან რათ წაიცდენ ხოლმეო“? მისი შენდობა მოითხოვა და აღარ-ქნის აღთქმა დადვა, მანც შეუნდო. მერმე ეს უბრძანა: „ყოველს კაცს თითო ცოლი ჰყავს, შენ ათს არ დასჯერდები; ვისაც იბრიყვებ შენს ამხანაგს, მასაც წაჰგვრიო“. მისაც აღთქმა დადვა და მან შეუნდო. მესამე უთხრა: „მხედარი არა ხარ და მშვილდოსანი, დეზები რად გაკრავსო, შენ ხომ მის ჟამში ცხენს არა მჯდარხარო“ მამალი მესამეს ცოდვაზედ რაღას იტყოდა და მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

უბრძანა ძერას ის, რომ „ავი მგალობელი ხარ, არც სტვენივა გიყვარგა და არც ძახილი, მუდამ რად ჰყიყიო“? ძერამ აღთქმა დადვა და მან შეუნდო. მეორე უთხრა: „ღმერთმან შენ საზრდოდ ხელიკი და თაგვი მოგცაო; ერთს ქვრივს სარჩოდ ერთი ქათამი ეგულების, დასვამს, ამაგსა იქს და შენ მიხვალ და წიწილს მოსტაცებო“. ესეც შეუნდო. მესამედ მოსწყვიტა თავი და დაიდვა წინა.

სანამდისინ მელი ამ ორისაგან მოიცლიდა, მანამდის ოფოფმან ასეთი ხერხები აირჩია, რომ მელას ოსტატობით გარდაამეტა. კითხა მელამან ოფოფს: „თომარ ჯიღა ვინ მოგცაო“? ოფოფმან უთხრა: „სოლომან ბრძენმან თავისი ხელით დამხურაო“. მელამან უთხრა: „მოწვამე ვინა გყავსო“? ოფოფმან უთხრა: „ერთი კარგი ბატი და ეროი კარგი ბატასინი“. მელს სიხარბით და მსუნაგობით ჰკუა და მცნება დაეფანტა, ასე თქვა გულში: „ეს ოფოფი ერთ ლუკმად არ მეყოფის და ერთი ბატი და ბატასინი ერთს კვირასაც მეყოფაო“.

ბეერის ნდომა კაცს ასე წაახდენს! მამალიცა და ძერაც იქივ შეუპმელი დარჩა და თან გაჰყვა. ოფოფმან მელა ერთს ხევში დააწვინა. მონადირე ვინმე დახვდა ქორითა და მწევრითა და ძაღლებითა. ოფოფი წინ დაუჯდა. სეფქა უნდა ესროლა: აფრინდა, ახლო დაუჯდა. მიჰყვნენ მონადირენი. მანამდინ ქნა, იმ ხევში მიიყვანა. მეძებრებმან კვალი ნახეს, მელი გაიხლტუნეს. მწევრებმან ასე გაბადეს, ძვალი და რბილი გაუერთეს. ძლივ დაჩეჩქვილმან სული გარდახვეწა. ოფოფმან დაუძახა: „მელო, მოწამე ვერ გიშოვნეო“. მელამან უთხრა: „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო“.

მოხერხებული მხატვარი

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა: „მინდა მსგავსი ჩემი ხატი დამიხატო“. თქვა გულსა შინა მხატვარმან: „აჰა მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო: თუ ბრმა დაეხატო, მომკლავს, „ვითა მკადრეო“ და თუმცა ორ-თვალი, მომკლავს, „როდის არს მსგავსი ჩემიო“. მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, მას ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმესა მიზეზი ვერ უპოვა და მორჩა მხატვარი იგი.

სოფლის მაშენებელნი

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დაძმობილდენ: „სოფელი ავაშენოთო“. ძაღლმა უთხრა: „როგორ ავაშენოთო“? მამალმან უთხრა: „შენ იყეფე, მე ვიყიელებ და აშენდებაო“. წავიდნენ ტყეში. ძაღლმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა, ყივილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა, მამალსა ჰკითხა: „მანდ რასა იქო“? მამალმან უთხრა: „სოფელს ვაშენებთო“. მელამან უთხრა: „ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო“. მამალმან უთხრა: „მამასახლისი მანდა წევსო, გააღვიძე; ეგ მოგიზომსო“. მელი მამლის ნდომით სცთა და ვეღარა გაიგო რა, ძაღლთან მივიდა და მამასახლისობით უხმო: „ადე, სახლის ალაგი მინდაო“. წამოდგა ძაღლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწყვიტა. წავიდა გაგლეჯილი, ნათრევი. გორაზედ წამოდგა, დაუძახა: „მე ხომ ჩემი ჰკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო“.

სიტყვით დაკოდა

ერთი კაცი და ერთი დათვი დაძმობილდენ. აწვია კაცმან მან დათვი იგი, ლხინი აჩვენა. დათვი დაეთხოვა, გამოესალმა და მან კაცმან აკოცა და ცოლსაც აკოცნინა. და თავისათვის, მას დიაცსა რა დათვის სიმყრალე ეცა, განერწყვა და თქვა: „პირ-მყრალს სტუმარს ვერ ვეწყობიო“,

წავიდა დათვი და მერმე ეს კაცი ეწვია და თან ცული წაიღო, მით შეშას დაჰკოდ და წამოვიღებო. მოვიდა დათვი და რაც მაჟ ეფერებოდა, იმგვარად იალერსეს. მერმე დათვმან დაუყინა: „თავზედ ერთი ცული

დამკარ და დამკოდეო". მან კაცმან უარი თქვა. დათვი არ მოეშვა, დაკრა ცული და თავი გაუტეხა. დათვი ტყეში წავიდა და კაცი შინ წამოვიდა.

მეორეს თვეს შეიყარნენ, დათეს თავი გამთელებიყო. დათემან უთხრა: „ძმაო, შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდაო და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო".

ძალა ერთობაშია

მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვით მე წეღან შეკრული ისარი ვერ გაეტეხე. თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითო დაგლეწოსთ მტერმან, თავიც მოსთხაროთ და მოყვარეცაო".

მგელი და ვირი

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამოდა. ვირმან უთხრა: „ვიცი შემჭამ და ეს ანდერძი აღმისრულე: ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი აღმოიღეო". მგელმან პირი მიჰყო, უნდა ამოეღო. ვირმან წიხლი ჰკრა, კბილები დაამტვრია მგელსა. ვირი ეეღარ შეჭამა მგელმან, თქვა: „მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო!"

მტარვალი გზირი

კლარჯეთისა თემსა, სოფელსა ერთსა იყო ერთი გზირი, ანჩხლი და მტერი სოფლისა მის. შეაწუხა იგი სოფელი და სრულად ააოხრა. და მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვერცხლი წაართმევინის. მოვიდა დღე გზირის სიკვდილისა, მოიხმო სოფლის კაცნი და ეგრე უთხრა: „შე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია. რათგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რომ მოკვდე, თოკი ყელს მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთ". რა მოკვდა, სცთენ კაცნი იგი და, რაც უთხრა, ყველა ყვეს. ნახა ვინმე თათარმან გზირი ხეზედ კიდებული, წავიდა, ყადს უთხრა: „ჩვენი გზირი დაურჩვიათო". გამოუსვეს კაცი სოფელსა მას, ათასი მარჩილი წაართვეს. დაუწყეს გინება გზირსა: „ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აღგვაოხრაო".

ნატვრა და სინამდვილე

ერთი გლახაკი კაცი თაყის სახლში იჯდა და ინატრა: „ღმერთო, ხუთასი მარჩილი მომეცო და თუ ან ერთი აკლია, არ ვინდომებო". ერთი მდიდარი კაცი იყო და იმის ბანზე იარებოდა, მან გაიგონა და თქვა: „მივიტანო და გამოვსცადო კაცი ესე, თუ რას იქსო".

წავიდა, ხუთასი მარჩილი წაიღო და ათი მარჩილი დააკლო, დაბეჭდა და ბანიდამ ჩაუგდო. დათვალა კაცმან და ათი მარჩილი აკლდა, თქვა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ! ერთი მარჩილიც გებოძა, იმასაც დავიმადლებდი, არამც თუ ეს დაგამწყრალო“. ჩამოვიდა იგი მდიდარი კაცი და უთხრა: „ჩემია, გამოგცადე, მომეც, წავიღო“. მან შორს დაუჭირა: „შენთვის არ მითხოვნია, ღმერთსა ვთხოვე და მომცაო“.

შეიცილნენ და ყადთან საჩიელელად წავიდნენ. მან გლახამ უთხრა: „მე არა მაცვია რა და შენ კარგად მორთული ხარ, ეგ შენი ტყავ-კაბა მათხოვე და წამოვალო“. მან კაცმან იმთენს სიკეთეზე ისიც დაამატა, ათხოვა. ჩაიცვა და წავიდნენ, ყადთან იჩიველეს. მერმე მან გლახაკმან თქვა: „ეგ ასეთი მაცილებელი კაცია, თუ ამ ტყავ-კაბასაც არ შემამეცილება, ნახავო“. მან კაცმან უთხრა: „ახლა არ გათხოვეო“? ამაზედ ყადი გაწყრა, მრავალი ჯოხი კრეს, მდიდარი კაცი გააძეს.

ასრე კარგის პასუხი უყო, კიდეც გაცარცვა და კიდეც ათრევინა. კარგისათვის კარგი ვის უქნია?

მწევარნი და მელა

ორნი მწევარნი ნადირობას დადიოდნენ. ერთს მინდორში ნახეს, მელს თაგვი შეუპყრია და ხან გაუშვებს და ხან დაიჭერს და ხან ჰაერში შეაგდებს, ათამაშებს. მოვიდნენ და მელი შეიპყრეს მიპარვით. უთხრა მელმან მწევრებს: „ჩემნი ღენი ხომ მოვიდა, ღმერთმან ჩემი თავი თქვენ მოგცათ, სადღა წაგივალთ? ამ მინდორს ხედავთ, ამდონი შემიხვეწიეთ, თქვენც იცით, როგორ ჩემი გვარი თაგვის მტერია, გამიშვით, ერთი თაგვი დავიჭირო, ვითამაშო და მერე რაც გინდა მიყავითო“. დატყუედენ მწევრები. გაუშვეს მელი. მელამ თაგვი დაიჭირა, ათამაშა, შეაგდო და დაიჭირა. ხან აჭათ ათამაშა, ხან იჭით. თურმე ახლოს სორო ჰქონდა და თაგვი სოროსკენ გარდაიგდო, ირბინა და შიგ სოროში შეევარდა. მოუსხდენ მწევრები და უთხრეს: „მელო, გამოდი, ერთი თაგვი კიდევ ათამაშე, ის ხომ დიდად გიყვარსო და მერმე შედიო“. მელამ უთხრა: „შარშან რაც ვითამაშე, ისიც მიმძიმს, არამც თუ ახლა გამოვიდე და ვითამაშოო“.

ვირი და კაჭკაჭი

ერთი კაცი იყო, ერთი დაღლეტილი ვირი ჰყვანდა. წაიყვანა ვირი და საძოვარზედ დააბა, თვითვან მიღმა დაჯდა და ყურება დაუწყო. მოვიდა კაჭკაჭი, შეაჯდა, დამპალს ხორცს გლეჯა დაუწყო. ვირი დაბმული იყო, ვერ აეშვა და ტლინკეა დაიწყო. რამდენჯერ ვირი ტლინკს შეყრიდა, კაცი, მისი პატრონი, სიცილით ბნდებოდა.

ტყიდამ ერთი მგელი უყურებდა და თქვა: „მე თუ მაც ვირთან მნახვენ, ამ სოფლის კაცი და ძაღლი სრულობით მე გამომეკიდებიან და აგერ ვირი კაჭკაჭებმა ლამის შეჭამონ და პატრონი ხარობსო“.

ანდერძის დამარღვეველი

იყო მეფე ერთი და, რა მოიწია დღე სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძესა თვისსა და უთხრა: „სხვას ანდერძს არას გეტყვი. ოღონ ეს ათაო:

ქოსა კაცი შენს საბრძანებელში ნუ გინდაო". მოკედა მეფე და გამეფდა. მისი ძე. ასრე სძულდა ქოსა კაცი, მის სახელს ვერავინ ახსენებდა.

დღესა ერთსა ერთმან ქოსამ ყვაეილი მოუძღვნა. იწყინა, მიუშვა ხელ-არგნოსანი კაცნი, ეგოდენი კრეს, შებნდა. შეეცოდა მეფესა და თქვა: „ნუ მოკლავთ, ბრალია, ერთს სახლში შეიყვანეთ, ეგება არ მოკვდეს და გააძეთო". მზარეულთუხუცესმა წაიყვანა.

ქოსა ეშმაკობით იქმოდა, მორჩა, ასეთი საშმლის კეთება დაიწყო, მეფე მის მეტს აღარას სჭამდა. შეუყვარდა მზარეულთუხუცესს და აპატივა. დაიწყო ამხანაგებში ჰადრაკის მღერა და ასეთი არავინ გამოჩნდა, მისთვის ეჯობა. ესმა ვეზირს, დია უყვარდა ჰადრაკის მღერა და კარგაც იცოდა, მიიყვანა ვეზირმან, მღერა დაუწყო, მასცა აჯობა. მის ქოსისა ქება მეფემდინ მიიწია, მიაყვანინა მეფემან, ვეზირსა და მას ამღერა, აჯობა ვეზირსა და დიდად შეუვიდა მეფესა. გამოხდა ხანი, მას ვეზირსა ვეზირობა წაართო და ქოსას მისცა. ესეთი ყმა შეიქნა ქოსა, მის გარდაუვალს ვერას იქმოდა მეფე.

მოუხდა მტერი, ვეღარ გაუმაგრდა. რაც ეზიდებოდა ორს ცხენს, თვალ-მარგალიტი აკიდა. ერთზე თვით შეჯდა, ერთზე ქოსა ვეზირი შესვა და გარდაიხვეწნენ. მიეიდნენ სხვას სამეფოსა, ვეზირმან-ქოსამ ურჩია: „შენ ყრმა კაცი ხარ და მე ხან-დაზმული ვარ, აქ რომ შენ პატრონობა სთქვა და მე ყმობა, არამც სირცხვილი იყოსო და პატივი არ დაგვდვანო; თუ დამიჯერებ, შენ ჩემი ყმობა თქვი და მე შენს პატრონობას ვიტყვიო". მეფემ უთხრა: „ეგეც ვაგრე იყოს, რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიმც დაემართებაო".

ყასაბი და ნისიად მოგაჭრე

ერთი კაცი მივიდა ყასაბთან, უთხრა: „ძმაო, ფასი მზას არა მაქვს ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასსა მოგცემო". ყასაბმან უთხრა: „შენ არ გეკადრება სისხლიანი ხორცი გეპურას და მიხვიდოდე. სადგომს მიდი, ერთის მონის ხელით შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიგზავნიო". წავიდა კაცი იგი და ერთის მონის ხელით თმის ბეწვი გამოუგზავნა ნიშნად: „[აჰა] ბეწვი და ხორცი გთხოვაო". ყასაბმან უთხრა: „ვაჲო, თვით აქ იყო, წვერიც და ულვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნი არ ვაჰპოვე, ახლა ერთის ბალნით ბევრი რად გაუგზავნოო?

მძორი და ძაღლები

ერთი მორი იდვა ალაგსა ერთსა და შვიდი-რვა ძაღლი ეხვიენენ, სჭამდეს მძორსა და იღრინებოდენ და შეღლობდენ და კბენდნენ ერთმანერთსა. ნახეს მგელი მომავალი. მათი შეღლი, ღრენა და კბენა გაუშვეს და ყოველთა ერთად შეუტიეს და მგელი გააძეს. მოიქცნენ და მასვე მძორზე შეღლი დაიწყეს. რამდენჯერ მხეცს ნახევდენ, მას ერთპირ გაუხდიან და შერმე აგრევე შეღლობდიან.

ხარბი ქორი

ერთმან ქორმან ერთი იხვი შეიპყრა და ჭამა ენება. იხვი ეგრევე უვნებელი, ცოცხალი ეპყრა. ზევიდამ მონადირისაგან შეშინებულმან ერთმან კაკაბმან ჩამოუარა, ქორი წაეტანა, ამასაც დავიჭერო, იგი იხვიც ჰანგიდამ დაეხსნა და წაუვიდა. ვეღარც კაკაბს მოეწია და მეორეც დაეკარგა და წავიდა.

სამკვიდროს ჯიუტი მოყვარული

ერთს მთაში მომცროს წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო, მივიდა ერთი იხვი და ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მყვარი დაეძმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმა კლება შექმნა. იხვმან უთხრა მყვარსა: „მოდი, ადგილი ვიცვალოთო“. მყვარმა უთხრა: „შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დაუტევებო“. იხვი გაფრინდა. სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა. მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტა ხანს უკან იხვმან თქვა: „წაეალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქსო“. მივიდა, ნახა: გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: „ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო“.

პირიანი კაცი

ბაღდადის ხალიფა დია კარგი მეჯინიბე იყო და კაის ცხენს ძვირფასად იყიდდა. დავარდა ამისი ხმა. ერთმან არაბმან ერთი ცხენი მოიყვანა, ორიათას მარჩილად დაიფასა, ხალიფამ მაშინვე მოუტანინა. მან არაბმან უთხრა: „ერთს ძაძაში ჩამიყარეთო, თვარე რით წავიღო“? ჩაუყარეს და მისცეს. უცნაურად ხელი მოჰკრა არაბმან ვერცხლს, გარდაიკიდა, ცხენს შეჯდა, გააჭენა. გამოუდგნენ სულ ხალიფას ჯარი კაის ცხენებითა. გზა და კვალი ვეღარა გაიგეს რა, მობრუნდნენ დაღონებულნი. მესამეს დღეს არაბი მოვიდა, ცხენი მოიყვანა; ჰკითხეს: „რატომ ჰქენიო“? მან მოახსენა: „შორს ვიდეგ, საკიდარი არა მყვანდა რა; ვეცხლი მძიმე არის, ვერ ვზიდევდი, წავიღე და ახლა ცხენი მომიყვანია“. მერმე უთხრა: „ვინღა მოგდევდა და გიცნობდაო, ცხენი რადღა მოგიყვანდაო“? მან გაიცინა და უპირობა უზრახა: „კარგის პასუხად ეგ მექნა, ღმერთი რას კაის მიზემდაო“?.

გლახაკი და ქილა ერბო

ერთი გლახაკი კაცი მივიდოდა გზასა ზედა და ერთი ქილა ერბო პოვა. აიღო ქილა, საკიდარში ჯოხი გაუყარა, მხარზე შეიდვა და იწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამას უბნობდა: „აწ გამდიდრება მოინდომა ღმერთმან ჩემი, ჩავალ ქალაქად და ერბოს ნახევარ მარჩილად გავყიდი.

მით თორმეტ ქათამს სამამლეს წიწილებს ვიყიდი, მოვიყვან, დავზდი, დავყეფრავ, დავასუქებ და თვითო-თვითო აბაზად გავყიდი. მერმე მით საქმეე გოჭებს ვიყიდი, გავასუქებ და დავაკერატებ, და ორ-ოლ მარჩილად დავყიდი. მერმე მით სახარე ხარებს ვიყიდი, დავზდი, მოვხნავ, მოვთესავ და აშენებული შევიქნები".

აწ ამაე გულისთქმაში ხარებს შეშა აუდგა და ქალაქს გასასყიდლად წამოიღო. ერთი ხიდი დახვდა, თქვა მან კაცმან: „აქ ხარი არ გაიარს". ხმა გასცა, შესძახა: „არიო!" დაუქნია ჯოხი, ერბოს ქოთანი გატყდა, ერბო დაიქცა. მისის გულისთქმით გამდიდრება წუთვე წაუხდა.

თხა და მელი

ერთი თხა და ერთი მელი დაძმობილდენ და საზიაროდ ყანა დათესეს. რა მოსავალი მოუვიდათ, დია კარგი ყანა იყო, მომკეს, გალეწეს და გაანიავეს. ხვავი ცალკერძ დააგროვეს და ბზე ცალკერძ. მელამ უთხრა თხასა: „ხვავი მე და ბზე შენაო". თხამ უთხრა: „არა, სამართალი ასეა, ორივ შუა გავიყოთო". მელმან უთხრა: „მაშე მე წავალ, ბიძა ჩემს მოვიყვან და მან გაგვიყოსო". ვირემდინ მელი ბიძას მოიყვანდა, თხა წავიდა, ცხვრიდამ ორი დიდი ქოფაკი მოიყვანა დ' ბზეში დამალა. მოვიდა მელი, ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, თხას თვალთ დაუბნელდა. უთხრა მგელმან თხასა: „ჩემს დისწულს რატომ აჩიველებო"? თხამ უთხრა: „რადგან მოწმად მოჰყოლიხარ, მეც მამა-ბიძა აქ მისაფლავია, მის საფლავზედ შედეგ, დაისულე და მართალი მოწმე იქნებიო". მგელმან თხის შეჰმის ნდომით ვეღარა გაიგო რა. ბზეზედ რომ შედგა, წამოუცვივდენ ძაღლები, მელი და მისი მოწმე ასე გახადეს, შარშანდელიც დააგიწყეს, არამც თუ წლეული ეშოვა.

კატა და ლომი

ერთი კატა დაიარებოდა, ნახა ერთი ძუ ლომი მომკედარა და ერთი ლეკვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაიზარდა და დიდი შეიქნა, დაიწყო ნადირობა და ნადირის ჭამა.

დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვა, თავისი გამზრდელი კატაც შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაექცა და ხეზედ ავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: „ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო გამზრდელო და ჩემო დამარჩენელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზედ გასვლა რად აღარ მასწავლეო"? კატამ უპასუხა: „ეს ჩემთვის შევინახე, რა ასე გამჭირვებოდა, მომეხმარა".

ქურდი მკერვალი

ერთი მკერვალი იყო დია ქურდი, რაც ნაქსოვი გამოსჭრის, ბევრი მოიპარის. ღამესა ერთსა ნახა სიზმარი: პირთა ხე ამოსლოდა, ყოველი ნაპარევი ნაჭერი ზედ ეკიდა რტოთა. რა გაეღვიძა, შეშინდა, შვილს უთხრა: „როცა შემატყო მაკრატელთა ხმარებასა შინა პარეა, ხე მომაგონეო". ერთ-

მან დიდებულმან ერთი უცხო ოქროქსოვილი გამოაჩრევინა. რა პარეა დაიწყო, შვილმან ხე მოაგონა; ეწყინა მკერავლსა და მაკრატელი პირში ჩასცა, ეგრე უთხრა: „ამისთანა ნაქსოვი როდეს ეციდაო მას ხეზედანო“?

უსამართლო შირვანშა

შირვანს შა იჯდა ერთი უსამართლო, კაცთა უწყალო და მაოხარი ქვეყანათა. სადაცა მოჩივარი, ანუ გლახაკი ნახის, წამსაევე მოკლის. აოხრდა ყოველი სამეფო მისი. დღესა ერთსა ნახა მოჩივარი ვინმე, მოკლა მისი ბრძანა. მან კაცმან თქვა: „მე მოსაკლავი კაცი არა ვარ, ამად რომე ყოველთა ფრინველთა და მხეცთა ენა ვიცი“. ეამა მეფესა და აღარ მოკლა, მართალი ეგონა. ვეზირს მიაბარა, ეგრე უბრძანა: „ამისგან შენ ისწავლეო და შენ მე მასწავლეო“. წაიყვანა ვეზირმან, იცოდა, რომე სიცოცხლისათვის მოიგონა ენათა ცოდნა. კაცი იგი განუტევა.

გამოხდა დღენი მრავალი და ღამესა ერთსა სმად ჯდა შირვანშა და გაღმართ ორნი ჭოტნი იძახდენ, მოეგონა კაცი იგი მოენე მეფესა და ჰკითხა ვეზირსა: „ისწავლე მფრინველთა ენაო მის კაცისაგანაო“? მან მოახსენა: „ვისწავლეო“. უბრძანა: „იგი ჭოტნი რას უბნობენო“? ვეზირმან მოახსენა: „ერთსა ქალი ჰყავს და მეორესა ვაჟი, და ვაჟისათვის სთხოვს ქალს. ქალის პატრონი ეუბნება: „თუცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო“. ვაჟის მამა ასე ეუბნება: „შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი კიდევ სხვა მყავსო, მათსა ცოლებს რაღა უყო“? ქალის მამამ ეგრე უთხრა: „რას ზარობ და დალონებულხარ? თუ შირვანშას დღე გაუგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო“. ეწყინა შას და თქვა: „მე ეგრე უსამართლო ვარო“? ვეზირმან მოახსენა: „ჭოტნი ეგრე იტყვიანო!“ ამ სიტყვისა უკან ის შაი მოწყალე შეიქმნა და ქვეყნის მაშენებელი.

მოუხმარებელი სიმდიდრე

ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო დაფლა. დღე-ყოველ მივიდის და ადგილი იგი ნახის. შეამცნივა ერთმან სხვამ კაცმან და თქვა: „მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო, რა უცანო“. მივიდა და ღამე მოთხარა, ოქრო იგი წაიღო, მის წილი ლოდი დამარხა. მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი, მოთხარა, ნახა ოქროს ნაცვლად ლოდი იდვა. დაიწყო ტირილი და ვაება. და მივიდა კაცი იგი მომპარავი, კითხა: „რას სტირიო“? მან უთხრა: „ოქრო დავფალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთო“. უთხრა მან კაცმან: „ვაი შენ, რად სტირ? მაგ მიწაში უნდა ოქრო იდვას; უნდა ქვა, თუცა არ დახარჯვედიო“!

უკან მიდევნებული ლამპარი

იყო ერთი მეფე დიდად მოსამართლე, მოწყალე და მდიდარი, უხვი და მქონებელი. დაბერდა და შეილი ჰყვანდა კარგი, თაეის მეფობა მას მისცა და უთხრა: „შვილო ჩემო, ჩემ მაგიერ შენ იმეფე და, ვირემ მე ცოცხალვიყო, ჩემს სალაროს ხელს ნუ მიხლებ; და როდესაც მოვკვდე, ჩემის სულისათვის გლახას მიეც“. უსმინა შეილმან და ასეთი სამართალი და სიკეთე გამოიჩინა, მამა ყოველთავე დაავიწყა, და კარგად დაიწყო მეფობა. დღისით ცხენს არ შეჯდის, ღამე შეჯდის, წავიდის და ლამპარი უკან მიიდევნის, წინ არ გაიმძღვანის. უკვირდა ყოველსა კაცსა და ვერვინ იკადრა მოხსენება. ერთსა დღესა იკითხა მამამან მისმან შვილისა: „ეითა მეფობსო“? მათ ყოველიე მოახსენეს, მეფობისა ქება და ღამე სიარული და ლამპრისა უკან მიყოლა. მოიყვანა მამამან და უთხრა: „შვილო შენი დიდი ქება მესმის და ღამით თუ სლვა გიყვარს, ლამპარი წინ წაიმძღვანო, იგი არ უმჯობესია უკან უკან ტარებასაო“? შვილმან მოახსენა: „დღესამდინ მე ვერ შემოგბედე, თვარა მისთვის ვქენი ეს საქმე, სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვანო და გლახაკს უბოძო, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებული ლამპარი იქნებაო“. ეამა მეფესა და ყოველიე გასცა, დაუმადლა შვილსა და თქვა: „ყოველიე კეთილი სიცოცხლეში ქნას სჯობსო და სიკეთის ქნას დაეშუროსო“.

კითხვები და დავალებანი:

1. როგორია «ეზოური ენის სოციალური ახრი და შინაარსი?
2. გამოარკვიეთ «სიბრძნე-სიცრუვის» პედაგოგიური ახრები.
3. შეადარეთ «სიბრძნე-სიცრუვის» იდეური, სტილებრივი და კომპოზიციური თვალსახრისი «ქილილა და დამანისა» და «ბალავარის სიბრძნისას».
4. მონახეთ «თხა და მელის» არაკში არქაიკული ფორმები და გადმოაკეთეთ ისინი დღევანდელის მიხედვით.
5. აიღეთ არაკი «კატა და ლომი», გადაიკითხეთ იგი და გამოარკვიეთ, რამდენად შეიძლება ეწოდოს მის ენას «ძველი ქართული».

ჭილილა და დამანა

«ქილილა და დამანაც» ფაბულურ ჩარჩოზე აგებული იგავ-არაკთა კრებულია. როგორც ჩვეულებრივად იგავ-არაკული ჟანრის ძეგლში, აქაც მოქმედი პირები უმთავრესად ცხოველთა სამეფოს ეკუთვნიან. ქილილა და დამანა ტურების სახელია (ერთი კეთილი ტურაა, მეორე ბოროტი). არაკების დიდი ნაწილის მოქმედება ეს ტურებია. ამით აიხსნება თხზულების სახელწოდებაც.

«ქილილა და დამანა» მყოფლიოში განთქმული თხზულებაა. «სიბრძნე-სიცრუის» მსგავსად ესეც დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მქონე ზნეთსწავლულების თავისებური სახელმძღვანელოა. თხზულების ყურადღების ცენტრში მოქცეულია სამეფო კარის გარემო.

«ქილილა და დამანა» თავდაპირველად ინდურ ენაზე დაიწერა, ინდურიდან იგი სპარსულისა და არაბულის საშუალებით მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. მისი სხვადასხვა რედაქციებით განსაკუთრებით მდიდარია სპარსული მწერლობა. ის რედაქცია, რომელიც ქართულ «ქილილა და დამანას» საფუძვლად დაედება, სპარსულად საბოლოო სახით XV საუკუნის გასულს შემუშავდა. ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ვახტანგ VI-ის მიერ 1714-1719 წლებს შუა. ლიტერატურული თვალსაზრისით ვახტანგის თარგმანი სუსტია. თანაც ძეგლში მრავლად ჩართული ლექსები მთარგმნელს პროზით გადმოუღია. ამიტომაც თარგმანის დასრულების შემდეგ ვახტანგს სულხან-საბა ორბელიანისათვის მიუნდვია ტექსტის საერთო „გაჩალხვა" (რედაქცია) და პროზით გადმოლებული ლექსების გაწყობა (გალექსვა). საბას დავალება პირნათლად შეუსრულებია. ოღონდ ყურაღღებას იქცევს ის გარემოება, რომ «სიბრძნე-სიცრუისაგან» განსხვავებით, «ქილილა და დამანას» ტექსტი მძიმე მწიგნობრული და ხელოვნურ-ენაწყლიანი ნაწარმოების თვისებათა მქონეა.

ამ წიგნში მოთავსებული ნიმუშები ამოღებულია «ქილილა და დამანას» საბასეული რედაქციიდან (ჩვენ დრომდის მოღწეულია ვახტანგის თარგმანის თავდაპირველი დედანიც) და, მაშასადამე, ვახტანგისა და საბას კოლექტიური შრომის მაჩვენებელია. ტექსტი დაიბეჭდა საბას ავტოგრაფის მიხედვით, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს მუზეუმში (ყოფ. წ.-კ. კოლექცია, № 31). არსებობს «ქილილა და დამანას» საბასეული რედაქციის სრული გამოცემაც[1] ი. ჭ ყ ო ნ ი ა ს რედაქციით (ტფილისი 1886 წ.).

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა:

1. ალ ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტორია. I, 1914, გვ. 478-487.
2. მისივე, Очерки, III, 125-145.
3. ე. თაყაიშვილი, Описание рукописей, 43-44 (I, 299-347).
4. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, 305-311.
5. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 170-320.

[1] «ქილილა და დამანას» ვახტანგისეული რედაქციის რამდენიმე ნიმუში დაბეჭდილია ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 311-320.

დედაბრის კატა

იყო ერთი დედაბერი მეტად საბრალო და უღონისძიებით რჩებოდა. ერთი ჩოდოლო ედგა ყრმათა გულთაგან უვიწროესი, ძუნწთა კაცთა საფლავთაგან უბნელესი. და ერთიცა კატა ჰყვა, რომელსა პურისა სახე სარკითაც არ გაეცადა, წვენთა სახელი მახსოვართაგანაც არა ასმოდა. და ამა ყოფასა დაჯერებულიყო. მისად საზრდოდ თაგვისა სოროდამ სუნთა მიდენასა, ანუ თაგვთა გაელისა კვალთა სუნთა ყნოსათა კმა-იყოფდა, და თუცა ბედისა შეწევნითა ერთი თაგვი სამ დაეჭირა.

ლ ე ქ ს ი

ვით გლახაკმან მაჯნა განძი იპოოს და დახაროდეს,
რას არგებდა, რას აქნეედა, იტყოდა თუ: „რამცა სჯობდეს“!

სიხარულით პირი გაუწითლდის, გარდასული ჭირი დაავიწყდის და ერთს დღეს ხანს რასმე მით გარდაიარდის და იტყოდის

ლ ე ქ ს ს ა

„ჰე ბედო, ამას რომ ვხედავ, ცხადი არის თუ ზმანება,
ესოდენს ჭირთა შემდგომად, რომ სევით მომცა მანება,

რომ მე ესოდენთა შეჭირვებათა შინა მყოფმან ესეთი უსწორო საჭმელი ვიგემეო“? და ესრეთ მის ბებრის სახლთა შინა, რომელსა წელის ნაწყვეტიც ვერ ეძლო შოვნად, ეგრე მჭლე და მჭხაეანი იყო, შრომითა და მოგონებით რჩებოდა.

ერთსა დღესა ნამეტნავის უღონობისაგან ათასის ჭირით ერდოზედ ავიდა და ნახა: კატა ერთი მეზობლის სახლის კედელთა ზედა სილაღით იარებოდა და ლომსაებრ ფერხთა აღრიცხვად გარდასდგმიდა, მეტის სიმსუქნითა თათთა ნელიად აიღებდა. რა ბებრის კატამა თვისი ნათესავი ეგრე გაპოხებული ნახა, საგონებელთა ჩაეარდა და ხმა უყო, უთხრა

ტ ა ე პ ი

„ეგრე დიდროა მრავალი, მითხარ, სითა ხარ მაეალი?

შენ ეგრე გასუფთაებული საძაური ხარ? ესრე მეჩვენები, მგონია ხატაეთის მეფის მასპინძლობით გამოსრულ იყო! მითხარ, სადით მოხვალ და ეგ შენი სიმსუქნე რისაგან არის, და შენი ძლიერება და შვენიერება რით მოხდაო“? მეზობლის კატამ უთხრა: „მეფის ნასუფრალთა ეჭამ, ამად რომე დღე-ყოელ ხელმწიფის კართა მივალ. როსაც ნადიმთა დასხდებიან, ჩემს სიკასკასეს ეიხმარებ და მსუქანთა ხორცთა მოვიტაცებ და მეორეს დღემდე ნოყიერად ეიქნებიო“. დედაბრის ციცამ ჰკითხა: „მსუქანი ხორცი რაიაო და მაძღრობის პური რას ჰქვიანო? ჩემს ცხორებაში ბებრის ფუშ-

რუკისა და თაგვის ხორცის მეტი გემო არასი ვიციო“. მეზობლის ციცას გაეცინა და ეგრე უთხრა: „მაშა, ეგ ყოფილა: შენ და ბებერი არაში გაირჩევითო. ჩვენს გვარს ესეთი სასირცხო და საკდემელი საქმე რომ სჭირდეს, დიდი აუგიაო. ეგ სახე და სიმშვლე სახლიდამ გარ გამოგიტანია, ესეთი აუგია — ბოლომდე საამბობელად დარჩებისო“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

„კუდი და ყურნი მიგიგავს მართ ოდენ მარტო კატასა,
ტანი ობობას სადარო, ქსლისა მქსოველისა პატასა.

თუცა შენ მეფის კარი ნახო და მის გემოანთ საჭმელთ სუნი ისუნო, მგონია ფარდაგთა შინა დამალული სული რომ გაქვს, გამოგიჩნდეს და ახალი სული მოგედგასო“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

„საყვარლის სულმა რა მოყვრის საფლავზე გაიაროსა,
რად მიკვირს მკვდარი გაცოცხლდეს, ძვალნი დანაცრდეს აროსა“?

დედაბრის კატამ შესტირა: „ჰე, ძმაო, შენი მეზობელი და ნათესავი ვარ. რა იქნების, ან მეზობლობითა და ანუ ნათესაობით მოწყალებისა და ძმობის მცნება აღასრულო და, როსცა შენ წახვიდე, მეც თან წამიტანო? ნუთუ შენის ძლით მცირედი საჭმელი მერგოს; რომე შენის სიმხნითა და ცდითა ერთს ადგილს მივაწიოო“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

„თავს ნუ გაიღებ ლხინთაგან, ვიდოდე კაის კაცისად,
ხელს ნუ აიღებ ღირსთაგან, აგრევ უფლისა და ცისად“!

მეზობლის ციცას მისის საჩივრის ტირილითა გული დაეწვა და უთხრა: „დღეის წაღმა მე პირობა დამიც, ამას რჩით უშენოდ მას ადგილს აღარ წავიდეო“. დედაბრის ციცა მისის იმედეულობით სულობას მოვიდა და ერდოდამ ჩამოვიდა და ეს ამბავი ბებერს აუწყა. ბებერმა სწავლად დაუწყო და ეტყოდა: „ჩემო გაუყარო ამხანაგო, მსოფლიოთა ცრუთა ტყუილთა სიტყვათა ნუ მიჰყვები; მცირეთა დაჯერებისა კმაყოფასა ნუ გაუშვებ, რომე უზომოსა ნდომისა ჭურჭელსა საფლავთა მიწის მეტი ვერა აავსებს რა და ნდომისა და სიხარბის თვალსა სიკვდილის ძაფის მეტი ვერა შეჰკრაეს რა. თქვა

ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი

„იკმავე ცოტა, მართ ვით იოტა, სიმდიდრე კაცთა, ეს არს ჭკვიანად!
ჰრქვი გზად მავალსა, შოვნა მრავალსა, თემზედა დარბის უგზოდ-გზიანად,
ვინც თვისსა ბედსა და ღვთის იმედსა მდღეგარს არ სჯერა, რაც აქვს მზიანად,
ვერ იცნობს ღმერთსა, მცნებათა ერთსა არ აღასრულებს, ექმნას ზიანად“.

ბებრის კატასა მის ხელმწიფის ნასუფრალისა ნდომა ასე ტვინში შესელოდა, რომე წვრთა და სწავლება მას ვერარას არგებდა.

შ ა ი რ ი

უგბილთ სწავლება ცუდია, ბრძენნი აშრობდენ ენასა,
ვით ქარი გალიაშია დააპყრა, მიქრის ზენასა.
ტრფიალსა სატრფოს უშლიდე, მისკენვე იწყებს რბენასა,
ცხრილსა წყაროთი ავსებდე, მალე იქს ქვე გადენასა.

რა მეორე დღე გათენდა, ის მეზობლის კატა მხნედ და ბებრის ციცა ღონღილით [გაუდგნენ გზას], ხელმწიფის კართა ძეილ მიაწიეს. საწადლის ძალმა მისლვის უწინარესე შეაცთუნა და საშმლის ბედმა მის უმის ვაჭრობის ცეცხლსა სიკვდილის წყალი დაასხა. ამ მიზეზისათვის, რომე წინა დღეს ხელმწიფის ტაბლაზედ კატები შესრულიყვნენ, საკრძალავი მსახურება გაეშვათ და ჩხავილი და კნავილით მასპინძელთა და სტუმართა გული შეეჭირვებინათ. მაშინ ხელმწიფეს ებრძანა მარჯვეთა მშვილდოსანთათვის დროება და „რომელმანცა კატამან უსირცხვილობის ფარი პირთა არ დაიფაროს და კადნიერების ასპარეზთა არ მოვიდეს, ვირე ლუკმათა აიღებდეს, ღვიძლის მკერავის ისრით განასვენეთო“.

ბებრისა კატა ამა ამბისა შეუგებელი [იყო], საშმელთ სუნისა ცემაზე დაურიდლად შავარდენსავით პირი სუფრისა მისაფრენელად ქნა. ჯერეთ გუნებას სასწორის უღლით მძიმე და სუბუქი ნაკვეთი ვერ აეწონა, მასვე წამსა გულის გამგმერელი ისარი შიგა გავარდა.

შ ა ი რ ი

ძვალ-დაკოდილი მირბოდა, სისხლითა რწყვედა არესა,
მშვილდოსანს გმობდა, ისწრაფდა მეშველსა მოსახმარესა,
იტყოდა: „რად არ დავსჯერდი მცირესა მისმახვდარესა?
ვით ღირს თაფლისა გემება ფუტკრის ცემასა მწარესა“?!

მგზავრი და გველი

კაცი ერთი აქლემსა ჯდა და მგზავრ იარებოდა. ერთსა ადგილსა მივიდა. მუნ მგზავრთა ცეცხლი დაეგზნო და მათს წასვლას უკან ქარსა გაებნივა და კაჭაჭთა მოჰკიდებოდა და ლამპრობასავით ხანძარი გაძლიერებულიყო. გარმოდებულს ცეცხლს შუა ერთი ასპიტი გველი დამწყვდეოდა და ვერსაით ვერ გასულიყო და არას მხრით მორჩენის იმედი არა ეპოებოდა და, ვით თევზი ტაფათა შინა, მოხრაკვასა და მწვადსავით ცეცხლზედ შეწვასა მიახლებულიყო. გესლისა ცვარი თვალთაგან სისხლის ცრემლად სდიოდა. რა იგი აქლემოსანი კაცი ნახა, ხმა უყო და თქვა

ლ ე ქ ს ი

„რა იქნება მომეხმარო, მოწყალებით შემივედრო,
ამა ჭირსა მომარჩინო, გამიკეთო, ამივედრო“?

აქლემოსანი კაცი ღვთის მოშიში და და გულ-მოწყალე კაცი იყო. რა გველი შეჰირვებასა მყოფი ნახა, შეწუხებული და უღონო თვის გუნებასა შინა იტყოდა: „თუცა გველია, ადამიანთა მტერი, აწ, რადგან ესრე შეჰირვებული და შეზარებულია, ამის უკეთესს რასა ვიქ, რომე მას ზედა მოწყალებისა და შებრალების თესლი დავთესო. ვიცი, საქაოს ბედნიერობისა და საიქიოს მოწყალების კიდე სარგებელსა არა-რა მოგვცემსო და არცა მიწათა შიგა თესვა გვარგიაო“; ესე თქვა და — ერთი მანდიკი ჰქონდა, ოროლისა წვერთა გამოაბა და გველსა მიუპყრა. გველმა რა ღონისძიების გზა ჰპოვა, მას მანდიკთა ჩაძვრა და აქლემოსანმა ამა ხერხითა ცეცხლით გამოიყვანა და გველს უთხრა: „აწ სადა გინდა წადიო. რადგან ესეთსა ფათერაკს მოგარჩინე და ესეთისა ჭირისაგან გიხსენ, ერთის მხრისაკენ იარე და კაცთა ნუღარა ავნებ, რომე კაცთა შემაწუხებელსა ამ სოფელს სახელი წაუხდება და მას საუკუნოს მტერთ გულისად გახდებისო“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

„ზეცით ღვთისა გეშინოდეს, კაცთა ყოლე ნუ აჭირვებ,
მრავალს ჭირსა მორჩომილხარ, თუცა იცხრებ, თუცა ირვებ“.

გველმა უთხრა: „ჰოი, კაცო, ეგე უმსგავსო სიტყვა დაუტევე, ვირემ შენ და აქლემსა შენსა არ უცემ, არა სადა წავალო“. აქლემოსანმა უთხრა: „მე შენზე კეთილი საქმე ვყავ და ცეცხლით გამოგიყვანე, აწ მუქაფად მაგას მომაგებო? უთხრა

ლ ე ქ ს ი

„მე რაცა ხამდა, იგი ექენ, სიკეთე კაცთა საქნელი,
გვლარძნილი დრკუსა მოქმედებს, ვით ღვედი გამოსაქნელი“.

გველმა უთხრა: „შენ კეთილი მიყავ, მაგრამე იგი სიკეთე ხამდა სხვისათვის გექნა და ჩემთვის არა; სხვაი შეჰირვებისაგან მოგერჩინა და შეგეწყალებინა, ესე საქნელი იყო. არა უწყია, ჩემის მტრისა შხამი ვარ? ადამიანი ჩემგან ერთსაცა სარგებელსა არ გულობს. მაშ, ჩემსა მორჩენასა რად ეცადე? ვისთანაც სიავე საქნელია, მასთან სიკეთისა ქნასა რას აქნევდი?! აწ ერთი ვაება ხამს, რომე შენ გიძღვნა. სიკეთე რომე ავსა კაცსა ზედა ჰქნა, მას შეედრება, თუცა ბოროტი კეთილსა კაცსა შეამთხვიო; რა რიგადაც ჰკვათა-მყოფელთა უთქვამსო“. უთხრა

შ ა ი რ ი

„ბრძენთ უთქვამს: ჰკვათა ჩხრეკითა გამოგვიცდია სახენი,
ხამს, კეთილისა მოქმედსა სიკეთე მალ შეახენი,
ბოროტის მქნელსა მოუდგა ადრე შიშთვილის მახენი.
ვინ ხელსა სიბრძნით ეტყოდეს, ბრძენთ უთხრას მოსაჩმახენი“.

„ესეგვართა თანა სიკეთისა ქნა არა ხამს და ჰურიათა შჯულსა შინაცა სწერია ჩვენი და თქვენი საუკუნომდე მტერობა, ჩვენგან თქვენი კბენა და თქვენგან ჩვენის თავის გატვინვა, ჩვენი თქვენი ლტოლვა და თქვენგან ჩვენი სიკვდილი. ბრძანებულია, რომე ცოცხალი არ გაგვიშვათ. აწ შენ ბრძანებულსა გარდაჰხედ და დიდი ცოდვა იტვირთე. მე მცნებას არ შეურაცხვყოფ და ამისთვისცა გიკბენ სხვათა დასანახავად“.

აქლემოსანმა უთხრა: „გველო, მოწყალება მოიგე, შჯულშია არას ადგილს სიკეთის ნაცვლად სიავე არა ძეს, სარგებლის ნაცვლად ზიანი და მოხმარების ნაცვლად წყენა. ესეთსა საქმესა კეთილი ბოლო არა აქვსო“. გველმა უთხრა: „თქვენ ადამის ტომთა წესი ეგ არის, კეთილის წილ ბოროტსა უზამთ. აწ მეცა თქვენსა ნაქმარსა წესსა გიყოფ. რომელსაც მუქაფას თქვენ ბაზართა ჰყიდით, მეცა თქვენ მოგყიდიო“. უთხრა

ტაეპი

„შენ წლამდი განასყიდარსა წამზე მოგყიდი მდიდარსა“.

კაცისა მრავალსა ვედრებასა გველი არა უსმენდა, და ადრე გარდაწყვედასა ცდილობდა და ეტყოდა: „პირველად შენ გიცე, თუცა შენსა აქლემსაო“? კაცი ეტყოდა: „მრუდსა საგონისსა გაეშორვე, სიკეთის ნაცვლად სიავე უბადო საქმეაო“. გველმან უთხრა: „ამა მუქაფასა მე თქვენისა წესითა შემოგზღაო“. მან კაცმა ივარძმა და უთხრა: „თუცა მოწამითა დამატეხ, რომე ეგე საქმე ადამიანთაგან ქნილიყოს, მაშინღა შენგან კბენასა სულითაც მოვიყიდი, ჩემსა სიკვდილსა თავს ვიდებო. გველმან მიღმა მინდორთა ერთი კამბეში მძოარი დაინახა და უთხრა: „მიეიდეთ მის თანა და ამა საქმისა სახე მართლობით მას გამოვჰკითხოთო“.

კაცი იგი და გველი კამბეშთან მიეიდენ, და ენოანმა გველმა ჰკითხა კამბეშსა: „სიკეთის მუქაფა რაი არისო“? კამბეშმა უპასუხა: „თუცა ადამიანთ წესითა მკითხავე, სიკეთისა ნაცვლად სიავე იციანო: ესრე რომე მე ხანსა რასამე წელიწადთა შინა ერთსა ღოღოსა უშობდი და სახლი მისი რძითა და ერბოთი აუვსე, მისის მორჩმის საფუძველი და საძირკველი ჩემის მიზეზით იყო. რა დავბერდი და მოვბერწდი, ჩემი ნაკეთევარი დაივიწყა, ბოსლით ველად გამაძო. და რა ხანი ერთი ძოვნითა და მოსვენებითა ჩემდა ნებისად ვეტარებოდი, ცოტა რამ სიმსუქნე მომეცა. გუშინ ჩემმა პატრონმა აქათ გამოვლო და მისსა თვალსა პოხილად ვეჩვენე, ერთი კასაბი მოიყვანა და მას მიმყიდა, და დღეს მას მივყავარ დასაკლავადო. ესე არს ჩემისა ესოდენისა ნაკეთევარისა მუქაფაო“. უთხრა

ტაეპი

„ჩემი ამბაჲი ეს არის, სადღა ვთქვა დასაკვნესარი“?

გველმა უთხრა: „გესმა, კაცო? აჰა, ჩემად საკბენელად გაემზადეო!! კაცმან უთხრა: „სამართალში ერთის მოწმით საქმე არ დამტკიცდებაო, სხვაცა ვინმე იმოწმე და საწადელი აღისრულეო“. გველმა მიიხედა, ერთი ხე რამე დაინახა და თქვა: „წავიდეთ, მას ხესა ეკითხოთო“.

რა მას ხესა თანა მივიდენ, გველმა ჰკითხა: „კაცობის რიგით სიკეთის მუქაფა არ არისო“? ხემ უთხრა: „ადამიანთა წესითა სიკეთის სანაცლო სიავეა და სარგებლის ნაცვლად დანაკლისიო. ამით სცან, რადგან მე ერთი ხე ვარ ამა უადგილოთა ადგილთა მავალთა კაცთა მოსამსახურე. ნიადაგ ერთსა ფერხთა ზედა ვდგავარ, რომე კაცი ვინმე ამა უდაბურთა მაშვრალი და სისხლ-შეშრობილი მოვიდეს, გაუსვენო და ჩემს ჩრდილს ქვეშე შვება მიეცეს, რა თვალსა აღახმენ, ჩემთა რტოთა რომელი ცულთათვის ტარად, სხვა ბარისათვის, სხვა ფიცრად და კარებად მინატრიან. თუცა ცული ახლავსთ, რომელიცა რტო მოუნდება,—მომკვეთენ. და თუცა არა, ესეთსა სიტყვასა იტყვიან და ჩემისა სიკეთისა პასუხად ესრე ჩემთვის მოიხდომობენ“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

„მე თავთა მათთა ვაჩრდილებ, მალ გაუსვენებ შრომასა,
იგინი ძირით მოთხრისა ცდილობენ არ დაცხრომასა“.

გველმა უთხრა: „ესე მეორე მოწამე, რომელმა დაამტკიცა. აწ კბენისათვის სიტყვა აღარა გაქვს რაო“. კაცმან უთხრა: „სული ტკბილია და ძნელად გასაცემი, და სოფლით გასვლა — საზარელი. თუცა ერთსა სხვასაცა იმოწმებ, უცილოდ საკდავად თავსა მოგცემო“.

საკვირველად ერთი მელი დაინახეს, ახლორე დგა და მათსა ცილებასა ისმენდა და მათსა სარჩელსა გულის სიღრმითა სჩხრეკდა. გველმა უთხრა: „აჰა მელი და მასაც ვკითხოთ, იგი რასაღა გვეტყვისო“. მან კაცმა კითხვა დაასწრო. მელმა შეტუქსა და უთხრა: „არა იცი, სიკეთისა მუქაფა ავი არისო? შენ მაგა გველისათვის რომელი სიკეთე გიქნია, რომე ნაცვლად ტანჯვასა შემთხვევიხარო“? მან კაცმა თვისი ამბავი ყოველივე უთხრა. მელმა უთხრა: „ჭკვიანსა ვისმე გავხარ და ეგეთი ტყუილი ვით იკადრეო“? უთხრა

ლ ე ქ ს ი

„ბრძენთაგან მრუდი სათქმელი, თქვი, თუ რა საჭარგონია?
კაცურსა კაცსა ტყუილი არ შეენის, გამიგონია“.

გველმა უთხრა: „მართალსა იტყვის; ამა მანდიკითა, რომელი პალანთა ჰკიდავს, ცეცხლისაგან გამომიყვანაო“. მელმა შერისხა: „მე ვით დავიჯერო, ესრე დიდი გველი ამა მცირეთა მანდიკთა ჩაეტივაო“? გველმა უთხრა: „თუცა არა სჯერხარ, აწ ჩავსძვრები და თვალით ნახეო“. მელმა უთხრა: „როდესაც თვალით ენახავ, მაშინღა დავიჯერებ და თქვენსა სწორესა სამართალსა მაშინღა ვიქ, რომელსა შინა მიდგომა და შემწეობა და სიქიშპისა საქმე არა ერიოს რაო“.

კაცმა მანდიკსა პირი აუღო და გველი, მელისა ჭარითა ალაღებული, მანდიკსა ჩაძვრა. მელმან მან კაცს უხმო: „ეჰა, რა შენი მტერი გაბმული ნახო, ხანთა ნულარ აყოვნებო“. უთხრა

ლ ე ქ ს ი

რა მტერი ხელთა დაიპყრა, მორევით შეიწრებული,
ბრძენთ უთქვამს: ხანთა ნუ დაზამ, აღარ შეიქნას რებული".

კაცმან მან მანდიკსა პირს მოჰკრა და მიწასა ზედა ესოდენი აწყვიტა, გველი სრულიად გაგალა და მისისა გესლისაგან მორჩა და ერნი მისის შიშისაგან დამშვიდდა. თქვა

ტ ა ე პ ი

„ავის სიკვდილი წესია, სიცოცხლე უარესია".

კუ და ღრიანკალი

ერთი კუ და ერთი ღრიანკალი კა ამყოლნი იყვნეს და ნიადაგ ერთმასეთს არ მოშორდებოდენ. ასე მოყვარულნი იყვნეს, [კუდი კუდს გარდაბმული ჰქონდათ და წამსაცა არ გაიყრებოდეს.

ლ ე ქ ს ი

დილით მწუხრამდე ალერსი მათ ჰქონდათ გაუწყვეტელად
საღამოთ გათენებამდე ჯდომით თვალ-დაუბლეტელად.

ერთი დრო შემოუვარდათ, რომე მუნ ყოფით სხვაგან წასვლა აქმე მოუხდათ, რა გაემართნენ, სლვასა შინა ერთსა მდინარესა მიადგნენ. ღრიანკალსა მას შიგან გასლვა არ შეეძლო, დია დაღონდა და მოიწყინა. კუმ უთხრა: „ე, საყვარელო ძმაო! რა გეუფლა, რომე სულთა საყელონი საგონებელის ხელთა მიგიცემიეს და გულისა სიმხიარულისა და ლხინისა კალთა ზე აგიკეციეს"? ღრიანკალმა უთხრა: „მე ამა მდინარისა გასვლა არ ძალმიც და ამისა ზრუნვისა მორევთა შავვარდნილვარ, არცა გაღმა გასვლა შემიძლია და ვერცა გაყრისა და მოშორებისა ნავღელი დამითმენიაო". თქვა

ლ ე ქ ს ი

„შენ წახვალ, მე აქ დავრჩები საბრალო, უმეყვეისანი,
უშენოდ სწრაფად დამიდნეს გულიცა მქონდეს ქვისანი".

კუმ უთხრა: „ნურასა იურვი, მე ამა მდინარესა გაურჯელად და მშვიდობით გაგიყვან. ჩემსა ზურგსა შენთვის გავახმალდებ და ჩემთა მუცელთა შენისა პირისა ფარად შევიქ. ამისთვის რომე, ერთისა მოყვრისა ძნელია ათასის ცდითა ხელთა ჩაგდება და მერმე ადვილად გაშვება". უთხრა

ლ ე ქ ს ი

„სჯობს, რომ რაც გქონდეს გაჰყიდო, იყიდო მოყვარენია,
არ გქონდეს მოყვრის სასყიდლად სულიცა საადრენია".

მაშინ კუმ ღრიანკალი ზურგთა აღისვა, მკერდი წყალთა დააპყრა და ცურვა დაიწყო. ცურვათა შინა კუსა ხმა რამ ესმა და ღრიანკალისა გარ-

დაჭრისაგან შეეშინა, ხმა უყო: „რაისა ხმა არს, რომე მესმისო? ღრიანკალმან უპასუხა: „ჩემთა შაშართა წვერთა შენთა ტანსაცვამთა ჯავშანთა ზედა გამოვსცდიდი და ვსინჯევდიო“. კუს ესე დიდად ეწყინა და უთხრა: შენ მეხთალო, ჩემი სული შენთვის საკვდავად მორევთა ჩავაგდევ და ზურგი ნავად შეგიმზადე და ამა მდინარეთა შინა უზრუნველად მიმყავხარ და აწ ამასაც არად შემირაცხ და პირველთაცა შევბათა დაივიწყებ. მაგა შაშრითა ჩხვლეტასა რაღას მემართლებიო? ესეცა ხომ იცი, შენი საწერტელი მე ვერარას მავნებს და შენი ნაწრთობი შაშარი ჩემსა ზურგსა ვერა განჰკვეთსო! უთხრა

ლ ე ქ ს ი

„ვინცა გამწყრალმან მჯიღითა კლდესა სცეს გარისხებულმა,
ხელს იტკენს, მას ვერას ავნებს, არ იცის ვაგლახებულმა“!

ღრიანკალმა უთხრა: „ნუ ეჯვ, მე ესე შენთვის სააოდ არა მიქნია და არცა ეგეთსა საქმესა გულთა ჩემთა გაუვლია. მაგრამე ჩემსა გვართა შაშართა ხმარება მოსდგამსთ. მოყვარეთა ზურგი არს, გინა მტერთა მკერდი, უნდა ვახმაროო“.

შ ა ი რ ი

თუ ვისმე მოდგმა ბოროტი აქვს ოდენ მისის გვარითა,
რომ არ უნდოდეს ავის ქნა, არ წასცდეს იქმნას არითა;
ვითა ქვას ვერას დააკლებს გასახვრეტელად სარითა,
მაგრა კვლავ უცემს კუდითა გესლიანითა, მწარითა.

კუმა გულთა შინა თვისთა ესრე თქვა: „ბრძენთა კეთილად უთქვამსთ

შ ა ი რ ი

ვინ ჩვენთვის არად ვარგია, ჩვენ კეთილს რადღა გველოდა?
მეტყვის გამზარდე, მაჭამე, ღვინითა სავსე გველოდა;
ჰკუისა გზათა შემცთართა, სჯობს ჩვენი თავი გველოდა!
ამას ჰგავს, უხმოდ მოწვევად: უბითა გაგზრდი გველო და!“

ავ-გუნება და უგვარო კაცის გაწვრთა და გაწყობა თვისის პირისწყალთა გაშვება არს და თვისის საქმიანობისა საბელთა წვერთა დაკარგვა. უთხრა

ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი

„ოქრო და ვეცხლთა მიწათ ჩაბნევა ბრძენმან ეგოდენ ვერა
გიძრახონ,
მაგრამე ავთა კაცთა უზავთა წყალობას ზედა იახონ, ახონ“.

კუმ უთხრა: „თუცა შენი მოდგმა შაშრით ჩხვლეტაა, ჩემი ყურჩუმელი არისო. ჩაიყუნთა წყალთა შინა, წყალს წააღებინა.

სნეული და მკურნალი.

ერთი კაცი მუცლის ტკივილისაგან შეღონებული მკურნალთან მივიდაესრე მწარედ სტკიოდა, მიწაზე გორვიდა და ტკივილის მეტნობითა მწარედ ტიროდა, წამალსა სთხოვდა, ეტყოდა

ტ ა ე პ ს

„ეჰა, მკურნალო, მარგე რა, სულთა სიკვდილი მომერა“!

პირველად მკურნალნი მათის რიგითა და კანონითა რა სნეულსა იხილვენ, კითხვასა აუხსნიან სნეულებისა ცნობისათვის, და მერმეღა მარგებელსა ღონისძიებისა მიზეზთა შეუდგებიან და ეგრე ხელ-ჰყოფენ წამლობად. ესეთისა წესითა გამოჰკითხა ტკინეულსა: „დღეს რაი ჰამადი გიგებიაო“? მან კაცმა უთხრა: „ერთი ნაკვეთი დამწვარი პური ვჭამე და მას უკან მცირითა ხემსითა ბუნების თორნე გავახერვეო“. მკურნალმა ერთსა ყრმასა თვალის სინათლის მომმატებელისა თუთიის მოღება უბრძანა [და] მის კაცისა თვალისა გამოოლეა. და მან სნეულმა თქვა

ლ ე ქ ს ი

„რას მეხუმრების, მკურნალო, რა ლაღობისა დრონია?!
სული ყიათა მომსვლია, სიკვდილი საადრონია.

მკურნალო, ლიზღობა დაუტევე, მუცელი მაჰირევებს და შენ თუთიასპეკალსა თვალთა მაყრი, თვალის წამალი მუცელს რას არგებსო“? მკურნალმა უთხრა: „მე ესე მწადს, თვალთა ნათელი გემატოს, რათა შაეი და თეთრი გაარჩიო, რომე კვლავ დამწვარი პური აღარა სჭამოო“.

დავალება:

1. გამოარკვიეთ აქ მოცემული ნიმუშების მიხედვით, თუ რასა ჰქვია „ტაეპი“, „ლექსი“ და „შაირი“. შეამოწმეთ აქვე „ჩახრუხაულის“ მნიშვნელობაც.

დავით გურამიშვილი

დავით გურამიშვილი ჩამომავლობით მოწინავე არისტოკრატიულ ოჯახს ეკუთვნოდა. დაბადებულა 1705 წელს. დიდი პოლიტიკური არეულობის ხანაში (XVIII ს. ოციან წლებში) გურამიშვილის ოჯახი თავის სოფლიდან, გორის-უბნიდან (საგურამოს მახლობლად) ქსნის ხეობაში გადახიზნულა ლამის-ყანას. აქ ერთხელ მკის დროს ჩვენი პოეტი მთთარეშე ლეკებს შეუპყრიათ და ტყვედ წაუყვანიათ. დავითს ტყვეობაში საკმაო ხანი დ-უყვია, ბოლოსდაბოლოს მოუხერხებია გაპარვა და დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულა. იმ დროს რუსეთში ცხოვრობდა თავისი მრავალრიცხოვანი ამალით ვახტანგ VI. ვახტანგს თავის წრეში დავითიც მიუღია (1730 წ.).

ვახტანგის გარდაცვალების (1737 წ.) შემდეგ სხვა ემიგრანტ ქართველებთან ერთად დავით გურამიშვილიც რუსეთის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ქართველ ჭეშმარიტ პოლკში გაუწევსებულა. პოეტს მრავალ ომში მიუღია მონაწილეობა თურქეთის, პრუსიისა და შვეციის წინააღმდეგ. 1758 წ. პრუსიელებს ტყვედ ჩაჰგვარდნია და მაგდებურგის ციხეში ყოფილა დამწყვდეული. ამ ტყვეობიდან გამოუხსნიათ 1762 წ., მაგრამ სამხედრო სამსახურისთვის თავი ვერ დაუღწევია და — როგორც თითონ ამბობს — „ძალუნებრივ“ წაუყვანიათ „სადაც არ იყო მწადი“. დავითს მოკმედი არმიისთვის თავი დაუნებებია პორტ-ბიკის ჩინით დაახლოვებით XVIII ს. სამოცდაათიან წლებში. ამის შემდეგ ის საბოლოოდ დასახლებულა მთავრობის ნაწყალობევ მამულში მ ი რ გ ო რ ო დ ს (უკრაინაში), მაგრამ დიდხანს აღარ დასცლია, განმარტოებულად და უთვისტომოდ გარდაცვლილა ოთხმოცდაათიან წლებში.

დავით გურამიშვილი ისტორიულ-ნაციონალური სკოლის განთქმული პოეტია. მისი უმთავრესი თხზულებაა «ქართლის ჭირი», რომელშიაც შესანიშნავი მხატვრული ფორმით ასახულია XVIII ს. პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიული ცხოვრება და შემდეგ ქართული ემიგრაციის თავგადასავალი რუსეთში. ისტორიულ მოთხრობაში მოხდენილად ჩართულია პოეტის ავტობიოგრაფიული ამბავიც. გურამიშვილის მოთხრობა მოკლებულია ქრონიკებრივი აღწერილობის სიმშრალეს, ის მკაფიო პოეტური სურათებით აცხოველებს მრავალ საყურადღებო ისტორიულ ამბავს და დეტალს, უშუალოდ განიცდის ყოველ მოვლენას, პირუთვნელად აშუქებს თავის თვალსაზრისს და ცხარე კრიტიკით უმასპინძლდება მოწინააღმდეგეებს. გურამიშვილი ადგას აბსოლუტური და გაერთიანებული მონარქიის პრინციპს (ქართლ-კახეთის ფარგლებში) და ამ მხრივ მსახურეული თავად-აზნაურული კლასის პოლიტიკურ განწყობილებას ამჟღავნებს. პოეტს აშფოთებს ფეოდალური აშლილობა და შინაური კინკლაობა. სწორედ შინაგანი არევ-დარევა და ხნეობრივი დაცემულობა მიაჩნია მას ეროვნული (და კლასობრივი) უბედურების უმთავრეს მიზეზად.

გურამიშვილი იმ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როდესაც ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებმა საკმაოდ მოიდგა ძირი და ფეოდალური სისტემის რღვევის პროცესი გაძლიერდა. პოეტი უშუალო მოწმე გახდა ძველი ფეოდალური არისტოკრატიის გადაგვარებისა და გადაშენების სურათებისა. გურამიშვილს გულს უკლავს ეს გარემოება, წარჩინებული ოჯახის შვილი მწვავედ განიცდის თავისი კლასის დაცემულობის ნიშნებს და ჭირისუფლებრივი მხრუნველობის ინსტინქტი უკარნახებს მას, ამხილოს ამ კლასის უარყოფითი მხარეები. პოეტი დაუზოგავად ტუქსავს ანგარებასა და გარყვნილებას აყოლილ თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და საზოგადოების სხვა მოწინავე წრეებს. გურამიშვილის დიდი ღირსება სწორედ

ისაა, რომ მან გარკვეული მოსაზრებებით შეძლო მოეცა საქართველოს ისტორიული ცხოვრების ერთი ნაკვეთის საკმაოდ პირუთვნელი და მხატვრულად სრული სურათი.

გურამიშვილის მწუხარე პესიმიზმი აღმოცენებულია სოციალ-პოლიტიკური ზრახვების გაცრუებაზე. «დავითიანის» ლირიკული ლექსები და პოემები საესეა წუთისოფლის გმობისა და წყევის მოტივებით. ამ მხრივ ის უფრო შორს მიდის, ვიდრე თეიმურაზი და არჩილი. უსასო პესიმიზმი თავის კულმობაზე რელიგიურ-მისტიკური განწყობილების გაძლიერებას უწყობს ხელს. გურამიშვილი სრულიად უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრებას და მხოლოდ იმქვეყნიური ცხოვრებისათვის ზრუნვის საჭიროებას ქადაგებს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმედდაკარგული და ნაღვლიანი მწერალი მაინც არ ივიწყებს თავის თანამოძმეებს და დიდაქტიკურ-აღმხრდელობითი ხასიათის რჩევა-დარიგებით მიჰმართავს მათ («ისწავლე, სწავლის მძებნელო» და სხვ.).

განცალკევებულად დგას გურამიშვილის «ქაცია მწყემსი». აქ აეტორმა მხატვრული უბრალოებითა და იშვიათი ოსტატობით იდილიურ ფორმებში ასახა მდაბიო სოციალური ურთიერთების, კერძოდ მწყემსების ყოფა-ცხოვრება, რაიცა პირველი შემთხვევეაა ძველს მწერლობაში. ოფიციალური თავად-აზნაურული მწერლობა მსგავს თემებს არ კადრულობდა. დამახასიათებელია, რომ ხნეობრივი სიწმინდის იდეალს პოეტი გლეხობაში (მწყემსებში) ხედავს, მაგრამ ის მაინც მტკიცედ დგას თავის კლასობრივ პოზიციებზე და ბატონყმური რეჟიმის ერთგულობისკენ მოუწოდებს ამ ხნეობრივი სიწმინდის მატარებელ ხალხს.

გურამიშვილის პოეტური ენა შედარებით უბრალოა და მოკლებულია მწიგნობრულ ბრწყინვალებას, მაგრამ მთატერულობის მხრივ შესანიშნავია. გაბატონებული ლიტერატურული შაბლონის პირობებში გურამიშვილმა ხალხური კილო შეიტანა პოეზიაში, მან გადაახალისა ძველი სალექსო ნორმები და რამდენიმე ახალი სახეობა შემოიღო. საყურადღებოა, რომ გურამიშვილმა თავისი რეფორმისათვის უხვად გამოიყენა ხალხური მასალები. გურამიშვილის ლექსებს ახასიათებს იშვიათი მუსიკალობა» ხშირად ისინი სასიმღერო რომანსებს წარმოადგენს.

გურამიშვილის თხზულებათა კრებულს ეწოდება «დავითიანი» (თუმცა ხანდახან «გურამიანსაც» ეძახიან). არსებობს «დავითიანის» რამდენიმე გამოცემა. უკანასკნელი სრული გამოცემა 1931 წ დაიბეჭდა (ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გამომცემლობა «ჭართული წიგნი»). აქ შემოსული მასალები შერჩეულია ამ გამოცემის მიხედვით.

ლიტერატურა:

1. გ. წერეთელი, დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები, «დავითიანის» პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 1870.

2. პ. უმიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმის დავითიანი, მეორე გამოცემის წინასიტყვაობა, ტფ. 1881 წ.

3. თ. ყორდანია, დავით გურამიშვილი და მისი დრო, „ივერია“ 1880 წ №№ 1,2; 1882 წ. №№ 1,2.

4. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტ. ისტ. I, 1914, გვ. 501-516.

5. Мисиев, Очерки, III, 202-218.

6. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II 375-378, 455-472.

7. ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი: ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი, 1931 წლის გამოცემის წინასიტყვაობა.

სწავლა მოსწავლეთა

ისმინე, სწავლის მძებნელო, მოყევ დავითის მცნებასა:
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა;
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ენებასა.

დედამ რა შვას ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა, —
ძის სიხარულით დაჰკარგავს ილაოს მზგავსთა სენებსა;
მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა;
ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა.

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი.
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების,
არც ცხადით ძალით წაართმევს, არც მალვით მოიპარების,
ჰკუეა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰკვა ცოდნით მოიხმარების.

ჩემის უცებით შევატყევ, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ რომ ახლოს მიწყვია,
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჰკვიანი კაცი ბრიყვია.

ვით უსაჭურვლოდ მამაცი ომშიგან გულად ლომობდეს,
გაცოფებული გულ-ბრაზად ვეფხვი უკლანჭოდ ომობდეს,
ვერ აღასრულოს საწადი, რაც ნებავს, მისთვის ღონობდეს, —
ეგრეთ ჰკვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობდეს.

ვსძებნე და ვერა ვჰპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა.
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა-ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა.

ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა,
ხუცესი წირვით, ეაჭარი შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა,
მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა,
გლახა კარის-კარ თხოვნითა. შენა გწადს აწ რომელითა?

ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექნას ყივილი.
უფთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექნა ჩივილი.

უწვრთელი ძაღლი მიხვდების გარეთ სიცივით თრთოლასა,
საჭმლითაც არვინ განაძღებს, პილწად დაიწყებს წრწოლასა;
გასწავლებული პატივით შტაქუნზე შეიქს წოლასა:
სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა.

ძაღლი უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები დედ-მამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა,
გვარსა და ნათესავებსა სირცხვილი სჩრიდეს თავებსა.

პატრონსა ძაღლი უწვრთელი მეტს ვერას ჰკადრებს წყენასა:
ან პურს მოსტაცებს, ან ხორცსა, ან წყალს ამოჰკრავს ენასა;
მშობელთა შვილი უწვრთელი აროდეს მისცემს ლხენასა,
სულთა წარუწყმენდს და ხორცთა, მიუთხრობს მით შერცხვენასა.

უსწავლელი ძაღლი კარში ყეფს და გარეშამოს ჰფარავს,
ნადირს აფთხობს, ქურდს აშინებს, ძნელად რასმე მას მოჰპარავს;
ბრიყვი კაცი წამოწვების, ღამით კარსაც არ მისჯარავს.
თვით იქნების გასაქმარი, ვინც ამ სწავლას გამიქმარავს!

ყრმა სწავლაში მომშვიდდების, რკინა ცეცხლში გარბილდების,
უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების;
რიკ-ფაინის დრო გარდუა, ველარ გაჰკრავს, ჩაჰბილდების.
სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!

ქართლის ჭირი

ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება.

ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უხსენე გვარია,
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შტოდ ახლოს მონაგვარია:
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,
მეორე ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია.

იყო ის ერთი უფალი გლახაკთ ნუგეშის მცემელი,
მეფსალმუნე და მეტყველი, ღვთის ქებით ბობღანთ მცემელი,
შტო ძირისაებრ თვისისა ნაყოფის გამომცემელი,
წყემსი ცხოვართა დამხსნელი და მგელთა არ მიმცემელი.

მას მორჩილებდენ ქარფველნი, ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა.
მაგრამ კვლავ შესცდენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა,—
ჩაცვივდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა.

გულ-მანკიერად შეიქმნენ, ქმნეს სამსახურზედ კლებანი,
და-ცა-ივიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალებანი.
ზოგიერთს ვისმე შეუხდა ეშმაკის მანქანებანი,
დავით მამისა მისისა დამუსრეს ფსალმუნთ ებანი.

გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,
ბაგით პატივსცეს, აჩვენეს გული მტყუვარი ზაკვისა;
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,
რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა.

ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა,
წაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა:
იქმენით ხარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა.
მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წახდა სიიეფისა.

ღვთის მშობელმან ჰრქვა: „იწამეთ, ვინ ცით გვიწვიმა მანანა.
ქვეყნად უმამოდ ქალწულსა ძე მარწებინა, მანანა,
პაპად, ბებიად ითნია იოკიმე და მან ანა,
შესანდობელად ყოველთა მით ცოდვა თქვენი მანანა“.

არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები,
დაყრუვდენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე ქნეს გასასტერები.
თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები,
დამცირდენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრაელდენ მტერები.

დაჯაბნდენ გულად მამაცნი მძლეთა მებრძოლთა მძლეველნი,
ნებით შეიქმნენ უბრძოლოდ თავისა მტერთა მძლეველნი;
ციხე განულეს, შეუშვეს დამქცევი, დამამძლეველნი,
მტერი სამკვიდროთ მომშლელნი, ტრფიალთა წამართმეველნი.

განუცვდათ შმაგთა ხელობა, ტრფიალთა მიჯნურობაო,
ვერ სძლიევს მძლეთა მებრძოლთა, ვერა ქნეს გულ-მაგრობაო,
შეშინდენ, ტრფიალთ გაეკცნენ, შეჰკადრეს უარობაო,
წუთს მოყვარესა დამოყვრდნენ, მკვიდრსა დაუწყეს მტრობაო.

ვერ გაუმაგრდნენ, ოდესაც მტერთა დაუწყეს ბრძოლანი,
ნება ყვეს თვისთა მერჩოლთა, არვინ ინება რჩოლანი!
გვირგვინის ცოლი გაუშვეს ხარჭასთან შექნეს რბოლანი,
ყმად წაუვიდნენ ისასა, იქნეს მამადის ქოლანი.

შეიქნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანერთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზედ დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა.

მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სცნა, ბრძანა აღება ხელისა,
რისხვით გაშვება მის თემთა, გარდახდა საფარველისა.

მიუგო: „რჯულთა გამრყვნელნო ახალისა და ძველისა,
თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა“.

საწყაულის მოწყვა ღვთიხაგან

ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოცდაერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა:
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს, ან კახეთსა!

ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთელის, თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქციევის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღუთისგან შენაწევრი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყეელამ წაკრა თვითო ქიშტი.
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი.
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს.
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს.

ამ ამბის თქმა-გარჩევითა გულმან ამად არ ინება,
ბევრი ავი გამოჩნდების ჩვენი, მაზედ მერცხვინება...
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება.

ტყუილი ეჭთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვჰთქვა, მეშინიან, ვა თუ გავხდე დასაკარგი,
კაცს მის მეტი არა აქვს-რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა ავი, კარგსა კარგი.

აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?
ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?
კარგს კაცს ვითარ დაუკარგო, რაც რამ სიკარკაცე აქო?
ავს კაცს კარგი ვით უძებნო, ორმოს ჩამსვა, თავს დამარქო?!

პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქვე-ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო,
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მაზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცით დავიკარგო.

მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.

მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

ამისთანა მკურნალს ვაქებ, მილესევდეს ფაზარ-ხუთოს,
არ თუ მასა, უწამლობით პირში სული ამამხუთოს.
ამისთანას ბატონს ვაქებ, მან ერთი ყმა განაბუთოს,
არ თუ ხუთი აღარც ერთ ქმნას, ასე საქმე თავს მოურთოს.

მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების,
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების.
ძრახვაენ სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების.

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის, კულავ აღარ ჩაიდინოს,
სხვა გაფთხილდეს, მისებრ ცრემლი თვალთა არვინ ჩაიდინოს.
კაცმან უნდა თავითგანვე საქმე კარგა მაიხდინოს,
თორემ ბოლოს ვით იქნების, ავზედ ძრახვა დაიცდინოს?

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს, ნურასა იქს საძრახავსა:
თავისიცა განიმაგროს, ნუ აფოფნებს სხვის ნიფხავსა.
ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!

ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ.
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ.
ვინ დაჰფარავს მათს ნათესსა, თვით უმიწოდ ქვიშას ფარცხვენ.
ქვე საწუთროს ქვითკირსა სდგმენ, ზე სამკვიდროს ფიჩხით ფაცხვენ.

რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძლებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩხვლეტს და მსჭვალავს.
სხვის არ მკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს?
თვით ვერ ხედავს, სხვის საპერეტლად თუ არ უნდა პირს რად ჰკალავს?

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს:
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს.
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს.
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!

ერთი კაცი უკუღმართად ვნახე ერქვანთ ასხამს ფთებსა;
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაბდოს აკეთებსა.
მხვნელსა ვკითხე: „რად ეგრეთ იქ“? თქვა: „ძალა ხნავს აღმართებსა“,
მფარცხველმა თქვა: „დაღმა ეფარცხავ, აღმა ხნულსა ეს მართებსა“.

ვინც რომ ისრე უკუღმართად, მრუდად ხნას და თესოს, ფარცხოს,
ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს.
ვინც ძმის სისხლი გამოიცხოს, ან თვით ძმასა გამოაცხოს,
მისი სული სატანამა თუ არ კუპრში, რაში გარცხოს?

რად გეშინის მართლის თქმისა, ფუ, შენ ჩემო ულვაშ-ბიღო!
ვინც არ გჯერა, ასრე უთხარ: მიბძანდი და ნახე თიღო!
მე წილს ნუღარას დამიდებ, რაც შენ მუნით წამოიღო.
თუ გავმტყუენდე ამაზედა, მე შენ შვიდეულად გიზღო.

აწ დაიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო, შემოკრებით.
ზოგნი ჭინა აქ ბძანდებით, ზოგნი გარეთ შემოკერებით!
მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდრო, თავში ხელის შემოკრებით,
ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენ და გარეშემო მტრებით.

კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
უწინდელი გათხუვნილი დარჩა კაბდო, აღარ გარცხეს;
ძმამ ძმას საბრე გარდუჭირა, მტერთ კობალი თავში დასცხეს,
ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!

უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
ბოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!
თარჯ-თომრიან ჯიღოანნი გაგვიხადა, ქმნა უჯიღო!
მხამს გიტყებდე მეფის ბიღით, ვარსამისა სავსე მჯიღო.

ოსმალოსაგან ქართლის დაჭერა და ქართველის ბატონის რუსეთს წაბძანება

კახთ ნაჩინჩხლთ წინწკალთ დაერთო ქართველთა ქარი ალზედა:
რა იგი ორნი შეშუღლდენ, ვით ქორნი გარიალზედა,
გამოელვიძა არწივსა ჩხუბსა და მათს ყრიალზედა,
გარიელს კლანჭი მან უკრა, სხდენ ორნივ ცარიალზედა.

სჯობდა იდუმალ ენუკათ ქორთ თვისი სანუკარია,
წილად ერთს მხარი ეწირწკნა, მეორეს საწირწკარია.
სრულ არ მიეცათ მტრისათვის თავიანთ საკენკარია.
თუ ამას ავად ვამბობდე, პაღური ამომკარია!

ვახტანგს ძიმწარის უმწარე ეჯაბილა ვითა შაქარი.
ძილ-გაკრთობილმან საზღაპროდ მძინარე შეძრა ხვანთქარი,
აღსაშენებლად სრა-ვანთა გაგზავნა ორი სარქარი,
წინ მოუმძღვარა ხუროთა იესე ძმა, ძე ბაქარი.

მოტყუენდენ ხუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ხურონი,
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი, საქართლო-საკახურონი
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეხურონი,
ყმა და მამულნი მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსახურონი.

მეტად უზომოდ გაჯავრდენ, ვერ გასძლეს გულის ჯავრნია,
აჩქარდენ, ველარ გაშინჯეს მათ საქმე საშინჯარნია,
მტერთ ნებით კარნი განუღეს მაგროვნად დანაჯარნია,
კახთ იხმეს ლეკნი საშველად, ქართველთ — ოსმალოს ჯარნია.

ოდეს სცნა კახმა ბატონმა, ლაშქარი სარასკარისა
საქართველოსა მოადგა, ვით გოლსა ბრძო ფუტკარისა
(წინაღმდეგობა არ ეძლო, ქმნა მათის სანუკარისა),
წინ მიეგება, მიართვა კლიტენი ციხის კარისა.

ოსმალო თიფლისს შევიდა, კარები დახვდათ ღია რა.
იესე მეფე მათ შერჩა, მათს მოძღვარს მან აღიარა.
ვახტანგ რუსეთსა წაბძანდა, რაჭაზედ გარდაიარა,
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყვი, ჯერ არა გამიგია რა.

კახმა ბატონმა მიმართა ფშაე-ხევსურეთის კიდესა,
კახთა ცოლ-შვილით თვალივსა მძლიე ფეხი მოიკიდესა.
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა;
რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ ჰურ-ღვინოზე ყიდესა.

შეწუხდენ კახნი, ქართველნი, მიადგათ რა ეს ჭირები.
შეითქვნენ, შექნეს ფიცებით, ერთმანერთს მისცეს პირები,
არჩივეს: „გორის ციხესა გამოუთხაროთ ძირები“.
კახმა ბატონმა მომარჯა, დაბდაბნი და საყვირები.

იესეს მეფეს მოხსენდა: „გორს ადგას ქართველთ ჯარები“.
მან შეიყარა ოსმალო, იქმნა თიფლისით მარები.
მოხვდენ ერთმანერთს. დაიქცა რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს, თუმცა სდებოდა ღარები!

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით.
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით.
მათ ჩვენმან ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათევ-ნაღალატევით.

ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლს ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა, მწირსა თავსა სჭრიდენ.
„გოდორს თავი აკლიაო“, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მმარხველი არა ყვანდა, შელა-ტურა გამოხვრიდენ!

დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყობა

ვაი იმ დღისა დამსწრებსა! აწ სათქმელადაც ძნელია,—
კაცთაგან თვისი აუგი საზარლად საუბნელია!
ცოდვამ მოგვიცვა ნათელსა, გარს მოეხვია ბნელია,
ხელში ნაჭერი კეთილი შეგვეჭნა საძებნელია.

ქართველთ მადლს ცოდვამ დასძლია, რა აღმწონელმან აწონა;
წუნებულ იქმნენ ღვაწლითა, თავი ვეღარვინ აწონა;
მის-გამო მტერთა მათზედა დანაცემინა აწონა,
აღარ სცა მტვერი მარილი, არც ლუკმა პური აწონა.

წაღმა მბრუნავმა დრო-ჟამმა უკუღმა შექნა ტრიალი,
ფრთა მოჰკრა ქართლსა, კახეთსა, შეაქნევინა ხრტიალი;
მამლები ტურამ შეჭამა, დედლები დარჩა ტიალი,
მიდგა ყოვი და ყორანი, დანაწყებინა წკრტიალი.

მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა.
სულ წარიტაცეს, თუ ვინმე შამბში მოურჩა წამლადა:
დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა.
აღარვინ დარჩა ფარსაგი პატრონად, ქვეყნის მამლადა.

კახს-ბატონს კოსტანტილესა საქმე მოუხდა ყალათი,
ტანთ ხვანთქრის ქურქი ჩაიცვა, დასთმო ყეენის ხალათი,
მტერს დამორჩილდა ნებითა, ვეღარა ქნა რა ძალათი,
მიენდო თავის თავზედა, ახმარებინა ჯალათი.

რაც მოგახსენე, მოგეგვარა ჩვენ ერთმანერთის ბრძოლამა.
ქართლი ოსმალომ დაიპყრა, კახეთი ლეკთა მოლამა;
მით ჩვენმან სისხლმან ნაღვარმან ხევნები სულ ამოლამა,
სუნით მოიცვა მთა-ბარი ჩვენის მკვდრის მძორთა ყროლამა!

მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორის-უბანსა.
ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვემდენ არ ავს ჯუბანსა.
მუნით გამტყორცა საწუთრომ, გარდამაცილვა ყუბანსა.
ვაი რა კარგა მოვსთქვემდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა!

მო, ყური მიგდე, მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა:
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრებდი სხვის ქვეყანასა,
სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე, ლამის-ყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდით ყანასა.

დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა,
ვსთქვი: „მუშას სადილს უმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა“.
არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასველელ შორითა,
ჩვენ თურმე გვნახეს, მოგემართეს ლეკთა ირტოზის გორითა.

მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდენ თხუთმეტი კაცი მზირადო.
ავიხსენ თოფი და ხმალი, მიეყუდე მუხის ძირადო,
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჰირადო.

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია.

მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენია.
მაჭამეს დუმა და ხალი, მახვრიტეს ხინკლის წვენია.

მე დუმის ჭამას არ ვჩივი, ნეტავი მაძღრივ მქონოდა;
არ ვინაღვლიდი, ცხიმითა რომ ტუჩი გარდამქონოდა.
მე ეს მიმძიმდა: მხარ-შეკერით მოყვანდი ოსოქოლოდა.
ვაი რად დარჩი ცოცხალი, შენ, თაო, ჩასაქოლოდა!

მიმიყვანეს არა ღირსთა, ღირსეულად მიმსახურეს,
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამხურეს,
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს,
გაეპარე, დამიჭირეს: „რად წახველო“? დამპაღურეს.

მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი,
არცა მაქვნდა საიმედოდ საჭურველი სამხედრონი.
ღმერთს მივენდეე, მან ისმინა იგი ჩემი საედრონი:
ხელმეორედ გავიპარე, რაკი ვჰპოვე ჟამი-დრონი.

მეფის გახტანგის ამიერ ხოფლით მიცვლა და ქართველთ თავადთა და აზნაურთ რუსთ ხელმწიფის სამსახურში გაწესება

აქ ნახეთ წუთის სოფლისა, ცრუ-მატყუარა-ფლიდისა,
მისგან სიბნელე ნათლისა, ზედან გარდაკვრა ბინდისა!
ყმანი ვიყვენით კეთილნი, ვის ცხებულისა დიდისა,
გვწყალობდის, უხვად გვაძლევდის, სწავლით შეილურებ გვზრდიდისა.

მას მოგვაშორა მუხთალმან, გზა დაგვიბნელა სავალი,
სად რა გვეშოვნა მუდრეგად, სარგებლით გვთხოვა სავალი!
რაც მან მოიღო, არ ითქმის ჩვენს თავზე გარდასავალი,
თუ გეტყვი, მწარედ გულს დამწვავ, შემხუხავ-შემტუსავ ალი!

ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო.
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
გაფთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მადსა მაგრა დექ, ცაო!

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ ოხერ-ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა და ჭყრტიალი;
მოგვწყდა წელ-გული, შევქენით, ვით უმხროდ ჩიტმან, ფრტიალი,
დავიწყეთ, ვითა წიწილთა უკრუხობითა, წკრტიალი.

მის დროს რუსთა თქვეს: „ქართველნო, ეს თქვენცა გაგეგონება,
თვით ქრისტე ბრძანებს: „ძნელია ორთა უფალთა მონება“.
იწამეთ ერთი უფალი, თუმცა გენებოსთ ცხოვნება,
ან წადით, ანუ დადექით, თავს ნუ მიეცით ღონება.

— ჩვენ ოც წელს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავაზასაო,
შემოგვეწევის თუ არას, მუდამ ვერ ვაქმევთ მზასაო.
თუ რომ დასდგებით, ჩვენ თქვენთვის მოვმზადებთ კარგს მაზასაო;
თუ არ დასდგებით, დრო არის მიბრძანდებოდეთ გზასაო".

ქართველნი სცდენ და გატეხეს მეფის ვახტანგის მცნებაო:
წინ წაუარეს ბაქარსა, საქმე ქნეს თავის ნებაო.
სწორეთ იმ გზაზედ წავიდნენ, საითაც იყო სნებაო,
არავინ უწყის, მუნითგან ცოცხალი ვინ იხსნებაო.

იფიცეს კახთა, ქართველთა: „ჩვენში არ იყოს შურია,
ჩვენ სულ დიდთა და პატარათ ცხოვრება გვაქვნდეს ძმურია;
დავსდგეთ, თუ სადმე წავიდეთ, ერთად ვიძებნოთ პურია".
მეც გავერიე, მეკეთა, რაკი მას მოვკარ ყურია.

რა იგი ფიცი გარდასწყდა, გულში არ ქონა შურისა,
ხელმწიფეს არზა მიართვეს: „ჩვენ თქვენი ყმობა გვსურისა.
ლაშქარში წასვლა გვებრძანოს დრო არის სამსახურისა".
ხელმწიფეს ესმა, იამა, ბრძანა მოგდება ყურისა.

თავის ვეზირებს უბრძანა: „საყმო გარიგდეს მათიო:
თავადთა ოც-და-ათი და აზნაურთათვის ათიო.
თუ არ აღსრულდენ, კიდევე ათ-ათი მაზე სართიო.
მიეცით თანასწორადა, არა იყოს რა ხლათიო".

შურსა რა ესმა სისწორე, ერთობა მან იწყინაო;
რკინა რბილი და ფოლადი, თქვა, განასწორა, ვინაო?
მართებელთანა დაგეჩხუბა, ავ-რიგად შეგვასმინაო,
ათ-ათი ისევ მოგვიჭრეს, სხვა კი მოგვიგდეს წინაო.

შური უვარყო, ვისაც რომ ჰკვა ქონდა ნატამალია,
შეჯდა და გარდაეხეწა, იხმარა ცხენი მალია.
მე მყვანდა ცუდი ჯაგლაგი, მით ვერცად დაეემალია,
გაჯავრებული მომიხდა, გარდმომიჭირა ხმალია.

შურმან დაჩაგრა და მოკვდა ყაფლანისშვილი ტეტია,
შურმან ციციშვილს ადამას დაარტყა თავში კეტია;
დაშავებული მეც შურით დავიარები ხეტია;
დამბნელებია გონება, თავზე მეხვევის რეტია.

შურმან მე დიდათ დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა;
ცეცხლით დამიწო სახლ-კარი, ვამე, ჯაერი მკლავს მის სრისა,
ვით აღლესილი ლახვარი, მით სევდა გულსა მისრისა.

მას მეშურნესა პირველად არა აქვნდა რა ძალები,
გამოაჩინა ბოლოს დროს ფარული დანაკრძალები,

გვიმტყუვნა, ხორცი თვით ჰამა, ჩვენ მოგვიყარა ძვალები,
ხე ვარჯოვანი დაგვახმო, აყოვა ნაკუნძალები.

განაბოროტა კეთილი, შურმან აუბა თვალები;
წინა აღუძღვა ბრმა ბრმათა, არიეა გზა და კვალები.
დაბენძღა, დაარიოშა, ოქროს მორიეა რვალები.
გარდახდევინოს უფალმან, რაც ჩემი ედვას ვალები!

ვით თხასა ცხვარი, მივენდევ უპიროს, მოღალატესა,
წამიძღვა, სამშმო მაჩვენა, თავს წამაყენა ფლატესა.
მითხრა, თუ: „აგერ საფოთლი, კარგია, ვინც იქ გახტესა“,
თვით გახტა, მე შიგ ჩამაგდო, ჰგავს ეშმაკობით ანტესა.

შევსცდი და მწყემსსა წაუველ, გაუდექ მრუდად ძოვნასა.
აწ დავჰკარგულვარ თავთათვის, აღარ მოველი პოვნასა.
უძღებებამან რა მიყო, ხედავთ ამ ჩემსა შოვნასა!
სიმსუქნისათვის დავიკვლი, ძაღლნი შესჭამენ ქონასა.

ავად მომიხდა უმხროდა-გაფრენა, ქმნა ნავარდისა!
სად ამოსული ხნარცეითა კიდევ მეორედ ვარდისა;
ვაიმე, მამა-დედისა! ძმის დამკარგავი ვარ, დისა,
ვეღარ მნახავი მოყვრისა, ტან-ლერწამ, პირად ვარდისა.

ჩვენი გითხრა სამსახური: სხვა რა გვექნა ამის მეტი?
ათას შვიდას ოცდაცხრამეტს ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი.
ორმოცდაორს ფინდრიღავანს ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.
ორმოცჩვიდმეტს ბრუსის კოროლს შეურყივეთ ტახტის სვეტი.

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა, თავსა დაგვახვივა რეტი,
მე ჩემს ძმებსა დამაშორა, ლუწისაგან დავრჩი კენტი.
მაღდებურხის ციხეშიგან დამსვა კარებ-დანაკლეტი,
მუნით ვიხსენ, შინ წამოველ, ქერი ვხან და ყანა, ფეტი.

ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვქამე მშადი,
მე მომითხრეს: „მანდედამე ახლა ადექ, სხვაგან წადი“.
ძალუნებრივ წამიყვანეს, სადაც არა ვიყავ მწადი,
ვამე ტკბილო სიცოცხლეო, რომ შენ ასე გამიმწარდი!

საწუთროს ხოფლიხ სამდურავი

ნუ მიენდობი: საწუთრო მტყუვანი არს და უპირო,
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო.
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს ხორცი უვარ-ჰყო, სულსა ულოცო, უწირო.

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია.
წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია.

ყოველი ლხინი მუხთლისა კვლავ ისევ საკმუნავია,—
ერთი დრო გრძლად არ შერჩების, კარგი სთქვა, გინა ავია.

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შეებასა,
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასა.
ახლა თქვენც ხედავთ აწ ჩემსა მის გამო პირ-ქუშებასა,
გული დაუწუვავს სახმილით სულთქვნასა და უშებასა.

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომებოძა თავიდგან, ბოლოჟამ ისევ წამერთო!
მან დამიკვანძა მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-მერთო,
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცხლზე წამერთო.

წყეულმან, ცრუმან, მაცდურმან ფეხთ ქვეშ ილინჭა მომიგო,
პირველად მოყვრად მეჩვენა, ტკბილი რამ სიტყვა მომიგო,
გამეთამაშა, მაცდინა, საცხოვრებელი მომიგო;
რა წამახდინა, გამკიცხა, „რად ჰქენო“ ნიშნიც მომიგო!

ამად ვემდური საწუთროს, თორემ სხვა რა მაქვს სადაო?
სად მომიყვანა სად მყოფი, კიდევ მიეყევარ სადაო!
მამა, დედა, ძმა თვალითა ვეღარ მხედავს, ა დაო,
ძეთა და ასულთაგანაც გამხადა უღირსადაო.

მე საწუთრომან მიმიღო, რაც საბადისი მებადა,
მისგან დარწყმული მახენი თავსა ზე გარდმომებადა.
ორგზით კრულ შემქნა მტერთაგან, ხელთა საბელი მება და,
ვით ესტირ, თვალთ ცრემლი მიბნელებს, დღენი მჩანს მე ღამებადა!

მშვილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო.
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“,
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო,
დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ „ვიშვილებ ამასო“.

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
სად კაცს არ უნდა, წარიყვანს, ყელზედ საბელი უბია.
მისთვის ვსტირ ცხელის ცრემლითა, სველი მაქვს კალთა-უბია.
მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუბია.

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა.
ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაჩოყა, ამაღერა,
თესლ-აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერა,

შემქნა უშრტო, უნაყოფო, ვით ხმელის ხისა გალია,
გულს დამასვა სამჭედურად ლახვრად სევდის საგალია.
ზდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწვავს, ვით თევზთა საგალია.
ასე მიჩანს სრა სამყოფლად, ვითა მფრინველსა გალია.

ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვალავს;
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადევნებს ხვალ ავს.
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისვრის, მშვილდს კი მალავს.
მას დავნატრი, ვინცა სწორედ სვლად საწუთროს გზას გაჰკვალავს.

ორს მიაგებს კაცს საწუთრო, არა ერთსა დანაჯერებს:
ხან მოაწყენს, აატირებს, ხან მოალხენს, ან ამღერებს,
ერთნაირად განატაროს, ასე არვის დანაბერებს;
ვით უქმნია მიწა ჭურჭლად, ისევ მიწად განამტვერებს.

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს.

ამისთვისა ვარ ფაციცად, ვითა თავს მტერ-დანასხამი,
მისის ცეცხლით გული ჩემი ვალს ჰირისოფლ-დანასხამი.
მოწყვეტილა მოსაგრილად წყლურზე წყალი დანასხამი.
გული ასე დაუკუწავს, ვით გალესილს დანას ხამი.

ნაღვლით დღენი შემიმოკლდა, აღარა მაქვს, დამელია:
ყველა მწარედ გარდამექცა, რაც რამ ტკბილად დამელია.
მძორთა ჩემთა შესაჭმელად მზას არს ტურა და მელია.
აწ წამოვალ მეც თქვენთანა, სად ძმა მიცდი, და მელია.

ვით თავს მივსცე მოსვენება, ვით მივავო ამო მრბოლსა?
სასიკვდილოდ მივსწურვილვარ, ყელში სული ამობოლსა.
„ახალდაბას ნუღარ ხარო“, მეძახიან „ამო ბოლსა“;
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა?

მითხარ, მტერო, დავის თხოვნით დავითისგან მოიგე რა?
რად უყვედრე უშობელსა, ბერწობა, ვერა მოიგე რა?
იმას შვილად ვერვინა სჯობს, დავით ვინც ძედ მოიგერა,
ვინც გამოთქვა, ის იშვილა, მტერი იმით მოიგერა.

მე რაც ვშობე, შვილად ვსჯერვარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა,
ეზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.
თუმცა ენა გასარეკლდა, გული მისთვის გამიზარდა,
შაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა.

ქაცვია მწყემსი

ზამთრის დამარცხება და ზაფხულის გამარჯვება და წყემსთ პირობის დება

ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული:
ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული.
შემოკრბენ ყოველნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.

გაცვდა, გაძველდა ცივი ზამთარი,
შამოეცარცვა ტანთა საფარი.
ზაფხული განახლდა.
საცმელი თან ახლდა
ფერად-ფერადი.

ზამთრით გაცრცვილნი, შიშველ-ტიტველნი
ახლით დამოსა, გახადა ძველნი.
მისცა მან ბრძანება,
დართო სვლად მან ნება
პატიმრად მყოფთა.

ტანთა ჩანაცვა მწვანე კაბანი,
არ აქვთ სიცივით თრთოლა-ბაბანი.
თბილნი ქარნი ჰბერენ,
ხმით მფრინველნი მღერენ,
განაქვთ ჰიკჰიკი:

ამბობს ტორტა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოსძახის ოფოფს გუგული,
შაშვი ამბობს ზილსა,
მსმენი იკრთობს ძილსა,
დერინავს ქედანი,

სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა.
ქვემძრომთ ხმა ესმისთ, სახლს ხდიან ბანსა:
ჩაყრილნი ხაროდა
ზე გასახაროდა
ამოძერენ ველად.

მზგავსად-მზგავსადმან იპოვა ტოლი,
გამოეიდა დოლი,
გაიზარდა მოლი,
ხეთა ფოთოლი.

მხიარულს ზაფხულს მოყავს ყვავილი.
მოწყენილს ზამთარს თან გაყვა თრთვილი.
აწ მწყემსნი ხარობენ,
ვინ ვისა ყვარობენ,
პირობას სდებენ:

„ვინ ვის გვინდოდეს, ერთად ვაძოოთ;
საერთო იყოს, ვინც რამე ეპოოთ“.
სამთ ქალთ სიხარულით
ცხვარნი სიარულით
წანასხეს ჭალად.

მირეკეს ჩიგვთან, სად ვარდის ფერად
ყვავილი ნახეს, მუნ დასხდენ მღერად.
იმღეროდენ ტკბილად,
კარგ ხმა-გაწყობილად
შაექცეოდენ.

ყვავილთ გაჰქონდა გაშლილს ბიბინი;
დაგლიჯეს, დაწნეს მისი გვირგვინი.
რაც ქალი იქ იყო,
ყველამ თვითო იწყო
თავისათვისა.

მარტოს ვერ სწნევდა თეთრს ვარდიანსა,
წავიდა ჭალას შორს, ბარდიანსა
ყვავილთა საძებრად,
კარგისა საკრეფლად
თავის კონისთვის.

მოესმა შორით ნესტვთა ხმობანი,
ეგონა ქალთა თამაშობანი.
სითაც ესმა სტვენა,
მიყვა იქითკენა
ყვავილთ კრეფასა.

აღმართი ავლო, რა გარდიხედა,
მუნ მწყემსი დახვდა და წყალი სჩქერდა.
შეშინდა, შაჰყვირა,
გაქცევა აპირა,
ვეღარ გაბედა.

მალ-მალ შაჰყვირა; „ვამე, ვამეო!
რა დღე მეკნების, ან რა ღამეო“?
მას წყემსს გაუკვირდა,
თქვა: „რა გაუჭირდა“?
სწრაფ გამოიქცა.

მივიდა, ჰკითხა: „ვინ ხარ, რა მოხდა?
რამ შეგაყვირა, წინ რა შემოგხვედა“?.
ხელი ხელს მოჰკიდა,
თვალთ ცრემლი მოსწმინდა,
სცა ნუგეშინი.

ქალმან რა ნახა იმ მწყემსის პირი,
სულ დაავიწყდა, რაც სჭირდა ჭირი.
მწყემსი შეუყვარდა,
ფერხთ ქვეშ შეუვარდა,
შესცინა პირსა.

ქალმან მიუთხრა მწყემსს: „საყვარელო,
დღეს ჩემო მცველო და დამფარველო!
მეც სიტყვის დასტური,
რაც ვსთქვა, მიგდე ყური,
მისმინე თქმული.

რადგან შენ გახდი ჩემი ძალ-ღონე,
რაც მოგახსენო ეს გამიგონე:
დღეს შენგნით მეფონა,
ხსნა აღარ მეგონა
ჩემის თავისა.

ეს კონა წნული იყოს შენია,
მე ვარდი შემქენ, იყავ შენ ია;
გაშინჯე, შენც ნახე
ჩემის პირის სახე.
თუ გთნდეს, მითნიე“.

მწყემსმა ქალს უთხრა: „ნუ ასჩქარდები,
ჯერ შენვე გაქვნდეს შენი ვარდები.
ცოტა მოიცადე,
საქმე გამოსცადე,
შეიტყევ მართლა.

ჯერ დაივიწყე კვნესა და ვიში,
თქმულა: «სიყვარულს შეიქსო შიში»,
ხარ გულით შემკრთალი,
არ ვიცი მართალი,
გიყვარვარ, თუ არ“!

კითხვები და დავალებანი:

1. დაახასიათეთ ფეოდალური აშლილობა და საერთოდ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა «დავითიანის» მიხედვით.

2. როგორია დავით გურამიშვილის პესიმიზმის კლასობრივი სარჩული?

3. დაახასიათეთ გურამიშვილი, როგორც დიდაქტიკოსი და ამ მხრივ დაუპირისპირეთ არჩილს.

4. გამოარკვიეთ გურამიშვილის პოეტური მეტყველების ხერხები.

5. სოფლის სამდურავს მეცამეტე სტროფში გვხვდება ასეთი ფორმები: „დანაჯერებს, განატაროს, დანაბერებს, განამტვერებს“. რომელ ამათგანშია ნ ზედმეტი ისტორიულად და როგორ აეხსნათ მისი აქ გაჩენა? მონახეთ ასეთი ზედმეტი ნ სხვაგანაც გურამიშვილის ნაწერებში.

ბ ე ს ი კ ი

ბ ე ს ი კ ი პოეტ ბესარიონ გაბაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმია. ის იყო შვილი მწერლის ხ ა ქ ა რ ი ა გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა, რომელიც მოძღვრად იყო თეიმურაზ მეორის კარს. დაბადებულა ბესიკი 1751 წ. სარწმუნოებრივ ნიადაგზე ხაქარიას განხეთქილება მოუხდა კათალიკოს ანტონ პირველთან, რის გამოც ხაქარია შეჩვენებულ და გაძევებულ იქნა საქართველოდან 1764 წელს. ხაქარიას ჩამოაცილეს ცოლი და მცირეწლოვანი შვილები, მათ შორის ბესიკი. ამ დროიდან მომავალი პოეტი, როგორც ჩანს, ირაკლი მეორის სამეფო კარზე გადაჰყვანიათ. ხაქარია კი იმერეთში გადახიზნულა და ირაკლის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა. ბესიკს ბრალად დასდებია მამასთან ფარული კავშირის დაჭერა და ისიც გაუგდიათ კათალიკოს ანტონის წყალობით. ეს ამბავი მომხდარა დაახლოვებით 1776 წელს. გაძევებას ჰაბუკ პოეტზე ძლიმე შთაბეჭდილება მოუხდენია. ის ამაოდ ცდილა თავის მართლებას. თავშესაფარი ბესიკსაც იმერეთში უპოვია. იმერეთის მეფეს განათლებული პოეტი დიდი პატივით მიუღია, თავდაპირველად უფროს მდივან-მწიგნობრად დაუნიშნავს, ხოლო შემდეგში დიპლომატიური საქმიანობის წარმოება მიუნდვია. 1779 წელს ბესიკი საიდუმლო მინდობილობით სპარსეთში გაიგზავნა, სხეათა შორის, ირაკლის მოკითშე ალექსანდრე ბატონიშვილის ჩამოსაყვანად. ბესიკი დიდ გავლენას ახდენდა იმერეთის სახელმწიფო საქმეებზე, ერთ-ერთ მოწინავე პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა და თავადობის ხარისხი მიიღო. 1788 წელს დაინიშნა რუსეთში გაგზავნილი საგანგებო დიპლომატიური მისიის მეთაურად. გარდაიცვალა ბესიკი ამ ელჩობის დროს.

ბესიკი უმთაერესად ლირიკოსი პოეტია, თავისი შემოქმედებით ის ნათლად ასახავს თავად-აზნაურული კლასის დაცემულობის ტენდენციებს. ამიტომაც ბესიკისათვის დამახასიათებელია საერთო კლასობრივი პერსპექტივის უქონლობა, უიმედობა და სევდიანობა. კერძოდ ბესიკის პოეზიის მთავარი საგანი სიყვარულია. პოეტისათვის არსებობს მხოლოდ გარეგნული, ხორციელი მხარე სიყვარულისა. ის მოხდენილი პოეტური სახეებით ამკობს ქალის გარეგნულ სილამაზეს და სხეულის სხვადასხვა ნაკვთებს («ტანო-ტატანო», «ანა დედოფალს» და სხე).

ზოგიერთი ლირიკული ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათის მქონეა, მაგალითად ლექსი «ანა დედოფალს» მიძღვნილია იმერეთის დედოფალ ანასადმი (1765-1832), რომელიც პოეტის ტრფობის საგანი ყოფილა.

«რძალ-დედამთილიანი» საყურადღებოა, როგორც სატირული ჟანრის ნიმუში. აქ პოეტი დასცინის და კიცხავს რძალ დედამთილის ტრადიციული კინკლაობის ამბავს. პოემაში ხაზგასმულია ქალის მონური მდგომარეობა ოჯახში, ქმრის ზანუსაზღვრელი ბატონობა და ცოლის მიმართ არაადამიანური მხეცური დამოკიდებულება არაა დაზოგვილი არც ქალის გაუტანლობა, კინკლაობა, ჴორიკანობა და მისთანები პოემის უარყოფით მხარეს ის გარემოება შეადგენს, რომ ავტორი სრულიად არ ეხება თაობათა (რძლისა და დედამთილის) კონფლიქტის სოციალურ მომენტს. ბესიკი მწვავედ დასცინის ანგარებიან და ცუღლუტ ტერტერასაც. აღსანიშნავია, რომ ქართველი მღვდელ-მონაზვნის ნაცვლად ავტორს გამოყვანილი ჰყავს უცხო სასულიერო კულტის წარმომადგენელი. პოემის ფაბულაც ისეა აგებული, თითქოს მოთხრობილ ამბავს ადგილი ჰქონდა სადღაც შორეულ სამარყანდში. მაგრამ ყოველივე ეს პოეტური გაიგავების შედეგია და არსებითად კი თხზულებაში მოცემულია საქართველოსთვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრება.

ბესიკის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ქართული ფეოდალური პოეზიის ფორმალური მხარე (თემატიკურად კი ის წინამორბედი პოეტების, კერძოდ თეიმერაზ პირველის, და სპარსული მწერლობის დიდ გაულენას განიცდის). ბესიკის ლექსები დიდი მხატვრული ოსტატობის ნაყოფია, მდიდარია სხვადასხვა პოეტური ხერხებით, მუსიკალობით, რიტმის სიმტკიცით და მეტრის სიახლით, თუმცა ენის ბუნებრივი ფორმები ხშირად დარღვეულია და ხელოვნურობის ბეჭედს ატარებს.

ბესიკი სიცოცხლეშივე თავისებური ლიტერატურული სკოლის მეთაური გახდა, მას თაიდანვე მრავალი წამბაძველ-შიმდევარი გაუჩნდა. ბესიკის დიდ გავლენას განიცდის XIX ს. პირველი ნახევრის ქართული პოეზია (განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძე).

არსებობს რამდენიმე გამოცემა ბესიკის თხზულებათა. უკანასკნელი გამოცემა 1932 წ. დაიბეჭდა (ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, გამომცემლობა «ფედერაცია»). აქ მოთავსებული ტექსტები ამოღებულია ამ გამოცემიდან.

ლიტერატურა:

1. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტყ. ისტორია, I, 1914, გვ. 520-524.
2. მისივე, Очерки, III, 220-224.
3. ს. გორგაძე, ბესიკი, გამოცემა «ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საბოგადოებისა», ტფ. 1912.
4. პროფ. კ. კეკელიძე ქართ. ლიტ. ისტ. II, 473-482.
5. ალ. ბარამიძე, ბესარიონ გაბაშვილი: ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი, 1932 წლის გამოცემის წინასიტყვაობა.

ლ ე ქ ს ე ბ ი

სევდის ბაღი

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავ-მომწონები,
ისარი მტყორცა დასამონები.
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები:
მითხრა: „იფიქრე გულს ნაჭონები,
მისთვის იქნები დასაყოვნები“.
ვერ მიეხვდი მახვილ-განაწონები,
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

იასა ვკითხე (მუნ იდგა ნაზი):
„ვარდსა რად უქმენ კართა სარაზი“?
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი.
მანცა განმაგდო: „გარეგან გაზი!
შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი.
სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი!
შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი!
შენის გონებით იქნები რაზი:
ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები“.

რა ია გამიწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი დავრთე,
ეეუბნებოდი: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად,—გზები გაქვს ფართე.
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე,
ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე!
შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე!
შემომითვალოს: რა ეუკეთმართე?
რად მომიგონა მოუგონები“?!

ნარგიზი ენახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა,
მითხრა: „ყარიბო!“--მონაზებითა —
„ვარდი მით არის გულ-დაკლებითა,
რომ შენი იყო თავ-დადებითა —
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა.
რად გიკვირს, გასწყრეს ცეცხლ-მოდებითა?
ნაცვალი მოგხვდა დანახსოვნები!“

დაებრუნდი ყოვლგნით შეუბრალები.
ბაღის კარს დაეჯექ შენაძალები,
ცრემლით აღმევსნეს მწირნი თვალები,
ვიყავ ბედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები,
შეიქმნებოდენ ჰირ-ნაკრძალები.
მეც მომხვდა სოფლის მკელელი ბრუალები:
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!

ტანო ტატანო

ტანო ტატანო, გულ-წამტანო, უცხოდ მარებო!
ზილფო-კაეებო, მომკლავებო, ვერ საკარებო!
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო!
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ წამარებო!
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშვენის მწველად,
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გყვა მცველად,
გესხნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად,
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად,
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

ალვაო, გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხეველნი,
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი მოსახვეველნი,
ზარიფსა წელსა დაეკვირვნეს ქვეყანად მელელნი.
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევიან ყოელნი დღენი, უცხოდ ვარებო.

ბაგე-მდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა ჰსურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა, რას შეგაფარდო?
თუმცა შენ დაგთმო, ვინღა ეჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არეისი მსურს, შევიზარებო.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს.
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაჲ, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვჰგავ ნამჭირვებსა.
ვარდის ბაგენი შევნიერად სხვა მაპირებსა,
ჩემებრ უწყალოდ მიიყვანებ გასაკვირვებსა.
როდეს იქნება შემომხედო გულსა მწირებსა?

ეტლ-შევნიერად მოარული გამსგავსე მთვარეს,
შენის ეშუითა, მასა შევსტრფი, ღამე ვვლი გარეს.
უცხო შევიქენ ცნობისაგან, ვარ ჭირსა მწარეს.
უსამართლობამ, მიკვირს, როგორც ვერ შეგაზარეს?!
არ ვიცი, ვისსა გასწყობიხარ რჯულსა, ფირებსა?

თვით შენმა გულმა კარგად იცის: ვარ შენი მკვდარი,
შენმან სურვილმან ჩამოლია გული კლდე-მყარი.
პირველ შაქრისა გემო იყავ, ახლა ხარ მწარი,
სამართლიანი გზა დაადგე, დამიხშევ კარი.
ვინც რომ ამ ჭირში დამინახავს, დამიტირებსა.

მე ტკბილის გულით შემოგყურებ, შენ მემალები,—
გინდა რომ მოვკვდე შეუყრელი, არ გებრალები.
რამდენის რიგით ცეცხლით დამწვი, მით მჭირს ძალები.
შენსა მიჯნურსა შენი მოჰკლავს ცეცხლის ალები.
ერთხელ აღირსე შენი ხილვა შენსა მზირებსა!

დედოფალს ანაზედ

ვარ უცხო ვინმე ყარიბი ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი.
მონა ვარ მისი მუდამ ჟამ და მისი შემამკობელი,—
იგია ჩემი ხელმწიფე და ჩემი დამადნობელი!

ვფუცავ, მე არვინ მიხილავს, რომ არს შენებით **ანაო**.
მთვარესა ეზრახებოდა: «შენ ვერ ხარ ჩემისთა**ნაო**»!
ვარსკვლავნი მისდა სამონოდ გარს უდგენ თანის-თა**ნაო**,
მხილველნო, დამემოწმენით: კარგი ყოფილა გა**ნაო**?

ცნობა მიმიღო და გული, ხედვით შემზღუდა **ან**ამან,
კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტა**ნამ**ან;
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან აპკურა ცრემლი, **ან**ამა.
ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური, ან მოკლას ამისთა**ნამ**ან!

იაგუნდი მოციწარობს: «მარგალიტნო, მიახელთო!»
სათის ტბიდგან ისარს ისვრის, ვინ გაუელის ახლოს ველთო?
დალახვრაეს და მძიმედ დაჰკოდს, ველს განაბნევს დია ხელთო!
ნეტარ, თავო, გაქვნდეს გზაო! უვიცადი გიახელთო!

მიმიღო ცნობა — არ ძალმიძს მკობა — ჩემმან ხელმქმნელმან,
ლამაზმა**ნ ამან**!
შემოსა ხელი, ითნო სახელი მისმან გუანმან პაწაწა**ნამან**;
ალხინა გული, წყლულ-დადაგული, წყალობიანმან მისმან
შა**ნამან**.
თქმულია ძველად: „ვინც იყოს ხელად, ეტრფე და მოგკლას
ამისთა**ნამან**!“

ხელმწიფევ, გული შენთა**ნ**-ა ბმული, წყალობია**ნად** მომცემო
შვების!
ნაზად ვინ ირთვის, პირი მიმირთვის სიკვდიდმდე მტკიცე შენთა**ნა**
ხლების,
თუმცაღა გცოდე, ვიყო შემცოდე, შენგან წყალობით ნუ მელხინების!
გიმუხთლე ესე, ვიყოცა მკვნესე, შენგანცა კიდე ვიყოცა სხვების!

რძალ-დედამთილიანი

რძალ-დედამთილის შუღლი და ბჭობა

ამბავსა ქველსა მოგითხრობ გულისა ამოდ მლხენელსა,
გახარებთ, დია შეგაქცევთ ამა საქმისა მსმენელსა:
მოკაეშნეთა მოგიძღვნით მუფარახისა მფენელსა:
მიუპყართ ყური მთქმელსაცა, ამისა წარმომჩენელსა!

სოფელსა ვიყავ სამარყანდს, ვნახე საქმე საკვირველი;
დილა მუნვე გავითენე, სახლსვე ვიყავ წარმომსვლელი;
აქ ვიხილე: ყივილითა ქალი მოქრის თავშიშველი,
ზილფთა შუა გამოსჭვირდა დანაკაწრი ბროლის ყელი.

მას მოსდევდა დედაბერი გულგამწყრალი, კბილთა მღრჭენი,
მოჰყიოდა: „ო, როსკიპო, სით სად ძირბი ჩემი სენი?
აწ ურცხვინოდ მიისწრაფი თავშიშველი, არამრცხვენი,
ჩვენ გითხრიდეთ სამარესა შენის თავის დამვარცხენი“!

რა დედაბრისა ყივილი მას ქალსა ყურსა მოესმა,
დაბრუნდა ვითა გრიგალი, წამს შეუცადა—ჰყო ეს მან;
იგი ბებერი მოვარდა, ვერ შეიმაგრა დოესმან,
მაფი კივილი იკვირვა მან კიდობანმან ნოესმან.

თითო მჯიღი ერთმანერთსა შემოჰკრეს და შეიტაკნეს,
კვლავ დაზიდნეს თმანი მათნი, თავ-კისერნი გაიკავნეს;
თავსა ჰკრიან, არ რიდიან, შვემომქცევნი იატაკნეს;
სურდათ, სწყურდათ გაწეწანი, ამად ბრძოლა არ იკმავნეს.

ხანმან განვლო, არ იკმავნეს, იბრძოდიან ვითა ლომნი:
სწეწდენ, გლეჯდენ, პირთ აფხეკდენ, გადიადდა მათი ომნი;
არ იბრალდენ, არც იწყალდენ, იყვნენ ორნივ სიკვდილს მდომნი,
რძალმან სძლია დედამთილი, ქვეშ მოიგდო ვითა ცომნი.

რძალმან უთხრა: „ბედმან მომცა, რაცა მქონდა განაზრახი,
მკვლელი ჩემი ხელთა ვიგდე, ამად შემხვდა მუფარახი;
თავსა მქონდა შენგან რეტი, როს გინდოდა მყის გამლახი,
აწ მე ვჰპოვე შენზედ ფლობა, რადღა მინდა კანანახი!“

რძალსა ეტყვის დედამთილი: „ძველი დღენი მოიგონე,
რომ მე მქონდა შენდა მიწყივ სამსახურად ჩემი ღონე“!
ქალმან უთხრა: „ეშმაკობით თავი ვერა მომაწონე,
მაგ სიტყვითა ვინა გიხსნის, ვერცა თავი დამალონე“!

კვლავცა ეტყვის დედამთილი: „რამან შეგქმნა აგრე კუშტი?
თავი სრულად დამინაყე, ტანი მიქმენ ძირსა დუშტი“!

მან ვედრება არ უსმინა, კისერს წაჰკრა ექვსი მუშტი,
შეგვებრალდა დედაბერი, განს გაუგდეთ იგი ფუშტი.

როს გაშველდენ, წაცაიქცნენ ერთი იქით, ერთი აქეთ,
კვლავ დაიწყეს ენით ლაწირაკება, ვინცა სძლია, მოდით აქეთ!
აყვედრიან ერთი-ერთსა, ჩვენ თამაშა გავიბაქეთ,
უცხოდ ლანძღეს პირისპირად, ჩვენ არცერთი არა ვჰბაქეთ.

რძალსა უთხრა დედამთილმან თავ-თმა-კაწაწ-გაწეწილმან:
„თუ არ მისწრა მე სიკვდილმან, აღრე გნახაე დაგფქვას წილმან,
ესრეთ მნახოს ჩემმა შვილმან, არ გაცოცხლოს ვით სიკვდილმან,
რაზედ მომკალ არა-კეთილმან, ფოლორცმა და გარეცხილმან“?!

მიუგო რძალმან სიტყვა ნასები, უთხრა პასუხად ასჯერ ასები:
„გყევ აჩემებით ვითა ხასები, ნიადაგ მეცვა ძაძა-ფლასები:
ხმა ჩაიდუმე, ნუ გაქვს ხასები, კაია, ნუღარ მებაასები,
შენამც გათრევენ ქვესკნელს დასები, სატანას ხელით დაიფასები“!

რძალმან უთხრა: „გამოგექე, რათ მომდევდი შესაპყრობლად?
არ მიაჯე, არ გამიშვი, მე ვიდოდი ჩემად სოფლად;
აწ იკმარე, ჩაჰომეხსენ, თვარა შეგიქ ველარ მხმობლად,
შენ ფარეხის ქოფაქზედა მკლავს ვიხმარებ დასამხობლად“!

დედამთილმა ვერა გასცა მას პასუხი ამის მეტი:
„აფსკა ორად გაგწყვეტია და შექნილხარ ჭკუა ცეტი,
წყეულმან, გლეჯას ჩვეულმან, დამახვიე თავზე რეტი,
იგი დღე ღმერთმა მაღირსოს, მეც ამელოს შენზე კეტი“!

სწყევს და ემუქრის ბებერი: „შინ ორად გარდაგკუპაო,
გაგიხმოს ღმერთმან მარჯვენე და ჩემი მკვლელი მუპაო»!
ქალმა გამწყრალმა შეხედა, წარბები შეიხმუპაო,
წყევის მუქაფად მიუგო: «იკმარე, ტარაკუპაო“!

ეს უთხრა რძალმა პასუხად თავისა დედამთილასა;
„გამეცალე, ნუ მეყეფვი ვითა ქოფაქი დილასა,
თვარამ სათუოდ არა მჩანს, არცა დაეზოგავ სილასა,
ვიფიცავ ვალა-ბილასა, ქვას დაგიმარჯვებ კბილასა“!

არ დია სთმობდა ბებერი, ყვირის მართ ვითა ყორანი,
აღიესო მოთამაშითა მის სახლის ღობე-ყორანი,
ბებერმან უთხრა: „მეღირსოს, გნახო უსულო მძორანი,
ვერ შესძლო ჩემის ცოდვითა, ვერც გააწიო სწორანი“!

რძალმა მიუგო კბილთა ღრჭენითა, სიკაპასისა გამოჩენითა:
„გახსოვს, რომ გყვანდი მუდამ სენითა, არ დია ითქმის
კაცის ენითა,

აწ მეც გიხილე ცრემლთა დენითა, ამად მაქვს გული შეება-
ლხენითა,
აწ გამეცალე თავშეწყენითა, თორემ გაგაგდებ ქვის დაშენითა“!

ეტყვის რძალსა დედამთილი: „ვიცი, ამად მემტერები,
მართალს ვიტყვი, არ-ნაჭორსა, არც დია დაგეფერები:
მრავლად გივის კუროები: ჭაბუკები და ბერები,
იგი გსურს: ადრე მოგიკვდე, პირზე იგლისო ფერები“!

ამა ქალს ცეცხლი მოუდეა ენითა დანაკვესები,
დედამთილისგან არას ჟამს არ მოესმინა ესები;
ფერხის ტერფამდინ გაუხდა მას ჟრუანტელი ზესები,
ბებერს მივარდა, თავს დაკრა, მუნ ენახეთ დანაკვნესები.

თავს დაკრა დედაბერასა, გაართხა მიწა-მტვერასა,
აგლეჯდის თმისა წვერასა, სისხლს სდენდის ჭიის ფერასა;
ვითა წიწილა ძერასა შეეპყრა ლაჯებს ქვერასა,
მალ-მალ სცის თხემთა ზერასა, ვერ უძლო მისსა მზერასა.

ესზომი სცა, ვირემ სულის დაღებაზე დააყენა,
სწიხლავს, მჯიღვავს, მიმოათრევს, ბებერს დაუდუმა ენა.
რძალსა უთხრა ამოკვნესით: „შეგრჩეს ჩემი სისხლთა დენა,
შემოქმედი არა დასთმობს, რომელი ფლობს ზესთა-ზენა“!

არ შეიბრალა ბებერი, არცა რა გაუგონა მან,
არცა ვედრება უსმინა ქალმან თავმოსაწონამან;
ბებერს ილაჯი მიხადა მან სისხლის ნამთა ჟონამან,
ეხვეწებოდა დახსნასა, ვითა უფალსა მონამან.

აქა ქალიხა შეპყრობა ქმრისაგან და ბოძსა საცემრად მიკვრა

მათ შუღლსა ზედა მოესწრა მის ქალის ქმარი ფეთითა.
იკითხა: რა მომხდარაო? თვალის მი და მო შეთითა;
ქალსა მივარდა გამწყრალი გულითა ანაგზეთითა:
«აღარ ვაცოცხლებ, მოვკლავო, ანდერძს აუგებ ზეთითა»!

დედასა კითხავს: «რა გიყო, ან რა გაწყინა, მითხარო,
ჩემო ამაგო, რად შეჰშუნავ, ან გაწეწილი ვით ხარო»?
ბებერი ამოწუწუნდა: «მიჯობს სამარე მითხარო,
მოდი და გამომესალმე, პირმზეო შვილო, სით ხარო»?

ამა სიტყვამ გაახელა, ვითა მგელი, იგი კაცი,
კრევდის ცოლსა ცხვირსა-პირსა, გახდის მწარედ ლაწა-ტკაცი,
მოსაკლავად არ ეწყალდა, ვით ყასაბსა ბერი ვაცი,
«მიშველეთო»! — გაკიოდა ქალი იგი ნაფაცფაცი.

კვლავ დაზიდნა, მიწას დასცა: თავსა, კისერს გარდალაჯა,
მრავლად გლეჯდის თმათ ნაწნავსა, ღაწვ-ბაგები დაებღაჯა;
უსვენებლივ სამ საათსა სცა და ხვეწნა არ იაჯა.
სხვას პატარძალს ნუმცავისსა ნუ უნახავს ასრე ჯაჯა!

როს დაასუსტეს ცემითა, შეკრეს მაგრა საბლის თოკით,
მკლავწაკრული წინ წაიგდეს, თან მისდევდენ თმისა ხოკვით;
პატარძალსა დაეღალა ენის წვერი სისხლთა ლოკვით,
ბებერს ჰირი მოულხინდა, როს იხილა თავმოპლოკვით.

მაშინ მოეცა ბებერს ლხენანი, როს ნახა რძალი ცრემლთა მდენანი;
ეტყვის: «ბედითო, მომხვდა ზენანი, ოდეს გიდუმდა შხამი ენანი!
არ დია შეგრჩა მინდვრად რბენანი, არც ფოლორცებში გამოჩენანი;
ვახ, რომ ვიხილე შენს გულს კბენანი, ხმა ჩადუმებით აღმოქშენანი»!

ბებრისა მის ყვედრებამან დაცალია იგი ქალი,
სულთა მწველი სიტყვა უთხრა, მოუთუთქა გული სალი,
ცემა იგი დაავიწყა, კვლავ მოუდვა უფრო ალი.
ქალი ფიქრობს: „ნეტარ სითა გარდვიხადო ესე ვალი“?

სახლს მიიყვანეს შეკრული, ვა განმრავლებით მზრუნავი,
გლოვისა გაფრიადებით ქალი მისდევდა მჭმუნავი,
ბებერმან უთხრა: «ვახ მეო, გიხილე მიწას მბღუნავი,
კუროთა უნახაობით სახლს უნდა ეგდო მძუნავი»!

როს შეიყვანეს, მიაკრეს ბოძსა მაგარსა დედხსა:
ხან დედა სცემდის, ხან შვილი, იძახდის ზედის-ზედასა,
თხემისა დანაკრავიდგან სისხლი ჩასდინდა ქედასა.
ბებერი კრევდის მკერდასა, იგ უფრო მოგვრის ბნედასა.

კრევდის ბებერი მშვარე-მწვარესა, ხმა გახდის ღაწვსა ვითა ზარებსა;
მოთამაშენი მოკრბეს კარებსა, ნახვად იღებდენ ქრთამად ფარებსა.
ვინც იყვნენ გზებსა ანუ შარებსა, მინდვრად წასრულნი სხვებ რად არებსა!
რომელნიც ყიდდენ ფარჩა-ლარებსა, მოადგნენ ეზოს სახლის კარებსა.

უთხრა ბებერმან: «სათემოდ გარცხვინე, მოგაყივნეო,
შენითა სიფოლორცითა ესგვარი საქმე ივნეო;
მოდი და ფერხთა დამლოშნე, სიკახპე დაივლინეო,
ნეტარ მე, ცეცხლით დამწვარი გული ძლივ გაეიმზივნეო»!

მის ქალის დღენი დალიენა მან ყვედრებამან სრულადმან,
ეტყვის საკვდავსა სიტყვასა, ცეცხლი მოუგზნა გულად მან;
უთხრა: „ვერავინ დაგიხსნას შენ ჩემის ხელით სულადმან,
იხილე თემის შარამან, რა გიყავ მხნემან, გულადმან“!

ეტყვის ბებერი ძალუას: „დაგიჭკნობ გულსა სალუას,
ცრემლით აღგივსებ თვალუას, მოგაკლებ ღონე-ძალუას;
დაგაგლეჯ ზილფსა ჰავლუას, გარდვიხდი ჩემსა ვალუას,
ფუ მაგისთანა ქალუას, აღარა გიხმობ ლალუას“!

პირსა ხელის ჩაქანებით სწყევა რძალი, არ აკურთხა:
„ხვაშიადი გაგიმეღავნდა, ფუო — პირსა შეაფურთხა —
გახსოვს, რომე თათაშობდი“? ხელ-მკლავიცა განა გაურთხა.
იბრიყვა რძალი ბებერმა, შეაშინა ვითა ფურა-თხა.

კვლავ უთხრა რძალსა: „მომშორდა მე უწინდელი სენები,
ვახ მეო, რომელ გიხილენ თვალით ცრემლმონადენები;
აღარ ღირსება ვიოტე, ღირსება შემხვდა ზენები“.
გაცხარდა ბერი ბებერი, გაიალმასა ენები.

არ შეიწყალა ცემითა, არცა ყვედრება ანაკა,
უახლებს ჰირსა ძველებსა, გონება დაუბანაკა;
არ კაეშანსა პირდება, საკვდავად დაებანაკა,
ვერ გასძლო, ქმარსა ეს უთხრა: «ანუ მომკალო, ანა კა»!

ეაჯდა ქმარსა დაღრეჯით: „ავნი მაშორევ, მეყოფა,
ახლოს მეახლა სიკვდილი, სული და ხორცი მეყოფა;
აწ მოიხსენე იგი დღე, როს მქონდა შენგან მე ყოფა!
მიკვირსო, აღარ გეწყალვი, ლახვარი გულსა მეყოფა“!

კვლავ უთხრა ქმარსა: „ვარ შენი ფერცხალით ამონაღები,
ერთხორცობისა კურთხევა გვაქვს ღვთისგან წამონაღები;
შეეხორცდით, ამოდ ვხარობდით, შვებაცა გვქონდა ჩაღები,
აწ მიკვირს, შენი სასურვი ღაწვი რათა ქმენ ნაღები?!

მე მომკლავ, მარა სათემოდ შერცხვები, მოიყივნები,
ყოველნი სულნი დაგგმობენ, ჩემის სიკვდილით ივნები“!
ქალმან ერთისა საუბრით ქმარს გული უქმნა მტკივნები,
მყის შეიწყალა, ჩამოხსნა ქალი საბრალოდ მჩივნები.

აქა ქალისა მისგან ანდერძი ხიცრუისა და მოტყუება ქმრისა

ქალი ჩამოხსნა, დაიწყო ხელთა და ფეხთა წყვეტანი,
საცდენლად მომაკვდაობდა, ვეღარ აიღო ზე ტანი;
მიმოხედვიდა საკვდავად მართ ვითა ჭკუა-ცეტანი,
მას მართლისაგან შეექნა სიცრუვე უფრო მეტანი.

ქმარსა მისსა ებრალოდა მისი ცოლი ეგრე მყოფი,
მოიგონა ძველნი დღენი, ჰმუნვა შეექმნა სამყოფი,
ქვე-ქვე გახედვით იხილა ქმარი გულ-ლახვარნამყოფი,
ქალმან მტირალმან მიუგო: „დღე მოგვეახლა გამყოფი“!

კვლავაც იტყვის: „რადგან ორნი ჩვენ ერთხორცნი შევიქმნენით,
მან საქმემან გარდაგვძლია, მისთვის მიხსენ სისხლთა დენით;
მაგრამ მეახლა სიკვდილი არ დაფარვიდ, გამოჩენით,
ღმერთს ავედრე სული ჩემი, ნუთუ იხსნას ზესთა-ზენით“!

ავედრა ქმარსა სიტყვა ორები კეთილ-ნაქსული, მაგრამ ჭორებიჯ
საფლავს მიიღენ ჩემნი მძორები, თან გამატანე ქალნი სწორები;
შემომაყარენ მიწა-ყორები, არ დამეხვივნენ ყორან-ბორები,
რათგან მკლავთაგან განგეშორები, თვალით მაპყურენ ცრემლთა ფონები!

ვიცი, შენ ჩემი სიკვდილი ქვეყნად დაგაკლებს არასა,
მაგრამ გენუკვი, სურვილსა ნუ გარდატარებ ჩქარასა;
ვა, გეთხოვები, სიკვდილსა მივყევარ სულთა მპარავსა,
აწ გესალმები ყველასა, სოფელსა, მთა და ბარასა!

სიკვდილის ჟამს ვერა ვნახენ ვერა ძმა, ვერცა მშობელი,
ისწრაფის ჩემსა სიკვდილსა საწუთრო მიუნდობელი“.
ქმარს უთხრა: „წადი სწრაფითა შენ ჩემი ტკბილად მხმობელი,
ტერტერა ადრე მომგვარე სულისა შემამკობელი“!

ქმარს მომაკვდავი ეგონა, ცხელ-ცხელი ცრემლი ყარა მან,
ტირდა, თავსა ცემითა ღაწვები დაიღარა მან;
ქალმა ტერტერა ავედრა, კარს გარე გამოგარა მან,
როს კაცი გარეთ გავიდა, წაკლიტნა კარი ჩქარა მან.

აქა შეპყრობა დედამთილისა რძლისა მისისაგან და სიკვდილი

აცთუნა ქმარი, გაგზაენა ნამტირალევი გულითა,
ქალი კისკისით წამოხლტა გულითა მხიარულითა,
ღმერთსა მადლობა შესწირა ხორცითა, მერმე სულითა:
„უეცრად შემხვდა საქმეო, არ მიყიდნია ფულითა“!

კარი წაკლიტა სასწრაფოდ, ბებერი დარჩა შინა მას,
ეძებდა ჯოხსა მაგარსა, არ შეედრება ფინა მას;
იპოვნა კეტი საცემრად, გულს შეუვიდა ლხენა მას,
მარტომან იგდო ბებერი, ვინ აღუდგება წინა მას!

საბლითა შეკრა ბებერი, მისი ამაგი, გამდელი,
ჭერსა დაკიდა შეკრული, ვითა საზეთე კანდელი;

საცემრად მიდგა კეტითა, ან გიჟი იყო, ან დელი,
ფორთხალებს იგი ბებერი, ვით ორაგული ქანდელი.

რძალუა გაცხარებული გარსა ურბენდა ცემითა,
უწყალოდ დაკრის კეტითა, ზათქა გამოხდის თხემითა;
ეტყვის: „გონებდი შვებასა შენ სიკვდილითა ჩემითა,
მაგრამ წადილი მეღირსა, მით ვარ გულითა ლხენითა“!

ბებერი მაღლა გაკივის, ვეღარ გაუძლო ტკენამან.
რძალსა მიუგო: „მარჯვენე ხელი შეგახმოს ზენამან“!
არ შეიბრალა მყვირალი მან ქალმან კბილნაღრჩენამან,
ეტყვის: „არ დია ვიურვი დედამთილისა ლხენამან“!

იტყვის: „ღმერთო! — დედაბერი — რამცა გცოდე მე ასეთი?
სასიკვდილოდ მიგიციავარ, მიბრაგუნებს ვითა ფეთი;
განმარინე ამის ხელით, მომიტევე, რაცა ვსცეთი,
ოღონდ ამას მომარჩინე, თუნდა მომეც ჯოჯოხეთი“!

ქანცგაწყვეტილი ბებერი ეაჯდა მცირეს ლხენასა,
ეტყვის: „ძალუავ, დამთხოვე უშველებელსა სენასა;
ვიცი, შენ ჩემი სიკვდილი არას მოგაგებს წყენასა,
მაგრამ ამაგი არ დასთმობს, მაღლა აღხედე ზენასა“!

პირგაწყრომით ბებერს უთხრა: „დია გიცნობ კუდიანსა,
შველა შენი არ ეგების, ნურას ეჰვივ ცუდიარსა;
აწვე სულსა შეგიგუბებ, თვალთ დაგიხშავ ბუდიანსა,
რად გეგონა მომრჩებოდი ვითა მთვრალსა ლუდიანსა“?

ბებერმა უთხრა: „შენ ჩემგან ესგვარ რა გახსოვს ჭირები,
ჭერსა დამკიდე საბლითა, შვება არა მაქვს მცირები!
სიკვდილს მექადი, უწყალოვ და ჩემი არ-დამტირები,
ვგონებ, რომ არად მიგაჩნდეს არც სჯული, არცა ფირები“!

რძალმა უთხრა დედამთილსა: „ცრემლსა ცუდად ნუ აფონებ,
ბელზებულსა რაებს ჩმახავ, ანუ რითა დამაყოვნებ?
კუდიანურს მოიგონებ, თაიგულებ შემაკონებ,
თავსა ცუდად ნუ მაწონებ, ვერა რითმე დამაღონებ!“

ეს უთხრა და უწყალოდ კრა, ხმა გაისმა ხმელთა არედ,
ყოველით ასოთ გამოჟონა ყირმიზულმა სისხლმან გარედ,
ვითა როსტომ ლახტის მქნევი, კეტსა ხმარობს ეგრე ჩქარედ,
დაკრის, დაკივის, დაბნედდის, შეუქმოდის დღესა მწარედ.

თამამად კრევდის, არ თუ ზაროდა, პირქუშსა ვეფხვსა დაედა- 35
როდა!
შისსა სიკვდილსა დია ჩქაროდა, არ-სირცხვილითა დაედაროდა.

ესოდენს ცემას არ აკმაროდა, ბებერი მკვდარსა დაედაროდა;
როს ნახა რძალმა სული წაროდა, მყის ფეხაკრეფით გაიპაროდა.

ძალუამ თქვა გულსა შინა: „ჩემი ქმარი აწვე მოვა,
საწუთროს გამომასალმებს, მე ცოცხალი აქ თუ მპოვა“.
ფიცხლავ კარსა გამოიჭრა, არ აყოვნა, არც ამდოვა,
იგი კეტი მხარს გაიდვა, ესე ჰკუა მოიპოვა.

მისგან ნაბნედი ბებერი ეგრე გაუშვა კიდული.
თვით გარდიხვეწა სწრაფითა, საქმე ქმნა დია ფლიდული;
მიიმღერს ბებრის სიკვდილსა ვით ბეზირგანი ხრიდული,
მი და მო თვალთა აშეთებს კეტის ხელმონაკიდული.

ოდეს გასცილდა სოფლისა არესა, მთასა და ბარეს,
შემოხლტის და შეიშლიგნის: „ნეტარ ვინა დამაზარებს“!
იტყვის ღიღინსა: „სალ გულო, კაეშანთა ვერ დაგფარეს“!
თავს უთხრა: „გმართებს ეგვანო ათხუთმეტის დღისა მთვარეს“!

თქვა: „სამშობლო ახლოს მახლავს, მივისწრაფო უნანურად,
რაც რამ ვქენი — ვერა მიგრძნან, დავიჩნიო საქმე ნურად;
ჭირი არად შევიცნიო, შვება შევქმნა უცნაურად,
არცა მომკლას ჯავრმან მისმან, ვისცა უქმენ პირი მურად“!

ესე თქვა და დაინახა სამშობლოთა სახლი ახლო,
მუნ შევიდა დამაშვრალი, კეტსა ხელი აღარ ახლო;
თქვა: „ნაქმარი ნუთუ მიგრძნან, მარჯვე სიტყვა მრვიახლო,
უსალამო მშობელ-ძმათა, არ-მორცხობით მოვიმძახლო“!

მშობელთაცა მიესალმა ქალი თავმოსაწონია,
კითხეს მოსვლისა მიზეზი — მას უწინ მოუგონია;
მარჯვედ აღმოთქვა ტყუილი, არ ვეჭობ ცოდვა გონია,
თქვა, თუ: „ლაშქარი დაგვესხა, წაგვართვეს, რაცა გვქონია“!

სახლეულთა დაიმართლეს ეს ანბავი მისგან თქმული,
უთხრეს: „მართო მორჩი რითა, ანუ, ბეჩავ, შეგრჩა სული“?
მან მიუგო: „მეცა მიკვირს, რადღა მომყვა მკვდარი გული,
მაგრამ მადლმან თქვენმან მიხსნა, ღვთისგან ვიქმენ დაფარული“!

ატირდეს და შეიბრალეს, მათი შვილი ტკბილად კოცნეს,
ხელგანპყრობით ღმერთსა მადლი შესწირეს და გაიოცნეს,
გულსმოდგინედ უმასპინძლეს, მათი ლხინი გააოცნეს;
გორთა-გორი გაფრიადდა, ცხვარ-ძროხანი დაუხოცნეს.

სახლეულთა მიითვალეს, მათ ეგონათ მონარჩომი,
თქვეს: „მადლობა მრაელად გვიღირს, რადგან იხსნა ჩვენი ტომი“!

განსვენებად მიიყვანეს, დაუფინეს ერთი გომი,
ნაომარმან მიიძინა, მკლავზე მიწვა ვითა ლომი.

აჰა ქმარმან ტერტერა მოიყვანა და ბებერს იხილავს მკვდარს და ჭერში კიდებულს

ტერტერისა წამომყვანი კაცი მოვა გულმოკლულად,
თქვა: „ცოცხალს ველარ მიუსწრებ, გამიშვია მძიმედ წყლულად;
თუ მკვდარია, მეცა მოვკვდე, კლდეს გარდვიჭრე დაფარულად,
ცოცხალი თუ კვლავცა ვნახო, იგ მეყოფა სიხარულად“!

შევიდნენ სახლსა კაცი და ტერტერა გაჩქარებული,
მიმოიხედეს, ვერ პოეს ვერც მკვდარი, ვერცა რებული;
ჩალილისფრული ბებერი იხილეს დაკიდებული,
ტერტერა ფიქრმან მოიცვა, შეიქმნა გაკვირვებული.

შას კაცსა კითხავს: „რა არის, ან რა კიდია ჭერასა“?
კაცს ჯავრისაგან კბილები შეეკრა, მიხედა ვერასა:
თავ-პირსა ცემით შეჰყვირა: „ვამეო ჩემსა წერასა,
მაცდუნა ქვეყნის შარამან, მზის აღარა ვარ მზერასა“!

კვლავ თავსა დაგმობს: „უჭკუოდ შევცდიო ვითა სულელი,
რად არ ვიცოდი, ფოლორცმა ჩემზე შეყარა სულ ერი?
არვის უქნია ეს საქმე, ქართლი კვირობენ, იმერი,
თუ უსიკვდილოდ გადამრჩეს, მაგლიჯოს კახპამ თმა-წვერი“!

იცემს თავ-პირში სისხლის ტყებითა: „დედაე, მე მოგკალ ჩემის ნებითა,
იმ უნამუსომ შეგკრა გრძნებითა, სხვაგან გამგზავნა მოკვდინებითა:
აწყვეტდა თავსა ორგულებითა, შემბრალდა, წაველ შეპირვებითა;
მცოდნოდა, ქოვლობს მაცთურებითა, დღეს უმოკლესი მტვერში გდებითა“!

იგლოვს და იტყვის: „დედაო, რა მიყვეს — ვერა ხედაო?
შემქმნია გულსა ბნედაო, არავინ მივის მწედაო,
პირშავი დაგტირ ზედაო, მაგრამ ვერ გაგიბედაო,
გამზარდე კაის ზნედაო და აწ ჰმუნეითა მჭედაო“!

აჰა ტერტერა ჩამოხსნის ბებერსა

კაცმან უთხრა ტერტერასა: „ჩამოხსენ ჩემი მშობელი“!
სულთქმიდა, მწარედ ოხვრიდა, ვამის ვაებით მხმობელი:
„დედავ, სით ვპოვო ის ფლიდი და ჩემი დამბმხობელი?
ვიხელთო, დავსწვა ქურაში, ვით ცვილი დასადნობელი“?

ტერტერამ მოხსნა სასწრაფოდ საბრალო ბერი ბებერი:
„ბედმა შემასწრა საშოვარს, თეთრი მერგება მე ბევრი,

მოკერბით, წესი აუგოთ, ვინც იყოთ მღვდელი ან ბერი,
ვისწრაფოთ, ადრე დავმარხოთ, ვინემ დადგეს დეკემბერი“!

გალურჯებული ბებერი იდეა გაბერვით გუდა რა,
შეუკრეს კუბო მაგარი, ვით დედალს კრუხს საბუდარა.
კაცი ტერტერას ეუბრის: „ისმინე ჩემი მუდარა:
ნაცემარ ტანზე რიდებით შემოახვიე სუდარა“!

კაცმან გოდებით, გლოვა-ბოდებით დედას გასტირა: „მიხვალ გარეგნსა,
შვილის მონებით, უცხო გონებით ეელარ გიხილავ, განვლი კარებსა!
მობინდარებით, სულის მთქნარებით მე აქ მიტევებ შეუწყნარებსა!
ობოლ-მდარებით, გულდამდნარებით სევდას მიახლებ სამსალ-მწარებსა!

დედავ, რად დახე ეგ ტურფა სახე? მდუმარედ გნახე, „ვა“ შემოვსძახე.
ცნობამიხდილი და თავმოხდილი გტირ, ხარ მიცვლილი, ეს რა მოვსჩმახე?!
შენი სამარე მეცა დამარე, ვითამ არს არე — ეს განვიზრახე.
ძუძუე და უბე, შვილს გული ულბე, ნუ დაიგუბე, თორემ გამლახე!

დედავ, მშვრდობით, და ღვთის მინდობით მე გესალმები ეს არის სწორე!
იყავ ცხონებით, ვარდის კონებით, შვება-ლხენითა კეთილ-მამდორე!
რძალმა გიმარცხა, გზა დაგიფარცხა, შენ გუნდთ შეგრაცხა, ტკბილად იცხორე!
აწ მას ვიპოვნი, აღარ ვიყოვნი, ვადნო ვით თოვლი ეშმაკის მორე“!

საჩქაროდ წიგნი მისწერა კაცმან თავის ცოლეურსა:
„წყრომითა გწერ, არ-სიტკბოთი წიგნსა სისხლში მორეულსა,
ასრე გხედავ დღეის წაღმა, ვით ჩინელს კაცს შორეულსა,
დაგხოც ერთად დედ-მამ-შვილთა ვით ნადირთა გარეულსა!

რაც მე მიყო თქვენმა ქალმა, არ უქნია არა რძალსა,
ეშმაკობით მომაკედაობს, გამოილევს ღონე-ძალსა;
ქმარს ფლიდობით გამიტყუებს, ოდეს გავალ — წაჰკლეტს კარსა,
საცემარად დედამთილზე კეტს აიღებს ვით მაჟარსა.

თუ სიკვდილი არ გინდოდესთ, გამოგზავნეთ ეგე ავ-ხმა,
რად მომიკლა სატრფო დედა, რად დაჰკიდა ჰერში ფრახმა?
რად გაცოფდა ურცხვი, უცბი; რად დაათრო ლუდმა, რახმა“?

როს გაშალეს წიგნი მძახალთ, მყის შეექმნათ ჰმუნვა-ურვა,
ნახა მკვლელმა დედამთილის, იწყო თრთოლვა, ოფლში ცურვა,

ხმა შესძახეს: „ეს რა გეესმა?“ — ჰკიოდიან — „უი“ — რვა-რვა.
ზაფრანის ფერად ქცეული ნახეთ ქალის პირის მურვა!

უთხრეს დედ-მამამ, რძალმა, ძმამ და დამ: „ჩვენ არ დავიდებთ
შენის ქმრის სისხლსა,
ხელშეკრულს მიგცემთ, დედას ვაფიცებთ, მოგკლავს უცილოდ
როსკიპს გაქნილსა!
დედამთილის მკვლელს ცეცხლს მოგიგზნებს მწველს, იქ ღმერთი
წაგწყმენდს სატანად ქმნილსა!
კაპასო მქისავ, ეშმაკის ქისავ, ჯოჯოხეთს ჩასძვერ ბნელს
აღმოქმნილსა“.

აქა კაცის გაჰრა ცოლეურთას

თვალის შეთებით გაიპრა კაცი, აღარ არს ჰკუაზედ:
„იმ აფთრის დღენი დაველიო, მოვაბა ცხენის ძუაზედ“!
ითხოვს სიდედრი შენდობას, ვით კაცის მკვლელი. მოარზედ,
სიძე არ უსმენს: „მოვჰკლაო, უწყალოდ განვკვეთ შუაზედ“!

სიდედრი ცრემლით, ვედრებით სიძეს ეხვევის ყელზედა:
„თუ დღე მინდორს უშენოდ, მყის დამიბნელდეს მე მზე, და!
ვამართლო ქალი, არა ჰხამს, შეცოდება აქვს თქვენზედა,
მაგრამ გეაჯი, არ მოჰკლა, არ გარდმიჩეხო კლდეზედა“!

მიუგო სიძემ სიდედრსა: „მკლავს, მომერია სევდაი!
რა მიყო მტერმან ღვთისამან, რაზე მომიკლა დედაი?
როს ვნახე ჭერში კიდული, მსწრაფლ დამემართა ბნედაი,
ვერ გავსძლებ მეცა, თუ ნაცვლად თავს არ დავარტყი ხვედაი“!

ეს სთქვა, საჩქაროდ ხმალმოწვდით მივარდა ცოლსა ვით ლომი:
„ნუ ჰგონებ ცოცხალს აწ შენს თავს ამ ქვეყნად ჰქონდეს სადგომი,
დედამთილის მკვლელს სიმაგრედ მოგიგონია სად გომი,
ერთს ასეთს დაგკრავ, სული გხდეს, მეორე აღარ განდომი“!

ამისი მსმენი პირს იხოკს სულთქმა-ვახ-ვახით რძალუა:
„სიკვდილის სასმელს მასმევენ, აღარ მაქვს ღონე-ძალუა,
კვლაცა ვეცადო, საფერო სიტყვა შევმზადო მალუა,
ტკბილად ვეუბნო ყელგდებით, დაულბო გულ კლდე-სალუა“!

ქალი სტირს ნაზად, ხმას აწყობს საზად: ვაი თუ ხმალი მიჰიროს გაზად!
„ლომო და მზეო, გიწევ მკლავზეო, აწ მკლავ წამზეო, მხდი ერთ ნაგაზად!
მზე ხარ მარდია, ჰკმენ ნავარდია, ეს სავარდია იყნოსე მაზად!
შენთვის ურვილსა, გნუკავ სურვილსა, გულდაბურვილსა, გამხადო რაზად“!

მიუგო ქმარმან მედგრად, მგელურებ: „ჰქოვლობ და კუდს სძრავ ტურა-მელურებ,
მართლად თავსა სდებ, სტირი ბერულებ, მაგრამ შხამს მასხამ, გულს მკბენ გველურებ.
სიკვდილს იგონებ, გამაველურებ, გესლის დამთხევი თვალს მიირულებ;
დედამთილს მოჰკლავ, სისხლში იცურებ, ხან მუხლზედ იცემ, ხან გარდიბრუნებ".

ქალი დუმილით, ეშყით, სურვილით ზის ხელმოჭდობით, ცრემლს აფრქვევს ხშირად:
„დამატყდით, ხენო, მთანო და კლდენო, გულის ხელმწიფე მყავს განაპირად!
ნეტავი იმ დღეს, რომ გამიღიმდეს, ბროლის მკლავზედან ვიხილო ძილად,
მონას მოლარეს, მისთან მწოლარეს ლალის ბაგითა მკოცნიდეს ტკბილად"!

ბერები დასად, ტერტერა ასად შესარიგებლად მოვიდნენ მალვით,
ეს უთხრეს სიძეს: „წან სჯული გვიძეს, უნდა გაუწყოთ, ბრძენთ სთქვეს უმალ ვით.
სჯულით ვამტკიცებთ, შენ ღმერთს გაფიცებთ, შენ ცოლს შერიგდი, გმონებდეს კრძალვით!
სიდედრ-სიმამრით, შვება-სიწყნარით, ლოცვა-კურთხევით წახვიდე დავლით"!

მიუგო კაცმან: „მოძღვარნო და ჩემის სულის მამანო!
მორჩილვარ თქვენის ბრძანების, დედის სიკვდილმან მე მავნო;
იმისი ცოდვა იტვირთოს ამ ჩემმა ცოლმან, ამანო!
რადგან შუა ხართ, არ მოვჰკლავ, ცოდვა ზღოს მისმან თავმანო"!

შერიგდენ მოძღვრით ცოლ-ქმარნი, დაწერეს ფიცის წიგნები,
ეს უთხრეს ქალსა: „ქრმისათვის აღარ შემზადო ლიქნები;
დედამთილისა საფლავზედ ზედ დაიფარე ფიქლები,
იმისი სული იურვე, სანამ ცოცხალი იქნები"!

მოლხენით არის ძალუა, არ შეიჩნია არაო,
ქმარს უთხრა: „აღრე ვისწრაფოთ, სახლს ვეპატრონოთ ჩქარაო!
არ იცი, ჩემო სიცოცხლევ, შინ არავინ გეყავს არაო —
დედამთილის საქანელი ეგებ სხვამ მოიპარაო"!

წარვიდა კაცი თავის სახლს, ქალი უკან სდევს ურცხვადრე,
ქმარს ჰკითხა: „ვეჭობ, დედამთილს დარჩა კარგი რამ საჩადრე,

მის მოსახსენად მე მჭონდეს, რადგან არს ჩემი საკადრე,
მადლობა გვეღირს, რომ მოკვდა, დავმარხეთ, მოვრჩით მას ადრე“!

დასრულდა ესე ამბავი ტკბილად სასმენი რძლებისა:
დედამთილს ჰყვანდეს მორჩილი რძალი ესეთი ნებისა:
მას სცემდეს, სახლსა აქცევდეს, იყოს გამყრელი ძმებისა,
ქმარს თავსა სჭრიდეს სიურცხვით, იყოს შემკვრელი გრძნებისა.

დავალებანი:

1. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ (კლასობრივი სარჩულის გამომჟღავნებით) ბესიკის ლირიკის მოტივები (სიყვარული, მელანქოლიკა).
2. შეადარეთ ბესიკი ენის მხრივ თეიმურაზ პირველს და დავით გურამიშვილს.
3. დაახასიათეთ ბესიკი როგორც სატირიკოსი.
4. რა და რა სახის ლექსთწყობის ნიმუშები გეხვდება ბესიკის ნაწერებში?

საიათნოვა

საიათნოვა «საქართველოს სომებთაჯანი» ყოფილა, სანაინიდან. თავისი სოციალური წარმოშობით ის იყო გლეხი, გიორგი XIII-ის ყმა. ამ მხრივ საიათნოვა გარკვეულად გამოირჩევა ფეოდალური ეპოქის სხვა მგერლებიდან. დამახასიათებელია, რომ საიათნოვა ამაყობს კიდეც გლეხური ჩამომავლობით: «მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა»ო.

განსაკუთრებით საინტერესოა საიათნოვა იმითაც, რომ ის სამ ენაზე მწერლობდა (ქართულზე, სომხურზე და თურქულზე), ამდენადვე ი'ა თანაბრად ეკუთვნის ამიერკავკასიის სამსაე ერს და თავისებური ტიპის ინტერნაციონალური პოეტია. თავისებურია საიათნოვა თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობითაც. ის პროფესიით ყოფილა წვრილი ხელოსანი, ფარჩის მოვაჭრე და განთქმული სახანდარი. საიათნოვას პოეზიაც ქალაქის წვრილ ვაჭარ-ხელოსანთა ე. წ. აშუღურ-ყარაჩოღული პოეზი·ა. თემატიკურად ეს პოეზია ძალიან არ განირჩევა ოფიციალური 'თავად-აზნაურული მწიგნობრობისაგან. საიათ'ოვაც, მაგალითად, ჩვეულებრივად უგალობს და ამკობს ვარდს, ბულბულს, მთვარეს, სიყვარულს, გმირობას და ს'ვ., მაგრამ იმავე საიათნოვას პოეზიაში უხვად არის შეჭრილი ქალაქის, ქუჩის, მოედნის, ბაზრის და სხვ. ხმა თავისი დამახასიათებელი ენით და განწყობილებით. აშუღური პოეზია არ თაკილობს და გვერდს არ უხვევს ქალაქის დაბალი სოციალური წრის (ბაზაზის, ბაყლის, ფეიქრის და სხვ.) ყოფა-ცხოვრებითს ამბებს და ემოციებს. ესაა ახალი და ნიშანდობლივი მხარე აშუღურ-ყარაჩოღული პოეზიისა. აშუღური ლექსები არსებითად არც იწერებოდ მწიგნობრული ტრადიციების კვალობაზე, ისინი ითხზვებოდა ხოლმე სასიმღეროდ. აშუღები (აშუღი ნიშნავს ამ თავისებური ტიპის მგოსანს), კერძოდ საიათნოვაც, მომღერალ-საზანდრები იყვნენ. იქნებ ნაწილობრივად ამიტომაც საიათნოვას ლექსების ფორმალურ-მხატვრული მხარე საერთოდ სუსტია. საიათნოვა როგორც განთქმული პოეტ-მომღერალი, ირაკლი მეფის კარზე მიღებული პირი ყოფილა და კარის სახანდრის სახელითაც არ'ს ცნობილი.

დაბადებულა საიათნოვა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. იმავე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბერად შემდგარა, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც ძალდატ'ნებით აქტის წყალობით. მორწმუნე კაცი საიათნოვა მაინცდამაინც არასდროს არ ყოფილა. ლექსებისა და სახანდრისათვის პოეტს არც ბერად შედგომის შემდეგ დაუნებებია თავი. ერთ-ერთ მოხდენილ ლექსში საიათნოვას მწვავე ირონიით უმხელია თავისი ახირებული საქციელი (ბერად შედგომა):

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ჭორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა?
ერი ვიყავ, მღედლობა რად მინდოდა?
მოდი მითხარ, ბერობა რად მინდოდა?!

გარდაცვლილა საიათნოვა XVIII საუკუნის მიწურულსა, თუ XIX ს. პირველ წლებში.

საიათნოვას ქართული ლექსები საინტერესო გამოკ'ლევითურთ გამოსცა პოეტმა ი. გრიშაშვილმა (საჰათნოვა, ტფილისი 1918), საყურადღებო კრიტ.-ბიოგრაფიული ნარკვევი ეკუთვნის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს: «საიათნოვას ვინაობა» ტფ. 1930, ჩვენს წიგნში დაბეჭდილი პირველი სამი ლექსი ამოღებულია ი. გრიშაშვილის გამოცემიდან, ხოლო „შე საწყალო ჩემო თაო" იცემა ივანე ბატონიშვილის «ქალმასობაა»ში მოთავსებული რედაქციის მიხედვით (საქ. მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის წ.-ქ. ფონდი, № 5374, გვ. 167b).

ლიტერატურა:

1. ალ. ხახანაშვილი, ქართ. სიტ. ისტ. I, 1914, გვ. 524-525.
2. მისივე, Очерки, III, 518-220.
3. ი. გრიშაშვილი, საათნოვა, ტფ. 1918.
4. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II, 483-487.
5. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, საიათნოვა, «ქართული წიგნი» 1930.
6. გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, «ქართული წიგნი» 1930.

ზღვას ვით გააშრობს

ზღვას ვით გააშრობს ვარსკვლავის სხივი!
მტკვარი ცხრილით როგორ უნდა აირწყოს?
ქარი რას დააკლებს ქვიტკირის კლდესა,
თუ გინდ წლის-წლობამდის ქროლვა დაიწყოს!

თუ გინდ გაათეთრო სპილენძის თასი,
სპილენძი ერთია, ვერცხლი — ათასი!
ჭიქას არ ედება ალმასის ფასი,
თუგინდ ოქროს ბეჭედშიაც გაიწყოს!

ზოგზოგი კაცია ეშმაკის მუშა,
ეშმაკის ნაშენი ღმერთმანდაფუშა...
გოგრა არ გახდება შირაზის შუშა,
რა გინდ მაღლა თახჩაშიაც შაიწყოს!

თუ გინდ თევზი დაჰკლა — არ დაიყვირებს.
ფეხთ ჰინის დადება რათ უნდათ ვირებს?
ქვიშა ბამბის ალაგს ვერ დაიჭირებს,
თუ გინდ ყუთნის საბანშიაც ჩაიწყოს!

ნურვინ იტყვით — ეს ყმაწვილი ვინა ვარ!
ანა-ბანა ვიცი, სიტყვით წინა ვარ,
საიათნოვა მქვიან, არუთინა ვარ,
სიტყვას ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს!

მტკვარო ამღვრეულო

მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო!
მე შენ ვერ გაგიძლებ, მიზეზიანო!
დიბისა ლობდანო ბაზაზიანო,
სირმა-აბრეშუმო ყაზაზიანო,
თვალები, წარბები, ლამაზიანო,
მე რა მაბადია, რა მაზიანო?!

ზოგი კაცი ღვინის სმას ეხვეწება,
ზოგი მეჯლისის ზმას ეხვეწება,

ჩემი ენა გამოთქმას ეხვეწება.
გული მას სტირის, მას ეხვეწება,
დაეხსენ ჩემს ვარდსა კრაზანიანო!

შეხსა ქებას საწერელი ზღვა უნდა,
შენს შემხედავს თავში რაღა ჭკვა უნდა,
განა საყვარელი სხვადასხვა უნდა?
სულ ქვეყანას შენი ნახვა მოუნდა,
გამოდი ღრუბლიდამ, მზევ ნაზიანო!

მოდი, დამიჯერე, ბაღდადის წერო,
ინდოეთის თუთისაებრ იმღერო!
რა იქნება ერთხელ მეც დამიჯერო,
ფერჰადის ბებერო, შირინის მტერო,
შე ავო მიჯნურო, შე ბრაზიანო!

ვა თუ ერთი რიგი ნარდი გასწიო,
მარდი მოჰკლა და ნამარდი გასწიო,
ბულბული ატირო, ვარდი გასწიო,
ნეტა რომელი ერთის დარდის გასწიო,
ბეჩავ საიათნოვავ, თავაზიანო!

დამეხსენი

დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გაფენობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მბობა არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!

მოდი სისხლსა ნუ დამიღვრი თასითა,
ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითა!
გეახლები ერანელთა წესითა!
შემინახე ატლასითა, ხასითა,
შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა!

ჩემი სიტყვა შენი დასაჯერი იყოს,
შენი კალთა ჩემი დასაჩერი იყოს,
ჩემი თავი შენი მიწა-მტერი იყოს,
შენი ბაღი ჩემი ბაღის გვერდთ იყოს,
შუაშია გადაღობა არ მინდა!

გადავიდა შენი დრო, საიათნოვა!
რაღად გინდა „ოხო-ხო“ საიათნოვა?
ყველა მეუბნება: ჰო საიათნოვა!
საით მიხვალ, ჩემკენ მო, საიათნოვა,
შენი პურმარილის ძმობა არ მინდა!

შე ხაწყალო ჩემო თაო

შე საწყალო ჩემო თაო, რა იქენ?
ქვეყანაში სასაცილო შეიქენ,
საითაც გაიქეც, იქით წაიქეც,
ბოლოს დროსა ბედოვლათიც შეიქენ!
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
— ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

თითქმის ვიყავ ქვეყანაში ქებული,
ჰიქასავით ოქროს ყუთში დებული,
ეს რა მომივიდა ახირებული?
რაც მომიხდა განუსჯელობით არი.
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
— ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

მეფეთაგან მეჯლიშს მიწოდებული,
თავადებთან პატივცემით შვებული,
ალისფერის კაბით განშვენებული,
ახლა ამა ძაძით გაშავებული!
ესე ხვედრი ჩემის მოძღვრისგან არი.
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
— ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

ბრინჯი ვიყავ, ქერობა რად მინდოდა?
ქორი ვიყავ, ძერობა რად მინდოდა?
ერი ვიყავ, მღვდელობა რად მინდოდა?
მოდი მითხარ, ბერობა რად მინდოდა?!
ეგონებ ჩემის უბედურის დღისაგან არი!
რომელს დავაბრალო, რისაგან არი?
— ეს საქმენი ჩემის ჭკვისაგან არი!

კითხვები და დავალებანი:

1. როგორ აისახა საიათნოვას პოეზიაში ყარაჩოღული პოეზიის მოტივები?
2. როგორ ურთიერთობაშია ყარაჩოღული პოეზია თავად-აზნაურულ მწიგნობრობასთან?

ლექსიკონი

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი[1]

ა

აბეზარი: ა ბ ე ზ ა რ ი ვ ი ქ მ ე ნ 155_{18} მომბეზრდა.

აბრამეანი 19_{33} აბრაამის შთამომავალი.

აბჯარი 78_{33} საომარი იარაღი საზოგადოდ.

აგარაკი $19_{23},28_{14}$ სახნავ-სათესი, ყანა.

აგარი 1. აბრაამის ხარჯი; ნ ა შ ო ბ ნ ი ა გ ა რ ი ს ნ ი 19,32 აბრაამის ჩამომავალნი აგარის ხაზით (ასეთებად თვლიდენ სამუალო საუკუნეებში არაბებს და შემდეგ საზოგადოდ მაჰმადიანებს); 2. ა გ ა რ ი ა ნ ი, აგარის ჩამომავალი, მაჰმადიანი (189,23)

აგე ნ. გ.

აგე ნ. აგება.

აგება აღმართვა, გაწყობა, აშენება. ა გ ე 165_{14} აღმართე, განაწყვე; ა გ ე 165_{16} აააგე, ააშენე.

[აგიოგრაფი 17_{34} წამების ან „წმიდათა“ ცხოვრების მწერალი].

აგრევ 212_{23} აგრეთვე.

აგუსტო 9_2 აგვისტო.

ადრე 4_{11} მალე.

ავაზა 76_{29}, 100_{33} სანადირო ძაღლი (?); 104_{10} ვეფხია ერთგვარი.

ავაზაკი 62_{26} მძარცველი, ყაჩაღი.

ავი 117_{36} ცუდი.

ავქანდა 86_{30}, 144_{35} უზანგი.

ავრეზი 233_{33} უნაყოფო.

აზავერი 186_{19} საბარგული ხარი.

აზნაური 11_{13}, 16_1 თავისუფალი; წარჩინებული, დიდებული გვარისა.

აზომ $79_{30},199_{18}$ ამ ზომ, ამოდნად; ა ზ ო მ ი 175_{38} ამოდენი.

აზრზენდა ნ. ზრზენა.

აზრობს ნ. ზრობა.

ათაბაგი 191_3 ახალციხის მფლობელი.

ათაო ნ. თაგება.

ათინელი 106_{33} ათინას მცხოვრები (ა თ ი ნ ა საბერძნეთის ქალაქია, განთქმული იყო როგორც ფილოსოფიის, ხელოვნებისა და მწერლობის ცენტრი).

[ათონის მონასტერი 10_{35} (ქალკიდონის ნახევარკუნძულზე, საბერძნეთში). იქ არსებობდა ქართ. სალიტერატურო ცენტრი, სადაც მუშაობა დაიწყო X ს-ში].

ალაბი 106_{24} ჰალაბი, ალეპპო (სირიის ქალაქთაგანი).

ალავერდელი 191_3 ალავერდის ეპისკოპოსი (ალავერდის მონასტერი კახეთშია).

ალამი დროშა; 133_3 დროშისებრ სამკუთხი (?)

ალაფობა ტაცება, აკლება (ომიანობის დროს); ა ლ ა ფ ო ბ დ ე ს 119_{29} იტაცებდენ, იკლებდენ, დაელას იღებდენ.

ლექსიკონი შედგენილია ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ.

პირველი რიცხვი აღნიშნავს გვერდს, მეორე კი სტრიქონს ზემოდან.

ფრჩხილებში ჩასმულია ისეთი სიტყვები, რომლებიც ძველი ტექსტიდან არ არის ამოღებული.

ლექსებში ხშირია უმართებულო ფორმების ხმარება. ასეთი შემთხვევები უმეტესად აღნიშნულია.

სიტყვების მონახვის გაადვილების მიზნით ლექსიკონში შეტანილია პირის ფორმებიც, მაგრამ მათი ახსნა-განმარტება მოცემულია სათანადო ადგილას.

ნ. = ნახე.

ალაღებული 216_{37} გაბარებული, გათამამებული.

ალგეთი 189_{18} ადგილია ტფილისის სამხრეთით.

1. **ალვა** 98_{17} ალო, სურნელოვანი ნივთიერება.

2. **ალვა** 108_{3}, 119_{3} ალვის ხე.

[ალიტერაცია 135_{3} პოეტური ხერხი,— ერთისა და იმავე თანხმოვნის განმეორება ლექსში რამდენჯერმე].

ალმედად 86_{10} მხარიღლივ, დიაგონალურად.

ალონი 185_{26} ალვანი (სოფელია კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირას, სადაც ახლა თუშები ცხოვრობენ).

ამაგი: ა მ ა გ ს ა ი ქ ს 201_{30} შრომას ეწევა, ზრუნავს.

ამად 118_{20} ამიტომ, ამისთვის.

ამათებრი 86_{17} ამათი მსგავსი, ამათნაირი.

ამაოება 58_{1} არარაობა.

ამარტი 241_{36} ქარვა.

ამაღამ 194_{29} მომავალ ღამეს; 194_{30} (?)

ამაღერა ნ. აღერება.

ამაშიგან 84_{11} ამასობაში.

ამაჩოყა ნ. აჩოყება.

ამბარი, ანბარი 98_{17}, 139_{12} ზღვის სურნელოვანი მცენარე და მისგან დამზადებული ნივთიერება; ა მ ბ რ ი ს ფ ე რ ი 167_{9}.

ამბორი კოცნა: ა მ ბ ო რ ს უ ყ ო ფ დ ა 33_{1} ჰკოცნიდა.

ამბოხი 14_{30} ბრბო.

ამიერ აქედან; ა მ ი ე რ ქ უ ე ყ ა ნ ი თ 21_{3} ამ ქვეყნიდან.

ამიერითგან 58_{15}, 198_{6} ამის შემდეგ.

ამილახორი 119_{36} მეჯინიბეთ უხუცესი.

ამირა 9_{4}, 19_{14} მთავარი; მაჰმადიანთა ხელისუფალი, მმართველი რომელიმე კუთხისა.

ამირხასალარი 97_{3}, 118_{7} მთავარსარდალი.

ამისებრი 86_{12} ამის ნაირი.

ამიხვამს ნ. ახუმა.

ამო 96_{2}, 102_{28} საამებელი, სასიამოვნო.

ამოგება ამოშენება, ამოსება: ა მ ო გ ე ბ ს 119_{22}.

ამოლამა ნ. ლამი.

ამოყორვა ამოსება: ა მ ო ყ ო რ ე ბ ე ნ 160_{17} ამოაშენებენ.

ამრიზებული 55_{11} გაჯავრებული.

მყოლ-მუსაიფი 195_{8} მოსაუბრე.

ამკედრება ცხენზე შეჯდომა: ა მ კ ე დ რ დ ა 39_{27} ცხენზე შეჯდა.

ანაგზეთი 246_{28} აგზნებული, ანთებული, გაცეცხლებული (ფორმა ხელოვნურია).

ანაზდად 86_{35}, 133_{14} უცბად, უეცრად, უცნობლად.

ანაზდეული 148_{9}, **ანასდეული** 176_{37} უეცარი, მოულოდნელი.

ანაკა ნ. ნაკი.

ანბარი ნ. ამბარი.

[ანგარებიანი 196_{18} ხარბად მომხვეჭი, ქონების უსამართლოდ შემძენი].

ანდამატი 242_{18} ადამანტი, ალმასი.

ანთრაკი 27_{32} ერთგვარი ძვირფასი ქვა, თვალი.

ანტე 232_{10} ანტეკრისტე.

[ანტიარაბული 9_{11} არაბთა საწინააღმდეგო].

ანჩხაბერი 191_{9} სახელია (?).

ანჩხლი 203_{22} ავი.

ანჯამანი 149_{7} შეკრებილება (?)

აოტა ნ. ოტება.

არაბიანად 190_{6} ურმიანად (არაბა = ურემი).

არაბიელი 19_{24} არაბიისა, არაბეთისა.

არადელი 193_{23} არადეთ სოფლის მცხოვრები (სოფ. არადეთი ქართლშია, ქარელიდან 5-ოდე კილომეტრით დაშორებული, მტკვრის მარცხენა მხარეს).

არაზიანი 258_{30} არაზნავევი, რომელიც არაზს (არეზს, არაქსს) ერევა.

არამი 144_{9} უსამართლო, უკანონო, რაც არ ერგება სამართლით.

არბივეს ნ. რბევა.

არგანი 89_{3}, 198_{29} ჯოხი.

არგოსანი 205_{4} ჯოხიანი.

1. **არე** 28_{22}, 45_{8} მიდამო, მხარე, კუთხე; არები მრ. რ. არე-სი. ა რ ე ბ ს ა 247_{36} მიდამოებში, არემარეში.

2. **არე** ნ. ყოფა.

არზა 231_{14} წერილობითი თხოვნა.

არითა 218_{19} არ-რით, არა-რით, არაფრით.

არიფი 96_{2}, 189_{11} ამხანაგი, მეგობარი, ტოლი.

არმური 166_{34} ცეცხლის ალი.

არნეს, არო ნ. რება.

აროსა 212_{14} არ-როს, არას დროს.

არტოშანი 11_{18} ცეცხლი (როგორც თაყვანის საცემელი).
[არჭაიკული 209_{25} ძველი, ხმარებიდან გამოსული].
არქუთ ნ. რქა.
არღავანი 157_1; 169_{13} ხეა, რომლის ნაყოფი და ყვავილი წითელია და ლამაზი.
არყი 102_9 რომელიღაც ნაწილია პირისახისა.
არშუშა კაცის სახელია (11_2 პიტიახში, შუშანიკის მამამთილი).
ასაპყარე ნ. საპყარი.
ასაქმარი 128_4 ასაქნელი, ნაწილ-ნაწილ დასაპრელი.
ასახებლად 168_{10-14}: ა ასახვევად; ბ ასახვისთვის (?); გ ასახვეებლად, ხედ ასაზრდელად; დ ასაახებლად, „ახ"-ის სათქმელად.
ასერ 178_1 აი აგერ.
1. ასერა 169_{30} გამოაგზავნა, გამოასეირნა.
2. ასერა ნ. სეირობა.
ახი 138_{17} ასე.
ახოს ნ. სმა.
ასპარეზი 106_{11} მოედანი, სარბიელი (საჯაროდ ან სხვაგვარი შეჯიბრებისათვის).
ასპარეზობა ასპარეზზე სხვადასხვანაირი შეჯიბრების ჩატარება: ასპარეზობს 195_{10} ასპარეზზე თამაშობს.
ასპიტი 174_{31} ზეტად გესლიანი ერთგვარი გველი.
ახტამი 13_6 ცომის მოსაფხეკი (საბა).
[ახტრაბადი 153_{33} ქალაქია სპარსეთში].
ახული ასჯერი: ბევრად ასული 117_{18} ათიათასჯერ ასი.
ახლახ-ბაბი 192_{10} აბრეშუმის ნაქსოვი.
აუბანა ნ. უბნობა.
აუგი 93_{11}, 212_4 სირცხვილი; სარცხვინელი, საძრახავი.
აუწითლელი ნ. წუთიმა.
აფთარი 254_{12} მგელ-კაცი, ჰიენა (მხეცია).
აფონებ ნ. ფონება.
[აფორიზმი 113_3 მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმული აზრი].
აფოფნებს ნ. ფოფნება.
აფრქვევს 118_{24} ნ. ფრქვევა.
აფსკა 245_{20} აპკი, თხელი კანი (მაგ. ტეინის გარშემო).
აჭახაეთი 41_{14} ასე ეწოდებოდა თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს XI—XII ს.ს-ში (დღევანდელი აფხაზეთიც შიგ შედიოდა).
აქაოგან 119_3 ამას იქით.
აქნევდი ნ. ქნევა.
აქო ნ. ქონება.
აღა 164_7 ბატონი.
აღაგზნეს ნ. აღგზება.
აღათანგი 190_{21} სახელია (?)
აღასრულა, აღახრულნა, აღეხრულა ნ. აღსრულება.
აღახმენ ნ. აღხმა.
აღბორგებული 21_{35} გაჯავრებული, გაგულისებული.
აღგზება: ანთება, დანთება: აღაგზნეს ცეცხლი 28_{37} დაანთეს ცეცხლი, გააჩაღეს ცეცხლი; აღეგზებოდა 41_7 დაინთებოდა.
აღეკაზმა ნ. აღკაზმა.
აღერება: ამაღერა 223_{33} ღრუბელი აწვა.
აღეტყინა ნ. აღტყინება.
აღეშქო ნ. აღშქმა.
აღზრდენა 73_{16} აღზრდა, წაქეზება.
აღთქუმა 39_{33}, აღთქმა 201_{28} პირობა, შეპირება; აღუთქუა 40_4 დაჰპირდა.
აღიხილა ნ. აღხილვა.
აღკაზმა მომზადება, მორთვა: აღეკაზმა 29_{10} მოემზადა, მოირთო.
აღმოქმა: აღმოიქუას 6_{18} ამოიყვანოს.
აღმოყდომა ამოსვლა: აღმოჰკდა 54_{30} ამოვიდა.
აღმხაარებელი 63_8 ამღიარებელი, მცნობი.
აღმხთობილი 24_{28} ადრე ამდგარი.
აღმხარცუე ნ. აღძარცვა.
აღმწერელი 49_9 დამწერი, მწერალი, ავტორი.
აღნადგინება $5r_9$ სარგებელი (ვალისა).
აღპყრობა: კელი აღუპყარ 69_1 ხელი მოუმართე.
აღრაცხვა გამოთვლა, გამოანგარიშება აღრაცხნა 53_{31} გამოითვალა, გამოიანგარიშა.
აღრევა 36_{14} არეულობა, შფოთი.
აღსაარება 21_{30} ცნობა, აღიარება (შდრ. აღსარება).
აღსარება 201_{10} ცოდვების აღიარება, გამხელა ან განდობა (შდრ. აღსაარება).
აღსახრული 4_{30} დასასრული, ბოლო.

აღსრულება 71_5 შესრულება; გარდაცვალება: **აღსრულა** 27_{12} გარდაიცვალა, მოკვდა; **აღასრულნა** 71_1 შეასრულა.

აღტევება აშვება: **აღუტეეე კმაჲ და ეტიროდე** 13_{32} ხმა ამოიღე და ვიტირე, ხმა-მაღლა ვიტირე.

აღტყინება: **აღეტყინა** 67_{10} აინთო, აღეგზნა.

აღუთქუმა ნ. აღთქმა

აღუპყარ ნ. აღპყრობა.

აღუპყრობელი: **კელ-აღუპყრობელი** 132_{29} ხელ-მოუმართავი, დაუბმარებელი.

აღურაცხელი 45_{37} ურიცხვი, უამრავი.

აღშჱმა პირის დაღება: **აღეშკმო** 55_{15} დაეღო.

აღძარცვა ტანისამოსის გახდა; **აღძარცუე** 54_{11} ამაშორე, ამართვი.

აღხმა, აღხუმა 54_{19} გაღება (ბეერისა): **აღახმენ** 216_7 გააღებენ (ბეერს) (ნ. ენის მიმოხილვა, § 51).

აღლდომა ასვლა: **აღჰლდა** 54_{30} ავიდა.

აყენებდა ნ. ყენება.

აჲიჲი 163_{28} ძვირფასი ქვა წითელი ფერისა.

აყოვა ნ. ყოვება.

აყოვნებ ნ. ყოვნება.

აშეთებ ნ. შეთება.

აშიყ-მაშიყნი 160_{11} მოტრფიალენი, შეყვარებულნი, მიჯნურები.

აჩოყება აზრდა ზედმეტად, უნაყოფოდ: **ამაჩოყა** 233_{33}.

აცხოვნებს ნ. ცხოვნება.

აწ 41_{27} ახლა: **აწ ესერა** 22_8 ახლა, აი; **აწეცა** 122_{19}.

აწვე 57_{16} ახლავე.

აწვია ნ. წუეა.

აწი: **მოაწი ეე** 165_{20} ახლა მოდი და ვაი იძახე.

აწიხგან კიდე 89_{33} დღემდის, ამის მეტად.

აწონა ნ. წონება.

აწუევდა ნ. წუეა.

აწუა 162_{25} აწყლა, ახლალა.

აწუყიტა ნ. წყვეტება.

ახალახს ნ. ხალასი.

ახვედი ნ. ახვა.

ახვა: **ახეედი** 189_{11} „ახ"ი თქვი, იოხრე; **იახო, ახონ** 218_{33}.

ახი 189_6 ოხერა, ვაება.

ახლარე 216_{19} (**ახლო-რე**) ახლოს.

ახოვანი 18_{21}, 39_{22} სარწმუნოებისათვის თავდადებული; 73_{36} ბუმბერაზი, ძლიერი.

ახუმა, ახმა აღება (ბეერისა; ამასთან ობიექტი მრ. რიცხვშია ყოველთვის, ნ. ენის მიმოხილვა § 51): **ამიხვამს** 142_{14} ამიღია.

აჲდომა: **აკდა** 28_{36} ავიდა; **აჰკდა კმა** 88_{33} ხმა გაისმა, ხმა გავარდა.

აჲსნილი 119_7 აშეებული, დაუბმელი.

აჯჯ ვედრება, ხვეწნა; გეაჯი 254_{18} **გიაჯ** 181_6: გეევედრები, გეხვეწები, **ეაჯდა** 248_{21} **ეაჯებოდის** 195_8: ეხვეწებოდა ხოლმე; **იაჯდა** 146_{36} ევედრებოდა, ეხვეწებოდა; ხვეწნა არ **იაჯა** 247_3 ხვეწნა არ მიიღო თხოვნად, არ ისმინა; არ **მიაჯე** 245_{14} არ მისმინე ვედრება; **მიაჯოს** 173_{30} მითხოვოს.

აჯა ეგერა 4_{10} აი (აგერ).

აჯა ესერა 4_{16}, 19_8 აი (აქ).

აჰკდა ნ. აკდომა.

ბ

ბაბანი 235_{31} კანკალი, თრთოლა.

ბაბრაბი 142_{10} ერთგვარი საომარი ტანსაცმელი.

ბაგე 107_3, 241_{24} ტუჩი.

ბადახშანი 169_{19} საუკეთესო ლალი ბადახშანის მხარიდან (ავღანისტანშია).

ბადახშისანი 121_{23} ბადახშისებრი (ნ. ბადახშანი).

